

იუსჯინე აბუღაძე

კუსთველძელოგიური ნაშრომები

კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა
იოსებ მეგრელიძე

ზ. ც. 888-962-1.092 [რუსთაველი]
მ-1
კ206

კრებული შეიცავს ცნობილი მეცნიერის პროფესორ იუსტინე აბულაძის (1874—1962) ძირითად რუსთველოლოგიურ ნაშრომებს.

იგი სასარგებლო იქნება სპეციალისტებისათვის, მას ინტერესით გაეცნობა ქართველ მკითხველთა ფართო წრეც.

რედაქტორი დ. კობიძე



„რაც მეტს კკითხულობთ „ვეფხისტყაო-
სანს“, მით უფრო ვიმსჭვალებით საკვირვე-
ლების გრძნობით მისი დამწერის გენიო-
სობისა და იმჟიათი ჰოეტური შემოქმედე-
ბისადმი, მისი დაუღვეელი სიბრძნისადმი“.

იუსტინე აბულაძე (1914)

წინასიტყვაობა

«პოემის ორიგინალობისა და ირანული მწერლობითგან პარალელუბის საკითხზე, აკად. ნიკო მარის შემდგომ, ყველაზე მეტად იუსტ. აბულაძეს აქვს დაწერილი».
ი. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი (1935 წ.)

ეპიგრაფად წარმოდგენილი სიტყვების ავტორი ლაპარაკობს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ იუსტინე ირაკლის ძე აბულაძის (1874—1962) რუსთველოლოგიური ნაშრომების არა მხოლოდ რიცხვსა და საერთო მოცულობაზე, არამედ, და უმთავრესად, მათ მაღალ ხარისხზე. ასევე კარგ შეფასებას აძლევენ იმავე ნაშრომებს აკად. მარი და საგნის სხვა სპეციალისტებიც.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღეს მისაღები იყოს ყველაფერი ის, რაც ი. აბულაძეს დაუწერია. ავტორი არა მხოლოდ პოზიტიურს, არამედ რიგ სადავოსა და ზოგიერთ უეჭველად მცდარ აზრებსაც გამოთქვამს და მათ ავითარებს; ამისათვის მას აკრიტიკებდნენ კიდეც, მაგრამ მთავარია ის, რომ მან სწორად გაიგო კლასიკური პერიოდის სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობათა მნიშვნელობა. ქართველობა, უმთავრესად ორიგინალურ მწერლობას რომ ავითარებდა, დაინტერესდა აგრეთვე სპარსული ლიტერატურის საუკეთესო ძეგლებითაც, რომელთა თარგმნას ჩვენში განსაკუთრებული გასაქანი მე-11-12 საუკუნეებში მიეცა.

სპარსულენოვანი თარგმნითი ლიტერატურის და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას, რომელიც ნ. მარმა პეტერბურგში დაიწყო ფართო მასშტაბით, საქართველოში პირველი აგრძელებს იუსტინე აბულაძე. მან გაარკვია ქართულ სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა არა ერთი საკითხი. უპირველეს ყოვლისა, აქ გვიანდერძა მან საყურადღებო ნაშრომები და მანვე დიდი დრო და ენერგია მოახმარა ქართული ორიგინალური ლიტერატურის უბრწყინვალესი ძეგლის — «ვეფხისტყაოსნის» შესწავლას.

იუსტ. აბულაძემ წინ წასწია რუსთველოლოგია.

ეს მეცნიერი იყო თავისი დროის ერთი საუკეთესო ქართველ ფილოლოგთაგანი, დაკვირვებული ტექსტოლოგი და ნაყოფიერი ლექსიკოლოგი.

ნიჭი, ზოგადი და სპეციალური განათლება, შრომის სიყვარული, კვლევითი მუშაობით დაინტერესება გახდა იმის საფუძველი, რომ პროფ. იუსტინე აბულაძემ გულწრფელი მეცნიერისა და უანგარო საზოგადო მოღვაწის სახელი დაიმსახურა. მას, როგორც ირანისტს, იცნობდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

ი. აბულაძემ თავისი მოღვაწეობის 60 წლის განმავლობაში არა ერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი ლიტერატურული ძეგლების შესწავლას, როგორც გახლავთ: «ვეფხისტყაოსანი», «შაჰნამე», «ვისრამიანი» და «ამირანდარეჯანიანი».

ავტორის სათანადო გამოკვლევები და ტექსტები გამოქვეყნებულია როგორც ცალკე წიგნებად, ისე წერილების სახით მეცნიერულ კრებულებსა და ჩვენს პერიოდიკაში (1901—1962 წ.).

ი. აბულაძის ნაწერების დიდი ნაწილი აშუქებს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიასა და გენიალურ პოემის «ვეფხისტყაოსნის» პრობლემებსა და საკითხებს. ამ ნაშრომთა ნაწილი დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, და ისედაც, მათი ერთ კრებულად გამოქვეყნება მეცნიერული და კულტურული მნიშვნელობის საქმეა.

ამიტომ ჩვენ შევკრიბეთ იუსტინე აბულაძის ძირითადი რუსთველოლოგიური ნაშრომები, ისინი გამოსაცემად მოვამზადეთ და კრებულს რ ჩ ე უ ლ ი ნაშრომების ხასიათი მივეცით.

შენიშნავთ იმასაც, რომ ნაშრომის გამოსაცემად მომზადებისას მოვაგვარეთ ავტორის სხვადასხვა დროს დაწერილი ტექსტების სამეცნიერო აპარატი; სადაც ეს აუცილებლად ვცანით, ნაწილობრივ შევასწორეთ ორთოგრაფია-პუნქტუაცია, მაგრამ ავტორის ძირითადი ენობრივი თავისებურებანი უცვლელად დავტოვეთ.

ი. აბულაძე ჩვენი პოეტის ზედწოდებად ხმარობს ხან რ უ ს თ ვ ე ლ ს (რუსთველის და რუსთელისაც კი), ხან რ უ ს თ ა ვ ე ლ ს (რუსთაველის). ვინაიდან ავტორი პირველ დაწერილობას იცავდა, ყველგან ფორმა რუსთველი აღვადგინეთ, თუმცა ჩვენ თანამედროვე ქართული ენის ნორმათა მიხედვით, უფრო სწორად მიგვაჩნია სრული ფორმა რუსთაველი (იხ. ჩვენი წერილი, «ლიტ. გაზეთი», 1962, 22 მაისი, № 22).

«ვეფხისტყაოსნის» სტროფთა კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ნუ-მერაცია პოემის 1957 წლის გამოცემის მიხედვითაა აღნიშნული.

ოთხწერტილი აღნიშნავს ტექსტში შემოკლებას.

წიგნში ვერ იბეჭდება კომენტარები და შენიშვნები, რათა არ დარღვეულიყო მისი გეგმური მოცულობა.

უფიქრობთ, რომ ეს კრებული გამოადგება როგორც რუსთველოლოგებს, ისე ჩვენს პედაგოგებსა და სტუდენტობას, აგრეთვე ქართველ მკითხველთა ფართო წრეს.

„ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის გამო

(წერა-კითხვის საზოგადოების ახალი გამოცემა)

მრავალჯერ გამოიცა «ვეფხისტყაოსანი», მაგრამ გამოსვლა ისეთი გამოცემის, რომელსაც შეეძლო გაეადვილებინა მსურველთათვის ამ ჩვენი დიდებული პოეტისა და მისი უკუდავი ნაწარმოების შესწავლა, დღემდის მხოლოდ სურვილად რჩებოდა. დღეს კი ეს სურვილი, რამდენადაც შესაძლო იყო, განხორციელდა «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» გამოცემით. ეს ახალი გამოცემა ყველა არსებულ გამოცემებზე მაღლა დგას როგორც ტექსტში შეტანილი შესწორებებით, ისე ხელსამძღვანი ცნობებით და შენიშვნებით, რომლებიც მას აქვს დართული და ფრიად საჭიროა ჩვენი კლასიკური მწერლობის ყოველი ძეგლის რიგიანად შესწავლისათვის.

კარგ ქალაქზე დაბეჭდილ ტექსტს, რომელიც შეიცავს 361 გვერდს, წინ უძღვის დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობა, რომელშიაც ავტორი მოგვითხრობს რომანის შინაარსს, გვიმტკიცებს «ვეფხისტყაოსნის» წინასიტყვაობის სრულ უადგილობას და, მაშასადამე, სიყალბეს, და, დასასრულ, ეხება ამ საგნის შესახებ ლიტერატურას. ტექსტს დართული აქვს შენიშვნები და ლექსიკონი.

მე ამ ქამად არ შევეხები დ. კარიჭაშვილის ფრიად სერიოზულ შრომის ღირსება-ნაკლულევანებას, ხოლო რადგან ამ წლის «მოამბის» მე-8 ნომერში დასრულდა ს. ქვარიანის სტატია «შოთა რუსთაველი და მისი პოემა», რომელმაც წინ უსწრო დ. კარიჭაშვილის შრომას, და რომელმაც შესაძლებელია, ჭეშმარიტი ცოდნის ნაცვლად, ხელი შეუწუოს კიდევ უფრო შემცდარ აზრების გავრცელებას ამ ნაწარმოებსა და იმის ავტორზე, ამისთვის ვუერთდები დ. კარიჭაშვილის კეთილ სურვილს და საჭიროდ ვრაცხ ორიოდ სიტყვა გამოვთქვა «ვეფხისტყაოსნის» შესწავლის გამო.

* * *

არც ერთი ლიტერატურული ნაწარმოები ისე პატივცემული არ ყოფილა ჩვენში, როგორც რუსთაველის «ვეფხისტყაოსანი». ქართულ მწერლობას იგი მიანდა ქართული კულტურის საუკეთესო და უძვირფასეს სამკაულად. ლიტერატურის აღორძინების ხანიდან დღემდე გაისმის ამ წიგნისა და მისი ავტორის ქება-დიდება, და, რა თქმა უნდა, ლიტერატურის თეორიის განვითარებასთან ერთად, უნდა აღძრულიყო მისი შესწავლის ინტერესი, უნდა აწონ-დაწონილიყო და დაფასებულიყო ქართველი ერის ეს სიამაყეც.

მართლაც, იგი შეიქმნა ერთი ფრიად საინტერესო მსჯელობის საგნად როგორც ჩვენში, ისე სხვაგან, მაგრამ გამოირკვა თუ არა ამით ჭეშმარიტება, ვეაქვს

თუ არა ჯერჯერობით, მისი მკვლევარების წყალობით, სწორი და უტყუარი აზრია ამ ნაწარმოებსა და მის ავტორზე?

სრულიადაც არა. პირიქით, რუსთველისა და იმის «ვეფხისტყაოსნის» შესახები კითხვა ჯერ ისევ ნორჩია, ავტორის ვინაობა ისევ ბურუსშია გახვეული, რუსთველისა და მისი შრომის შესახები კითხვები დღემდის წყვილიაღში განისვენებს. რა არის ამის მიზეზი?

ერთი, — ჩვენი აზრით, — უნდა იყოს გაზვიადებული და ცრუპატრიოტიზმი, მეორე — ჯეროვანი ერუდიციის უქონლობა.

ქართველი მკვლევრები იმ აზრისა იყვნენ, რომ ავტორის პოემა ორიგინალურია, პოემის ქება-დიდებას საგანი თამარ მეფეა, მაშასადამე, ქართული ცხოვრების უტყუარი ფაქტებია მოთხრობილი ამ პოემაში და საკუთარი როგორც გმირე ზისა, ისე ქვეყნების სახელები ალევგორიულია, და მათი გაგება და ახსნა შესაძლებელია მხოლოდ თამარის დროის ისტორიის შესწავლა-განხილვით, რადგან იმ დროის ისტორიის ამბები აქვს ამ ნაწარმოებს სარჩულად დადებულიო.

აქედან ის დასკვნა გამოჰყავდათ, რომ პოემაში სპარსული, არც სხვა უცხო ქვეყნის, არაფერია, ყველაფერს ქართული აზრი და მნიშვნელობა უნდა მიეცესო¹.

ამგვარი აზრი, ვიმეორებ, დაბადა ცრუ და გაზვიადებულმა მამულის სიყვარულმა და ჯეროვან ერუდიციის უქონლობამ. მარტო სამშობლოს სიყვარული და ქართული ლაპარაკის ცოდნა ვერ მისცემს საკმაო ძალას ადამიანს, გადაწყვიტოს ისეთი საკითხი, რომელიც შეეხება ერთი ლიტერატურის მეორეზე გავლენას. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში არაფერი ისე საჭირო არ არის, როგორც იმ ერის ენისა და ლიტერატურის შესწავლა, რომელსაც თამარის დროს ლიტერატურის ზრდა-განვითარებაზე დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, არც სპარსულისა და სხვა აღმოსავლური ლიტერატურებისა და ენების შესწავლაა უებარი საშუალება ჭეშმარიტების გამოსარკვევად. ამის მაგალითს წარმოადგენს ნ. მარი, ამჟამად პეტერბურგის უნივერსიტეტის სომხური სიტყვიერების პროფესორი, რომლის აზრით ტყუილად ამაყოფენ და თავი მოაქვთ ქართველებს ამ ვითომდა უკვდავი გენიის სახელით, რომელსაც ეკუთვნის პროზით ნაწერი სპარსული რომანის მხოლოდ გალექსვაო. მხოლოდ ამ ბოლო დროს ნ. მარმა, რომელმაც ერთ დროს ქვეყანას აუწყა, რომ ბრიტანეთის მუზეუმში «ვეფხისტყაოსნის» ორიგინალი არსებობსო, აღიარა, რომ, შესაძლებელია რუსთველს გადაკერით ჰყავდეს ნაწევნები თავის პოეზიაში მისი ნაცნობი გმირები და მოვლენებიო, რაც დღესაც რამდენადმე შეიძლება ითქვასო და სხვ.²

ამნაირად, მეცნიერმა, ჯერ, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზით, ქართველების დიდებულ პოეტს მთარგმნელი უწოდა³, მერე — სპარსული რომანის გამლექსავი, ამ ბოლო ხანებში კი თავისი მეცნიერული შრომის «Тексты и разыскания по

¹ ამ მხრით ყველაზე უფრო ტიპური ხასიათი აქვს სიმონ ქვარიაძის სტატიას «შოთა რუსთაელი და მისი პოემა», რომელიც მოთავსებულია «მოამბის» მე-7 და მე-8 ნომრებში (1903).

² იხ. Н. Марр. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, ნაწ. IV, ს.-პბ., 1902.

³ ჩემი აზრით, რუსთველს არც კი სცოდნია სპარსული ენა, რაც მტკიცდება ისეთი გადასხვაფერებული სიტყვებით, როგორცაა: მიჯნური — სპ. მეჯნუნი, ეშხი — სპ. იშკი, ნატიფი — სპ. ნაზი და სხვები, რომლებსაც გადმოქართულებულ ზღაპარში დაუკარგავთ უწინდელი სახე.

არმია-გრუზინსკოი ფილოლოგია"-ს ფურცლებზე აღნიშნა: შეიძლება რუსთველს სპარსულ რომანში ქართველებიც ექოსო.

ეს ორი უკიდურესობა შედეგია იმისი, რომ არც ერთ რუსთველის შესახებ დამწერს ჯერ არ შეუსწავლია ამ ავტორის ენა იმდენად, რომ შეძლებოდა ტექსტის წაკითხვა და პირუთენელი მსჯელობის გამოთქმა¹. პირიქით, თითოეული მათგანი ცდილობდა გაეყვანა თავისი ერთხელე დაქინებული აზრი, გაეტანა ერთ-ხელევე გულში ამოჭრილი: ბევრ მათგანს, თუმცა კი ესმოდათ ალაგ-ალაგ პოემის სიტყვები, მაგრამ ისინი ან ხსნიდნენ ალგორითულად და ცდილობდნენ მათი სურვილისდაგვარად აეხსნათ მისი ადგილები, ანდა ზოგიც, მათი მოწინააღმდეგე, ცდილობდა ეთქვა, ყველაფერი სპარსულია, და ერთი სიტყვა არც თამარზე, არც ქართველებზე ამ ნაწარმოებში არ მოიპოვება, არც არავითარი ქართული ტენდენცია მასში არ იხედებაო.

ამნაირად, მკვლევრებს ერთიმეორის შუღლი და მტრობა იმდენად აბრმავებდა, რომ ისედაც ნორჩ კითხვას კიდევ უფრო აბნელებდნენ მაშინ, როდესაც პოემის შინაარსის კეთილსინდისიერსა და პირუთენელ განხილვას შეეძლო მიეყვანა ადამიანი სწორსა და ნათელ დასკვნამდე.

მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი რუსთველის შესახებ დამწერი ერთი სიტყვითაც არ შეხებია პოემის შინაარსს, ყოველი მისი მკვლევარი ათავებდა თავის მუშაობას წინასიტყვაობის განხილვით. თუმცა არც წინასიტყვაობაა დღემდე საკმარისად შესწავლილი და განხილული. და თუ ვინმე ოდნავ ჩაუკვირდა წიგნის შინაარსს, ისევე ა. ხახანაშვილი, რომლის აზრი «ვეფხისტყაოსნის» შესახებ ყველაზე უფრო პატივსაცემია².

ა. ხახანაშვილი სამართლიანად აღიარებს, რომ პოეტს თავისი პოემა უნდა აეგოს უბრალო ზღაპრულ მოთხრობაზე, რომელიც უკვე ხალხში უნდა ყოფილიყო იმ დროს გავრცელებულიო. ჩემი აზრით ა. ხახანაშვილის ამ შეხედულებას ადასტურებს პოემის დასასრულის ერთ-ერთი სტროფი: — ესე ამბავნი ეპოვენ და ლექსად გართავსთქვენ, ამითა ვილაყბეთანო³.

ეს ადგილი, ჩემი აზრით, საკმარის გვეხმარება აეხსნათ ის ძნელი გამოცანა, რომელსაც წარმოადგენს რუსთველის ქნარი. ამ ადგილიდან აშკარად ჩანს, რომ რუსთველს ეს უცხო ხელმწიფეების შესახები ამბები უნახავს და ლექსად გარდაუთქვამს; მართლა და, რა გასაკვირველია, ყოფილიყოს გავრცელებული «ვეფხისტყაოსნისებური» ზღაპრული ამბები იმდროინდელ საქართველოში, სადაც სპარსელებისა და არაბების გავლენას ისე მაგრად ეკიდა ფეხი, და სადაც, როგორც ყოველგან, აღმოსავლეთის ხალხებიდან შემოდის და ვრცელდებოდა უძველესი ზღაპრები და მოთხრობები ინდოეთისა და არაბეთის შესახებ თან ზეპირგარდმოცემით. თან ლიტერატურის საშუალებით?

იმდროინდელი არაბული და სპარსული ლიტერატურები იყო მთელი აღმოსავლეთის ფანტაზიის და ოცნების ნამდვილი საღარო. უამრავი მოთხრობები,

¹ ამ მხრით პატივსაცემია ა. სარაჯიშვილის შრომა «ვეფხისტყაოსნის» ყალბი ადგილები. ა. სარაჯიშვილმა დიდი სარგებლობა მოუტანა ამ შემთხვევაში «ვეფხისტყაოსნის» შესწავლის საქმეს.

² დ. კარიჭაშვილიც სრულიად სამართლიანად ემხრობა ა. ხახანაშვილის აზრს «წ. კ. გ. საზოგადოების» გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» წინასიტყვაობაში.

³ [სტროფი 1667] ვილაყბეთანი ლექსისთვის არის ნათქვამი, საჭიროა მხოლოდ ორ უკანასკნელი მარცვლი ერთიმეორის ადგილზე დავეათ, რომ მივიღოთ ფორმა ვილაყბენითა.

ზღაპრული ანუ რომანული, ტარიელისა და ავთანდილისებური საგმირო საქმეები, რომლებიც მოწონებული იყო მთელ აღმოსავლეთში და ნამეტურ დიდ ირანში და რომლებიც დიდის სისწრაფით ვრცელდებოდა მთელ მსოფლიო ლიტერატურაშიც, რა თქმა უნდა, გავრცელდებოდა და ჩაიმყნებოდა ისეთ გმირულსა, საოცნებო და საზღაპრო ქვეყანაში, როგორც უნდა ყოფილიყო თამარის დროის საქართველო, რომლის კულტურული ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული სპარსეთთან.

ამას გარდა, მაშინდელ ისტორიულ და სასახლის სცენების დროს, რომელიც ხასიათდებოდა იმგვარი რაინდულის საქმეებით, რომლებსაც იდენდა ყველა წარჩინებული და რუსთველივით თამართან დაახლოებული და მოტრფიალე პირები, რა გასაკვირველია, მოწონებული ყოფილიყოს ისეთი ზღაპრული გმირობაც. როგორსაც წარმოადგენდა მთელი «ვეფხისტყაოსნის» ცხოვრება.

ამიტომ, რა თქმა უნდა, ეს უცხო ხელმწიფეების შესახები ამბები, ანუ, პოეტის თქმისა არ იყოს, ეს «პირველ ზენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი», შეიქნებოდა საუკეთესო კანვა, რომელშიაც უნდა გამოქარგულიყო უღრმესად ვრძნობიერი, ხელქმნილი პოეტის სულისა და გულის მოძრაობის სურათები.

მაშასადამე, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამბავი, იქამდის «ამბად ნათქვამი», იმ დროიდან უნდა გამხდარიყო «წყობილი მარგალიტი». ეს ის დრო იყო, როდესაც პოეტის «თვალთა მისგან (თამარისგან) უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა». როდესაც მგონის გამიჯნურებულ გულს მოელოდა იგივე, რაც ყოველ გულის ბრმად მიმყოლ აღმოსავლეთის მიჯნურის გულსა, და ტარიელიც ხომ ამგვარი მიჯნურობის ნამდვილი ტიპი იყო? მაშასადამე, პოეტის ფანტაზიას ყველაზე უფრო ვრცელ ადგილს უთმობდა «ვეფხისტყაოსნის» მოთხრობა.

ახლა ვიკითხოთ, ვის ეხება ეს მოთხრობა, ქართველებს, თუ უცხო ხელმწიფეებს და ქვეყნებს, როგორც თვით ავტორი გვეუბნება?

მოთხრობის შინაარსი არ ეხება ქართველებს: ავთანდილი არაბია, არაბეთის მეფის როსტევეანის კარზე გაზრდილი, საშიშარ გზას სანამ გაუდგებოდეს, მიზგიტას შედის და იქ ლოცულობს. ლოცვა მისი ნამდვილი მაჰმადიანის ლოცვაა; ეპითეტები, რომლებითაც ის მიმართავს ღმერთს თავის ლოცვაში, ჩვეულებრივი საღვთისმეტყველო ეპითეტებია მუსულმანების რჯულში:

«მაღალო ღმერთო, ხმელთა და ცათაო, უფალო უფლებათაო,
მოვლენილო, მორჭმულო, მფლობელო გულის თქმათაო»
(809,1-2)

და სხვები ხშირად იხმარება მაჰმადიანისაგან ლოცვაში და, საზოგადოდ, ღვთის მიმართ წარმოთქმულ სიტყვებში; ამგვარი სიტყვები ხშირად არის ნახმარი ქართულ ენაზე არსებულ «ვისრამიანშიაც». ნამეტურ ბევრია ამგვარი ეპითეტები «ვისრამიანის» წინასიტყვაობაში, რომელიც, სამწუხაროდ, ქართულ თარგმანში გამოტოვებულია. ავთანდილის ანდერძი ნამდვილი არაბის ანდერძია. ნამეტურ ყურადღების ღირსია ამ მხრე ეს ტაეპი:

«მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები.
შენ დაამდიდრე ყოველი. ობოლი, არას მქონები:
მიღეწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.»
(803)

მაჰმადის სწავლის უმთავრესი პრინციპებია გლახაკებზე ქონების გაცემით სულის გაწმენდა და მონების დათავისუფლება. უამისოდ შეუძლებელია, მაჰმადიანის წარმოდგენით, სამოთხეში შესვლა.

მაჰმადის რჯულის ამგვარმა პრინციპებმა ისეთი გავლენა იქონიეს მთელ აღმოსავლეთში, რომ მისი მოძღვრება განსაცვიფრებელი სისწრაფით მოედო მთელ აღმოსავლეთს, სადაც მონები მეტად შევიწროვებულნი იყვნენ. ამიტომაც ავთანდილი, როგორც არაბი, იბარებს: თუ მოვკვდე, და ცოცხალი ვეღარ დავბრუნდე, ჩემი სულისთვის ეს სამადლო საქმე ჰქენით: ჩემი საჭურჭლე გლახაკებს მიეცით და ჩემი მონები დაათავისუფლეთო¹.

ტარიელიც აგრეთვე უცხო ქვეყნის, ინდოეთის, მეფის შვილია, ნესტან დარეჯანიც ინდოეთის მეფის ქალია. ფრიდონ, ფატმან, უსენ და სხვები ყველა აღმოსავლელ ხალხებს ეკუთვნიან.

მნათობების სახელები: ოტარიდი, მუშთარი, ასპიროზ, მარიხი, ზუალი და საზოგადოდ, ის შვიდი ვარსკვლავი, რომლებიც მოწმედ ჰყვებიან ავთანდილს, იმის სულიერ ტანჯვების დროს, ჩვეულებრივია სპარსულ ნაწერებში.

ეპითეტები, პოეტური ფიგურები, სიმბოლიკა, მოთხრობის სული და ძირითადი თვისებები, თვით ამბავი, მოქმედების ასპარეზები — არაბეთი, ინდოეთი, ჩინეთი, მულდანზანზარი, ზღვათა სამეფო, გულანშარო, ზვარაზმა და სხვა — ყველა უძველესი აღმოსავლეთის ქვეყნებია (საკუთრივ საშუალო აზიის სახელმწიფოებია), ყველაფერი, მაშასადამე, მათ შესახებ უძველეს ამბებს წარმოადგენს².

მიუხედავად ამისა, იბარება შიგ ბევრი რამ, რაც ამხილებს ავტორის მიზანს: შეცვალოს თავის გემოზე მოთხრობა, გადმოაქართულოს და გადააკეთოს სურვილისამებრ ფაბულა, მაგ., ქაჯი, პოეტის წარმოდგენით, არ არის ფანტასტიკური, რადგან თვითონვე ამბობს: ქაჯები არ არიან ისინი, კაცებიო.

აქ, აშკარად ჩანს, ავტორს შეუცვლია მოთხრობის ხასიათი: აღმოსავლეთის გმირების საქმეები ყოველთვის წარმოადგენს დევებთან, ავსულებთან ბრძოლას, მაგრამ ეგ ხომ ზღაპრული და, მაშასადამე, სრულ და ცხოველ ინტერესს მოკლებული ამბავი იქნებოდა, ამიტომ ავტორი თვითონვე გვაფრთხილებს, ქაჯები როდია ისინი, კაცებიო. ქაჯს რომ ეძახიან, იმიტომ ეძახიან, რომ საკვირველნი არიან მათი მოხერხებითა და გამჭრიახობით, ოსტატობითა და ომის ცეცხლის ცოდნითაო³.

¹ მოსე ჯანაშვილისა და ზოგიერთი სხვა ქართველის აზრით, ეს რუსთველის წინასწარმეტყველება ბატონყმობის განთავისუფლების შესახებაა!

² ვეთანხმები ა. ხახანაშვილის აზრს, რომ პოეტს თავისი რომანი შეუთხზავს უბრალო ზღაპრის ნიადაგზე, რომელიც უკვე ყოფილა ხალხში გავრცელებული. მაგრამ არ შემიძლია დავეთანხმო პატივეცემული მეცნიერის იმ აზრს, ვითომც პოეტს სდომებოდეს სხვადასხვა ტიპის გმირების დახატვა და ამ მხატვრობისათვის მას ხალხის ცხოვრების ცოდნა მოხმარებოდეს, რის გამო თითოეული ტიპი გამოსულიყოს ქართველის რომელსავე ეთნოგრაფიული ჯგუფის ტიპის გამოხატვლად; ეს შესაწინარებელი არ არის; რუსთველს ჰქონდა მსოლოდ ერთადერთი მიზანი: მას სურდა დაეხატა ისეთი სიუჟარული, რომელსაც სარჩულად გმირობა და ვაქაცობა ედვა, და ამისათვის კი სრულიად საქმარ იყო ის ზღაპრული მოთხრობა, რომელზედაც აავო მან თავისი რომანი.

³ ჩვენი ხალხური ზღაპრების თითქმის უმეტესობას აშკარად ეტყობა აღმოსავლური ზღაპრების გავლენა, რის გამოც ხშირად ხდება მათში კაცს დევების და ქაჯების შესახები მოთხრობები; აღმოსავლეთში ქაჯს წარმოიდგენენ, როგორც მზეთუნახავ მომჯადოებელ არსებას. ჩვენში ამ

ამგვარი გაფრთხილება ავტორის მხრივ და სურვილი მისი: მისცეს ამ ზღაპრულ მოთხრობას უფრო სარწმუნო და არა ფანტასტიკური ხასიათი, მით უფრო საყურადღებოა, რომ მას მისდა უნებურად, გამოპარვია ადგილი, სადაც ფაქტმანის გრძნეული მონა გაფრინდება ქაჯეთს თვალმიუტანებლად წერილით. აგრეთვე ზღაპრულია ადგილი, სადაც ტარიელი წაართმევს დევებს გამოქვაბულს; ზღაპრულია ადგილიც, სადაც ფრიდონისკენ მიმავალ ავთანდილის სიმღერაზე მულღან-ზანზარში ქვეყნის ყოველი სულდგმული: ზღვით ნიანგნი, ტყით ნადირნი, ცით მფრინველნი იყრიან თავს და სმენად იქცევიან; არაბეთიდან, საბერძნეთიდან, ეგვიპტიდან, რუსეთიდან, სპარსეთიდან, საფრანგეთიდან, ერთი სიტყვით—ქვეყნის ყოველი კუთხიდან იწყებს დენა ადამიანებმა და ავთანდილის გალობას მოისმენდნენ.

ეურადღების ღირსია აგრეთვე ადგილები, რომლებიც აშკარად ამტკიცებს, რომ ავტორს საკუთარი მიზნის გამო შეუცვლია მოთხრობა.

ავთანდილი, გაპარვის დროს, სანამ მიზგითას ილოცებდეს, ანდერძს წერს ღოსტევან მეფის მიმართ, და ეს მაჰმადიანი არაბი გვაოცებს თავის ანდერძის შინაარსით, მართლაც და, რასა ჰგავს ეს ანდერძი?

ის არაბი, რომელიც თავისი რჯულის წესისამებრ იბარებს, რომ მისცენ გლახაკებს საჭურჭლე და ათავისუფლონ მონები, რომელიც ასე გულმხურვალედ ლოცულობს მაჰმადის საკურთხეველში, ქადაგობს წმიდა მოციქულების სწავლას სიყვარულის შესახებ: სიყვარული აგვამადლებს, მოციქულების სიტყვითაო; თუ შენ არ გეწამება მათი სწავლა, უსწავლედი კაცები როგორღა უნდა დაეაჯერო, — ეუბნება ავთანდილი ტარიელს.

მასვე მოჰყავს ციტატები პლატონის სწავლიდანაც:

«სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსაო».

[789]

ავთანდილის აზრით, საჭიროა ისე მოიქცეს ადამიანი, როგორც ფილოსოფოსები ასწავლიან. ისე რომ არ მოვიქცე, როგორც ფილოსოფოსები გვასწავლიან, მაშინ მათი სიბრძნის ცოდნა რაღა საჭიროა ჩვენთვისო?

ავთანდილი ანდერძში, და საზოგადოდ «ვეფხისტყაოსანში», ნამდვილი მეცნიერი და ფილოსოფოსია, ის ფრიად სწავლული კაცია, იცის პლატონის ფილოსოფიაც, მოციქულების სწავლაც, ღვთისმეტყველებაც, მაგრამ ამასთანავე არაბია, მაჰმადიანი თავისი სულისკვეთებით და მისწრაფებებით.

აქ, ცხადია, ავტორი უნებლიედ გაუტაცნია მეცნიერებას, ფილოსოფოსობს, ხმარობს თავის ცოდნა-განვითარებას. ეს ასეც უნდა ყოფილიყო; აქ არის ლაპარაკი მთელი პოემის დედააზრის შესახებ, ე. ი. მოძმის, მეგობრის ერთგულება-სიყვარულის შესახებ, და ამიტომ, ავტორიც არ ზოგავს თავის ძალ-ღონეს და-გვიმტკიცოს, რაც შეიძლება ბრძნული და გონივრული აზრების მოყვანით, მეგობრობა-სიყვარულის საჭიროება.

ავტორიც ძალიან ჰგავს ავთანდილს; მასაც, ისე როგორც ავთანდილს, უყვარს ბრძნული, გონივრული აზრების ხმარება. მაგ., ავთანდილი რომ მეკობ-

აზრით ხმარობენ სიტყვას ალქაჯი, რომელიც თავის სიღამაზით ხიბლავს და აცდუნებს ადამიანს. რუსულ ზღაპრებში «ВОЛШЕДНИЦА» ანუ «Чародейка» ნამდვილი ქაჯის როლს თამაშობს, როგორც ავი სული. იხ. «ვეფხისტყაოსანი», ტაეპი 282 [288]. აგრეთვეა ნახმარი ქაჯი «ვისრამიანშიც».

რეებს ზღვაში ჩახოცავს, დარჩენილები მას აფიცებენ რჯულს: «ნუ დაგვხოცო, შენსა რჯულსაო». აეთანდლი ადარ დახოცავს მათ, წამოასხამს მონებად; ისინიც დაუტკებებიან და დაემორჩილებიან აეთანდლის. ამაზე ავტორი ამბობს: «მართლად იტყვის მოციქული, შიში შეიქმს სიყვარულსაო».

[1045]

ავტორს მოჰყავს სახარების სიტყვებიც; მაგ.,

«შეცოდება შეიდ გზის თქმულა შესანდობლადო»
(246,4) და სხვა.

ავტორის მიზანს კიდევ უფრო ამხილებს შემდეგი მოსაზრება:

რუსთველს წინდაწინვე ჰქონია განსახორციელებელი თავისი საკუთარი მიზანი; მას პირველშივე ჰქონია გადაწყვეტილი დაეწერა ისეთი თხზულება, რომელშიც შეიძლებოდა წრფელისა და მძლავრის სიყვარულის დახატვა.

ავტორი მშვენივრად იცნობს «ვისრამიანს», რომელსაც ხშირად იგონებს თავის წიგნში¹, მას არ მოსწონს «ვისრამიანში» დახატული სიყვარული, რომელიც გამოიხატება მხოლოდ სულიერ ტანჯვაში, უნაყოფო სისხლის ცრემლების ღვრაში, მიჯნური საბრალო არის, რადგან კენესის მოყვრისათვის².

რუსთველი, თითქოს ცდილობსო, დახატოს «ვისრამიანში» გამოყვანილი სიყვარულისაგან განსხვავებული სიყვარული:

«ბედითი ბნედა სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია,
სკობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია».

[377,1]

სწერს ნესტან-დარეჯანი თავის საყვარელს; ნუ იტანჯები ცუდად, ნუ იჭრი გულს უბრალოდ, ნუ მოკვდები, შენი ვარ, მაგრამ ცუდი ბნედა მეზარებაო, საგმირო საქმეები დამანახე და დამიმტკიცე ამით, რომ წრფელი, მძლავრი სიყვარულის გრძნობა გაქვსო.

აი, როგორი სიყვარული მიაჩნდა რუსთველს ნამდვილ სიყვარულად; ცუდი ბნედა და სიკვდილი რა მიჯნურობაა, საქმეები საგმირონი არის ნამდვილი სიყვარულის დამახასიათებელიო.

ფატმანის სიყვარულს კი სულ სხვანაირად ახასიათებს ავტორი; ის ამგვარ სიყვარულს ამსგავსებს ვისის სიყვარულს.

«ფატმანს კლავდა უმისობა [უაეთანდილობა], რამინისა ვითა ვისსა»-ო.

[1084,4]

1 საკვირველია ამ ორის ნაწარმოების მსგავსება ენის მხრივაც: ეპითეტები ან სხვადასხვა ჩვეულების აღწერა ხშირად თითქოს ერთი და იგივეა, ერთნაირადაა მოთხრობილი, ზოგჯერ «ვისრამიანის» შეგონებები ანუ საგულისხმეო აზრები, თითქოს რუსთველის სიტყვებისა და აზრების გამოვლენაა. ნუთუ ამის შემდეგ შესაწყურებელია ნ. მარის საბუთი, რომლითაც ის რუსთველსა და ჩახრუსაძეს ერთ პირად რაცხს? ენის მსგავსება იმას უფრო ანტიციებს, რომ ორი მწერალი ერთი და იგივე დროის და მიმართულების შეილები არიან, ერთსა და იმავე გავლენის ქვეშ იმყოფებიან, და არა ერთი და იგივე პირია. მართო ენას თუ მივიღებთ სახეში, მაშინ ხომ დერმოტოვისა და პუსკინის სხვადასხვა პირობაზეც კი შეიძლებოდა ეჭვის შეტანა.

2 ყოველთა უბედურთაგან მიჯნური უფრო საბრალო არის, ზოგჯერ კენესის მოყვრისა სიმორისათვის, ზოგჯერ იწვის გაყრისათვის, რაზომცა მისისა მიჯნურობისაგან ჰირი ნახის, ლხინაუ უჩნს (იხ. «ვისრამიანი»).

ტახტზე ასული თინათინი და ავთანდილი, ავტორის აზრით:

«უნახავსა და ნახულსა სჯობს ყოელსა სანახავისსა,
ნუ ევჳ მიჯნურად მათებრსა ნუცა თუ რამინს და ვისსა»-ო.

[1543,4]

არა თუ რამინისა და ვისისგან, ნურავისაგან ნუ ელი ამგვარ სიყვარულსაო, ანდა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის აღფრთოვანებული სიყვარულით გატაცებული რუსთველი გვეუბნება:

«ამნაირი მიჯნურობა არ სმენია არც რამინს და არცა ვისსა»-ო.

ერთი სიტყვით, ავტორი თითქოს გასჯიბრებოდეს სპარსელ მწერალს სიყვარულის დახატვაში, თითქოს სურდეს გვითხრას, ეს რა სიყვარულია, რომელიც იმან დახატაო; აი, მესმის სიყვარული, ჩემ გმირებს რომ ამოქმედებს, ერთს მეორეს უმონებსო და კიდევ ეგ არის ნამდვილი წრფელი და მძლავრი სიყვარული, რომელსაც სარჩულად გმირობა და ვაჟკაცობა უძევსო.

აი, სწორედ იმ მიზნით, რომ დაეხატა ამგვარი სიყვარული რუსთველს, აუღია რაღაც უძველესი აღმოსავლეთი ქვეყნების და ხელმწიფეების შესახები ზღაპრული ამბები, რომლებიც ფართო ადგილს აძლევდნენ მის შემოქმედების ნიჭსა და განუსაზღვრელ გრძნობას, და აღუყვანია თავისი საკუთარი გენიის წყალობით მხატვრობის უმაღლესს ხარისხამდი.

ამნაირად, თუმცა ამბავი უცხო ქვეყნებს და ხელმწიფეებს ეხებოდა, მაგრამ ავტორმა იმდენად შეცვალა, ხორცი შეასხა და ჩაჰბერა თავისი სული ამ ზღაპრულ მოთხრობას, რომ დღეს თვალწინაც რომ გვედვას ის უცხო ხელმწიფეების შესახები ამბები, რომლებიც მან ლექსად გარდათქვა, ჩვენ მსგავსებასაც ძლივს ვპოვებდით მასში ისეთ დიდებულ ნაწარმოებთან, როგორიც არის რუსთველის «ვეფხისტყაოსანი»: ის იყო «ამბად ნათქვამი», ეს კი «წყობილი მარგალიტი», ის იყო ჩონჩხი, ეს კი გენიის უმაღლესი და უმშვენიერესი ნაწარმოებია.

გაზ. «ცნობის ფურცელი», 1903, № 2292, № 2293.

კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

ბ-ნი [იპ.] ვართაგავა თავის «ქართული მწერლობის მიმოხილვაში»¹, სხვათა შორის, ეხება «ვეფხისტყაოსნის» საკითხს და მისი შესახები სხვადასხვა აზრის განხილვის შემდეგ დაასკვნის ასე: «როგორც დავინახეთ, ბევრი სხვადასხვა აზრი გამოითქვა «ვეფხისტყაოსნის» სიუჟეტის შესახებ, მაგრამ საკითხი «ვეფხისტყაოსანზე» და მის ავტორზე ჯერაც საბოლოოდ არ გამოჩვენებულა.... ამ გზის დაბნევაში და სინამდვილის გაუგებრობაში, აკაკის აზრით, ცოტა არ იყოს, თვითონ რუსთველსაც აქვს ბრალი, რადგან იგი ამბობს: «ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები?.. ვპოვე და ლექსად გარდავსთქვიო».

ამისათვის შემცდარი იქნება ის შეკვლევა, ვინც თავის ჰიპოტეზას «ვეფხისტყაოსანზე» ზეშმარიტებად ჩათვლის».

ცოტა ქვემოთ ავტორი ბრძანებს:

«ნუთუ ჩვენმა მემატრიანეებმა და მწერლებმა შური იძიეს რუსთველზე და იმისთვის არ გახადეს ის ისტორიულ დოკუმენტებში მოხსენების ღირსად, რომ მან თავისი პოემა არ მოამწყვდია ქრისტიანულ ასკეტიზმის ვიწრო ფარგალში და შექმნა ისეთი ნაწარმოები, სადაც უმადლეს წერტილამდეა განვითარებული ღვთაებრივი ძალა ქალ-ვაჟის სიყვარულის, სადაც იდეალად არის დახატული უებარი გმირობა და შეურყეველი მეგობრობა!... მაგრამ ეს მოსაზრება ხომ ჰიპოტეზაა და არა უტყუარ ფაქტზე დამყარებული ზეშმარიტება» და სხვა.

ზემორე მოყვანილი სტრიქონების დამწერს აშკარაა, სურს გააბათილოს ჩვენი ნალაპარაკევი «ვეფხისტყაოსნის» შესახებ და აქი კიდევ ცხადად გამოთქვამს უფრო ადრე ქურნალ «განათლებაში» (იხ. «ერი», 1910, № 2, გვ. 103):

«ბ-ნ აბულაძეს ახალ თეორიისათვის მიუმართავს. ჩვენის აზრით არც ეს თეორია და არც მის გასამართლებლად მოყვანილი საბუთები ისეთის ყურადღების ღირსნი არ არიან, როგორც ლექსიკონი»².

ცხადაზე უცხადესია, რომ ბ-ნ ვართაგავას წერილის ეს ადგილი პირდაპირ მე

¹ «ერი», 1910, № 2.

² სწორედ ლექსიკონის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ მისი დაუბეჭდაობა აჯობებდა, ვიდრე დაბეჭდვა იმ სახით, რა სახითაც ის გამოქვეყნდა. როგორც ამას წინადაც ეწერდი, მასში ბევრი შეუწყნარებელი შეცდომა გავუშვი, რადგან დამაბრკოლებელი მიზეზები მიშლიდა ხელს მის რიგინად დაბეჭდვაში. ამას, რასაკვირველია, მართო ენების მცოდნე სპეციალისტი შეამჩნევა, რადგან საგანი არაბულ-სპარსულ სიტყვებს ეხება. ამიტომაც იძულებული ვართ ხელ-ახლად შესწორებული სახით გამოვსცეთ ლექსიკონი. მანამდე კი ასე გაზეთის ფურცლებზე თუ მოვახერხებ ისეთის შეცდომების გასწორებას, როგორც არიან, მაგალითად: მუსიფი, არაბ. მუსკაფ და არა ნეცდომით დაბეჭდილი მუსაფ (ელიფით); მელიქ-სურხავის პირდაპირ უნდა ყოფილიყო სპარსულად: მელიქ-სურხავი და არა სურხვი; შერმადინის პირდაპირ შერიფ-ედდინ და სხვები, ბევრგან სპარსული ასო რ-ს მაგიერ დაიბეჭდა ვ-ნი.

მეხება, რადგან აქ ლაპარაკია ჩემ მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე, რომელიც «პიპოტეზაა და არა უტყუარ ფაქტზე დამყარებული ჭეშმარიტებაო». მაშასადამე, ის «შემცდარი მკვლევარიც», რომელიც თავის პიპოტეზას «ვეფხისტყაოსანზე» ჭეშმარიტებად თვლის, მე ვარ.

პატივცემულ ქართული მწერლობის მიმომხილველს ბ-ნ ვართაგავას ავიწყდება, რომ მე თვითონ სრულებითაც არა ვთვლი საბოლოოდ გადაწყვეტილად «ვეფხისტყაოსნისას» და მისი ავტორის შესახებ საკითხს და ამის მიზეზად მე ვთვლი იმ ზნეობრივ სიკოტრეს, რომელიც ხასიათდება იმით, რომ ჩვენში ბევრს არ აინტერესებს საქმის ვითარება, არამედ ასეთები ცდილობენ მხოლოდ სიტუაციის რასწარუხით დაამტკიცონ, ანუ უკეთ, გააზვიადონ თავისი მამულის მოყვარეობრივი გრძნობა, და ამ მიზნით კი მიმართონ კარგად ცნობილ ხერხს — რუსთველისა და სხვა სასიქადულო პირთა გამოსარჩლებით თავის გამოჩენისას და არაეის შეაწიონ ამგვარ საგანზე პირუთენელი მსჯელობის გამოთქმა (შემცდარი იქნება, თუ სწორი), მაგრამ ეს ხომ დაძველებული ხერხია დღემდის მრავალთაგან ხმარებული, როგორც საზოგადოების თვალში ასამალლებლად ფრიად სასარგებლო, ხოლო საქმისათვის კი ფრიად მავნებელი...

გაზ. «დროება», 1910, № 81, № 84.

მოსე ჯანაშვილის ახალი ნაშრომის გამოც

ეს-ეს არის წაფიქრებულ ჩვენი მსცოვანი მკვლევარის მოსე ჯანაშვილის ნაშრომი, რომელშიც ავტორი ეხება, სხვათა შორის, ერთი ჯგუფის მწერლებს, «რომელნიც ამტკიცებენ „ვეფხისტყაოსნის“ აღნიჭვის ამოღებულია სპარსულ ზღაპრიდამა» (ანუ ზღაპრებიდამ, როგორც 20 ენკ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაზე გვაუწყა ი. აბულაძემ და ა. ს[არაჯიშვილი]ც დაეთანხმა), რომ მასში ქართული არა არის რაო, თვით წინა და უკანა სიტყვაობანიც (დ. კარიჭაშვილის სიტყვით) რუსთველს არ ეკუთვნისო».

შემდეგ ჩვენი მსცოვანი მკვლევარი ეხება პატივცემულ ნ. მარსაც და დასკვნის ასე:

«ამდენი არე-დარევა აზრებისა და წინაუკმობა შესახებ ერთის და იმავ თხზულებისა, ჩემის ფიქრით, აიხსნება მით, რომ მსუბუქად ვეკიდებით იმ წმინდა ეროვნულ საუნჯეს, რომელსაც, როგორც ამგვარს, თანამდებვართ, ხელფყოთ არა თუ მარტო მოწიწებითა და მოკრძალებით, არამედ დაზურგულნი პაშტს სამზადისითა და ცოდნით».

ამის შესახებ არაფერს ვიტყვოდით, რომ თვითონ ამ ამოწერილის სტრიქონების შემთხვევითი ემორჩილებოდეს თვისსავე ნათქვამს, მაგრამ ბრალი ის არის, რომ თვითონ ბ. ჯანაშვილი ყველაზე უფრო მსუბუქად ეკიდება «ამ წმინდა ეროვნულ საუნჯეს». სხვა რომ არ იყოს რა, ამ 14 წლის წინათ, როდესაც ბევრად უფრო უძლური იყო ჩვენი მეცნიერება, სწორედ ბ-მა ჯანაშვილმა ხელჰყო იმ წმინდა ეროვნულ საუნჯეს «არა მოწიწებითა და მოკრძალებით», არამედ აშკარა კადნიერებით და იმდენი მსუბუქი რამ ვამოსთქვა, რომ მეცნიერებას მსგავსი მაგალითი არ ახსოვს (იხ. მ. ჯანაშვილი, შ. რუსთაველი, ტფილისი, 1896 წ.).

ამგვარის საქციელის ჩამდენი ისეთს ფრთხილსა და მოწიფულ მეცნიერს, როგორიც ბ. მარია, რომელსაც დღესაც ტოლიც კი არა ჰყავს, უსაყვედურებს სიჩქარესა და საგნის მსუბუქად მოპყრობაში!.. ნუთუ კადნიერება ამაზე შორს შეიძლება წაიფიქრებინოს!...

ჩვენ უკვე ვაღიარეთ «სახალხო გაზეთის» ფურცლებზე, რომ ბევრი ნებისითი და უნებლიეთი შეცდომა შემოგვეპარა ჩვენს ნაშრომში, ათჯერ იმაზე მეტი, ვიდრე ბ. ჯანაშვილი ვითომდა გვიჩვენებს თავის ნაშრომში; რომ ჩვენი შრომის ნაკლი ჩვენ ბ. ჯანაშვილზე კარგად გვესმის, ამას ამტკიცებს უკვე დამზადებული ჩვენი მოხსენება «ვეფხისტყაოსნის» დღემდე გაუგებარი სიტყვების შესახებ.

პაშტას შესახებაც ბ. ჯანაშვილს ჩვენ გაუზიარეთ ჩვენი აზრი! ერთი კერძო საუბრის დროს, რაც მას დაუსაბუთებლად შეუტანია ისევ ჩვენს წინააღმდეგ მორთულ წერილში. ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ მოვთავსოთ ამ მცირედს შენიშვნასთან ერთად ჩვენის მოხსენების ის ადგილები, რომლებიც ამ საგანს ეხება...

ჩვენ წინათაც ვწერდით, რომ «ვეფხისტყაოსნის» ბევრი სიტყვა ჯერ კიდევ განუმარტებელია.

მას აქეთ ჩვენმა საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოებამ შეიძინა, ჩვენი წინადადებით, სხვა სახელმძღვანელოებთან ერთად, სპეციალური სპარსულ-არაბულ-ოსმალური ლექსიკონები, რომლებმაც ასე თუ ისე გაგვიადვილეს ამ მართულებით მუშაობა და დღეს ჩვენთვის რამდენადმე შესაძლებელი ხდება ავსნათ და განვმარტოთ ბევრი დღემდე სრულიად გაუგებარი და საცილობელი სიტყვა, რომელთა აუხსნელობა შეუძლებლად ჰხდის პოემის ტექსტის თავისუფლად წაკითხვას.

ამ შრომის დროს, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი სამსახური გაგვიწია დიდად პატივცემული მეცნიერის ნ. მარის შრომამ «ვეფხისტყაოსნის» შესავალი და დასასრული სტროფების შესახებ.

პოემის ტექსტში ნ. მარის მიერ შეტანილი შესწორებები, ისე, როგორც ყველა მისი ძიება სომხურ-ქართულ მესიტყვეობაში, დაუფასებელია მეცნიერებისათვის...

მაგრამ, აქაც, ჩვენი აზრით, ბევრი შესწორება, თუ სიტყვის განმარტება, ვერ არის სრული, თუმცაღა მახვილი და მოსწრებულია. ამიტომაც, ამ შრომაში არ შეგვეძლო ჩვენი აზრი არ გაგვეზიარებია პატივცემული მეცნიერის ზოგიერთ განმარტებათა და შენიშვნათა შესახებაც.

ზემორე თქმულის თანახმად, წინამდებარე შენიშვნებში განმარტებული სიტყვები ჩვენ შემდეგნაირად დაფუძვით:

ა) ჩვენი რეფერატისთვის დართულ ჩვენს ლექსიკონში შეცდომით ნაჩვენები, ანუ ტრადიციული განმარტების მიხედვით ახსნილი, ან აუხსნელი (გარდაუწყვეტელი) სიტყვები; ბ) ბ. მარის მიერ შესწორებული ჩემი განმარტებანი; გ) ბ. მარის შესწორებები წინასიტყვაობისა და, საზოგადოდ, «ვეფხისტყაოსნის» ტექსტის ზოგიერთი ადგილების შესახებ.

ამჟამად ჩვენ მოგეყავს მხოლოდ პირველ ორ ჯგუფში მოქცეული განმარტებანი.

ს ო ქ ა ლ ი. ეს სიტყვა გვხვდება პოემის შემდეგს ხანაში:

«რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა,
ავთანდილს მიჰხვდა სიამე, ვსება სჭირს მის სოქალისა;
სთქვა: ზედა-ზედა მომხვდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა,
ნუთუ მით ვპოვო წამალი მე ჩემის ფერ-გამქრალისა!»

(42).

ტრადიციული განმარტების მიხედვით, ეს სიტყვა უნდა აღნიშნავდეს ძვირფას თვალს. ასე ფიქრობენ საბა ორბელიანის ლექსიკონის თანახმად, თეიმურაზ ბატონიშვილი, დ. ჩუბინაშვილი და სხვანი, მათ შორის ჩვენც; შეუჯერებლობის

1 ვითომ დავასწრო რაღა?! თითქოს აღონზოპინზონივით, ამერიკის გახსნის სახელი მიეთვისებოს! ასე უწოდებს ბ. ჯანაშვილს ერთი ბიბლიოგრაფი თავის ამ რამდენიმე დღის წინათ «სახალხო გაზეთში» დასტამბულ რეცენზიაში ბ. ჯანაშვილის ნაშრომის შესახებ.

გამო, შევიტანეთ ჩვენს ლექსიკონში ეს ტრადიციული განმარტება. ამ სიტყვის განმარტებას ეჭვის თვალით შეხედა «ვეფხისტყაოსნის» ტექსტის კომენტატორმა ბ. დ. კარიჭაშვილმა, რომელიც თავის გამოცემაში (გვ. 264—265, შენიშვნა 14) სრულიად სამართლიანად შენიშნავს: «სოქალის პატიოსანის ქვის ესებას (ჩაქრობას, ჩაბნელებას) აზრი არა აქვს...»

ჩვენი აზრით, სიტყვა სოქალის ამგვარი გაუგებრობა იმით აიხსნება, რომ აქ ჩვენ გვაქვს ერთი იშვიათი და უცხო სიტყვათაგანი. იგი გვხვდება ცენკერის თურქულ-არაბულ-სპარსულ ლექსიკონში (იხ. გვ. 527), სადაც იგი ნაჩვენებია ოსმალურ სიტყვად სუქალ-ად და აღნიშნავს ავადმყოფს, სუსტს, სნეულს. მაგრამ იქვე ეს სიტყვა განმარტებულია სპარსულად: «ბე ფარსი ზერდისთ აფეთი, ქეშთ-ზარს ესთ», რაც სპარსულად ნიშნავს სიყვითლეს, ყანის ჭიას, რომელიც მას ზიანს აყენებსო.

სწორედ ამ აზრით, გვგონია ჩვენ, ეს სიტყვა უნდა იყოს ხმარებული ხსენებულ ადგილას. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ ავთანდილი იქვე თვითონვე მიგვითითებს თავის ფერგამქრალობაზე, როგორც სენზე, რომელსაც წამალი სჭირია, ამ სიტყვებით: «თქვა ზედა-ზედა მომხდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა, — ნუთუ მით ეპოვო წამალი მე ჩემი, ფერ-გამქრალისა».

მამასადამე, ეს სტროფი უნდა ეთქვა პოეტს მას შემდეგ, რაც მეფემ თავისი ქალის მეფედ დასმა ბრძანა; ავთანდილს სიამე მიხვდა და ამიერიდან უნდა ვამქრალიყო მისი სიყვარულის სენი — სოქალი, ანუ სიყვითლე — ფერგამქრალობა, ანუ უკეთ ფერმისდილობა¹, ე. ი. ამ სიტყვის მნიშვნელობა ნაპოვნია.

ჭ ა რ მ ა გ ო ს ა ნ ი. ეს სიტყვა ჩვენ სამართლიანად დავუახლოვეთ სომხურს, რადგან სწორედ იმ ფორმით და მნიშვნელობით, როგორც სომხურში, გვხვდებოდა «ვისრამიანის» ქართულ ტექსტში (იხ. გვ. 29, ე. ი., გ-ნის მაგივრად ამ სიტყვის საფუძველი ბოლოვდება კ-წზე), აგრეთვე «ამირანდარეჯანიანშიც» (იხ. გვ. 103), მაგრამ, როგორც სამართლიანად მიგვითითა პატივეცემულმა ნ. მარმა, ეს სიტყვა იპოვება სპარსულში ფორმით ჩ ა რ მ ა და, მამასადამე, იგი შემოსულია ქართულში სპარსულიდან, როგორც სხვა მსგავსი ტიპის სპარსული სიტყვები (შეად. ფარდა — ფარდაგი, სადა — სადაგი, ბადა — ბადაგი და სხვა).

ჩ ა რ მ ა. იგი სპარსულში აღნიშნავს თეთრს და ხმარებულია თეთრი ცხენის აზრით (იხ. Zenker, 354), რომლისაგან წარმომდგარი ყოფილა სომხური «ჭ ე რ მ ა კ ი ც...» ქართულ «ვისრამიანშიც» სიტყვა ჭარმაგი ხშირად არის ნახმარი (მაგ., 145, 23). სწორედ იმ აზრით, როგორც მას ცენკერის ლექსიკონი განმარტავს, ე. ი. რგი ნიშნავს თეთრ ცხენს, წინააღმდეგ რახსისა, ანუ შავი ტაიჭისა...

ე ჯ ი. ჩვენს ლექსიკონში იგი განმარტებული გვაქვს სიტყვით ბილიკი (იხ. ჩვენი ლექსიკონის გვ. 301) ტექსტის მიხედვით, თუმცა იქვე ნაჩვენებია გვაქვს მისი მნიშვნელობა ისე, როგორც საზოგადოდ ხსნიან ჩვენი ლექსიკოლოგები: რუბინა-

¹ საზოგადოდ «ვეფხისტყაოსნის» მოქმედი პირები ხშირად აღნიშნავენ თავის სიყვარულს სუეღისაგან ფერმისდილობას. მოიგონეთ თუნდა 311-ე ხანა, რომლითაც ტარიელი ავთანდილთან საუბრის დროს, მიმართავს ასმათს, რომ მოავგონოს ფერმისდილობის მიზეზი:

«ასმათ, შენცა ხარ მოწამე ჩემისა ფერ-მისდილისა,
მზესა მე ეჯობდი შეენებით, ვით ბინდსა ქამი დილისა;
იტყოლეს ჩემნი მნახავნი: «მსგავსია ედემს ზრდილისა».
აწ მამინდლისა ჩემისა სახე ვარ ოდენ ჩრდილისა».

შეილი; ორბელიანი, თეიმურაზ ბატონიშვილი და სსე. ბ. ნ. მარი კი არ ეთანხმება ჩვენს განმარტებას სიტყვით ბილიკი ან «მიხვეულ-მოხვეული საცალფეხო, ან მოსაჭრელი გზა» და იძლევა შემდეგს განმარტებას: станция, остановка, რადგან მას უკავშირებს სომხურ ეჯ-ს, რომელსაც ამგვარი მნიშვნელობა აქვს და რომლისგანაც წარმოებულია ზმნა იჯამელ, რაც ნიშნავს დაშვებას, შესვენებას...

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს სიტყვა გვხვდება მე-12 საუკ. თითქმის ყველა ნაწერებში, და შეუძლებელია, იგი მივაკუთვნოთ მხოლოდ იმ კუთხეს, რომელსაც შოთა ეკუთვნოდა. ამას გარდა იგი არსად არ ნიშნავს станция, спуск-ს ან остановка-ს, არამედ სავალ გზას, ან სიგრძის ზომას. «ვისრამიანშიც» გვხვდება იგი (303,22); მაგ., «ესე სახელი ჭაბუკობისა საქებრად შენ გმართებს, არ რაშსა, რომელ ასითა ეჯითა უშორე სტუორცებ ჩემად საკლავად ისარსა და ეგრე შორით აწყენ შენთა მოყვარულთა».

სპარსულ ორიგინალში ამას შეესაბამება ადგილი (იხ. გვ. 280, სტრ. 20), სადაც ეჯი გადმოცემულია სიტყვით — «ფარსანგი». ამგვარივე მნიშვნელობით ხმარებულია სიტყვა ეჯი «ვისრამიანში» (267,27), სადაც ვკითხულობთ: «რა მიჯნურობისა ცეცხლმან ხელმყო, ნიშატი ასისა დლისა ეჯითა გამექცა». რომელსაც შეესაბამება სპარს. ორიგინალის (250,3) ეჯი. აქ ის იმავე ფარსანგ-ით არის გადმოცემული.

ცხადია, პატივცემული მეცნიერის აზრი, ვითომც ეჯი, თანახმად სომხურის ნამდვილი მნიშვნელობისა, უნდა აღნიშნავდეს სადგურს, დასაშვებ ადგილს, არ მართლდება. აქ ეჯი ნიშნავს სიგრძის ზომას, ყოველ შემთხვევაში, სავალის გზის განსაზღვრულ რაოდენობას, და არა სადგურს ან შესასვენებელ ადგილს.

კიდევ უფრო ძნელი მისაღებია იმავე მეცნიერის აზრი, ვითომც «Руставский поэт от грузинского термина армян. происхождения» აწარმოებდეს ზმნას ეჯობა — «Делать остановку, привал: ეჯობა — прош. нес. той породы от этого отыменного глагола» (ГР, XII, გვ. 20).

ძნელი წარმოსადგენია, რომ პოეტს სცოდნოდეს ნამდვილი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა სიტყვისა, რომელიც XII საუკ. განსაზღვრულის აზრით იხმარებოდა როგორც მწერლობაში (ამას ამტკიცებს «ვისრამიანის» ტექსტიდან მოყვანილი ადგილი), ისე, ალბათ, ხალხშიაც, და იმდენად კარგად სცოდნოდეს ამ სიტყვის სომხური მნიშვნელობა, რომ მისგან ეწარმოებოთ განსაკუთრებული ზმნა ეჯობა. ამიტომ, ჩვენი აზრით, აქ უფრო უნდა იყოს ლექსისთვის ხელოვნურად წარმოებული ფორმა სიტყვისაგან ჯდობა, როგორც ჩვენ ამას ვმართავთ ლექსიკონში. მაშასადამე, ეჯი იხმარება ლექსისათვის ბილიკის აზრით, იქ, სადაც შამბთა ეჯზეა ლაპარაკი, როგორც, მაგ., «ერთი აღმა, ერთი დაღმა უგზოდ მივლენ შამბთა ეჯით» (250,2), ანუ ბილიკებით. შამბში გაყვანილი მიხვეული-მოხვეული და ოღრო-ოღრო სავლელებით, სოლო, საზოგადოდ, იგი ხმარებულია ფარსანგის მნიშვნელობით, როდესაც გზის სიშორეზეა ლაპარაკი... 477,3:

«არ ეჯი გზისა შორისა ვიარეთ» ჩვეულებრივი რუსთველური უარყოფით დამტკიცებაა ფრანგის: «აღრე დავბრუნდით» და უნდა ახსნილ იქმნას ასე: ფარსანგიც არ გაგვეარაო; ეჯი, ანუ ფარსანგი Zenker-ით უდრის ერთის საათის სავალს ცხენით, ანუ 12,000 ბიჯს¹.

¹ მ. ჯანაშვილი ძალიან გაკვირებულია ჩვენზე და თვით რომ ვერაფერს ხდება, გულს იკერებს პატივცემულ პროფ. მარის მიერ ჩემს ნაშრომში ნაჩვენები შეცდომების თავისებუ-

პ ა შ ტ ა . ამ სიტყვას აქამდე ხსნიდენ ტრადიციული განმარტების მიხედვით, პ ა ტ ა რ ა ს . საკმაოს, ანუ მცირედის მნიშვნელობით; ჩვენც, «ვეფხისტყაოსნის» ლექსიკონში გვქონდა იგი ახსნილი ამ ტრადიციული განმარტების მიხედვით. ნ. მარის დაკვირვებამ აღმოაჩინა ამგვარი განმარტების უსაფუძვლოება. პატივცემული მეცნიერის აზრით, პაშტა პირიქით აღნიშნავს ბევრს და არა ცოტას... «ვისრამიანში» (გვ. 40) შეგვხვდა ეს სიტყვა სწორედ ბევრის აზრით და არა ცოტასი...

ჩვენ იძულებული ვართ, სანამ სხვა რამ საბუთი არ აღმოჩნდება, პაშტას ტრადიციული მნიშვნელობის დასარღვევად, სიტყვა პაშტას კითხვის ნიშანი დაეუსვათ, რადგან ქართულ მწერლობაში იგი უმეტეს ნაწილად დღემდის ხმარებულია ცოტასი და არა ბევრის აზრით.

ს ა თ ი . ეს განმარტეთ სიტყვებით გიშერი, შავი ქარვა. ბ. მარი პირიქით, მას თვლის წითელ მარჯნად (იხ. TP, XII, გვ. 118, შწშ. 1). მაშინ როდესაც ამას თითქოს ეწინააღმდეგებაო «ვისრამიანის» ტექსტის შემდეგი ადგილი:

«შენ მეტისა შეჭირვებისაგან გაგულშავებულხარ და სათსა სიშავე არ მოაკლდების» (65,15), სადაც პირდაპირ არის დასახელებული სათის სიშავე¹, როგორც მისი ბუნებრივი თვისება, მაგრამ, სამწუხაროდ, შეუძლებელი შეიქმნა ამ ადგილის სპარსულის ტექსტის შესაბამისი ადგილით შემოწმება...

ამნაირად ს ა თ ი ჯერჯერობით გამოურკვეველი რჩება...

ყ მ ა . ბ. მარის აზრით აღნიშნავს რაინდს, ხოლო ს ი ყ მ ე გულისხმობს რაინდის თვისებებს (качества витязя) და ამგვარ განმარტებაზე ამყარებს იგი თავის აზრს საქართველოში ქალის კულტისა და რაინდობის შესახებ (TP, XII, გვ. 9,23 და შემდეგი).

ჩვენ გვგონია, პატივცემული მეცნიერის მიერ ტერმინის «ყმა» მნიშვნელობა, ცოტა არ იყოს, გაზვიადებულია და აი რატომ:

1) სიტყვით «ყმა» «ვისრამიანის» ქართული თარგმანი ყოველთვის გადმოგვცემს სპარსულ სიტყვას ჯევონ, რაც ნიშნავს, ახალგაზრდას, ვაჟაკს; სიუმეს— კი სიტყვით ჯ ე ე ო ნ ი, რაც ნიშნავს ახალგაზრდობას. ესევე ითქმის ჭაბუკისა და სიჭაბუკის შესახებაც. ამიტომ ჩვენი აზრით, საჭიროა ყმისა და ჭაბუკის გამორკვევა «ვისრამიანისა», «ამირანდარეჯანიანისა» და სხვა ნაწერებში ხმარებულ ამავე სიტყვებთან შედარებით, რადგან ყმა და ჭაბუკი დასახელებულ ნაწერებში კიდევ უფრო ცხოვლად არის გამოხატული. აგრეთვე ტერმინები: სიუმე, ყმა, ჭაბუკი, საჭაბუკო ჩვეულებრივია და ისინი ყოველთვის «ვისრამიანის» სპარსულ ტექსტში გადმოცემულია სიტყვებით: ჯევონი, ჯევონ, ჯევონ მერდ და სხვ. (იხ. რამინის ჭაბუკობა, გვ. 325—327, 332 და სხვ. ან «ვისრამიანი», ქართული ტექსტი, 59 გვ., სტრ. 8 და შეუდარე სპ. ტექსტს, 62 გვ., სტრ. 15: სიუმე გაქვს სიკეთე, სიკეკლუცე და გვარიანობა). აქედან ვრწმუნდებით, რომ სიუმე აღნიშნავს ახალგაზრდობას, ანუ სპარსულ ჯევონს, როგორც ეს ჩანს ორიგინალის შესაფერი ადგილიდან. ამიტომაც, ჩვენი აზრით, პატივცემულის პრ. მარის მიერ წამოყენებული

რად გადასხვაფერებით. ის ამას ჩადის იმიტომ, რომ დარწმუნოს მკითხველი, თუ მას, ე. ი. მ. ჯ ა ნ ა შ ე ი ლ ს რამდენი შეცდომა აღმოუჩენია ი. ა ბ უ ლ ა ძ ი ს შრომაში!

¹ ყოველ შენთხვევაში აშკარაა, რომ სათი ისე, როგორც გიშერი, შავი უნდა იყოს, რუსთველს ძალიან მოხერხებულ ფორმად მიაჩნია როგორც გიშრის ღარები (ხ. 1118, [1280,2]), ისე სათის რუბები [ხ. 1125, 1146,3].

მნიშვნელობა უმისა და ჭაბუკისა, ცოტა არ იყოს, გაზვიადებულად მიგვაჩნია. იგი აღნიშნავს ახალგაზრდას, ვაჟკაცს, ჭაბუკს ¹.

აგრევე უხერხულად მიგვაჩნია სიტყვა მორჭმულის გარდმოცემა სიტყვით *жизнерадостный*, რადგან *жизнерадостный* აღნიშნავს ადამიანის ბუნებრივ თვისებას, ხოლო მორჭმულობა განდიდებისა და გახელმწიფების შედეგია. ამიტომ ჩვენ ვვგონია, რომ მისი განმარტება სიტყვით: გაძლიერებული, სრული, ბედნიერი ავლადიდების მხრივ, უფრო შეეფერება მორჭმულს, ვიდრე *жизнерадостный*.

აქ ჩვენ დავსტამბეთ მხოლოდ ჩვენი მოხსენების ერთი ნაწილი, რომლის გაზეთის ფურცლებზე დასტამბვა დაგვანქარებინა ბ. ჯანაშვილის არასაკადრისმა საქციელმა. იმედი გვაქვს, მისი ნაშრომის წამკითხველი დაინახავს, თუ რა საშუალებებს ხმარობს ბ. ჯანაშვილი, რომ გააბათილოს სხვისი ნაშრომი ².

«სახალხო გაზეთი», 1910, № 181, № 184.

¹ რამინიც ხომ ეოვლითა ფერთა საჭაბუკოთა სრულ იყო (იხ. ჯე. 70, სტრ. 27). არა ვვგონია, საჭაბუკო განსაკუთრებით რაინდის სამოსელს აღნიშნავდეს.

² სამწუხაროდ, უნდა შეენიშნოთ, რომ ბ. ჯანაშვილის წერილები დღესაც ბევრს მოსწონს. წაიკითხეთ თუნდაც ბ. პ. მირიანაშვილის რეცენზია ბ. ჯანაშვილის ცრუ-ფილოლოგიურ ვარჯიშობათა შესახებ. ბ. მირიანაშვილიც აყოლია ბ. ჯანაშვილს და აბნელებს სომხურიდან ქართულად თარგმნილი მწერლობის შესახებ საკითხებს. ცხადზე უცხადესია, რომ «იამაერი» (იხ. «სახალხო გაზ.» № 179, გვ. 3, სექტი 3, იამაერი იგივე იამა-ვარი, მოსე ჯანაშვილის წერილისა გამო, იხ. «სახ. გაზ.» № 174) უნდა იყოს გადამახინჯებული სომხური «მიამორი» (დედის ერთა), სადაც ქართულ გამოთქმას შემოუნახავს სომხური ჯგუფის აე-ის მნიშვნელობა უძველეს დროში; ეს ჯგუფი დღეს გამოითქმის «აე»-ის ნაცვლად ო-ნად, ქართულ იამაერ-ს კი შემოუნახავს ჩვენთვის უძველესი სომხური გამოთქმა. საზოგადოდ, იმ საკითხის ვადა-საწყევტად, თუ როგორ იკითხებოდა ძველ სომხურში ესა თუ ის ჯგუფი, დიდი მნიშვნელობა აქვს სომხურიდან ქართულად ნათარგმნ უძველეს ძეგლებს.

ქირეზ მ. ჯანაშვილის ახალი ნაშრომის გამო

ჩვენს წერილში «მოსე ჯანაშვილის ახალი ნაშრომის გამო», ვწერდით: ბ. ჯანაშვილი ძალიან გაჯავრებულია ჩვენზე, და თვით რომ ვერაფერს ხდება, ჩვენი მსცოვანი მკვლევარი გულს იჯერებს პროფ. მარის მიერ ჩვენს «ნაშრომში» ნაჩვენები შეცდომების თავისებურად გადასხვაფერებით...

თავის საპასუხო წერილში ბ. ჯანაშვილი, რასაკვირველია, ყველა ამას სიცრუედ თვლის და დაასკენის:

«ნაშრომში ჩვენ ყველა და ყოველივე თავთავის ადგილას აგვინუსხავს არა თაღლითობით, არამედ მიუდგომელად ისევე, როგორც ყოველთვის: ვიწრო მამულიშვილობის უკუგდებით, მარტო ალაღის ჭეშმარიტების მიგნების სურვილით».

ამგვარი პასუხის შემდეგ ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ თვით ბ. ჯანაშვილის ნაშრომს და იქედან გავაცნოთ მსურველს ის საბუთები, რომლებითაც ბ. ჯანაშვილი ცდილობს სხვისი შრომის გაბათილებას... მისი ნაშრომის განხილვიდან მკითხველი აშკარად დაინახავს, რომ ჩვენს ნათქვამს არც ისე მეტად მოკლე ფეხები აქვს, როგორც ამას «ნაშრომის» ავტორი სახავს (იხ. «ნაშრომი» № 3, გვ. 7, სტრ. 18).

პ ა შ ტ ა. აქ ბ. ჯანაშვილი ეხება ამ სიტყვას და იმ მიზნით, რომ უარყოს პროფ. მარის აზრი, რომლითაც პაშტა ბევრს აღნიშნავს და არა ცოტას (იხ. TP, XII, გვ. 26, შწმ. 5). ცოცხალი ინგილოური მეტყველებიდან მოაქვს შემდეგი მაგალითები: იმი მოსვლამდინ პაშტა ხან გაუდა; პაშტა თეთრ ჰქონდაყ; პაშტა ხანს ჩონსა დარჩენ; პაშტა გზა გოჰარით.

ამ მაგალითებში სხენებულ პაშტას ბ. ჯანაშვილი ყველგან თარგმნის რუსული სიტყვით достаточно, თუმცა იქვე მის გადმოსაცემად ნახმარი აქვს სიტყვაც **значительный** (აღბათ, **значительно много**), რომელიც, ბოლოს და ბოლოს, აზრით იგივე გამოდის, რაც **много**. საკვირველია, რად დასჭირდა ჩვენს მსცოვან მკვლევარს ამგვარი ამოო ცდა, მაინცდამაინც გადმოგვეცეს სიტყვა პაშტა სიტყვით **достаточный**?! ეს მით უფრო გასაოცარია, რომ ამ შემთხვევაში პაშტა ყველგან ხმარებულია მართლაც **значительный** ან **довольно много**-ს აზრით...

არ შეგვიძლია უურადლება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ მ. ჯანაშვილი ამ შემთხვევაში ნამეტან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ როგორ იხმარება ინგილოურში ესა თუ ის სიტყვა. მაგ., პაშტა თუ ინგილოურად საქმაოა, ეს ბ. ჯანაშვილისთვის საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ პაშტა ყველგან და ყოველთვის **ს ა კ მ ა ო ს** ნიშნავდეს. ნამდვილად ეს ასე როდია.

მაგალითად, როგორც ჩვენი სხენებული წერილის შენიშვნიდან ჩანს, სპარსული **ბ ე ს ი** იხმარება როგორც ბევრის, ისე საქმაოს აზრითაც. ბ. ჯანაშვილი

კი, რომელიც სპარსულს ვერც კი იცნობს, ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ბესი განძს ნიშნავს, საკმაო განძს და არასოდეს ბევრ განძს...

კიდევ ერთი მაგალითი: ხალხში სიტყვა ჭარმაგი ნიშნავს ჭადარა შერთულსა და მხნეს¹, ჭირსა და ლხინში გასალკლდეებულს, ანუ რუსულად რომ ვსთქვათ, *успешный седлишюс*-ს; ლიტერატურაში კი—ნიშნავს თეთრს, შემდეგ თეთრ ცხენს და იგივეა, რაც სპარსული ჩ ა რ მ ა ჰ (აწ მტერობისა რისხვისაგან გარდა-ჯდომილვარ და სიყვარულისა ჭარმაგსა შეჯდომილვარ)².

ერთი სიტყვით, ხალხის პირით ჩაწერილ სიტყევებს, თქმა არ უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მაინც კიდევ საჭიროა მათი შეჯერება, უკრიტიკოდ კი მათი მიღება დიდ დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს. ამიტომაც ჩვენ დიდ სითამამედ ვთვლით ბ-ნი ჯანაშვილის მიერ ინგილოურის პაშტას განუკითხავად მიღებას იმ მნიშვნელობით, როგორც მას ჰქონია ჩაწერილი.

აქედან ცხადია, რომ თუმცა ბ. ჯანაშვილს დიდი უფლება აქვს ჩვენ დარიგება მოგვცეს და გვითხრას: «კაი ლექსიკონებს კაი გამომყენებელიც უნდაო» (იხ. მისი საბასუხო წერილი «სახალხო გაზ.», № 192, გვ. 2, სტრ. 6), მაგრამ ჩვენც არა ნაკლები უფლებით, თუ არა მეტისაც, შეგვიძლია მოვახსენოთ ბ. ჯანაშვილს: «ჩაწერილს ხალხურ მასალასაც კაი გამომყენებელი უნდა!»

ს ი რ ა . ბ. კარიჭაშვილით სირა ნაცვლად სიტყვისა ს ი რ ი — ჩიტი; აბულაძით: «სირა (=სირი) — პატარა ფრინველი, ჩიტი». ეს სირა კი სულ სხვა სიტყვაა და არა პატარა ფრინველი, ჩიტი! ამის შემდეგ მ. ჯანაშვილი იმოწმებს ინგილოურს... და თან იმეორებს იმასვე, რაც უკვე აქვს გამოთქმული პროფ. ნ. მარს (ТР, XII, XLVII, შვშ. 5).

არა მგონია, მ. ჯანაშვილის განმარტების წამკითხველმა უპირატესობა მისცეს მის ვითომდა დამოუკიდებელ განმარტებას (იხ. ნაშრომი, გვ. 8-9).

ხ ე უ ლ ი [სტროფი 4]. კარიჭაშვილით «ხესაევით ამოსული»; აბულაძით — resp., ხებული, სობილი, ნასობი; მართი—раздереть, буквально раздирая; ა. სარაჯიშვილით მთელი ეს მე-4 ტაეპი ყალბია, რუსთველს არ ეკუთვნისო... ერთი სიტყვით «ხეული» ვერც ერთს მკვლევარს, ბ. ჯანაშვილის ფიქრით, სისწორით ვერ განუმარტავს. ამის გამო ბ. ჯანაშვილი ედავება პროფ. მარს, აყენებს ქარბუქსა და კორიანტელს და ბოლოს უნებლიეთ წამოცდება: «დღესაც ჩვენ ვამბობთ: ისეთ-ისეთები გადმომკრა (საუბარში, ლაპარაკში), სწორედ გულს ლაბვარივით დამესო, მომხვდაო!»... ამნაირად ჩვენმა მსცოვანმა მკვლევარმა უარყო ი. აბულაძის მიერ ხეულის განმარტება სიტყვებით: სობილი, ხებული, ნასობი, მხოლოდ იმიტომ, რომ საბუთი ჰქონოდა ყველა ზემორემოყვანილ პირთა წინააღმდეგ ელაპარაკა, მაგრამ ვერც კი შენიშნა, რომ მასვე წამოსცდა: დღესაც ვამბობთ: გულს ლახვარივით დამესოო (იხ. ნაშრომი, გვ. 10, სტრ. 6).

¹ აქ საჭიროდ ვრაცხ შევნიშნო, რომ პროფ. მარის აზრი სიტყვა ჭარმაგის შესახებ, ვითომც *значение доблестный (მხნე) усмотренное в нем еще Теймуразом есть плод доухей догадки*, არ მართლდება. ალ. ბარნოვის მაგალითი გვიჩვენებს, რომ თეიმურაზს დიდი საბუთი ჰქონდა ასე მაინც აეხსნა სიტყვა ჭარმაგოსანი, რადგან სპარსული მნიშვნელობა არ იცოდა, მით უფრო რომ დღეს სპარსელებიც აღარ ხმარობენ ამ სიტყვას (იხ. ТР, XI!, გვ. IX და XV, შვშ. 4).

² ეს ამონაწერი ბევრმა ვერ გაიგო და გვეუბნებიან, რომ იქნება იმ ადგილას ჭარმაგოსანი თეთრ ცხენს არც კი ნიშნავდესო, მაგრამ ამგვარი გაუგებრობა აიხსნება მხოლოდ სპარსული ენის უცოდინარობით...

ს ა ლ ა. [1346] «მისნი ვერ გასძლნეს პატიქნი ვერ კაენ, ვერცა სალამანა». ამ ადგილის განმარტების დროს ბ. ჯანაშვილი ბ. მარის შემდეგ ახალს ვერაფერს გვეუბნება. დასკვნაში იმასვე იმეორებს, რაც ჩინებულად აქვს განმარტებული ბ. მარს: (იხ. TP, XII, მუხ. 9. გვ. XL—XLIII). «ვიმეორებ, ბრძანებას იგი, კაენი უნდა იყოს ვინმე უიმედოდ შეყვარებულთაგანი და არა ბიბლიური ძმის მკვლელი კაენი (იხ. ნაშრომი, გვ. 12,9 = TP, XII, მუხლი 9).

ბ. ჯანაშვილი იყენებს ზემოხსენებულ საშუალებას, გააბათილოს ვითრ-მდა თავისი მხრივაც ი. აბულაძის მოსაზრება სალასა და კაენის შესახებ. ამ მიზნით მას მოჰყავს პროფ. მარის უკვე ცნობილი პარალელიზმები და ასხვაფერებს თავისებურად, განზრახული მიზნით, რასაკვირველია, უმეტეს ნაწილად კი იმეორებს იმასვე ჩემს წინააღმდეგ, რაც უკვე ვრცლად აქვს დასაბუთებული პროფ. მარს. მაგრამ აქ უველაზე გასაოცარი ის არის, რომ ბ. ჯანაშვილი, რომელსაც არაფერი გაეგება სპარსულისა, ბედავს შესწორება შეიტანოს მარის მოსაზრებაში სალამან-ის შესახებ!...

ამგვარისავე ღირსების გახლავთ ბ. ჯანაშვილის ი ა გ უ ნ დ ი ს ა, მ უ ლ ლ ა - ზ ა ნ ზ ა რ ი ს ა, ტ ე რ ე ბ ი ს ა და სხვა ნასესხებ სიტყვათა შესახებ მოსაზრება, სადაც ვხვდებით იმგვარ კურიოზებს, როგორც არის სიტყვა ტ ა ლ ა - ს ი ბ ე რ ძ - ნ უ ლ ტ ი რ ე ო - ს თ ა ნ და სომხურს ტ ე რ - თ ა ნ დაახლოება. ყველა ეს. რა თქმა უნდა, ახასიათებს იმ ცრუ ფილოლოგიურ მიმართულებას, რომლის მიმდევარი დღესაც ბევრია ჩვენში....

მ ლ ა ლ ა ე ი. (1042 და 1283) აბულაძით «წარმტაცი, წამგლეჯი, მპარავი, ვამქრობი, მომსპობი (გვ. 138). ნამდვილად კი მლაღავი არც ერთი ამათგანი არ არის; იგი მთელს კახეთ-საინგილოში ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ გამრეკავს და ამავე მნიშვნელობით იგი ხმარებულია «ვეფხისტყაოსნის» ზემოაღნიშნულ ტაეებშიაცო» (იხ. ნაშრომი, გვ. 14, სტრ. 16). ვერ წარმოგვიდგენია ამაზე უსერიო განმარტება! ბ. ჯანაშვილს და მის ინგილოურს რომ დაუუჯეროთ, არა გვეგონია რუსთველის პოეზიამ ბევრი რამ მოიგოს, რადგანაც უნდა გადავთქვათ რუსთველის სიტყვები: ლახვარი გულსა ხეული, ლახვარი გულსა თხლეშილად, ანუ უკეთ, დრუზულად, ანდა თვალთა მლაღავი, თვალთა გამრეკავად (იხ. ნაშრომი № 3, გვ. 9, სტრ. 13). რაც შეეხება სიტყვას მლაღავი, იგი ძალიან სშირად იხმარება იმერეთშიაც და სწორედ იმ აზრით, როგორც ჩვენ ამას ვმარტავთ; რატომ მაინცა და მაინც ინგილოური უნდა ვირწმუნოთ და იმერული კი უარყოთ, ნუთუ იმერლები ქართველებად არ ირიცხებიან?!...

ჩვენშიაც ძალიან სშირად იხმარება: თვალსა და ხელშუა გააღალა. ქურდმა გააღალა, ან ჯიბიდან ფული ამომალალესო. თვითონ მლაღავიც იმერეთში ქურდის ნაცვლად სშირად იხმარება. «საინგილო ქიზიუ-კახეთში» კიდევ რომ იხმარებოდეს მლაღავი მხოლოდ გამრეკავის აზრით, ეს მაინც არ გვაძლევს საბუთს ვთარგმნოთ «თვალთა მლაღავი» სიტყვებით «თვალთ გამრეკავი».

ჰ ა ს ა კ ი. ამ სიტყვის ძირად აბულაძეს მიაჩნია სომხ. ჰ ა ს ა კ . ასეთი განმარტება თავს ვერ მოდის, რადგან იმავე მნიშვნელობით თურქულში იხმარება ნამდვილი ძირეული ჰასაკი, წლოვანება!..

აქ იძულებული ვარ, თავი დავიდრიკო ბ. ჯანაშვილის ავტორიტეტის წინაშე!... ბ. ჯანაშვილს ჩვენ ვთხოვეთ ეჩვენებინა ჩვენთვის კორიდეთის სახარების ბოლო მინაწერი, რომელიც გადაბეჭდილი აქვს ბროსეს აკადემიის Bulletin-ში, რომ შეგვეჯერებია ამ სიტყვის შესახები ტექსტი ხელთნაწერზე. მან, რასაკვირვე-

ლია, ეს ჩვენი უმორჩილესი თხოვნა შეასრულა. ამის შესახებ ჩვენი მსცოვანი მკვლევარი თავისი ნაშრომის მე-15 გვერდზე შემდეგსა წერს:

«ბ. აბულაძე სიტყვების ახსნაში ფრიად ჩქარობს. საისტ. და საეთნ. საზ. კრებაზე ამტკიცებდა სიტყვა სადაგი ქართული არ არისო და რუსთველს სპარსული ზოდე სადაგად გაუხდიაო (!!). ჩვენ ვუჩვენეთ მას რუსთველის წინადროინდელი კორიდეტის სახარება, რომელშიაც იხმარება სადაგი. შესწავლას წინ არ უნდა უსწრებდეს თეორია!...»

გულახდილად უნდა ვაღიაროთ ამ შენიშვნაზე ჩვენი მხრით პასუხის მიცემის სრული უძღურება, რადგან არ ვიცით, სად უნდა იწყებოდეს ან თავდებოდეს შესწავლა და თეორია!...

34-ე გვერდზე ბ. ჯანაშვილი ბრძანებს: «მოკლედ მოვჭრათ ჩვენი სიტყვა: რუსთაველის მეზღაპრობა თვით ზღაპარია და ჩმახია; ეს დასტურია არ ნაჭორად: ზღაპარი «იყო და არა იყო», რადგან იწყება და თავდება მაგვეარივე სიტყვებით: «ელასა და მელასა, ძილი გაამოს ყველასა», აქ კი სულ სხვას ვხედავთ... და აქ ბ. ჯანაშვილი ცდილობს პარალელები მოუნახოს «ვეფხისტყაოსნის» ადგილებს დაბადებისა და სამღვთო წერილის წიგნებიდან, მაგრამ სამწუხაროდ ყველა მისი მაგალითი უხერხულია... მაგ., სიტყვებში «შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოდეს», იგი ხედავს ისაია წინასწარმეტყველის შემდეგი სიტყვების გაღქმას: «მაშინ ძოდეს მგელი კრავთა თანა და ვეფხი თიკანთა თანა განისჭმენდეს, და ზეარაკი და ლომი და კუროხ ერთგან ძოდეს»; მსგავსება მართლაც არსებობს, მაგრამ კიდევ უფრო მეტი მსგავსებაა პოემის მთელს იმ ხანასა, რომელშიაც მოყვანილი ფრაზა შედის, და «ვისრამიანის» იმ ადგილს შორის, რომელიც მოყვანილია 451-ე გვ. (იხ. ამის შესახებ «ძველი საქართველო». ტ. I, გვ. 100, მე-7), რომელსაც შეესაბამება სპარს. ტექსტის გვ. 395, სტრ. 6-9. პოემის ამავე ადგილს გვაგონებს აგრეთვე «ვისრამიანის» ქართული ტექსტის შემდეგი ადგილიც:

«ეგრე უშიშრად გახდა გურგანი: ცხვარნი და მგელნი ერთად იყენიან და ცხვართა მგელნი უჩობნობდიან» (გვ. 255,4), რომელსაც სიტყვასიტყვით გადმოგვიცემს სპარსული ორიგინალის გვ. 237,18.

«წავიკითხავ სიყვარულსა, მოციქულნი რაგვარ სწერენ, ვით იტყვიან, ვით აქებენ» (735). ამის პარალელად ბ. ჯანაშვილს მოაქვს იოანეს სახარების მე-10 თავიდან მე-13 მუხლი და კიდევ — I კათოლიკე (3,15), მაშინ როდესაც პოემის ამ ადგილს და მის მიერ მოტანილ საღმრთო წერილის ციტატებს შორის არავითარი მსგავსება არ არსებობს. პირიქით, უფრო საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში პოეტს სახეში ჰყავდეს ბრძენი კაცები, ფილოსოფოსები, ანუ ძველების სიტყვით რომ ეთქვათ, მეცნიერნი, რომლებსაც უწერიათ სიყვარულის შესახებ, აღმერთებენ სიყვარულს, უგალობენ და შეაქებენ მას თავიანთ ნაწერებში.

ამიტომაც შესაძლებელია, რომ ამგვარ ადგილებში ყველგან სიტყვა მეცნიერი შემდეგი დროის ქართველობას შეეცვალოს ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი ფანატიკოსობის გავლენის ნიადაგზე სიტყვად მოციქული.... ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერში სიტყვა «მოციქულის» ნაცვლად ნახმარია მეცნიერნი. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთ კრებაზე, როდესაც ჩვენს მოხსენებაში «ბარამგულიჯანიანის» შესახებ ჩვენ შევეხეთ ადგილს: «მართლად იტყვის მოციქული, შიში შეიქმს სიყვარულსაო» და ვამტკიცებდით, რომ ქრისტიან მოციქულს ამგვარი

ღვთის საწინააღმდეგო აზრი¹ არასოდეს არ გამოუთქვამს, და მაშასადამე, ამგვარი სახით ამ აფორიზმის რომლისამე ქრისტიან მოციქულისთვის მიკუთვნება შეუძლებელია-მეთქი, ჩვენი ხელნაწერების მცოდნემ ბ. თაყაიშვილმა სამართლიანად მიგვეითთა ერთ «ფეფხისტყაოსნის» ძველ ხელნაწერზე, სადაც ხსენებული ადგილი იკითხება ასე: «მართლად უთქვამს მეცნიერსა, შიში შეიქმს სიყვარულსაო»...

ბ. ჯანაშვილი კი თავის «ნაშრომის» 34-ე გვერდზე ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ მისი პარალელები: საქ. 30, 35 და ებრ. 12, 18 იგივეა, რაც რუსთველის ხსენებული აფორიზმი.

რაც შეეხება მართლაც ზოგიერთ თვალსაჩინო მსგავსებას საღმრთო წერილსა და რუსთველის აფორიზმებსა და სხვა ამა თუ იმ ადგილს შორის, ეს აიხსნება იმ უბრალო გარემოებითაც, რომ ქრისტიანმა პოეტმა ის ცნობები იხმარა, რომლებიც უკვე შემოსული იყო ცხოვრებაში საეკლესიო ლიტერატურის საშუალებით...

მეორე შემთხვევაში პირდაპირ მოყვანილია სახარების ტექსტი² (შეად. ლუკა, 17,4) და იგავნი სოლომონისნი (24,6), სადაც იგივე აზრია გატარებული.

რუსთველის აფორიზმი:

«ამად რომე შეცოდება შვიდ გზის თქმულა შესანდობლად»...

[სხვა მაგალითი და სათანადო მსჯელობანი იხ. ქვემოთ, გვ. 34,59], ჩვენი აზრით, შეიძლება აიხსნას უფრო ქრისტიანობის გავლენით. ამ ორიოდ ზემომოტანილი მაგალითიდან ჩანს, რომ ბ. ჯანაშვილის ვითომდა აღმოჩენილი პარალელები არც ისე მარჯვეა და მოხერხებული, როგორც იგი ფიქრობს.

საზოგადოდ მისი ნაშრომის მე-3 ნომერში წამოყენებული საბუთები ბ. ჯანაშვილს ნებას არ აძლევს, რუსთველის გამქიქებული უწოდოს ყველა მათ, რომლებიც მასავით ცარიელტარიელი სიტყვით და უხერხული საბუთებით არ გამოე-სარჩლებიან რუსთველის კალამს.

«სახალხო გაზეთი», 1911, №№ 209, 210, 212.

¹ იხილე იოანე ღვთისმეტყველის პირველი ეპისტოლე (თაყა 4, 18), სადაც ის აზრია გამოთქმული, რომ სიყვარულში შიშს არ უნდა ჰქონდეს ადგილი, და რომ, პირიქით, სრული სიყვარული, შიშს სდევნის, რადგან შიშში ტანჯვაა. ვისაც ეშინის, სიყვარულში არ არის სრული.

² შეიძლება რომ შეგცოდოს ძმამ და გთხოვოს პატიება, შეუწდო, ცოდვილს შეიძლება ეპატიებაო.

ს. კაკაბაძის ჩუქურბუკის გამო¹

ფრიად სასიამოვნო მოვლენად მიმაჩნია რეფერენტის ცდა, შეაჯეროს რუსთველის პიროვნებისა და არსებობის დროის შესახები ცნობები: არა თუ არაფერი გაკეთებულა ამ მხრივ. პირიქით, ყველაფერი, რაც კი ხდებოდა დღემდის ამ ფრიად საინტერესო ისტორიულ-ლიტერატურულის საკითხისთვის, რომლის შესახებაც რეფერენტი გვიზიარებს თავის აზრს, ფრიად საზიანოც იყო.

ავიღოთ თუნდა ის პირობები, რომლებშიაც წარმოებდა რუსთველის ნაწარმოების ტექსტის შემუშავება. სამართლიანად ამბობს პატივეცემული რეფერენტი, რომ ვახტანგმა თავისი რედაქციით ბევრი რამ საყურადღებო გამოუშვა პოემის ტექსტიდან, რაც დღეს საჭიროებს გადახედვას. კიდევ უფრო ლაღად მოიქცა კომისია, რომელიც რამდენიმე წლის წინათ შეეცადა გაეწმინდა ყალბი ადგილებისაგან ამ ნაწარმოების ტექსტი და ისე მიეწოდებინა თავისი რედაქცია საზოგადოებისათვის, რადგან მას ამისთვის სათანადო მომზადება არ გააჩნდა. ნდობა კი მას დიდი ჰქონდა საზოგადოების მხრივ. ამ ტექსტის მიხედვით, ბ. ა. სარაჯიშვილიც შეუდგა ყალბი ადგილების აღმოჩენას ტექსტში, მაგრამ არც ეგ არის მაინცაღმანიც ტექსტისათვის საპრიანო, რადგან ა. სარაჯიშვილს ბევრი სუბიექტური შეხედულება შემოაქვს თავის გამოკვლევაში და თანამედროვე მოთხოვნების თანახმად უცქერის საგანს. შემდეგ ბ. კარიჭაშვილი გამოდის და მას უკვე აღარაფერი სწამს წინასიტყვაობისა. ბ. კარიჭაშვილმა, როგორც ვიცით, ყველას გადააჭარბა და მთელი წინასიტყვაობა ყალბად აღიარა.

მეტია იმის თქმა, რომ ზემოჩამოთვლილმა პირებმა, ვახტანგ მეფიდან დაწყებული ბ. კარიჭაშვილამდე, დიდი დანაშაულობა ჩაიდინეს სრული ტექსტის გამოცემამდე თავიანთი რედაქციების გავრცელებით.

მართალია, ჩვენი დროის კომისია კიდევ შეეცადა ხელნაწერების გადახედვას, მაგრამ, ვიმეორებ, ამისათვის სათანადო მომზადება იყო საჭირო. სახელდობრ, პოემის ენისა, სულისა და მიმართულების ცოდნა და ამასთანავე პოემის შესახები ცნობების ისტორიულად შეგერება. კომისიას კი ერთიც აკლდა და მეორეცა. მაშასადამე, რა უნდა ექნა კომისიასო, — მკითხავთ.

კომისია კარგს იზამდა, რომ ჯერ სრული ტექსტი მოეცა, და ექსტაზში ტექსტი იმ სახით, რა სახითაც იგი უძველეს ნაწერებშია; არაფერი არ უნდა გამოეშვა და ამავე დროს და ერთო ვარიანტებიცა.

იმ მუშაობის, რომელიც მე ზემორე აღვნიშნე, შედეგი გახლდათ ის, რომ

¹ რადგანაც [სარგის] კაკაბაძის მიერ აღძრულმა საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში, ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა დაგვებეჭდა როგორც თვით ბ-ნ კაკაბაძის რეფერატი, ისე მისი ოპონენტების სიტყვები, თუმცა ნათხოვნი გვქონდა, მაგრამ კაკაბაძემ აქამდის რეფერატი არ წარმოადგინა. ამიტომ ვებეჭადეთ ოპონენტების სიტყვებს. რ ე ღ.

უკვე მიღებული ტექსტით ხელმძღვანელობენ ისინი, ვინც შემდეგში ყალბ ადგილებს ეძებენ, როგორც ბ-ნი სარაჯიშვილი და კარიჭაშვილი.

ჩვენი აზრით, ტექსტი რომ უცვლელად გადმოებჭდილიყო ხელნაწერებიდან და მასთანაც ვარიანტები დართოდა, მაშინ ადგილი აღარ ექნებოდა იმ გაუგებრობას, რომელიც ასე მჭევრ-მეტყუელურად დაგვისურათა ბ. რეფერენტმა. ეს გარემოება გასლავთ, საბუთს რომ აძლევს ერთს ჩვენს პატივცემულ მოღვაწეს თქვას:

«ერთად ერთი საბუთი ავტორის პიროვნების შესახებ პოემის წინასიტყვაობა იქნებოდა, მაგრამ დღეს ცნობილი მთელი წინასიტყვაობა მე ყალბად მიმაჩნია!»

ამ სიტყვების წარმოთქმელს, რომ ჰქონოდა გაცნობილი ხელნაწერების ტექსტი და პოემის ენის სული და მიმართულება, რომლის გავლენის ქვეშ უნდა ყოფილიყო ჩვენი პოეტი, მაშინ არა მგონია, თუ ამას იტყოდა.

გარდა ამისა, რომ პოემის დღეს მიღებული ტექსტის მდგომარეობა არ იძლევა იმის საბუთს, ვთქვათ: «ერთად ერთი საბუთი წინასიტყვაობა იქნებოდა და იგიც ყალბიაო», საზოგადოდ უნდა ითქვას, საგანი ისეთია, რომ მარტო წინასიტყვაობის ცნობებზე დამყარება შეუძლებელია. აიღეთ თუნდაც ის გარემოება, რომ პოემის ტექსტი სრულიად შეუმუშავებელია მისი ხასიათის სირთულის გამო, ანდა თუნდაც ის ცნობები, რომლითაც ხელმძღვანელობს დღევანდელი მომხსენებელი, და რომლებიც მხოლოდ ხელნაწერებშია. განა მათი უგულებელყოფა და მარტო არსებული გამოცემების ტექსტზე დამყარება საკმაო იქნება? მაგრამ ჩანს, ამას არაფერს არ უყურებს და ამიტომ არის, ბატონებო, რომ დღეს. ერთი პატივცემული მეცნიერისა არ იყოს, «ვისაც კი ენა გვაბია, ყველა ამის შესახებ ლაპარაკობს».

ყველა ზემორეთქმულის მიხედვით, ვიმორებ, რომ დღევანდელი რეფერატი ფრიად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ჯერ ერთი, იმიტომ რომ იგი არის რუსთველის შესახები ცნობების შეჯერების პირველი ცდა. მეორე, იმიტომ, რომ რეფერენტი ცდილობს შექმნას სარწმუნო, უტყუარი გენეალოგიები, წინააღმდეგ ვახუშტის რედაქციისა, უფრო სარწმუნო წყაროების მიხედვით.

ვგონებ, სხვაც რომ არა იყოს რა, ეს უკანასკნელი გარემოება უნდა გვავალებდეს მეტი ყურადღებით მოვეპყრათ ბ. რეფერენტის შრომას და, თუ შესაძლებელი იქნება, უარყოფთ, როგორც რუსთველის არსებობის დროის შესახებ წარმოდგენილი ცნობები, ისე აფხაზეთისა და საქართველოს მეფეთა გენეალოგიები, რომლებიც პირველად შეუდგენია რეფერენტს. ეს კი, ჩემი აზრით, ძნელი გახლავთ და მოითხოვს გულდამჯდარ მუშაობას¹.

აქ მხოლოდ აღვნიშნავ ერთს რეფერენტის აზრის საფუძვლიანობის სასარგებლოდ: ეჭვის გარეშეა ცნობა, რომ რუსთველი დღემდის ცნობილ ყველა XII საუკ. მწერალთა მომდევნოა. ეს მტკიცდება იმ გარემოებით, რომ მასზე ჩანს აშკარა გავლენა «ვისრამიანისა» და «ამირანდარეჯანიანისა». ამის შესახებ გამოქვეყნებულია ცნობები, როგორც ჩემი (ვისრამიანის შესახებ), ისე მ. ჯანაშვილის მიერ («ამირანდარეჯანიანისა» და შავთელის შესახებ). აქ ამაზე შეჩერებას ზედმეტად ვთვლით.

რაც შეეხება ორ დანარჩენ მე-11 საუკუნისად მიჩნეულ მეხოტბეს -- შავ-

¹ ამ სიტყვების წარმოთქმის საბუთი მქონდა მით უფრო, რომ, როგორც ბ. კაკაბაძემ დაამოწმებს, ბ. კაკაბაძემ თავისი რეფერატი მე გადმომცა კამათის გამართვის წინა დამით, როცა ჩვენ სხვა საქმეში ვიყავით გართული.

თელსა და ჩახრუსხაძეს — მათ შესახებაც გვაქვს პატივცემული ნ. მარის ნაშრომები, რომლებიც იძლევიან ჩვენი აზრის უტყუარ საბუთს.

მართლაც, ვინ იტყვის, რომ «ვისრამიანის» ენა რუსთველის «ვეფხისტყაოსნის» ენაზე ძველი არ არის?

ჯერ ერთი, «ვისრამიანის» ენა «ვეფხისტყაოსნის» ენაზე ბევრად უფრო მწიგნობრულ-ეკლესიურია; ძველი ფორმები მეტია «ვისრამიანში», ვიდრე «ვეფხისტყაოსანში».

რუსთველის «ვეფხისტყაოსნის» ენის ხალხური ფორმების სიმდიდრე აშკარა მაჩვენებელია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ენის განვითარების შემდეგ საფეხურთან. ამას გარდა, ნაბეჭდი რუსთველის «ვეფხისტყაოსნის» უკანასკნელი ხანა კიდევ რომ არ ეკუთვნოდეს რუსთველს, ჭეშმარიტება იმ ცნობისა, რომელსაც იგი შეიცავს, აშკარაა. საკმაოა იმის თქმა, რომ პროფ. მარმა ამ ხანაზე დაამყარა თავისი წინებული გამოკვლევა «აბდულმესიანის» შესახებ.

ყველა ზემოთქმული ს. კაკაბაძის აზრის მხარეზე ჰხრის სასწორსა. მაგრამ, სამწუხაროდ, მის მოხსენებას ბევრი რამ აკლია და ნამეტურ ის, რაც ყველაზე საჭიროა მისი წამოყენებული ჰიპოთეზის დასასაბუთებლად.

რეფერენტის აზრით, შეურყევლად და მტკიცედ სწამთ ჩვენში, ვითომც «ვეფხისტყაოსანი» დიდი თამარის ხოტბის საგანი იყოს და რომ თამარის ისტორიული შემთხვევების გადმოცემა იყოს. აქ მე ვხედავ პირადად ჩემი აზრის უგულვებელყოფას. რომელიც მე გამოთქმული მაქვს ჩემ შრომაში რუსთველის შესახებ; იქ მე მიწერია: «მიუხედავად მთელს ლიტერატურისა და საგნის შესახებ (იგულისხმეთ პოემის სიუჟეტის შესწავლა) «ვეფხისტყაოსნის» მოვლინება მე-12 საუკუნეში დღემდის გამოცანად რჩება».

გამეფებული აზრი, ვითომც «ვეფხისტყაოსანი» წარმოადგენს თამარის დროის ისტორიული შემთხვევების ალეგორიულ გამოხატულებას, ჩვენ მიგვაჩნია ყოველ საფუძველს მოკლებულად: «პოემა კარის მწერლობის გამოხატულებაა» და სსვ. აქედან ცხადია, რომ მე პირადად რუსთველის ნაწარმოებს არა თუ ვისიმე საქებურად დაწერილად ვთვლი, მე მას არც კი ვთვლი ხოტბად. რადგან ხოტბა-ხოტბაა, მას თავისი ფორმები და სპეციალური მნიშვნელობა აქვს, «ვეფხისტყაოსანი» კი — მხოლოდ სამეფოდ მოწოდებული პირების საგმირო საქმეებს წარმოგვიდგენს. იგი ისე, როგორც «შაჰნამე», მხოლოდ საკარო მწერლობის გამომხატველია. იგი «მეფეთა წიგნია».

რეფერენტი კი ბრძანებს, რომ «ვეფხისტყაოსანი» თამარის საქებრად არის დაწერილი, მე-XV საუკუნეშიო. ვგონებ, იმის მთქმელს, რომ «ვეფხისტყაოსანი» ვისიმე სხვა თამარ მეფის საქებრად არის დაწერილი და არა დიდის თამარისა, დიდი, ძალიან დიდი საბუთი უნდა ჰქონდეს ამ აზრის დასამტკიცებლად.

ამიტომ რეფერენტის აზრი, რომლითაც იგი სრულიად დაუსაბუთებლად აკუთვნებს რუსთველის ნაწარმოებს სხვა თამარის დროს, რომელიც მე-15 საუკუნის დასაწყისში მეფობდა, რომელიც, მაშასადამე, ცხოვრობდა საქართველოს დაქუცმაცების ხანაში, მე ნაძალადევად მიმაჩნია. მაშინ ხომ ყველაფერი ქვეითდება, ირდევია და მასთან მეფის პიროვნებასაც ძველი ძალა და პატივი ეკარგება!

ის მაინც უნდა დამტკიცდეს, რომ ეს ვილაც სხვა თამარი, რომელსაც რეფერენტი პოეტის ხოტბის საგნად თვლის, იმგვარივე დიდებული და დვთაებრივი პიროვნება იყო, როგორც დიდი თამარია, და რომ სოციალ-პოლიტიკური ცხოვრე-

ბა მისი დროისა, ისეთივე ბრწყინვალე და მწერლობის ხელის შემწყობი იყო, როგორც თამარის ბრწყინვალე ხანაში...

ამგვარ ცდას კი მომხსენებლის მხრივ ვერა ვხედავთ. ამიტომ მე სრულებით ვერ მარწმუნებს მომხსენებელი თავისი აზრის სიმართლეში.

რაც შეეხება სპარსული სუფიზმის გავლენას ჩვენი პოეტის ქმნილებაზე, რასაც გაკვრით ეხება მომხსენებელი, ესეც მე ნაძალადევად მიმაჩნია და აი რატომ: ენა სუფიზმისა სიმბოლიურია და მასთან იმგვარი ხასიათისაა, რომ იგი პოეტისთვის ძლიერ ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო. პოეტი გვერდს ვერ აუვლიდა, უპირველესად ყოვლისა, სიმბოლიურად ხმარებულ სიტყვებს, რაც ასე ჩვეულებრივია სუფიების ნაწერებში და რასაც თავისი სპეციალური მნიშვნელობა აქვს.

ავილოთ თუნდაც შემდეგი ადგილი სუფი პოეტის ნაწარმოებიდან:

«ჩვენ ვსვამთ ღვინოს საყვარლის სახსოვრად და დავითევერით იმით უფრო აღრე, ვიდრე ვაზი გაჩნდებოდა».

რომ გაიგოთ ამ სიტყვების საიდუმლო აზრი, უნდა მიმართოთ სუფიზმის სიმბოლიკას. აქ ღვინო ნიშნავს ღვთაებრივ მოჩვენებას, საყვარელ ღვთაებას. ხოლო ვაზი ღვთის ქმნილებას. მაგრამ არის კი მსგავსი რამ «ვეფხისტყაოსანში?» მე მგონია არა. სხვა სულიერი კავშირის გამონახვა სუფიებსა და პოეტს შორის კიდევ უფრო ძნელია. ჩემს ამ მცირედ შენიშვნას ვასრულებ იმით, რომ, რაც უნდა იყოს, დღევანდელი მოხსენება მაინც სასიამოვნო მოვლენად მიმაჩნია, რადგან იგი წარმოადგენს პირველს, თუმცა უხერხულ ცდას, ჩვენი პოეტის არსებობის დროის გამორკვევის შესახებ.

პასუხის ნაბეჭადი

(რობაქიძე-ჯორჯიას პოლემიკის გამო)

ჩვენი პირველი ცდა «ვეფხისტყაოსნის» წარმოშობის საკითხის გამოსარკვევად დავაბოლოვეთ სიტყვებით: «თუმცა ამბავი უცხო ქვეყნებსა და ხელმწიფეებს ეხებოდა... მაგრამ «ის იყო ჩონჩხი, ეს კი გენიის უმაღლესი და უმშვენიერესი ნაწარმოებია». ეს არ ეჭაზნიკა ბ. ნ. მარს და თავის შრომაში «Вступительные и заключительные строфы витязя в барсевой коже Шогы из Руставы» [ТР, წიგ. X II], წითელი ხაზით აღნიშნავენ ჩვენს წინააღმდეგობას პოემის წარმოშობის შესახებ¹. იმიტომ მე განვიზრახე ამ მცირე შენიშვნაში შევეხო პატივცემულ მეცნიერის სწორედ იმ ადგილს, რომელიც შეეხება ჩვენს მოხსენებას პოემის წარმოშობის თაობაზე და თანაც ამ საკითხის შესახები ჩვენი დასკვნა შევავსოთ.

ბ. ნ. მარის ხსენებული ნაშრომის შესახებ უკვე დაისტამბა ორი ბიბლიოგრაფიული შენიშვნა («სახალხო გაზეთი», № 11 — ბ. კ. აბაშიძისა და № 33 და № 34 — ბ. ბორჩელისა). რადგან საგნის ინტერესი მოითხოვს, ჩვენც საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდ სიტყვით შევეხოთ ამ ორ წერილსაც.

ბ. კ. აბაშიძე, ჩვენი აზრით არ ცდება მხოლოდ იქ, როდესაც იგი ჩვენი სახელოვანი მეცნიერის შრომას ყველა არსებულ გამოკვლევაზე მაღლა აყენებს, რადგან თავისთავად ცხადია ის, რომ ბ. ნ. მარი სომხურ-ქართულ მესიტყვეობაში ყველაზე მოწიფული მეცნიერია და როგორც ამგვარი, იშვიათ ავტორიტეტს წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ ბ. კიტა აბაშიძის წერილის იმ ნაწილისა, სადაც იგი ბ. მარის შრომას შეუდარებელ გამოკვლევას უწოდებს, საწინააღმდეგო არა გვაქვს რა, ხოლო როდესაც იგივე ბ. კ. აბაშიძე ჩვენს მეცნიერს აწერს იმას, რისაც იგი არსებითად წინააღმდეგია, საჭიროდ მიგვაჩნია მიეუთითოთ მკითხველს ამ გარემოებაზე, რასაც უამისოდ, ჩვენი აზრით, შეუძლია შემცდარი აზრი დაბადოს მკითხველთა შორის ბ. მარის შრომის შესახებ.

ბ. კიტა აბაშიძე წერს:

«ბ. მარის მთელი წიგნაკიდან ჩანს, რომ მის (იგულისხმეთ «ვეფხისტყაოსნის») ორიგინალობას უეჭველად სთვლის იქაც კი, სადაც უფრო ადვილათ შესაძლებელი იყო საეჭვოთ გაეხადა რუსთველის აზრები ქალისა, სიყვარულისა და რაინდობის შესახებ. მაგრამ, ვიმეორებთ, ჩვენგან აღნიშნული ადგილი კიდევ ბევრს ააყაყანებს» (იგულისხმეთ ის ადგილი, სადაც ბ. მარი ჩვენ გვეკამათება).

შემდეგ რეცენზენტი განაგრძობს:

¹ იხ. ТР, XII, გვ. 11, § 1, სტრ. 11—19, იქვე, § 9. გვ. XL, შფ. 1.

ბ. მარის დასკვნა შემდეგია:

1. რუსთველის პოემის ამბავი ნასესხებია რომელიმე სპარსულის მოთხრობისაგან, რომელიც ქართულად პროზად იყო გადმოთარგმნილიო¹.

2. ეს ამბავი ქართულ ორიგინალში ჰქონდა ხელში რუსთველს და გარდაქმნა გენიოსურ ნაწარმოებად².

3. სპარსული დედნის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება, ვინაიდან იმისი კვალიც კი ვერ მიგვივინია ჯერეთო. თუ გინდ ეს ობოლი ამბავი ობოლი მარგალიტიც იყო, ეს სრულიადაც არ დაამცირებს რუსთველის ნაწარმოებსა და არავითარ ჩრდილს არ მიაყენებს მის გენიოსურ გარდაქმნასო³.

ამგვარია, ბ. რეცენზენტის აზრით, პროფესორ მარის შრომის რეზიუმე.

ვისაც წაუკითხავს პატივეცემული მეცნიერის ხსენებული შრომა, არა მგონია, არ დანახოს სრული წინააღმდეგობა აქ მოყვანილ რეზიუმესა და მარის შრომის შინაარსს შორის და, დარწმუნებული ვართ, ბ. მარს მოცალეობა რომ ჰქონდეს, უსათუოდ გამოთქვამდა აღშფოთებას იმის შესახებ, რომ მას სრულიად უსაფუძვლოდ მიაწერეს იმის თქმა, რისაც იგი არსებითად წინააღმდეგია.

მართლაც, ბ. კ. აბაშიძის წერილიდან გამოდის, ვითომც ბ. მარი იმასვე ამტკიცებდეს, რასაც ზოგიერთი «მამლაყინწა მეცნიერი», რომელთაც რეცენზენტის აზრით, ეკამათება პატივეცემული აკადემიკოსი.

ავიღოთ ის ადგილი, რომლის შესახებაც, როგორც ბ. აბაშიძის წერილიდან ჩანს, ჩვენ გვეკამათება ბ. მარი.

ჯერჯერობით, როგორც მეცნიერის მიერ სქოლიოში მოყვანილი შენიშვნებიდან ჩანს⁴, ბ. მარი წინააღმდეგობას ხედავს სიტყვებში: «ის იყო ჩონჩხი (ე. ი. ნასესხები ამბავი), ეს კი გენიის უმაღლესი და უმშვენიერესი ნაწარმოებია», რადგან ბ. მარი გულისხმობს ჩვენს «ჩონჩხში» სპარსულ ორიგინალს, მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ ეს სწორი არ არის.

აქ ჩვენ სახეში გვაქვს არა სპარსული ორიგინალი, არამედ ის უცხო ხელმწიფეთა შესახები ამბავი, რაც ჩვენმა პოეტმა ლექსად გარდათქვა და რაც, ჩვენი აზრით, წარმოადგენდა ქართულად ნათარგმანებ მაჰმადიანურ, სახელდობრ სპარსულ, მოთხრობას⁵....

«ბარამგულიჯანიანის» გამიჯნურების ამბავი ძალიან ჰგავს «ვეფხისტყაოსნის» გამიჯნურების ამბავს, მაგრამ უურადლებას აქ იქცევს ის გარემოება, რომ «ბარამგულიჯანიანში», წინააღმდეგ «ვეფხისტყაოსნისა» და «ბაჰრამგულამდამიანისა», ვერ ვხედავთ მოქმედ პირთა გმირულ ბრძოლას დევებსა და ქაჯებთან, ე. ი. «ბარამგულიჯანიანში» ფანტასტიკურ ელემენტს თითქმის სრულებით არავითარი ადგილი არა აქვს, და ეს გარემოება კი გვაფიქრებობს, რომ «ბაჰრამგულიჯანიანი» წარმოადგენს ერთ-ერთი «ბარამიანის» ტიპის სადევგმირო მოთხრობის კერძო რომანული ეპიზოდის განვითარებას. ამ საკითხს, რასაკვირველია, მეტი შუქი მოეფინება, როდესაც მოინახება და შეისწავლება მოთხრობები, რომელსაც მისი გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

1 შეადარეთ ჩვენი სიტყვები: «პოეტს უსარგებლებია ქართულად ნათარგმანები სპარსული ამბავით» — «ძველი საქართველო», ტ. I, გვ. 93.

2 სწორედ აქ გვეწინააღმდეგება ჩვენ პროფ. მარი (TP, გვ. II, სტრ. 17).

3 იხ. «სახალხო ვაზეთი», № 47.

4 იხ. ციტ. ნაშრომი, გვ. XL, შწმ. 1.

5 «ძველი საქართველო», ტ. I, გვ. 33.

«ბაპრამიანის» ტიპის მოთხრობა კი ბევრია. ჩვენ გავიცანით და კიდევ შევეუ-
დარეთ «ვეფხისტყაოსანს» სპარსულ ენაზე არსებული «ბაპრამგულამდამიანი»
(ქეთაბე ბაპრამ ვე გულანდამ), რომელიც უდრის მოკლე ქართულ პროზაულ რე-
დაქციებსა და ის დასკვნა გამოვიყვანეთ, რომ «ვეფხისტყაოსანში», წინააღმდეგ
«ბაპრამიანისა», შეერთებულია რომანულია და დევგმირული ნაწარმოების თვი-
სებები. ე. ი., ის, ერთის მხრივ, — წარმოადგენს სამიჯნურო წიგნს, სადაც გაღმერ-
თებუდია უმაღლეს წერტილამდე განვითარებული ქალ-ვაჟის სიყვარული; მეორე
მხრივ, — გმირული ბრძოლა დევებსა და ქაჯებთან.

ამას გარდა, ყოფილა სპარსული «ბაპრამგულანდამიანი»¹, ლექსად ნათქვამი
პოეტ ამინის მიერ. იგი იწყება ღვთისა და წინასწარმეტყველის ქება-დიდებათ.
მთავარი გმირის ბაპრამის თავგადასავალი ერთსა და იმავე დევებსა და ქაჯებთან
ბრძოლას წარმოადგენს.

საქართველოს ოქროს ეპოქაში ნამეტურ ეტანებოდნენ საღვთმირო ამბებს...
აიღეთ თუნდა ჩვენი უძველესი ისტორიულ პირთა შესახებ თქმულებები, რაც შე-
მოუნახავს ჩვენს უძველეს მატრიანეს ქართველ ბუმბერაზთა, ფარსმანისა და ვახ-
ტანგის შესახებ...

ტარიელისა და ავთანდილის თავგადასავალს ხანგრძლივი ისტორია უნდა
ქპონოდა თვით საქართველოს ცხოვრებაში მე-12 საუკუნემდე, ე. ი. იმ დრომდე,
სანამ იგი რუსთველის შემოქმედების სამკვიდრებელი გახდებოდა...

მართლაც, პოემაში შიგადაშიგ გამოსჭვივის ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი
ტენდენცია. ერთს შემთხვევაში პირდაპირ მოყვანილია სახარების ტექსტი (ლუ-
კა, 17,4) და იგავნი სოლომონისანი (თ. 24). [შდრ. ზემოთ, გვ. 27, ტექსტი — ქვე-
მოთ გვ. 59].

აგრეთვე, პირდაპირი ქრისტიანი ხალხის, ამ შემთხვევაში ქართველთა, წარ-
მოდგენა იხატება შემდეგ სიტყვებში, რომლებითაც მოქარავენ მაჰმადიანი ვაჭრე-
ბი გაეცნობიან ავთანდილს.

«ჩვენ ვართო მობაღდადენი ვაჭარნი, მაჰმადის სჯულის მჭირავნი, -- აროდეს
გვისვამს მაჭარნი — ზღვათა მეფისა ქალაქსა სავაჭროდ გამონაჭარნი» (იხ.
1031,1-3).

ჩვენი აზრით, შეუძლებელია, მაჰმადიანმა ამ სიტყვებით გააცნოს თავი
სხვას და ისიც არაბს. ცხადია, ეს ადგილი გვისხატავს ქრისტიანის შეხედულებას
მაჰმადის სჯულზე...

ავტორის პირადი ერუდიციისა და ნაკითხობის (მსოფლმხედველობის) გავლენ-
ითაც, რაც უკვე გამოვთქვით ჩვენს მოხსენებაში, უნდა მომხდარიყო ძირითადი
ცვლილებანი «ვეფხისტყაოსნის» ფაბულაში. აკად. მარი პირდაპირ უჩვენებს ნეო-
პლატონურ წყაროს, რომლისგანაც სესხულობს სიბრძნეს პოეტი².

ამგვარი ფაქტების მიხედვით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფორიზმები და პოეტუ-
რი ფიგურები, რომლებიც ამჟღავნებენ, დაუშრეტელ წყაროდ ქმნიან «ვეფხისტყაო-
სანს», პოეტს უსესხებია სხვადასხვა წყაროდან (და შეუმუშავებია თავისებურად);

¹ Ch. Rieu, Catalogue of the Persian Manuscripts in the British Museum, გვ. 877.

² ნ. მარი, TP, XII

ამის საბუთს გვაძლევს ჩემ მიერ ნაჩვენები «ვისრამიანისა» და «ვეფხისტყაოსნის» საოცარი მსგავსებაც აფორიზმებისა, ფრაზებისა და პოეტური ფიგურების მხრივ. სილამაზის ჰიპერბოლური გამოთქმა მზეთუნახავის სახისაგან მშვენიერი მზის შუქის შემოდგომა, ელფარისა პირითა დამის დღედ ქცევა, დამაბრმავებელი სილამაზე, ქალ-ვაჟის სამაგალითო და შეუდარებელი მიჯნურობით თავის მოკვება საერთოა «ვისრამიანისა» და «ვეფხისტყაოსანში»...

ამას გარდა, პოემაში ნათლად ჩანს ავტორის ცდა, გადააკეთოს ზღაპარი წრფელი რაინდული სიყვარულის დასახატავად.

ამით აიხსნება, ჩვენი აზრით, ის განსაცვიფრებელი სიმეტრია, რომელიც არსებობს «ვეფხისტყაოსნის» შინაარსის ინტერესთა თანდათანობით ზრდაში; ასეთი რამ არ გვხვდება სპარსულ ლიტერატურაში. ამ მხრით «ვეფხისტყაოსანს» მხოლოდ ჰომეროსის «ოდისეია» თუ შეედრება.

ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით პატივცემულ აკად. მარს იმაში, ვითომც «სპარსული ამბავი, რომელიც მან ლექსად გარდაქვა, ობოლი მარგალიტი» უნდა ყოფილიყო და ბევრად მაღლა უნდა მდგარიყო რუსთველის ქმნილებაზე¹.

ამგვარ აზრს ეწინააღმდეგება ყველაზე უწინ ის დუმილი სპარსული მწერლობის და ავთანდილისა და ტარიელის პიროვნებათა უგულვებელყოფა და მათი არსად არ ხსენება. ჩვენი აზრით, შეუძლებელია, რომ «ვეფხისტყაოსანი», იმ შემთხვევაში, თუ ის სპარსულ ენაზე არსებობდა, არათუ იმ სახით, რა სახითაც პოეტს იგი ჩვენთვის უანდერძებია, არამედ, როგორც ორიგინალი, აკად. მარის სიტყვით, მაღლაც კი იდგა, რუსთველის ნაწარმოებზე, — არ დატოვებდა რაიმე კვალს სპარსულ მწერლობაში, როგორც ისეთი ნაწარმოები, რომლის სამიჯნურო თავდადასავალი ფრიად საინტერესო იყო, რომლის მთავარ გმირს ვერ შეედრებოდა ვერც მეჯნუნი, ვერც რამინი, ვერც სალამანი და სხვ., სადაც შეუდარებელი ქალ-ვაჟის სიყვარული იყო გამოყვანილი. როგორ წარმოვიდგინოთ ის, რომ დიდებულ ნაწარმოებზე, რომელიც რუსთველის «ვეფხისტყაოსანზე» მაღლაც კი მდგარა, თავის ნაწარმოებში ცნობებს არავინ შეიტანდა ან გაკვირით მაინც არ მოიხსენებდა მის შეუდარებელ მიჯნურებს?!

აკად. მარის სიტყვით პოეტმა სიუჟეტი სპარსულიდან ისესხა, ანუ, როგორც მისივე სიტყვებიდან ჩანს, სპარსული მოთხრობა გამოიყენა რუსთველმა თავისი ქმნილების მასალად. მაშასადამე, რაღა განსხვავებაა ამგვარ აზრსა და ჩვენს ნათქვამს შორის, რომ სპარსულიდან ქართულად ნათარგმანები ამბავი რუსთველის ქმნილებასთან შედარებით ჩონჩხი უნდა ყოფილიყო, რომ იგი რუსთველის უკვდავ პოემასთან შედარებით უმნიშვნელო ზღაპარს წარმოადგენდა?!

ანდა ნუთუ ამის თქმა მეტია, ვიდრე იმის, რომ პოეტმა სპარსული ლიტერატურიდან სიუჟეტი ისესხა და ეს სიუჟეტი თავისი ქმნილებისთვის მასალად გამოიყენა?! (იხ. ციტ. ნაშრომი, გ 1).

ამიტომ, ჩვენი აზრით, ვერც პატივცემულ მეცნიერს ნ. მარს აქვს საკმაოდ ნათლად გამორკვეული ეს საკითხი. ვერ გაგვიგია, რას უწოდებს მეცნიერი სიუჟეტს ან რანაირად შეიძლება გალექსილი თარგმანის შესახებ ითქვას, რომ იგი გამოადგა პოეტს მისი ქმნილების მასალად. ამიტომაც ჩვენ ვეთანხმებით ბ. ბორ-

¹ ნუთუ ეს დასაბუთებულია? იტყვიან, წინასიტყვაობააო, მაგრამ ვინ დაამტკიცა წინასიტყვაობის სინამდვილე. ჩვენი აზრით, ამის დასაბუთებლად აცხადებს ნ. მარსი, და, რა თქმა უნდა, ბ. ნიკოლოზიკიაც, რომელიც ჩვენ რობაქიძესთან ერთად გვაფრთხილებს: «ნუ ჩქარობთო»!

ჩელს, რომელიც კითხვის ნიშანს უსვამს მეცნიერის სიტყვებს «Материалом для его творчества» (იხ. «სახ. გაზ.» ამგვარი აზრის არის ბ. სილ. ხუნდაძეც. იხ. მისი სერიოზული წერილი «იმერეთში» სათაურით: «შემცდარი აზრები «ვეფხისტყაოსნის» შესახებ»).

თუ მართლა, აკად. ნ. მარის თანახმად, რუსთველმა თანამედროვე ცხოვრების პირობებს შეუთანხმა სპარსული ამბის ფაქტები, თუ მან თანამედროვე ცხოვრებაში პოვა პოემის საჭიროების ამოძახილი, თუ მან რაიმე ისესხა ნეოპლატონური წყაროდან, თუ იქ მე-12 საუკ. საქართველოს რაინდობისა და ქალის კულტის შესახები მდიდარი მასალაა, თუ პოეტი ამასთან იყო «водный, сумевший придать национальный облик переводу персидской повести», თუ მას ტარიელისთვის «გულლახვარსობილს სდიოდა ცრემლი შეუშრობელი», თუ პოემის მთავარ გმირებს პოეტი ენას უჩლექს და ეუბნება: ტარიასა და ნესტან-ჯარს¹, დაუმატეთ ამას რუსთველის ჯადოსნური რითმა და ჩვენი მოხსენებით გამოთქმული მოსაზრება ზღაპრის მცველის შესახებ, მაშინ ნუთუ რუსთველის პიროვნების გენიოსად ჩათვლა ნაციონალური თვალსაზრისის მაჩვენებელია? ნუთუ შეცდომა იქნება ვთქვათ, რომ «ვეფხისტყაოსანი», რუსთველის ნაწარმოები, სპარსულ ამბავთან შედარებით გენიის უდიდესი და უმშვენიერესი ნაწარმოებია?

საქმეც ის არის, რომ «ვეფხისტყაოსანი» ყველა დღემდე ცნობილი ამბებისაგან იმით განირჩევა, რომ იქ შეერთებულია სადევგმირო და სამიჯნურო ამბების თვისებები, მასში დევებსა და ქაჯებთან ბრძოლასთან ერთად ვხედავთ უმაღლეს წერტილამდე განვითარებულს ქალ-ვაჟის სიყვარულს — წინააღმდეგ «ბაპრამგულიჯანიანისა» და «ბაპრამგულანდამიანისა», — ვხედავ განსაკუთრებულსა და მასთან გამორკვეულს მუშაობას. გენიალურ პოეტურ შემოქმედებას წრფელი რაინდული სიყვარულის დასახატავად....

გაზ. «იმერეთი», 1913, № 120, № 122.

¹ და არა შაპრიარსა და ნესტ ენდერ ჯაჰანს.

„ვეფხისტყაოსნის“ 22-ე გამოცემის შესავალი ნაჩილი

კოსტავაძე და მისი „ვეფხისტყაოსანი“

შ ე ს ა ვ ა ლ ი

რაც მეტს ვკითხულობთ «ვეფხისტყაოსანს», მით უფრო ვიმსჯვალებით საკვირველების გრძნობით მისი დამწერის გენიოსობისა და იშვიათის პოეტური შემოქმედებისადმი, მისი დაუღვეელი სიბრძნისადმი. იგია სიბრძნის ზღვა, ზღვა-სავეთ ღრმა და განუზომელი, იგია შემოქმედების სული, პოეტურის ზეშთაგონების უზენაესი ძალა. იგი, თვით ძლიერი სულით, სხვადასე ანიჭებს ძლიერებას, უნთებს სულს საღმრთო ცეცხლით. იგია ლამპარი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში წინ უძღოდა და დღესაც ასევე უძღვის ქართულს პოეტურ შემოქმედებას, და თამამად შეიძლება ითქვას, რუსთველი რომ არ ყოფილიყო, არც დღევანდელი მდიდარი ქართული ენა და პოეზია იქნებოდა. დღევანდელი პოეზია და ქართულის შემოქმედების სული პირდაპირ რუსთველისგან არის ნაბოძები. სამართლიანად ამბობს დ. გურამიშვილი:

«ოდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხეოდა,
ფესვდრმა ჰყო, შტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა,
ყოველგნით ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოირხეოდა,
და ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეოდა!..»

რუსთველის პიროვნება დღემდის საკვირველების გრძნობას იწვევს ჩვენში, იგი უცნაურია და საკვირველი სწორედ ისე, როგორც მისი პოეტური ჰანგები. ეს დიადი მოვლინება, ქართულის ლიტერატურის ისტორიაში გენიალობის ბეჭდით აღნიშნული, დღემდის სრულიად უცნობია და გამოურკვეველი. დღემდის არ ვიცით, ვინ იყო და როდის ცხოვრობდა იგი.

შვიდმა საუკუნემ გავლო მას შემდეგ, რაც ქართველის ერის გენიამ ჰპოვა თავისი გამოხატულება მის უკვდავ ქმნილებაში, და ჩვენ დღემდის გვინტერესებს და გვამოძრავეს იგი ისე, როგორც თანამედროვე: ყველგან, ყოველ წრესა და საზოგადოებაში გაისმის მისი ქმნილების ქება-დიდება. განათლებული ქვეყნები საჭიროდ თვლიან მის გადათარგმნას, რომ მათაც გაიზიარონ ის ალტაცება და სიამოვნება, რომელსაც იწვევს მისი ნაწარმოების გაცნობა.

ის ხიბლავს ყველას, ვისაც აინტერესებს ადამიანის ბუნების არსებითი მხარე და ამოძრავებს ადამიანის ბუნების ცოდნის სურვილი, მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენ დღემდის ვერ ვიცნობთ ამ ხალხის გენიას, თუმცა ვტკბებით მისი ნაწარმოებით, თუმცა სავსებით ვგრძნობთ მისი გენიალური შემოქმედების ძლევა-მოსილობას.

პოეტის პიროვნების შესახები ცნობების უქონლობა

რუსთველის პიროვნებისა და მისი ნაწარმოების შესახები ცნობების შესასწავლად ჩვეულებრივი კრიტიკული მეთოდი არ გამოდგება.

ჯერ ერთი, იგი არ არის თანამედროვე, რომლის შემოქმედებასა და პიროვნებაზე საჭირო ცნობები მოიპოვებოდეს, ან ისეთი მწერალი, რომლის შესახებ რამე ავტობიოგრაფიული, თვით ავტორისაგან დატოვებული ცნობები იყოს სადმე დაცული, ან რაიმე ისტორიული საბუთი მოიპოვებოდეს მისი სახელით. ამას ემატება, საუბედუროდ, ისიც, რომ არსად სხვა საბუთებში, არც პოეტის თანამედროვეთა ნაწერებში, არ აღმოჩენილა ისეთი ცნობა, რომლითაც შეგვეძლოს ასე თუ ისე მკრთალი წარმოდგენა მაინც ექონიოთ მის ვინაობასა და ცხოვრების დროზე.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩვენ სრულიად არაფერი ვიცით რუსთველის ცხოვრების შესახებ, არ ვიცით, როდის ცხოვრობდა იგი და სად როგორი განათლება მიიღო.

არ ვიცით არც ის, თუ რა მიზნით ან ვისთვის დასწერა მან ეს ნაწარმოები. დასასრულ, აღორძინების ხანამდე, არც ერთ ჩვენამდე მოღწეულ წერილობით საბუთებში მისი სახელისა და გვარის ხსენებაც კი არსად არის.

ყველაფერი ეს აიხსნება იმით, რომ ავტორი და მისი ნაწარმოები შორეულ წარსულს ეკუთვნის, და რომ მის დროსა და აღორძინების ხანას შუა ზღვარად ძვეს მთელი ოთხი საუკუნე — ეს დაცემისა და სულიერი და ნივთიერი კულტურის განადგურების ხანა. ამასთან კავშირი აქვს შემდეგ გარემოებასაც, რომელიც კიდევ უფრო აძნელებს პოეტის ენისა და ნაწარმოების კრიტიკულად შესწავლას, სახელდობრ, ჩვენ არ მოგვეძვეება არც ერთი ძველი ხელნაწერი, რომელიც XVII საუკ. შუა წლებს უსწრებდეს, არა გვაქვს არც პოემის ტექსტის სარწმუნო ვარიანტი.

II

წუაროები ბიოგრაფიის შესადგენად

მაგრამ, მეორე მხრით, მკვლევარს აქვს საშუალება შეადგინოს დაახლოებით მაინც პოეტის პიროვნებისა და მისი ცხოვრების შესახები სწორი წარმოდგენა. ჩვენ მოგვეპოვება ისეთი საბუთები, როგორიც არის ძველი ქართული საერო მწერლობის ნიმუშები. თვით პოეტის მიერ მის ნაწარმოებში გაკვრით ნაჩვენები ცნობები მის თანამედროვე მწერალთა ნაწარმოების შესახებ, მისივე შრომა, სადაც წარმოდგენილია პოეტისავე მსოფლმხედველობა, და პოემაში დაცული რეალობები, რომლების მიხედვით, შესაძლებელია პოეტის დროის შესახები აზრის შედგენა.

ეს ფაქტები შეგვიძლია შევაფასოთ ზეპირგარდმოცემით და თვით პოემის შესავალში დაცული ცნობებით, რომლებიც პოეტსაც რომ არ ეკუთვნოდეს, მაინც ძველისძველის ლიტერატურული ცნობების შემცველია.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა პოეტის ვინაობის საკითხები, თუ რა იყო პოეტის სახელი და გვარი, ვინ იყო და როდის ცხოვრობდა იგი.

სახელწოდება რუსთველი

პოეტის შესახები უძველესი ცნობა დაცულია თვით «ვეფხისტყაოსნის» შესავალში. იქ შესავლის VII და VIII ხანებში პოეტი თავის თავს რუსთველს უწოდებს. ამ შესავლის ხანების სიძველეს ადასტურებს ის ფაქტი, რომ მათ უკვე კითხულობდნენ მათ დროს არსებულ ხელნაწერებში ალორძინების პირველი ხანების პოეტები¹, როგორცაა: ერთი «იოსებზილიხანიანის» უცნობი მთარგმნელი², მეორეც «იოსებზილიხანიანისავე» მთარგმნელი თეიმურაზ პირველი. ორივე ეს პოეტები «იოსებზილიხანიანის» მთარგმნების შესავალში ადასტურებენ სიტყვებს: «დავჯე, რუსთველმან გაველქე» და «მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა...»

ამას გარდა, კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის «იოსებზილიხანიანის» შესავალი პირდაპირ ამტკიცებს, რომ თამარისა და დავით სოსლანის შესახები ხანები იმ ხელნაწერებში, რომლებიც მას ხელთ ჰქონია, უკვე არსებობდა. აი, ზოგიერთი საუურადღებო ადგილები ამ ხანებითგან:

«ესენი შოთა რუსთველმან შეამკო არსთა მკობითა,
თვით მინდობილმან სიბრძნისა, მერმე თამარის ხმობითა.
იტყვის: «ვპოეო ამბავი პირველ სპარსთაგან მბობითა».
...წვევედა სახმილი უშრეტი პირმზისა თამარ მეფისა...
...მეფეს ებრძანა სპარსული თქმად ქართულისა ენითა,
ლექსად თქმა მწადსო, უბრძანა ლალმან ბრძნად შუქთა ფენითა.
ნიჭი აღუთქო უზომო, მოაჯე ვარ მოქენითა,
და მიჯნური მიჯნურთ საქებრად დაჯდა გლახ ცრემლთა დენითა».

აი, აქედან აშკარად ჩანს, რომ თეიმურაზ პირველს, რომლის მოღვაწეობა XVII საუკ. პირველ ნახევარს ეკუთვნის, ხელთ ჰქონია ისეთი ხელნაწერი, რომლის შესავალში მოთავსებული ყოფილა №№ 599 და 2829 ხელნაწერებით უარყოფილი II—VII ხანები, რაც თავისი მხრით ამტკიცებს, რომ ეს ხანები პოეტის შესახები უძველესი ცნობის შემცველია³.

ამასთანავე თეიმურაზ პირველი თავის შესავალში, მოხსენებულ რუსთველს გარდა, გვაცნობს მის სახელსაც შოთას, რასაც არც პოემის შესავალი, არც ზემორედსახელელებული «იოსებზილიხანიანის» უცნობი მთარგმნელი არ იხსენიებენ.

ამნაირად «ვეფხისტყაოსნის» შესავალი და ალორძინების პირველი ხანების პოეტები ადასტურებენ ზეპირგარდმოცემის ცნობას იმის შესახებ, რომ პოეტის გვარი ყოფილა «რუსთველი», რასაც, თეიმურაზ I თავისი მხრით, უმატებს ზეპირგარდმოცემის ცნობას, რომლითაც პოეტის სახელი «შოთა» ყოფილა.

მაგრამ, საქმე ის არის, რომ არსად ისტორიულ საბუთებში შოთა რუსთველი არ იხსენიება. ამას გარდა, არც ერთი არსებული ვარიანტის ბოლომინაწერის ცნობა არ ეთანხმება შესავალის იმ ცნობას, რომ პოეტის სახელწოდება რუსთველია, პირიქით, ყველა ხელნაწერი, გარდა №№ 599 (1646 წლისა) და 4988, ასე კითხუ-

¹ Н. М а р р, ТР., IV, გვ. 57, შენიშვნა 3.

² ამის შესახებ იხ. Е. Т а к а и ш в и л и, Описание рук., 274.

³ Н. М а р р, ТР., IV, გვ. 57, შენიშვნა 3.

ლობს დასასრული ხანების ცნობილ ადგილს: «ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთ-ველისად ამისა»¹, რაც, ჩვენი აზრით, შემდეგი დროის პოეტი-ბიბლიოგრაფის მი-ნაწერია და ნიშნავს: ვწერ ვინმე მესხი, ამისი მელექსე რუსთველისად, ე. ი. რუსთ-ველისთვის.

საგულეველია, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის იმ მელექსეს, რომელსაც დიდი შრომა დასჭირვებია, რომ შეევსო თავისი ლექსებით ტექსტის დაღუპული ადგილე-ბი, რასაც იგი აღნიშნავს ზემომოტანილი სიტყვებით. ეს მელექსე, შესაძლებელია, მართლაც, მესხი უოფილიყოს (ამ ვინმე მესხის შესახებ, იხ. ქვემოთ, ხელნაწერებ-ზე სათაურით «საერთო სურათი»).

შესაძლებელია ისიც, რომ ვინმე მესხმა, რომელიც სამცხეში მდებარე დაბა რუსთავიდან იყო, რომ გაევერცელებია თავისი ვითომდა მასლობელობა რუსთ-ველთან, ამ ბოლო მინაწერით აღნიშნა, რომ იგი რუსთველის თემისაგან, ან დაბი-საგან არის.

მაშასადამე, ზემოხსენებული საბუთების მიხედვით, ვიცით მხოლოდ სახელ-წოდება რუსთველი და ამასთან ზეპირგარდმოცემით, პოეტის სახელი შო-თა. მაშასადამე, ყველაზე უწინ საკითხავია, თუ საიდან წარმოდგა პოეტის სახელ-წოდება რუსთველი?

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ძველ სახელოვან ისტორიულ პირთა გვარები, რომლებსაც იცავს «ქართლის ცხოვრება» და სხვა ისტორიული საბუთები, ყო-ველთვის ატარებენ იმ ადგილთა სახელებს, რომელთა მფლობელი ან უფროსი ისინი, ან მათი წინაპარნი უოფილან. ამასთან ეს ადგილები ცნობილი არიან, რო-გორც შესანიშნავი სტრატეგიული პუნქტი ან ისტორიულად რითიმე განთქმული. ამისდა მიხედვით აიხსნება ისეთი გვარის მაჩვენებელი სახელწოდება, როგორი-ცაა: ხონელი, ფანასკერტელი, თმოგველი და სხვა, რომელთა გვარების წარმოშო-ბას კავშირი აქვს ამა თუ იმ ადგილის ან ციხის მფლობელობასთან². სწორედ აგრევე უნდა აიხსნას სახელწოდება რუსთველი, რომელსაც აშკარა კავშირი აქვს რუსთავთან.

ხოლო რუსთავი ორია: ერთი დაბა რუსთავი სამცხეში, მესხეთში, ხოლო მეორე ქალაქი რუსთავი, რომელიც XII საუკუნეზე ბევრად ადრე ცნობილია «ქართლის ცხოვრებაში».

თუ სახეში მივიღებთ ზემორემოტანილ მოსაზრებას, მაშინ უფრო საგულევე-ბელია, საგვარეულო სახელწოდება რუსთველი წარმოშობილი იყოს იმ რუსთავი-საგან, რომელსაც მეტი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, და ამგვარი კი იყო, «ქართლის ცხოვრების» ცნობებით, ტფილისის მაზრაში მდებარე ძველი ჰერეთის ქალაქი რუსთავი³.

იგი «ქართლის ცხოვრებაში» ცნობილია ძალიან ადრე ბოსტან ქალაქის სა-ხელით. «ქართლის ცხოვრებაში» ნათქვამია, რომ ქართლოსის სიკვდილის შემდეგ «ცოლმან მისმან აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ქვეიან რუსთავი» («ქ. ცხ-ბა», 22, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა).

¹ 1646 წლის ვარიანტი: «მე რუსთველისა თემისა», იხ. ხელნაწერი № 599.

² იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, თმოგველთა გვარის ისტორია, ტფილისი, 1913 წ.

³ ამ აზრს ადასტურებს თეიმურაზ ბატონიშვილიც; იხ. მისი: «განმარტება ვეფხისტყაოსნის», 1843 წ. რუსთველი იყო «მთავარი რუსთავისა და თამარის მეჭურჭლეთუხუცესი»; შეად. იერუ-სალიმის გვარის მონასტრის აღაპები, H. M a p p, Bibl. arm.-georg., III, XXVIII, 49; ამავე მონასტრის კედელზე დასატული უოფილა სურათიც მინაწერით «რუსთველი».

მანვე «კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსაც აწუქვიან რუსთავი».

გიორგი IV შესახებ მატთანე მოგვითხრობს, რომ მან «უბოძა იოანეს სამშვილდე და ძესა იოანესსა ლიპარიტს მისცა ლოწობანი ნაცვლად რუსთავისა, რომელ მიეცა კახთა» («ქ. ცხ-ბა», 1, 235).

მეორე ადგილს რუსთავი მოხსენებულია მატთანეში, როგორც შესანიშნავი ქალაქი, რომელიც XI საუკ., დაე. აღმაშენებლის მეფობის დასაწყისში, თურქების ხელში ყოფილა. დავით აღმაშენებლის მემატთანე არსენი მოგვითხრობს:

«ვიდრე ამაღ ქამადმდე ქალაქი ტფილისი, რუსთავი, სომხითი და ყოველი სამშვილდე და აგარანი თურქთა აქენდეს» («ქ. ც-ბა», 1, 244).

«წარილო ჭყონდიდელმან რუსთავიცა მეფის მუხნარს ყოფასა, ქორონიკონი იყო 335, რომლისთუისცა დიდად წყენა შეექმნა თურქთა და რიდობა საზამთროთა ადგილთა დგომისა» («ქ. ც-ბა», 1, 245).

ამნაირად, მემატთანის მოწმობით, რუსთავი შესანიშნავი ქალაქი ყოფილა, მის დაკარგვას თურქები ძალიან შეუწუხებია.

თამარ მეფის მემატთანის მოწმობით, ზაქარია მხარგრძელს, ამირსპასალარობასთან ერთად, «მოუმატეს ქალაქიცა რუსთავი მოყმესა ღირსსა სპასპეტობისასა» («ქ. ც-ბა», 297).

ამას გარდა, 1722 წ. «ღვთაების გუჯარში»¹ პირდაპირ ნათქვამია, რომ «ბოსტან ქალაქი სამწყსოდ და სამრევლოდ მღვთაებისა საყდრისა» ყოფილა შეწირული დიდისა და ღვთივე ბრწყინვალისა მეფის თამარის მიერ. და რომ «რუსთველად ამის მიზეზისათვის უწოდებიან რუსთველისათვის, რომე რუსთავ ამა ქალაქს უქმობენ».

ამ საინტერესო ცნობის შემდეგ, რომლიდანაც პირდაპირ ჩანს, რომ რუსთველი ამ მიზეზისათვის უწოდებიან რუსთველისათვის, გუჯარში მოთხრობილია შემდეგი:

«ამ ბოსტან ქალაქსა შინა მამულნი და საყდარნი, მეტოქნი მღვთაებისა სახელსა ზედა აღშენებულნი ქონიან გლეხნი სამოცდაშვიდნი და აბრეშუმნი კემწიფით შესავალით თორმეტნი ბათმანი, ხოლო ხუთი მის ქალაქით. ორმოცი ლიტრიანი ცვილნი, ორასი ლიტრა ჩამოსხმულნი. ესრეთ ვიუწყეთ ძველთა მონახულთა მოხელეთაგან და მეფეთა გუჯართაგანცა და ჩვენცა ვითა ვიუწყეთ, აგრეთვე დაეწერეთ ამა გუჯართავე შინა, რათა არა უწერლად ყოფამა დაავიწყოს შვილთა ეკლესიისათა».

ეს უკანასკნელი ცნობა, რომელიც დაცულია «ღვთაების გუჯარში», იმით არის საინტერესო, რომ გუჯარის დამწერს უსარგებლებია «ძველთა მონახულთა მოხელეთაგან», ე. ი. ძველი საბუთების მცოდნე მოხელეთა ცნობებით და მეფეების გუჯარებით, სადაც, სხვათა შორის, დაცული ყოფილა ცნობა იმის შესახებ, რომ რუსთველი ამის მიზეზისათვის უწოდებიან რუსთველისათვის, რომ «რუსთავ ამა ალაგს უქმობენ».

მაშასადამე, ეს საბუთი, რომელიც უძველესი ძეგლების მიხედვით ყოფილა შედგენილი, ადასტურებს იმ აზრს, რომ სახელწოდება რუსთველი წარმომდგარია

¹ ამ ბოლო დროს ტექსტი ვაშოსცა ს. კაკაბაძემ, «ისტორიული საბუთები», I, 34.

ქალაქ რუსთავისაგან, რომელიც თამარ მეფის დროს დიდი საეპისკოპოსო ქალაქი ყოფილა, სადაც რუსთველ ეპისკოპოსის 67 კომლი გლეხი ჰყოლია.

ამნაირად, ზემოდასახელებული წყაროების მიხედვით, პოეტის სახელწოდება რუსთველი შეკავშირებული უნდა იყოს ქალაქ რუსთავთან, რომლის მთავარი, გამგე ან მესაკუთრე, იყო პოეტი.

რომ. სახელდობრ, ეს ტფილისის ახლო მდებარე ქალაქი უნდა ყოფილიყო პოეტის ადგილსამყოფელი, ამას რამდენადმე გვაფიქრებებს შემდეგი შედარება «ვეფხისტყაოსანში»:

«ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქალსა».

(«ვეფხ.ტყ.», 24, 1 [55]).

როგორც ზევით იყო ნაჩვენები, «ქ. ც-ბით». რუსთავი დავით აღმაშენებლის მეფობის პირველ ხანებში თურქებს ეჭირათ. მაშასადამე, პოეტის სამშობლო ქალაქის მკვიდრთ გამოუცდათ, როგორც თურქთა ბატონობა, ისე შემდეგში მათი განდევნა. ამიტომ მსგავსი შედარება რუსთველის პოეტის მხრივ სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, რადგან საგულეებელია, რომ პოეტის მხრით ამგვარი შედარება ადგილობრივი ხასიათისადაც იყოს.

IV

პოეტის სახელი

პოეტის სახელი ზეპირგადმოცემით შოთა იყო. სახელი შოთა პირველად გვხვდება თამარ მეფის ერთ სიგელში¹, რომელიც 1896 წელს გამოაქვეყნა თ. ქორდანიამ.

სიგელი ხელმოწერილია თამარის დროის ისტორიულ პირთაგან: ჭიბაერის, შოთასა, თევდორე კათალიკოზისა და სხვათაგან. ამ მოხსენებულ შოთას გარდა, ჩვენს ისტორიულ საბუთებში იხსენიება კიდევ ორი შოთა: ერთი ართავაჩოს ძე 1177 წ. დასჯილი, როგორც გიორგი მეფის შინა გამცემი (იხ. «ქ. ც-ბა», 273), ხოლო მეორე რუსუდანის თანამედროვე შოთა კუპრი (იქვე: 362, 364, 375 და შუალ. მარია მდინარის ვარიანტი, 605, 634).

ძნელი დასაჯერებელია, რომ გიორგი მეფის გამცემი შოთა ართავაჩოს ძე ყოფილიყო «ვეფხისტყაოსნის» დამწერი. იმდროის საერო მწერლობაზე არავითარი ცნობა არა გვაქვს. ამასთან რაღა მოღალატე და საქვეყნოდ დასჯილი უნდა ყოფილიყო ღირსშესანიშნავი პიროვნება!

არც მეორე, ე. ი. რუსუდანის თანამედროვე შოთა კუპრი შეიძლება მიღებულ იქმნას შესანიშნავ პიროვნებად, რადგან იგი მატრიანეში მოხსენებულია ისეთ ამაღლაში, სადაც სარგის თმოგველი დახასიათებულია, როგორც «კაცი სწავლული, ფილასოფოსი და მრავალღონე» და სრულიადაც არაფერია ნათქვამი შოთა კუპრის სწავლულებაზე.

მაშასადამე, ერთადერთი შოთა, რომელიც, ისიც მარტოოდენ სახელის მიხედვით, მისაღება სახელოვან მგოსნად და «ვეფხისტყაოსნის» შემქმნელად, არის შოთა. რომელიც სხვა წარჩინებულ პირებთან ერთად აწერს ხელს თამარ მეფის სიგელს.

¹ იხ. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, თბ., 1896.

სამწუხაროდ, იქ ნათქვამია მხოლოდ: «ქ. მე შოთაი ჩემს ქინოენის ქონებასაც შიგა ამას ვამტკიცებ, ვითა ამასა შიგა სწერია».

ეს ერთადერთი ყრუ ცნობა მოგვეპოვება მხოლოდ სახელ შოთას შესახებ.

ამნაირად, პოეტის სახელისა¹ და სახელწოდების გამოსარკვევად იძულებული ვართ ვიხელმძღვანელოთ ცნობილი ლიტერატურული ტრადიციებით და თეორიულად მაინც დავასკვნათ რაიმე ამ საკითხის შესახებ.

ჩვენი აზრით, შეუძლებელია, ლიტერატურულ გარდმოცემებს ჩვენი პოეტის შესახებ არავითარი საფუძველი არა ჰქონდეს: სახელისა და გვარის სრულიად უსაფუძვლოდ შეთხზვა შეუძლებელია. ისეთი სახელოვანი მელექსე, როგორც არის შოთა რუსთველი, ასე თუ ისე უნდა აღბეჭდილიყო შთამომავლობის ხსოვნაში.

ამიტომ «ვეფხისტყაოსნის» უკანასკნელი ტაეპის ცნობა:

«ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუშრობელსაო»², სრულიად უსაფუძვლოდ ვერ ჩაითვლება. მით უმეტეს, რომ მას ამოწმებენ აღორძინების პირველის ხანების შესანიშნავი მელექსენი.

V

პოეტის ეპოქა

იმგვარსავე მდგომარეობაში, როგორც პოეტის სახელისა და გვარის საკითხი, არის მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროც.

ეს ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი კიდევ უფრო ცხოველ ინტერესს იწვევს მას შემდეგ, რაც ბ. ს. კაკაბაძემ ქართული თეატრის დარბაზში საჯარო ლექცია წაიკითხა. ბ. კაკაბაძე თავის მოხსენებაში შეეცადა დაერღვია პოეტის ცხოვრების შესახები ტრადიციონული ცნობები, რომლების მიხედვით პოეტს დიდი თამარის ეპოქის შვილად თვლიან. ამისთვის მომხსენებელმა იმოწმა მის მიერვე შედგენილი საქართველოს მეფეთა დინასტია, XIII—XV საუკ., რომლის მიხედვით XV საუკ. დასაწყისში აფხაზეთ-იმერეთში მეფობდა თამარ მეფე. მისი თანამედროვე იყო დავით სომხითისა და მისი მიდამოების მეფე, რომელიც ტახტზე ასულა 1405 წ. ამ დავითს, რომელსაც ჰყვარებია აფხაზეთ-იმერეთის მეფე თამარი, თავის სატრფოს საქებ-სადიდებლად შეუკვეთია პოეტისთვის «ვეფხისტყაოსანი».

ბ. კაკაბაძის მოსაზრებას არავითარი ნიადაგი არა ჰქონდა, რადგან იგი სრულეობით არ შეხებია თავის მოხსენებაში იმ საკითხს, თუ რა კავშირი აქვს «ვეფხისტყაოსანს» მის მიერ წარმოდგენილ აფხაზეთ-იმერეთის მეფის თამარის პიროვნებასთან, კრინტიც არ დაუძრავს იმ საკითხის შესახებ, შესაძლებელი იყო თუ არა XV საუკ. დასაწყისში «ვეფხისტყაოსნის» მსგავსის კლასიკურის ნაწარმოების შექმნა.

როგორც ჩვენ უკვე გამოვთქვით, «ვეფხისტყაოსანი» კარის მწერლობის

¹ თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობას შოთას მეჭურჭლეთუხუცესობის შესახებ ადასტურებს იერუსალიმის გვარის მონასტრის აღაპები: II. Мapp. Bibl. arm.-geor., III. XXVIII, 49: «ორშაბათსა სულის წს მოსლვისა წირვა-აღაპი შოთასა მეჭურჭლეთუხუცესისა შ-ნა ლ-ნ».

² არ არსებობს არც ერთი ვარიანტი, რომელიც უარყოფდეს პოემის ამ უკანასკნელ ტაეს.

ვეწმარტი გამოხატულებაა, ხოლო კარის მწერლობა ყოველთვის ისტორიულ წარსულში ყოფილა სახელმწიფოს აუვაებისა და კულტურულის განვითარების ნაყოფი; XIII საუკ. მეორე ნახევრიდან დაწყებული, ამგვარი ხანა ჩვენმა წარსულმა არ იცის.

მაშასადამე, ფაქტების უქონლობის გამო, მხოლოდ ნაძალადევად შეგვიძლია მივაკუთნოთ რომელსამე სხვა ეპოქას, თუ არა კლასიკურს, ჩვენი პოეტის დრო და მისი ნაწარმოები.

...ჯერ საჭიროა დამტკიცდეს უტყუარი საბუთებით, რომ საქართველოს პოლიტიკურად დაცემისა და, მაშასადამე, მეფის უფლებების შესუსტების ხანაში, არსებობდა ოდესმე განცხობველებული კარის მწერლობა, რომელიც შემდეგ მისაბაძი გახდა, ე. ი. უნდა დამტკიცდეს, რომ ოქროს ეპოქად მიჩნეულის XII საუკ. და XIII საუკ. პირველის წლების შემდეგ ყოფილა კიდევ, დიდი თამარის გარდა, სხვა პიროვნება, მასავით დიდებული და შარავანდდით მოსილი, რომლის დროს სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებაც აგრევე კარის მწერლობის ხელის შემწყობი ყოფილიყოს, როგორც თამარის ბრწყინვალე ხანაში, სადაც ლიტერატურულ ნაწარმოებს თავისებური კლასიკური მწერლობის ბეჭედი აზის.

XIII საუკ. 36 წლიდან მონგოლების, ხვარაზმელი შაპებისა და თათრის ელემენტის გაძლიერების შემდეგ, ჩვენში არა თუ ადგილი აღარა ჰქონდა კლასიკურ მწერლობას, პირიქით, საზოგადოდ სწავლა-განათლებლაზეც კი ძნელი იყო ფიქრი.

ეს ხანა, რომელიც სამართლიანად წოდებულია დაცემის ხანად, უსაშინელესი დრო იყო საქართველოს პოლიტიკური და ლიტერატურული ცხოვრებისთვის. ამ დროს სრულიად მიწყდა მწიგნობრული ცხოვრება როგორც სასულიერო, ისე საერო, და ლიტერატურული ცხოვრება შესაძლებელი იყო მხოლოდ საქართველოს გარეთ პალესტინასა და სინაზე. და აქ ყველაზე უფრო საგულისხმეირაა შემდეგი კლასიკურის ეპოქის დამახასიათებელი მოვლენა.

ცნობილაა, რომ დაჩაგრული ერი თავის დღეში ვერ შეძლებს რაინდის იდელების შექმნას. მტრისგან დამონება და დაჩაგვრა ერს გულს უტეხს სააქაოზე და იწვევს მასში მისტიკურს, ანუ ასკეტურს სასულიერო მიდრეკილებას. დაბეჩავებულ მდგომარეობაში მყოფი ერი ვერ შექმნის საერო მსოფლმხედველობას. «ვეფხისტყაოსანი» კი დამახასიათებელია პოეტის ეპოქაში გაბატონებული წმინდა რაინდული მიმართულებისა, რომლის მიხედვით საერო (ამ ქვეყნიური) მსოფლმხედველობა აშკარად იმარჯვებს სასულიეროზე. სრულიად ბუნებრივია წარმოვიდგინოთ, რომ შეუდარებელი რაინდობა და ქალის კულტი რუსთაველის პოემაში, რაც ისე ნიჭიერად დაგვისურათა პატივეცემულმა ნ. მარმა, იყო ერთი უმთავრესი შედეგთავანი სახელმწიფოებრიობის შექმნისათვის ბრძოლისა.

ამ ბრძოლის ნიადაგზე შემუშავდა იდეალები რაინდისა, რომელიც თავის უმთავრეს მოვალეობად თვლიდა მეფისა და მამულისთვის თავის გაწირვას. ამ გარემოებამ არსებითად შეცვალა ის სასულიერო მიდრეკილება, რომელიც შექმნა ქრისტიანულმა ასკეტიზმმა.

დავით აღმაშენებლისა და თამარის საქართველოს ძლიერისა და უშიშარი სახელმწიფოს შექმნამდე და მეფის პიროვნების გაძლიერებამდე, რაც ხანგრძლივი რაინდული ბრძოლის ნაყოფი იყო, ქართველის მსოფლმხედველობა ვერ გასცილებოდა ქრისტიანული ასკეტიზმის ვიწრო ფარგალს. მანამდი ამქვეყნიური ცხოვრება ქართველის წარმოდგენაში შეადგენდა მხოლოდ ხორციელ ვნებათა და ცოდვით საესე, საქვენაო და ფუჭ, წარმავალ ფუფუნებათა გროვას; იდეალი იყო მხოლოდ

ამ ქვეყნის გარეშე, საიქოს. სულის ცხოვნება, ზეციური სასუფეველის მოპოვება. შესაძლებელი იყო მხოლოდ მონასტერში. ახლა კი რაინდულს ბრძოლას წინ წარმოუდგა მაღალი იდეალური მიზანი: სარწმუნოების მტრებთან ბრძოლა შეიქნა ისეთივე სწორი საშუალება ზეციური სასუფეველის მოსაპოვებლად, როგორც წინათ ხორცის მოწყვედა იყო. ამასთან ერთად საუკეთესო ნიადაგი მოუპოვა ამგვარი მიმართულების შექმნას საბერძნეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციისა და ფუფუნების გაცნობამ. ყველა ეს ამქვეყნიურ ცხოვრებას მოსაედა საარაკო მშვენიერებით და ხდიდა მას მხიბლავ ძალად.

და აი სწორედ ამ დროს დალაგდა ის საკარო ცხოვრება, რომლის სულისჩამდგმელი და განმაცხოვრებელი ეთეროვანი თამარის პიროვნება იყო.

თამარის ციურმა სახემ, მისმა საოცნებო შვენიერებამ და სამეფო ჭკუამ მეტისმეტად აამაღლა მეფის უფლება და შეუწყო ხელი მისი პიროვნების გაღმერთებას. მისმა ჰაეროვანებამ და სანდომიანმა სახემ ზეშთააგონა თანამედროვე მელექსეებს მუხა, რამაც გამოიწვია კარის მწერლობის გავითარება. მაშინდელი სპარსული ლიტერატურა, რომლის გამომხატველია ფირდოუსის «შაჰნამე» და ყაზნის სულთნის შაჰმუდის კარზე კარის მწერლობის უმაღლეს წერტილამდის განვითარება, ყველაზე უფრო შეესაბამებოდა თავისი შინაარსით თამარის ბრწყინვალე ეპოქის საერო მიმართულებას.

ამიტომაც, სპარსული ლიტერატურის გავლენა ბუნებრივად შემოიჭრა ქართველი საზოგადოების კარის კაცთა უმაღლეს წრეში. კარის მწერალთა განსაკუთრებული ყურადღება მოიპოვა სპარსულის ლიტერატურის ეპიკურმა სადევგმირო ამბებმა და რომანტიულმა სიუჟეტებმა.

ამიტომაც ამ წრიდან გამოსული საერო მწერლები იწყებენ ჯერ თარგმნას, შემდეგ კი თითონაც წერენ სპარსული ნიმუშების მიბაძვით. ამნაირად, ამ კლასიკურ ეპოქაში ჩვენ ვპოულობთ იმდროინდელი სპარსული მწერლობის ყველა საუკეთესო ნიმუშს. ეს ლიტერატურა ჩვენშიაც, ისე როგორც სპარსეთში, საკარო იყო. ამ ლიტერატურის სამკაულს შეადგენენ ხოტბები, მიმართული მეფის პიროვნებისადმი, («აბდულმესიანი» და «თამარიანი») და იმგვარი თარგმანები, როგორიცაა: «ვისრამიანი» ან გადმოკეთებანი, როგორიცაა «ამირანდარეჯანიანი».

ამ სახით წარმოგვიდგება კლასიკური მწერლობის საერთო სურათი. მაგრამ აქ იბადება მეტად ძნელი საკითხი. სახელდობრ, თუ როდის არის დაწერილი რუსთაველის «ვეფხისტყაოსანი», თამარის სიცოცხლეში, თუ მისი სიკვდილის შემდეგ ანდა, კიდევ, შესაძლებელია თუ არა, იმგვარი ხასიათის ნაწარმოები დაეწერათ სხვა დროს, ანუ საქართველოს დაცემის ხანაში.

ამ საკითხებისთვის ჯერ უნდა მივმართოთ ერთადერთ წყაროს, სახელდობრ, «ვეფხისტყაოსნის» შესავალს, სადაც, ჩვენი აზრით, დაცულია პოეტის შესახები უძველესი ცნობები.

ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს «ვეფხისტყაოსნის» შესავალი, ერთი რამ ეჭვს გარეშე: იგი დიდის ხნის დაწერილია და, მაშასადამე, ძველი ლიტერატურულის ცნობების შემცველია.

ამიტომ სხვა ცნობების უქონლობის გამო, ჯერჯერობით მაინც, სანამ ამის უარყოფელი ისტორიული საბუთი არ აღმოჩნდება, პოეტის შესახები ცნობების შესაკრებად ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ ერთადერთი წყაროთი.

ამ შესავალიდან ჩვენი პოეტის პიროვნების შესახებ შემდეგ ვტყობილობთ: იგი ყოფილა ცნობილი მელექსე, რომელსაც მიუძღენია სხვა დროსაც თამარ

მეფისთვის ხოტბა («ეთქვენი ქებანი ვისნი მე»). ამისთვის უხმარია გიშრის ტბა მელნად და მინასავეთ ნაზი ტანი კალმად («მინა რხეული»), რასაც მსმენელთათვის ლახვარი დაუსვია გულსა.

მისთვის უბრძანებიათ «მათდა საქებრად» (ე. ი. სასახელოდ მათდა, ანუ უკეთ, მათი მეფობის უკვდავსაყოფელად) «თქმა ლექსებისა ტკბილისა, ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა» და, როგორც «გრდემლი ტყევისა ლბილისა» მაგარ ქვასაც კი გასტეხს, ისე ის დაუმორჩილებია ქელმწიფე ქალის ბრძანებასო.

ამიტომ უპოვია მას «ეს ამბავი, ხელის-ხელ საგოგმანები» (პოეტის შემოქმედებისთვის სახელდახელო), მიუჩნევია ობოლ მარგალიტად («ვით მარგალიტა ობოლი») და გაულექსავს.

ყველა ეს შეამთხვია («დამმართოს») მას მისმან ხელ-მქმნელმან, ლაღმან და ლამაზმან. ეს არის მიზეზი, რომ მას «მისდომია ველთა რბენა», გაჭრა მიჯნურთა ჩვეულებისამებრ. ამიტომ გვთხოვს ის, შევავედროთ იგი მას, ვისაც ძალუქს ქორცთა დაწვა და სულთა ლხენა. მე რუსთველიო, აცხადებს ის, ხელობითა ვიქმ ამ საქმესაო, «ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკედარი».

ამნაირად, ამ ერთადერთ ცნობას თუ ვერწმუნებით. უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტი მეფის ბრძანების თანახმად ხდება მიჯნური, იგი დაუძლურებულა მიჯნურთათვის, —

«ველა წამალი არსით არი, ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარიო», ამბობს იგი.

ჩვენი აზრით, თუ ასე გავიგებთ პოემის შესავლის სიტყვებს ხელი ვინმე მელექსის შესახებ, რომელიც თავისთავს რუსთველს უწოდებს, მაშინ სრულიად ადვილი წარმოსადგენი იქნება ის მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებოდა კარის მელექსე, რომელიც წერდა «ვეფხისტყაოსნის» მსგავს წიგნს: პოეტი ასრულებს კარის მგოსნის ჩვეულებრივ მოვალეობას — მიჯნურობის წესს; ემორჩილება ეთეროვანის დედოფლის ბრძანებას და ხელობს, მიჯნურდება მისთვის და კიდევ გამოარჩევს სამიჯნურო ამბავს, რომ გალექსოს იგი მათდა საქებ-სადიდებლად. მათი მეფობის უკვდავსაყოფელად.

ცხადია, მიჯნურობა, ხელობა, ერთ წესად იყო მიჩნეული საშუალო საუკუნის საქართველოს კარის მელექსეთაგან.

ეს რამდენადმე ჩანს «ვეფხისტყაოსნის» ერთი ხანიდგან, სადაც ასმათი, ავთანდილის მიჯნურობის გაგონებაზე, უპასუხებს მას:

«აწ მოყვარე გიპოვნივარ დისაგანცა უფრო დესი».

საზოგადოდ, «ვეფხისტყაოსნით», მიჯნურობის წესის ამსრულებელი დიდი პატივისცემისა და მორჩილების ღირსად ითვლებოდა; მას ემონებოდა და ემსახურებოდა ყველა წესიერი ადამიანი, როგორც მანდილოსანი, ისე მამაკაცი და განსაკუთრებით კი — რაინდი. ამიტომაც, დიდი უურაღლებით ეპყრობოდა თავის მოვალეობას მგოსანი, რომელიც სამიჯნურო ამბებს თხზავდა: იგი მოგაგონებდათ ნამდვილს პროფესიულ მოხელეს, რომელსაც უნდა შეესრულებია მგოსანი — მიჯნურის ერთი მოვალეობათაგანი:

«ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა».

ეს მას ღიდად სასახელოდ მიაჩნდა, და არა სათაკილოდ:

«ჩემი აწ სცანით, ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია,
ეს მიჩანს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია,
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა ჯიქია,
და მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქუამს, მიქია».

ცხადია ზემორეთქმულიდან, რომ პოეტი, რომელსაც გაუღექსავეს ეს სპარსულად ნათარგმანები ამბავი, ასრულებდა ეთეროვანი დედოფლის ბრძანებას, რაც გამოიხატებოდა ტკბილი ლექსების თქმაში მათდა საქებრად და სადიდებლად.

ამნაირად, პოემის შესავლის ხანებში დაცული ცნობებით, პოეტი ყოფილა დიდი თამარის დროის ცნობილი კარის მწერალი, რომლისთვისაც თამარს შეუქვეთია «ტკბილის ლექსების თქმა მათდა საქებრად — ქება წარბთა, წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა».

ახლა, ვთქვათ, პოემის შესავლის ეს ცნობები სარწმუნო არ არის, და წარმოვიდგინოთ დროებით ის, რომ პოეტი არაკლასიკური ეპოქის შეილია.

მაშინ, როგორ უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ რუსთველი თავისი მსოფლმხედველობით გარკვეული ფილოსოფიური სკოლის — ნეოპლატონური მოძღვრების მიმდევარია. დღეს ეს სომს საკმაოდ გამორკვეულია, რადგან ნაჩვენებია წყარო, საიდანაც სესხულობს სიბრძნეს პოეტი¹.

მაშასადამე, თუ ჩვენ მივაკუთნებთ რუსთველს არა კლასიკურ ხანას, არამედ X IV—X V საუკუნეებს, ე. ი. დაცემის ხანას, მაშინ უნდა დავამტკიცოთ ისიც, რომ ჩვენს პოეტს თავისი ნაწარმოები მზამზარეული აუღია და სრულიად უცვლელად გაუღექსავეს, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ კლასიკური ხანის შემდეგ საქართველოში შესაძლებელი ყოფილიყო რაიმე გარკვეული ფილოსოფიური მიმართულების შექმნა; მით უმეტეს, რომ ამ დროს აღარ არსებობს ჩვენში არავითარი არც ელინური, არც არაბული ცივილიზაციის შემომტანი სკოლა.

ამას გარდა, რაინდული იდეალების შექმნისთვის, როგორც ჩვენ ზემორე მოვიხსენიეთ, კლასიკური ხანა საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენდა.

ამიტომაც, ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ღრმააზროვანი და თავის თანამედროვეებზე გონებრივად მაღლა მდგარი პოეტი-მონარქისტი ყოფილიყო მეფის გავლენის შესუსტებისა და სახელმწიფოს დაქსაქსვის ხანაში.

ეს წარმოუდგენელია ნამეტურ იმიტომ, რომ «ვეფხისტყაოსანში» სულ საწინააღმდეგოს ვხედავთ.

აქ, პირიქით, გაღმერთებულია მეფის პიროვნება, რაც სრულიად ბუნებრივია და მოსალოდნელი კლასიკური ეპოქის პოეტ-მოქალაქისაგან, რომელიც იმავე დროს იდეალური რაინდი იყო.

მეფის თავყვანისცემა და მის წინ თავის მოხრა, მეფის რიდი და კრძალვა ერთნაირად მიღებულია, როგორც «ვეფხისტყაოსანში», ისე «ამირანდარეჯანიანში». მოვიტან მაგალითებს:

ტარიელი, რომელიც არ დაინდობს და «მტერთაცა საწყალობელად» დახდის როსტყვანის მასთან მიგზავნილ ჯერ მონებს და მერე მთელ ლაშქარს, როგორც კი დაინახავს მის შესაპყრობლად გაკიდებულ მეფეს, ჰკრავს მათრახს თავის ცხენს და მასვე წამს გადაიკარგება.

შემდეგში ასე უამბობს იგი ამის შესახებ თავის ძმადნაფიც ავთანდილს ქვაბში:

¹ H. Mapp. TP, XII, გვ. XLVI, § 10.

«მოვიხედე, მამეწია, რა პატრონი შენი, ვნახე,
ჯელმწიფობით შემებრალნეს, ამაღ ჯელი არ შევახე,
თვალთა წინა გამოვექეც, მეტი არა შეუზრახე».

[294]

ცბიერის რამაზ მეფის საომრად გამზადებული ტარიელი ეუბნება თავის სპას:
«ვინცა მოკვდეს მეფეთათვის სულნი მათნი ზეცას რბიან»¹.

[440]

ამგვარსავე მეფის თაყვანისცემას და მეფის პიროვნების წინ რაინდის თავის
მოხრას ვხვდებით «ამირანდარეჯანიანშიც»:

სინთა მეფის შვილის სიმონის მხრით ბრძოლად გაწვევაზე ამირან დარეჯანის
ძე ამგვარ პასუხს იძლევა:

«მე უოველთა მეფეთა მონა ვარ და არავის ვაკადრებ ომსა».

ამ მოპირდაპირე მეფის ცბიერი ქცევის მიუხედავად, ამირან დარეჯანის ძე
მაინც კიდევ არ იმეტებს მას სასიკვდილოდ: ცხენს რომ მოუკლავს და დაამარ-
ცხებს, ეს უძლეველი გმირი რაინდი უეცრად ლბება და დიდი პატივით ეპურობა
დამარცხებულ მეფეს:

«ვითა ცოტა უმა, ესრეთ მკლავთა ზედან აიყვანა და პრქვა:

«შემინდევ, სვიმონ მეფეო! რად გინდოდა ომი ჩემიო!»

ამგვარი რიდით ექცევა ეს გმირი ხვასრო ხაზართა მეფესაც, რომელსაც იგი
ბრძოლად გაწვევაზე უპასუხებს:

«ვითა უწუის ღმერთმან, მე ნებითა ჩემითა არ ვებრძვი ჯელმწიფეთა, ამაღ
რომე არამცა ფათერაკი და მოკვდეს რომელიმე ჯელითა ჩემითაო, არა ჯერარს
აზნაურთაგან მეფეთა სიკვდილი!» (იხ. «ამირანდარეჯ.», გვ. 89—90).

ამ მეფესაც სულგრძელად და ღმობიერად ეპურობა და აპატიებს ბრძოლის
დროს ჩადენილ ვერაგობას ამ სიტყვებით:

«ზენაარმან ღმრთისამან და თავმან პატრონისა ჩემისა ამირ მუმლისამან,
თუმცა ჯელმწიფე არ იყო, მკვდარ ხარ აწვე ჯელითა ჩემითა» (იხ. «ამირანდარეჯ.»,
გვ. 92, სტრ. 10).

აგრევე ეპურობა მეფეებს «ამირანდარეჯანიანის» მეორე გამორჩენილი რაინდი
ამბრი არაბი, რომელმაც დაატყვევა ჯერ უცნობი ხანთა მეფე, ხოლო რომ გაიგო,
ხანთა მეფეაო, გარდახდა იგი ცხენითგან, თაყვანი სცა შეპურობილ მეფეს და
მოაჯსენა:

«შემინდევ, მეფეო! მე მონა ვარ, და შენ — დიდი ჯელმწიფე, არა ეგების ჩემ-
გან სიკვდილი შენი და არცა საპატიმროდ წარყვანებაო!» ამ სიტყვებით გაათავი-
სუფლა მან მოპირდაპირე ხელმწიფე.

ამნაირად, ამ ზემომოტანილი მაგალითების მიხედვით რუსთველი ნამდვილი
XII საუკ. საქართველოს რაინდული ეპოქის ჭეშმარიტი მოქალაქეა; ეს ეპოქა კი
წმინდა კლასიკური იყო.

რუსთველის კლასიკური ეპოქისთვის მიკუთვნებას ამართლებს აგრეთვე ზო-
გიერთი ტერმინი, რომლებიც საერთოა «ვისრამიანსა» და «ვეფხისტყაოსანში».
თუმცა გამორკვეული არ არის «ვისრამიანის» თარგმნის დრო, რადგან არავითა-
რი ცნობა არც ავტორის ვინაობისა და არც ამ ნაწარმოების შესახებ ქართულ
წყაროებში არ მოიპოვება, მაგრამ, უოველ ეჭვს გარეშეა, იგი კლასიკურ ეპოქას

¹ იხ. ჩვენი წერილი «ვეფხისტყაოსანზე». — «ძველი საქართველო», ტ. 1, გვ. 98.

უნდა ეკუთვნოდეს: იმგვარი ცეცხლის კულტის აღმსარებელი ნაწარმოები, რომელიც ქრისტიანული მოძღვრების აშკარა წინააღმდეგია, შესაძლებელი იყო ეთარგმნათ ისეთ ეპოქაში, როდესაც საერო მსოფლმხედველობა იმარჯვებს სასულიეროზე; ამგვარი კი გახლდათ სწორედ კლასიკური ხანა. ამას გარდა, ამ ნაწარმოებს არაბულ-სპარსული კულტურის ძლიერი გავლენა ატყუია. კლასიკური ენა და ის გარემოება, რომ მთარგმნელს ჩინებულად სცოდნია სპარსული ენა, ამტკიცებს, რომ ის ეკუთვნის კლასიკურ ეპოქას. როდესაც არსებობდა სკოლები, სადაც ასწავლიდნენ არაბულსა და სპარსულ ენებს.

უოველ ეჭვს გარეშეა, რომ «ვისრამიანი» «ვეფხისტყაოსანზე» აღწეა დაწერილი. ამას მოწმობს არა ერთგზის რუსთველის მიერ რამინისა და ვისის ხსენება თავის ნაწარმოებში. ამას გარდა, რუსთველი ისეთი კილოთი ლაპარაკობს «ვისრამიანის» გმირებზე, თითქოს ეჯიბრებოდეს მის მთარგმნელს მიჯნურობის დასატყაში, რაც გვაფიქრებინებს, რომ «ვისრამიანის» მთარგმნელი რუსთველის უფროსი თანამედროვე უნდა იყოს¹.

ტერმინების მხრით სრული ერთნაირობა არსებობს «ვისრამიანსა» და «ვეფხისტყაოსანს» შორის; ამ მხრივ უურადღებას იპყრობს ძველის ფულების სახელწოდებანი დრამა და დრაჰკანი. ამათში დრამა ძველისძველია; მას საწყაოს მნიშვნელობაც აქვს.

«ვისრ.»., გვ. 58, სტრ. 10: — «თუ ერთი დრამა დაგიკარგავს, ნაცვლად ღმერთსა თუალი პატიოსანი მოუცემია».

«ვეფხისტყაოს.»., 624,4[686]:

«უხეად გასცეს საბოძვარი, მარგალიტი, ვითა დრამა».

იქვე, 484,3 [544]:

«ჩემია მკვიდრი მამული, არ მიეცემ არცა დრამასა».

იქვე, 927,3 [1062]:

«მოასხეს კაცნი შვიდაენი, დამზადებული დრამითა».

იქვე, 1147, [1217]:

«სასმელ-საჭმელი მიიღეს, ქალაქს ნასყიდი დრამითა».

იქვე, 1166, 4[1236]:

«ცოტაი ლხენა მამეცა მსგაესი დრამისა წონისა».

«ვისრ.»., გვ. 67, სტრ. 5 — «დარჩა მოაბადის თვალთა შიგან ვისი, ვითა მდიდრისა დრაჰკანი გლახასაგან სანახავად».

იქვე, 83, 108, სტრ. 18 — «ათი ათასი დრაჰკანი».

«ვეფხისტყაოსანი», 412 [471]:

«ხარაჯა დასდევს. შეჰქვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია».

შეად. «ვისრ.»., 442, სტრ. 8.

საერთო არაბულ-სპარსული ტერმინების შესახებ აღარ გავაგრძელებ ლაპარაკს. ისეთი წმინდა არაბულ-სპარსული ტერმინები, როგორც, მაგ., ხელისუფალნი: ვაზირი, ამირსპასალარი, ეჯიბი, იხ. «ვისრ.»., 443, სტრ. 13—14, ამილახორი, ამილბარი, საომ. იარაღები, ქვეები, მცენარეულობა, ცხოველები....

ბევრად უფრო საინტერესოა არამწიგნობრული საშუალებით უცხო ენიდან შემოსული ტერმინები.

როგორც ვიცით, გზები XII საუკ. ნაწერებში საოცარ მსგავსებას წარმო-

¹ იხ. ჩენი წერილი «ვეფხისტყაოსანზე». — «ძველი საქართველო», ტ. I, გვ. 98.

ადგენენ: უფლებანი საშიშია მგზავრობა ავაზაკებისა და მეკობრეებისაგან, რასაც მჭერმეტყველურად მოწმობს ცნობები მარკო პოლოს მოგზაურობიდანაც. ამიტომ საჭიროა გამძლოლი ბადრაგა ან ყულაოზი (ყულაუზი — ოსმ. ყულალუზ), რომელიც აშორებს მგზავრებს მათგან ამოწყვეტასა და აკლებას. ეს მოვლენა საერთოა «ვისრამიანსა», «ამირანდარეჯანიანს» და «ვეფხისტყაოსანში».

აქ საინტერესოა ოსმ.-თათ. ტერმინი ყულაოზი, ან ყულაუზი, რაც ჩვენი აზრით, აისხნება იმით, რომ თურქნი და თურქმენთა თემები ძველი დროიდან ბინადრობდნენ საქართველოსა და მის საზღვრებზე, და, მამასადამე, ამგვარი ტერმინი მათგან შემოტანილი უნდა იყოს.

იგივე ითქმის ტერმინის ნათურქალის შესახებაც. რუსთველი პოეტის მიერ ხმარებული შედარება: «ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქალსაო», ჩვენი აზრით, სრულიად ბუნებრივია, თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ რუსთაფი XI საუკ., ჯერ კიდევ დავ. აღმაშენებლის მეფობის პირველ ხანებში, თურქებს ეჭირათ, როგორც ეს ჩვენ ზემორე მოვიხსენიეთ.

ამგვარადვე ზეპირი საშუალებით უნდა იყოს შემოსული ჩვენს ენაში, რომაული სიტყვა სკამი, — ჩვეულებრივი საჯდომი, წინააღმდეგ «სელნი»-სა, რომელიც საბატიო სავარძელის როლს თამაშობდა; ეს «სელი» მიაერთა პორფიროსანმა თინათინმა თავის მიჯნურს ავთანდილს:

«მონამან სელნი დაუდგნა, დაჯდა კრძალვით და რიდითა».

(88,3 [124])

თუ სახეში მივიღებთ იმ დაახლოვებას, რომელიც იმ დროს რუსეთის კართან მქონდა საქართველოს (მოიგონეთ თამარის მითხოვება რუსის თავადზე), მაშინ სრულიად ბუნებრივად წარმოგვიდგება ამ ტერმინის გავრცელება ჩვენში რუსულის ენის საშუალებითაც.

დიდი უკრადლების ღირსია აგრეთვე ის გარემოება, რომ «ვეფხისტყაოსანში» წარმოდგენილია ყველა იმ დროის სახელგანთქმული და საყოველთაოდ ცნობილი ქვეყნების ისტორია. ეტყობა ამ ქვეყნების ისტორია საქართველოს კლასიკურ ხანაში საყოველთაოდ დიდ ინტერესს წარმოადგენდა.

პოემაში, გარდა არაბეთისა და ინდოეთისა და მათ მკვიდრთა, ცხოველებისა, მცენარეულობისა, რაც ეჭვს გარეშეა მოთხრობის ძირითად ნაწილს უნდა წარმოადგენდეს, წარმოდგენილია აგრეთვე ხატაეთი, ხატაელები, ხვარაზმელები, ქურდნი (თურქნი თუ ქურთნი) მობალდალე მაჰმადიანი ვაჭრები და სხვები.

მათი შესახები ამბები, ეჭვს გარეშეა, დიდ ინტერესს წარმოადგენდა კლასიკურს ხანაში, როგორც თავისი სიძველით, ისე თანამედროვე ინტერესის მხრივაც. ავიღოთ ხატაელები და ხატაეთი.

ხატაეთი ჩრდილოეთ-დასავლეთი ჩინეთის ერთი უძლიერესი სახანოთაგანა იყო. როგორც ჩინეთი საკუთრივ და ინდოეთი, თავისი სიძველითა და თანამედროვე მნიშვნელობითაც იპყრობდა საშუალო საუკუნეების საქართველოს უკრადლებას, ისე არა ნაკლებ საინტერესო იქნებოდა მისთვის ხატაეთიც, როგორც ერთი უძველესი სახელმწიფოთაგანი, რომლის ხანი ყველა იმდროინდელ თათართა, თურქთა და სხვა ქვეყნების პატრონი და მბრძანებელი იყო. ხატაეთის ხანი მეტად ძლიერი იყო. იგი ძველად მეტოქეობას უწევდა ინდოეთსა და საშუალო საუკუნეებშიც ხატაეთის ხანი იწოდებოდა დიდ ხანად, რომელსაც მორჩილებდა მთელი სათათრეთი და აგრეთვე მონგოლთა და თურქმენთა თემები. მარკო პოლოს თქმით

XIII საუკუნეშიც თათრების უფროსიც ხატაეთის დიდი ხანი იყო. ტერმინი ხატა ძალიან მოწონებული იქნებოდა საქართველოს კლასიკურ ხანაში იმითაც, რომ ხატაეთის სახანო თავისი კარის სიბრწყინვალით ძლიერი სახელმწიფოსთვის მისაბამ მაგალითს წარმოადგენდა¹.

არა ნაკლებ როლს თამაშობდენ რუსთველის ეპოქაში ხვარაზმნი. პოეტის დროის ქართველობა ძალაუნებურად უნდა დაინტერესებულიყო ხვარაზმთა შესახები ამბებით, რადგან ხვარაზმნი დიდ ძალას წარმოადგენდნენ და შიშის ზარსა სცემდნენ მთელ წინა და მცირე აზიას. ხვარაზმნი დიდად გაძლიერდნენ სწორედ რუსთველის დროს. XII საუკუნეში მათ შექმნეს ხვარაზმაში, ანუ ხივაში, ძლიერი სახელმწიფო, რომლის თავადებმა მალე გაილაშქრეს სპარსეთზედაც. მათ დიდი ომი აუტყეს გამძლიერებულ ხალიფას სანჯარს, რომელიც 1132 წლიდან უკვე ბაღდადის სულთნის სახელს ატარებდა. მალე ხვარაზმნი შეესიენ მცირე აზიასაც და სანჯარის სიკვდილის შემდეგ, მათ ხელთ იგდეს სპარსეთის ერთი ნაწილის ბატონობაც.

შემდეგში, 1180 წლებში, სელჯუკების დამარცხების შემდეგ, მათ დაიმორჩილეს სპარსეთიც, და უკანასკნელი მხნე და გამბედავი აბასიდი ხალიფა ნასირ იძულებული შეიქმნა გაძლიერებული ხვარაზმთა თავადი თეკეში ელიარებინა თავის მფარველად ისე, როგორც წინათ სელჯუკები.

სანამ დიდი თამარის საქართველო პოლიტიკურად ძლიერი იყო და მეზობელ ქვეყნებს შიშის ზარს სცემდა, ხვარაზმელი შაჰებიც ვერაფერს უბედავდნენ მას, მაგრამ ძლიერი და კეთილგანწყობილი თამარის საქართველო მალე დაირღვა: რუსუდანის გამეფებამ დიდი უბედურება დაატეხა თავს საქართველოს და XIII საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებითგან მონგოლთა და ხვარაზმთა შემოსევით იწყება საქართველოს დაცემის ხანა.

ამასთან ეს ხვარაზმა იყო საშუალო აზიის ერთი უძველესი სახელმწიფოთაგანი, რომლის ისტორია თავისი ძველი კულტურით, სიძველითა და სახელით დიდ ინტერესს წარმოადგენდა. ასე რომ რუსთველი ბუნებრივად უნდა დაინტერესებულიყო ხვარაზმთა შესახები ამბებით.

პოეტი იხსენიებს ქურდებსაც: —

«ქურდნი ვნახენ, რომე თქვენთვის სიტყვა რამე გაემკვანა».
(242,2 [291])

ეუბნება ავთანდილ ტარიელს იმ ხატაეთის მკვიდრ მგზავრებზე, რომელთა კმა ტარიელს მათრახით მოექცია სასიკვდილოდ.

ქურდნი, როგორც ძველად, ისე XII საუკ. და შემდეგაც — XIII საუკ. საყოველთაოდ ცნობილი იყვნენ. მათ შეენიერად ახსნათებს მარკო პოლო².

«მთებში» (იგულისხმე ქალ. მოსსულის არემარე), მოგვითხრობს იგი, «ცხოვრობს ხალხი — ქურდნი; მათგან ზოგი წილი ნესტორიანია, ზოგი იაკობიტი. არიან მაჰმადიანებიც: ყველანი ძალიან ბოროტნი, ვერაგნი და დიდი ავაზაკებიც არიან და ბევრ ზიანსაც აუენებენ მგზავრებსაო».

ეს ისტორიები და პოემაში დახატული ჩვეულებრივი ცხოვრების მიმდინა-

¹ Марко Поло, Путешествие в 1271—1295, по Татарии и другим странам Востока, ს.-პეტერბურგი, 1873, გვ. 3 და შემდეგი.

² Марко Поло, ციტ. ნაშრომი, გვ. 21.

რეობა ნამეტურ დამასასიათებელია და შეესაბამება იმ დროს, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს პოეტის ცხოვრება-მოღვაწეობა, სახელდობრ XII საუკ. დასასრულს და XIII საუკ. პირველ ნახევარს. ეს დრო ბუნებრივი გაგრძელება იყო იმ კლასიკური ხანისა, რომელიც თამარის ეპოქამ შექმნა. ზემორე მოთხრობილი ფაქტებიც იმ მხრივ არის საინტერესო, რომ სწორედ ამ დროს გამოდიან წინა აზიის სცენაზე ის სასელმწიფოები, რომლებზედაც მოგვიტხრობს «ვეფხისტყაოსანი» (როგორც მაგ., სატაეთი და ხვარაზმეთი) და რომლებიც იმდროინდელი საქართველოსთვის თავისი კარის სიბრწყინვალით მისაბამ მაგალითს წარმოადგენდნენ.

ეჭვს გარეშეა, რომ რუსთველი კლასიკურ ეპოქის დღემდის ცნობილ მწერალთა მომდევნოა. ეს ნამეტურ მტკიცდება იმ გარემოებითაც, რომ მასზე ჩანს აშკარა: გაელენა «ვისრამიანისა» და «ამირანდარეჯანიანისა». ამის შესახებ რამდენადმე გამოქვეყნებულია ცნობები, როგორც ჩემი — «ვისრამიანის» შესახებ — ისე პატივეცემული მ. ჯანაშვილის მხრით, «ამირანდარეჯანიანისა» და შავთელის შესახებ¹. აქ ამაზე შეჩერებას მეტად ვთვლით.

რაც შეეხება XII საუკუნისად მიჩნეულ ორ მეხოტბეს: შავთელსა და ჩახრუხაძეს, მათ შესახებაც გვაქვს პატივეცემულის ნ. მარის ფრიად სერიოზული გამოკვლევანი, რომლებიც იძლევიან ჩვენი აზრის უტყუარ საბუთს.

მართლაც ვინ იტყვის, რომ «ვისრამიანის» ენა «ვეფხისტყაოსნის» ენაზე ძველი არ არის? ჯერ ერთი — «ვისრამიანის» ენა ბევრად უფრო მწიგნობრულ-ეკლესიურია: ძველი ფორმები აშკარად სჭარბობენ «ვისრამიანში» «ვეფხისტყაოსანს» ენის მიმართ. ამასთან რუსთველის ენის ხალხურის ფორმების სიმდიდრე აშკარა მაჩვენებელია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ენის განვითარების შემდეგ საფეხურთან.

ამას გარდა, «ვეფხისტყაოსნის» სულ ბოლო მინაწერი ხანა კიდევ რომ არ ეკუთვნოდეს რუსთველს, ჭეშმარიტება იმ ცნობისა, რომელსაც იგი შეიცავს, აშკარაა; საკმაოა იმის თქმაც, რომ პროფესორმა მარმა ამ ხანაზე დაამყარა თავისი ჩინებული გამოკვლევა «აბდულმესიანის» შესახებ.

და აქ საქმე ის კი არ არის, თამარის მეფობას ეკუთვნის თუ არა პოეტი, არამედ ის, რომ იგი საქართველოს მწერლობის კლასიკურ ხანას ეკუთვნის. ამიტომ საგულევებელია, რომ პოემა თამარის შემდეგაც იყოს დაწერილი XIII საუკუნეში, სახელდობრ მის პირველ ნახევარში და თამარის შესახები ხანები, როგორც ამას ამტკიცებს № 2829 ხელნაწერის რედაქცია, რუსთველის შემდეგი დროის რედაქციის ჩართული იყოს და შემცველი იყოს იმ აზრის, რომ პოემა დაწეებულა თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში, XIII საუკ. პირველ მეოთხედში. ამის შესახებ გაკერით არის ნაჩვენები ცნობა შემდეგ ხანებშიაც:

«თვალთა მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა»,

ანდა

«ჩემი აწ სცანით, ყოველმან, მას ეაქებ, ვინცა მიქიაო»

და სხვა.

ამიტომაც ჩვენი აზრით, ფრიად საგულევებელია, რომ პოემა კლასიკური ეპოქის დასასრულში ყოფილიყოს დაწერილი და ეს ნაწარმოებიც ხომ ამ ხანის მწერლობის გავითარების უმაღლესი საფეხურის მაჩვენებელია.

¹ იხ. ჩვენი წერილი, «ძველი საქ.», ტ. I, გვ. 97—103; შდრ. მ. ჯანაშვილი, მოსე ხონელი და მისი «ამირანდარეჯანიანი», გვ. 19—25.

შესაძლებელია, პოემა შემდეგშია დაეკავშირების კარის მწერლობასაც დიდი თამარის პიროვნებასთან, მაგრამ ამაზე გადაჭრით ლაპარაკი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც სხვა ვარიანტების აღმოჩენის შემდეგ დადასტურდება სინამდვილე № 2829 ხელნაწერის, რომელიც გერჯერობით მაინც, ყველაზე უძველესი რედაქციის ხასიათს ატარებს. მე გამოვთქვი უკვე «ვეფხისტყაოსნის» ხასიათის შესახებ ჩემი აზრი შემდეგს სიტყვებში:

«მიუხედავად მთელი ლიტერატურისა ამ საგნის შესახებ (იგულისხმეთ პომის სიუჟეტის შესწავლა), «ვეფხისტყაოსნის» მოვლინება XII საუკუნეში დღეში გამოცანად რჩება. გამეფებული აზრი, ვითომც «ვეფხისტყაოსანი» წარმოადგენდეს თამარის დროის ისტორიული შემთხვევების ალეგორიულ გამოხატულებას. ჩვენ მიგვაჩნია უოველ საფუძველს მოკლებულად; ერთი რამ არის ჭეშმარიტად სარწმუნო, სახელდობრ ის, რომ პოემა კარის მწერლობის საუკეთესო გამოხატულებაა» და სხვა.

აქედან ცხადია, რომ მე პირადად რუსთველის ნაწარმოებს არა თუ ვისიმე საქებრად დაწერილად ვთვლი, მე მას არც კი ვთვლი ხოტბად, რადგან ხოტბა ხოტბაა: მას თავისი ფორმები და სპეციალური მნიშვნელობა აქვს. «ვეფხისტყაოსანი» კი მხოლოდ სამეფოდ მოწოდებული პირების საგმირო საქმეებს წარმოგვიდგენს. იგი, ისე როგორც «შაჰნამე», მხოლოდ საკარო მწერლობის გამოჩნატველია. იგი მეფეთა წიგნია. ამიტომ, ჩვენი აზრით, ყველაზე უშინ «ვეფხისტყაოსანი» იმ კარის მწერლობის უძლიერესი გამოხატველია, რომელიც ეთეროვანი თამარის პიროვნებაში¹ შექმნა.

VI

ქაჯის შესახები თქმულება და „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის საკითხი

არანაკლებ საინტერესოა ტერმინი ქაჯი და ქაჯების შესახები თქმულება «ვეფხისტყაოსანში». ეს თქმულება საინტერესოა ნამეტურ იმ მხრივ, რომ იკავებმარება გამოვარკვიოთ საკითხი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო არაკი, რომელიც დაედვა საფუძველად რუსთველის ნაწარმოებს. ქაჯი იმ მნიშვნელობით, როგორითაც რუსთველი ხმარობს, არსად მისი შემდეგი დროის ნაწერებში აღარ იხმარება.

«ვეფხისტყაოსანში» ქაჯი პოეტის მიერ წარმოდგენილია ხორციელ არსებად, თუმცა მათი აღწერილობიდან და თვისებებიდან ცხადდება, რომ ისინი იმ თქმულებაში, რომლითაც პოეტი სარგებლობდა, ზღაპრული არსებანი უნდა ყოფილიყვნენ², რაც, როგორც უკვე გამოვთქვი მე, ამტკიცებს იმას, რომ პოეტს შეუცვლიათ მათი შესახები ძველი ქართული თქმულება. ჩემს ამგვარ მოსაზრებას ამართლებს მისე ხორენელის მოწმობაც.

სწორედ იმგვარივე თქმულება, როგორც «ვეფხისტყაოსანში», დაცულია მოსე ხორენელის ისტორიაშიც, საითგანაც ჩანს, რომ ქაჯი წმინდა ზღაპრული არსება

¹ ამ მხრივ ფრიალ საგულისხმოა ის ფაქტი, რომელიც გამოარკვია ცნობაღმა თველორე ნო ლ დეკემ: სახელდობრ ის, რომ გამოჩენილ ფირდოუსის თავისი «შაჰნამე» დაკრთა ყაზნის სულთანის შაკმულის ტახტზე ასვლაზე ბერად აღრე: უკვე 996 წელს მას მოუძღვნა ეს წიგნი ვიღღ ბრწყინვალე მფარველისათვის, მაგრამ შემდეგში, როგორც ჩანს, ხელახლად გადაუკეთებია და მიუძღვნა შაკმულისთვის, რომლის მეფობაში პოემა დასრულებული იქნა (Th Nüdeke, Persische Studien, II, 35).

² ის. ჩემი წერილი «ვეფხისტყაოსანზე» — «ძველი საქ.» ტ. I, გვ. 105—106.

ყოფილა. მოსე ხორენელი გვაცნობს სახალხო ეპოსს, რომელშიაც სომეხთა მეფე არტავაზდ VI (120 წ. ქ. შ.) საუვედურით მიმართავს გარდაცვალებული მამის აჩრდილს და ეუბნება:

«შენ მიიცვალე და წარიღე თან ყველაფერი და უოველნი, რა გვარ ვიმეფო აწ მე ნანგრევებზეო!»

ამგვარი საუვედურისთვის მამა წყევლის სამართთან უმაღურ შვილს შემდეგი სიტყვებით:

«უკეთუ წახვიდე შენ სანადიროდ, შენ დაგიჭერენ ქაჯები და წარგიტაცებენ თავისუფალ მასისზე, იქ დარჩები და ამიერიდან ნათელს ველარ იხილავო!» (მ. ხორენელი, წიგნი მე-2, თავი 61)¹. აქედან ჩანს, რომ «ქაჯი» წარმართ სომეხთა წარმოდგენით, ნიშნავდა სულს, უსხეულო არსებას, რასაც მოწმობს შემდეგი სიტყვების აზრი: «წარგიტაცებენ შენ თავისუფალ მასისზე, იქ დარჩები და სინათლეს ველარ იხილავო!»

ამგვარი ლეგენდა ქაჯების შესახებ საერთო უნდა ყოფილიყო ძველ სომხითსა და საქართველოში. რუსთველის ნაწარმოებში, როგორც ვიცით, «ქაჯი» წარმოდგენილია ხორციელ არსებად, მაგრამ იმავე დროს, პოეტი, ფატმანის პირით, გვარწმუნებს, რომ ისინი საკვირველი არიან თავისი გრძნეულებითა და მოხერხებულებით. ამას გარდა, ქართული თქმულება სომხურისაგან იმითი განსხვავდება, რომ ქართული წყაროთი ქაჯებს მაგარი ციხე-ქალაქი აქვთ; გზა გვირაბით შედის კოშკებში, რომლებიც ისე მალაღია, რომ «თვალნი ვერ გადასწვდებიან». ჩვენი აზრით, ამ ლეგენდასთან კავშირი უნდა ჰქონდეს «ქ. ცხ-ის» «ქაჯთა ქალაქს» (იხ. «ქ. ცხ-ბა», ზ. ჭიჭინაძის გამოც., 23,9).

თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ «ვეფხისტყაოსნის» არაკში ერთმანეთში გადახლართულია, ერთის მხრით, ფანტასტიკური თქმულება ქაჯებისა და დევების შესახებ და, მეორე მხრით, ისტორიული ცნობები უძველეს და საშუალო საუკუნეებში, თანამედროვე ინტერესს არმოკლებული სახელმწიფოებისა და მათ მკვიდრთა შესახებ, და ამასთან უურადლების ღირსად მივიჩნევთ იმ ფაქტს, რომ თქმულება ქაჯთა შესახებ ძლიერ ემხრობა სომხურ-ქართულ ლეგენდას, ადვილად წარმოვიდგენთ, რომ რუსთველის მიერ ნასესხები სიუჟეტის ფანტასტიკური ნაწილი ძლიერ უნდა შეცვლილიყოს ქართული ლეგენდის გაულენის ნიადაგზე; ამ თქმულების ამგვარი მნიშვნელობა კიდევ უფრო ირკვევა «ვეფხისტყაოსნის» სიუჟეტის განხილვის შემდეგ.

ჩემმა პირველმა ცდამ «ვეფხისტყაოსნის» წარმოშობის საკითხის გამოსარკვევად გამოიწვია ბაასი ბ. ნ. მარისა, რომელიც თავის შრომაში «Вступительные и заключительные строфы Витязя в Барсової коже Шоты из Рус-тара» (ТР, წიგ. XII) წითელი ხაზით აღნიშნავს ჩვენს წინააღმდეგობას პოემის წარმოშობის შესახებ². ამიტომ მე განვიზრახე ამ მცირე შენიშვნაში შევეხო პატივცემული მეცნიერის შრომის სწორედ ამ ადგილს...

«ვეფხისტყაოსნის» არაკს ვუწოდებ ჩონჩხს იმიტომ, რომ «ბარამიანის» ტიპის საღვევმირო მოთხრობები, რომელიც «ვეფხისტყაოსანთან» შედარებით ჩონჩხს წარმოადგენს, შინაარსით ძლიერ წააგავს მას, და ეს მსგავსება მით უფრო

¹ სქტე ილ ირას სენსა აღათი მასისი ქსრაჲ, გაჯირ ესე ღირინს, ღათანს აღათი მასისი ქსრაჲ აკრინიჲ ღმასი ს კიჲ ჯს თსინს.

² იხ. ТР, გვ. II, § I, სტრ. 11—19, იქვე § 9, გვ. XL. № 1.

თვალსაჩინოა, რომ «ვეფხისტყაოსნის» ამბავი უფრო სადევემიროა, ვიდრე რომანტიკული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ «ვეფხისტყაოსანში», როგორც მე ვამტკიცებ. უმაღლეს წერტილამდეა განვითარებული ქალ-ვაჟის სიყვარული და ქაჯების შესახები თქმულებაც საკმაოდაა შეცვლილი.

«ვეფხისტყაოსნის» შესახები არაკი არსებითად არ განსხვავდება სხვა სადევემირო ამბებისაგან და ნამეტურ ახლოა «ბაპრამიანის» ტიპის მოთხრობებზე. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ერთი თხზულება, რომელიც ძალიან ახლო დგას «ვეფხისტყაოსნის» სიუჟეტთან, და რომლითაც უსარგებლია ერთ ჩვენ ქართველ მელექსესაც.

ეს მელექსე გახლავთ ონანა მდივანი.

მაგრამ ამ ონანა მდივნის «ბაპრამგულიჯანიანის» შესახებ გადაჭრით მქონდა გამოთქმული ჩემს მოხსენებაში ის აზრი, ვითომ ონანა მდივნის უცნობი «ბაპრამიანი» უნდა იყოს იგივე პროზითი, ონანას საკუთარ გემოზე გადაკეთებული და გალექსილი «ბაპრამიანი», რასაც მოწმობს ის გარემოება, რომ სპარსული «ბაპრამიანი» უდრის პროზაულ რედაქციებსა და არა გალექსილს-მეთქი (იხ. «ძველი საქ.» I, გვ. 95, შენიშენა I). შემდეგში ამ ონანა მდივნის «ბაპრამიანისა» და მის ბიბლიოგრაფიულ ცნობათა აწონ-დაწონისა და ზოგიერთი ჩემ მიერ ნახული სპარსული ნიმუშების შინაარსის გაცნობის შემდეგ, არსებითად შევიცვალე ეს აზრი.

ამის მიზეზი კი შემდეგი გახლავთ.

როგორც «ბაპრამგულიჯანიანის» შინაარსიდან ჩანს, «ვეფხისტყაოსანი» თავისი სიუჟეტით და ეპიზოდებით ძალიან ახლო დგას «ბაპრამგულიჯანიანთან». როგორც არაკი, ისე კერძო ეპიზოდები, ამ ორ ნაწარმოებში საოცრად გვაგონებს ერთიმეორეს: ჩინეთის მეფე ჯონშერი, გულიჯანის მამა, თავისი მდგომარეობით ძალიან გვაგონებს როსტევან მეფეს. მასაც როსტევანივით, სხვა ძე არა ჰყავს, გარდა ერთადერთი ასულისა, რომელიც «სოფლის მნათი მნათობია». ჯონშერსაც (ისე, როგორც როსტევანს ავთანდილი) გაუზრდია «ვითა ყმა და ვითა შვილი», ჩინეთის მეფეთა საგვარეულოდან გამოსული ბაპრამი, რომელიც აღჭურვილია გამიჯნურებული რაინდის საუკეთესო თვისებებით, მისთვის მეფეს უბოძებია სპასალარობა. ავთანდილიც ხომ სპასპეტია...

ეპიზოდები და სამიჯნურო თავგადასავალი?

ბაპრამის მიჯნურობის ამბავი, მისი გულწასულობა გამიჯნურების დროსა და ლოგინად მივარდნა იგივეა, რაც «ვეფხისტყაოსნის» გულის წასვლა. მოქარავენე ინდოელი მაჰმადიანი ვაჭრების მეკობრეებისგან დახსნა იგივეა, რაც ავთანდილის შემთხვევა. შვიდი მნათობი, რომლებიც მოწმად ეყვებიან ავთანდილს, მისი მგზავრობის დროს, იგივეა «ბაპრამგულიჯანიანში» და სხვა. ამას გარდა, ყურადღების ღირსია ისიც, რომ სპარსულ ენაზე ცნობილი «ბაპრამგულანდამიანი» სახესებით იმეორებს იმ შემთხვევებს ბაპრამის ცხოვრებაში, რომლებსაც ვიცნობთ «ვეფხისტყაოსანში»: მეკობრეების დახოცვა, ჯურღმულში ჩასვლა, აფრა დევის მოკვლა და მისი საჭურჭლის სიფორისათვის ჩუქება, თითქმის გამეორებია «ვეფხისტყაოსნის» შემთხვევათა !...

ამნაირად სხვადასხვა ნაწყვეტებისა და კერძო ეპიზოდების შეერთებით შეგვიძლია თითქმის მთელი «ვეფხისტყაოსნის» ზღაპრის მონახვა იმ განსხვავებით,

1 იხ. წ.-ჯ. გ. ს. ხელნაწერი № 1613, გვ. 147—148, სტრ. მე-12.

რომ იქ ვერ ვხედავთ პარმონიულად შეთანხმებულ სამ მნათობგმირის შეუდარებელ ძმობას, ვერ ვხედავთ ქაჯეთის ციხესა და სხვა. ერთი სიტყვით «ბაპრამგულიანდამიანსა» და «ბაპრამგულიჯანიანსი» ვერ ვხედავთ ვერავითარ პირად შემოქმედებას არაკის განვითარებაში, ვერ ვხედავთ რომანის შემუშავების ცდას წრფელი რაინდული სიყვარულის დასახატავად და სხვა, ე. ი., «ვეფხისტყაოსნისა» და «ბაპრამგულიჯანიანის» შედარება გვაფიქრებინებს, რომ ორივე ეს ნაწარმოები უნდა წარმოადგენდეს ერთისა და იმავე ტიპის თქმულების სხვადასხვა მიზნით გარდაქმნას.

და ეს გარემოება გვაიძულებს მივაქციოთ ონანას «ბაპრამგულიჯანიანს» განსაკუთრებული ყურადღება.

მაგრამ ჯერ მოვესმინოთ თვით ონანას.

პოეტი ამგვარ ცნობებს გვაწვდის თავისი «ბაპრამგულიჯანიანის» შესახებ:

«აწ ესე დიდისა ჩინელთა ხელმწიფის ჯონშერის ამბავნი იწყებოდა და მუნ მყოფთა კეკლუცთა ქალთათვის უსწოროთა ჭაბუკთა მიჯნურობა ითქმოდა, ბარამ ჭაბუკისა და გულიჯან ჩინელთა მეფისა ასულისა, მათნი სურვილი დაუცხრომელი და საკვირველი.

ესე ბაპრამ იყო სახლეულთაგან ტომი და ნერგათ ყვაველფურცლოვანქმნილი მის დიდისა ჩინელთა მეფისა და მისგანვე ძედ ნაზარდი და შვილად ნაქმობი უნაყოფობისათვის მის ჯელმწიფისა, და იგი პირმზე და კმელთა ზედა მნათობელი გულიჯან ასული იყო მის ჯელმწიფისა, და მათ დაუცხრომელი ერთმანეთისა სურვილისა ცეცხლისა სიმჭურვალითა დაალებული იყვნენს უმიჯნურესად ყოველთა სოფლის შემსჭვალულთა ძეთა კაცისათა, და მიწვენილი იყო ყოველსა ქვეყანასა საქმენი მათნი და ოდეს ცნეს სპარსთა ფილასოფოსთა და მიიწივა ამბავი მათი სპარსეთად, ბრძენთა გულნი მიუძღვნეს და მეცნიერთა ცნობანი განუხვნეს, შეიწვიეს და შეინაწიერეს და დაწერეს ამბად სპარსთა ენათა ზედან, მან ბრძენმან და მეცნიერმან, კაცმან კეთილმან, არა თუმცა უსწავლელმან და უგებლმან ჩუბინ ბრძენმან, რომელი იყო თემისაგან ქირმანელთასა, თქვა მათ მიჯნურთა საქმენი»...

ცოტა ქვემოთ (გვ. 148, სტრ. 5—7) მელექსე ონანა განაგრძობს:

«და ესეცა იყო მეცნიერთაგან (ე. ი. ქართველთაგან, რომელნიც სპარსულიდან ქართულად გადმოიღებენ) სპარსთა ენათაგან გადმოთარგმნილი. აწე მენება და სურვიელ ვიყავ და ვეძიებდი მრავალ გზის, ვითარცა ხელთ მეგდო; ოდეს ვპოვე მე ყოველთა უნაკლულესმან და კეთილთ მეტყველთა აჩრდილთაცა მიბაძვად არა ღირს მჩნეველმან, ძემან კახეთის მდივნისამან და თვით მდივანმა ონანამ, გაველექსე მათ მიჯნურთა სატრფიალონი ამბად ნათქვამნი»...

ქვემოთ იმავე გვერდზე (სტრ. 9) მელექსე ამბობს:

«რომელიმე ამა ამბისა წიგნსა შინა წერებულებიყო და მივხვდით და უკლებლად ვეცადენით და მთლად შესრულებად გამოვიძიეთ... მაგრამ ბევრი დამიშთა»...

ამას შემდეგ ჩამოთვლილია შრომის შესრულების დროს ხელისშემშლელი მიზეზები.

აქ, სხვათა შორის, მელექსე პირდაპირ აცხადებს, რომ ეს ამბავი (ბაპრამისა და გულიჯანის) — მიჯნურთ საქმენი — თქვა სპარსულად «ბრძენმან და მეცნიერმან ჩუბინ, რომელიც იყო თემისაგან ქირმანელთასა».

ქვემოთ არანაკლებ დაბეჯითებით იგივე ონანა გვამცნებს, რომ «ესეცა იყო» (ისე, როგორც სხვაც ბევრი) «სპარსთა ენათაგან გადმოთარგმნილიო», «მეც

ძალიან მსურდა და მრავალგზის ვეძებდი და კიდევ ვპოვე მათ მიჯნურთა სატრფიალონი, ამბად ნათქვამი, და გაულექსეო».

ეს ონანას ცნობები ფრიად სარწმუნოდ მიგვაჩნია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ, შეუძლებელია, მელექსეს შეეთხზას ამბავი «ვეფხისტყაოსნის» მიბაძვით და თანაც დაბეჯითებით გვარწმუნებდეს, რომ მისი მთქმელი არის «ჩუბინ ბრძენი, რომელიც იყო თემისაგან ქირმანელთასა»; მეორეც, იმიტომ, რომ ბევრი ამისა მსგავსი ამბავი მოიპოვება დღესაც სპარსულში ისეთი, რომლებიც ცნობილ სამეცნიერო კატალოგებში არ არის შეტანილი. მაგ., სწორად შეხედებით ისეთ პიჭაიეთებს, სადაც პირდაპირ არის დასახელებული ორი ძმობილი, რომელთაგან ერთი, მეფის შვილი, რასაკვირველია მიჯნურია მზეთუნახავის, რომელიც მოტაცებული ჰყავთ ჯინნებს; რაინდი რასაკვირველია, ტარიელივით, ძმობილის დახმარებით, იხსნის თავის სატრფოს ჯინთაგან. ამნაირად, შესაძლებელი ხდება შევავსოთ სპარსული სხვა მოთხრობებიდან ის, რაც აკლია დღემდე ცნობილ «ბაჰრამიანებს».

ოქროს ეპოქაში, როგორც ცნობილია, ბევრი სადევგმირო და ეპიკური ამბავი და რომანტიკული შინაარსის ნაწერი უთარგმნიათ; მაგ. «შაჰნამე»¹, «ამირანდარეჯანიანი», «ვისრამიანი». თვით ონანას მოწმობით ძველად თარგმნილი ყოფილა «ბაჰრამგულიჯანიანი», რომელიც მას გაულექსავს².

მაგრამ ვინ იყო ჩუბინ ქირმანელი, რომელსაც ონანა მიაწერს «ბაჰრამგულიჯანიანს?»

სპარსულ მწერლობაში ხსენებაც კი არ არის ჩუბინ ქირმანელზე; ჩვენ ვიცით მხოლოდ შესანიშნავი პოეტი ხაჯუი ქირმანი, რომელიც ცხოვრობდა მე-13 საუკუნეში (1277—1351 წ.). ეს ხაჯუი ქირმანელი უნდა იყოს, ჩვენი აზრით, ონანას ჩუბინ ქირმანელი, რომელიც ქართულ ხელნაწერებში უნდა წარყვნილიყოს. ხაჯუი ქირმანელი იყო სპარსთა ერთი საუკეთესო მელექსეთაგანი XIII საუკუნეში. სახელი ჩუბინ ალბათ წარმოდგა სიტყვებისაგან: «ხაჯუი» და «ბენ.» რადგან პოეტის სრულს სახელწოდებაში გვხვდება სიტყვა ბენ ალიც. ხაჯუ ბენ ალიდან, მარცვლების ჯუ და ბენ შეერთებით შედგა ჩუბენ ანუ ჩუბინ. მისი სრული სახელწოდება, შარლ რიოს³ ცნობებით, არის ქამალ უდ-დინ აბულ-ატა ბენ ალი, სოლო პოეტური სახელი ხაჯუი; ხაჯუი ქირმანელი იყო, დაიბადა 5-ს შავვალს, ჰიჯრის 679 წ., ე. ი. 1277 წ.; იგი გამოდის პოეტურ სარბიელზე პანევირისტად. მაგრამ მალე ანებებს თავს და განდებდა შირაზის მმართველის ამირ შეიხ აბულ ისხაის (742—764 ჰიჯ.) კარზე. აბულ ისხაის შესამკობად თხზავს რამდენსამე პოემას და გარდაიცვლება 753 წ. ჰიჯ. = 1351 წ. ხაჯუი ყოფილა დადი სუფის ალა უდდაულა ზიმანელის, რომელიც გარდაიცვალა 736 წ., მოძღვრების მიმდევარი; მას დარჩენია დივანი და ხამსე. ფრიად საყურადღებოა, რომ ხაჯუის ჰუმანი-ჰუმანიის შაჰზადე ჰუმანისა, ანუ ზამინ ხაყარელის ამბავი, პოეტის «ბაჰრამგულიჯანიანივით», ჩინელის შაჰზადესა და ჩინეთისავე მეფის ასულის სამიჯნურო თავგადასავალს წარმოადგენს; ჰუმანი არის ზამინ ხაყარის თავადი, სოლო ჰუმანი,

¹ ნ. მარი, «როსტომიანი» (ორიოდე სიტყვა «შაჰ-ნამეს» ქართულ თარგმნას შესახებ). ვახ. ბეგურია, 1891, № 132, 133, 135.

² თვით «ვისრამიანის» რედაქციაც კი, რომლიდანაც უთარგმნიათ XII საუკუნეში, აღმოუჩენელია.

³ Ch. Rieu, 620.

მისი სატრფო, არის ჩინეთისავე მეფის ფახფურის ასული. ამიტომ შესაძლებელია, ჰუმაი ჰუმაიუნი «ბაპრამგულიჯანიანის» გაგრძელება იყოს.

«ბაპრამგულიჯანიანის» გამიჯნურების ამბავი ძალიან გავს «ვეფხისტყაოსნის» გამიჯნურების ამბავს, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქ იქცევს ის გარემოება, რომ «ბაპრამგულიჯანიანში», წინააღმდეგ «ვეფხისტყაოსნისა» და «ბაპრამგულანდამიანისა», ვერ ვხედავთ მოქმედ პირთა გმირულ ბრძოლას დევებსა და ქაჯებთან, ე. ი. «ბაპრამგულიჯანიანში» ფანტასტიკურ ელემენტს თითქმის სრულებით არავითარი ადგილი აღარ აქვს, და ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ «ბაპრამგულიჯანიანი» წარმოადგენს ერთ-ერთი ბარამიანის ტიპის სადევგმირო მოთხრობის კერძო რომანული ეპიზოდის განვითარებას.

ამ საკითხს, რასაკვირველია, მეტი შუქი მოეფინება, როდესაც მოინახება და შეისწავლება მოთხრობები, რომელთაც მისი გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

«ბაპრამიანის» ტიპის მოთხრობა კი ბევრია. ჩვენ გავიცანით და კიდევ შეუდარეთ «ვეფხისტყაოსანს» სპარსულ ენაზე არსებული «ბაპრამგულანდამიანი», «ქეთაბე ბაპრამ ვე გულანდამ», რომელიც უდრის მოკლე ქართულ პროზაულ რედაქციებსა, და ის დასვენა გამოვიტანეთ, რომ «ვეფხისტყაოსანში» წინააღმდეგ ბაპრამიანისა, შეერთებულია რომანულისა და დევგმირული ნაწარმოების თვისებები; ე. ი., ერთის მხრით, იგი წარმოადგენს სამიჯნურო წიგნს, სადაც გაღმერთებულია უმაღლეს წერტილამდი განვითარებული ქალ-ვაჟის სიყვარული, მეორეს მხრით — გმირულ ბრძოლას დევებსა და ქაჯებთან.

ამას გარდა არსებობს სპარსული «ბაპრამგულანდამიანი»¹, ლექსად ნათქვამი ამინის მიერ. იგი იწყება ღეთისა და წინასწარმეტყველის ქება-დიდებათ. მთავარ გმირის ბაპრამის თავგადასავალი ერთსა და იმავე დევებსა და ქაჯებთან ბრძოლას წარმოადგენს.

საქართველოს ოქროს ეპოქაში ნამეტურ ეტანებოდენ სადევგმირო ამბებს, არის მიზეზიც ვახლდათ ჩვენი წარსულის რაინდული ხასიათი. ბუმბერაზობა და გოლიათობა ძალიან მოწონებული იყო სახელმწიფოებრიობის შექმნისათვის ბრძოლის დროს.

აიღეთ თუნდა ჩვენი უძველესი ისტორიულ პირთა შესახები თქმულებები, რაც შემოუნახავს ჩვენთვის უძველეს მატთანეს ქართველ ბუმბერაზთა ფარსმანისა და ვახტანგის შესახებ; მოვიგონოთ ვახტანგ გორგასლანის უთვალავი გალაშქრება სხვადასხვა სახელმწიფოზე, მისი ბრძოლა სხვადასხვა გოლიათთან და ყველგანა და ყოველთვის უძლეველობა მისი. რასაკვირველია, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ამბავი სავსებით სპარსულია და არა ქართული ოცნების ნაყოფი; აგრეთვე თვითონ ვახტანგი, რომლის ეპითეტიც გორგასლანი² წმინდა სპარსულია, არავი-

¹ Ch. Rieu, Catalogue of the Persian Manuscripts in the British Museum, გვ. 277.

² ეპითეტი «გორგასლანი» იგივეა, რაც სპარსული გორგასარი. ეს გურგასარები — მგელთაფიანები და საგსარები — ძალღთაფიანები (შეად. ჩვენი ზღაპრები ძალღთაპირების შესახებ) გამოდიან ირანელთა ფანტასტიკურ მტრებად საგმირო ხანაში. გურგასარებისა და საგსარების შესახებ იხ. Th. Nöldeke. Das iranische National-epos, გვ. 32. შენიშვნა: ეპითეტის გორგასლანის შესახებ უფრო ადრე იხ. ბროსე, Histoire de Géorgie, შენ. I, Contes Persan და სხვ. და პრ. ნ. მარის TP, IV, Словарь III, соебн. именов.

თარ შემთხვევაში არ შეიძლება მიღებულ იქნას სპარსული ოცნების ნაყოფად: იგა ქართველი ისტორიული პირია, თქმულებათა გავლენის ქვეშ გაბუმბერაზებული.

როგორც მე უკვე გამოვარკვეე ჩემს შრომაში, ირანის სადევემრო ამბები, რომლებიც მოუთხრობდენ სამეფოდ მოწოდებული პირების საგმირო საქმეებს, ძალიან მოწონებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ოქროს ეპოქაში, როდესაც უმაღლეს წერტილამდი განვითარდა კარის მწერლობა. კარის მწერლობის განვითარებას კი საუკეთესოდ შეუწყო ხელი ეთროვანი თამარის პიროვნებამ.

საგულეებელია, რომ ამ ამბებს იგივე მნიშვნელობა ექნებოდა თამარის ეპოქაში, რაც დღეს კრიტიკულად დაწერილ ისტორიას აქვს. ამის მაგალითს დღესაც გვიჩვენებს სპარსეთი, რომელიც წმინდად იცავს ძველი მწერლობის ტრადიციებს. დღესაც სპარსელებს სარწმუნო წყაროდ მიაჩნიათ ფირდოუსის «შაჰნამეიანი» ნაწესები ლეგენდარული ხასიათის ამბები; მაზედ იზრდება და ვითარდება მოსწავლე ახალგაზრდობა, მითი საზრდოობს ერის გონება. სწორედ ამგვარივე მნიშვნელობა ექნებოდა ამ ამბებს XII საუკუნის საქართველოში, სადაც ისინი ითარგმნებოდნენ მეფეების ბრძანებით.

ჩვენი აზრით, ტარიელისა და ავთანდილის თავგადასავალს დიდი ისტორია უნდა ჰქონოდა თვით საქართველოს ცხოვრებაში XII საუკუნეში, ე. ი. იმ დროში. სანამ იგი რუსთაველის შემოქმედების სამკვიდრებელი გახდებოდა; იგი როგორც დროთა განმავლობაში, ისე პოეტის ხელითაც, უნდა შეცვლილიყო თვით ქართულ ნიადაგზე.

მართლაც, პოემაში შიგადაშიგ გამოსჭვირს ქრისტიანულ სარწმუნოებრივი ტენდენცია. ერთ შემთხვევაში პირდაპირ მოყვანილია სახარების ტექსტი¹ (იხ. და შეად. სახარ. ლუკასი, თავი 17,4 და «იგავნი სოლომონისანი», თ. 24); როცა ავთანდილმა არ იქნა და ვერ ათქმევინა ასმათს «ვეფხისტყაოსნის» ვინაობა, მოთმინებიდან გამოსულმა სტაცა მას თმაში ხელი, წაითრია და უელზე დანა დაადირა, რომ სიკვდილის მუქარის ქვეშ ეთქმევინებინა ტარიელის სახელი, მაგრამ ამაოდ. ქალი მზად იყო გაეწირა თავი, ოღონდ კი არ გაეცა ტარიელის ვინაობა. ავთანდილი იძულებული გახდა მუხლი მოეყარა ქალის წინაშე და ეთხოვა შეცოდების პატიება უდიერი საქციელისათვის. იგი ბოდიშს იხდის ქალთან:

უთხრა: «ვიცი, აღარ ვარგხარ შენ აწ ჩემდა დასადობლად,
გაგარისხე, დაგრჩომივარ ღარიბად და ამად ობლად:
აწ ეგრეცა თავი ჩემი დამიც შენთვის დასანდობლად,
და ამად რომე შეცოდება შეიდ გზის თქმულა შესანდობლად».

(246)

რასაკვირველია, უფრო საგულეებელია, რომ ამგვარი ქრისტიანული აზრი თვით ქრისტიან პოეტის მიერ იყოს შეტანილი პოემაში.

აშკარად ეტყობა აგრეთვე საღმრთო წერილიდან ნასესხობა პოემის შემდეგს ადგილსაც; ფრიდონ რომ გამოეთხოვება ტარიელს, შინ დაბრუნებისას, სხვათა შორის ეტყვის:

«შენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა».

(1512,4[1656])

სრულიად იგივეა «ფსალმუნის» შემდეგი ადგილიც:

¹ შეიძლება რომ შეცოდოს მამ და ვთხოვოს პატიება, შეუნდო: ცოდვილს შეიძევრ ეპატიებალ.

«ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ვგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო» (ფს., 41).

შეადარე ამას:

«გამოჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად».

(790,3 [855])

პირდაპირი ქრისტიანის, ამ შემთხვევაში ქართველის, წარმოდგენა იხატება შემდეგ სიტყვებში, რომლებითაც მოქარავენ მაჰმადიანი ვაჭრები გააცნობენ თავის თავს ავთანდილს:

«...ჩვენ ვართ მობაღდადენი ვაჭარნი,
მაჰმადის სჯულის მჭირაენი, აროდეს გვისვამს მაჭარნი.
ზღვათა მეფისა ქალაქსა სავაჭროდ გარდმონაჭარნი».

(964,1-3[1031])

ჩვენი აზრით, შეუძლებელია, მაჰმადიანმა ამ სიტყვებით გააცნოს თავი სხვას და ისიც არაბს.

ავტორის პირადი ერუდიციისა და ნაკითხობის (მსოფლმხედველობის) გავლენითაც, რაც უკვე გამოესატყვიო ჩვენს მოხსენებაში¹, უნდა მომხდარიყო ძირითადი ცვლილებანი «ვეფხისტყაოსნის» ფაბულაში. აკად. ნ. მარს პირდაპირ უჩვენებს ნეოპლატონიურ წყაროს, რომლისაგან სესხულობს სიბრძნეს პოეტი.

ამგვარი ფაქტების მიხედვით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფორიზმები და პოეტური ფიგურები, რომლებიც ამშვენებენ და სიბრძნის დაუშრეტელ წყაროდ ქმნიან «ვეფხისტყაოსანს», პოეტს უსესხებია სხვადასხვა წყაროებიდან (და შეუმუშავებია თავისებურად); ამის საბუთს გვაძლევს «ვისრამიანისა» და «ვეფხისტყაოსნის» ჩვენ მიერ ნაჩვენები საოცარი მსგავსებაც აფორიზმებისა, ფრაზებისა და პოეტური ფიგურების მხრით.

სილამაზის ჰიპერბოლური გამოთქმა, მზეთუნახავის სახისაგან მშვენიერი მზის შუქის შემოდგომა, ელვარიოთა პირითა ღამის ღლეღ ქცევა, დამაბრმავებელი სილამაზე, ქალ-ვაჟის სამაგალითო და შეუდარებელი მიჯნურობით თავის კვება საერთოა «ვისრამიანისა» და «ვეფხისტყაოსანში».

ამას გარდა, პოემაში ნათლად ჩანს ავტორის ცდა გადააკეთოს ზღაპარი წრფელი რაინდული სიყვარულის დასასატავად.

ამით აიხსნება, ჩვენი აზრით, ის განსაცვიფრებელი სიმეტრია, რომელიც არსებობს პოემის შინაარსის ინტერესთა თანდათანობით ზრდაში. ხელი ვინმე, ვეფხისტყაოსანი მოყმის «კვალ-წმინდად წარხდომა, კაცისა, ვითა დევისა» და ტარიელისა და ავთანდილის რომანი, როგორც მათის მეგობრული კავშირის ნამდვილი მიზეზი, დასასრულ — კერძოდ «ვეფხისტყაოსნის» შესახებია მოთხრობა და ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან მოტაცებისა და მისი დახსნის ამბავი — ყოველივე ეს განსაცვიფრებელი ინტერესის გამომწვევი სიმეტრიით არის დალაგებული.

ძნელი წარმოსადგენია სპარსულ ლიტერატურაში ისეთი ნაწარმოები, რომელიც ამ მხრივ, ე. ი. მოთხრობის სიმეტრიული დალაგებით, შეედრებოდეს «ვეფხისტყაოსანს»; მას ამ მხრივ პომეროსის «ოდისეა» თუ შეედრება.

ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით პატივცემულ აკად. მარს იმაში, ვითომც

¹ იხ. ამის შესახებ ჩვენი მოხსენება.

«სპარსული ამბავი», რომელიც პოეტმა ლექსად გარდათქვა, «ობოლი მარგალიტი» უნდა ყოფილიყო და ბევრად მალლა უნდა მდგარიყო რუსთველის ქმნილებაზე¹.

ამგვარ აზრს ეწინააღმდეგება, უპირველეს ყოვლისა, სპარსული მწერლობის ღუმელი, ავთანდილისა და ტარიელის პიროვნებათა უგულვებელყოფა და მათი არსად არ სსენება. ჩვენი აზრით, შეუძლებელია, რომ «ვეფხისტყაოსანს», — იმ შექმნისხვედრაში, თუ ის სპარსულ ენაზე არსებობდა არა თუ იმ სახით, რა სახითაც პოეტს იგი ჩვენთვის უანდერძებია, არამედ როგორც ორიგინალი (აკად. მარის სიტყვით, მალაც კი იღვა რუსთველის ნაწარმოებზე), არ დაეტოვებინა რაიმე კვალი სპარსულ მწერლობაში. მით უფრო ისეთი ნაწარმოები, რომლის სამიჯნურო თავგადასავალი ფრიად საინტერესო იყო (მის მთავარ გმირს ვერ შეედრება ვერც მიჯნუნი, ვერც რამინი, ვერც სალმანი და სხვა), სადაც ქალ-ვაჟის შეუდარებელი სიყვარული იყო გამოყვანილი, უკვალოდ არ გაქრებოდა. როგორ წარმოვიდგინოთ ის, რომ დიდებულ ნაწარმოებზე, რომელიც რუსთველის «ვეფხისტყაოსანზე» მალაც კი მდგარა, თავის ნაწარმოებში ცნობებს არაფერს შეიტანდა ან გაკვირით მიიხსენებდა მის შეუდარებელ მიჯნურებს?!

აკად. მარის სიტყვით, პოეტმა სიუჟეტი სპარსულიდან ისესხა, ანუ, როგორც მისივე სიტყვებიდან ჩანს, სპარსული მოთხრობა გამოიყენა რუსთველმა თავისი ქმნილების მასალად.

მაშასადამე, რაღა განსხვავებაა ამგვარ აზრსა და ჩვენს ნათქვამს შორის, რომ სპარსულიდან ქართულად ნათარგმანები ამბავი, რუსთველის ქმნილებასთან შედარებით, ჩონჩხი უნდა ყოფილიყო, რომ იგი რუსთველის უკვდავ პოემასთან შედარებით, უმნიშვნელო ზღაპარს წარმოადგენდა?!

ანდა ნუთუ ამის თქმა მეტია, ვიდრე იმის, რომ პოეტმა სპარსული ლიტერატურიდან სიუჟეტი ისესხა და ეს სიუჟეტი თავისი ქმნილებისთვის მასალად გამოიყენა?!

ამიტომ, ჩვენი აზრით, ვერც პატივცემულ მეცნიერს ნ. მარს აქვს საკმაოდ ნათლად გამორკვეული ეს საკითხი; ვერ გაგვიგია, რას უწოდებს მეცნიერი სიუჟეტს, ან რანაირად შეიძლება გალექსილი თარგმანის შესახებ ითქვას, რომ იგი გამოადგა პოეტს მისი ქმნილების მასალად.

თუ მართლა, აკად. ნ. მარის თანახმად, რუსთველმა თანამედროვე ცხოვრების პირობებს შეათანხმა სპარსული ამბის ფაქტები, თუ მან თანამედროვე ცხოვრებაში პოვა პოემის საჭიროების ამომახილი, თუ მან რაიმე ისესხა ნეოპლატონური წყაროდან, თუ იქ XII საუკ. საქართველოს რაინდობისა და ქალის კულტის შესახებ მდიდარი მასალაა, თუ პოეტი ამასთან იყო «зодчий, сумевший придать национальный облик персид. повести», თუ მას, ტარიელისთვის გულ-ლახვარსობილს სდიოდა ცრემლი შეუშრობელი, თუ პოემის მთავარ გმირებს პოეტი ენას უჩლექს და ეუბნება: ტარიასა და ნესტან ჯარს² (დაუმატეთ ამას რუსთველის ჯადოსნური რითმა და ჩვენის მოხსენებით გამოთქმული მოსაზრება ზღაპრის შეცვლის შესახებ), მაშინ ნუთუ რუსთველის პიროვნების გენიოსად ჩათვლა ნაციონალური თვალსაზრისის მაჩვენებელია? ნუთუ შეცდომა იქნება ვთქვათ, რომ რუსთველის ნაწარმოები სპარსულ ამბებთან შედარებით, გენიის უდიდესი და უმშვენიერესი ნაწარმოებია. საქმეც ის არის, რომ «ვეფხ. ტყაოსანი» დღემდე ცნობილ

¹ ნუთუ ეს დასაბუთებულია? იტყვიან, წინასიტყვაობააო, მაგრამ ვინ დაამტკიცა წინასიტყვაობის სინამდვილე?

² და არა შაპრიარსა და ნესტანდარჯაპანს.

ყველა ამბებისგან იმით განირჩევა, რომ იქ შეერთებულია სადევგმირო და სამიჯნურო ამბების თვისებები: მასში, დევებსა და ქაჯებთან ბრძოლასთან ერთად, ვხვდავთ უმაღლეს წერტილამდი განვითარებულ ქალ-ვაჟის სიყვარულს; იქ წინააღმდეგ «ბაჰრამგულიჯანიანისა» და «ბაჰრამგულანდამიანისა», ვხვდავთ განსაკუთრებულსა და მასთან გამორკვეველ მუშაობას, გენიალურ პოეტურ შემოქმედებას წრფელი რაინდული სიყვარულის დასახატავად. სწორედ ამ მიზეზით, როგორც უკვე გამოვთქვი მე, ქაჯების შესახები თქმულება ავტორს შეუცვლია და ქაჯები კაცებად გამოუყვანია... მაშასადამე, საგულევებელია, რომ ტარიელისა და ავთანდილის შესახები სადევგმირო მოთხრობა, რომანტიკული მხარის განვითარებითა და ზღაპრული სადევგმირო ელფერის წაგვრით, შოთას მიერ გარდაქმნილა მაღალპოეტურ ქმნილებად, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ოქროს ეპოქის ძველი რაინდული სულის იდეალისტურ სწავლა-მოძღვრების სულთან შეერთებას....

*

მსოფლიო კანონია, რომ ერთი ეროვნება მეორის, ურთიერთის შეხეთქების, თუ დაძმობილების საშუალებით, იცვლის იდეებსაც და კულტურულ ტრადიციებსაც. კაცობრიობის ცივილიზაცია ცივილიზაცია ამგვარ გავლენათაგან, მიბაძვათაგან, ანუ, უკეთ, გარდმოღებათაგან არის შემდგარი.

მაგრამ გარდმოღებაც არის და გარდმოღებაც. საქმე ის არის, თუ როგორ ებურება გარდმომღებელი ეროვნება სხვათა ნამოქმედარს, სხვების ნაანდერძებ. სწავლა-მოძღვრებას. საქმე აქ სულიერი აქტის ძლევა მოსილებაა, საქმე ის ზნობრივი და გონებრივი ავლა-დიდებაა, რომელსაც გარდმომღებელი ახმარს ნახესხების შეთვისებას და მის თვისი სულის სამკვიდრებლად გადაქცევას, თვისი განსაკუთრებული თვისებების, თვისი შემოქმედებითი ძალების საშუალებით გამომუშაებას და შესისხლხორცებას. აი სწორედ აქ, ამ საკუთარ შრომაში, გარდმომღებელ ეროვნებას შეუძლიან გამოიჩინოს თვითშემოქმედება, თვითგამორკვეულობა.

გარდმონაღების გამომუშაება და საკუთარის ეროვნული ორგანიზმისთვის მიხმარება წარმოებს არა მექანიკურად, არამედ ხალხის გენიის, მისი შემოქმედებითი ნიჭის საშუალებით...

გარდმოღება, მაშასადამე, ჯერ კიდევ ნაკლი როდია. ნაკლის, გინა უპირატესობის მომასწავებელი, ამ გარდმოღებისთვის ხმარებული (დახარჯული) შემოქმედებითი ნიჭის რაოდენობა ვახლავთ.

უცხო გავლენანი უფრო ცხადი, უფრო მკვიდრი და საგრძნობელნი არიან მწერლობასა და ხელოვნებაში. და აი კიდევ, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ოქროს საუკუნის მწერლობას, ჩვენ დავინახავთ ფრიად საგულისხმიერო მოვლენას.

ქართველმა ერმა შეიტკბო და შეიყვარა სპარსთა სამიჯნურო და სადევგმირო ამბები, მაგრამ გამომუშაებულად, მისცა რა მათ გმირებს და მოთხრობის ფორმას თავისი ეროვნების თვითგამორკვეულობა, თვისი სული, თვისი მსოფლმხედველობა. იმდროის კიდევ უფრო თვალსაჩინო მოვლენად უნდა ჩათვალოს რუსთველის «ვეფხისტყაოსანი», რომლის ავტორმა შოთამ თავის შრომაში იხმარა სპარსული ზღაპარი, მაგრამ ეს დაბრკოლება ხელს როდი უშლის, რომ თანამედროვე ევროპეულმა მეცნიერმა მას დიდი მწერლის სახელი უწოდოს.

ამგვარს შემთხვევაში ცხადდება ის ზოგადკაცობრიული მოვლენა, რომ საკუ-

თარი თვითგამორკვევითი ცხოვრებით მოარსებე ეროვნებათათვის უცხო გავლენანი საკუთარი თვითგამორკვევითის შემოქმედების წყაროები გახლავთ...

რა თქმა უნდა, აქ ჩვენ პირდაპირ ვგულისხმობთ იმ თვითგამორკვევით ეროვნულ ცხოვრებას, რომლის წიაღიდან გამოსულმა შოთამ შეძლო უწარჩინებულესად თავისებური შემოქმედებითი ძალა გამოეჩინა უკვდავ ქმნილებაში, და ამგვარი მოვლენის უაღრესი მნიშვნელობა გახლავთ ის, რომ იგი მჭერმეტყველურად ამტკიცებს, თუ რა არის ნამდვილი ეროვნული თვითშემოქმედება, რომლისათვისაც უცხო ლიტერატურული გავლენა შეიძლება იყოს მხოლოდ სასურველი, როგორც მდიდარი პოეტური მასალის მომცემი.

ნაწყვევი წიგნიდან ანთროპოლოგის შესახებ

(მაკმადონის საკითხი)

ამ 11 წლის წინათ მე უკვე გამოვაქვეყნე ის შრომა, რომლის ნაწყვეტი დაისტამბა ბევრად ადრე, 17 წლის წინათ, გაზ. «ცნობის ფურცელში». ამ შრომაში მე უცილობელყოფილი იყო ის ფაქტი, რომ მოთხრობის არე მუსულმანურია, მაგრამ ნუთუ აქედან შეიძლება გამოვიტანოთ ის დასკვნა, ვითომც რუსთველი მაკმადონი ყოფილიყო?! მთელ ქართულს საერო ლიტერატურაში მისი გაჩენიდან დაწეული XVII საუკუნის ბოლო ხანებამდე ვერ შეხედებით ისეთ ნათარგმნ ლიტერატურულ ნაწარმოებს, სადაც არამც თუ ქართული ეროვნული მოტივები, ქართველების ხსენებაც რომ იყოს. ყველგან სპარსულ-არაბული ელემენტები სჭარბობენ. საკმაოა მოიგონოთ, «ამირანდარეჯანიანი», «ვისრამიანი», «რუსუდანიანი», «ქილილა და დამანა», «ყარამანიანი» და სხვა. ნუთუ მათი გადმოძღვრები მაკმადონები უნდა ყოფილიყვნენ?

რას ვიტყვით, რომ «ვისრამიანის» სპარსული ორიგინალი არ არსებობდეს?

მეცნიერი, სპარსულ-არაბული გაუღენის მიხედვით დაასკვნა და უსათუოდ იტყოდა, რომ, რადგან ორიგინალი არ აღმოჩნდა; უსათუოდ «ვისრამიანის» ავტორი სარწმუნოებით ქართველი ცეცხლმსახური უნდა ყოფილიყო¹, რადგან მთელი მოთხრობა ცეცხლმსახურების ტრაქტატს წარმოგვიდგენსო. თითო-ორი ბიბლიურ-ქრისტიანულ ელემენტებს, ანუ უკეთ, აფორიზმებს, მეცნიერი ყურადღების ღირსადაც არ ჩასთვლიდა, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ!

«ვისრამიანშიც» კი ბევრი რამ მოიპოება იმის მიხედვით, რომ მთარგმნელი ქართველი ქრისტიანი იყო.

«ვისრამიანის» მთარგმნელი თავის გემოზე ცვლის და ასხვაფერებს ორიგინალის, მაგ., ადგილს (იხ. სპარსული ტექსტი, 116 გვ., 116-ე ლექსი), სადაც ნათქვამია: «მას არც ერთი მარგალიტის თვალი არ დაუგდია მიწაზე». ეს ადგილი მთარგმნელისაგან შეცვლილია ამ სახით: «მარგალიტი ღორსა წინა აღარა დაყარა» (იხ. «ვისრამიანი», ქართული ტექსტი, გვ. 125¹).

აგრეთვე ქრისტიანი მთარგმნელის შეცვლილია ადგილი (იხ. სპარს. ტექსტი, 113 გვ., მე-18 ლექსი), სადაც ნათქვამია: «მასწავლებელი რომ საამო გალობას იწყებს, მოწაფე იმ წამსვე ცეკვას გააბამსო». ამ ადგილს მთარგმნელი ასე თავის

¹ დღეს უკვე იმდენად შერიგებიათ ამ აზრს, რომ ჩვეულებრივი პუბლიცისტური შინაარსის წერილების ავტორებიც კი ბ. პ. მირიანაშვილი და მამედ-ბეგ აბაშიძეც თავიდანვე ამტკიცებენ მას.

გემოზე ცვლის: «რა ხუცესი ორძალთა უკრედეც, დიაკონმან შუშპარისა კიდე რამცა ქმნას?!...»¹

ორიგინალი რომ არ გექონოდა, სპარსულის გავლენით გატაცებული მკვლევარი უსათუოდ დაგვიწყებდა იმის მტკიცებას, რომ «ვისრამიანის» დამწერი უსათუოდ გასპარსელებული ქართველი ცეცხლმსახური იყო.

იმგვარივე მაგალითი გვაქვს «ვისრამიანის» სპარსული ორიგინალის ტექსტის 195 გვერდზე (იხ. ლექსები 19—20), სადაც ლაპარაკია ქურდისაგან მონაპარი საუნჯის მიწაში დაფლვაზე. სპარსული ორიგინალის ეს ადგილიც მთარგმნელს, ალბათ, სახარების გავლენით, ასე შეუცვლია:

«შენცა ნუთუ ჩემებრ გიყვარდა იგი თვალი, საწუთროო, რომელ ანგართა, ოქრო ვითა, დაჰფალ და დამალე მიწასა».

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. მთარგმნელი არა თუ ასხვაფერებს სპარსული ორიგინალის აფორიზმს, ზოგჯერ თავისასაც ბევრს უმატებს, აღიღებს და ავრცელებს ამა თუ იმ ფრაზას, როგორც მე უკვე აღვნიშნე ამ 11 წლის წინათ² და ამ შემთხვევაშიაც ჩვენს წინ არის ქართველი ქრისტიანი.

კიდევ მაგ., ქართული «ვისრამიანის» 230 გვერდზე (23-ე სტრიქ.) ვკითხულობთ:

«აწ მოიგონე შაპროს პატივი, ვიროს სიყუარული და სამსახური და თვით შენი ფიცი, რომელ შეგიფიცავს ღმრთისა და ყოველთა მისთა წმიდათა. ამ ყოველთა წმიდათას» შესახებ სპარსული ორიგინალი ღუმს. სპარსულ ორიგინალში ვკითხულობთ: «შენ არ იყავი ის, რომ ჩემს იქით არაფერი გახსოვდა (არაფერს იგონებდი) და ჩემი ფეხის მიწისაგან სურმას (გუნდა-ლახოსტაკს) იკეთებდიო» (გვ. 282,8). ამ ადგილის ნაცვლად მთარგმნელს შემოუტანია შემდეგი ადგილი (იხ. «ფსალმუნის დავითისი», 41 თავი): «[შენ იგი], რომელ ჩემი მიჯნური იყავ, ჩემისა ნახუსათუის ასრე გსურდა, ვითა წყაროსათუის ირემსა».

ამაიორად წმინდა აღმოსავლეთურ-სპარსული შედარება, სადაც ლაპარაკია მიჯნურის მიერ საყვარლის ფეხის ტალახისაგან სურმის გაკეთებაზე, ქრისტიან მთარგმნელს შეუცვლია «ფსალმუნის» გავლენით.

სწორედ ასევე, «ფსალმუნის» გავლენით შექმნილი ფრაზა გვხვდება რუსთველთანაც: «შენთვის ასრე მომწყურდების, წყაროსათვის ვით ირემსა» (1512,4 ან 790,3 [1656, 855]) ან «გამოსრულვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად», რაც მე უკვე აღვნიშნე, ჩემის 22-ე გამოცემის წინასიტყვაში (იხ. გვ. XXXII).

ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ როგორც «ვისრამიანის» მთარგმნელი, ისე რუსთველი, ამ შემთხვევაში სესხულობენ საქრისტიანო წყაროდან ამ «ფსალმუნის» მიბაძვით შექმნილ ფრაზას. მაგრამ, შეიძლება გვიპასუხონ, რომ შოთა თუნდა მაჰმადიანიც რომ ყოფილიყო, შეეძლო ესესხებია სახარების ისეთი აზრიც კი, როგორიცაა «შეცოდების შვიდგზის პატიებაო», რადგან ერთგვარი წარმოდგენით, მაჰმადიანი, რომელსაც ისე ძლიერ უყვარდა თურმე თავისი სჯული, რომ მას პოემაში არსად არ დალატობს, სახარებას კითხვას დაუწყებდა, მაგრამ ნუთუ ეს შესაძლებელია?

როგორც ვიცით, ქართველთა გამაჰმადიანების პროცესი მე-19 საუკუნეშიაც,

¹ იხ. «ძველი საქართველო», ტ. I, გვ. 77.

² იხ. «ძველი საქართველო», ტ. I, გვ. 76, შენიშვნაში.

და თითქმის ჩვენ დრომდე, წარმოებდა და, მაშასადამე, ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ ამ პროცესს და მის შედეგებს... გამაჰმადიანებელი ქართველი, რომელიც თავის თავს თათარს ან «მაჰმადიანს» და არა «ქართველს» უწოდებს. კიდევ რომ შეძლებოდა, ქრისტიანების ჯიბრით, მაინც არ დაწერდა ქართულად. ამგვარი მოვლენა, როგორცაა მაჰმადიანი ქართველის მიერ ქართულ ლიტერატურაში თითქმის შეუდარებელი ნაწარმოების შექმნა, საოცრებად უნდა ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ იგი გულისხმობს სრულიად გამაჰმადიანებულ კუთხეში, სადაც ამგვარ ლიტერატურულ ქმნილებას ადგილი ჰქონდა, კლასიკური მწერლობის უმაღლეს წერტილამდე განვითარებას, და ეს რომ ასე ყოფილიყო, ნუთუ ჩვენი ისტორია არ აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ მე-14 საუკუნეში სამეცხეთოდან რჩულით მუსულმანი ქართველი მწერლები გამოდიოდნენ.

მართალიც რომ იყოს და ამგვარ უცნაურობას ადგილი ჰქონოდას ჩვენს წარსულში, ეს აზრი მაინც პარადოქსალურად უნდა ჩაითვალოს იმ დრომდე, სანამ არ დაიწერება საქართველოში ქრისტიანობის ისტორია და არ გვეცოდინება, თუ როგორი ქრისტიანები იყვნენ ქართველები მე-13-14 საუკუნეებში. და აქ, ჩვენი აზრით, უფრო შესაძლებელია თვით ქართულს ქრისტიანობაში აღმოჩნდეს ბევრი რამ ისეთი, რაც გვიჩვენებს, რომ ხანგრძლივი არაბულ-მუსულმანური გავლენის ქვეშ ქართველ ქრისტიანის ბუნებაში ჩნდებოდა მუსულმანური სარწმუნოებისადმი ისეთი მიდრეკილებანი, რომელიც განასხვავებს ქართველ ქრისტიანს სხვა ქრისტიანისაგან. და მაშინ, მხოლოდ მაშინ, აიხსნება იმის მიზეზებიც, რომ ქართველები სრულის ინტერესით ეპყრობოდნენ და სესხულობდნენ, ან სთარგმნიდნენ, ისეთ სპარსული, ან მუსულმანური სულით გაქლენთილ ნაწარმოებთ, როგორცაა «ვისრამიანი», «ამირანდარეჯანიანი» და სხვანი.

6. მარის ღმერთი ბაქოში რუსთველის შესახებ

პროფ. მარს ბაქოში ლექცია წაუკითხავს და ახალი აზრი გამოუთქვამს რუსთველის შესახებ. მისი ცხოვრების დრო და ვინაობა ლექტორმა ახალი კვლევა-ძიების საშუალებით, სულ სხვა სახით წარმოუდგინა დაინტერესებულთ. ეს ამბავი გადმოგვეცეს კორესპონდენტებმა ისე, როგორც შეეძლოთ და შეიქმნა ერთი ვაი-უშველებელი.

მართლდა, რა მოხდა ისეთი, რომ თავს მოსვენება აღარ მისცეს ჩვენმა მუდმივმა ჭირისუფლებმა? ნ. მარს თავის ლექციაში უთქვამს, რუსთველი მესხი იყო, მესხეთიდან. ეს კუთხე კი XV საუკუნეში სრულიად გამაჰმადიანებული იყო და, შესაძლებელია ამ კუთხიდან ყოფილიყოს შოთა, რომლის ნაწარმოებში არაფერი ქრისტიანული არ არისო.

თუმცა შოთას ნაწარმოების ტექსტი დროთა განმავლობაში ძალზე წარყვნილა, გადასხვაფერებულა ქრისტიანი სამღვდელოებისა და ეკლესიისაგან, მაგრამ ის, რაც გადარჩენილა მათ ხელს, სრულიად საკმარისია ჩვენი აზრის დასამტკიცებლად.

დინჯი და ყოველი ჭკუათამყოფელი ადამიანი არ დასჯერდებოდა კორესპონდენტების წერილებს და ხმას არ ამოიღებდა იმ დრომდე, სანამ ნ. მარს თავის შრომას არ გაგვაცნობდა, მაგრამ ჩვენი ქართული მამულიშვილური გული განა მოითმენს რუსთველის სახელის შელახვასა და ეროვნული სიამაყის დამცირებას, რაც ზოგიერთებმა აშკარად დაინახეს ბაქოს კორესპონდენტთა წერილებიდან?! და განმეორდა ის, რაც ამ 25 წლის წინათ იყო. იგივე მყვირალა თავხედობა, იგივე ამხედრება მკვლევართა წინააღმდეგ. ყველა ეს «არ ახალია, ძველია»...

ამჟამად გამოქვეყნებული ბ. მარის ახალი გამოკვლევა მოსოხთა, ანუ მესხთა შესახებ ნათელს ჰფენს ბაქოში წაკითხული ლექციით აღძრულ საკითხს და სპობს იმ გაუგებრობას, რომელიც გამოიწვია კორესპონდენტების ორაზროვანმა წერილებმა.... ნ. მარის აზრით, საღმრთო წერილის ძველი ქართული ვერსიის არმენიზმები ხალხურია დასახელებული ჩვენი რაიონისათვის იმდენადვე, რამდენადაც აშკარა არმენიზმები შოთა რუსთველის ქმნილებაში — «ვეფხისტყაოსანში», რომელიც მესხურს ლინგვისტურ წრეში წარმოიშვა:

ეს არმენიზმები უკვდავის რუსთველის ნაწარმოებში სრულებით არ ამტკიცებს სომხურ მწიგნობრულ გავლენას, მაგრამ აქ, როდესაც ლაპარაკია სომხური ენის გავლენის შესახებ, უკვე გაარიო-ევროპიელებული სომხურისა მესხურზე, რომელიც გაბატონებული იყო საქართველოსა და სომხეთის მიჯნაზე, ანუ საქართველოს სამხრეთ სანაპიროებზე, საქმე სულ სხვა სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ. სახელდობრ, ეს გავლენა აშკარა შედეგია გაარიელებულ სომეხთა ჩრდილოეთისაკენ გავრცელებისა. დღესდღეობით სევანურ-აფხაზურ ენებში აღმოჩენი-

ლი ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები ცხადყოფენ, სხვათა შორის, იმასაც, რომ მოსოხები არიელ-ვეროპიელთა შემოსევის შემდეგ ხანგრძლივ ბინადრობდნენ სომხურ ტერიტორიაზე, მჭიდროდ შეკავშირებულნი არიელ-ვეროპიელებთან ან გაარიელებულ სომხებთან. მათ დაუყვიათ აქ იმდენად ხანგრძლივ. რომ უსესხე-ბიათ მათგან ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინი და წაუღიათ იგი თან თავის მოძრაობის დროს კავკასიის მთებისაკენ.

შემდეგ მეცნიერი ამ ახალ წერილში ეხება სვანურის ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვას «დაჩურ», ან «დაჩვირ» და არკვევს, რომ ამ რთული ტერმინის პირველი ნაწილი «და» არის ქართული «და», ხოლო მეორე ცნობილი სომხური არიულ-ვეროპიული სიტყვა «ქურ» იგივეა, რაც ქართული «და».

აქედან ცხადია, თუ რა მოსაზრებით აკუთნებს მეცნიერი შოთას საქართველოს ცნობილ კუთხეს — მესხეთს, ანუ მოსხთა ნავთსაყუდელს, რომელიც X IV—XV საუკუნეებში უკვე გამაჰმადიანებული იყო. მაშასადამე, სრულიად უხდება ფარდა იმ გაუგებრობას, რომელიც წარმოიშვა ცალკერძი ცნობების ნიადაგზე. და განმეორდა ის, რაც ამ ოცდაათი წლის წინათ: როგორც მაშინ; დღესაც ჩვენი მეომარი მამულიშვილები ერთიმეორეს ასწრებენ შეაჩერონ სამეცნიერო მუშაობის ნიადაგზე წარმოშობილ ახალ აზრთა მიმდინარეობა, გაილაშქრონ მიუდგომელ მკვლევართა წინააღმდეგ.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა, დღეს კიდევ მეტიც ხდება: ცდილობენ სიყალბეც კი ჩაიდინონ. ცხადზე უცხადესია, რომ ბ. ჯანაშვილის მიერ გამოშვებული ხელნაწერის შებღალვა, რაც არა თუ გამოცდილი პალეოგრაფისათვის, ჩვეულებრივი წერა-კითხვის მცოდნე ქართველისათვისაც კი პირველ შეხედვაზევე აშკარა სდება, იმდროის საქმეა, როდესაც, ამ სამი წლის წინათ სათეატრო დარბაზში ს. კაკაბაძემ რუსთველის დროის შესახები მოხსენება წაიკითხა.

ამით, რასაკვირველია, ჩვენ როდი გვსურს ვთქვათ, რომ ბ. მარი შეუცდომელი იყო: პირიქით, ჩვენ სრულიად არ ვეთანხმებით მის ახლახან გამოთქმულ აზრს რუსთველის პიროვნებისა და ცხოვრების დროის შესახებ. ჩვენი აზრით, «ვისრამიანი» და «ვეფხისტყაოსანი» ორივე ერთსა და იმავე ბრწყინვალე კლასიკურის ეპოქის ნაწარმოებია...

მაშასადამე, უნდა გამოირკვეს, როდის იყო ეს ბრწყინვალე კლასიკური ეპოქა, თუ არა თამარის დროს? და მაშინ კი დაგვეჭირდება გადმოტანა, თუნდა XV საუკუნეში, არა მარტო რუსთველის, არამედ სხვა, დღემდის ოქროს ხანის ნაწარმოებად ცნობილი ჩახრუხადისა, «ვისრამიანისა», «ამირანდარეჯანიანი-სა» და სხვათა, რომლების ენაშიაც (ნამეტურ «ვისრამიანის») არანაკლებ სჭარბობენ ეს არმენიზმები და სონმესიზმები, მაგრამ იქნება კიდევ ჰქონდეს ყველა ეს ნათქვამი მეცნიერს და არ გადმოგვეცემენ. ამის გარდა, კორესპონდენტთა გადმონაცემების მიხედვით, ბ. მარის ლექციის ფაქტიური მხარე, — თუ სახეში არ მივიღებთ მეცნიერის ახალ ლინგვისტურ კვლევა-ძიებას იაფეტოლოგიის ფარგლებში, — ახალს თითქმის არაფერს წარმოადგენს. ჩვენ ადრევე აღნიშნული გვექონდა კორესპონდენტის მიერ ახლახან ბ. მარის სიტყვებიდან გარდმონაცემი ფაქტიც, რომ «ვისრამიანში» არაბულ-სპარსული სიტყვები და ტერმინები უფრო ხშირად თვით მთარგმნელს ეკუთვნის, და ორიგინალთან მათ არავითარი კავშირა არა აქვს.

ამას გარდა, დიდი გულუბრყვილობა იქნება თითო-ოროლა ქრისტიანულ-ბიბლიური აზრის, ანუ უკეთ, აფორიზმის მიხედვით ვცნოთ რუსთველის ქმნილება

ქრისტიანულ ნაწარმოებად, როგორც ამას სჩადიან ზოგიერთები¹, რადგან ბიბლიისა და ქრისტიანული აფორიზმების გავლენა ატყევა «ვისრამიანის» სპარსულ ორიგინალსაც, რაც აიხსნება როგორც ბიბლიის, ისე ქრისტიანობის გავლენითაც ჯერ სპარსიზმისა და მერე ისლამის კულტზეც, მაგრამ ნუთუ ყოველივე ეს გვაძლევს საბუთს, რომ რუსთველი მაჰმადიანად ვცნოთ? აი სწორედ ამ საკითხს ჩვენ შევეხებით ჩვენს შემდეგ წერილში, სადაც ვახტანგის გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» ავ-კარგიანობაზე გვექნება ლაპარაკი. აქ კი, ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ავღნიშნოთ, რომ ბ. მარიც რამდენადმე მონაწილეა იმ გაუგებრობის შექმნაში, რომლის უნებლიე მოწამე დღეს ყველანი ვართ, და რაც მანებელია, როგორც თვით მეცნიერის სულიერი სიმშვიდის, ისე საზოგადოდ იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც იგი უზიარებს თავის ახალ აზრებს. სხვა რომ არა იყოს რა, საზოგადოებას გული უტყუდება მეცნიერზე ყალბი ცნობების გავრცელების გამო, რაც შედეგად მოჰყვება კორესპონდენტების მიერ გადმონაცემ ცნობებს და ეს კი არაერთთვის სასარგებლო არ არის და, მაშასადამე, არც სასიამოვნო. ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ მეცნიერი, რაღაც ჩვენთვის გაუგებარი მიზეზით, გაურბის ქართველ საზოგადოებას და მისგან ძალიან დაშორებულ ადგილს ირჩევს, რათა თავის ახალი ნაკვლევი წაიკითხოს.

მართალია, ბაქოში ბევრი კარგად ცნობილი ქართველი ინტელიგენტი ცხოვრობს, მაგრამ «ვეფხისტყაოსნის» შესახებ საკითხი მათ აინტერესებთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შოთა და მისი ნაწარმოები მათთვის ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენს. აქ, ჩვენს ქალაქში კი, სადაც საკითხით დაინტერესებული ქართველი ინტელიგენციის მთავარი სამყოფელია, თითო-ოროლა მაინც მოიპოვება ისეთი, რომელსაც ცოტა ოფლი წამოსდენია რუსთველას შესწავლის დროს. მაგრამ, ვაი, თუ აქაც იმავე სამწუხარო მოვლენასთან გვაქვს საქმე, რომელიც, მეტი რომ არა ფოქვით, პირდაპირ გაუგებარია: შეიძლება, ეს ერთგვარი გენიალური საოცრებაც იყოს. მაგრამ ასევე არ იქცევა მეორე, პოეტის XIV—XV საუკუნეებში გადაშტანი, ჯერ ახალგაზრდა მეცნიერი, სარგის კაკაბაძეც, რომლის შესახებ ვაზეთებმა გადმოგვცეს, რომ იგი სომეხ მწერალთა საზოგადოებაში აპირებს ლექციის წაკითხვას სათაურით: «შოთა რუსთაველი და მისი «ვეფხისტყაოსანი»?! სამწუხაროდ, ეს ასეა. ჩვენ, რასაკვირველია, მაინც ღრმად გვწამს, რომ ცნობილი ბუმბერაზი მეცნიერი ნ. მარი, ურიგოს არას ჩაიღენს და გადაჭრით არ იტყვის იმას, რაშიაც მტკიცედ დარწმუნებული არ არის.

გაზ. «სახალხო ფურცელი», 1917, № 369.

¹ ამ მხრივ ყველას გადააჭარბა ბ. გერასიმე იმნაიშვილმა. იხ. მისი ფულეტონი «საქართველოში» [№ 16, 1917].

შენიშვნები და შენიშვნები „ვეზისწყაონის“ 22-ე გამოსვლის შესახებ

(ვახვანგ VI გამოსვლი „ვეზისწყაონის“ ჩრდობით)

ვახვანგ VI გამოსვლას რომ ადარებ «ვეფხისტყაონის» არსებულ ხელნაწერებს, უპირველესად ყოვლისა, ურადლებას იპყრობს შემდეგი გარემოება: ერთი მხრით, იგი, როგორც რედაქცია, ყველა თავისი ჩანართით, შეურყენელობით და სიმოკლით, ძველი რედაქციის სახეს ატარებს, მეორე მხრით, — რასაც კიდევ არანაკლები მნიშვნელობა აქვს, — ამ პოემის შესავლის ხანათა რიგი სულ სხვაა, მე-17 საუკ. ხელნაწერებთან შედარებით. ამ უკანასკნელებში შესავლის ხანათა რიგის მხრით, მას ემხრობა მხოლოდ ორი ხელნაწერი: ერთი ეგრეთ წოდებული არტანუჯული და მეორეც ვრცელი № 5006, რომლებიც, ზედმეტი ჩანართებით, აშკარაა, ამ ხელნაწერის განვითარების შემდეგ საფეხურს წარმოადგენს.

აღნიშნულ ხანათა რიგი განსხვავების შედარება ვახვანგის გამოსვლასა და იმისავე მსგავს არტანუჯულსა და № 5006 ხელნაწერებთან, — ყველა ვრცელისა და მოკლე მე-17 საუკუნის ხელნაწერებთან გვაძლევს ნათელ წარმოდგენას იმ ორის სხვადასხვა რედაქციის შესახებ, რომლებსაც განაწილებს წარმოიშვა, ერთი მხრით, ვახვანგის გამოსვლა და ის ხელნაწერები, რომლებიც, შესავლის ხანათა რიგის მიხედვით, სრულიად ემხრობა ამ გამოსვლას, და, მეორე მხრით, ყველა ვრცელი და მოკლე მე-17 საუკუნის პირველისა და მეორე ნახევრის ხელნაწერები.

თუ გამოვყოფთ ამ უკანასკნელების შესავალში მოთავსებულ ყველა, ვახვანგის გამოსვლის შესავალთან შედარებით, ზედმეტ ხანას, რომლებიც, როგორც სტილის, ისე შინაარსის მიხედვით, ჩანართად მისაღებია, და შევუდარებთ ერთმანეთს ვახვანგის გამოსვლისა და მისგან განსხვავებული რედაქციების შესავალს, აშკარად დაერწმუნდებით, რომ ვახვანგის გამოსვლის შესავლის ხანები მის რედაქტორს დიდი თვითნებობით გადაუსვამ-გადმოუსვამს, რადგან დანარჩენს მისგან განსხვავებულ რედაქციებში, უძველესის № 599-ითგან (1646 წლის ხელნაწერი) დაწყებული¹ ხანათა რიგი ბევრად უფრო მისაღებია: ამ უკანასკნელებში ყველა ხანა თავის დარგშია მოთავსებული, წინააღმდეგ ვახვანგისეულის გამოსვლისა (შეად. ჩვენის გამოსვლის შესავალი ვახვანგის გამოსვლისას, რომელსაც მისდევდა ყველა დღემდის ცნობილი გამოსვლა ჩუბინაშვილის, ქართველიშვილის, ბროსისი და სხვა).

¹ ამ უძველეს ხელნაწერს ხანების ერთი მესამედი თავში ან აკლია, ან სხვა ხელით აქვს ჩამატებული, მაგრამ რაც ნამდვილია, მოწმობს, რომ ხანათა რიგი ამ ხელნაწერის შესავალში იმგვარევე ყოფილა, რაც ვახვანგის ყველა გამოსვლისაგან განსხვავებულ რედაქციაში.

რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ამ ყველაზე მოკლე და სარწმუნო რედაქციაში ხანები არეულ-დარეულია, წინააღმდეგ ვრცელისა და ჩანართების მხრით უფრო მეტად შერევილია რედაქციებისა?

ამის პასუხად, ჩვენი აზრით, მხოლოდ ერთი შეიძლება ითქვას, სახელდობრ ის, რომ ვახტანგის გამოცემა არის პირი იმ რედაქციისა, რომელშიაც, გადაკეთების იმ თავითვე, სწორედ ეს საგრძნობი ცვლილება, ე. ი. შესავლის ხანათა შეუწყნარებელი თვითნებობით გადასმა-გადმოსმა მოუხდენიათ. ამგვარ ცვლილებას, რომელიც პირველ შეხედვისასვე უნდა ეგრძნო საქმის მცოდნე მწიგნობარსა და ბიბლიოფილს, უნდა გამოეწვია ამგვარი რედაქციისადმი საერთო უნდობლობა. რა თქმა უნდა, ეს აღნიშნული ცვლილება და ამ ცვლილებით გამოწვეული უნდობლობა უნდა გამხდარიყო ნამდვილი მიზეზი ამ გამოცემის დედნის ჩანართი ხანების ავტორთაგან ხელუხლებლობისა, რადგან ეს რედაქტორები უმეტეს შემთხვევაში საგანგებოდ გამორჩეულ მწიგნობრებსა და ყველასაგან ცნობილ მეფის მდივნებს¹ წარმოადგენდნენ.

ამგვარ ძირითადს ცვლილებასთან ერთად, რა თქმა უნდა, ეს თვითნებობის შექონი რედაქტორი, თავის ხელს დაატყობდა ტექსტის ამა თუ იმ ადგილს, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ნამდვილი ადგილების საგრძნობლად შეცვლა და გადასხვაფერება, ანუ, უკეთ, წარყვანა. ვრცელისა და ფაქიზად შესრულებული რედაქციების, როგორც შესავლის, ისე თვით პოემის ტექსტის, ვარიანტთა ვახტანგის გამოცემის ვარიანტთან შედარება მოწმობს, რომ პირველებს ბევრად უფრო წმინდად და ხელუხლებლად შემოუნახავთ, როგორც შესავლის, ისე თვით პოემის ძირითადი ტექსტი.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ვახტანგის გამოცემის დედნის იმ თავითვე წარყენის გამო, «ვეფხისტყაოსნის» შემდეგის დროის რედაქტორები ორ მთავარ ჯგუფად გაყოფილან: ერთი წყება, როგორც არიან, გიორგი XI მდივანი პოეტი ბეგთაბეგ, ან აღმურაანთ ბაღდასარას შვილი მუშრიბი გასპარა, ან უძველესი 1645 წლის № 599 ხელნაწერის, — რომელიც საისტ. და საეთნოგრაფიო საგანძურის საკუთრებას შეადგენს, — გადამწერი მეფის მდივანი მამუკა, რომლებიც, ალბათ, კარგათ იცნობდნენ ზემორე მოთხრობილ ფაქტს, იმ თავითვე აცხადებენ ვახტანგის გამოცემის დედნისადმი სრულ უნდობლობას და თავიანთი რედაქციებისათვის იღებენ ჯერ ისევ წმინდად შენახულს, იმდროს არსებულ რედაქციას. მეორე წყება კი, როგორც არის № 5006 ხელნაწერის რედაქტორი ან თუნდა გ. თუმანიშვილისეული ხელნაწერისა, ირჩევს ვახტანგის გამოცემის დედანს, რომელიც ზემორე დასახელებული მიზეზით, შესავლისა და საერთოდ პოემის ტექსტის შეცვლისა და წარყენით იმთავითვე, დაგმობილი და მივიწყებული ყოფილა.

ამ თვალთ თუ შევხედავთ საგანს, მაშინ სრულიად ადვილი ასახსნელია ჩვენთვის არტანუჯულის რედაქციის შესახები პ. ლარაძის ცნობა, რომ «ვეფხისტყაოსანი» დიდად წარყენილიყო და გ. თუმანიშვილს მოეპოვა უძველესი არტანუჯული ხელნაწერი. ეს ამბავი, ე. ი. არტანუჯულის რედაქციის მოპოვება, მოხდა იმ დროს, როდესაც ვახტანგის რედაქციისაგან განსხვავებული უძველესი რედაქციები ყველა ნეტისმეტად ვრცელი და ჩანართებისაგან წაღებული იყო და ვახტანგის გამოცემის დედანი, თუკი იგი იმ დროს კიდევდა არსებობდა, თავისი გარეგნობით და სიძველით, რა თქმა უნდა, უვიც მწიგნობართა თვალში მეტ ნდო-

¹ ის ამის შესახებ ჩემი «შესწორებანა და შენიშვნები», გვ. 46.

ბას გამოიწვევდა. ნამეტურ ფასი ექმნებოდა ამ გარემოებას ვახტანგის კომისიისათვის, რომელმაც მიზნად დაისახა პოემის დასტამბვა.

კომისიამ, მეფის ხელმძღვანელობით, რასაკვირველია, ამჯობინა ის რედაქცია, რომლის დასტამბვა ნაკლებ შრომას მოითხოვდა და არ საჭიროებდა გაწმენდას იმ ჩანართთაგან, რომლებიც უკვე საგრძნობლად მორეოდა პოემის ტექსტს: ეს ტექსტის გაცხრილვაც სომ მხოლოდლა მეცნიერული კრიტიკის საქმე იყო.

ამნაირად, ჩვენი აზრით, ყოველ ეჭვს გარეშეა ის, რომ ჩვენამდი მოღწეულ უძველეს რედაქციათა შემდგენლები, — რომლებიც სრულ უნდობლობას უცხადებდნენ ყველაზე ადრე შერყენილ პოემის დედანს, რაც ვახტანგის გამოცემის დედნის რედაქტორის ნამოქმედარი იყო, — უფრო იცავენ პირველი წყაროს სახეს თავიანთი რედაქციების ძირითად ტექსტში, ვიდრე ვახტანგის გამოცემა.

ამ ვრცელი რედაქციების რედაქტორებს, მხოლოდ ის საყვედური თუ ეთქმის, რომ მათთვის სულს წაუძლევიდა და შეუტანიათ ბევრი ხანა, რომელთა შემჩნევა პოემის ტექსტში და ცალკე გამოყოფა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს: საკმაოა, სტილის მხრით შეეუდაროთ ამ რედაქტორების ჩანართები და გაგრძელება პოემის ტექსტს, რომ დაერწმუნდეთ მათ სიყალბეში.

სწორედ ამ პრინციპით ვხელმძღვანელობდით ჩვენ ჩვენი 22-ე გამოცემის შედგენის დროს. მცირეოდენი დაკვირვებაც კმარა, რომ ჩვენი გამოცემის ტექსტის შესავალი, რომელიც წარმოადგენს ყველაზე ძველის ვრცელი რედაქციების შემცველი ხელნაწერებით დაცულ ხანათა რიგის ხელუხლებლად დაცვას, გაცილებით მაღლა დგას ვახტანგის გამოცემით გავრცელებული ტრადიციული შესავლის ტექსტზე.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: საკმაოა შეუდაროთ, ვარიანტების მხრით, ჩვენი 22-ე და ვახტანგის გამოცემები ერთიმეორეს, რომ დარწმუნდეთ, თუ რა თვითნებობა უხმარია ვახტანგის გამოცემის დედნის შემდგენელს უძველესი ვარიანტის პირის გადმოღების დროს.

რა თქმა უნდა, ვახტანგის რედაქციის დედანი, ვარიანტის მხრით, ბევრად მაღლა დგას ყველა უფრო გვიან გადაწერილსა და ძალზე გაუუღვარებულ ბოლოდროინდელ რედაქციაზე, მაგრამ მისი შედარება მე-17 საუკ. უძველეს ვრცელ რედაქციებთან, — არტანუჯულსა და № 5006 რედაქციას გარდა, რომლებიც ვახტანგის გამოცემის დედნის გაერთარებას წარმოადგენს, — აშკარად მოწმობს, რომ ამ რედაქციით ძალიან გადასხვაფერებულა პირვანდელი დედნის ტექსტი.

დავიწყოთ ამ სხვადასხვა რედაქციის შესავლის ხანათა რიგის შედარებითგან: 22-ე გამოცემა წარმოადგენს ვახტანგის რედაქციისაგან განსხვავებული რედაქციის ხანათა იმ რიგს, რომელიც დაცულია № № 599, 757 და 54 ხელნაწერებში; ამიტომ ჩვენ აქ ვასახელებთ ამ ჩვენი რედაქციის ხანებსა და ტაეპებს.

ყველაზე უწინ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ რედაქციით შესავლის ხანები მეტისმეტად სწორად არის დალაგებული მაშინ, როდესაც ვახტანგის და მის მომდევნო არტანუჯულსა და წ.-კ. საზ. საგანძურის № 5006 ხელნაწერებში ესევე ხანები დიდის თვითნებობით არის გადასმულ-გადმოსმული.

22-ე გამოცემაში, როგორც ჩვენი სათაურებიც მოწმობენ, 1-ლი ხანა წარმოადგენს წიგნის დასაწყისს, სადაც ლაპარაკია სამყაროს შემოქმედზე, — ცისა და ქვეყნის გამჩენზე, რომელსაც გაუჩენია სელმწიფე — მისივე სახება (სახითა მის მიერითა).

ცხადია, აქ, როგორც ყოველი აღმოსავლური დიდი პოეტი, რუსთველიც ჯერ

გვაცნობს წიგნის დასაწყისს. შეად. ფირდოუსის წიგნის დასაწყისი (აღაზი ქითაბ), სადაც აგრეთვე ლაპარაკია სამყაროს შემოქმედზე, რომელმაც შექმნა ზედიზედ ატომებისაგან ელემენტები და შემდეგ ადამიანი, და დასასრულ გამოთქმულია იგივე აზრი, რაც ჩვენს პოეტს აქვს. სახელდობრ: რომ ჩვენ ადამიანებს გვიბოძა ხელქვეშ და დავემორჩილა ყოველივე: ალემ. ჰაივან, გუჰარ (სერასერ ადემი რა შუდ მოსახხირ), — სამყარო, ცხოველები და ბუნება, ე. ი. ერთის სიტყვით: «მოგვცა ქვეყანა უთვალავი ფერითა» და სხვ.

ამას მისდევს პოეტის, ლოცვის სახით, მიმართვა ერთი ღმრთისადმი, რომელმაც შექმნა სახე ყოვლისა ტანისა. იგი ევედრება ღმერთს: «შენ დამიფარე, მეც ძლევა სატანის დასათრგუნავად, მომეც მიჯნურთა სურვილი, იმ მიჯნურთა, რომლებიც სიკვდილამდი ერთმანერთის გამტანნი უნდა იყვნენ და ცოდვათა შესუბუქება».

შემდეგ, ლოცვაშივე, პოეტი აღიარებს, რომ მან არ იცის, რა ხოტბა უძღვნას იმ ღმებრ რაინდს, რომელიც განთქმულია შუბისა და ფარ-ხმლის ხმარებაში, — ვინც ღირსია მეფე-მზისა თამარისა ლაწვ-ლალ-თმა-გიშერისაო. ჭეშმარიტად მის მჭვრეტელებზე იტყვიან, რომ ისინი არიან ღირსნი, მიერთვას მათ ეს საუკეთესო ყანდი (ე. ი. მეტ. მზეთ-უნახავის ბაგეები), თამარს ვაქებდეთ... მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტბილისა, შენ მხოლოო ღმერთო! აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, მომეც ძალი და შეწვენა, შენგანვე მოიწიებულ, ჭკუა-გონება (სიბრძნე), რომ მით შევეწივინეთ ტარიელსო და სხვა...

ლოცვას მისდევს ჩვენი გამოცემის ტექსტში ნაჩვენები სათაურების მიხედვით, თავთავის რიგზე დალაგებული ხანები: 1. ჰამბავთათვის (IX — XI [9 — 11], 2), 2. მოშაირეთათვის (XII — XIX [12 — 19]), 3. მიჯნურთათვის (XX — XXXI [20 — 31]).

ჩვენი რედაქციის შესავალი რომ შევედართ ვახტანგის გამოცემით დაცულ შესავალს, აშკარად დავინახავთ, რომ ამ უკანასკნელის ხანები შეუწყნარებელი თვითნებობით არის გადასმულ-გადმოსმული: ვახტანგის გამოცემის დედნის რედაქტორს აუღია 23-ე ხანიდან 29-ე ხანამდე 6 ხანა, მიჯნურთათვის დაწერილი ხანებიდან და ჩაუჩხირავს მე-7 ხანის ბოლოში, ისე რომ ხანას: «მო დავსხდეთ ტარიელისთვის»... მისდევს 6 ხანა, რომლებიც გადმოტანილია იმ განყოფილებიდან, რომელსაც ჩვენი რედაქციით სათაურად აქვს: «მიჯნურთათვის», რის გამო ვახტანგის გამოცემის შესავალში დომხალივით არის არეული პოეტის აზრები მისი ქმნილების შესახებ, რამაც საბუთი მისცა დ. კარიჭაშვილს სრულიად ხელი აეღო შესავალზე¹.

მაგრამ მართო ამით როდღე განისაზღვრება ვახტანგის გამოცემის დედნის რედაქტორის თვითნებობა. იგი ძალზე ასხვაფერებს და რყენის როგორც შესავალის, ისე თვით პოემის ტექსტის მნიშვნელოვან ადგილებს. ამ მხრივ საქმარისია

¹ დ. კარიჭაშვილი, რომელსაც «ვეფხისტყაოსნის» შესავალი ვახტანგის გამოცემის მიხედვითა აქვს წარმოდგენილი, შემდეგ აზრს გამოთქვამს:

«მწიგნობრების ცდა, რომ წინასიტყვაობის და ბოლოსიტყვაობის ტაქვები ისე დაეღაგებინათ და გაეცხრილათ, რომ აზრიანი კავშირი დამყარებულიყო მათ შორის, ვერ გამოდგა ნაყოფიერი, რადგან ტაქვები სხვადასხვა დროსა და მწიგნობრების შეთხზულნი იყვნენ. მათი დაღაგება ან გაწმინდა ინნაირად, რომ ყველანი კმაყოფილნი ყოფილიყვნენ, შეუძლებელი შეიქნა: ყოველი მწიგნობარი თავის გემოსა და აზრის მიხედვით აღაგებდა, აკლემდა და უმატებდა ტაქვსაო». მას უნაყოფოდ მიაჩნია შესავლის რედაქციის გამომუშავება. ის. «ვეფხისტყაოსნის» შედგენილობა, მე-12 გვერდი. ცალკე წიგნაკი, ამოღებული ჟურ. «განათლებიდან».

რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი, რომელსაც აქვე წარმოვუდგენ დაინტერესებულთ.

ციტაციის დროს ჩვენი 22-ე გამოცემის შესავლის ხანები აღნიშნული გვაქვს რომაული ციფრებით სწორედ ისევე, როგორც ჩვენს გამოცემაში; ხანების გვერდით მოთავსებული გვაქვს მძიმით გამოყოფილი ტაუპის აღმნიშვნელი არაბული ციფრები. ჩვენი გამოცემისათვის ტექსტის ნუმერაციის მიხედვით გვექნება დასახელებული ტექსტის დანარჩენი მაგალითებიც. დავიწყეთ ჩვენისა და ვახტანგის გამოცემათა შესავლის ხანათა შედარებითგან.

22 გამოცემა:

111 [3]. 3 და 4:

«მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა შერისა,
და მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ჯამს მართ მიშერისა».

ვახტ.:

«მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა სშირისა
და მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ჯამს მართ მშიერისა».

მცოდნე პირის მცირეოდენი დაკვირვებაც საკმაოა, რომ დარწმუნდეს ვახტანგის გამოცემას წაკითხვის ძალზე წარყვნილებაში. როგორც ზემორე გვაქვს გამარტებული, ეს ადგილი ნიშნავს შემდეგს:

«არ ვიცი, რა ქება ვუთხრა იმ ლომს, რომელიც განთქმულია შუბისა და ფარ-სმლის ხმარებით და ღირსია დაწვ-ბადახ-შიშერა მეფე-მზისა თამარისა. ჭეშმარიტად სათქმელია მის მჭვრეტელებზე, რომ ისინი ღირსი არიან მიერთვას მათ ეს საუკეთესო ყანდი (ე. ი. მეტაფ. მზეთუნახავის ბაგეები)».

ვახტანგის გამოცემის დედნის რედაქტორს კი, რადგან მას ვეღარ გაუვია ძველი ხელნაწერებით დაცული წაკითხვა: «შესხმა ხოტბისა შერისა» ან «ყანდისა მირთმა ჯამს მართ მი შერისა», მე-3 ტაუპის «შერისა» გადაუკეთებია «სშირისად», მცოდნე ტაუპის დამაბოლოებელი აგრეთვე უცხო სიტყვა «მიშერისა» კი — მშიერისად.

მე-3 ტაუპის შერ — შერი¹ არაბული სიტყვაა და აღნიშნავს ლექსსა, შაირსა, «მი შერისა»-ში კი «მი» არის მიმართულების მაჩვენებელი პრეფიქსი, რომელიც წარმოადგენს მირთმა-ს შემადგენლობაში არსებულის ამავე პრეფიქსის «მი»-ს გამოკრებას, შერი კი არის გაუღვარებული არაბული შეპრეტ, resp. შეპრე, რომელიც აღნიშნავს საგანგებოს, საუცხოოს, განთქმულს რასმე. ასე რომ «მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ჯამს მართ მი შერისა», ნიშნავს: მისთა მჭვრეტელთა (რალა ვკადროო), ჭეშმარიტად უნდა მიერთვას მათ საგანგებო ყანდი (ჯამს ყანდისა მირთმა, ან განთქმული. საქებური რამ ყანდიო). პატივცემული მეცნიერი ნ. შარი ამ ადგილს თავის გემოზე ასხვადფერებს, თუმცა ეტყობა, მისი შესწორებაც დამოკიდებულია № № 757 და 54 ხელნაწერების ვარიანტის ცოდნაზე, შეად. Н. Мара. TP, XII, გვ. 20-22; «ყანდისა მირთმა ჯამს მართ და შერისა?». ამ ტაუ-

¹ შეიძლება აქ იყოს განმეორებული პრეფიქსი «შე» «რისა»-ს წინ, და მაშინ უნდა წავიკითხოთ ასე: შე-ვკად-რო შე-სხმა ხოტბისა შე, რისა.

² როგორც ამ ბოლო დროს დაერწმუნდი, არაბულ-სპარსულის მცოდნეს სიფრთხილე კმართებს. რომ ის არ ვაიტაცოს ნამეტნავად არაბულ-სპარსულმა; ყოველთვის სჯობს ხელნაწერების ტექსტი უცვლელად დარჩეს, გაუგებარიც რომ იყოს. «შამანმეს» ტექსტის შემუშავების დროს, მე თიბუქის ყველაზე სატიკად დავმარცხდი, სადაც კი შევასწორე ტექსტი. იხ. 198,3—აბაიგ-ასალე-

პების რუსთველისთვის მიკუთვნება ნამეტურ სამართლიანია იმითაც, რომ აქ საე-
სებით არის დაცული რუსთველისებური მეტრიული მსატვრობა:

მაგ., მე-3 ტაქში ურადლებას იხურობს მარცვალი «შე», რომლითაც იწყება
ამ ტაქის სიტყვათა უმეტესობა. ხოლო მე-4 ტაქში მარცვალი მი (ან მ) მას, არა
ვიცი, შეეკადრო შესხმა ხოტბისა შერისა. და მისთა მჭერეტელთა ყანდისა მირთმა
ჯამს მართ მიშერისა.

შეადარე ამ ადგილს «ვისრამიანის» შემდეგი ადგილი, გვ. 257,3, ან სპარს.
ტექსტის გვ. 239 მე-2 და მე-4 ლექსი:

«ბაგეთა მისთა სიმცროსა ზედა გემო ყანდისა ჰქონდა».

22-ე გამოცემა: XIII [13,3]: —

«მართ აგრეთვე მელექსესა საუბართა ტკბილთა ფრქვევა».

ვახტ. XX, 3:

«მართ აგრევე მელექსეთა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა».

ვახტანგისეულის ვარიანტის აზრი აშკარად ეწინააღმდეგება პოეტის აზრს,
რომელიც გამოთქმულია XII, 4 ხანაში: «გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაი-
რია ამად კარგიო»; ამას გარდა, სტილიც მეტად მჭისია და გაუგებარი, რადგან
«ლექსთა თქმა და ხევა» კლასიკურის ენისთვის შეუფერებელია: წერილთა ხევა
კიდევ შეიძლება, მაგრამ «ლექსთა ხევა» კი არასოდეს, შეად. Н. Марр. ВѢДЪ.
ОСНОВНАТЫ [ДОСТУПНОГО ПОДЯ], რომლის მიხედვით, «ხევა» ცხენის დახევას
უნდა ნიშნავდეს!..

22-ე გამოცემა: XIX [19], 4: «მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს,
მიქია».

ვახტ., XXVI, 4: «მისი სახელი შეფრქვევით ქვემორე მითქვამს, მიქია».

პირველი რედაქციით, პოეტს უნდა ეთქვა, რომ პოემაში, სადაც ერთი სიტყვაც
კი არ არის ნათქვამი მის საქებელზე, შეფარვით არის ნათქვამი მისი «სიცოცხლე
უწყალო, ვითა ჯიქია».

მეორე რედაქცია კი გულისხმობს მის შეფრქვევით ქებას. ვისაც არ უნდა
ეკუთვნოდეს ეს ტაქი, პირველ რედაქციას მეტი აზრი აქვს, რადგან ვისაც უნდო-
და შეფრქვევით გამოეთქვა, ექო თავისი სატრფოს სახელი, მას კიდევ მოიხსე-
ნებდა სადმე, ქვემორე. მაგრამ ამის შემდეგ, არსად, ამ ხანის ქვემორე ამ უწყა-
ლო ჯიქის¹ სახელი არ მოიპოვება, არც შესაფაღში, არც თვით პოემაში. აქედან
თავისთავად ცხადია, რომ პირველი რედაქცია ვახტანგისაზე ბევრად უფრო სარ-
წმუნოა.

22-ე გამოცემა. XX [20], 4;

ვიცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენითა.

ვახტ., XXVII, 4:

წ. ევლო ხალასი მილია, სადაც ტექსტის მიხედვით, უნდა იყოს: «აბიაბაბის ასლებზე ევლო» და სხვა,
ან 1599,4 — «და დარაქა ყელსა შეიდა კუბო ყაღმაგე გესრული», სადაც უნდა იყოს: «დარაქა
ყელსა შეიდა, კუბო ნაჭელი გესრული»; იხ. «საქართველო», № 286.

¹ ჩვენი ფიქრით, შეუწყნარებელია ის აზრი, რომ აქ ჯიქი ჯიქეთის მცხოვრები იყოს. იხ.
Н. Марр. ТР, XII, გვ. 24. განა ჩვენთვის უცნობია პოეტის მიერ ვეფხის, ან ჯიქის (ჯიქო
ვეფხზე უფიცხესიც არის) საყვარელთან შედარება? იხ. «შანაშეს» ტექსტის წინასიტყვაობა, გვ. 32.
იხ. აგრეთვე საბას ლექსიონი, სადაც ჯიქი განმარტებულია სპარსული სიტყვით: ბაბრით, რაც ნიშ-
ნავს ვეფხს.

«ვინცა ეცდების, თმობათა ჰქონდეს მრავალთა წყენათა».

ცხადზე უცხადესია, რომ ეს მეორე რედაქცია დამახინჯებულია პირველთან შედარებით. პირველი რედაქციის ფორმა «თმობამცა ჰქონდა», ჩვეულებრივი ძველი კლასიკური ფორმაა (შეად., ქვემოთ: რათამცადა ასახელა, 20,3), მაშინ როდესაც «ჰქონდეს მრავალთა წყენათა» ვერ არის მოხდენილი. — «მისუდეს მრავალთა წყენათა და არა ჰქონდეს მრავალთა წყენათა». მაშასადამე, სრულიად უსაფუძვლოდ ემყარებიან ვახტანგის წაკითხვაზე პატივცემული ნ. მარი და ტრადიციული ტექსტის ყველა მომხრე.

22-ე გამოცემა, XXII [22],4:

«კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება, კეკლუცთა ზედან ფრფენითა».

ვახტ. XXIX, 4:

«კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედან ფრენითა».

ცხადზე უცხადესია, რომ ამ შემთხვევაშიაც პირველ რედაქციას უნდა მიეცეს უპირატესობა, რადგან ფრფენა აღნიშნავს პეპლის, ფარვანას, სანთლის ან რისამე გარეშემო ფრენას, ასე რომ წაკითხვა «ფრენითა», თავის თავად ისპობა ამ 22-ე რედაქციით. შეად. H. Mapp. TP, XII, გვ. 52, V, 1-4.

22-ე გამოცემა XXIII [23],2:

«სიბრძნე, სიმდაბლე, სიუსხვე, სიყმე და მოცალეობა».

ვახტ.:

«სიბრძნე, სიმდიდრე, სიუსხვე, სიყმე და მოცალეობა».

უძველეს № 599-ს ხელნაწერში, რომელიც 1646 წელს არის გადაწერილი მეფის მდივნის მამუკას მიერ, «სიმდიდრეს» ნაცვლად არის «სიმდაბლე», რომელიც ძლიერ უხდება აზრს. მიჯნურის ერთი ყველაზე მოსაწონი თვისებათაგანი უნდა ყოფილიყო სიმდაბლე, თავმდაბლობა, რაც ისე ამშვენებს ავთანდილისა და ტარიელის ხასიათს. ესეც რომ არ იყოს, მეფეთა და დიდგვართა, — მეფეთა ზრდილობით განთქმულთა, როგორც ტარიელ და ავთანდილ იყვნენ, — ერთი საუკეთესო თვისებათაგანი სითავმდაბლე იყო. როსტყევანი, სიბრძნესა და სიუსხვესთან ერთად, გათქმული იყო აგრეთვე თავისი სიმდაბლით. იგი პოეტის აღწერილობით, იყო «მაღალი, უხვი, მდაბალი» და სხვა. ავთანდილი, თავის მოგზაურობის დროს, ყველგან დიდ სითავმდაბლეს იჩენს: მოვიგონოთ თუნდა მისი შესხვედრა ხატაელებთან ან პირველი მისი შესხვედრა ტარიელთან და მოქარავენე ვაჭრებთან; მას ყოველ შემთხვევაში გამზადებული აქვს გული სამმოდ და სამონოდ. იგი მზადაა ყველა დაჩაგრულსა და დევნილს ძმური სამსახური გაუწიოს, მეფესთან რიდი და კრძალვა, სითავმდაბლით ატანა ყოველგვარი წყრომისა ამ რაინდის ნიშანდობლივს თვისებას შეადგენს. ამიტომ სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია ვარიანტის წაკითხვა: «სიბრძნე, სიმდაბლე, სიუსხვე».

მიჯნურის სიმდიდრე, როგორც მისი აუცილებლად საჭირო თვისება, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს სიბრძნე, როგორღაც ჭკუაში ვერ მოდის; იგი ყველაზე უწინ ფსიქოლოგიას ეწინააღმდეგება. რაინდული სიყვარული არ ეძიებს არაერთარ სიმდიდრესა და ნივთიერ ღონისძიებას, რადგან სიყვარული უანგარო, წრფელი და სადა უნდა იყოს, და ტარიელიც ზომ ხელს იღებს ამსოფლიურ სიმდიდრესა და დიდებაზე და გამოქვაბულში იკეტება თავისი სატრფოს ნამოახლარ ასმათთან ერთად.

22-ე გამოცემა [27,4]:

«დასთმოს წყრომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა».

ვახტ.:

«დასთმოს წყრომა მეფეთაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა».

უოველ ეჭვს გარეშეა, რომ აქ ლაპარაკია მოყვარეზე და არა მეფეზე.

საკმაოა გავიხსენიოთ, თუ როგორ ხრის თავს და რა სითავმდაბლით ითმენს ტარიელი ავთანდილის საყვედურს იმისთვის, რომ იგი დანიშნულ ვადაზე ავთანდილს შინ არ დაუხვდა და იმით ჰაემანი არ გაუსრულა. ამნაირ რეცეპტს უწერს მიჯნურს «ვისრამიანიც», რასაც ქვემოთ დავინახავთ. ამ ჩვენთვის საინტერესო ადგილსაც მეფე არაფერ შუაშია. უფრო საფიქრებელია, რომ ეს ადგილი ვინმე მეფის მდივანს, თავისი სურვილისამებრ, გადაუკეთებია, მაგრამ, — «ფიცი მწამს, ბოლო კი მაკვირვებსო», — მას, მისდა უნებურად, შეუსწორებლად დარჩენია სიტყვა «მეფეთაგანს» შემდეგ მდგარი სიტყვა «მისი», რაც, ალბათ, მიეკუთვნებოდა სიტყვას «მოყვრისაგან», რომელიც აგრეთვე მხოლოდით რიცხვში დგას. «მეფეთაგან» კი, რომელიც მრავლობით რიცხვშია, თხოულობს უკვე მრავლობით რიცხვსა და უნდა იყოს: «და დასთმოს წყრომა მეფეთაგან», «მათი (ე. ი. მეფის) ჰქონდეს შიში, კრძალვა», და არა «მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა».

უამისოდ, გასაოცარი და გაუგებარი იქნებოდა იმგვარი მსჯელობა, როგორიც ამ ტაეჰშია გამოთქმული: თავი და თავი მიჯნურობაა ჭირთა მალეა, არ დაჩენა ჭირთა, გულის სატრფოს თავის წინა, ხალვათად მყოფი რომ იგონებდე, შორით რომ იწვოდე მისი სიყვარულის ცეცხლში, რომ მისი შიში და მორიდება გქონდესო, გვეუბნება პოეტი და ამავე დროს, სრულიად უადგილოდ, მეფეთაგან წყრომის დათმობას უდებს კანონად მიჯნურობას. ან კი რა აზრი აქვს იმის თქმას: მიჯნურობა ის არის, მეფეთაგან წყრომა დათმოს მიჯნურმანო და მისიც (ე. ი. საყვარლის) შიში და კრძალვა ჰქონდესო!

ჩვენი აზრით, ბევრად უფრო ბუნებრივია და გასაგებიც ჩვენი მიღებული ვარიანტი, რომლითაც მიჯნურობის თვისებებთან, როგორიცაა გულის სატრფოსთვის შორით და ჩუმად დაგვა, ჭირთა არ დაჩენა და სხვა, მოხსენებულია მიჯნურის მხრით მოყვრისაგან წყრომის დათმობა და მის წინაშე შიში და კრძალვა.

ამას გარდა, ძალზე წარყვნილია ვახტანგის გამოცემით ბევრი ადგილი, სადაც ფრაზების გრამატიკული უკანონობა აშკარაა:

22-ე გამოცემა, X X [20], 4:

«ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა».

ვახტ.:

«ვინცა ეცდების თმობათა, ჰქონდეს მრავალთა წყენათა».

22-ე გამოცემა, X X V I I [27], 2:

«ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა», იხ. შესწ. და შენიშვნანი, ვარიანტები.

ვახტ.: — «ნიადაგმცა ჰქონდეს ხალვა».

22-ე გამოცემა, X X I X [29], 2:

«ამის მეტი რამცა ირგო, მას ავნოს...»

ვახტ.: 29,2 — «ამის მეტი რამცა ირგოს...»

22-ე გამოცემა, X X I X [29], 3:

«რათამცალა ასახელა, რა სიტყუითა მოაყივნოს».

ვახტ.: 14,3:

«რათამცალა ასახელოს, რა სიტყუითა მოაყივნოს».

ჩვენი 22-ე გამოცემის ვახტანგის გამოცემასთან შედარება მოწმობს, რომ არავითარი საბუთი არ არის სანების ისეთი თვითნებობით გადასმ-გადმოსმისა. როგორსაც ვსვდებით ნ. მარის გამოცემაში. TP, XII, არც თუ შესწორებისა. მით უმეტეს, რომ თვით პატივცემული აკადემიკოსი ნაადრევად და აჩქარებულად თელის ფოთელგვარ შესწორებას იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ამის საბუთს იძლევა ხელნაწერები¹ (ის. იქვე გ 4, სტრ. 16. შენიშ. 3) და ამავე დროს თავის გემოზე ასწორებს საუკუნეებით ნაადრევად შესავლის იმ ადგილებს, რომელთა შესწორებას იმ სახით, რა სახითაც ნ. მარს აქვს. არც ერთი ხელნაწერი არ ადასტურებს. მართალია, მეცნიერს ბევრი მეტისმეტად კარგი შესწორება შეაქვს საუკუნეების განმავლობაში წარყენილი შესავლის ტექსტში, მაგრამ ამ შესწორებებს ზოგან მაინც კიდევ შესწორება და სხვა სახით გაშუქება სჭირია. ხშირად შესწორებაც მოხდენილია, მაგრამ თვით დასაბუთება, რომლის ძალითაც მეცნიერს შეაქვს მსგავსი შესწორება, ვერ არის შესწორების შესაფერი, რასაც აშკარად დაფინანსავთ პირველისავე აქ მოტანილი მაგალითითგან:

22-ე გამოცემა [4,3]:

«მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული».

აქ მინა რხეულის ნაცვლად ნ. მარი კითხულობს «ნაი რხეული»-ს და საბუთად მოჰყავს შემდეგი პარალელიზმები, როგორც «ვეფხისტყაოსნის», ისე ჩახრუხადის «თამარბანითგან», რომლებიც ვითომდა ადასტურებენ ამგვარ წაკითხვას:

«მოვშორდი ღხინსა ყველასა: ჩანგსა, ბარბითსა და ნასა»;

სადაც ნა, როგორც მეცნიერი სამართლიანად შენიშნავს, «სალამურის» აზრით არის ხმარებული. «ნა» — ლერწამი ფორმით «ნაი», სადაც ი-ნი ხმარებულია ხმოვანი საფუძვლის არსის სახელის დაბოლოებად, არსად, არც ძველს, არც ახალ სალიტერატურო ძეგლებში, არა გვხვდება. ნ. მარის მოტანილი მაგალითები, მაგ. სიტყვები ცოტაი, ერთაი, ყველაი, ყველაკაი, პაშტაი და სხვა, აქ არ გამოდგება, რადგან ყველა ეს მაგალითი წარმოგვიდგენს რიცხვის სახელების ხალხური ფორმით ხმარებას, რაც დღესაც შეინიშნება ხალხში საკუთარ ან რიცხვის სახელთა და ხმოვანი საფუძვლის სიტყვების სასაუბრო ენაში ხმარების დროს, ნამეტურ კითხვით წინადადებებში, ისეთი ფორმით, როგორიცაა: ვიგოი, პეტრეი, ივანეი, მოსიკელაი და სხვ. ან ცოტაი, რკოი, სკაი, ტურაი² და სხვა.

ქართული სიტყვა ლერწამი კი რუსთველს, მართლაც, ხშირად აქვს ხმარებული, ისე, როგორც ყველა ძველი საერო მწერლობის წარმომადგენელს («ვისრ.» მეხოტბეებს და სხვა), მაგრამ აქ უურადლება უნდა მიექცეს იმასაც, თუ როდის და რა აზრით ხმარობს რუსთველი ლერწამს: პოეტი მას ადარებს ტანს მაშინ, როდესაც მას ღამაზი ტანი, ტურფა ანაგები ადამიანი ჰყავს სახეში, როცა მას სურს ტურფა ტანის რონინი ან მიმორხევა დაგვიხატოს, ასე რომ ლერწამ-ტანი იგივეა. რაც კოსტა ტანი, მჭევრი ტანი, ანაგებით ტურფა ადამიანი და სხვა.

¹ მაგ., შურღაზარშაპრი ნაჩენები გვაქვს და, მაშასადამე, მიღებული გვექონდა ჩვენს ლექსიკონში. ის. «ძვ. საქ.» ტ. I, ის. სახელები: მულღაზარი, მულღაზარშარი და სხვა.

² რუსთველი არა თუ სპარსულ სიტყვას ნაი-ს იხმარდა ამგვარი ქართულისათვის უჩვეულო ფორმით, გულთ ნასროლს ვაი-საც კი (შეად. სომხური ვაჲ) უნოდ ხმარობს. ეს მოვლენა შე აღნიშნული მაქვს ჩემი შრომის 125 გვერდზე, სადაც მოყვანილი მაქვს სიტყვა «ვა». ნ. მარი უყურადღებოდ ტოვებს ამ ჩვენ მიერ აღნიშნულ მოვლენას, შეად. ციტ. ნაშრომი, 25, 5,3. მაშინ, როდესაც იქვე ასახელებს ე. ს. თაყაიშვილის ნარკვევს.

ამიტომ მე უსაფუძვლოდ მიმაჩნია, მეცნიერის მხრით, იმგვარი პარალელიზმის მოწმედ მოყვანა, როგორც არის რუსთველისავე შემდეგი ადგილი:

«კალმად გიკვეთ გაწყობილსა ტანსა წვრილსა ვით ლერწამსა».

როგორც აღნიშნული მაქვს უკვე ჩემს 22-ე გამოცემის ლექსიკონში, ვახტანგის გამოცემის წაკითხვა ამ შემთხვევაშიაც შეუწყნარებელია, იხ. ლექს. «ლეღი», ან შესწორებანი და შენიშვნანი, ვარიანტები 897,4, რომელიც მოთავსებულია 81-ე გვერდზე. ნ. მარის წაკითხვა კიდევ უფრო დამახინჯებული სახით არის წარმოდგენილი, ვიდრე ვახტანგის ტექსტით. ვახტანგი ამ ადგილს ასე კითხულობს: კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა წვრილსა ვით ლერწამსაო; ნაიის წაკითხვა კი განმეორებაა მეუნარგის თაემჯდომარეობით შემდგარი კომისიის მიერ შეტანილი შესწორების, რომელიც არის ნაყოფი ამ ადგილის უძველეს 599-ე ნომერ ხელნაწერზე (1646 წ.) შემოწმებისა: ნ. მარსაც, რადგან უფრო უხდებოდა ლერწამს ამგვარი ეპითეტი, უპირატესობა მიუცია «გაწყობილი»-სათვის «გაწლობილი»-ს მიმართ.

გაწლობილი კი ნიშნავს გალეულს. გაწვრილებულს, რაც ლერწამს მაინცა და მაინც არაფრად უხდება. საქმე აქ ის არის, რომ ვახტანგის რედაქციის დედანზე ორს დამოუკიდებელ ხელნაწერში, რომლებზედაც ზევით ვთქვით, ეს ტაქტი ასე იკითხება: «კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა წვრილსა ვითა თმასა» (იხ. № № 757 და 2829). აშკარად ჩანს, რომ ვახტანგის რედაქციის პირველი ნაწილი წმიდად დარჩენილა, რადგან «გაწლობილი» სრულიად შეეფერება «თმას»; «ტანსა გაწლობილსა, ვითა თმასა» ნიშნავს «თმასავით გალეულ ტანს». ცხადია, ვახტანგის რედაქციით, სიტყვა «თმასა», რადგან ალბათ არ მოსწონებიათ, შეუცვლიათ «ლერწამსად». მეტია იმის თქმა, რომ ამ შემთხვევაში სრულიად უხერხულია გაწლობილის, ე. ი. მიმწლეულის ან გალეულის ტანის შედარება ლერწამთან. ცხადია, აქ იგულისხმება აეთანდლის ცრემლთა ტბა და მისივე თმასავით გალეული, გამხდარი, დამკლევებული ტანი. სრულიად ანალოგიური ადგილი ნახეთ «ვისრამიანში», 57,11; 105,11, გვ., 296, მე-16 სტრიქ., სადაც ყველგან მსგავსევე ლექსია: «ვაისა ტანი მისი თმისაებრ დასწლობოდა». სიწლო, წლობა, ან დაწლობილი ჩვეულებრივია «ვისრამიანში». იხ. თუნდა: 105, 11 და იგივეა მნიშვნელობით, რაც სიგამხდრე, გალეულობა, გალეული, გამხდარი და სხვა.

ამნაირად, ნ. მარის მოსაზრება, «ნაი რხეულის» შესახებ, რომელიც დამყარებულია მოტანილ პარალელიზმებზე, ძნელი გასამართლებელია. ჩვენ, რასაკვირველია, სრულიად ბუნებრივად ვთვლით ამგვარ ტაქსს:

«მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მენა რხეული»,

სადაც ლაპარაკია მზეთუნახავის შავ თვალებსა და ლერწამტანის სიტურფეზე, მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია «მინა» შევასწოროთ «მე ნად»: არ ხდება არც ერთი იმგვარი ხმოვნის საფუძვლის არსის სახელი, რომელსაც ი-ნი ერთოდეს ბოლოს იმ რიცხვის სახელებს (ერთაი, პაშტაი, ყუალაი, ყვალაკაი და სხვ.) გარდა, რომლებიც ზემორეც დავასახელე, ხოლო კიდევ უფრო საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სამუსიკო საკრავის მნიშვნელობით ხმარებული ეს ჩვენთვის საინტერესო «ნაი» ან «ნა» რუსთველს უნოდ აქვს ნახმარი. იხ. «ჩანგსა, ბარბითსა და ნასა» ან «ნა-ჩანგ-დაფენი». შდრ. 22-ე გამოცემა, 134,4 და 1371, 2 [173, 1445]. ამიტომ, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება, პატივცემული მეცნიერის შესწორება კიდევ უფრო შესწორდეს და ეს ადგილი წაკითხულ იქმნას ასე:

«მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული».

აგრეთვე ვერ დავეთანხმებით მეცნიერს იმ შესწორებაში, რომელიც მას შეაქვს, 26-ე [26] ხანაში. იხ. მე-2 ტაეპი: — «სთმობდეს გაყრისა თმობასას» იგი ასწორებს «სთმობდეს გაყრისა ლმობასად», იხ. გვ. 39, 16,2,7-8. მაშინ როდესაც ეს წმინდა რუსთველის ენის ერთი თვისებათაგანია, რაც ჩვენ არაერთხელ გვაქვს აღნიშნული; იხ. თუნდაც ჩვენი 22-ე გამოცემის 232 გვერდზე ტექსტის შესახები შენიშვნები; იხ. და შეადარე მარისავე დასახელებული შრომის 33-ე გვერდზე წარმოდგენილი ხანა, სადაც აგრეთვე ვხვდებით სიტყვების განმეორებას:

«შენ ხარ მომცემი მიჯნურთა მიჯნურობისა სენისა,
შენ გაქვს წამალი მისისა მოთმინებისა თმენისა».

ამ უკანასკნელი ტაეპის მოტანილ მაგალითთან მსგავსება აშკარაა.

22-ე გამოცემა, 94 [131], 4:

«მერმე მოდი, ლომო, მზესა, შეგეყრები, შემეყარე».

ვახტ.: «მერმე მოდი ლომო, მზესა, შეგეყრები, შემეყარე»...

თუ აქ მზე თინათინია და ლომი ავთანდილი [ყმა], მაშინ ცხაღზე უცხადესია ის, რომ ჩვენი რედაქცია უფრო სწორია ვახტანგისაზე, რადგან მაშინ უნდა ყოფილიყო «მზე შემეყარე» და არა «მზესა შემეყარე» (იხ. ჩვენი შესწორებანი და შენიშვნანი, ვარიანტები, 94,4; შეად. H. Мapp. TP, XX, გვ. 12).

22-ე გამოცემა, 118 [157], 3: «მე ნუთუმცა შემოვბრუნდი» (იხ. № 757), ვახტ. — «ნუთუმცა შემოვბრუნდე» (აგრეთვე 124 [163], 1 — სხვა ხელნაწერებშიც) — «ვისმცა უთხარ» და არა «ვისმცა უთხრა».

ვახტ.: ვისმცა უთხრა.

22-ე გამოცემა:

372 [431], 3—«ხარგა დაედგი, არ მაზრები» ვახტანგ. — «ხარგა დაედგი, არ მზირები».

22-ე გამოცემა, 396 [455], 4:

«არ ვბრძოლე, კარი ქალაქთა უომრად გაეაღებინე».

ვახტ.:

«არ ვბრძოლე, კარი ქალაქთა უომრად აეაღებინე».

22-ე გამოცემა 471 [531], 2:

«ცამცა მრისსავს, მზისა შუქნი ჩემთვის ყოლე ნუ შუქნია».

ვახტ.:

«ცამცა მრისსავს, მზისა შუქნი ყველა ჩემთვის ნაშუქნია».

(იხ. შესწორებანი და შენიშ., 471,2).

22-ე გამოცემა, 576 [637], 1:

«ნუთუ ღმერთმან ქმნას გარდაქდა მაგა ჭირთა და დავალთა.

იხ. ვარიანტები: შესწორ. და შენიშვნ., 576,4;

ამგვარივე სწორი წაკითხვა შემოუნასავს ჩვენთვის № 2829 ხელნაწერს, 305,4:

«მაშინ დავიწყე გარდაქდა მე საწუთროსა დავალთა»,

რომელსაც ვახტანგის გამოცემა, სხვებთან ერთად, ასე კითხულობს:

«მაშინ დავიწყე გარდაქდა სოფლისა ღხინთა და ვალთაო».

იხ. აგრეთვე: შესწორებანი და შენიშვნანი, ვარიანტი 686,4 და შეად. ვახტანგის გამოცემისა და № № 2829 და 4499 ვარიანტები, სადაც უკანასკნელთა რედაქციას, როგორც აზრით, ისე ლექსისთვისაც, უნდა მიეცეს უპირატესობა.

იქვე 723 [786], 1; შეადარე აგრეთვე 898 [963] 2—ჩვენისა და ვახტანგისული გამოცემის რედაქციის წაკითხვანი.

იხ. აგრეთვე ვარიანტები 906,1 და 911,4 [973; 978], სადაც № 461 და 4499 ხელნაწერებს უნდა მიეცეს აშკარა უპირატესობა ვახტანგის გამოცემისა და სხვა ხელნაწერების რედაქციების წინაშე, რაც საბუთს გვაძლევს შევასწოროთ იმ სახით, როგორც ჩვენ გვქონდა ჩვენს შრომაში (იხ. «ძველი საქართველო», ტ. I, გვ. 92—93; იქვე ლექსიკ. — მულღაზარი, მულღაზარშარი, ან ნურადინ-ჟრიდონის განმარტება 184 გვ.=მულღაზარშარის ხელმწიფე და 977 [1041], 4.— სადაც № 599 ხელნაწერის ვარიანტს უნდა მიეცეს უპირატესობა ვახტანგისა და სხვა რედაქციების წინაშე:

«მართლად იტყვის მეცნიერი: «შიში შეიქნა სიყვარულსა».

(911[1045])

რასაკვირველია, მარტო იმით როდი განისაზღვრება ჩვენი 22-ე გამოცემის ვახტანგის გამოცემის წინაშე უპირატესობის მარჯვენებელ წაკითხვათა რიცხვი. სამწუხაროდ, საქმის სიჩქარის გამო, 22-ე გამოცემაში ვერ მოვასწარით ბევრი საყურადღებო ვარიანტის შეტანა, რომლებიც ასწორებენ ვახტანგის რედაქციის აშკარა შეცდომებს. ამ ვარიანტების მხრით, ყველაზე მეტს ნდობას იწვევს № 2829 ხელნაწერი, სადაც საოცარი სისწორით შენახულა უძველესი და აშკარა სწორი წაკითხვანი. ზემორე მოტანილ ვარიანტებს გარდა, რომლებსაც აშკარა შესწორებანი შეაქვთ ვახტანგის გამოცემის ტექსტში, აქ გვხვდება ისეთი სწორი წაკითხვა, რომელიც არ იცის არც ერთმა ხელნაწერმა:

მაგ., 1255 [1328],მ ვახტანგისა და სხვა ხელნაწერთა წაკითხვა აშკარა უაზრობაა.

ეს სტრიქონი ვახტანგის რედაქციით და ჩვენი რედაქციითაც, უყურადღებობის გამო, ასე იკითხება:

«ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა საროს ტანისა»,

რომელსაც № 2829 ხელნაწერი ასე კითხულობს:

«ეტლის ცვალება მზისა და შეჯდომა სარათანისა».

ეს უკანასკნელი წაკითხვა კი განსაცვიფრებელი სისწორით იცავს უუძველესა და ჭეშმარიტი ვარიანტის სახეს. აქ «ს ა რ ა თ ა ნ ი» ნიშნავს მაისის ზოდიაქოს, ანუ კირჩხიბს, მაშასადამე, წაკითხვა «ს ა რ ო ს ტ ა ნ ი ს ა», რომელსაც დღემდე მისდევდა ყველა არსებული გამოცემა, უაზრობად უნდა ჩაითვალოს.

«სარათანი», როგორც სხვა ასტრონომიული სახელები «ვეფხისტყაოსანში» არის არაბული «სარათან» და აქვს სწორედ ზემორეთქმული მნიშვნელობა.

მოტანილი ფაქტები, ჩვენი აზრით, აშკარად მოწმობს, რომ ვახტანგის გამოცემა პოემის ტექსტის აღსადგენად ყველაზე სანდო სრულიადაც არ არის, როგორც ამას ფიქრობენ ისინი, ვინც უნდობლად ეპყრობა 22-ე გამოცემას. ყველაფერიდან ჩანს, რომ ვახტანგის გამოცემაში რედაქტორის გემოზეა გადასმული გადმოსმული შესავლის ხანები და ამასთან შეცვლილი და წარყენილია ბევრი ვარიანტი, რომელთა გასწორება სრულიად სხვა ხასიათს აძლევს პოემის ტექსტს.

აი, ამ სახით წარმოგვიდგება ჩვენ ვახტანგის გამოცემის დედნის სახე, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია გამოვარკვიოთ ის მნიშვნელობა, რომელიც მას აქვს.

დღემდის ვახტანგის გამოცემის შესახებ შემცდარი აზრი იყო გავრცელებული, ვითომ ვახტანგი ყოფილიყო იმ რედაქციის შემდგენელი, რომელსაც ეს გამოცემა წარმოგვიდგენს. ე. თაყაიშვილი ამბობს: «ЭТОТ ЗАМЕЧАТЕЛЬНЫЙ ДЕЙ-

ტელე на пошище грузинской науки и литературы сумел очистить «Вещихтаოსანი» от тех наслоений, которые образовались в нем в XVII веке».¹

ეს აზრი რომ მართალი იყოს, მაშინ ვახტანგის გამოცემას ჩვენთვის მნიშვნელობა აღარ ექნებოდა, რადგან ხელოვნურად და სრულიად დაუსაბუთებლად შეკეთებული რედაქცია არავითარის ნდობის ღირსი აღარ იქნებოდა. ვახტანგის გამოცემის ტექსტი კი ჩვენთვის სწორედ იმით არის ღირსნიშვნელოვანი, რომ იგი გადმობეჭდილია ისეთი ხელნაწერთგან, რომელსაც, რესტავრატორის მიერ შეკეთებისა და ხანათა გადასმ-გადმოსმის გამო, იმ თავითვე უნდობლობა გამოუწვევია, რის გამო თავისი უძველესი შედგენილობით ხელნაწერი ხელუხლებელი დარჩენილა.

რომ ვახტანგს არ შეეძლო, შესაფერი ერუდიციის უქონლობის გამო, ტექსტის გაწმენდა იმ სახით, როგორც ამ გამოცემაშია, ამას საუკეთესოდ ამტკიცებს მისი გამოცემის ბოლოში დართული განმარტებანი, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება კომენტატორის მიერ პოემის სულისა და მიმართულების ცოდნას. ყველა ზემორთქმულიდანაც საკმაოდ ირკვევა ის, რომ ვახტანგის კომისიამ არჩია ერთ-ერთი უძველესი რესტავრატორის ნახელავი, რომელიც, გამომცემლის აზრით, თავისუფალი იყო იმ აშკარა ნაყალბებისაგან, რომლებიც გვსვდება ყველა მე-17 საუკუნის ხელნაწერში, მაგრამ როგორ მოქცეულა რესტავრატორი?

ის, რასაკვირველია, დაკარგული ადგილების შესავსებლად მიმართავდა არა საკუთარ ფანტაზიას, არამედ რომელსამე სხვა ხელნაწერს და აქ გადარჩენილი ადგილების მიხედვით შეავსებდა მის მიერ მოპოებული უძველესი ხელნაწერის ხარვეზებს. ძირითადი ტექსტისთვის არჩეულ ხელნაწერს ეკლებოდა უფრო სშირად თავი ან ბოლო და როგორც ერთს, ისე მეორეს, რესტავრატორი ისესხებდა სხვა, თუნდაც უფრო დაზიანებული ხელნაწერისაგან, სადაც შემთხვევით შეიძლებოდა გადარჩენილი ყოფილიყო ის, რაც აკლდა მის მიერ არჩეულ ხელნაწერს.

ამიტომ, ჩვენი აზრით, საგულეველია, რომ შესავლის ის ადგილები, რომლებიც ვახტანგის გამოცემაში შეცდომით იკითხება და საეჭვოა როგორც სტილის, ისე ზოგიერთი უხამსი გამოთქმის გამოც, რესტავრატორმა ისესხა ისეთი დაზიანებული ხელნაწერიდან, სადაც ნახევრად იყო გადარჩენილი ეს ხანები.

რესტავრატორი, — რომელსაც ექნებოდა თუნდა ისეთი ხელნაწერები, როგორცაა № № 2829 და 461, რომლებსაც თავი და ბოლო ეკლებოდა ან ძალზე დაზიანებული იქნებოდა, — შეავსებდა მათ ხარვეზებს სხვა უფრო დაზიანებული ხელნაწერის ნახევრად მაინც გადარჩენილი ადგილების მიხედვით.

იშვიათ შემთხვევაში, რასაკვირველია, რესტავრატორი მიმართავდა აგრეთვე ვცისმე სანდო ბიბლიოფილს, რომელმაც ზეპირად იცოდა ხელნაწერებში უკვე მოსპობილი ხანები.

აი ამით აიხსნება, ჩვენი აზრით, ის გარემოება, რომ ხანები, რომლებიც ვახტანგის გამოცემაში, როგორც ლექსის, ისე სტილის მხრივ, სმენას ეწოთიერება, არ მოიპოვება № 2829 ხელნაწერში, რომელიც სშირად ერთადერთია, კარგად და სისწორით რომ იცავს პოემის ამა თუ იმ წაკითხვას. ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ № № 599 და 757 ხელნაწერები, რომლებიც, ვარიანტების მხრივ, ბევრში ემხრობიან ვახტანგის გამოცემას, კიდევ უფრო სშირად ადასტურებენ

¹ Е. Такайшвили. Опис. т. II, № III, გვ. 581.

№ 2829 ხელნაწერის ვარიანტებს, რაც აგრეთვე მოწმობს ამ უკანასკნელის მეტ ნამდვილობას.

ამიტომაც ვახტანგის გამოცემას უნდა ვუცქერდეთ ისე, როგორც პირველი რესტავრატორის ნამუშევარს, რომელშიაც აღდგენილია ბევრი ძველისძველსა და საუკეთესო დედანში დაკარგული ან ძალზე დაზიანებული ადგილი. ამ თვლით თუ შევხედავთ ვახტანგის რედაქციას, მაშინ მისი შედგენილობაც უნდა მიღებულ იქმნას, როგორც სხვაზე უფრო სარწმუნო, სადაც გადარჩენილია სამუდამო დაღუპვისაგან რიგი ხანები, რომლებიც იმ დროის ხელნაწერების უმეტესობაში უკვე მოსპობილი უნდა ყოფილიყო.

ამისდამიხედვით, ჩვენ გადავწყვიტეთ ჩვენს ოცდამესამე გამოცემაში დავიცვათ საესეებით ვახტანგის გამოცემის შედგენილობა და, ჩვენი რედაქციის ნუმერაციის მიხმარებით, დაეურთოთ მას ვარიანტები იმ სახით, როგორც ჩვენ ეს გეგმონდა ჩვენს წიგნაკში «შესწორებანი და შენიშვნანი» და თანაც უფრო შევსებულად. ამნაირად ჩვენს 23-ე გამოცემას, რომლითაც დაცულია ვახტანგის გამოცემა სრულის მისი შედგენილობით, დართული ექნება თითქმის ყველა არსებული ხელნაწერის ვარიანტები. ამით, რასაკვირველია, ჩვენ როდი ვსპობთ იმგვარი მუშაობის მნიშვნელობას, როგორც ჩვენ უკვე დაწუებული გვაქვს, და როგორცაა «ვეფხისტყაოსნის» კრიტიკული ტექსტის სერიებად სტამბვა. ამგვარი მუშაობა ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, რათა მივიღოთ «ვეფხისტყაოსნის» საბოლოო კრიტიკული ტექსტი. კიდევ რომ მოგვიხდეს ამა თუ იმ ხანის ხელახლად შეტანა ძირითად ტექსტში, ამით არაფერი დაშავდება¹.

მაგ., ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ახლახან ნაპოვნი ფაქტის მიხედვით, დავაბრუნოთ ძირითად ტექსტში მე-40 გვერდზე მოთავსებული მე-18 [640] ხანა: «აჩინა კაცნი სადაცა» და სხვა, რადგან სტილისა და ლექსის მხრით, იგი გვაგონებს ერთს რუსთველისავე ხანას (შეად. 1142 [1212] ხანა) და ამასთან იგი ავსებს მის წინა ხანაში გამოთქმულ აზრს.

დღეს, როდესაც სპეციალისტთა გატაცებამ უკიდურესობამდის მიიღწია და მათმა უღმობელმა კრიტიკამ ლამის მოსპოს პოემის შესავლის ის ნაწილი, სადაც თამარის პიროვნებაზეა ლაპარაკი, განსაკუთრებით საჭიროა ვახტანგის გამოცემის შედგენილობის დამცველი საბუთების გამოჩნება, და აქ საუკეთესო საშუალებაა ივით რუსთველის ლექსის დამახასიათებელ თვისებათა შესწავლა, რაც შეძლებას მოგვეცემს დავადასტუროთ ამა თუ იმ ხანის სინამდვილე. ავიღოთ, თუნდა, შესავლის მე-3 ხანა, რომელიც ჩვენ ზემორე განვიხილეთ. როგორც ვთქვით, ამ ხანის მე-4 ტაეპი ასე იკითხება:

«მისთა მჭვრეტელთა უანდისა მირთმა ჯამს მართ მიშერისა»,

სადაც მი არის განმეორება მიმართულების მაჩვენებელი პრეფიქსისა, რომელიც მიერთვის სიტყვას მირთმა; ეს პრეფიქსი აქ წინ უძღვის ნასუსხებ იშვიათს სიტყვას შე რ-ს, რომელიც ნიშნავს საგანგებოს, საუკეთესოს. მაშასადამე, ტაეპის აზრი ამგვარია: მისთა მჭვრეტელთა? მათ ხამს (უნდა, ეკუთვნის, შეეფერება) მირთმა ამ მართლა და საგანგებო უანდისა (მეტაფ. მზეთუნახავის ბაგეები).

¹ ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ამით რაიმე ენება მიეცემა რუსთველის ქმნილებას, თუ რომელიმე რედაქტორმა გაბედა და შეცვალა პოემის ხანათა შედგენილობის რიცხვი, ე. ი. თუ შეამცირა, ან გააღიდა. ის. ვერ. იმნაიშვილის ფელეტონი, «საქართველო», № 16, 1917 წ.

სწორედ ამგვარივე რუსთველური არის მე-11 ხანის მეორე ტაეპი:
«ავთანდილს მი ხუდა სიამე, ვსება სჯირს მი სოქალისა»,

სადაც აგრეთვე განმეორებულია პრეფიქსი მი, რომელიც შედის ფორმაში მი ხუდა; ანალოგია მით უფრო აშკარაა, რომ აქაც იგი, ისე როგორც პირველ შემთხვევაში, წინ უძღვის იშვიათ სიტყვას სოქალს, რომელიც ნიშნავს გაყვითლებულს (იხ. ჩემი «ვეფხისტყაოსნის» ლექსიკონში ნასესხები სიტყვები). რუსთველის ლექსის ეს თვისება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს (რადგან იგი არის რუსთველის ენის გასაგებად ერთგვარი გასაღები), ჩვენ აღმოვაჩინეთ ჯერ კიდევ გიმნაზიაში ჩვენი მოწაფეობის დროს (იხ. ჩვენი 22-ე გამოცემის 232 გვერდზე ტექსტის შესახები შენიშვნები¹). ამ მე-3 ხანის რუსთველისთვის მიკუთვნება

1 ეს რუსთველის ენის ხალხურობის მაჩვენებელი თვისება ერთგვარ მომჯადოებელ ძალასა და ელფურს აძლევს პოეტს ლექსთწერობას. ავიღოთ თუნდა «ვეფხისტყაოსნის» 1147 [1217] ხანის 1-ლი ორი ტაეპი, სადაც რამდენჯერმე, თითქმის შეიღჯერ, გამოვრებულია «მო» არა მარტო პრეფიქსის სახით, არამედ აქ შერჩეულია ისეთი სიტყვები, ან ფორმები, რომელთა პირველი მარცვალევი გარეგნობით იმავე პრეფიქსის სახეს წარმოადგენს:

«მო ს ი თ მო ვ ი და ჭაბუკი მო ნ ა მო ყ ვისა სამითა,
მო ნ ა მო ნ უ რ ა დ მო ს ი ლი, სხვანი მგზავრულებ ხამითა».

შეად. ამას. 722 [785] ხანის მე-2 ტაეპის:

«...თაჲ მონად მომიმონდეს».

ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, არის უხილავი შინაგანი ლექსთწერობა, რომელიც განსაკუთრებულ მუსიკალობას აძლევს და მომჯადოებელ ძალად ქმნის პოეტის რიტორობას. აგრეთვე ხალხურაა პოეტის მიერ უარყოფითი კავშირების სშირი განმეორება; მაგ., იხ. 1396 [1471] ხანის მე-4 ტაეპი:

«და არა ენახავ სახლსა ჩემსა,
არ დარბაზსა, არცა ხულსა»,

მაგრამ ამავე ლექსში გვხვდება შინაგანი რითმისთვის საჭირო მიცემითი ბრუნვის დაბოლოებები და ამ დაბოლოებათა სახის მარცვალთა მიწყობილად ხმარება:

«სახლსა... ჩემსა დარბაზსა... ხულსა».

ამგვარივეა 695 [757] ხანის მე-4 ტაეპიც:

«აგრე შმაგი არ ვაზირად, არად ვარგსარ, არცა სხვად რად», სადაც, როგორც წინა მაგალითში, აგრეთვე შერჩეულია სიტყვები მიმართულების მაჩვენებელი ბრუნვის დაბოლოებით: ვეზირად... არად... სხვად... რად...

მსგავსივე მაგალითი გვაქვს 972 [1039] ხანის მე-3 ტაეპშიც, სადაც ვკითხულობთ:

«ერ დაშხსნიან ვერ ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა მშანი» და სხვა. ამ უარყოფითი კავშირების განმეორებას, რა თქმა უნდა, გარდა ზემოხსენებული მნიშვნელობისა, აქვს აგრეთვე სხვა მნიშვნელობაც; სახელდობრ, იგი ესმარება პოეტს, მეტი სიმტკიცით დაადასტუროს თავისი ნათქვამი. ავიღოთ, მაგალითად, 868 [933] ხანის მე-3 ტაეპი, სადაც ვკითხულობთ:

«მისით კითხვით წამოესულვარ, არ მთვრალ ვარ და არ მახმურად»,

რაც შეიძლება ნიშნავს: მისი შეკითხვით წამოესულვარ და არა თუ მთვრალი ვარ, ნახევრად მთვრალიც კი, ანუ შეზარბოშებულიც კი, არა ვარ, ანუ უკეთ რომ ვიქნებო, პოეტი გვეუბნება: მე სრულიად შეგნებულად და, შეკითხვისდამისხედვით წამოესულვარ და არ მთვრალი ვარ და არც დალეული, ესე იგი ნახევრად მთვრალიც კი არა ვარო. იხ. არაბ. მახმურ — ნახევრად მთვრალი, ან ღვინოსმული. ეს თუმცა ასეა, მაგრამ რუსთველის ხალხურობა ხშირად გაუგებარ რჩება გამოჩენილი მეცნიერისათვისაც; ასე, მაგალითად, ამ უარყოფით პარალელიზმს აკად. ნიკო მარო თარგმნის ამ სახით: არაბ. მახმურ—пьяный—მთვრალი. ნამდვილი ქართული სიტყვა მთვრალიც აგრეთვე ნიშნავს пьяный-ს. მაშასადამე, არ მთვრალ ვარ და არ მახმურად, მეცნიერის აზრით, უნდა ითარგმნოს ასე: «Я не пьян и не пьян». იხ. Н. Я. Марр. Груз. поэма «Витязь в бар. шк.» ИАН, 1917, გვ. 485.

კიდევ უფრო ცხადი ხდება, თუ მას შესავლისა და პოემის სხვა ანალოგიურ ადგილებს შევედარებთ.

მსგავსივე პრეფიქსებისა და მათივე სახის წინა მარცვლის განმეორებას ვხვდებით ამავე მესამე ხანის წინა ტაეპშიაც:

«მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა შერისა».

შეადარე ამათ აგრეთვე პოემის (961 [1098]):

«ღიაცსა წყენა შე ატუო ყმაჲან შე სვლითა შე ვითა».

ან 1039 [1108], 2:

«დააგდე ჩემი მი დამო, სრულად მი კრიფე მი რითა».

სწორედ ამგვარივე მაგალითი გვაქვს წინასიტყვაობის მე-19 [19], 4:

«მი სი სახელი შეფარვით ქვემორე მი თქვამს, მი ქია».

ამნიარად, ცხადია, ეს ზემორე მოტანილი მე-3 ხანა, სადაც დაცულია წმიდა რუსთველისებური, მხოლოდ და მხოლოდ რუსთველისებური თვისება პრეფიქსთა და ფორმით და გარეგნობით სრულიად მათივე სახის მარცვალთა ერთსა და იმავე ტაეპში განმეორება, რუსთველის კალამს უნდა ეკუთვნოდეს.

ეს მაგალითი მჭევრმეტყველურად მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ბევრ პარადოქსალურ დასკვნას ექნება ადგილი მეცნიერულ ასპარეზზე მუშაობათა სფეროში, რადგან დღევანდელ სპეციალისტთა წარმოდგენა რუსთველის ქმნილებაზე არ გაცილებია ვახტანგის გამოცემის ცოდნის ფარგალს, ამიტომ ჯერ კიდევ დიდხანს დასჭირდება იმათ, ვინც ვახტანგის გამოცემის იქით ვერაფერს ხედავს, სრიალა ბილიკებითა და მოლიბული გზებით სიარული მანამ, სანამ, ჩვენთან ერთად არ გაიცნობენ ჩვენს საგანძურებში არსებულ საყურადღებო ხელნაწერებს.

ჩვენ მოგვეპოვება ისეთი ხელნაწერები, როგორიცაა № № 757 და 2829, რომლებიც, თავიანთი ძირითადი ტექსტით, ადასტურებენ ვახტანგის გამოცემის სტილს. ეს სტილი, ვიმეორებთ, ვახტანგის გამოცემის შესავლის იმ თავითვე წარყვინითგანვე, ხელუხლებელი დაუტოვებიათ, რის გამო ვახტანგის გამოცემის სტილი გაცილებით მაღლა დგას შემდეგში გამომუშავებული რედაქციების სტილზე, მაგრამ, ამავე დროს, შესანიშნავად ასწორებენ და ნათელს ჰყენენ ბევრს დღემდე წარყვინილსა და გაუგებარ ადგილებს და დასახელებულ ხელნაწერთა უპირატესობა ვახტანგის გამოცემის ტექსტის წინაშეც სწორედ იმაში გამოიხატება, რომ პოემაში ბევრი დღემდის სრულიად უცნობი ნასესხები და იშვიათი სიტყვა, რომლებიც, ვახტანგის გამოცემით სრულიად წარყვინილი ან გაუგებარი იყო, როგორიცაა: «სოქალი», «დავალი» (იხ. «შაჰნამე»)–ს ვერსიების ლექსიკონში: «ზავალი», «სარათანი» ან სარატანი) — კირჩხიბი, მუშაითი — არაბული — მუშაბიდი, რომელიც ნიშნავს «ჯამბაზს», «ფოკუსნიკს», თოკზე მოსიარულეს¹, მაზრა,

ჩვენს ამგვარ აზრს ადასტურებს ზემორემოტანილი რუსთველის ხალხურობის მაჩვენებელი მაგალითიც:

«აგრე შმაგი არ ვაზირად, არად ვარგხარ, არცა სხვად რად»,

რაც ნიშნავს: აგრე გიჟი არამც თუ ვეზირად, სრულად არაფრად არ ეარგხარო!.. მაშასადამე, აქაც იმგვარივე აზრის დადასტურებასა და დამტკიცებასთან გვაქვს საქმე, როგორც წინა შემთხვევაში.

¹ ამგვარი დამახინჯებული სახით სიტყვა გარეგანის მწიგნობრული საშუალებითაც შეიძლება შემოჭრილიყოს ჩვენს ენაში, მწიგნობრობის გავითარების იმ თავითვე. ამგვარი შეცვლა მუშაბიდი ის მუშაბითად აიხსნება იმით, რომ, ჩქარი წერის დროს, სპარსულ-არაბულ ხელნაწერებში გადაწერებები და ავტორებისც, სწორად არ იცავდნენ დიაკრიტულ ნიშნებს, რის გამო ბ-ნს ი-ნად კითხულობდნენ ის მთარგმნელები, რომელთათვისაც, არაბული მწელი საკითხავი იყო; სწორად,

გუჰარი და სხვა, რომლებიც მოთავსებული გვექნება ჩვენს «ვეფხისტყაოსნის» 23 გამოცემაში, — წმინდად არის დაცული ამ ხელნაწერებში.

ამას გარდა, ამ ჩვენ მიერ აღმოჩენილ ფაქტს, რომელიც, ჩვენი აზრით, ხსნის ვახტანგის რედაქციის სიმოკლის მიზეზებს და ნათელს ჰყენს მისი წარმოშობის საკითხს, მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პოემის ნამდვილი შედგენილობის აღდგენისათვისაც. იგი, უწინარეს ყოვლისა, საბუთს გვაძლევს მივაქციოთ მეტი უურადღება ისეთი მოკლე რედაქციების ვარიანტებს, როგორიცაა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგანძურის №№ 2829 და 4988 ხელნაწერები და საისტორიო და საეთნ. საზოგადოების საგანძურის № 461. ეს რედაქციები, როგორც ვიცით, წარმოადგენენ პირებს, გადმოღებულს იმ ძველისძველისა და ძალზე დაზიანებული ხელნაწერებითგან, რომლებსაც, როგორც შესავალში, ისე დასასრულში, ხანები ან სრულიად დაკარგული, ან მეტისმეტად წარყენილი ჰქონიათ.

ცხადია, მათი აღდგენის ან ტექსტის შევსების დროს, კობისტი ან რესტავრატორი, ისეღმძღვანელებდა საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით, მაგრამ, ამავდროს, თავის გემოზე გადაასხვავებდა, ან გადასვამ-გადმოსვამდა შესავლის ხანებს, ე. ი. მოიქცეოდა იმგვარადვე, როგორც მოქცეულა ვახტანგის გამოცემის დედნის რესტავრატორი. ამის მაგალითები თვალწინა გვაქვს: № 2829 ხელნაწერის რესტავრატორს პოემის დასაწყისში ძალზე დამახინჯებული ხანები სრულიად მოუსპია და დაუწყია პოემის შესავალი მე-8 ხანით:

«მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა, ამაღ არი» და სხვ... და შემდეგ უკვე დაუცავს ხანათა იგივე რიგი, როგორიც აქვს ყველა ვრცელსა და ფაქიზად შესრულებულ ხელნაწერებს.

სულ სხვაგვარად მოქცეულა ძალზე დაზიანებული № 461 ხელნაწერის გამომცემი, რომელსაც პოემის შესავლის მე-9 ხანა:

«ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები»

და სხვ... გადაუტანია თვით პოემის ტექსტის წინა, ე. ი. შესავლის ხანების ბოლოში და, როსტყვან მეფის ამბავთან ერთად, მოუქცევია შემდეგი სათაურის ქვეშ: «აქა

ტექსტის გაუგებრობის გამო, ირყევებოდა ბევრი ორიგინალში სრულიად ადვილგასაგები სიტყვები. იხ. «შაჰნამე», 25. სწორად მთარგმნელი ან გადმომკეთებელი თარგმნის სიმძნელის გამო, თავის გემოზე ასხვავებდა ამა თუ იმ საინტერესო ადგილს. მაგ., «ბ ა ბ რ ა ბ ი ა ნ ს» ვეფხისტყაის კაბას, რომელიც, ირანელთა უძველესი თქმულებით, რუსტემის ხელით მოკლულის, საშინელი მხეცის, ღომის მოსისხლე მტრის «შირ შერზე»-ს ტყავს წარმოადგენდა, როსტომიანში იცვამს არა მარტო რუსტემი, არამედ მისი ბაბა (ბაბუ) საამიც, როგორც პაპის ნანადერძებს სამოსელს (იხ. «შაჰნამეს» ვერსიები, 1974, 1 და შეად. Vullers მე-2 ტომი, გვ. 953.). «ბაბრაბანის» ნაცვლად ორიგინალში ვხვდებით სპარსულ «გაბრ»-ს, რომელიც ნიშნავს რჩინის სამოსელს, საჭურველს ომის დროს, იხ. Vullers, 270 გ., 450 ა ლექსი. როგორც ჩანს, ერთხელ წარყენილი სიტყვა, როგორიცაა «ს ა რ ო ს ტ ა ნ ი» «ს ა რ ა თ ა ნ ი ს» ნაცვლად, გასაგები ყოფილა ძველ მწიგნობართათვის, მაგ., ვ ა ს ტ ა ნ გ ი ს მიერ «ვეფხისტყაოსნის» ტექსტის ბოლოში მოთავსებულ განმარტებაში ამ სიტყვის შესახებ ვკითხულობთ: ს ა რ ო ს ტ ა ნ ი — კირჩხიბი. არაბული ცნების ძველ სპარსულ-არაბულ წაკითხვას წმინდად იცავდა ქართული ძეგლი; იხ. «ვეფხისტყაოსანში» მუსაფი, არაბ. მუსაჰაჰ უორანი; შეად. ვუკ. ბ ე რ ი ძ ე-შეცდომით მის შესატყვისად თელის ქართულ მასაჟს, რომელიც არის არაბული მუჰაბაბ — რჯული და არა მუსაჰა—უორანი, იხ. В. Беридзе. Грузинский (картский) глоссорий ვ. ბ ე რ ი ძ ე — სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სპბ., 1912, გვ. 28. სიტყვა მ ა ს ა თ ი ს გაეულგარებისა და შეცვლის მაგალითი გვაქვს აგრეთვე «შაჰნამეს» ვერსიებში, იხ. «შაჰნამეს» ლექსიკონში სიტყვა ს ე ვ ა ნ ი, სპარ. საიყვან, resp. საიყბან —საჩრდილობელი, რომლის შესატყვისი და განმარტება ჩვენ შეცდომით გვაქვს ნაჩვენები, ამიტომ ჩვენვე დასწორებთ ამ სახით.

ამბავი დიდის არაბთა მეფის როსტევანისა და მის ყმისა «ვეფხისტყაოსნისა». რომ ეს ხელნაწერი ძალზე დაზიანებული ყოფილა, ამას, სხვათა შორის, მოწმობს ის გარემოებაც, რომ ამ ხელნაწერშიაც, შესავლის ხანები გასაოცარი თვითნებობით არის გადასმულ-გადმოსმული და არეულ-დარეული. მაგალითად, შესავლის ბოლო ხანა, რომელიც წინ უძღვის ჩვენ მიერ მოტანილ შესავლისავე მე-9 ხანას, წარმოადგენს პოემის დასასრულში მინაწერი ხანის რედაქტორის გემოზე შეცვლას შემდეგი სახით:

«ამირან დარეჯანის ძე მოსეს აქებდა ხონელსა,
აბდულ მესია შაფთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ სარგის თმოგველსა, მას ლექსი უთქვამს რომელსა
და ტარიელისთვის რუსთველსა, მისთვის ცრემლ შეუშრომელსა».

(იხ. შ. რუსთველი. «ვეფხ. ტყაოს.» 22-ე გამოცემა ი. აბულაძის რედ., ხელნაწერები, XLIV № 461 ხელნაწერის აღწერილობა).

რა თქმა უნდა, ამ გარემოებასაც ისე, როგორც ვახტანგის დედნის შესავლის ხანების არეულ-დარეულს, გამოუწვევია პოემის მცოდნე მწიგნობრებსა და დახელოვნებულ კოპისტებში ამგვარი რედაქციებისადმი აშკარა უნდობლობა, რის გამოც სხენებული რედაქციების ტექსტები ხელუხლებლად დაუტოვებიათ, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ისინი გადარჩენია პოემის ტექსტის მცოდნე ბიბლიოფილებისა და რესტავრატორების თვითნებობის ხელს. აქედგან, ჩვენი აზრით, ადვილი ასახსნელია ის ფაქტი, რომ პოემის ტექსტის ბევრ ადგილს განსაცვიფრებელი სისწორით კითხულობენ სწორეთ ეს № № 2829 და 461 ხელნაწერების რედაქციები. ამისთვის საკმაოა მოვიგონოთ ზემორეხსენებული სიტყვა «სარათანი», რომელიც მეტისმეტად სწორად აქვს დაცული № 2829 ხელნაწერს. იხ. 1255 [1328] ხანის მესამე ტაეპი:

«ეტლის ცვალება, მზისაგან შეჯდომა, სარათანისა».

აგრეთვე ამავე ხელნაწერის მეორე მეტისმეტად სწორი წაკითხვა იხ. 836 [962], 4:

«კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა წერილსა ვითა თმასა».

აგრეთვე სისწორით აქვს დაცული № 461 ხელნაწერს 55-ე [89] ხანის შემდეგი ადგილი:

«სხვაგან ჰქრის მისი გონება მისმან თავისა წონამან»,

რომელსაც დანარჩენი რედაქციები, გარდა სხენებულისა, კითხულობენ:

«სხვაგან ჰქნის მისი გონება მისმან თავისა წონამან».

იხ. აგრეთვე: ხანა 906 [973], 1 ხანა 910 [977], 1 და ხანა 911 [978], 3, სადაც № 461-სა და № 4499 ხელნაწერებს უნდა მიეცეს აშკარა უპირატესობა ვახტანგის გამოცემისა და სხვა ხელნაწერების წინაშე. იხ. ზემორე: მე-14 გვერდი. ამ ხელნაწერების მიხედვით, შესაძლებელი ხდება ისეთი შესწორებების შეტანა პოემის ტექსტში, როგორცაა:

«მულღაზარზარს მიეხსლა, ადრე დალევს გზასა გრძელსა»

ნაცვლად წაკითხვისა:

«მულღაზანზარს მიეხალა» და სხვა... იხ. ხანა 910 [977], 1.

სულ რომ არა იყოს რა, ამ ახლახან აღმოჩენილ ფაქტს მარტო იმ მხრივ

აქვე უცილობელი მნიშვნელობა, რომ იგი ხდება ერთგვარი გასაღები პოემის დედნის ენის აღსადგენად.

ჩვენ უკვე გამოვარკვეით ჩვენი მუშაობის დროს, რომ ყველაზე ძლიერ დაზიანებული ან სრულად დაკარგულა და მოსპობილა შესავლისა და დასასრულის ხანები.

სწორად გადამწერი ერთი ასოს შეცვლით, პრყენიდა დედანს, რასაც მოწმობს შესავლის მე-4 ხანაში ტრადიციული «მინას» გავრცელება სწორისა და დაკარგულის «მე ნა»-ს ნაცვლად. ანდა იქვე მე-3 ხანაში: ვახტანგისეულის რექციის წარყენილი წაკითხვა «მშიერისა» «მიშერისა»-ს ნაცვლად.

ამგვარი შესწორებები, რომლების შეტანასაც ტრადიციულ ტექსტში ჩვენ ვახერხებთ არაბულ ხელნაწერთა საშუალებით, გვიკარნახებს საუკუნეების განმავლობაში დაზიანებული ტექსტის ზოგიერთი წარყენილი ადგილის შესწორების საჭიროებასაც. ასე, მაგალითად, შესაძლებელი ხდება V ხანის მე-4 ტაქის უაზრო და გაუგებარი წაკითხვის შესწორებაც. ტრადიციული ტექსტის მიხედვით, ეს ადგილი იკითხება ასე:

«გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა».

ამგვარი წაკითხვის უაზრობა კი ცხადია.

როგორც ვიცით, გრდემლი კეთდება ფოლადისაგან, ანუ ბასრისაგან, რადგან ბასრი ყოველ ლითონზე მაგარია და მხოლოდ მის გრდემლზე შეიძლება რკინისა და სხვა ლითონების გამოჭედა. ტყვია კი მეტისმეტად ადვილად ემორჩილება გაღობილობის პროცესს; ამიტომაც გამოხურებული რკინის ტყვიის გრდემლზე გამოჭედა მტკნარ უაზრობას წარმოადგენს.

მსგავსადვე შეუძლებელია მიგვაჩნია ტყვიის ლბილი გრდემლის მაგარი ქვის გასატეხად გამოყენება. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ აქ გვაქვს საქმე ერთ-ერთი გადამწერის წარყენილ ადგილთან. ამიტომ თავისთავად იბადება კითხვა, თუ როგორ უნდა წავიკითხოთ დასახელებული ტაქი?

კონტექსტის მიხედვით, აქ ლაპარაკია მეფის შზის თამარის შესახებ, რომელსაც უბრძანებია პოეტისთვის «თქმა ლექსებისა ტკბილისა», «ქება წარბთა და წამწამთა» და სხვ.

აქედგან ცხადია, «ლბილი ტყვიის გრდემლის» ნაცვლად აქ უნდა ყოფილიყო რალაც სხვა სიტყვა, რომელიც წარყენილა ისე, როგორც ზემორეხსენებული «მე ნა» და «მიშერისა». ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, კონტექსტის მიხედვით. სიტყვა «ტყვიისა» უნდა იყოს გადამწერის მიერ წარყენილი სიტყვა «სიტყვისა», ე. ი. აქ უნდა იგულისხმებოდეს თამარ დედოფლის ნაზისა და ლბილის სიტყვის სიძლიერე, ძალი. ამიტომ ჩვენ უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია ამ ადგილის წაკითხვა ამ სახით:

«გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი სიტყვისა ლბილისა»,

რომლის აზრიც შემდეგია: ლბილისა და ნაზის სიტყვის სიძლიერე (მეტაფ. გრდემლი — იგულისხმე თამარის ბრძანება) მაგარ ქვასაც კი გასტეხსო. ეს, ვიმეორებთ, მით უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ რუსთველს არა ერთგზის ხედება მსგავსი პოეტური ფიგურა¹.

¹ შეადარე ამ ადგილს თუნდა პოემისავე შემდეგი ადგილი:

«მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი, ქვათაცა დასაღობნია».

(1184 [1254,1])

მაგალითად, ამგვარსავე ფიგურას წარმოგვიდგენს პოემის ადგილი:

«გველსა ხერელით აღმოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი»,

ან: «ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყორნისა ბოლო ფრუათა»,

ან კიდევ: ზემორემოტანილი:

«მისთა მჭვრეტელთა უანდისა მირთმა ჯამს მართ მიშერისა»,

აგრეთვე:

«მისვე ჯმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან.

ისმენდიან, გაჰვირდიან, რა ატირდის, ატირდიან»

და სხვა ამგვარები.

ამიტომ, ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ დასახელებულ ადგილსაც, დროთა განმავლობაში, როგორც ხელნაწერის დაძველების და დაზიანების გამო, ისე პოემის რესტავრატორის ან გადამწერის ხელის თვითნებობისაგან, წარყვნილა ისეთი სიტყვები, როგორიცაა: «მე ნა», «მიშერისა», «შერისა», «სარათანი» და სხვები, და, მათ შორის, ეს ჩვენ მიერ შესწორებული «ს ი ტ უ ე ი ს ა ლ ბ ი ლ ი ს ა» ნაცვლად «ტ უ ე ი ს ა ლ ბ ი ლ ი ს ა».

რასაკვირველია, ვარიანტები, რომლებსაც ვახტანგის გამოცემის წაკითხვათა წინაშე უნდა მიეცეს უეჭველი უპირატესობა, სხვაც ბევრია, მაგრამ ამაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანდა. თუ სტამბის პირობები როგორმე გაუმჯობესდა, ჩვენ სულ მალე გამოვაქვეყნებთ ჩვენს 23-ე გამოცემას, სადაც შეესებულია 22-ე გამოცემის ყველა ნაკლი, როგორც შედგენილობის, ისე ვარიანტების მხრით. ამას გარდა, შეესებულია ჩვენს ბროშურაში «შესწორებანი და შენიშვნანი 22-ე გამოცემის შესახებ» მოთავსებული ვარიანტები და დართულია ვრცელი ლექსიკონიც, სადაც შედის ყველა დღემდის უცნობი და გაუგებარი სიტყვაც.

დასასრულს საჭიროდ ვრაცხ აღვნიშნო, რომ მხოლოდ ამ მიმართულებაზე მუშაობის საშუალებით შესაძლებელი იქნება აეხადოს ფარდა იმ საიდუმლოებას, რასაც წარმოადგენს «ეფესისტუაოსანი» და მისი ავტორის ვინაობა, რადგან, ტექსტის აღდგენასთან ერთად, შესაძლებელი ხდება დადასტურება და გამართლება იმ ცნობათა, რომლებიც შემოუნახავს ჩვენთვის ისეთ ძეგლებს, როგორიცაა: «იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ალაპები», «მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის» და თეიმურაზ ბატონიშვილის «ბიბლიოგრაფიული ცნობები» პოეტის პიროვნებისა და მისი უკუდავი ქნარის შესახებ.

პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება „პეზისიზმის შესახებ“

კვირას, 4 ივნისს, დილის 11 საათზე, ხელოვანთა სასახლეში შედგა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივი საზოგადოებრივი კრება, რომელზეც პროფ. ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: «ვეფხისტყაოსნის» კრიტიკული შესწავლის ძირითადი საფუძველი: საკითხი ამბის სადაურობისა და დროისა და ავტორის პიროვნების შესახებ».

ვეფხისტყაოსნის დღესასწაულად უნდა ჩაითვალოს ეს დღე, ვინაიდან «ვეფხისტყაოსნის» შესწავლის შედეგები პირველად ამ დღეს გამოაქვეყნა ჩვენმა საისტორიო მეცნიერმა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა.

როგორც ისტორიკოსისაგან მოსალოდნელი იყო, პროფესორი აშუქებს საკითხს სულ სხვა მხრით, იგი ემაჩრბება პოემის წმინდა ისტორიულ საფუძველს და არაკვევს ამბის სიძველისა და სადაურობის საკითხს, ერთი მხრით, ხოლო მისი დაწერის დროის თარიღებს, მეორე მხრით, და ამ უკანასკნელი საკითხის გამორკვევის დროს, მომხსენებლის ქვაკუთხედს შეადგენს ისტორიული ცნობები სვარაზმთა შესახებ, რომელთა მიხედვითაც, შესაძლებელი ხდება ვცნოთ პოეტის მიერ ნაწარმოების დაწერის დროის terminus ante quem—1196 წელი, ხოლო post quem non—1206 წელი.

სვარაზმელების — უკვე სპარსეთის დინასტია — უძლიერესი იყო 1196 წელს; ამაზე ადრე არ უნდა იყოს დაწერილი «ვეფხისტყაოსანი». თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ძველი საქართველოს უმაღლეს წერტილამდე გავითარებისა და კულტურული აყვავების ხანის ბოლო საზღვარი 1206 წელია, რომელიც რამდენიმე, ე. ი. სულ 5—6 წლით წინა უსწრებს თამარის გარდაცვალებას, მაშინ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პოემა არ შეიძლება დაწერილიყო 1206 წლის უგვიანეს.

მეცნიერმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა აკად. ნ. მარის დებულებანი პოემის სიუჟეტის წარმოშობის შესახებ, რომლებიც ბუმბერაზ მეცნიერს სხვადასხვა დროს გამოთქვამს, და მისივე ახალი კულტურულ-ისტორიული პრობლემა, სადაც, სხვათა შორის, გამოთქმულია აზრი რუსთველის მაჰმადიანობის შესახებ და ცხადყოფს ნ. მარის ჰიპოთეზების უსაფუძვლობა სხვადასხვა საყურადღებო ფაქტების მოყვანის საშუალებით.

პაციფიკური მეცნიერი უფრო ემხრობა პოემის სიუჟეტის წარმოშობის საკითხში იმთა აზრს, რომლებიც «ვეფხისტყაოსნის» სიუჟეტს მოარულ აღმოსავლურ ამბად თვლიან, ანუ უკეთ, იმ აზრს, რომლითაც პოემის ფაბულა ითვლება «ბარამიანის» ტიპის სადევგმირო ამბად. ამგვარი აზრი აქვს გამოთქმული ამ

სტრიქონების ავტორსაც, რომელსაც ერთ დროს ეკამათებოდა პატივცემული აკადემიკოსი ნიკო მარი პოემის წარმოშობის საკითხში (იხ. Н. Мара. ТР., XII, გვ. II და XL, გ 9).

ამნაირად, პატივცემული მეცნიერის მოხსენების შემდეგ, მეტი მნიშვნელობა ეძლევა იმ სიტყვებს, რომლებიც გამოთქმული იყო ჩემ მიერ ჯერ კიდევ ამ 19 წლის წინათ.

პატივცემული მეცნიერის მოხსენების უფრო საცილობელ ადგილად უნდა ჩაითვალოს, ჩვენი აზრით, ლიტონი განცხადება იმის შესახებ, რომ «ვეფხისტყაოსნის» ამბავი არა შემთხვევაში არ შეიძლება იყოს «ძველისძველი» ისევე, როგორც იგი არ შეიძლება იყოს «სპარსული».

ამბის საიხლის ერთ მთავარ ფაქტად მეცნიერს მოაქვს ის ცნობა, რომ ძეგლში ინდოელები მონგოლებად არიან გამოყვანილი, რასაც ადგილი ჰქონდა არა უადრეს მე-12 საუკუნის დასასრულისა და მე-13 საუკუნის დასაწყისისა.

მაგრამ მართო ამით, და თუნდა სხვა მსგავსი თითო-ორი ცნობებითაც, ისეთი რთული საკითხის გადაჭრა, როგორც არის «ვეფხისტყაოსნის» ამბის გაჩენის დრო, შეუძლებელია. აგრეთვე შეუძლებელია სადაურობის საკითხის გამორკვევა თუნდაც იმის მიხედვით, რომ ამბავში სპარსელები ცუდად არიან მოხსენიებული....

სხვა რომ არა იყოს რა, ამ ნაწარმოებში პირისპირ დგანან, ერთი მხრით, საღმრთო იდეისთვის მებრძოლნი: ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი; მეორე მხრით, მათნი მოპირდაპირენი — დევები და ქაჯები. უკანასკნელთა დამარცხება პირველთა მიერ მოასწავებს კეთილის ბოროტზე გამარჯვებას, და აკი ფატმანის პირითაც გვაუწყებს პოეტი:

«კეთილმან სძლია ბოროტსა, არსება მისი გრძელია».

საქართველოს ოქროს ეპოქაში ნამეტურ ეტანებოდენ სადევგმირო ამბებს...

ფაბულა რუსთველის პოემისა ნანესხებია, მაგრამ მასში უნდა იყოს შეტანილი და ხელოვნურად შეკავშირებული (მოთხრობის მთავარ ჩონჩხთან და ამასთან განსაცვიფრებელი სიმეტრიით დაწყობილი) თვით ავტორის მიერ სხვადასხვა ნაწყვეტები, ანუ ზოგიერთი კერძო ეპიზოდები და აგრეთვე ქაჯების შესახები თქმულებაც, რომელიც წმიდა ქართული ლეგენდის ხასიათს ატარებს და სპარსულ ამბებს კი სრულიად ეუცხოება.

(იხ. ამის შესახებ ჩვენი ტერმინის ქაჯისა და აგრეთვე ქაჯების შესახები თქმულების ხასიათის ახსნა).

ამის გამო აკად. ნ. მარი ამბობს: «Связь его [Шоты] творчества с грузинской культурной почвой не только формальная, языковая, но и идейная: при том вопрос не о материальной стороне сюжета, а об его одухотворении, перевоплощении в местные представления и образы. Это наблюдается даже в подробностях, напр., как справедливо отметил Ю. Абуладзе, в описании страны злых духов...— Ю. Абуладзе пишет: фактическая часть о каджах, должно быть, сильно изменена под влиянием грузинской о них легенды» (იხ. მისი «Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре»... и новая культурно-историческая проблема».—ИАН, 1917, გვ. 427 და იქვე შენიშვნა 1-ლი).

...უურადლებას იქცევს ის გარემოება, რომ ვეფხისტყავეი, რომელსაც ატა-

რებს ტარიელ სარიდანის ძე, არის აგრეთვე რუსტემ პილოტანის სამოსელიც, მაგრამ ვეფხი, რომლის ტყავისაგან ტარიელს «კაბა ემოსა», «ვეფხისტყაოსანში» უკვე უღმობელი მიჯნურის განსახიერებაა.

ყველა ამის მისედვით, ჩვენ დღეს კიდევ უფრო დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ ის, რაც პოემის შესწავლის იმ თავითვე გვითქვამს...

ივ. ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი ძირითადი არგუმენტაცია პოეტის ეპოქისა და პიროვნების შესახებ, ჩვენი აზრით, მტკიცეა და შეურყეველი.

სრულ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია ის, რომ რაინდობა და ქალის კულტი, სახელდობრ ის მაღალი აზრი და შეხედულება სქესობრივ თანასწორობაზე, როგორც «ვეფხისტყაოსანშია», მხოლოდ თამარის ეპოქისთვისაა დამახასიათებელი.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის მოვლენა, რომ «ვეფხისტყაოსანის» საკითხის გაშუქებას ხელი მიჰყო ჩვენმა ნიჭიერმა ისტორიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც საუკეთესოდ შესძლო გაქარწყლება იმ შემცდარი აზრისა, რომლითაც შოთას მე-14 საუკუნეს აკუთვნებდნენ.

XII საუკუნის ქართული საეპო მნეკლობა და „ვეფხისტყაოსანი“

ენისნიცყვაობა

ვსტამბავ რა ცალკე წიგნაკად ამ ჩემ ძველ ნაშრომს «ვეფხისტყაოსნის» სა-
კითხთა შესახებ, საჭიროდ ვრაცხ ორიოდ სიტყვით აღენიშნო ის, თუ რამ გა-
მოიწვია ჩემში მისი ხელახლად გამოცემის სურვილი.

თუმცა ბევრი რამ დაიწერა «ვეფხისტყაოსანზე» მას შემდეგ, რაც ჩემი ნაშ-
რომი «XII საუკუნის ქართული საერო მწერლობის ხასიათი და რუსთველის
«ვეფხისტყაოსანი» გამოქვეყნდა¹, მაგრამ მისი მთავარი აზრი, რომელიც გამოთქ-
მულია რეზიუმეში, სახელდობრ ის, რომ რუსთველს უმნიშვნელო სადევგმირო
ზღაპარი აღუყვანია, თავისი საკუთარი გენიის წყალობით, მხატვრობის უმაღლეს
ხარისხამდე, — მაინც ისევე კრიტიკის მხრით ხელუხლები და შეურყეველი რჩება.
ვიტყვი კიდევ მეტსაც: ყველაფერი ის, რაც დაიწერა მას შემდეგ, არამც თუ არღ-
ვევს ჩვენს მთავარ აზრს პოემის წარმოშობის საკითხზე, პირიქით, კიდევ უფრო
ცხადყოფს მის სიმართლეს; მოვიტანოთ მაგალითი:

ჩვენს დარგში მომუშავეთა შორის უძლიერესი წარმომადგენელი და, მაშა-
სადამე, ყველაზე კომპეტენტური პიროვნება, რა თქმა უნდა, არის აკადემიკოსი ნი-
კო მარი, რომლის ნაშრომი (იხ. TP, XII) თუ არა პირდაპირ გამოიწვია, ყოველ
ეჭვს გარეშეა, დააჩქარა მაინც ამ ჩვენმა გამოკვლევამ.

აი რას წერს ნ. მარი დასახელებულს გამოკვლევაში: «К сожалению, автор
не сумел ясно и твердо установить свое отношение к двум направлениям
по коренному вопросу—о персидском происхождении сюжета «Витязя в
барсовой коже» или, наоборот, захотел подойти к нему одновременно с
научной и с национальной стороны в целях примирить непримиримое.
Потому-то, несмотря на многие достоинства, в том числе удачное в боль-
шинстве указание на литературные параллели к отдельным местам, рабо-
та поучительна прежде всего своим ярким противоречием в основном по-
ложении о происхождении сюжета».

როგორც ხედავთ, აქ პროფ. მარი პირდაპირ ამბობს, რომ ჩვენ ნაციონა-
ლური თვალსაზრისით შეგვისწავლია «ვეფხისტყაოსანი» და, მაშასადამე, ჩვენც
ისევე ვართ დაბრმავებული, როგორც ყველა ქართველი პატრიოტი. ამასთანავე
იგი აღნიშნავს, რომ ჩვენ ამას ვამბობთ ფაქტებს გარეშე, დაუსაბუთებლად.

¹ საისტ. და საეთნ. საზოგადოების კრებული «ძველი საქართველო», ტ. I, 1909;
წივიკითხე მოხსენებად საზოგადო კრებაზე 1909 წ. 21 თებერვალს. ნაწყვეტი 1903 წ. გამოქვეყნდა.

ჩვენ საკმაოდ ვასაბუთებთ იმ ფაქტს, რომ რუსთველს მიზნად ჰქონია რაინდული სიყვარულის დახატვა, რის გამოც პოემაში იშვიათის ხელოვნებით არის დახატული «წრფელი და მძლავრი რაინდული სიყვარული, რომელსაც სარჩულად გმირობა და ვაჟკაცობა უდევს»....

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ რუსთველის სახით ნამდვილი ქრისტიანის და არა მაჰმადიანის ლიტერატურულ შემოქმედებასთან გვაქვს საქმე¹.

ამ მხრით ჩვენ ყველაზე საგულისხმოდ მიგვაჩნდა, და დღესაც კიდევ უფრო მიგვაჩნია პოეტის მიერ ქალ-ვაჟის რომანული სიყვარულის ქრისტიანულ ნიადაგზე უმაღლეს წერტილამდე გაერთარება, ანუ უკეთ გაიდება, ამ შემთხვევაში უკვე ჩვენს წინ იშლება ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ძლიერი გავლენა პოეტის მიერ სიყვარულის დახატვაზე, რაც ჩვენ დაბეჯითებით აღვნიშნეთ ჩვენს გამოკვლევაში².

პატივცემული მეცნიერი ნ. მარი კი ამ შემთხვევაშიაც არ იზიარებს ჩვენს აზრს პოეტის მიერ სპარსული ზღაპრის, პირადი შემოქმედების წუალობით, გარდაქმნის შესახებ. იგი ჩვენზე ადრე დაქინებით ამბობდა, რომ რუსთველის პოემა სპარსულის ორიგინალის სიტყვა-სიტყვით თარგმანია და, მაშასადამე, რუსთველს ეკუთვნის პოემის მხოლოდ ლექსად გადაკეთების სახელი. ნ. მარი 1910 წელს გამოსულ ნაშრომში «Вступительные и заключительные строфы «Витязя в шкурной коже» (ქვემოთ შემოკლებით — ТР, XII) უკვე დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ნაწარმოებში იშვიათის ხელოვნებით არის დახატული XII საუკუნის საქართველოს რაინდობა და ქალის კულტი, და თანაც პირდაპირ ასახელებს ნეოპლატონურ წყაროს, საითგანაც იკრებს მასალას პოეტი, სახელობრ, იგი მიგვითითებს პროკლე დიადოხის კავშირითგან ამოღებულს მთელ ფრაზაზე:

«დამშლიან ჩემნი კავშირნი, შეპრთვიან სულთა სირასა» («ვეფხისტყაოსანი», 819,4. იხ. ხსენებული ნაშრომი, გვ. XVII), მაგრამ ეს კიდევ ცოტაა.

პატივცემული მეცნიერი, რომლის წარმოდგენითაც, სპარსული ორიგინალი შეიძლება მაღლაც კი მდგარიყოს რუსთველის ნაწარმოებზე³, თავის გამოკვლევაში აღიარებს, რომ შოთას სპარსული მოთხრობა გამოუყენებია თავისი ქმნილების მასალადო⁴ (იხ. ციტ. ნაშრომი, გვ. XLVIII).

როგორც ვხედავთ, ეს უკვე სრული უარყოფაა, მეცნიერის მხრით, იმ აზრისა, რომლითაც შოთას ეკუთვნოდა «лишь честь передожеия на стихи прозаического персидского рассказа»⁵.

მაგრამ თავის მეორე ნაშრომში «Грузинская поэма «Витязь в шкурной шкуре» и новая культурно-историческая проблема» ბ. ნ. ი. მარი სრულიად ჩამოშორდა იმ ნიადაგს, რომელზედაც ის წინათ იდგა; იგი თითქო წაეტანა სარგის კაკაბაძის სახარბილო აზრს⁶, და ამიტომ მიატოვა მეთორმეტე საუკუნის სა-

¹ ამის შესახებ ჩვენი წერილი იხ. «სახალხო ფურც.», 1917 წ. № 869 — პოეტის მაჰმადიანობის გამო. ნაწყვეტი წერილებითგან რუსთველის შესახებ.

² იხ. ხსენებული ნაშრომი, გვ. 108—110.

³ ციტ. ნაშრომი, გვ. 4, გვ. XL, შენიშ. 1.

⁴ იქვე, გვ. 1 და შემდ.

⁵ იხ. Н. Марр. Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы, გვ. 246.

⁶ იხ. «ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაობა». ს. კაკაბაძის რედაქტორობით, ტფ. 1914 წ. ტექსტის წინასიტყვაობა. ქვევით ჩვენ შემთხვევა გვექნება დაწერილებით შევეხთ ბ. სარგის კაკაბაძის ნაშრომს.

კარო ლიტერატურა, წმიდა კლასიკური წრე, ქრისტიანული ნეოპლატონიზმი, რომლის ნიადაგზეც უნდა მომხდარიყო ქალ-ვაჟის რომანული სიყვარულის გაიდევლება და დაასკვნის, რომ შოთა გამოსულია გამაჰმადიანებული სამეცხეთოს კულტურული წრითგან და, როგორც ამგვარი, იგი, თავისი რწმენითა და პოეტური შემოქმედებით, უნდა იყოს მესხურ-ხალხურობის მატარებელი ქართველი მაჰმადიანიო. მეცნიერის ეს ახალი აზრი დიამეტრალურად წინააღმდეგია იმისა, რასაც იგი წინათ დაქინებით ამბობდა: სახელდობრ, იმისა, რომ შოთა სპარსულის პროზული მოთხრობის მხოლოდ მთარგმნელიაო¹.

ამნაირად, არა თუ ირღვევა ის, რასაც ჩვენ, მეცნიერის თქმით, ნაციონალურის თვალსაზრისით ვამტკიცებდით, სახელდობრ, რომ რუსთველს შეუცვლია საკუთარი თვითშემოქმედების საშუალებით მის მიერ ნაპოვნი სპარსული ფაბულა, პირიქით, მეცნიერის მიერ მიღწეული შედეგების მიხედვით, ჩვენი მთავარი აზრი კიდევ უფრო ცხადი ხდება, და ავი თვით მეცნიერიც აშკარად გამოთქვამს: «связь творения Шоты с грузинской культурной почвой не только формальная, языковая, но и идейная: при том вопрос не о материальной стороне сюжета, а об его одухотворении, перевоплощении в местные представления и образы. Это наблюдается даже в подробностях, напр., как справедливо отметил Ю. Абуладзе в описании страны злых духов— Ю. Абуладзе пишет: фактическая часть о каджах, должно быть, сильно изменена под влиянием грузинской легенды» (ИАН, 1917, გვ. 427 და იქვე: შენიშვნა)².

თავისთავად ცხადია, რომ მეცნიერის რეცენზია ჩვენი გამოკვლევის შესახებ, რომლითაც ჩვენი «რამბა» ვითომდა „поучительна, прежде всего, своим ярким противоречием в основном положении о происхождении поэмы (т. е. о персидском происхождении сюжета «Витязя в барсовой коже»), ამით სრულიად გაქარწყლებულია.

ნ. მარის ხსენებულმა რეცენზიამ დიდი ხნით დაჩრდილა ჩვენი გამოკვლევა და მასთან მასში გამოთქმული აზრები, და, ამან, რასაკვირველია, თუმცა კალამი სრულიად არ გაგვაგდებინა ხელიდგან, მაგრამ მაინც რამდენადმე შეაფერხა ჩვენ მიერ წამოწყებული მუშაობის წინსვლა, და ეს ადვილი ასახსნელიც არის.

ნ. მარი სწორუპოვარი მეცნიერი და ავტორიტეტით მოსილი პიროვნებაა, და, რა თქმა უნდა, როგორც ყველა სპეციალურად მომუშავე ქართველი მეცნიერი, ისე ჩვენი ადგილობრივი მუშაკნი, რომლებსაც ამ ჩვენთვის საინტერესო საგნის შესახებ ისევ სუსტი წარმოდგენა ჰქონდათ, და ამ შემთხვევაში ყოველთვის შესტკეროდნენ ნ. მარს და მისგან გამოელოდენ ყოველ ახალსა და უფრო ეჭვიმუ-

¹ იხ. Н. Я. Марр. Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» и новая культурно-историческая проблема.—ИАН, 1917 (შემოკლებით—ИАН, 1917).

² Племенная среда. II Культурная среда и Эпоха.—ИАН, 1917, გვ. 475—606.

იხ. ამის შესახებ ჩვენი შენიშვნა. «სახ. ფურც.» 1917 წ. № 869. პოემის მაჰმადიანობის გამო. ნაწევრები წერილებითგან რუსთველის შესახებ.

³ Н. Марр. Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы.—ЖМНП, 1899, დეკემბერი, გვ. 246 და შემდეგი.

ტანელ აზრს ამ საკითხში, ყოველთვის მის გავლენის ქვეშ აზროვნებდნენ და მოქმედებდნენ¹.

ზემორე ნათქვამიდან გამომდინარეობს ამ ჩვენის გამოკვლევის ხელახლად დასტამბვის მიზეზებიც:

1. გამოკვლევა, დროთა ვითარების გამო, დაჩრდილული და მივიწყებული იყო მაშინ, როდესაც იგი «ვეფხისტყაოსნის» შესწავლის ისტორიისათვის და, საერთოდ, მისი შინაარსის მიხედვით, ინტერესმოკლებული არ არის². მით უმეტეს, რომ მასში გამოთქმული მთავარი აზრი დღემდის კრიტიკის მიერ დაურღვეველია.

2. წიგნაკი იმ დროსა და იმ პირობებში, რომლებშიაც გვიხდებოდა მუშაობა, სასურველად ვერ დაისტამბა.

3. ამასთან კრებული, სადაც იგი დაიბეჭდა, გამოიღია და ამიტომაც საჭიროა მისი ისევ გამოცემა.

5 იანვარი, 1922 წ.

ქ. თბილისი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

I

I. «ვეფხისტყაოსნის» შესწავლის გამო.

II «ვეფხისტყაოსანი» თამარის კარის მწერლობის ჭეშმარიტი გამოსახულება; თამარის პიროვნებამ ხელი შეუწყო ჩვენში სპარსული ხასიათის კარის მწერლობის გაჩენას; სპარსული მწერლობის ის ხანა, რომელიც გახდა თამარის დროის კარის მწერლობის წინამორბედი; ბუმბერაზების შესახები სადევემირო ამბების მოწონება XII საუკუნეში; ამ ამბების აღმზრდელობითი მნიშვნელობა; სპარსული კარის მწერლობა ყველაზე უფრო შეესაბამებოდა თამარის დროის საქართველოს მდგომარეობას; რუსთველი, როგორც თავისი წრისა და ეპოქის ნამდვილი შვილი, უნდა დაინტერესებულიყო «უცხოთა ხელმწიფეთა» ამბებით; «პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი» შეიქმნა კანვად, რომელშიაც გამოიქარგა დროის მიმართულება და პოეტის ღრმა სულის მოძრაობა: პოეტის დროს «ამბად ნათქვამი» გარდაიქმნა «წყობილ მარგალიტად».

III. «ვეფხისტყაოსანი» შინაარსისა და გარეგან. ფორმის მხრით.

IV. «ვეფხისტყაოსნის» შედარება «ბარამიანთან» და «ვისრამიანთან».

V. პოეტის ფანტაზიით სადევემირო მოთხრობის შეცვლა; ქაჯების შესახები თქმულება; თანამედროვე ფილოსოფიური მიმართულების გავლენა «ვეფხისტყაოსანის» დამწერზე.

დასკვნა.

არც ერთი ლიტერატურული ნაწარმოები ისე პატივცემული არ ყოფილა

¹ ამ მხრით დამახასიათებელია კ. აბაშიძის ბიბლიოგრაფიული შენიშვნები: «ა. ნ. მარის ახალი შრომა». «სახალხო გაზეთი», № 11, 1910 წ.

² სულ რომ არა იყოს რა, ჩვენი მუშაობის ნაყოფი იმ მხრით მაინც არის საყურადღებო: მან წაართვა საშუალება ყველა მათ, ვინც ცდილობდა გარდამეტებული სილაღით მოპყრობოდა შ. რ. უსთველის პიროვნებისა და მისი ქმნილების საკითხებს და ეთქვა ის, რის ნებასაც არას შემთხვევაში არ იძლევა თვით რუსთველის ქმნილებისა და ენის ინდივიდუალური მხარეების ობიექტური თვალსაზრისით შესწავლა და დაფასება.

ჩვენში, როგორც რუსთველის «ვეფხისტყაოსანი». ქართულ მწერლობას იგი მიაჩნდა ქართული კულტურის უძვირფასეს სამკაულად. ლიტერატურის აღორძინების ხანიდან დღემდე გაისმის ამ წიგნისა და მისი ავტორის ქება-დიდება, და, რა თქმა უნდა, ლიტერატურის თეორიის გაფითარებასთან ერთად, უნდა აღძრულიყო მისი შესწავლის ინტერესი, უნდა აწონ-დაწონილიყო და დაფასებულიყო ქართველი ერის ეს სიამაყეც.

მართლაც, იგი შეიქმნა ერთ ფრიად საინტერესო მსჯელობის საგნად როგორც ჩვენში, ისე სხვაგან, მაგრამ გამოირკვა თუ არა ამით ჭეშმარიტება, გვაქვს თუ არა გერჯერობით, მისი მკვლევრების წყალობით, სწორი და უტყუარი აზრი ამ ნაწარმოებსა და მის ავტორზე? სრულიადაც არა. პირიქით, რუსთველისა და მისი «ვეფხისტყაოსნის» შესახები კითხვა გერ ისევე ნორჩია, ავტორის ვინაობა ისევე ბურუსშია გახვეული, ავტორისა და მისი ნაშრომის შესახები კითხვები დღემდის წყვდიადში განისვენებს.

რა არის ამის მიზეზი?

ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს გაზვიადებული ცრუპატრიოტიზმი და გეროვანი ერუდიციის უქონლობა:

ქართველი მკვლევრები იმ აზრისა იყვნენ, რომ პოემის ქება-დიდების საგანი თამარ მეფეა; მაშასადამე, ქართულის ცხოვრების უტყუარი ფაქტებია მოთხრობილი ამ პოემაში და საკუთარი, როგორც გმირებისა, ისე ქვეყნების, სახელები აღეგორიულია და მათი გაგება და ახსნა შესაძლებელია მხოლოდ თამარის დროის ისტორიის შესწავლა-განხილვით, რადგან იმ დროის ისტორიის ამბები აქვს ამ ნაწარმოებს სარჩულად დადებულიო.

აქედან ის დასკვნა გამოყავდათ, რომ პოემაში, არც სპარსული, არც სხვა უცხო ქვეყნისა არაფერია, ყველაფერს ქართული აზრი და მნიშვნელობა უნდა მიეცესო¹.

ამგვარი აზრი, ვიმეორებ, დაბადა ცრუ და გაზვიადებულმა მამულის სიყვარულმა და გეროვანი ერუდიციის უქონლობამ. მარტო საშობლოს სიყვარული და ქართული ლაპარაკის ცოდნა ვერ მისცემს საკმაო ძალას ადამიანს, გადაწყვეტოს ისეთი საკითხი, რომელიც შეეხება ერთი ლიტერატურის მეორეზე გავლენას. ჩვენი აზრით, არაფერი ამ შემთხვევაში ისეთი საჭირო არ არის, როგორც იმ ერის ენისა და ლიტერატურის შესწავლა, რომელსაც თამარის დროის ლიტერატურის ზრდა-განვითარებაზე დიდი გავლენა უნდა ჰქონებოდა.

პირველ მეცნიერად, რომელმაც დაუდვა საფუძველი «ვეფხისტყაოსნის» სერიოზულ მეცნიერულ კრიტიკას, უნდა ჩაითვალოს პროფ ნ. მარი, რომელიც წინააღმდეგა მის დრომდე გაბატონებულ შემცდარ აზრებს ამ ნაწარმოების შესახებ, მაგრამ გერ სტუდენტად მყოფი და ზომიერ მეტად ვატაცებული სპარსული გავლენით XII საუკუნის ქართულს საერო მწერლობაში, ბ. მარი აჩქარდა, გამოეთქვა თავისი აზრი ამ პოემის წარმოშობის შესახებ, რის გამოც იგი ჩავარდა მეორე უეიდურესობაში.

კამათის დროს იმ პირებთან, რომლებიც უქცეროდენ ამ საკითხს მარტოდენ ქართული ნაციონალური თვალსაზრისით, ახალგაზრდა მეცნიერმა დაიწყო

¹ ამ მხრით ყველაზე უფრო ტიპიური ხასიათი აქვს ბ-ნი სიმონ ქ ვ ა რ ი ა ნ ი ს შრომას: «შოთა რუსთაველი და მისი პოემა», რომელიც მოთავსებულია 1903 წ. «მო ა მ ბ ი ს» მე-7 და მე-8 ნომერებში.

თავგამოდებით «ვეფხისტყაოსნის» სპარსეთიდან წარმოშობის აზრის მტკიცება და კიდევ დაასახელა მისი ორიგინალის ადგილსამყოფელო. იგი ფიქრობდა, რომ ამ ნაწარმოების ორიგინალი ბრიტანეთის მუზეუმში არსებობს და რომ რუსთველს ეკუთვნის მის დრომდის პროზით ნაწერი სპარსული რომანის ლექსად გადაკეთების სახელიო¹. მხოლოდ ამ ბოლო დროს ბ. მარმა შეასწორა თავისი შეცდომა და თავის ერთს შრომაში (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, IV, ს.-პეტერბურგი, 1902 წ.) ამბობს: «ადილი შესაძლებელია, «ვეფხისტყაოსნის» ყურადღებით შესწავლამ აღმოაჩინოს ამ ლექსად გადაკეთებულ სპარსულ რომანში შეგნებული დასურათხატება ქართველი ავტორის ნაცნობი ტიპებისა და მოვლენების პოეტური იგავგაკვერით, რომელიც განსაკუთრებით აშკარა იქნებოდა თანამედროვეთათვის. ეს იგავგაკვერითი პოეზია დღესაც რამდენადმე გამოსვვირსო»².

ეს ორი უკიდურესობა შედეგია იმისა, რომ არც ერთ რუსთველის შესახებ დამწერს ჯერ არ შეესწავლა ამ ავტორის ენა იმდენად, რომ შეძლებოდა ტექსტის წაკითხვა და პირუთენელი მსჯელობის გამოთქმა³. პირიქით, თითოეული მათგანი ცდილობდა გაეყვანა თავისი ერთხელე დაქინებული აზრი, გაეტანა ერთხელე გულში ამოჭრილი სურვილი. ბევრ მათგანს, თუმცა კი ესმოდა ალაგ-ალაგ პოემის

¹ «ვეფხისტყაოსნის» წარმოშობის შესახებ საკითხის წამოყენების დროს ბ. მარი სპირაჯ ასახელებს თავის ამ 27 წლის წინათ გამოთქმულ ორიოდ სიტყვას იმ პატარა წერილში, რომელიც მას დაუსტამბავს გაზ. «თეატრის» 1890 წლის № 12 -ში, განსვ. აღ. ხახანაშვილის მიერ გაზ. «ივერიაში» «ვეფხისტყაოსნის» შესახებ დასტამბული წერილის საპასუხოდ. ა. ხახანაშვილი თავის წერილში უპირატესობას აძლევდა ხალხურ ამბავს, რომელსაც იგი ცნობდა წყაროდ, საიდგანაც რუსთველს თავისი გალექსილი რომანის შინაარსი უნდა ამოედო.

ამის პასუხად ბ. მარი შემდეგს წერდა: «რადენად სპარსულ ენის და მწერლობის გაცნობა საბუთს მაძლევს, მე სრულ ჭეშმარიტებად მიმაჩნია რუსთველისვე სიტყვები, რომ მას სპარსულიდან ნათარგმნი ამბავი უნდა გაეღესოს. რადენად შესცვალა დედანი პოეტმა, გააგრძელა ან შეამოკლა, ამაზე სჯა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა სპარსული დედანი აღმოჩნდება, რის იმედს ჯერ კიდევ არ ვკჳარავთ».

სპარსულ დედნად «ლიღმეგნუნიანი» კი არ მიმაჩნია; სპარსულ დედანში თვით ტარიელის და ნესტან-დარეჯანის ამბავი უნდა იყოს, თვით სახელებიც კი — ტარიელ კაცის გადმოქართულებული სპარსული სახელია: სპარსულად ითქმის «შაპრიერი» და ნიშნავს ხელმწიფეს, ხოლო ნესტან-დარეჯანი აგრეთვე ქალის სპარსული სახელია; სპარსულად ითქმის ნესტან-დარი ჯეჰანი და ნიშნავს სიტყვა-სიტყვით: «არ არის ქვეყანაზე», ხოლო აზრით — «არ არის ქვეყანაზე მგზავსი მისი, ესე იგი — უებრო».

თუ რა საბუთები მაძლევს ნებას, რუსთველის ცნობა მისევე თხზულებაზე სიმართლედ ვადიარო, უკეთუ სპარსული დედანის აღმოჩენა დავეიანდა, მათ მაშინ მოვიხსენებ, ჯერ კი ველი ცნობებს ერთ სპარსულ ხელნაწერზე, რომელიც ბრიტანულ მუზეუმში ინახება, ლონდონში და იქნება თვით «ვეფხისტყაოსნის» დედანია, რადგან ხელნაწერი შეიცავს, როგორც კატალოგიდან სჩანს, «შაპირარ-ნამეს», ე. ი. წიგნს შაპირზე (ტარიელზე), რომლის ამბავი ინდოეთში მომხდარა. ბრიტანული მუზეუმის «შაპირარ-ნამეს» რომ სხვა რამე აღმოჩნდეს და არა ქართული «ვეფხისტყაოსანი», სხვა «შაპირარ-ნამეთა» მოპოება და გასინჯვა იქნება რუსთველის ნაწერთა მკვლევარის პირველი ვალდებულება, როცა სიტყვა შინაარსის სადაურობაზე ჩამოვარდება (იხ. გაზ. «თეატრი», 1890, № 12).

² Н. Марр. Тексты и разыскания по арм.-груз. филологии, ნაწ. IV, გვ. 55—56, ს.-პეტერბურგი. 1902 წ. შარშანწინ გამოცემულ პატარა წიგნაკში «История Грузии» ბ. მარი აღიარებს «სიუჟეტის ნახესებია აწ დაკარგული სპარსული ორიგინალიდანაო» (გვ. 33, ს.-პეტერ... 1906 წ.).

³ პატივსაცემია ბ-ნი ა. სარაჯი შვილის შრომა: «ვეფხისტყაოსნის» ყალბი ადგილები» (იხ. «მომამბე», 1895, 96, 97, 98, და 99 წლებისა). «ვეფხისტყაოსანი» მეცნიერულად გამოსცა დ. ჩუბინაშვილი მაორჯერ: 1846 და 1860 წწ. სანტ-პეტერბურგს. ზოგიერთი შეცდომე-

სიტყვები, მაგრამ ან ხსნიდენ ალეგორიულად და ცდილობდენ მათი სურვილისადაგვარად აეხსნათ პოემის ადგილები, ანდა ზოგიც, მათი მოწინააღმდეგე, ცდილობდა ეთქვა, ყველაფერი სპარსულია და ერთი სიტყვა არც თამარის და არც ქართველების შესახებ ამ ნაწარმოებში არ მოიპოვებაო.

ამნაირად ერთიმეორის შუღლი და მტრობა იმდენად აბრმავებდათ, რომ ისედაც ნორჩ კითხვას კიდევ უფრო აბნელებდენ, მაშინ როდესაც პოემის შინაარსის კეთილსინდისიერსა და პირუთენელ განხილვას შეეძლო მიეყვანა ადამიანი სწორსა და ნათელ დასკვნამდე.

მაგრამ, სამწუხაროდ, რუსთველის შესახებ დამწერი არც ერთი ავტორი ერთი სიტყვივითაც არ შეკხებია პოემის შინაარსს, ყოველი მისი მკვლევარი ათავებდა თავის მუშაობას წინასიტყვაობის განხილვით, თუმცა არც წინასიტყვაობაა დღემდე საკმაოდ შესწავლილი და განხილული.

მიუხედავად მთელი ლიტერატურისა ამ საგნის შესახებ, «ვეფხისტყაოსნის» მოვლინება XII საუკუნეში დღემდის გამოცანად რჩება. გააფხეებული აზრი, ვითომც «ვეფხისტყაოსნის» ამბავი წარმოადგენდეს XII საუკუნის ისტორიულ შემთხვევათა ალეგორიულ გამოხატვას, ჩვენ მიგვაჩნია ყოველ საფუძველს მოკლებულად. ერთი რამ არის ჭეშმარიტად სარწმუნო. სახელდობრ ის, რომ პოემა საკარო მწერლობის მიმართულების ჭეშმარიტი გამოხატულებაა.

ამ წერილით ჩვენ გვსურს აღენიშნოთ და, შეძლებისდაგვარად, გამოვარკვიოთ ტიპი იმ სადევგმირო¹ მოთხრობისა, რომელიც დაედვა საფუძვლად რუსთველის «ვეფხისტყაოსანს». ამ საკითხის გამოსარკვევად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა ერთი მხრით XII საუკუნის მწერლობაში ვაბატონებული მიმართულების გათვალისწინება, მეორე მხრით, იმ წყაროს გაცნობა, საიდანაც იკრებს ძალ-ღონეს და მასალას იმდროინდელი ქართული კარის მწერლობა. იმ უცხო ლიტერატურულის მიმართულების გაცნობა, რომელსაც თვალსაჩინო გავლენა ჰქონდა XII საუკუნის ქართულის საერო ლიტერატურის აღორძინებაზე, ავტორის ნაწარმოების შინაარსისა და მის დამახასიათებელ თვისებათა შესწავლასთან ერთად, გახლავთ ის ერთადერთი გზა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ ამ საგნის კვლევის დროს.

II

თამარის ციურმა სახემ, მისმა საოცნებო მშვენიერებამ და სამეფო ჭკუამ მეთისმეტად აამაღლა მეფის უზენაესი უფლება და შეუწყო ხელი მისი პიროვნების

ბის მიუხედავად, ეს გამოცემა დღემდის საუკეთესო სახელმძღვანელოა პოემის შესასწავლად. დ. ჩუბინაშვილის გამოცემის შემდეგ, «ვეფხისტყაოსნის» მეცნიერული გამოცემა და კომენტატორობა იკისრა დავ. კარიჭაშვილმა, წერა-კითხვის გამ. საზ.-ის საბჭოს მინდობილობით (თბ. 1903 წ.). სამწუხაროდ, ხსენებული გამოცემა მჭერმეტყველურად მოწმობს, თუ რა ნაკლებად ესმის რუსთველის ენა ისეთ პირებსაც კი, რომლებიც ცნობილი არიან ქართული ენისა და მწერლობის მცოდნეებად. ბ. კარიჭაშვილმა ბევრი, ჩვეულებრივის მკითხველისათვის ადვილი გასაგები ადგილი თავისი კომენტარიებით სრულებით დააბნელა: მაგალითისთვის საჭიროდ ეთვლით, დავასახელოთ ხანანი: 38, 139, 136, რომელთა აზრი კომენტატორის მიერ სრულიად წარყენილია. გარდა ამისა კომენტატორი ხშირად მარტავს ისეთ ადგილებს, რომლებიც თავისთავად ცხადია, მაშინ როდესაც უყურადღებოდ ტოვებს ბევრს გაუგებარ და საცილობელ ადგილს; ნამეტურ შესანიშნავია ავტორის სურვილი — გამოჰყოს ცალკე პრედიატივების «ა» — «არს» (შემწეობითი ზმნა).

¹ «სადევგმიროს» ჩვენ ვუწოდებთ აღმოსავლურ ეპიკურ ამბებს, სადაც მოქმედ პირებად ადამიანებთან ერთად გამოყვანილი არიან სხვადასხვა მანე სულები, დევები და ქაჯები.

გადმერთებას, მისმა ჰაეროვნებამ და სანდომიანმა სახემ შთააგონა თანამედროვე მელექსეთა მუზა, რამაც გამოიწვია კარის ლიტერატურის განვითარება.

ამ გარემოებას უნდა გამოეწვია ლიტერატურული მოძრაობა სპარსეთის ურთიერთობის ნიადაგზე აღზრდილსა და დავით აღმაშენებლის მიერ პოლიტიკურად გაძლიერებულსა და სწავლა-ცოდნით აყვავებულ საქართველოში.

თამარის დროის ქართული ლიტერატურის საუცხოო აყვავებას, რასაკვირველია, ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ იმდროინდელ ქართველს აღარ შეეძლო დარჩენილიყო მარტოოდენ სასულიერო მწერლობის ქრისტიანული ასკეტიზმის ვიწრო ფარგლებში, რასაც აშკარად ვამჩნევთ მეზობელ სომხურ სასულიერო ხასიათის მწერლობაში. იმდროინდელი ქართული აზროვნების ინტერესები მოითხოვდა უფრო მეტს: ხანგრძლივმა რაინდულმა ბრძოლამ სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად მომამზადებელ ხანაში და საბერძნეთის და აღმოსავლეთის ცივილიზაციის დაახლოვებით გაცნობამ ადრე გაათავისუფლა ქართველობა სარწმუნოებრივი ასკეტიზმის გავლენისაგან. ამიტომაც ქართველები მწყურვალეობით დაეწაფენ სპარსულ ლიტერატურას და იწყეს სპარსული ეპოსის ნიმუშებით სარგებლობა.

მაშინდელი სპარსული ლიტერატურა, რომლის გამომხატველია ფირდოუსის «შაჰ-ნამე» და ყაზნის სულთნის მაჰმუდის კარზე კარის ლიტერატურის უმაღლეს წერტილამდის განვითარება, ყველაზე უფრო შეეფერებოდა თავისი შინაარსით თამარის ბრწყინვალე ეპოქის სულსა და მიმართულებას.

მაგრამ რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად ბუნებრივი იყო იმდროინდელ მწერალთა სპარსული ლიტერატურის ნიმუშებით გატაცება, საჭიროა გადავაფლოთ თვალი სპარსული მწერლობის სახელდობრ იმ ხანას, რომელმაც დიდი და განსაკუთრებული გავლენა იქონია ჩვენს იმდროინდელ მწერლობაზე.

სპარსული ლიტერატურის აყვავებასა და განვითარებას XII საუკუნის პირველ ნახევარში ხელი შეუწყო ყაზნის სულთნის მაჰმუდის კარზე საკარო ლიტერატურის განვითარებამ და მასთან ისეთი კლასიკური ნაწარმოების გაჩენამ, როგორც არის უკვდავი ფირდოუსის «შაჰ-ნამე». ამ ნაწარმოებმა მეტად ძლიერი გავლენა იქონია მთელს სპარსულ ლიტერატურაზე. ეს გავლენა უმთავრესად იმაში გამოიხატა, რომ ფირდოუსის შემდეგი მგოსნები სიუჟეტად ღებულობენ ხალხურ თქმულებებს, რომლებიც დარჩენოდა ფირდოუსის. ამგვარი მიმბაძველები ყოველთვის მოგვითხრობენ როსტომის საგვარეულოდან გამოსულ რომელიმე გმირზე: ზოგი მათგანი აქებს როსტომის შვილის გმირობას, ზოგიც ვისმე მის ჩამომავალს.

ამნაირად იჩინა თავი მიმბაძველი მგოსნების მთელმა დასმა, — რომელმაც შექმნა ეპოს-რაინდული ლიტერატურა, რისთვისაც მოლეულ იქმნა მთელი ირანის ლეგენდარულ-ისტორიული მასალა. ეს მასალაც რომ შემოეღიათ, პოეტებმა მიმართეს ნამდვილ ისტორიულ ამბებს და იქიდან სარგებლობდნენ ისეთი შემთხვევებით, რომელთაც ლეგენდარული ხასიათი ჰქონდათ, თუმცა რომ უფრო გასართობი ყოფილიყო მათი ნაწარმოებები, ისინი მათში ვრცელად ადგილს უთმობდნენ თავის საკუთარ ფანტაზიას. ასე, ამნაირად, ეპოსი თანდათან იცვლება: ჯერ ეპიკურ-სადევგმირო ამბებად, შემდეგ კი — ზღაპრად. შემდეგში მგოსნებმა აირჩიეს ორი გზა: ერთი წყება თავისი ნაწარმოების სიუჟეტად იღებს არაბულ ზეპირ-გარ-

დმოცემებს, მეორე კი, უმეტესი ნაწილი, არჩევს ისტორიული პირების საგმირო საქმეებს.

მაგრამ ფირდოუსის გავლენა სპარსულ ლიტერატურაზე როდი განისაზღვრება მხოლოდ ეპიკური ლიტერატურის ფარგალში; იგი იჩენს თავს აგრეთვე რომანულ პოეზიაშიც. მისი «იუსუფ-უ-ზულიეხა» («იოსებზილიხანიანი») თუმცა მოკლებული იყო მაღალ პოეტურ ღირსებებს, მაგრამ ამ ნაწარმოებშიც მას გამოუჩნდა მრავალი მიმბაძველი (სპარსული ნაციონალური ეპოსისა და ფირდოუსის შესახებ იხ. Th. Nöldeke. Das iranische Nationalepos, 5, ibid. 14 folg., ფირდოუსის მიმბაძველების შესახებ, იხ. წინასიტყვაობა: Le livre des rois Jules Mohl).

ფირდოუსის «იუსუფ-უ-ზულიეხასთან» საჭიროა დავასახელოთ ორი სხვა რომანული შინაარსის ნაწარმოებიც. ერთი ეკუთვნის ფირდოუსის თანამედროვე უნსურის კალამს. ეს უნსურიც ფირდოუსისთან ერთად ცხოვრობდა ყაზნის სულთნის მამულის კარზე, იყო მფარველი ფირდოუსისა და ყველა კარის მწერლისა, და დაწერა რომანი «ვამიყ-უ-აზრა», რომლის გაცნობა შეიძლება დღეს მხოლოდ თურქულ ენაზე გადმოღებული იმავე სიუჟეტის ნაწარმოებით; ამ ნაწარმოების ავტორს უსარგებლებია სპარსული ვერსიით.

მეორე იმ ნაწარმოებთაგან, რომელიც ჩვენთვის ფრიად საინტერესოა, ¹ —

¹ ჩვენი «ვისრამიანი», როგორც თარგმანის წინასიტყვაობაც გვიჩვენებს, არის ამ სპარსულის ორიგინალის თარგმანი. ქართულ თარგმანში ბევრი ადგილი თითქმის სიტყვა-სიტყვით ეთანხმება ორიგინალს, მაგრამ ზოგიერთი მისი ადგილი უფრო ვრცლად არის გადმოცემული, ზოგი შემოკლებულია ან სრულიად გამოტოვებული, ან განზრახ შეცვლილი, მაგალითად, ადგილი: «დიგერ დერ ხაქ ნეუფშონდ იზ გოპარ» (სპარსული ტექსტი 116), მთარგმნელს გადაუსხვადებია ასე: «მარგალიტი ღორსა წინა აღარა დაყარა» («ვისრამიანი», 125. შეუდარეთ სახარება მათისი, 7, 6), მაშინ როდესაც აქ ნათქვამია: «მას არც ერთი მარგალიტის თვალი აღარ დაუგდია მიწაზე». შეუდარეთ აგრეთვე სპარს. ტექ. 394, 5-ქარ. ტ. 151, 10; «რომლისა მიწისაგან დაბადა (ღმერთ-მან კაცი), ბოლოს ქამსა მუნვე მიიყვანს». სპარსულში მიწის მაგიერ არის: გუარი-ნივთი, მარგალიტი. განზრახ შეცვლილია აგრეთვე ორიგინალის შემდეგი ადგილი (იხ. სპარს. ტექსტი, გვ. 113, სტრიქ. 18): *علم چون کند داستان نوازی کند کودک همیدن پای بازی* სადაც ნათქვამია: მასწავლებელი რომ საამო გალობას იწყებს, მოწაფე იმწამსვე ცეკვას გააბამსო. ამ ადგილს მთარგმნელი ასე თავის გემოზე ცვლის: «რა ხუცესი ორ-მალთა უკრედედს, დაიკომან შეშპარისა კიდე რამცა ქმნა?» ამგვარივე მაგალითი გვაქვს სპარსული ორიგინალის ტექსტის 195 გვერდზე; იხ. ლექსები 19—20, სადაც ლაპარაკია ქურდისაგან მონაპარი საუნჯის მიწაში დაფლავზე. ეს ადგილიც მთარგმნელს, ალბათ, სახარების გავლენით, ამ სახით შეუცვლია: «შენცა ნუ თუ ჩემებრ გიყვარდა იგი თვალი, საწუთროო, რომელ ანგართა ოქრო ვითა დაჰფალ და დაჰმალე მიწასა» (იხ. გვ. 121, 23—24; H. Ma pp. ЖМНП., გვ. 202, 1898 წ. გვ. 228, შენიშ. 3). ზოგი ადგილი სრულიად დამახინჯებულია, რაც უმეტეს ნაწილად მოწმობს გადამწერელთა უეცრობას; მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ორიგინალის შემდეგი ადგილი (გვ. 280, სტრ. 18), «ეგერ ხანენდ არაშრა ქემან გირ, ქი ეზ სარი ბე მერე ანდოხთ იქ თირ», რომელიც ნიშნავს: «არაჲს იმიტომ უხმობენ მეისარედ, რომ მან სარიდან მერვამდი ვასტუორცა ისარიო»; სიტყვა «სარის» (ქალაქის სახელია) ნაცვლად ქართულში ვეითხულობთ სიტყვას «სიარულითა, რაც შეუწყნარებელია (იხ. ქარ. ტ., გვ. 303, სტრ., 17—18). ეს ადგილი აღნიშნული აქვს პრ. მარსაც (ЖМНП., 1895, გვ. 234, ibid., ир. 1., სადაც აღნიშნულია კურიოზები, რომლებსაც ვხვდებით ქართულ გამოცემაში).

ქართულ «ვისრამიანში» (230 გვ. 211 სტრ.) ვეითხულობთ: აწ მოიგონე შაპროს პატივი, ვიროს სიყვარული და სამსახური და თვით შენი ფიცი, რომელ შეგიფიცავს ღმრთისა და ყოველთა მისთა წმიდათა. ამ ყოველთა წმიდათა შესახებ სპარს. ორიგინალი ღუმს. სპარ. ორიგინალში ვეითხუ-

რომანი «ვის-უ-რამინია», რომელიც გამოკეთებულია ახალ-სპარსულად ფალაუ-რი ორიგინალიდან; იგი შემთხვევით გადაჩენია არაბების შემოსევას: ის შეეხება უძველეს დროს.

ამნაირად ჩვენთვის საინტერესო სპარსული ლიტერატურის პერიოდში ჩვენ ვხედავთ ორნაირ ნაწარმოებს, ეპოსს, ანუ სადევგმირო პოემებს, რომლებიც ბოლოსდაბოლოს დებულობენ ზღაპრის ხასიათს, და — რომანულ პოემას, რომლის ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ ქართულ ენაზე ცნობილი «ვისრამინიც». კარის მწერლებს შორის საპატიო ადგილი ეჭირათ აგრეთვე მესობტეებს, რომელთა მიზანი იყო მეფეთა შემკობა, შექება.

ლობთ (იხ. გვ. 282; მე-8 ლექსი): შენ არა ხარ ის, რომ ჩემს იქით არაფერი გასსოვდა (არაფერს იგონებდი) და ჩემი ფეხის ტალახისაგან სურმას (გუნდა-ლახოსტაკს) იკეთებდიო. ამ ადგილის ნაცვლად მთარგმნელს შემოუტანია შემდეგი ადგილი «ფსალმუნთაგან» (დავითისი, 41 თავი): (შენ იგი), რომელ ჩემი მიჯნური იყავ, ჩემისა ნახვისათვის ასრე გსურდა, ვითა წყაროსათვის ირემსაო. ამნაირად ორიგინალის წმიდა სპარსული შედარება შეცვლილია «ფსალმუნის» გავლენით.

დამახინჯებულია აგრეთვე ქართულის ტექსტის (იხ. გვ. 445) ადგილი: «საწუთრო ძველია და ჩვენ შიგან სიზმართა ვგავთ» (ხელნაწ. ვეჯამთ (?). იხ. ხელნაწერები № № 96 და 1728, შაპი მოაბადის სიკვდილი ტახისაგან). სპარსულ ორიგინალში მას უდრის შემდეგი ადგილი: «ჯაჰან ხაბ ესთო შა დერ ვეი ხაოლიმ» (იხ. გვ. 387, 12), რომელიც ნიშნავს: «ეს სოფელი ძილია, და ჩვენ კი მასში სიზმარნი ვართ», რაც სრულიად ნათელია: ამგვარსავე შეცდომას უშუვეშს გადამწერი მეორე ალაგას, ფრაზაში: «არ მებრალების უთმინობა და უძალობა», სადაც სიტყვა «უძალობა», სპარსულის ტექსტის მიხედვით, უნდა შეიცვალოს «უძილობად» (იხ. ქართ. ტექსტი 254 — სპარ. 237, 4). ძალიან სწორად მთარგმნელი ცდილობს შეამოკლოს აზრი, რის გამოც ორიგინალის ენის სურათიანობა სრულიად იკარგება. მაგ., სპარსულ ორიგინალში ვკითხულობთ (გვ. 116, სტრ. 2):

هی گفت این سخن ویر و بخواهر همی بارید و بس از چشم گوهر

რაც ნიშნავს: «ეს სიტყვა უთხრა ვირომ თავის დასა და ვისმან თვალიდან მარგალიტი გადმოსწვიმა». მთარგმნელს ეს შეენიერი ადგილი შეუცვლია ასე:

«ვირო ვითაცა ეუბნებოდა, ვისი საბრალოდ ტიროდა»; ამგვარადვე ამოკლებს და ცვლის მთარგმნელი ადგილს, სადაც რამინი ოცნებობს ვისის დარბაზისკენ გატყუორცინლის ისრის ხედრზე. სპარსულ პოეტს ეს ადგილი მეტად პოეტურად აქვს გადმოცემული, იგი ამბობს: «რამინმა რომ ისარი გაუშვა, დევის ფიქრთა ლაშქარი შეჰყარა». ეს ადგილი მთარგმნელს ასე შეუცვლია:

«რა რამინ ისარი გასტყორცა, მერმე საგონებელსა ჩაიჭრა». სპარს. ორიგინალში ვკითხულობთ (იხ. გვ. 239, სტრ. 3): «ბე ჩეშშ აურდე თირ ეჭგენ ბე ინჯახ», რაც ნიშნავს: (თვალის ქნევი) მას მიჰყავდა მისარე აღთქმაზე (ე. ი. აღთქმის დასადებად). ეს პოეტური ფრაზა ქართველ მთარგმნელს ასე შეუცვლია: «მშვილდოსნობა აფხაზთაგან ესწავლაო». ასე რომ, სპარსული სიტყვები: აურდე ბე ინჯახ — «აღთქმაზე მიჰყავდაო», გადმოცემულია სიტყვებით: «აფხაზთაგან ესწავლაო». იხ. და შეად. ნ. მ. ა. რ. ი. (ЖМНП, 1896 წ. გვ. 236, შენიშვნაში. ამგვარადვე სცვლის, ანდა სრულიად ტოვებს მთარგმნელი ისეთ ადგილებს, როგორიც არის, მაგალითად «გუმბათზე ნიგოზის დაყრა» — და ძიძისაგან ვისის დარიგების შეენიერი შედარება. «ძიძას თითქო ნიგოზი დაეყაროს გუმბათზე-ო, ამბობს სპარ. ტექსტი (იხ. სპარს. ტექსტი. გვ. 62, სტრ. 19 — ქართ. გვ. 59, სტრ. 10 — 15) ქართულ ტექსტში ამ სიტყვებს ვხედებით სხვა ადგილას, სადაც სპარსულის შესაფერისი ადგილი მას არ ეთანხმება (იხ. ქართ. ტექსტი. გვ. 243, სტრ. 9 — 10). ამნაირად, თარგმანი მოკლებულია ორიგინალის პოეტურ ღირსებებს, მაგრამ ზოგან საესებით არის დაცული ორიგინალის ენის სურათიანობა. ეტყობა, ავტორს მეტად თავისუფლად უთარგმნია, რის გამო არსებული ქართული თარგმანი ბევრით განსხვავდება ორიგინალისაგან. სპარსული «ვისრამინი» ლექსად თარგმნა გ. რ. ა. მ. ა. გერმანულად (ქურნალში «Zeitschrift der Deutschen morgenländischen Gesellschaft», 1869). თარგმანის უმეტესი ნაწილი საოცარი სინამდვილით გადმოგვიცემს ორიგინალს; შრომას დართული აქვს აგრეთვე ამ ნაწარმოების შინაარსის ვრცელი მოთხრობა. ქართული თარგმანი სპარსულ ორიგინალს ჩვენზე ადრე შეუღარა პროფ. ნ. მ. ა. რ. მ. ა. (ЖМНП, 1896 წ., გვ. 223 — 228).

ახლა ვიკითხოთ: რას წარმოადგენს XII საუკუნის ქართული საერო მწერლობა?

აქვე, როგორც სპარსულ ლიტერატურაში, ჩვენ ვხედავთ იმგვარსავე სადევგ-შირო მოთხრობებს, როგორც «ამირანდარეჯანიანია», რომანტიული შინაარსის ნაწარმოებს, როგორც «ვისრამიანია» და ხოტბებს ანუ შესხმით ქებას, მიმართულს თამარისა და მისი მეუღლის დავით სოსლანისადმი.

ჩვენის ისტორიის მთელი წარსული წმინდა რაინდული გახლდათ; ბუმბერაზობა და გოლიათობა, როგორც ამას მოწმობს ჩვენის მატიანის მოთხრობები ისტორიული გმირების შესახებ, ძალიან მოწონებული უნდა ყოფილიყოს იმდროინდელ საქართველოში.

ამიტომ სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს იმგვარი ამბებით გატაცება, როგორთაც მოგვითხრობს ფირდოუსის «შაჰ-ნამე», რომლისგან გადმოღებულ ცალკე წიგნებს დიდი მოწონება ჰქონია ჩვენში, როგორც ამას მოწმობს ქართული «როსტომიანის», «ბეჟანიანისა» და სხვების თარგმანები¹. ამგვარი გატაცებით აიხსნება ჩვენს მწერლობაში ისეთი საგმირო ზღაპრის არსებობაც, როგორც არის «ბარამიანი», რომელიც ძლიერ გავრცელებული ყოფილა ჩვენში, რასაც მოწმობს მრავალი ხელნაწერი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (იხ. «ქართული მწერლობა მე-XIII—XIV საუკ.»), ზ. ზიჟინაძე, ტფილისი, 1885 წ.), ამგვარივე გატაცებით აიხსნება ისეთი სადევგშირო მოთხრობის არსებობაც XII საუკუნეში, როგორც არის «ამირანდარეჯანიანი», ამოღებული, პროფ. მარის გამოკვლევით, სპარსული რომანებისა და მოთხრობების კრებულიდან «ყისაი-ჰამზა» ЖМНП, სპ. 1899 წ. № 10, გვ. 328; Н. Марр. Из книги царевича Баграта.—ИАН, X, № 2, გვ. 245.

სადევგშირო მოთხრობების არსებობა XII საუკ. მწერლობაში შეგვიძლია გავამართლოთ იმ მოსაზრებითაც, რომ საკარო ლიტერატურის შინაარსად, მეფეების ხოტბებს გარდა, უნდა გამხდარიყო აგრეთვე ხელმწიფეების შესახები საგმირო ამბები, რადგან ეს უკანასკნელები წარმოადგენენ თავის შინაარსით სამეფოდ მოწოდებული პირების საგმირო საქმეებს.

ამ სამეფოდ მოწოდებული პირების საგმირო საქმეებს, გარდა იმისა, რომ სასიამოვნო საკითხავი იყო მეფეთა და დიდებულთათვის, ჰქონდა აგრეთვე დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც. სახელდობრ, ამგვარი ამბების მიზანი იყო აღეზარდათ იმდროინდელი ქართველის გულში მეფის უზენაესი უფლებისადმი ერთგულებისა და პატივისცემის გრძნობა. მართლაც, ამ ამბებში უმთავრესი გმირი განსაკუთრებულის პატივისცემით უცქერის და რიდითა და კრძალვით ეპყრობა მეფეს. მოვატანოთ მაგალითები «ვეფხისტყაოსანიდან», «ვისრამიანიდან» და «ამირანდარეჯანიანიდან».

¹ პროფ. მარის გამოკვლევით, «შაჰ-ნამეს», ანუ მეფეთა წიგნს, მშენიარად იცნობდნენ ქართველები ჯერ კიდევ XI და XII საუკუნეებში (იხ. მისი წერილი: «ორიოდ სიტყვა შაჰ-ნამეს ქართულ თარგმნის შესახებ» — გაზ. «ივერია» № № 132, 133, 135, 1891 წ.). «როსტომიანის» და «ბეჟანიანის» რედაქციების შესახებ ვრცელი ბიბლიოგრაფიული ცნობები მოყვანილი აქვს ბ. ექვთ. თაყაიშვილს. იხ. «Описание рукописей Общ. распр. грам. среди груз. населения», ტ. I, ნაწ. II, გვ. 375. დღეს ამ შენიშვნას უნდა დავსძინო, რომ საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ უკვე გამოცა «შაჰ-ნამეს» ქართული ვერსიების ტექსტი ჩვენს რედაქციით (იხ. «შაჰ-ნამეს», ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები», ტფ., 1916).

როდესაც როსტევეან მეფემ მოისურვა წყლის პირს მჯდარის მტირალი მოყ-
მის ამბის გაგება, ჯერ მონები გაგზავნა მის მოსაყვანად, მაგრამ ვეფხისტყაოსანმა
ეურადლების ღირსიც კი არ გახადა ისინი: შეჯდა ცხენზე და გაუდგა თავის გზას;
მონებმა დააპირეს მისი შეპყრობა, მაგრამ მან ისინი ისე მოაქცია, რომ მტერსაც
კი შეებრალებოდა: ვისაც კი გადაჰკრა მათრახი, ყველა მკერდამდი გააპო: «რა-
ზომნიცა მიეწივნეს, უოვლნი მკვდართა დაასახნა; კაცი კაცსა შემოსტუორცნა»...
როსტევეანი ძლიერ შეწუხდა და ავთანდილთან ერთად გამოენთო იგი ცხენით ტა-
რიელს მისაწევად. როგორ იქცევა ამის შემხედვარე ტარიელი?

«რა ცნა მეფე მოვიდაო, ჰკრა მათრახი მისსა ცხენსა;

მასვე წამსა დაიკარგა»... (63,1—2).

აი, როგორ უხსნის ტარიელი შემდეგში ამ თავის საქციელს ავთანდილს, თა-
ვის თავგადასახელის მბობის დროს, ქვაბში:

«მოვიხედე, მომეწია რა პატრონი შენი, ვნახე,
ქელმწიფობით შემებრალნეს, ამაღ ჭელი არ შეევახე.
თვალთა წინა გამოვექეცე, მეტი არა შეუზრახე».

(294)

სინთა მეფის შვილის სიმონის მხრით ბრძოლად გაწვევაზე ამირან დარეჯა-
ნის ძე ამგვარ პასუხს იძლევა:

«მე უოველთა მეფეთა მონა ვარ და არავის ვაკადრებ ომსა».

ამ მოპირდაპირე მეფის ცბიერი ქცევის მიუხედავად, ამირან დარეჯანის ძე
შაინც კიდევ არ იმეტებს მას სასიკვდილოდ: ცხენს რომ მოუკლავს და დაამარ-
ცხებს, ეს უძლეველი გმირი რაინდი უეცრად ლბება და დიდი პატივით ეპყრობა
დამარცხებულ მეფეს:

«ვითა ცოტა უმა ესრეთ მკლავთა ზედან აიყუნა და პრქუა:

«შემინდევე, სვიმონ მეფეო! რათ გინდოდა ომი ჩემი!»

ამგვარივე რიდით ექცევა ეს გმირი ხეასრო ხაზართა მეფესაც, რომელსაც
იგი ბრძოლად გაწვევაზე უპასუხებს:

«ვითა უწყის ღმერთმან, მე ნებითა ჩემითა არ ვებრძვი ქელმწიფეთა, ამაღ
რომე არამცა ფათერაკი და მოკუდეს რომელიმე ქელითა ჩემითაო, არა ჯერარს
ახნაურთაგან მეფეთა სიკუდილი!» («ამირანდარეჯ.» გვ. 89—90).

ამ მეფესაც სულგრძელად და ღმობიერად ეპყრობა და აპატიებს ბრძოლის
დროს ჩადენილ ვერაგობას ამ სიტყვებით:

«ზენაარმან ღმრთისამან და თავმან პატრონისა ჩემისა ამირ მუმლისამან,
თუცა ქელმწიფე არ იყო, მკუდარ ხარ აწვე ქელითა ჩემითა» («ამირანდარეჯ.»
გვ. 92, 10).

აგრევე ეპყრობა მეფეებს მეორე გამოჩენილი რაინდი «ამირანდარეჯანიანი-
სა» ამბრი არაბი, რომელმაც დაატყვევა ჯერეთ გაუცნობელი ხანთა მეფე, სო-
ლო რომ გაიგო, ხანთა მეფეაო, გარდაჰდა იგი ცხენიდან, თაყვანისცა შეპყრობილ
მეფეს და მოახსენა:

«შემინდევე, მეფეო! მე მონა ვარ, და შენ — დიდი ქელმწიფე, არა ეგების
ჩემგან სიკვდილი შენი და არცა საპატიმროდ წარყუანებაო».¹ ამ სიტყვებით გა-
ათავისუფლა მან მოპირდაპირე ხელმწიფე.

¹ თუ რა დიდი რიდი ჰქონდათ მეფის პიროვნებისადმი, ეს სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ
მეფეზე მრავლობითი რიცხვით ლაპარაკობდნენ იმ შემთხვევაშიც კი, როცა საუბარი ეხებოდა ერთ

ამას გარდა, ეს ამბები ყოველთვის იდეალურად ხატავს მეფეს:

«იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებანი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი».

(32)

გახელმწიფებული რამინი ამგვარ აღთქმას დებს ღვთის წინაშე: «ვირე: ცოცხალ ვიყო, შენსა ბრძანებასა არა გარდავიდე, მოსამართლე, მდაბალი, ღმერთის ნოშიში, მართლის მეტყველი, სიმართლის მძებნელი, გლახაკთა დაუჭირველი და მოწყალე, შენთა დაბადებულთა და მონათა მეშველი ვიყო» («ვისრამიანი» 448, 11).

ოლონდაც, რომ მეფის იდეალთა განხორციელებანი არიან: არაბთა მეფე როსტევანი, ფრიდონ მაღალი, სვესრული, მეფეთ მეფე, რომელსაც პოეტი ამკობს ეპითეტებით «მზუშუქმოიფე, მტერთა სისხლისა მჩქეფე, მოვლენინი, მორჭმული» და სხვა.

ეს ამბები ასწავლიდენ აგრეთვე მეფისათვის თავდადებას: ცბიერი რამაზ მეფის საომრად გამზადებული ტარიელი, სხვათა შორის ეუბნება თავის ჯარს:

«ვინა მოკედეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან»...

(ჩუბ. 436, 3; წ.-კ. გამ. — 425-22-ე გამ. 381, 3).

რა თქმა უნდა, ამგვარი ხასიათის ამბები დიდ პატივს მოიპოვებდენ მეფეთა თვალში და მათი გამლექსავნი გასდებოდენ მეფეთა მფარველობის საგნად.

ამნაირად, ერთი მხრით, ყაზნის სულთნის მაჰმუდის კარზე სპარსული საკა-რო მწერლობის განვითარებას (ეს მწერლობა წარმოადგენდა ხოტბებს, ქებათა-ქებას, მიმართულს მეფის უზუნაისის პიროვნებისადმი), მეორე მხრით, საღვებში-რო მოთხრობებს, როგორც არიან ირანისა და საზოგადოდ აღმოსავლეთის ქვეუ-ნებისა და ხელმწიფების შესახები თქმულებები, უნდა შეეწყოს ხელი იმდროინდელის ქართული მწერლობის სპარსული ლიტერატურის გეგმაზე გამოწყობისათვის, ამას კი, თავისი მხრით, ხელს უწყობდა საქართველოს პოლიტიკურად გაძლიერება და კულტურულის ცხოვრების აყვავება თამარის მეფობის დროს.

მაშასადამე, რუსთველი, როგორც თავისი წრისა და ეპოქის ნამდვილი შვი-ლი, უნდა დაინტერესებულიყო უცხოთა ხელმწიფეთა ამბებით. თვითონ პოეტიც ხომ გულახდილად აღიარებს პოემის დასასრულში:

«ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ჯელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,
ეპოვენ და ლექსად გარდავსთქვენ, ამითა ვილაყფეთანი!».

(1667)

მეფეს და არა ბევრს. ამიტომ ბ. კარიჭაშვილი ცდება, როდესაც იგი რუსთველის შემდეგ ადგილს: «უკუ სდგეს და თაყვანისცეს მეფეთა და მისთა სპათა» კითხულობს ისე, როგორც მას იგი აქვს შესწორებული, 46, 1; შეუდარეთ ამას: «მათ სპათაგან ვერ შეპყრობა სცნეს მეფეთა მეტად მწერალ-თა» (995) და სხვა, რომ დაინახოთ ბ. კარიჭაშვილის შესწორების უსაფუძვლოება (გვ. 265, შენიშვ. 16); იხ. აგრეთვე 22-ე გამოც., 1408, 4[1483]: «ასრე ჯამს რიდი მეფეთა, ყმათაგან მოკრძალულობა!».

¹ «ვილაყფეთანი» — ლექსისთვის არის ნათქვამი, საპირობა მხოლოდ ორი უკანასკნელი მარც-ვალი ერთი მეორის ადგილზე დავსვთ, რომ მივიღოთ ფორმა: «ვილაყფენითა». ასე ვმსჯელობდით

...რა გასაკვირველია, ყოფილიყო გავრცელებული «ვეფხისტყაოსნისებური» ზღაპრული ამბები იმდროინდელს საქართველოში, სადაც, როგორც ყოველგან, აღმოსავლეთის ხალხებიდან შემოდიოდა და ვრცელდებოდა უძველესი ზღაპრები და მოთხრობები ინდოეთისა და არაბეთის შესახებ, თან ზეპირგადმოცემით, თან ლიტერატურის საშუალებით? იმდროინდელი სპარსული ლიტერატურა იყო მთელი აღმოსავლეთის ფანტაზიის და ოცნების ნამდვილი სალარო: უამრავი მოთხრობები, ზღაპრული ანუ რომანული შინაარსისა, ტარიელისა და ავთანდილისებური საგმირო საქმეები, რომლებიც მოწონებული იყო მთელს აღმოსავლეთში და ნამეტურ დიდ ირანში, და რომლებიც დიდის სისწრაფით ვრცელდებოდა მთელს მსოფლიო ლიტერატურაში, რა თქმა უნდა, გავრცელდებოდა და ჩაიმყნებოდა ისეთ გმირულსა, საოცნებო და საზღაპრო ქვეყანაში, როგორც უნდა ყოფილიყო თამარის დროის საქართველო, რომლის კულტურული ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული აღმოსავლეთთან. ამას გარდა, მაშინდელ ისტორიულ და სასახლის სკენების დროს, რომელიც ხასიათდებოდა იმგვარი რაინდული საქმეებით, როგორებსაც იღენდა ყველა წარჩინებული და რუსთველივით თამართან დაახლოვებული და მოტრფიალე პირი, რა გასაკვირველია, მოწონებული ყოფილიყო ისეთი ზღაპრული გმირობაც, როგორსაც წარმოადგენდა მთელი «ვეფხისტყაოსნის» ცხოვრება.

ამიტომ ეს უცხოელი ხელმწიფეების შესახები ამბები, ანუ პოეტის თქმისა არ იყოს, «ეს პირველ-ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი» შეიქმნებოდა საუკეთესო კანვა, რომელშიაც უნდა გამოქარგულიყო უღრმესად გრძნობიერისა და ხელქმნილი პოეტის სულისა და გულის მოძრაობის სურათები.

მაშასადამე, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამბავი, იქამდის «ამბად ნათქვამი», იმდროინდელს უნდა გამხდარიყო «წყობილი მარგალიტი». ეს ის დრო იყო, როდესაც პოეტის «თვალთა მისგან (თამარისაგან) უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა», როდესაც მგონის გამიჯნურებულ გულს მოელოდა იგივე, რაც ყოველს გულის ბრმად მიმყოლის აღმოსავლური მიჯნურის გულს, და ტარიელიც სომ ამგვარი მიჯნურის ნამდვილი ტიპი იყო? ცხადია, პოეტის ფანტაზიას ყველაზედ უფრო ვრცელ ადგილს უთმობდა «ვეფხისტყაოსანის» მოთხრობა.

მაგრამ, იმის გამოსაკვლევადა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ამბავი, რომელიც დაედგა საფუძვლად მის დიდებულ ნაწარმოებს, საჭიროა გავიცნოთ იგი შინაარსისა და გარეგანი ფორმის მხრით.

III

შინაარსის მხრით, ეს ნაწარმოები არაფერს განსხვავებულს არ წარმოადგენს სხვა იმდროინდელ სალიტერატურო ნიმუშებთან შედარებით; როგორც მათი, ისე «ვეფხისტყაოსნის» შინაარსი არ ეხება ქართველებს: ავთანდილი არაბია, არაბეთის მეფის როსტევეანის კარზე გაზრდილი; საშიშარ გზას სანამ გაუდგებოდეს (ტარიელის საძებრად), მიზგითას შედის და იქ ლოცულობს; ლოცვა მისი ნამდვილი მაკმადიანის ლოცვაა; ეპითეტები, რომლებითაც ის მიმართავს ღმერთს, ჩვეულებ-

ჩვენ ჩვენი საქმის დასაწყისში, ხოლო დღეს პოეტის ენის ზედმიწევნით შესწავლამ საეჭვო ყო ჩვენთვის ეს ხანა. მაგრამ ვისაც არ უნდა ეკუთნოდეს იგი, მისი მნიშვნელობა ამ ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის აშკარაა, რადგან იგი აესებს და ადასტურებს იმ აზრს, რომელიც გამოთქმულია წინასიტყვაობისავე ხანაში: «ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი, ხელისხელ საგომანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი» (ჩუბ., 16-22-ე გამ. XI.[9]).

რივი საღვთისმეტყველო ეპითეტებია მუსულმანების სჯულში: «მაღალო ღმერთო», «წმელთა და ცათაო, უფალო უფლებათაო» (შეადარეთ სპარსული: «ხუდოვენდო, ხუდოვენდი ჯაპანი, ხუდოვენდი ზემინუ ოსუმანი»¹ = «უფალო უფლებათაო, უფალო წმელთა და ცათაო (ცისა და ქვეყნისაო), მფლობელო გულის თქმათაო» და სხვა ხშირად იხმარება მაჰმადიანის ლოცვაში და, საზოგადოდ, ღვთის მიმართ წარმოთქმულ სიტყვაში.

ავთანდილის ანდერძი ნამდვილი არაბის ანდერძია, ნამეტურ ყურადღების ღირსია ამ მხრით ხანა:

«მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათაეისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები:
მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები».

(740—[803])

მაჰმადის სწავლის უმთავრესი პრინციპებია გლახაკებზე ქონების გაცემით სულის გაწმენდა და მონების დათავისუფლება; უამისოდ შეუძლებელია, მაჰმადიანის წარმოდგენით, სამოთხეში შესვლა. მაჰმადის სჯულის ამგვარმა პრინციპებმა ისე ძლიერი გავლენა იქონია, რომ მისი მოძღვრება განსაცვიფრებელი სისწრაფით მოედვა მთელ აღმოსავლეთს, სადაც მონები მეტად შევიწროებული იყვნენ. ამიტომაც ავთანდილი, როგორც არაბი, იბარებს: «ფინიცობაა, მოვეკვი და ცოცხალი ველარ დავბრუნდი, ჩემი სულისთვის ეს სამადლო საქმე ქმენით: ჩემი საჭურჭლე გლახაკებს მიეცით და ჩემი მონები დაათავისუფლეთო². ეს გლახაკების დამდიდრება გვხვდება აგრეთვე «ვისრამიანში», რომელიც ცეცხლის მსახურების დროის გამომსახველი ფალაური მოთხრობაა: «წავალ, ყოვლისა ცოდვისაგან გავიბანები, ღმერთსა შევხვეწები, გლახათა ზედა საქონელსა გავსცემ, ნუთუ ღმერთმან შემიწყალოს...³». და ეს კი არღვევს იმათ მოსაზრებას, ვინც ფიქრობს, ვითომც გლახაკებზე ქონების გაცემა, როგორც ცოდვისაგან განმათავისუფლებელი საშუალება, მიღებულია მხოლოდ ქრისტეს მოძღვრებაში.

ტარიელიც აგრეთვე უცხო ქვეყნის, ინდოეთის მეფის შვილია, ნესტანდარეჯანიც ინდოეთის მეფის ქალია, ფრიდონ, ფატმან, უსენ და სხვები — სუყველა აღმოსავლეთის ხალხებს ეკუთვნიან. მნათობების სახელები: ოტარიდი, მუშთარი, ასპიროზ, მარიხი, ზუალი, ყველა ის შვიდი ვარსკვლავი, რომლებიც მოწმად ჰყვებიან ავთანდილს, მისი სულიერი ტანჯვების დროს, ჩვეულებრივია სპარსულ ნაწერებში; მოთხრობის სული და ძირითადი თვისებები, თვით ამბავი, მოქმედების ასპარეზები — არაბეთი, ინდოეთი, ჩინეთი, მულღაზარზარი, ზღვათა სამეფო, გულანშარო, ხვარაზმა და სხვა — სუყველა უძველესი აღმოსავლეთის ქვეყნებია. ყველაფერი მაშასადამე, მათ შესახებ უძველეს ამბებს წარმოადგენს...

¹ იხ. Сказки Попугая прив. доц. Жуковского, СПб, 1835 г. Персидск. текст (გვ. 46) და «ვის ო რამინის» წინასიტყვაობა, სპარს. ტექსტი, გვ. 1—8.

² იხ. «ყურანი», თავი II, 40, 76, 79, 104, 147, 172, 255, 277; თავი III, 15, 180; თავი IV, 79, 160; V, 15, 60; VIII, 5; IX, 18, 72, 104, 105; XLV, 32; XLX, 32, 36; XXI, 73; XXII, 42, 78; XXIII, 4, 62; XXIV, 37, 55 და სხვ.

³ იხ. «ვისრამიანი», სპარს. ტექ., გვ. 253, სტრ. 15—16. ქართ. ტ., გვ. 12—14. სიტყვა-სიტყვით სპარსული ასეა: «უნდა გავიბანო ყოველი ცოდვისაგან, ჩემთვის ღვთისაგან საშუალება ვითხოვო, დარეიშებს მივსცე, რაც მამადა...»

როგორც ზემორე მოვიხსენიეთ, სპარსული ლიტერატურის ბრწყინვალე განვითარება დაიწყო ყაზნის სულთნის მაჰმუდის კარზე «შაჰ-ნამეს» დამწერის ფირდოუსის მოვლინებით. ამ გენიოსმა პოეტმა თავისი პოეტური მიზნის განსახორციელებლად აიღო უძველესი სპარსეთის მეფეთა შესახები თქმულებები, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ირანის ეპიკური ამბები და ფირდოუსის უკვდავი პოეზია ერთი არის?!

პოეტმა ერთი ძაფით, ერთი იდეით, შეაერთა მთელი სპარსეთის ეპოსი, მთელ ნაწარმოებში ერთი იდეა—ბოროტის კეთილთან, სინათლის სიბნელესთან ბრძოლა გამოიყვანა და, თავისი გენიოსობისა და ჯადოსნური ლექსების ძალით, შექმნა მსოფლიო ლიტერატურის უძვირფასესი საუნჯე.

აგრევე მოიქცა «ვის-ო-რამინის» გამლექსავი, ჯორჯანელი პოეტი ფახრუდდინი, რომელმაც თავისი ნაწარმოების შინაარსად გამოიყენა უძველესი დროის შესახები ფალაური მოთხრობა, რომელიც მან მზამზარეული აიღო და, ცოტა რამ ცვლილების შეტანით, გალექსა.

აგრევე მოიქცა პოეტთა მეფე უნსურიც, რომელმაც შექმნა პირველი რომანტიკული შინაარსის ნაწარმოები «ვამიყ და აზრა», რომელსაც ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა¹; უნსურმაც თავისი ნაწარმოების სიუჟეტად აირჩია ერთი ძველად გალექსილი ამბავი².

შემდეგი დროის და რუსთველის თანამედროვე სპარსელი მწერლებიც აგრევე იქცევიან: ისინიც, წინაპრებივით, სარგებლობენ უკვე შეკრებილი მასალით, რომელიც ორგვარი იყო: ან ეპიკური, სადევგმირო, ან რომანტიკული. ესა თუ ის პოეტი თავისი ნაწარმოების სიუჟეტად იღებდა ისეთ მოთხრობას, რომელიც უფრო შეეფერებოდა მის სურვილსა და მიზანს.

რუსთველის თანამედროვემ, გამოჩენილმა რომანტიკოსმა ნიზამიმ თავისი ნაწარმოების «ისქანდერნამეს» შინაარსად გამოიყენა ალექსანდრე მაკედონელის შესახები თქმულებები, რომლებიც მის დრომდე ვრცელდებოდა აღმოსავლეთში. ამავე ნიზამიმ თავისი დიდებული რომანის «ხოსრაუ-შირინის» [خسرو و شیرین] შინაარსად აიღო ძველი ლეგენდა, რომელიც შეეხება სასანიდთა დინასტიის მთავრის «შაჰ-ხოსრაუს» სომეხთა თავადის ასულის შირინისთვის გამიჯნურებას (სხენებული ლეგენდა მხოლოდ ჩონჩხია ნიზამის ხოსრაუ-შირინთან შედარებით, რომელიც უშესანიშნავესი ქმნილებაა რომანტიკული პოეზიის ფარგალში, მოქმედ პირთა ფსიქოლოგიური დასურათხატებით და ორი შეყვარებულის მწუხარება-სიხარულის მხატვრული აღწერით).

მანვე თავისი პოემის «ლეილა და მეჯნუნის» სიუჟეტად აიღო არაბული ლეგენდა ბედუინების ცხოვრებიდან, რომელიც წარმოადგენდა ლეილა და კაისის მიჯნურობის ამბავს (კაისი პოეტმა მონათლა «მეჯნუნის» ანუ «შმაგის» სახელით). აგრეთვე თავისი უკანასკნელი ნაწარმოების «ჰაფთ-ფაიქარისთვის» ნიზამიმ ისარ-

¹ უნსურის ნაწარმოები გამოიყენა სიუჟეტად ექვსმა სახელოვანმა პოეტმა, რომელთა სახელებია: 1) ფაზიხი ჯურჯანი, 2) ქამალ უდდინ ჰუსაინ დამირი, 3) შუაიბ ჯუშუანელი, 4) მულანა მუჰამედ ალი ასტარაბადელი, 5) მირზა მუჰამედ სადიყ ნამი აღმურავი და 6) ხაჯი მუჰამად ჰუსაინ შირაზი.

² H. Eth. Neupersische Litteratur, გვ. 240.

გებლა ძველი სპარსული ლექსებით სასანიდთა დინასტიის მეფის ბაჰრამ გურის¹ შესახებ.

ამნაირად ჩვენ დავინახეთ, რომ სპარსელი პოეტები თავიანთი ნაწერების სიუქეტად იღებდნენ ან ირანულ სადევგმირო ამბებსა, სასანიდის დროის მეფეთა შესახებ მოთხრობებს ან აღმოსავლეთში გავრცელებულს ეპიკურ ამბებს ანდა კიდევ არაბულ თქმულებებს.

ესლა ვიკითხოთ, რას წარმოადგენს რუსთველის «ვეფხისტყაოსანის» ფაბულა? იგი, ჩვენი აზრით, არის ერთი სპარსეთში შემუშავებული არაბულ თქმულე-ბათაგანი აღმოსავლეთის ხელმწიფეთა შესახებ.

ამისი საბუთია, უპირველესად ყოვლისა, თვით შინაარსი, რომელშიაც ყველაზე საპატო ადგილი უჭირავს არაბთა მეფეს როსტეფანსა და მისი ასულის თინათინისა და გაზრდილი ავთანდილის მიჯნურობის რომანს.

შინაარსი, როგორც ჩვენ უკვე მოვისხენიეთ, არ ეხება ქართველებს, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: აქ ნათლად იხედება წმინდა მუსულმანურ-არაბული ტენდენცია. ავთანდილი ხომ არაბია და არაბი, თვით ტარიელიც კი თავისი გულის სატრფოს ერთგულების დასამტკიცებლად შეჰფიცებს მუსაფს (არაბ. მუსჰაჰ—ყორანი; იხ. «ვეფხისტყაოსანი», 22-ე გამ., ხ. 470—471 [530—531]). ამას გარდა, ყველა, ვინც კი არის პოემაში მოქმედი პირი, გარდა ბნელ ძალთა და მანე სულთა, და საზოგადოდ, პოეტის საყვარელ გმირების მოპირდაპირეთა, სარწმუნოებით მუსულმანი არაბია. მუყურნი და მულიმნი, რომელნიც გარს უვლიან გულწასულ მიჯნურს ტარიელს, მუსაფის ძალით ცდილობენ მის სიკვდილისაგან დახსნას (იხ. ხ. 295 [351]), ერთ ფრად საგულისხმიერო შემთხვევაში ერთად გვხდება «მუსაფი» და «მაქა» (მაჰმადიანთა წმიდა ქალაქი).

როგორც ვიცით, ფატმანმა ჩამოართვა ფიცი უსენს, რომ მას არ გაეცა მისი საიდუმლო მეფის სასახლეში, მზეთუნახავ ნესტანის მისას ყოფნის შესახებ, მაგრამ უსენმა გატეხა ფიცი («სიმტკიცე სჯულისა»): ღვინით დამთვრალმა და მეფის მასპინძლობით მოხიბლულმა უამბო მეფეს «პოენა ქალისა, მჭერეტთაგან მზედ სახულისა».

აი რა სიტყვებით ასწერს პოეტი უსენის მხრით ფიცის გატეხას:

«რა მეფემან უსენს წინა სვა მრავალი დოსტაქანი,
კვლავ შესვეს და კვლავ აივსეს სხვა ფარჩნი და სხვა ჭიქანი,
დაავიწყდა იგი ფიცი, — რა მუსაფნი, რა მაქანი!».

(1906 [1166])

ამნაირად, პოეტი აღნიშნავს მაჰმადიანის მხრით შეუნდობელ ცოდვას, ე. ი. მიგვიტოტებს უსენზე, რომელიც, როგორც მაჰმადიანი, ფიცის გატეხით, არღვევს ყორანსა და მაქას², უარპყოფს რჯულსა და მცნებას.

¹ ეს ბაჰრამ-გური ცნობილია ისტორიაში თავისი სამიჯნურო თავგადასავალით. ნიჰამის «ჰაფთ-ფაიქარში» გამოყვანილია ეს ბაჰრამ-გური, რომელმაც დაინახა 7 მზეთუნახავის (ბერძნის, ირანელის, რუსის, ინდოელის, ჩინელის, სვარაზმელის და მალრიბელის) სურათები, შეიყვარა ყველა ერთბაშად და მიაღწია მათთან შეერთებას (وصال).

² აქ საჭიროდ ვრაცხ აღვნიშნო, რომ სიტყვა «მაქას» ნაცულად ბ. კარიჭაშვილს შეცდომით აქვს ნაჩვენები «ვეფხისტყაოსნის» სიტყვების განმარტებაში ამ სიტყვის შრავლობითი რიცხვი «მაქანი», რომელიც პოეტს ლექსისთვის აქვს ნახმარი («ვეფხისტყაოსანი», 1903 წ., გვ. 320).

პომის გარეგან მხარეს რომ ჩაუყუევინდეთ, კიდევ უფრო დავრწმუნდებით, რომ პოეტს ხელთ ჰქონია მის დრომდი არსებული სადევგმირო ამბავი.

აქ, რასაკვირველია, არ არის სახეში მისაღები უცხო სიტყვათა სიმრავლე, რაც შეიძლება ახსნილ იქნას საუკუნეთა განმავლობაში არსებული მეზობელი სახელმწიფოების კულტურული გავლენითაც. ამას მსურველი დაინახავს ამ შრომაზე დართულ ლექსიკონიდანაც, სადაც მოთავსებულია მრავალი სპარსული, არაბული და სხვა უცხო ენიდან ნასესხები სიტყვა, რომელთაც გაუმდიდრებიათ ქართული სალიტერატურო ენა XII საუკუნეზე ბევრად ადრე¹.

აქ ჩვენს უურადლებას იპყრობს ის გარემოება, რომ უცხო სიტყვათა უმეტესობა ან წმინდა სპარსული, ანდა გასპარსულებული არაბულია.

სპარსული თქმულების მამხილებელია, ჩვენი აზრით, ქართული ფონეტიკის მოთხოვნილებებისამებრ, შეცვლილი სპარსული სიტყვა «ჩაჩნაგირი»-სპარს. — [წაიკითხ. — «ჩაშნაგირი»], რაც ნიშნავს მეჭაშნიკეს, გამშინჯველს, დამფასებელს. ეს სიტყვა იმდენად შეუფერებელია ქართული ტექსტისთვის, რომ დღემდის სრულიად უსაფუძვლოდ ითვლებოდა საკუთარ სახელად², რადგან მისი მნიშვნელობა ტექსტში არ ესმოდათ (იხ. ხანა: «ისი კაცი ჩაჩნაგირი დარბაზს იყო მეტად ხასი» (1134 [1204])).

სპარსული თქმულების მამხილებელია აგრეთვე ისეთი იშვიათი სიტყვა, როგორცაა «და დ არ ი» (არაბ. غدار) = დაუნდობელი, ცბიერი, მოღალატე. ეს სიტყვა რომ უჩვეულოა ქართული ენისათვის, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ იგი «ვისრამიანის» მთარგმნელს გადმოუცია ქართული სიტყვით (იხ. სპარს. ტექსტი, გვ. 60, სტრ. 11 = ქართული ტექსტი, გვ. 56, სტრ. 16).

«ღ ა ზ ო » (103,1 [141]) = «ღ ა ზ ი » («ღ ა ზ ო » ღ ა ზ ი ს მაგივრად შეგვიძლია ავხსნათ რითმის საჭიროებით). სიტყვა ღაზი წარმოადგენს არაბულ-სპარსულ غص, რომელიც ნიშნავს მიბნედას, მიჯნურობისაგან დაუძლურებას, თვალბში შემოღამებას (იხ. Н. Март. ТР, IV, გვ. 93, შნშ. 1). ეს სიტყვა «ვეფხისტყაოსანში» უფრო ადვილი საცნობია, ვიდრე ჩახრუხამის ხოტბაში, სადაც ძნელია მისი ხსენებულ არაბულ-სპარსულ غص-ად მიღება.

«ხ ა დ უ მ ი » (421,2; 1119,1; 1122,1 [480, 1189, 1192]) = არაბ-სპარს. خاد مسახური, საჭურისი, მოახლე; მდედ. სქ.

«ს ა რ ა ნ გ ი » (1109,2; 1393,2 [1179, 1468]) = სპარს. سرهنگ = ატლეთი; გმირი, წესრიგის დამცველი.

მნათობთა სახელები:

ო ტ ა რ ი დ ი (არაბ. عطارد), მარსი (არაბ. مریخ). ზუალი (არაბ. زحل = mlg. زوحل), მუშთარი (არაბ. مشرى) = «ვისრამიანი», სპარს. ტექსტი, გვ. 161, სტრ. 9 = ქართ. ტექსტი, გვ. 173, სტრ. 26 = ibid., სპარს. ტ. გვ. 66, სტრ. 12, ქართ. ტექსტში არ არის.

მ ა ნ გ ი (სპარს. مانگ) = მთვარე.

1 ამასვე ადასტურებს ნ. მარტი თავის ახალ ნაშრომში «Грузинская поэма «Витязь в барс. шкуре» и новая культ.-историч. проблема». — ИАН, 1917. გვ. 477 და შემდეგი.

2 როგორც ირევევ, ეს მაჰმადიანური ამბავი, მისი ლექსიკური შედგენილობით, არსებობდა ქართულ ენაზე XII ს. ბევრად ადრე.

ს ა რ ა თ ა ნ ი (1255,3 [1328])—არაბ. სარატან سرطان — მაისის ზოდიაქო; კირჩხიბი, კიბო.

ს ო ქ ა ლ ი. სპ. سوکال — სოქალ-სოქალი, იხ. ლექ.

არაბ.-სპარს. حریف — ჭარიჭ — არიფი = ვისრა. — სპარ. ტექ. გვ. 115, სტრ. 16 = ქართ. ტ. გვ. 124, სტრ. 7.

სპ.-არაბ. مفرح — მუფარჩას — მუფარახი (იხ. ქვემოთ ლექსიკონი).

სათვალავეში მისაღები არ არის ისეთი სიტყვები, როგორცაა კულაოზი = ყულაოზი, რადგან ამგვარი ტექნიკური სიტყვები გავრცელებული იქნებოდა ჩვენში ძველადვე, რასაც მოწმობს, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ სადაც ვისრა-მიანისა ქართ. ტექსტში ყულაოზია, არსად სპარსულში არ არის سولوز — კულაოზ, არამედ ყველგან: رهبر — «რაჰბერ», რაც სინონიმია სიტყვის ყულაოზი (იხ. «ვისრ.» სპარს. ტექსტში გვ. 256, სტრ. 18 = ქარ. გვ. 275, სტრ. 20 და სხვა-განაც).

ამგვარსავე სიტყვებს ეკუთვნის სპარს. ارمان — დარმან, لگام — ლაგამ, حرام — ჰარამ და სხვ. (იხ. ჩვენი ლექსიკონი).

არანაკლები ყურადღების ღირსია საკრავების სახელები, რომლებსაც შემოუნახავთ სპარსული ფორმები:

სპარს. کوس = (ქოს) — ქოსი; دابه (დამდაბაჰ) — დაბდაბი.

სპარს. چنگ (= ჩანგ) — ჩანგი. پ (დაფ) = არაბ. ف (დაფ) — ნა, resp. ნაჲ.

სპარს. بوق (= ბუკ) = ბუკი. სპარს. طبل (ტაბლაჰ) = ტაბლაჰი; და ნიშავი სპ. نيش და სხვ.

იგივე ითქმის ძვირფასი ქვების შესახებაც.

ბევრად მეტი ყურადღების ღირსია საკუთარი სახელები, როგორც პირთა, ისე გეოგრაფიული. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, არ შეგვიძლია გამოვიყენოთ მაგალითისათვის ისეთი სახელები, როგორცაა: ტარიელ, თინათინ და სხვა, რომლებსაც უკვე დაუპარგავთ თავისი პირვანდელი სახე. საკითხი მათ შესახებ ჯერ ისევ საცილობელია.

ყურადღებას იქცევს ისეთი საკუთარი სახელები:

ნესტან-დარეჯანი = სპარს. ناست اندر جهان = ნესტ ანდარ ჯაჰან (Н. Марр. Персидск. тенденция в груз. романе Амира-дарежан., 1895, გვ. 365. — ЖМНП).

ნურადინ ფრიდონ¹ = نورالدین فریدون «ნერ ადინ ჭერიდუნ».

დულარდუხტ — دلداردخت (დილდარდუხტ), რომლის მეორე ნაწილი دخت — «დუხტ» არის ბოლო მოკვეცილი دختر — «დოხტერ» — ასული და სში-რად დაერთვის სპარსულში ქალის სახელს.

ასმათი — عصمت (= ასმათ) პატიოსნება, არაბულია.

მელიქ სურხავი, ხანა 1043 [1142] (სპ. არაბ. ملك سرخی).

ფატმან ხათუნ (فاطمه خاتون).

¹ ნურადინ ფრიდონ, იხ. ხანა 539,2 [600].

უსენ—უსენინ = (حسين)¹.

რამაზ (رمز).

ჩინი (چين).

გულან შარი — گولان شہری — გულან შაჰრო, რომლის მეორე ნაწილი წარმოადგენს სპარსულ شهر (შაჰრ)-ს, რაც ნიშნავს ქალაქს.

უსამ სამ ჰუსამ — მახელი, არის სახელიც (ტიტულიც).

ფარსადან (فرسانان ანდა فرسان).

ავთანდილ (სპ. خندان — წაიკ. ხაქტანდილ) თითქოს შედგებოდეს სიტყვებისაგან خندان ხაქტან — ჯავშანი ვეფხისტყაფისაგან, რომელსაც ატარებს რუსტემი «შაჰ-ნამეში», და დან (=დილ) — გული; ასე რომ خندان (ხაქტან-დილ) მეტაფორულად აღნიშნავს გმირს, რაინდს, რაც სრულიად შესაფერია ავთანდილის პიროვნებისათვის.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე საკუთარი სახელი «მულაზანზარი». ეს სიტყვა წმინდა სპარსულია და წარმოადგენს, ჩვენი აზრით, გადამახინჯებულ مرغزار — «მურღ-ზარზარს», რომელიც ნიშნავს ბალებით მდიდარ ადგილს, ბაღნარს, საბაღნაროს. მართლაც, თუ ყურადღებას მივაქცევთ, ეს სიტყვა იმ ფორმით, რა ფორმითაც მას მოუღწევია ჩვენამდე, ყველგან ზიანს აყენებს ლექსს, ზოგჯერ აზრსაც, რაც ამტკიცებს იმას, რომ ყველგან, სადაც «მულაზანზარია», უნდა ყოფილიყო «მულაზარი», ან მულაზარზარი (იხ. ხანა 973, 3[1040]).

ავთანდილი ჰკითხავს შემხვედრ კაცს ფრიდონის ლაშქრის ამბავს: «ვისია ჯმა ზათქისა და ზარისა?»

«მან უთხრა: «ფრიდონ ქელმწიფე, მეფე მულაზანზარისა»; აქ, თითქოს, შემასმენელი არ არისო, რაც ჩვენი აზრით, აიხსნება მით, რომ «მულაზანზარისას» მაგივრად უნდა ყოფილიყო მულაზარისა და სიტყვა «მეფეს» უნდა მიემატოს «=არს» — შემასმენელად. მაშასადამე, ეს ტაეპი, ჩვენი აზრით, უნდა წავიკითხოთ ასე:

«მან უთხრა: ფრიდონ ქელმწიფე, მეფე მულაზარისა», რაც აჯობებს, როგორც რითმის, ისე აზრისთვისაც².

ამგვარადვე უნდა შესწორდეს, ჩვენი აზრით, 583 [644] ხანის პირველი ტაეპი, სადაც ფრანხის «მულაზანზარის ქალაქი ახლოს მე მაქვსო», მაგივრად, უნდა წავიკითხოთ: «მულაზარისა ქალაქი», ანდა უკეთ «მულაზარზარის ქალაქი...»

აგრევე უნდა გასწორდეს 956 [1023] ხანის პირველი ტაეპი, სადაც «მულაზანზარს მიეახლას» მაგივრად უნდა წავიკითხოთ: «მულაზარსა მიეახლა».

1 მე-17 საუკ. ძველ ხელნაწერებში გვხვდება «უსეინ» «უსენის» ნაცვლად.

2 ეს ადგილი სტამბაში უკვე აწყობილი იყო, როცა ჩვენ შემთხვევით წავაწყდით ერთს XVII საუკუნის ხელნაწერში ამ ადგილს იმ სახით, რა სახითაც ჩვენ იგი შესწორებული გვექონდა; თუმცა სხელებული ხელნაწერის დანარჩენ ადგილებში ყველგან სმარებულია «მულაზანზარი» მულაზარის მაგივრად, მაგრამ ის გარემოება, რომ ერთი და იგივე საკუთარი სახელი შეუძლებელია სხვადასხვანაირად იქმნას სმარებული და რომ მულაზანზარი «მულაზარის» ან «მულაზარზარის» ნაცვლად, მტკნარი უაზრობაა (იხ. 1646 წლის № 599 ხელნაწერი), ჩვენ კიდევ უფრო გვარწმუნებს ჩვენი შესწორების სიმართლეში (იხ. აწ უკვე ჩვენი «შესწორებანი და შენიშვნანი, ვარიანტები», გვ. 82, ხანანი: 906,1; 910,1; 911,4 [977, 978]).

აგრეთვე 1385 [1460] ხანის პირველი ტაპი:

«მივიდეს, სადა ქალაქი დიდი მულღაზანზარია», ასე უნდა შეიცვალოს:

«მივიდეს, სადა ქალაქი დიდი მულღაზარზარია».

ყველგან, ჩვენი აზრით, გადამწერთა უფიცობის გამო, წაირყვნა წმინდა სპარსული სიტყვა «მურღაზარი». როგორც ეტყობა, უკვე პოპულარულ რუსთველის პოემაში ამ სიტყვის სპარსულმა ეტიმოლოგიამ დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, რამაც საბუთი მისცა უფიც გადამწერლებს თავიანთ გემოზე შეეცვალათ ჰეშმარიტი სპარსული სიტყვა¹.

მოყვანილი ფაქტებიც, ჩვენი აზრით, საკმაოდ ცხადყოფს, რომ «ვეფხისტყაოსნის» ტექსტს შემოუნახავს ისეთი სიტყვები, რომლებიც ამხილებს პოეტს, რომ მას უსარგებლებია «ქართულად ნათარგმანები» სპარსული ამბით.

ამნაირად «ვეფხისტყაოსნის» როგორც შინაარსი, ისე მისი გარეგანი მხარე, გვაძლევს უტყუარ საბუთს აღვიაროთ ამ ნაწარმოების სიუჟეტი მაჰმადიანური, სახელდობრ სპარსული, მოთხრობის ნაშთად. ბევრი იშვიათი არაბულ-სპარსული სიტყვა და საკუთარი სახელი (ჩაშნაგირი, მუსაფი, მაქა, მულღაზარზარი, დულარ-დუსტ), რომელთა უმეტესობა შეიძლება ახსნილ იქმნას მხოლოდ სპარსული ენის ცოდნით და რომლებიც სრულიად ეუცხოება ქართულ ენას, აშკარად მოწმობს ქართული ტექსტის დამოკიდებულებას სპარსულ წყაროზე².

დასასრულს, გარდა იმისა, რომ მოთხრობის შინაარსი არ ეხება ქართველებს და მათ ჩვეულებას, იგი წარმოადგენს აღმოსავლურ სადევგმირო ამბის ნიმუშს, აქაც, როგორც ფირდოუსის უკვდავ ქმნილებაში, პირისპირ დგანან, ერთი მხრით, წმიდა საღმრთო იდეისთვის მებრძოლნი: ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ხოლო, მეორე მხრით, მათნი მოპირდაპირენი: ცბიერი რამაზ მეფე და სხვადასხვა მავნე სულები, როგორც მეკობრენი, ქაჯნი (გრძნეულნი, ჯადონი), ღვენი და საშინელი მხეცნი. უკანასკნელების დამარცხება, მოსპობა პირველთა მიერ, მოასწავებს კეთილის ბოროტზე გამარჯვებას. აკი ავთანდილის პირით გვაშეგვებს პოეტი:

«ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!» (1288 [1361]).

¹ ასე ვმსჯელობდით ჩვენ ამ მოხსენების დასტამბვამდე 1907 წელს, ხოლო შემდეგი დროის დაკვირვებაჲ კიდევ უფრო დაგვარწმუნა, რომ აქ უნდა იყოს პირდაპირ დამახინჯებული სპარს. სიტყვა

مرغزارزار მურღაზარზარ (წაიკ. აგრეთვე პოეტ. მურღაზარზარი) და მაშინ ამისი მნიშვნელობა იქნება მულღაზაროვანი, ე. ი. მულღაზარით მდიდარი ალაგი. ამნაირად საჭიროება ისეთი ფორმის შექმნის, როგორც მულღაზარზარია, ე. ი. «მულღაზარის ქალაქი», სრულიად აღარ იქნება. მულღაზარ შედგება სიტყვისაგან მურგ-ფრიენელი და ზარ სუფიქსი-იანი მდიდარი, აქედან მულღაზარ — ფრინველიანი ალაგი—ბაღი; მულღაზარზარ—მულღაზაროვანი, ბაღნარი; ასე რომ აქ გამეორებულა სპარს. სუფიქსი ზარ—

زار

² ყველა ზემოთეული თქმულის შემდეგ თამამად შეგვიძლია აღვიაროთ, რომ ჰეშმარიტებასთან აქლოა ის აზრი, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინათ გამოთქვა ა. ხანაშვილი, რომლითაც «არაკი ტარიელისა საქართველოში, უნდა ეკუთვნოდეს იმ ციკლთა ნაწარმოებს, რომლებიც აწებებულნი არიან მოსიარულე სიუჟეტზე» (იხ. ა. ხანაშვილი, ქართ. სიტყვ. ისტორია, 362—373, 374), მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს მოსიარულე სიუჟეტი უფრო ადრე ფეხს იკიდებს უკვე ლიტერატურულად მეზობელ ირანში, ხოლო შემდეგში, რუსთველის ეპოქაზე ბევრად ადრე, იგი შემოდის ჩვენში, მაჰმადიანური სპარსეთის გაუღენის ძლიერი ჰველის შემოჭრისთან ერთად.

რაც შეეხება ხალხურ «ვეფხისტყაოსნს», რომლის პოემის სიუჟეტთან შედარებით შესწავლაზე ამყარებს თავის აზრს პრ. ხახანაშვილი, იგი, ჩვენი აზრით, საინტერესოა იმ მხრით, თუ რამდენად რუსთველის გალექსილმა პოემამ პოვა თავისი გამოახილი ხალხის ფანტაზიაში. ეს ლექსები ხალხის ფანტაზიით გადამახინჯებული რუსთველის ლექსების უაზრო გადმოცემაა, სხვა არაფერი.

რომ «ვეფხისტყაოსანსა» და სპარსულიდან ნათარგმნ ქართული ლიტერატურის ნიმუშებს შორის, შინაარსის მხრით, არ არსებობს თვალსაჩინო განსხვავება, ამას ჩვენ კიდევ უფრო აშკარად დავინახავთ, თუ მას შევედარებთ ორ უმთავრეს ნიმუშს: «ვისრამიანსა» და «ბარამიანს». ორივე დასახელებული ნიმუში სპარსული ენიდან არის თარგმნილი, და მაშასადამე მათი შედარება «ვეფხისტყაოსანთან» რაოდენადმე ნათელს მოფენს იმ კითხვას, თუ რა მსგავსება არსებობს რუსთველის უკვდავ პოემასა და ქართულ ენაზე გავრცელებულ სპარსულ ნიმუშებს შორის. მაშ დავიწყეთ «ბარამიანთან» შედარებით¹.

«ბარამიანი» და «ვეფხისტყაოსანი» ორივე ერთის ტიპის ზღაპრული მოთხრობაა: იგივე ნადირობა და უცნაური შემთხვევა: «ბარამიანში» ბარამის ქურციკზე ნადირობა, ქურციკის დაკოდეა, ბარამის მიერ გაქცეული ქურციკის დადევნება და დაკარგვა მისი, «ვეფხისტყაოსანში» როსტევანის ნადირობა, უცხო ყმის შეხვედრა, მასთან ომი და «ვეფხისტყაოსნის» «კვალ-წმინდად წარხდომა». ბარამისაგან «გულანდამის» სურათის ნახვა და მისი გულანდამისადმი გამოიჯნურება, გულანდამის სიყვარულის გამო ქვეყნიდან ქვეყნად სიარული და ომი ქაჯებთან, დევებთან და სხვა. ავთანდილისა და ტარიელის სამიჯნურო თავგადასავალი, ქვეყნიდან ქვეყნად მათი ხეტიალი, ომი ქაჯებსა და დევებთან; დასასრულ, —წადილის მიღწევა ბარამისაგან, მისი გახელმწიფება და გამორჯმულება; ტარიელისა და ავთანდილის საწადელის გასრულება და მათი გახელმწიფება და გამორჯმულება — ყველაფერი მოწმობს, რომ ერთი ტიპის სადევგმირო ზღაპარია ორივე ეს მოთხრობა. ამას გარდა, როგორც ავთანდილი, ისე ბარამი, დღე და ღამე გაუწყვეტლად მოგზაურობენ თავიანთი მიზნის მისაღწევად. როცა მათ მოშივდებათ, ისრით ნადირს მოკლავენ, ცეცხლს დაანთებენ და ნანადირვისაგან მწვადს წვავენ: ბარამისგან სიმდიდრით სავსე ჯურღმულში აფრა-დევის მოკვლა და მთელის მისი ხაზინის სიფორისათვის ჩუქება, ტარიელისაგან დევების დახოცვა და საჭურჭლით სავსე გამოქვაბულის ხელში ჩაგდება — ერთნაირი ინტერესის ამბებს წარმოადგენს; ბარამისაგან ჩინეთის საზღვარზე მოქარავენე ვაჭრების შეხვედრა, მათი გაძლოა და ნიანგის ისრით მოკვლა გვაგონებს მსგავსსავე შემთხვევას «ვეფხისტყაოსანში». სახელდობრ: ავთანდილის მიერ შეშინებული მოქარავენე-ვაჭრების გაძლოას ზღვაში და მეკობრეების დახოცვას. მოქმედის პირების ბუმბერაზობა და ყველგან

¹ «ბარამიანის» შესახებ დაწვრილებითი ბიბლიოგრაფიული ცნობები და მოთხრობის ვრცელი შინაარსი იხ. ექვთ. თაყაიშვილის შრომაში: Описание рукописей «Общест. распростран. грамотн. среди грузинского населения», ტ. I, ნაწ. III, 1909 წ. გვ. 521, 542—547—562. ბ. თაყაიშვილი სრულიად სამართლიანად აღიარებს (ibid., 558): «ონანა მღვიანს იმ დროს არსებული და უკვე გამოცემული პროზითი თარგმანი კი არ გაულექსავს, არამედ სხვა ჯერ ჩვენთვის უცნობიო». ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს უცნობი ბარამიანი უნდა იყოს იგივე პროზითი, ონანას საკუთარ გემოზე გადაკეთებული და გალექსილი, «ბაქრამიანი», რადგან სპარსული ბაქრამიანი უდრის პროზაიკულ რედაქციებს და არა გალექსილს: ონანას პროზითი «ბარამიანის» გულანდამის ნაცვლად [= გულანდამი—სპარ. گل اندام] „გულ-ვარდი, ანდამ-სურათი, გულანდამი, როგორც ეპითეტი გვხვდება აგრეთვე სპარსულს «ვისრამიანში» (იხ. სპარსული ტექსტის გვერდი 261, სტრიქონი 18)) გვხვდება გულიჯანი...

და უოველთვის უძლევლობა, — ყველა სპარსული სადევგმირო ამბის განსაკუთრებული თვისება ცხადად ჩანს ამ ორ ნაწარმოებში¹.

მაგრამ «ვეფხისტყაოსანსა» და ბარამიანს შორის განსხვავებაც დიდა:

პირველში თითქოს შეერთებულა რომანულ და დევგმირულ ნაწარმოებთა თვისებები: იგი, ერთი მხრით, წარმოადგენს სამიჯნურო წიგნს, სადაც გაღმერთებულია უმაღლეს წერტილამდე განვითარებული ქალ-ვაჟის სიყვარული; მეორე მხრით, — გმირულ ბრძოლას დევებსა და ქაჯებთან. თუ როგორც ზღაპრული სადევგმირო ამბავი, ის ჩვენ შეუუდარეთ «ბარამიანს»; როგორც სამიჯნურო წიგნი, იგივე უნდა შეუუდაროთ «ვისრამიანსაც», რომ უფრო ნათლად გამოვარკვიოთ რუსთველის ქნარის ორიგინალობა და სიძლიერე.

«ვისრამიანში» ისე, როგორც «ვეფხისტყაოსანში», გაღმერთებულია ქალ-ვაჟის სიყვარული, მაგრამ «ვეფხისტყაოსნის» რომანი ძლიერ არსებითად განირჩევა «ვისრამიანის» რომანისაგან, და ეს გარემოება ძლიერ ამხილებს «ვეფხისტყაოსნის» დამწერის მიზანს.

«ვეფხისტყაოსნის» დამწერს წინდაწინვე ჰქონია განსახორციელებელი თავისი საკუთარი მიზანი: მას თითქო ჰქონია გადაწყვეტილი დაწერა ისეთი თხზულება, რომელშიაც შეიძლებოდა წრფელი რაინდული სიყვარულის დახატვა; ავტორი შევნიერად იცნობს «ვისრამიანს», რომელსაც ხშირად იხსენიებს კიდევ; მას არ მოსწონს «ვისრამიანში» დახატული სიყვარული, რომელიც გამოიხატება მხოლოდ სულიერ ტანჯვაში, უნაყოფო სისხლის ცრემლების ღვრაში და თავდება კი ცბიერი დაღატოთ: პირუმტიკობა, სიცრუე და გაუტანლობა სიყვარულში საერთო თვისებაა «ვისრამიანის» ყველა მოქმედ პირთა.

რუსთველი თითქო ცდილობსო დახატოს «ვისრამიანში» გამოყვანილი სიყვარულისაგან განსხვავებული სიყვარული.

«ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გვონია?

სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია».

[377]

სწერს ნესტან-დარეჯანი თავის საყვარელს. ნუ იტანჯები ცუდად, ნუ იჭრი გულს უბრალოდ, ნუ მოკვდები, შენი ვარ, მაგრამ ცუდი ბნედა მეზარებაო; საგმირო საქმეები დამანახვე და დამიმტიკიე ამით, რომ წრფელი და მძლავრი სიყვარულის გრძნობა გაქვსო. აი როგორი სიყვარული მიაჩნდა რუსთველს ნამდვილ მიჯნურობად: ცუდი ბნედა და სიკვდილი რა მიჯნურობაა? საქმეები, გმირობა—აი რა არის ნამდვილი მიჯნურობის დამამტიკიეებელიო.

ავთანდილისადმი ფატმანის სიყვარულს კი სულ სხვანაირი თვალთ უცქერის ავტორი. ის ამგვარ სიყვარულს ამსგავსებს ვისის სიყვარულს. ერთხელ, როდესაც ავთანდილმა გაიზიარა ფატმანის ცხედარი და ამით უღალატა ნამდვილი მიჯნურის იდეალს («კარგი მიჯნური იგია, ვინც იქმს სოფლისა თმობასაც»), რუსთველი ამბობს:

«ფატმანს ჰკლავდა უმისობა (უავთანდილობა), რამინისა ვითა ვისსა».

ცხადია, აქ რუსთველს სახეში აქვს ის დაღატოთ, რომელიც ჩაიდინა რამინმა ვისის მიმართ, როდესაც იგი მოიხიბლა გულის სილამაზით, და გატაცებულმა მი-

¹ ამ სპარსული სადევგმირო ზღაპრის ტიპიურობის მაჩვენებელია, სხვათაშორის, შესატყვისი ციტატები «ამირანდარეჯანიანი თვანაც». იხ. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. მოსე ხონელი და მისი «ამირანდარეჯანიანი», გვ. 17—25.

სი სიყვარულით, სრულიად დაივიწყა თავისი პირველი სატრფო ვისი. ტახტზე ასული თინათინი და ავთანდილი კი, ავტორის აზრით,

«უნახავსა და ნახულსა სჯობს უოელსა სანახავისსა,
ნუ ეჭვ მიჯნურად მათებრსა ნუცა თუ რამინს და ვისსა».

[1543]

არათუ რამინისა და ვისისაგან, ნურავისაგან ნუ ელი ამგვარ სიყვარულსაო.
ერთი სიტყვით, რუსთველი თითქოს გასჯიბრებოდეს სპარსელ მწერალს სიყვარულის დახატვაში, თითქოს სურდეს გვითხრას: ეს რა სიყვარულია, რომელიც იმან დახატაო? აი მესმის სიყვარული, ჩემ გმირებს რომ ამოქმედებს, ერთს მეორეს უმონებსო და კიდევ ეგ არის წრფელი და მძლავრი სიყვარული, რომელსაც სარჩულად გმირობა და ფაქკაცობა უდევსო.

ჩვენს უურადლებას იპურობს აგრეთვე ამ ორი ნაწარმოების საოცარი მსგავსება გარეგანი ფორმის მხრით. სწორად «ვისრამიანისა» და «ვეფხისტყაოსნის» აფორიზმებს შორის ძლიერი მსგავსება არსებობს. აი მაგალითებიც:

1. «ვეფხისტყაოსანი»:

«კაცსა მიჰხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, უნდა პოვნა;
მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა».

(168[211])

«ვისრამიანი»: «ასეთია გული ადამის ტომთა, რომე გარდასრულისა ჭირისა ღხინსა შიგან დამვიწყებელია». (გვ. 232)

2. «ვეფხისტყაოსანი»:

«შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა»...

იქვე:

«არას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლო ცრემლთა დენა».

(732 [795])

«ვისრამიანი»: «უსარგებლოა ცუდი დაღრეჯა». (გვ. 217)

3. «ვეფხისტყაოსანი»:

«სმა-ჭამა — დიდად შესარგი, დება რა სავარგულია,
რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია».

(19[50])

«ვისრამიანი»: «შეგონება: გაიხარენ, სვი და ჭამე, გაეც, რომელ სახელი დაგრჩეს» (გვ. 55).

4. «ვეფხისტყაოსანი»:

«ვის არ უნახავს პატიქნი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან...
არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან?»

(812 [877])

იქვე:

«ვარდსა ჰკითხეს, ეგზომ ტურთა რამან შეგქმნა ტანად, პირად?
მიკვირს რად ხარ ეკლიანი, პოვნა შენი რად არს ჭირად?»

(813 [878])

აგრეთვე:

«რადგან ვარდი ამას იტყვის, უსულო და უსასაკო,
მაშა ლხინსა ვინ მოიმკის, პირველ ჭირთა უმუშაკო?»

(814[879])

«ვისრამიანი»: «ვინცა ვარდსა დასთესავს და მოჰკრებს, ხელსა ეკალიცა დაე-
სობის» (238).

იქვე:

«შენ გულო, მეწალკოტესა არა უარე ხარ, არცა იგი შენი საგონებელი ვარდი-
სა ხესა უარეა; მას ჰხედავ, თუ რა დაჰკრგოს, რაზომსა ჭირსა ნახავს მოკრე-
ფამდინ?» (299)..

იქვე:

«საწუთროსა რაოდენჯერცა გამოსცდი, მიწყით ასრეა, რომელ ლხინი მისი
უჭიროდ არ იქმნების, ვარდი მისი ეკლიანია და ლხინი ჭირიანი, მიჯნურობა ფათე-
რაკია და სარგებელი მისი—ზიანია» (441).

რამდენადმე წააგავს ერთიმეორეს შემდეგი ადგილებიც:

5. «ვისრამიანი»: «სადაცა ვარდსა ეჰპოვებ, მოეჰკოცნი, დაწვთა შენთა
სახებისათვის, რა ნიავმან იისა და ვარდის სული მომართვის, ამით მოვილხენ,
რომელ ეგრე ვიტყუი: ნუ თუ ჩემი საყუარელი მოვა, და მისი სული მეცემის!»
(293; შდრ. იქვე: გვ. 68).

«ვეფხისტყაოსანი»:

«ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დართა,
უბრძანა: «გიჭვრეტ თვალითა, გულტკბილად შემხედვარითა,
მისად სანაცვლოდ მოვილხენ, თქვენთანა საუბართა».

(1256[1329])

6. «ვისრამიანი»: «რა გაუნათლდეს მოაბადს თუალნი ვისის წაყუანითა, გზა-
გზა მიმავალი მოაბად მხიარულობდა და ყოველი ჭირი, რაცა ენახა, დაავიწყ-
და» (19);

«ვეფხისტყაოსანი»:

«ტარიელს და ცოლსა მისსა მიჰხვდა მათი საწადელი...
მათ პატიჟთა დაავიწყებს ლხინი ესე აწინდელი».

(1503 [1637])

7. «ვისრამიანი»:

«ეზომი ოქრო და საქონელი გასცა [რამინ] რომე ძვირთა სახელი ამოჰხოცა,
ყოველსა ქვეყანასა დავიწყუდა პირველი ჭირი და უსამართლობა, ყველანი გალხი-
ნიანდეს, მთხოვნელნი გამდიდრდეს, ცხვარნი მგელთა თანა სძოვდეს» (451).

იქვე:

«ეგრე უშიშრად გახდა გურგანი, ცხუარნი და მგელნი ერთად იყუნიან და
ცხუართა მგელნი უჩრობობდიან!» (სპ. «ჩობან»—მწყემსი; 255).

¹ ქართული თარგმანის ეს ადგილები სახეებით ეთანხმება ორიგინალის სპარსულ ტექსტს. იხ. «ვისრამიანი», გვ. 237, 18 და ჩვენი მეცნიერული ბაასი ბ. მოსე ჯ ა ნ ა შ ე ი ლ თ ა ნ, «სახ. გაზეთის» ფელეტონები, 1911 წ., № № 125, 126, 130—«ბ. შ. ჯანაშვილის ახალი ნაშრომის გამო».

«ვეფხისტყაოსანი»:

«ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქერივნი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
აეთა მქნელნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს».

(1519 [1664])

აგრეთვე ძლიერ გვაგონებს ერთიმეორეს რამინის, როსტევეანის და ტულღურ-
ბეგ სულთნის ეპითეტები:

8. «ვისრამიანი»:

«იყო დიდი და მაღალი სულტანი ტულღურბეგ, ქვეყანასა ხვარასნისასა და
ადრებადაგანისა, ლაშქარმრავალი მოვლენილი, მორჭმული და აღსრულბული
ყოველსა სპარსეთსა ზედა».

იქვე: გახელმწიფებული რამინი აძლევს ღმერთს აღთქმას, რომ იგი იქმნება
«მოსამართლე, მდაბალი, ღმრთის მოშიში, მართლის მეტყველი, სიმართლის მძებ-
ნელი, გლახაკთა-დაუჭირველი და მოწყალე» (418).

«ვეფხისტყაოსანი»:

«იყო არაბეთს როსტევეან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებინი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი».

(1)

ძალიან ჰგავს ერთიმეორეს შემდეგი ფრაზებიც:

9. «ვეფხისტყაოსანი»:

«ზეიმი და ზარი იყო, სპანი ველთა დაძფარვიდეს».

(36[73]).

«ვისრამიანი»: «სიხარულითა ერთობ ცათა გასწვდებოდა მისი ზარი და ზეი-
მი, მიწა მისთა ლაშქართა სიმრავლესა ვერ იტევდა» [199].

10. «ვისრამიანი»: «შეგონება: ღმრთისა განგებასა ნუ ვინ ემკლავების,
ამით რომელ მოწვენადსა ვერვინ შეაქცევს» (59,10—11).

«ვეფხისტყაოსანი»:

«განგებასა ვერვინ შესცვლის, არ საქმნელი არ იქმნების».

(149[190])

11. «ვისრამიანი»: «სჯობს, თუ ყოველსა კაცსა მიჯნური ებრალეოდეს».
შდრ. «ვეფხისტყაოსანი»: «მიჯნური მტერთაცა შეებრალების» (203,3 [249]).

12. «ვისრამიანი»: «მიჯნურსა ტირილი გამოაცხადებს და ავად მოუხდების:
ცხადსა მიჯნურსა დია ფათერაკი სდევს» (93,4).

«ვეფხისტყაოსანი»:

«სდევს მიჯნურსა ფათერაკი, — საწუთროსა დაანადვლებს».

(795, 1[915]).

13. «ვისრამიანი»: «(ლონითა) ჭურელითგან გუელსა გამოიყუანებენ, შელოც-
ვითა დაამშვიდებენ» [80].

«ვეფხისტყაოსანი»:

«გველსა ხერელით აღმოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი».

(781 [901]).

14. «ვისრამიანი»: «დასტურობით იცოდე: კარგისა ქმნა არა წახდების».
იქვე:

«კარგისა მოქმედობა კაცისა ესრე არ წახდების».

«ვეფხისტყაოსანი»:

«კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურმე არ წახდების».

(373,1[432])

15. «ვისრამიანი»: «კაცისათვის უკეთესი საქმე არის სახელისა ძებნა» (61, 9).

«ვეფხისტყაოსანი»:

«სჯობს სახელისა მოხვეჭა უოველსა მოსახევეჭელსა».

(736,4[799])

16. «ვისრამიანი»: «რა ესე საქმე იქმნა, მუნითგან რამინ ტირილისაგან და კუნისაგან ესრე დამჯღღა და გახმა, რომე თმისაებრ დაწვლდა» (183, 20); იქვე:—

«სადაც ვისს ტანნი მისი თმისაებრ დასწლობოდა» (57,11) და აგრეთვე:

«სიწლო, წლობა, გაწლობილი, დაწლობილი» (105, 11; 296, 16) და სხვა.

«ვეფხისტყაოსანი»:

«და კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა წვრილსა, ვითა თმასა».

(897, 4[962]).

17. «ვისრამიანი»:

«დიჯლისა ოდენი წყალი ეგრეცა გარდმოვიდის შენთა თვალთაგან» (80,11 = სპ. ტ. გვ. 279,5).

«ვეფხისტყაოსანი»:

«დიჯლადცა კმარის მას რომე თვალთაგან ცრემლი სდენია» (732,3 [850]);
იქვე — (813,2[878]).

18. ამათ გარდა, ძალიან ჰგავს რუსთველის შედარებას «ვისრამიანის» ორიგინალის შემდეგი ადგილები (ზოგი მათგანი სრულიად გადაუსხევაფერებია მთარგმნელს. იხ. შენიშვნა «ვისრამიანის» ტექსტის შესახებ): სპარს. ტექ. გვ. 116,2. ქართ. გვ. 124, სტრ. 18 და სხვები.

«ვისრამიანი»: «რამინ სიუმაწვილითგან მიჯნური იყო ვისისი: ოდეს ორნივე ხუზისტანს იზრდებოდეს ძიძისასა, მაშინ უმაწვილსავე შეჰყუარებოდა ვისი; მაგრა ვერ გამოეცხადა და გულსა შინა ჰქონდა სიუუარული მისი და სურვილი; გუალვისაგან გამხმარსა უანასა ჰგუანდა ნაყოფისა არ მოსულისათვის იმედგარდაწვევტილსა. რა მეორედ ძიძისა გუერდით გორაბს მოვიდა რამინ და ვისის სახელი ესმა, კულა მოირწყო მისი მიჯნურობა და, ვითა გამხმარი უანა, წყლისაგან გამწუნადა და რამინ იმედოვნად შეიქმნა ნაყოფისა ჭამისათვის» (გვ. 39 და 40,27 და 1).

«ვეფხისტყაოსანი»:

«გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად;
რა მოშორდის, ვერ მჭვრეტელმან ვარდი შექმნის ფერნაკლულად.
ნახის, ცეცხლნი გაუახლდის, წულული გახდის უფრო წულულად.
საბრალო სიუვარული, კაცსა შეიქმს გულმოკლულად».

(10[41])

«რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა,
ავთანდილს მიძხვდა სიამე, ვსება სჯირს მი სოქალისა!»
თქვა: «ზედა-ზედა მომხვდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა,
ნუთუ ვით ვპოვო წამალი მე ჩემი, ფერგამქრქალისა».

(11[42])

«ვისრამიანი»: «ეს სიტყვა უთხრა ვირომ დასა. ვისმა თვალიდან მარგალიტა წვიშმა» (სპარს. ტ., გვ. 350, 1 = ქართ. გვ. 392,2), «მოვიდა რამინის წინა, თუალთაგან მარგალიტა პყრიდა, ვითა ცა თოვლსა».

«ფეფხისტყაოსანი»: 103, 2; 121, 2; 1106, 1 [141, 160, 1175]; შეადარე ამათ «ვისრამიანი», სპარს. ტექ. გვ. 54, 15 = ქართ., გვ. 48, 14, იქვე: ქართ. ტ. გვ. 190, 10 = სპარს. ტ. გვ. 176. ყველა ამას გარდა სილამაზის ჰიპერბოლური გამოთქმა მზეთუნახავის სახისაგან შევნიერი მზის შუქის გამოცემა, ელვართა პირითა ღამის დღედ ქცევა, დამაბრმავებელი სილამაზე, ქალ-ვაჟის სამავალითო და შეუღარებელი მიჯნურობით თავის მოკვეხს საერთოა «ვისრამიანსა» და «ფეფხისტყაოსანში»².

დასასრულ, პოეტური ფიგურები და სიმბოლიკა ერთგვარია ორისავე მწერლის ენაში.

ეს მსგავსება გარეგანი ფორმის მხრით უტყუარი ფაქტია «ვისრამიანის» ძლიერი გავლენისა «ფეფხისტყაოსანის» ავტორის პოეზიაზე; ალბათ, რუსთველი ძლიერ გაცნობილი ყოფილა ამ ნაწარმოებს, რასაც, სხვათა შორის, ამტკიცებს მის მიერ ამ ნაწარმოების მოქმედ პირთა ხშირი მოგონება.

ამნიარად, «ფეფხისტყაოსანის» შედარება «ვისრამიანთან» და «ბარამიანთან»

¹ სოქალი სპ. სოქალი აქ ნიშნავს გაყვითლებულს, სიყვარულისაგან გამხდარს, ჩამომხმარს ან ერაყანს (იხ. ჩვენი ლექსიკონი, ნახსენები სიტყვები), გვალვისაგან გამხმარს, ან გაყვითლებულ ყანას. მაშასადამე, სრულიად უსაფუძვლოა პრ. მარის წაითხვა «სოქალი» და სხვა (იხ. Н. Я. Марр. Грузинская поэма «Вытязь в барс. шакуре»...—ИАН, 1917, გვ. 431).

² მაგალითები, სურვილისამებრ, შევიძლია გავამრავლოთ: აიღეთ, თუნდაც «ფეფხისტყაოსანის» მე-5 ხანა, მე-4 ტაბი: და «ჩემი მზე დავსვით ქველმწიფედ, ვასგან მზე საწუნელია», სადაც საცილობელი იყო ის, თუ რომელი წაითხვა სჯობს,—ტრადიციული ვახტანგურ-სებური «ჩემი მზე», თუ სხვა ხელნაწერების «ჩემი მზე». ამაზე საუკეთესო პასუხს იძლევა «ვისრამიანის» შემდეგი პარალელები. იხ. ქართ. ტექსტი: 210, 15, სადაც შაპრო ეუბნება მოაბადს ასულის შესახებ: «რა უყავ ჩემი მზე?» *ibidem*, 212,4. ან კიდევ: 214,7—«რად გშობე მზე ჟამსა სიხერისასა?»

სპეციალისტები და ისეთი პირებიც, რომლებსაც დღეს კომპეტენტურად თვლიან, ხშირად სუსტობენ ტექსტის წაითხვის მხრით: ასე მაგ., ისეთ დამახასიათებელ ადგილს, როგორცაა ავთანდილის მზობა, ანუ მზედ განსახიერება, აკად. ნ. მარი სრულიად შეცდომით კითხულობს (იხ. Н. Я. Марр. ТР. XII, გვ. XX, § 4). სიტყვებს: «ეუჭვრიტოთო ამას რულად», იხ. «ფეფხ-ტყაოსანის» ტექსტი, 1006,2 [1075], მეცნიერი სთარგმნის სიტყვებით: глядеть до сна, მაშინ როდესაც აქ ავთანდილი წარმოადგენილია მზედ, და მაშასადამე, აქ «რულად» მიღს ანუ რულს კი არა ნიშნავს, არამედ — «რანაირად», ანდა «როგორ». მაშასადამე, სიტყვები: «ეუჭვრიტოთო ამას რულად», უნდა ასე გავიგოთ: «როგორ გავუმართოთ ამ მზეს თვალი, როგორ ეუჭვრიტოთ ამ მზესაო?!», ე. ი. ისევე ძნელია მისი ჭერება, როგორც მზისაო. იხ. ჩვენი «ფეფხისტყაოსანის» ლექსიკონში, 218, განმარტება სიტყვის «რულად». აგრეთვე ე. თაყაიშვილი შაჰნამეს ხელნაწერის ერთ ფრიად დამახასიათებელ ადგილს, სახელდობრ, ლექსში: (Опис., ტ. 1, ნაწ. II, გვ. 3E8, სტრ. მე-2) ნესტან-ჯარს უქოციმციმი, თინათინს—მოვანებაო, სიტყვა «მოვანებას» ასწორებს ყ-პრის ჩამატებით და კითხულობს «მოყვანება»-დ. მაშინ როდესაც აქ თინათინის «მოვანებას» შედარებულია მთვარის მოვანებასთან, როგორც ეს «ფეფხისტყაოსანშიც» გვაქვს: იხ. ხანა 71,2 (107), სადაც თინათინს: «უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებასა» (იხ. შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, გვ. 4, ტ. 3, შენიშვნა 10).

გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ხელმწიფეების შესახებ ირანის ზღაპრულმა ამბებმა, ერთი მხრით, და «ვისრამიანის» რომანით გატაცებამ, მეორე მხრით, გამოიწვია ჩვენს რუსთველში «ვეფხისტყაოსნის» დაწერის აზრი.

ამ ორი ნიმუშის გაცნობა და მათი შედარება «ვეფხისტყაოსანთან» რაოდენადმე ნათელს ჰყენს რუსთველის შემოქმედებით ნიჭს. ამ შედარებიდან ჩვენ დავინახეთ, რომ, ერთი მხრით, «ვეფხისტყაოსანი» თავისი სიუჟეტით ძლიერ წააგავს «ბარამიანს», გარეგანის ფორმით კი უახლოვდება «ვისრამიანს», მაგრამ «ვეფხისტყაოსანსა» და დასახელებულ ნიმუშებს შორის მაინც დიდი განსხვავებაა.

V

აქ, «ვეფხისტყაოსანში», თქვენს ყურადღებას იპყრობს განსაცვიფრებელი სიმეტრია, რომელიც დაცულია შინაარსის ინტერესთა თანდათანობით ზრდაში; უცნაური გმირის «ველწმიდად წარჯდომა (კაცისა ვითა ღვეისა)», აეთანდღლისა და თინათინის რომანი, როგორც ტარიელისა და აეთანდღლის საუკუნო მეგობრული კავშირის ნამდვილი მიზეზი, დასასრულ, — კერძოდ «ვეფხისტყაოსნის» შესახები ამბები, ყველაფერი ისეთი ხელოვნებით არის მოთხრობილი და ისეთი ინტერესის გამომწვევი სიმეტრიითაა შეწყობილი, რომ საკმაოა, პოეტის აღმაფრენასთან და მის უმაღლეს წერტილამდე განვითარებულ მხატვრულ რითმასთან ერთად, გაფანტოს ყოველი ეჭვი ამ ნაწარმოების ორიგინალობის შესახებ. «ვეფხისტყაოსანს» რომ გამოვაკლოთ უმაღლეს წერტილამდე განვითარებული რომანული სიუჟეტური, პოეტური აღფრთოვნება, მხატვრული რითმა, მოქმედი პირების ფსიქოლოგიურად დასურათება, მაშინ ჩვენ იგი გვეჩვენება «ბარამიანის» მსგავს სადევგმირო მოთხრობად; ბარამიანში ჩვენ ვხედავთ უსიცოცხლო და უფერულ აღმოსავლეთის ზღაპრულ გმირებს. «ვეფხისტყაოსანში» კი ეს გმირები სორც-შესხმულია, სცენაზეა გამოსული სამოქმედოდ. ამიტომაც, ერთი შეხედვით, «ვეფხისტყაოსანი» სრულიად კარგავს ზღაპრის ელფერს, მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით მის შინაარსს, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ ნაწარმოებში იპარება ბევრი რამ, რაც ამხილებს ავტორის მიზანს, შეცვალოს თავის გემოზე ზღაპრული მოთხრობა, გადააკეთოს და გადმოაქართულოს სურვილისამებრ ფაბულა.

მაგალითისათვის, ავიღოთ ქაჯების შესახები თქმულება.

ქართულში ხმარებული სიტყვა «ქაჯი» ნიშნავს ავს, მავნე სულს, რომელიც თავისი სილამაზით ჰხიბლავს და აცთუნებს ადამიანს. როგორ არის დახასიათებული სიტყვა ქაჯი «ვეფხისტყაოსანში»? ამას აშკარად დავინახავთ აეთანდღლისა და ფატმანის ერთი საუბრიდან ამ საგნის შესახებ.

ფატმანი რომ დაასრულებს ნესტან-დარეჯნის ქაჯთაგან მოტაცების ამბავს, ქაჯების ვინაობით დაინტერესებულ აეთანდღილსა და ფატმანს შორის ვაიმართება დიალოგი (1175—1179 [1245, 1249]):

«ფატმანს უთხრა: «საყვარელო, კმა ხარ ჩემთვის სასურველად, მე ამბავი სანატრელი მომასმინე არ პირ-ბნელად, მაგრა საქმე ქაჯეთისა გამაგონე უფრო მრთელად; ქაჯი ყველა უქორცოა, რამან შექმნა ქორციელად?»

ავთანდილმა უპასუხა:

«მის ქალისა სიბრალური ამანთებს და მიღებს აღსა,
მაგრა ქაჯნი უხორციონი რას აქნევენ, მიკვირს ქალსა?!»

«ფატმან უთხრა:

«მომისმინე, მართლად გხედავ მანდა მერთალსა,
არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა-სალსა.

ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი,
კაცნი გრძნებისა მცოდნენი, ზედან გაწელოვნებულნი,
ყოველთა კაცთა მავნებნი, იგი ვერვისგან ვნებულნი,
მათნი შემბმელნი წამოვლენ დამბრმალნი, დაწბილებულნი.

იქმენ რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრმობენ,
ქართა აღძვრენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ,
ვითა ჯმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდად დააშრობენ,
ჰწადდესთ, დღესა ბნელად იქმენ, ჰწადდესთ ბნელსა ანათობენ.

ამისთვის ქაჯად უქმობენ გარეშემონი ყველანი,
თვარა იგიცა კაცნია, ჩვენებრვე ქორციელანი».

ამ ადგილიდან ცხადია, რომ ქაჯი, პოეტის წარმოდგენით, არ არის ფანტასტიკური, იგი თვითონვე გვარწმუნებს, რომ ისინი «ქაჯები კი არ არიან, კაცებიო».

აქ, აშკარად ჩანს, პოეტს შეუცვლია მოთხრობის ხასიათი: აღმოსავლეთის გმირების საქმეები, ჩვეულებრივ, წარმოადგენენ დევებთან, ავსულებთან, ბრძოლას. მაგრამ ეგ ხომ ზღაპრული და სრულსა და ცხოველ ინტერესს მოკლებული ამბავი იქნებოდა. ამიტომ, ავტორი თვითონვე გვაფრთხილებს, ქაჯები როდია ისინი, კაცებიო; ქაჯებს რომ ეძახიან, იმიტომ ეძახიან, რომ საკვირველი არიან მათის მოხერხებითა და გამჭრიახობით, გრძნეულებითა და ომის ცეცხლის ცოდნითაო¹.

ამგვარი გაფრთხილება ავტორის მხრით და სურვილი მისი მისცეს ამ ზღაპრულს მოთხრობას უფრო სარწმუნო და არა ფანტასტიკური ხასიათი, მით უფრო საყურადღებოა, რომ მას უყურადღებოდ დაუტოვებია ისეთი ადგილები, რომლებიც ამხილებს ავტორის სრულიად ზღაპრულ წარმოდგენას ქაჯების შესახებ. მას, თითქო მისდა უნებურად გამოჰაროდეს ისეთი ზღაპრული ადგილი, სადაც ფატმანის გრძნეული მონა «გადაფრინდება» ქაჯეთს თვალმიუტანებლად; აგრეთვე ზღაპრულია ადგილი, სადაც ფრიდონისკენ მიმავალის ავთანდილის სიმღერაზე მულღაზარზარში ქვეყნის ყოველნი სულდგმულნი: «ზღვით ნიანგნი, ტყით ნადირნი, ცით მფრინველნი» იყრიან თავსა და სმენად იქცევიან; აგრეთვე ზღაპრულია

¹ ჩვენს ხალხურ ზღაპრებს, თითქმის უმეტესობას, ეტყობა აღმოსავლური ზღაპრების გავლენა, რის გამო ხშირად ხდება მათში კაცს დევებისა და ქაჯების შესახები მოთხრობები; აღმოსავლეთში ქაჯს წარმოიდგენენ როგორც მზეთუნახავს—მომაჯადოებელ არსებას; ჩვენში ამ აზრით ხმარობენ სიტყვას «ალქაჯი», რომელიც თავისი სილამაზით სიბლავს და აცთუნებს ადამიანს. რუსულ ზღაპრებში «волшебник» ანუ «чародейка» ნამდვილ ქაჯის როლს თამაშობს. სომხურ-ქართული ტერმინის «ქაჯის» შესახებ იხ. ჩვენი: «ვეფხისტყაოსნის» 22-ე გამოცემის შესავალი, გვ. XXI; VI. «ქაჯის შესახები თქმულება და «ვეფხისტყაოსნის» სიუჟეტის საკითხი».

ადგილი, სადაც ტარიელი დახოცავს დევთა დასებს¹ და წაართმევს მათ გამოქვაბულს, რომელიც საესეა ყოველგვარი სიმდიდრით:

«პოვეს საჭურჭლე უსახო კვლავ უნახავი თვალისა,
მუნ იდვა რიყე თვალისა, ქელწმიდად განათალისა,
ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა;
ვინმცა ქმნა რიცხვი ოქროსა, ვერვისგან დანათვალისა».

ორმოცი სახლი გატენილი იყო ქონებით, აბჯარი ყოველგვარი «ასრე იდვა, ვითა მწნილი»; აქვე იყო ერთი კიდობანი, რომელზედაც ეწერა:

«აქა მეს აბჯარი საკვირველიო,
ჯაჭვ-მუზარადი, აბჯარი, ჭრმალი ბასრისა მჭრელიო,
თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, იყოს დღე იგი ძნელიო,
უმის-ქამისოდ ვინც გაჰქსნის არის მეფეთა მკვლელიო».

ამ წარწერაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ქაჯები აქ დევების მოპირდაპირებად არიან გამოყვანილნი. მაგრამ ქაჯები თუ ხორციელნი არიან, რატომ დევებიც ხორციელად არ გაგვაცნო ავტორმა?! იმის გმირები ხომ დევებსაც ხშირად ებრძვიან, ხოცავენ და სიმდიდრით საესე გამოქვაბულსაც კი ართმევენ?! ცხადია, ავტორმა ამ ადგილას, ფატმანის პირით, ქაჯები კაცებად გაგვაცნო იმიტომ, რომ მას სურდა დაეინტერესებია მკითხველი, მხოლოდ ისეთი ამბით, როგორც ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან მოტაცებაა; დანარჩენი ადგილი ქაჯების შესახებ თქმულებიდან ისევ ზღაპრად დარჩა: თუმცა ავტორი ცდილობს დაგვარწმუნოს ქაჯების ნამდვილს არსებობაში, მათი ვინაობა მაინც რაღაც საიდუმლოებით არის მოცული; ყოველი ამბავი მათ შესახებ ზღაპრულია. საოცარის სისწრაფით ხდება ნესტან-დარეჯანის მოტაცება, ანუ ფატმანის გრძნეული მონის თვალის დასამხამებაზე ქაჯეთის ციხეში გადაფრენა; ქაჯეთის ციხეში შესვლისთვისაც ხომ განსაკუთრებული გრძნეულების ცოდნა იყო საჭირო?² (იხ. ხანანი: 1205, 1206; 1207 [1276, 1277, 1278]).

სხვა დანარჩენ შემთხვევაში თვითონ რუსთველი ქაჯს ხმარობს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით (იხ. წ.-კ. გ. საზოგად. გამ. «ვეფხისტყაოსანი». ხანანი: 150,3; 240,2); აგრეთვე «ვისრამიანში» «ქაჯი» და «დევი» ხმარებული არიან, როგორც მანვე სულნი, უსხეულო არსებანი, ჯადონი (იხ. «ვისრ». გვ. 44, 75, 73, 85, 97). ორიგინალში ქაჯის მაგივრად ვხვდებით სიტყვებს: «დივ» (დევი), «ჯადუ» (ჯადო), «ფერირუი» (ქაჯის ტურფა პირი), «ფერიზად» (დევად ანუ ქაჯად შობილი)³.

¹ დევთა დასები—სპარს. სიფოპი დივ, სიფოპი ჯადუონ (შედარე «ვისრამიანის» სპარსულ ტექ. გვ. 75, სტრ. 4) — დევთა გრძნეულთა ლაშქარნი. მოიგონეთ ამირან დარეჯანის ძე და ყმანი მისნი, რომლებიც ქაჯებს დახოცავენ და ზღვათა მეფის ასულს ქაჯთა ტყვეობიდან დაიხსნიან (იხ. ამირანდარეჯანიანი, ტფილისი, 1897 წ. გვ. 5).

² სწორედ ამ სახითვე არიან დასატული ქაჯები «ბარამიანშიც», სადაც ყოველი მათი ბიჯი, შოქმედება და გმირობა ზღაპრულია: მოიგონეთ შამსა და მისი ჯადოსნური ბალანი, რომელსაც ბარამი დასწავს თუ არა, იმ წამსვე შამსა ქაჯთა უძლეველი ლაშქარით მის წინაშე გაჩნდება და უზრუნველყოფს მის გამარჯვებას მოპირდაპირზე.

³ ანგვარადვე იხმარება ქაჯი და დევი XII საუკუნის ყველა სერო ლიტერატურის ნიმუშებში; ტერმინის «ქაჯისა» და ქაჯთა შესახებ თქმულების შესახებ «ვეფხისტყაოსანში» იხ. ჩვენ მიერ გამოცემულ «ვეფხისტყაოსანის» ტექსტის შესავალში, გვ. XXIII, VI: «ქაჯის შესახებ თქმულება და ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის საკითხი».

ყურადღების ღირსია¹, აგრეთვე შემდეგო² ადგილები, რომლებიც მოწმობს, რომ ავტორს შეუცვლია საკუთარი მიზნისთვის მოთხრობა.

ავთანდილი, გაპარვის დროს, სანამ მიზგითას ილოცებდეს, ანდერძს წერს რ რსტევან მეფის მიმართ, და ეს მაჰმადიანი არაბი გვაოცებს თავისი ანდერძის შინაარსით; მართლაც რასა ჰგავს ეს ანდერძი? ის არაბი, რომელიც თავისი რჯულის წესისამებრ იბარებს, რომ

«მისცენ გლახაკებს საჭურჭლე და ათავისუფლონ მონები», რომელიც ასე გულ-მხურვალედ ლოცულობს მაჰმადის საკურთხეველში (მიზგითას), ქადაგობს წმიდა მოციქულების სწავლას სიყვარულის შესახებ:

«სიყვარული აგვამალღებს, მოციქულების სიტყვითაო: თუ შენ არ გეწამება მათი სწავლა, უსწავლელი კაცები როგორღა უნდა დაეაჯეროო», — სწერს ავთანდილი როსტევანს თავის ანდერძში (იხ. ხანა 728 [791]). მას მოჰყავს ციტატები პლატონის სწავლიდანაც: «სიცრუვე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა» (იხ. ხანა 726, 4 [789]).

ავთანდილის აზრით, საჭიროა, ისე მოიქცეს ადამიანი, როგორც ფილოსოფოსები ასწავლიან: «ისე რომ არ მოვიქცეთ, როგორც ფილოსოფოსები გვასწავლიან, მაშინ მათი სიბრძნის სწავლა რაღა საჭიროა ჩვენთვისო?!»

ავთანდილი ანდერძში და, საზოგადოდ, «ვეფხისტყაოსანში», ნამდვილი მეცხიერი და ფილოსოფოსია. ის ფრიად სწავლული კაცია; იცის პლატონის ფილოსოფიაც, მოციქულების სწავლაც, ღვთისმეტყველებაც, მაგრამ ამასთანავე არაბია, მაჰმადიანია თავისი სულისკვეთებით და მისწრაფებით.

რით აიხსნება ამგვარი დიალოგი ავთანდილის ხასიათში, ამ ფილოსოფოს რაინდის მუსულმანურ-ქრისტიანული ფილოსოფოსობა?

ცხადია, აქ ჩვენ გვაქვს საქმე პლატონის მოძღვრებასთან, რომელმაც თავისებურა ელფერი მიიღო და გავრცელდა მთელ აღმოსავლეთში ნეოპლატონიზმის² სახელით. ეს ნეოპლატონიზმი, რომელიც, ჰეგელის თქმით, ზშირად აერთებდა თავისი მოძღვრებით სხვადასხვა ერთიმეორის წინააღმდეგ რწმენასა და შეხედულებას და ათანხმებდა ერთიმეორის მოპირდაპირე მუსულმანურ და ქრისტიანულ სწავლათა იდეალისტურ შეხედულებათა, წარმოადგენდა პლატონის ფილოსოფიის განყენებულ იდეათა სიმართლისა, ღვთაებრივი მშვენიერებისა და სიყვარულის შესახებ უმაღლეს წერტილამდე განვითარებას; მან, მესიანიზმისა, ბუდიზმისა, ბრამიზმისა და პარსიზმის შერეებით, წარმოშვა იდეალისტური მოძღვრება, რომელმაც სამუდამოდ დაამარცხა ბერძნული ფილოსოფიის ანთროპომორფიზმი და განდევნა ანტიკური ფილოსოფიიდან ღვთაებობის ატრიბუტების შესახებ სწავლა. ნეოპლატონიზმის ღრმა აზროვნება გამოიხატა სიმართლის იდეის განვითარებაში.

ამ ნეოპლატონიზმს უნდა ჰქონოდა ყველაზე უფრო მდიდარი ნიადაგი საქართველოში, რომელიც, როგორც ვიცით, გარდაიქცა ბრძოლის ნამდვილ ასპა-

¹ არანაკლები ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ, ვეფხისტყაოი, რომელსაც ატარებს ტარიელ სარიდანის ძე, არის აგრეთვე რუსტემ პილოტანის სამოსელიც, და როგორც ჩვენ უკვე გავაღვლეთ წითელი ხაზი ამ ფაქტს, ვეფხის ტყავს, რომლის სახელსაც ატარებს რუსთველის უკვდავი ქმნილება, რუსტემ პილოტანის ბაბრახიანთან შედარებით, მეტი სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს, რადგან ვეფხი «ვეფხისტყაოსანში», რომლის ტყავისაგანაც ტარიელს «ტანასა კახა ემოსა», უკვე უღამობელის მიჯნურის განსახიერებაა, იხ. «შაჰ-ნამეს» ვერსიები, წინასიტყვა, გვ. XXXIII.

² ნეოპლატონიზმის შემქმნელი იყო ალექსანდრიელი ს ა კ ა ს ი, რომელიც გარდაიცვალა 242 წელს. მის საუკეთესო მოწაფედ ითვლება პ ლ ო ტ ი ნ ი.

რეზალ კულტურული ბატონობისათვის ორ მეტოქეს — მუსულმანურ სპარსეთ-არაბეთსა და ქრისტიანულ ბიზანტიას შორის; ამ მეტისმეტად საინტერესო მოძღვრებამ, რომელმაც ახალი სული ჩაუდგა სოკრატისა და პლატონის ანტიკურ ფილოსოფიას, ფრიად დიდი გავლენა იქონია მთელს ქრისტიანულ ფილოსოფიაზე და მასთან ერთად საქართველოს ფილოსოფიაზე, — იმ საქართველოსა, რომელსაც ისეთი მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, ამ განახლებული ფილოსოფიის მეორე სამშობლოსთან, და ყველა განათლებული სახელმწიფოს კულტურათა მესვეურ არაბეთთან; კულტურულ მიზნებში ბიზანტიასა და აღმოსავლეთთან მეტოქეობამ და განათლების საქმის ჩინებულად მოწყობამ XII საუკუნეში საქართველოსთვის ოქროს ეპოქის შემქმნელების დაერთ აღმაშენებლისა და თამარის მეფობაში—ყოველივე ამან ის ნაყოფი გამოიღო, რომ საქართველო გადაიქცა მთელი იმდროინდელი ფილოსოფიის ნამდვილ საღაროდ და, მაშასადამე, საუკეთესოდ შეითვისა ნეოპლატონური სწავლა-მოძღვრებაც.

მართლაც, ჩვენ ვამჩნევთ ამ ქართულის სწავლა-განათლების აყვავების ხანაში ნეოპლატონიზმის მიმდევართა მთელ წყებას. ჩვენს წარსულს ამოვს და ამშვენებს ისეთი სახელები, როგორცაა იოანე პეტრიწი¹, დაერთ აღმაშენებლის თანამედროვე ფილოსოფოსი და სწავლული, რომელმაც დიდი დევნა აიტანა ბერძენთა და ქართველთაგან ნეოპლატონიზმის მიმდევრობისათვის, — იოანეს მოწაფე, ეფრემ მცირე, რომელსაც მიაწერენ დიონისი არეოპაგიტის თარგმანს²—გიორგა ჭყონდიდელი, არსენ იუალთოელი და სხვები.

ამ სკოლას ეუთვნის პოეტი ფილოსოფოსი, «ვეფხისტყაოსნის» შემქმნელი, ჩვენი შოთა რუსთველიც.

მაგრამ არც ერთ იმ დროის ფილოსოფოსს არ დაუტოვებია ჩვენთვის ისეთა უკედავი ძეგლი, როგორც არის შ. რუსთველის «ვეფხისტყაოსანი». ეს წიგნი იმდროინდელი საქართველოს ნეოპლატონისტურ შეხედულებათა საუკეთესო გამოსახულებაა.

იმ საუცხოო აფორიზმებსა და პოეტურ ფიგურებს გარდა, რომლებიც გვაგონებს ანალოგიურ ადგილებს «ვისრამიანიდან», ჩვენ არა ერთგზის ვხვდებით მის უკედავ ქმნილებაში პლატონისა, დიონისი არეოპაგიტისა³ და, მათთან ერთად, სხვა ფილოსოფოს-ნეოპლატონიკოსთა ბრძნულ აზრებს⁴. ნეოპლატონური იდეებით გაქლენილია ამ ნაწარმოების ყველა საუკეთესო ადგილი⁵. საქმაოა, აღვნიშნოთ აეთანდლისაგან პოვნა ტარიელისა, უკანასკნელის მიერ ლომ-ვეფხის და-

¹ იოანე მოქალაქობდა პეტრიწონს ბოლგარეთში, რის გამო ეწოდა მას ეპითეტი პეტრიწონელი.

² Н. Марр. Из книги царевича Баграта — ИАН, X, 1889, 234.

³ დიონისი არეოპაგეტი ძლიერ მოწონებული უოფილა ქრისტიან ნეოპლატონიკოსთა შორის; მას ხშირად ახსენებენ XII საუკუნის ქართველი მწერლები ერთი V საუკუნის ცნობილი საეკლესიო მწერლის ენოსის გვერდით; ეს ენოსი იყო ნეოპლატონიკური სკოლიდან: იგი იყო აღექსანდრიელი ნეოპლატონიკის ჰიეროკლესის მოწაფე (იხ. Н. Марр. ТР., IV, გვ. 41, შმშ., 1).

⁴ ამგვარი აზრები, ანუ აფორიზმები (ბერძნ. აფორიზმი) პოეტს შეეძლო ესესხებია იმ დროის ქართულად ნათარგმნი წყაროებიდანაც, ასე, მაგ., ჩვენს საგანძურში მოიპოვება მე-11—12 ს. ხელნაწერები, რომლებიც წარმოადგენენ მსგავსივე აფორიზმების მდიდარ კრებულს.

⁵ ამჟამად უკვე სავსებით გადაშლილია ნეოპლატონიზმის გავლენა XI—XII ს. საქართველოზე და თვით წყაროც, საიდანაც სესხულობს ნეოპლატონურ ფრაზებს პოეტი. იხ. Н. Марр. Иоанн Петрицкий да Витязь в барсової коже, § 10, Культ женщины и рыцарство в поэме. — ТР, XII, გვ. XLV—XLVIII.

ხოცვის დროს და მათი საუბარი (ხ.ხ. 816, 820 [881, 885]) და ანდერძი, რომელშიაც ავტორი ნეოპლატონურად აფილოსოფოსებს თავის გმირს ავთანდილს (იხ. ხანანი: 725, 735, 737, 745 (788, 798, 808)), ხოლო თვით გამოყვანილი, — ეს უსაზღვროების გრძნობის დამახასიათებელი სიყვარული, რომელიც სამარის იქითაც კი ეძებს უსაზღვრო სიტკბობა-ნეტარებას სატრფოსთან შეერთებისაკენ მისწრაფებაში (იხ. 1230—1233 [1303—1306]) ამ დიდებული ნაწარმოების მთელი ჭახრაკის ამამოძრავებელი, განმაცოცხლებელ ჭეველად მიმდინარე პოემის მთელს შინაარსში, — ყველაზე მჭვრემტყველური საბუთი არ არის იმისა, რომ ჩვენი პოეტი ეკუთვნის ნეოპლატონურ სკოლას?

მაშასადამე, ეს ფაქტიც, სხვათა შორის, გვიჩვენებს, რომ «ფეფხისტყაოსანის» ფაბულაში უნდა მომხდარიყო ძირითადი ცვლილებები პოეტის მსოფლმხედველობის გაელენით, და პირვანდელი მისი ფაბულა — უფერული მოთხრობა ირანის ზღაპრულ გმირთა შესახებ — უნდა გადაქცეულიყო დიდი გენიის ქმნილებად, რომელიც შეიცავდა თანამედროვე კულტურულ მიმდინარეობათა მთელ ნაყოფს. ამ აზრით შოთა რუსთველი უნდა ჩაითვალოს თავისი დროის საუკეთესო გამომხატველად, რომლის მიმართულეც ხასიათდება საქართველოს ისტორიის ოქროს ეპოქის ძველის რაინდული სულის იდეალისტურა სწავლა-მოძღვრების სულთან შეერთებით.

ამნაირად, პოემის სიუჟეტის განხილვა ცხადყოფს შემდეგს: იმ მიზნით, რომ ავტორს დაეხატა, წრფელი რაინდული სიყვარული, რომელსაც სარჩულად გმირობა და ვაჟკაცობა ედევ, მას (რუსთველს) აუღია რაღაც უძველესი «ბაჰრამიანის» ტიპის აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ხელმწიფეების შესახები არაბულ-სპარსული სადევგმირო ზღაპარი, რომელიც ფართო ადგილს აძლევდა პოეტის შემოქმედების ნიჭსა და განუსაზღვრელ გრძნობას, და აუყვანია იგი, თავისი საკუთარი გენიის წყალობით, მხატვრობის უმაღლეს ხარისხამდე. რუსთველმა საესებით მიაღწია თავის მიზანს, და ეს უბრალო ზღაპარი, რომლის თავგადასავალი წარმოადგენდა დევებსა და ავსულებთან ბრძოლას, აქცია უკვდავ ნაწარმოებად, ნამდვილ ეპოპეად, რომელსაც, საუკუნეების განმავლობაში ასე მწყურვალევით ეწაფებოდა ქართველი ერი.

ქ ა ნ ა რ თ ი

გიგლიოზგრაფიული ცნობები

„ვეფხისტყაოსნის“ ახალ გამოცემათა შესახებ

I

«ვეფხისტყაოსანი» დღემდის წარმოადგენს ქართული მწერლობის ისტორიაში მეტისმეტად რთულსა და ძნელ მოვლენას. 20 წლის განმავლობაში დამისტამბავს რამდენიმე ნაშრომი. რა თქმა უნდა, ჩვენ მივადწიეთ სასურველ შედეგებს ენის შესწავლის მხრითაც. ტექსტის ბევრი ჩვენამდე სრულიად გაუგებარი ადგილი, — სიტყვები თუ ტერმინები, — დღეს ზედმიწევნით შესწორებული, ახსნილი და განმარტებული გვაქვს, როგორც ამ საგნის შესახებ გამოკვლევებში, ისე ლექსიკონში.

ნაწარმოების ენის შესწავლის ნიადაგზე შესაძლებელი შეიქმნა პოემის ტექსტის, — ნამეტურ მისი საუკუნეების განმავლობაში წარყვნილი ადგილების — აღდგენა, და უოველივე ამან, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო ჩვენ მიერ, რამდენადმე მაინც, კრიტიკული ტექსტის გამომუშავებას...

საჭიროდ ვრაცხთ მოკლედ მაინც აღვნიშნოთ, თუ რა პირობებში მოგვიხდა ჩვენი პოემის ტექსტის შესწავლა და გამოქვეყნება.

II

რომ ჩვენ აზრად გვეონდა საკუთარი რედაქციის კომენტარებითა და შენიშვნებით გამოქვეყნება, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საშუალებით, დღემდის დაპირებადვე დარჩა.

ამის მიზეზი შემდეგი იყო: საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, წინააღმდეგ ჩვენი დაპირებისა, 1912 წლის გაზაფხულს გადაწყვიტა თვითვე დაესტამბა «ვეფხისტყაოსანის» ტექსტი ჩვენს საგანძურებში არსებული ყველა ვარიანტით.

ამ საკითხის გადაწყვეტის დროს მთავარ მოსაზრებად ის იყო დასახელებული, რომ ერთი კაცისთვის ამგვარი მოვალეობის დაკისრება შეუძლებელი იყო; ასე თუ ისე, ჩვენ სრული სოლიდარობა გავაცხადეთ და, სხვებთან ერთად, მოვისურვეთ პოემის ტექსტის საგამომცემლო მუშაობაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი შეიქნა, რადგან არ ხერხდებოდა ყველას ერთად თავი მოგვეყარა და, მართალი გითხრათ, ვერც ერთ იმ ორჯერ თუ სამჯერ გამართულ კრებაზე, რომლებიც ამ მიზნისთვის იყო დანიშნული, მე ვერ მოვხვდი.

ამ გარემოებამ მაიძულა, როგორმე საკუთარი ძალ-ღონით გამომეცა პოემის ტექსტი, მაგრამ, რადგან მე პირადად არავითარი სახსარი არ მომეძიოდა, ამიტომ 1913 წლის იანვარში გავმართე ჩემ მიერ დასამზადებელ რედაქციაზე ხელის მოწერა. პირველში საქმე კარგად მიდიოდა, რადგან ორი თვის განმავლობაში ხელის მომწერთა რიცხვი უკვე ათასამდე ავიდა.

მაგრამ მალე ერთმა დაბრკოლებამ შეაფერხა საქმე. სახელდობრ, სამი-ოთხი თვის შემდეგ, მსგავსივე ხელის მოწერა გამართა სარგის კაკაბაძემ, რომელიც ჰპირდებოდა ხელის მომწერლებს ბევრად მეტს, ვიდრე ჩვენ. ამავე დროს გამომცემლობაც, რომელთანაც ჩვენ საქმე დავიჭირეთ, ვერ გამოდგა საქმაოდ პირიანი...

ამას დაერთო ისიც, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ, მდივნის ს. გორგაძის წინადადებით, დაადგინა:

«ვეფხისტყაოსანის» ხელნაწერების სარგებლობა შეუძლიან მხოლოდ იმას, ვინც საზოგადოების გამოცემისათვის იმუშავებს».

ამან თითქმის შემაწყვეტინა დიდი ხნის დაწყებული მუშაობა ხელნაწერებზე...

ჩვენმა გამოცემამ აღუძრა ახალგაზრდა პავლე ინგოროყვას უკეთესი გამოცემის სურვილი და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასაც, რომელმაც ზემორეაღნიშნულ დაბრკოლებათა გამო, ვერ მოახერხა თვით გამოეცა საკუთარი რედაქცია, ერთხმად გადაწყვიტა მიეღო ბ. პავლე ინგოროყვას წინადადება, და კიდევ დაამტკიცა მის მიერ წარმოდგენილი გეგმა, რომელიც სხვადასხვა მიზეზისა გამო, დღემდის ვერ იქმნა განხორციელებული.

სამწუხაროდ, ეს ჩვენი «ვეფხისტყაოსანის» 22-ე გამოცემა, რომლის შესახებ

ბაც დღეს ჩვენთვის, ბევრ კარგთან, არასასურველი ხმაც არის გავრცელებული, დღემდის კრიტიკის მიერ ისევე ხელუხლებელია. აიხსნება ეს იმით, რომ საგანს ძალიან ცოტა იცნობს თვით სპეციალისტებშიაც კი.

ეს წიგნი წარუდგინე კომპეტენტურ პირებს წერა-კითხვის საზოგადოებაში საპრემიო თხზულებად, შესაფერი შესწორებით და შენიშვნებით. იქაც, რადგან უკეთესი რედაქცია არ აღმოჩნდა, ჯილდოდ გადამიწვევითეს ნ. ლოლობერიძის პრემია და იქვე გამოითქვა სურვილი, დასტამბულიყო ჩემი რედაქციით ახალი შესწორებული გამოცემა საზოგადოების ხარჯზე. მალე, ამის შემდეგ, წ.-კ. საზოგადოების საგამომცემლო სექციაში აღიძრა «ვეფხისტყაოსნის» ახალი გამოცემის საკითხი. რადგან მსურველი არსაითგან ჩანდა, და მეც ახალი შესწორებული და შეესებოდა რედაქცია უკვე დამზადებული მქონდა¹, ამიტომ მივეცი განცხადება სექციის თავმჯდომარეს ბ. თეოდ. კიკვაძეს გამოეცათ «ვეფხისტყაოსნის» ტექსტი ჩემი რედაქციით.

ეს საკითხი გარჩეული იქმნა ერთ სხდომაზე, რომელსაც დაესწრო, სხვათა შორის, ბ. პავლე ინგოროყვაც, რომელმაც განაცხადა: «ბ. აბულაძის გამოცემა არ ვარგა, კომპეტენტური პირები ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, აკ. შანიძე და სხვები ძალიან დაბალი აზრის არიან მის შესახებო», და ამასთან დასძინა: «სად არიან, რომ არ დასწრებიან კრებას, ბ.-ები ექვთიმე თაყაიშვილი, სერგო გორგაძე და სხვები, თუ დაისტამბება, «ვეფხისტყაოსანი», ისევე კარიჭაშვილის რედაქციით უნდა დაისტამბოსო. ბ. კარიჭაშვილიც, რომელიც აქვე ბრძანდებოდა, საესებოთ იზიარებდა ბ. ინგოროყვას აზრს. ამის შემდეგ დანიშნულ მეორე კრებას ამავე საკითხის შესახებ დაესწრო ბ. სერგო გორგაძეც, რომელმაც მხარი დაუჭირა ბ. პ. ინგოროყვას აზრს და არასასურველად მიიჩნია ჩემი გამოცემის დასტამბვა, და ამ შემთხვევაშიაც პირველობა ბ. დ. კარიჭაშვილს ხელა წილად.

ყველა ამის შემდეგ გავიდა თითქმის 3 წელიწადზე მეტი, მაგრამ «ვეფხისტყაოსნის» გამოცემის მსურველი არსად ჩანდა და როდესაც 1919 წელს, სექციის თავმჯდომარის წინადადებით, მე განცხადება შევიტანე ჩემი რედაქციით «ვეფხისტყაოსნის» გამოცემის შესახებ, ბ. დ. კარიჭაშვილმა წამოაყენა თავისი პრიორიტეტის უფლება ამ შემთხვევაში და, რა თქმა უნდა, ჩემი გამოცემის საქმეც ჩაიშალა.

ამნაირად დაისტამბა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ «ვეფხისტყაოსნის» ახალი გამოცემა დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით, 1920 წელს.

ბ. დ. კარიჭაშვილის ხსენებული რედაქციის გამოქვეყნების შემდეგ ჩვენთვის ცხადი შეიქნა ის, თუ რას ნიშნავდა ბ. კარიჭაშვილის მიერ პრიორიტეტის უფლების წამოყენება, ერთი მხრით, და მის მიერ ჩვენი რედაქციის შესახებ უარყოფითი აზრის გამოთქმა, მეორე მხრით. სახელდობრ, ამ გამოცემის საშუალებით ბ. კარიჭაშვილმა შეენიერად შეძლო ჩვენზე ადრე ესარგებლა ისეთი ჩვენი ნაშრომებით, როგორცაა: 1. «შესწორებანი და შენიშვნანი 22-ე გამოცემის შესახებ, კრიტიკული ტექსტის რამდენიმე ნიმუშით» (1914 წელი). 2. «ვახტანგ

¹ იხ. ამის შესახებ ჩვენი «ვახტანგ VI გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია, შესწორებანი და შენიშვნანი «ვეფხისტყაოსნის» 22-ე გამოცემის შესახებ პოემის შესავალის კრიტიკული ტექსტით, 1920 წ.

VI გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია პოემის შესავლის კრიტიკული ტექსტით» (1917 და 1920 წ.). ეს უკანასკნელიც ცალკე წიგნაკადაც 3 თვით ადრე გამოვიდა ბ. კარიჭაშვილის ხსენებულ გამოცემაზე. 3. «ვეფხისტყაოსნის» 22-ე გამოცემა ი. აბულაძის რედაქტორობით.

დ. კარიჭაშვილს საშუალება მიეცა შეეტანა საუკუნეების განმავლობაში წარყვნილი ტექსტის ისეთი შესწორებანი, როგორცაა: «მიშერი», «პირ-ოქრო», «გუჰარი», «სარათანი», «გაწლობილი» და სხვა, რომლებიც მის ძველ რედაქციას ეუცხოება, და ჩვენი მრავალწლოვანი მუშაობისა და დაკვირვების ნაყოფია. ბ. დ. კარიჭაშვილი კი ერთხელაც არ ასახელებს ხსენებულ ნაშრომებს, საითგანაც მას, უოველ ეჭვს გარეშეა, ბევრი რამ აქვს ნასესხები. მიუხედავად ყოველივე ამისა, ბ. დ. კარიჭაშვილს ტექსტის ბევრი ადგილი, ძველ რედაქციებთან შედარებით, კიდევ უფრო ნაკლებსასურველი სახით აქვს დასტამბული....

„ვეფხისტყაოსნის“ 26-ე გამოცემის წინასიტყვაობა და შენიშვნები

წინასიტყვაობა

«ვეფხისტყაოსნის» 26-ე გამოცემა წარმოადგენს 1914 წელს ჩვენი რედაქციით დასტამბული 22-ე გამოცემის ტექსტის ჩვენს საგანძურებში არსებულ ხელნაწერებზე ხელახლად შემოწმების ნაყოფს და ამიტომ ამასაც, ისე როგორც პირველს, საფუძვლად უძევს ვახტანგ VI-ის გამოცემა.

22-ე გამოცემის რედაქტორობის დროს ვეღარ მოვასწარიტ მასში ყველა შესწორების შეტანა და ტექსტის სასურველად გაწმენდა აშკარა ჩანართებისაგან და აგრეთვე, ვარიანტების მიხედვით, პოემის ენის შესწორება.

ძლიერ გვაჩქარებდა როგორც სტამბა, ისე ხელის მომწერლები და ყოველივე ეს ნებას არ გვაძლევდა გულდასმით შეგვემოწმებია კორექტურული ფურცლები ორიგინალზე.

ამ სიჩქარესა და გაფაციცებით მუშაობას უნდა მიეწეროს ისიც, რომ შეცდომით დაისტამბა ხელნაწერების და ვარიანტების აღსანუსხავე ციფრები.

ამავე მიზეზების გამო, ტექსტში ვერ შევიტანეთ ყველა შესწორება: დაგვრჩა ხელუხლებლად, ანუ უკეთ, ისევ ვახტანგის რედაქციის მიხედვით დაისტამბა ტრადიციული შეცდომები, რომლებიც ამ 20—25 წლის წინათ უკვე შესწორებული გვექონდა.

მხოლოდ იმით ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი 22-ე გამოცემით ჩვენ წავდგით ნაბიჯი წინ ტექსტის გაწმენდაში, სახელდობრ, არსებულ ხელნაწერებზე შევამოწმეთ ვახტანგის გამოცემის ტექსტი და სქოლიოში მოვათავსეთ ის ხანები, რომლების ჩანართობას ადასტურებდა ჩვენს საგანძურებში არსებული ხელნაწერები. მხოლოდ ისევ გულს გვიწვირებდა ტექსტში დარჩენილი ზოგიერთი ჩანართი ხანა, რომლების განდევნასაც აგრეთვე მოითხოვდა №№ 4988 და 363 ხელნაწერები (აქვე: «ვეფხტყ». ხელნაწ., გვ. 142-143).

ამ ახალი გამოცემით, ერთი მხრით, ჩვენ ხელახლად შევასწორეთ 22-ე გამოცემის ტექსტი არსებულ ვარიანტებზე შემოწმების საშუალებით და სათანადო ორთოგრაფიის შეტანით, ხოლო, მეორე მხრით, გავწმინდეთ პოემის ტექსტი მხოლოდ ზოგიერთი აშკარა ჩანართების სქოლიოში ჩატანის საშუალებით.

დასასრულს ჩემ მოვალეობად ვრაცხ მსურველად მადლობა გამოვეუცხადო ყველას, ვინც გამიადვილა როგორც ხელის მოწერის გავრცელებით, ისე პირადი დახმარებით ამ წიგნის გამოცემა.

«ვეფხისტყაოსნის» ხელნაწერები¹

როგორც უკვე ვთქვით, ამ ჩვენი გამოცემის ძირითადი ტექსტი წარმოადგენს ვახტანგის რედაქციის ტექსტის ჩვენს საგანძურებში არსებულ ხელნაწერებზე შემოწმების ნაყოფს. ამიტომ, ტექსტის გასაცნობად, საჭიროდ ვრაცხ აქვე წარმოვადგინო ვახტანგის რედაქციისა და ჩვენს საგანძურებში არსებული ხელნაწერების აღწერილობა.

I. ვახტანგ VI გამოცემა

ვახტანგ VI გამოსცა «ვეფხისტყაოსანი» 1712 წელს ქ. თბილისში. იგი შეიცავს, სულ 1591 ხანას. ნუმერაციით ნაჩვენებია 1569 ხანა, მაგრამ აღრიცხვაში გამორჩენიათ 54 და 155 [92 და 213] ხანები. შესავლისა და ბოლოს მინაწერი ხანები ამ რედაქციაში დაცულია იმ სახით, როგორც ეს ცნობილია ყველა დასტამბულ გამოცემაში. მასში სრულიად არ მოიპოვება ქართველიშვილის გამოცემის ორი ხანა: 587, 1490 [1493, 1439 [585, 1514]. გამოცემის უმთავრესი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მას არა აქვს XVII საუკუნის ჩანართი ხანები და გაგრძელებანი.

II. 4732 ეგრეთწოდებული არტანუჯული რედაქცია

ზომა 34×12 სანტ., მუყაოს ყდით, ტყავგადაკრული, გადაწერილია ქალაქ ლამაზი მრგვალი მხედრული ხელით. სათაურები და თითოეული ხანის პირველი სიტყვა წერია წითელი მელნით, დანარჩენი ტექსტი—შავით. ხელნაწერი შეიცავს 324 გვერდს. სულ არის 1604 ხანა. ხელნაწერის დასასრულში მოთავსებულია შემდეგი საინტერესო ბოლომინაწერი:

«თუმცა იყვნეს წიგნი ვეფხის-ტყაოსნობით ქმობილნი საქართველოსა შანა ბეჭდილნი და ჯელ-წერილნიცა, გარნა ფრიად გარყუნილნი და არად საქმარნი, ამისათვის მისცემოდა გულსმოდგინება თავადს სტატსკი სოფეტნიკს და კავალერს თუმანოვს გიორგი ეგნატეს ძეს, და მოეპოვა უძველესი ხელნაწერი ვეფხის ტყაოსანი კერძოთა არტანუჯისათა, და ესე მე პეტრე ყარიბმან ლარაბემან მრავალითა შრომითა და ლუაწლის დადებითა მუნით გადმოვსწერე იანვრის ა-სა დღესა, ჩუკხ-სა წელსა.

ქელი მშრომელის მიწოდების.
ხოლო შრომილი მისი პშთების».

ამნაირად, ამ ბოლომინაწერის მოწმობით, ხელნაწერის გადაწერა დასრულებულა 1827 წ. პირველ იანვარს ცნობილის კალიგრაფისა და მელექსის პეტრე ლარაბის ხელით. ხელნაწერი, გადამწერელისავე მოწმობით, წარმოადგენს პირს

¹ გადმობეჭდილია 22-ე გამოცემის შესავლითგან შესწორებულად და შეესაბუნებულად.

უძველესი ხელნაწერისას, რომელიც «მოეპოვა სტატსკი სოვეტნიკსა და კავალერს თავად გიორგი ეგნატეს ძეს თუმანოვს კერძოთა არტანუჯისათა». ამ ხელნაწერს დართული აქვს ლექსიკონი შემდეგი ბოლომინაწერით:

«განმარტება ლექსთა ამთ, რომელნიც უკმარნია ბრძენსა მას შოთა რუსთველსა, თვისა ამას შრომილსა ვეფხის ტყაოსანსა შინა, რომელნიცა ვიეთთაგანმე მძიმედ საცნობელ და მისახდომ იქნებიან, ამისთვის აქ ანბანსა ზედა ასხმულ არიან ლექსნი იგი მისგანვე განმარტებითა თვისითა, მხილველთაგან ადვილ მისახდომელად; ხოლო მრავალთა უწყყიან და არა საქმარ არს მათთვის განმარტება ლექსთა და ესე შრომა დაძმთების მათთვის, რომელთაცა საქმარ ექმნების. ესრეთ ეწერა უძველესსა და ძნელად აღმოსაცნობელსა დედანსა შინა».

რომ შევუდართ ეს პ. ლარაძის მოწმობით «მხარეთა არტანუჯისათა» მოპოვებული ხელნაწერი ვახტანგის მიერ 1712 წელს გამოცემულ «ვეფხისტყაოსანს», შემდეგი სურათი წარმოგვიდგება.

ვახტანგის რედაქცია შეიცავს სულ 1591 ხანას, როგორც ეს ზემორე აღენიშნეთ, პეტრე ლარაძის გადაწერილი კი — 1604 ხანას, ე. ი. ვახტანგის რედაქციასთან შედარებით, მასში მოაპოვება კიდევ 17 ახალი ხანა. დანარჩენში, ე. ი. როგორც შესავლის, ისე ბოლოს მინაწერის ხანების მხრით, ეს ხელნაწერი ვახტანგის რედაქციასთან შედარებით, არაერთარ განსხვავებას არ წარმოგვიდგენს. პ. ლარაძის ხელნაწერის მეტი ხანებითგან კი, მათი სტილისა და შინაარსის მიხედვით, შეიძლება ზოგი მიღებულ იქმნას ნამდვილ ხანებად, ზოგი კი — ვახტანგის რედაქციის შემდეგი დროის ჩანართად. ამ ძველისძველის რედაქციის ახალი ხანებით შევსებაში მეტი წილი უნდა ედოს გიორგი თუმანიშვილს და შემდეგ თვით ლარაძესაც. ამასთან ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ხანები 493, 525 [618] და 1439 უნდა გამოჩნდნოდეს ვახტანგის რედაქციის დედნის გადამწერს, რადგან ისინი, როგორც სტილის, ისე შინაარსის მხრით, რუსთველის ენის შესატყვისნი არიან. ისეთი ხანები კი, როგორცაა საგანგებო კომისიის მიერ არჩეული და შეტანილი, როგორც მაგალითად 74¹, 103¹ ხანები და ყველა დანარჩენი (641¹, 1502¹), როგორც სტილის სიახლით, ისე შინაარსით, სხვა ხელნაწერებთან ჩანართი უნდა იყოს იმ რედაქციის გადამწერლების ხელით, რომლისაგანაც შემზადდა ვახტანგის 1712 წ. გამოცემული «ვეფხისტყაოსანი». რომ ვახტანგის რედაქცია და ეგრეთწოდებული არტანუჯში მოპოებული პ. ლარაძის რედაქცია ერთისა და იმავე დედნის პირს წარმოადგენენ, ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ამ ორის რედაქციის ის საერთო ხანები, რომლებიც მათ განასხვავებენ 1646 წ. № 559 და სხვა მსგავსის ტიპის რედაქციებისაგან; ამგვარებია: 135¹, 162¹, 175¹, 560¹, 909¹ და 1130¹.

თუ სახეში მივიღებთ პ. ლარაძის ცნობას იმის შესახებ, რომ პ. ლარაძის გადაწერილი «ვეფხისტყაოსანი» უძველესი და შეურყენელი რედაქციის პირს წარმოადგენს და იმ გარემოებას, რომ სხვა გაგრძელების მექონის რედაქციების, როგორც ჩანართი, ისე გაგრძელების ხანები, სტილისა და ლექსის მხრით, რუსთველის ნაწარმოებს ფრიად ეუცხოება, სრულიად ბუნებრივი იქნება დავასკვნათ, რომ ვახტანგისა და არტანუჯის რედაქციები მართლაც არსებობდა და, მშასადამე, როგორც ვახტანგის რედაქცია, ისე პ. ლარაძის გადაწერილი «ვეფხისტყაოსანი», ერთისა და იმავე უძველესი რედაქციის პირს წარმოადგენენ. მართლაც, მცირეოდენი დაკვირვებაც საქმათა დაერწმუნდეთ, რომ ვახტანგის რედაქცია თავისი ხასიათით, ე. ი. ხარვეზებითა და სიმოკლით, ყველაზე უფრო წააგავს იმ რედაქციას, რომ-

მელსაც გამოუვლია მრავალი საუკუნე, რის გამო ზოგი ხანა დაჰკლებია გადაწერის დროს, ზოგიც ჩაჰმატებია.

აი სწორედ ამ საკითხის გამოსარკვევად, თუ რა ჩაჰმატებია ამ რედაქციას ან რა დაჰკლებია, საჭიროა გაცნობა იმ ხელნაწერთა, რომლებიც ვახტანგის რედაქციაზე დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ. ამიტომ აქ საჭიროდ ვრაცხთ წარმოვადგინოთ აღწერილობა ყველა იმ ხელნაწერებისა, რომლებიც მოიპოვება ჩვენს საგანძურებში და რომლებიც თავიანთი შედგენილობით შესამჩნევ სხვადასხვაობას წარმოადგენენ.

ამ მხრით ყველაზე საინტერესოა წ.-კ. ს ა ზ . № 2829 ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი, რომელიც თავის პირველ ნაწილში იცავს უძველესი რედაქციის სახეს. ვიწყებთ ამ ხელნაწერის აღწერით.

III. წ.-კ. ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს № 2829 ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი

ზომა 26, 5×20 სანტიმ., გადაწერილია ლამაზი მრგვალი მხედრული ხელით გაქონილ ქალაღზე; ქალაღის ფილიგრანი წარმოადგენს ფიცარს, რომელზეც ზევით გვირგვინია, ქვევით უურძნის მტევანი. სათაურები და თითოეული ხანის პირველი სიტყვა წერია წითელი მელნით, დანარჩენი ტექსტი კი—შავით. ხელნაწერი შეიცავს 233 ფურცელს, წინათ ყოფილა 235. ხელნაწერი ძალიან დაზიანებულია: შევტყავაგადაკრული კარტონის უდა დაგლეჯილია, ფურცლები არეულ-დარეული, ნამეტურ დაზიანებულია პირველი და უკანასკნელი ფურცლები, ალალბედზე გადარჩენილა სულ ბოლოს მინაწერი ხანა, საიდანაც ჩანს, რომ ხელნაწერი გადაწერილია მეფის ირაკლი პირველის სახლთუხუცესის პაპუა ბებურიშვილის-თვის 1688 წელს.

«ბებური: შვილს: ღ-თმან: აჰმაროს: პაპუა: სახელიანი:

ერეკლეს: სახლთ: უხუცესათ: ბრძანდების: სამართლიანი:

ბატონის: შვილი: ერეკლე: მოწყალე: დავლათ: სვიანი:

და ქორანიკონი: ჯდებოდა: ტარი: ონი: ვინიანი».

თავის შედგენილობით ყველაზე უწინ უურადლებას იქცევს შესავალი, რომელიც იწყება ვახტანგის რედაქციასთან შედარებით, ჩვეულებრივი ზედმეტი ხანით:

«(პირველ) თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,

(უკმობთ) ვეფხის ტყაოსნობით, არსსა შეიქს ჯორცს არ სულად

(საერთა), არ აქსენებს სამებასა ერთ-არ სულად,

(და თუ უყუროს) მონაზონმან, შეიქმნების გაბასრულად».

მას მისდევს ცნობილი ხანა «რომელმან შექმნა სამყარო»...

ამ ხანის შემდეგ, ვახტანგის რედაქციასთან შედარებით, აკლია 7 ხანა, სახელდობრ: მიჯნურის ლოცვა, თამარისა და მისი მეუღლის დავით სოსლანისა და ტარიელის შესახები ხანები ამ ხელნაწერმა არ იცის. ამნაირად, ხანას, «რომელმან შექმნა სამყარო», მისდევს ხანა:

«მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი.»

ამას გარდა ამ ხელნაწერში ჩვენი რედაქციის შესავლის XXII [22] ხანის შემდეგ ჩვენ ვხვდებით, სხვათა შორის, ერთ ჩანართ ხანას, რომელიც წინააღმდეგ ვახტანგ VI გამოცემისა, შეტანილია № 599-შიაც:

«მას ცოცხალი ნუ ელევის, რაცა პირველ შეუყვარდეს,
ნურცა ლხინსა აუზუადდეს, ნურცა ჭირსა შეუზარდეს:
მისთვის დასთმოს ყუელაკაი, მისთვის ეელთა გამოვარდეს,
და ნურა გავა, სოფელიცა მისი კერძი გარდაქარდეს»,

და კიდევ 3 ხანას, რომლებიც, სტილის მიხედვით, XVII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ამნაირად, როგორც ამ მოკლე აღწერიდგან ჩანს, ამ ხელნაწერთა დაცულია ერთი ყველაზე მოკლე შესავალი, სადაც 7 ხანა, სახელდობრ: მიჯნურის ლოცვა, დავით სოსლანისა და თამარისა, და ტარიელისა და სამის მნათობი გმირის შესახები ხანები არ გვხვდება; ამ მხრივ, ჩვენი ხელნაწერი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა თვით პოემის ტექსტი; ხელნაწერი, ვარიანტების მხრით ძნელი სანდობია, რადგან იგი გადაწერის მხრით, ძალიან ცუდად არის შესრულებული; ახალ რედაქტორს, რომელსაც ხელთ ჰქონდა ერთი უძველესი ხელნაწერთაგანი, შეუცვლია და განუახლებია ტექსტის ენა, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ. ამავე რედაქტორის კალამს უნდა მივაწეროთ ახალი ჩანართი ხანებისა და გაგრძელების წაბმა, რომლითაც ცნობილია XVII საუკ. ყველა ხელნაწერი, გარდა ზემორედასახელების ვახტანგისა და ეგრეთ წოდებული არტანუჯის რედაქციებისა.

ტექსტი ურადლებას იქცევს იმ მხრით, რომ მასში არ მოიპოვება ზოგიერთი ხანა, რომლების ჩართვა პოემის ტექსტში უძველეს რედაქტორს უნდა ეკუთვნოდეს. ამ ხელნაწერის შესავალსა და ბოლოს მინაწერ ხანებზე სხვა ალაგას გვექნება მსჯელობა.

აქვე წარმოვადგენ იმ ხანათა ჯგუფს, რომლებიც ამ ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერში არა გვხვდება და რომლებიც ვახტანგისა და ყველა სხვა რედაქციებში შემდეგში უნდა იყოს შეტანილი. ზოგი ამათგანი, რასაკვირველია, შემთხვევითაც შეიძლება გამორჩენოდეს გადამწერს და ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საკუთარი ლოლიკით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ყველა ის ხანა, რომლებიც, სხვა რედაქციებთან შედარებით, არ არის ამ ხელნაწერში, ნაჩვენებია ამ ჩვენი რედაქციის ძირითადი ტექსტის სქოლიოებში. (ერთი ამათგანის 573¹ ხანის (-608 [670]) ძირითადი ტექსტიდან განდევნა, მის მომდევნო 573² (= 609 [671]) ხანის მიხედვით, 22-ე გამოც. უხერხულად ვცანით):

1) შესავლის ხანები:

II, III, IV, V, VI და VII [2, 3, 4, 5, 6, 7].

2) პოემის ხანები: 25¹ 25², 27¹, 88¹, 122¹, 132¹, 573¹, 657, 728¹, 913¹, 1004¹ 1234¹ [57, 58, 61, 134, 174, 185, 670, 770, 846, 1048, 1142, 1389].

ახლა გადავხედოთ იმ ხანებს, რომლებიც აქ არის წარმოდგენილი, თუ რამდენად მართლდება მათი ჩანართობა.

ეს ხანები იმგვარი ხასიათის არის, რომ მათი განდევნა სრულიად არ წყვეტს მოთხრობის ძაფს: პირიქით, ისინი თითქო უკვე ნათქვამის განმეორებას წარმოადგენენ.

აეილოთ 25¹ და 25² ხანები.

25 [56] ხანაში ნადიმად მჯდომნი შეამჩნევენ მეფის დაღრეჯილობას და შეჰქმნიან გაოცებულ ლაპარაკს იმის შესახებ, თუ ნეტარ რა უმძიმს, რა სჯირს მეფესო.

ვანტანგისა და სხვა რედაქციებში ამას მისდევს 25¹ და 25² ხანებში მოთხრობილი ამბავი, რომ თავში აეთანდილ და მას შემდეგ ბერი სოგრატი, სხედან ამ ნადიმზე ერთად და ისინიც იტყვიან: ნეტარ რა უმძიმს მეფესა, ანუ რად ფერი ჰკრთომია, ალბათ, მეფე რალაც ეშმაკის ფიქრებს წაუღია, აქ მისი სადარდო არაფერი მომხდარაო, მოდი, გავეხუმროთ მეფეს, ვკადროთ სახუმარო რამ, ნუთუ არ მიიღებს ჩვენს გახუმრებასაო და გაგვაწბილებსო!

ჩვენი ხელნაწერის მიხედვით კი მხოლოდ ნადიმად მსხდომნი შექმნიან ცილობას, თუ ნეტარ რა უმძიმს, რა სჭირს მეფესაო; ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივია შემდეგი ხანა:

«ადგეს სოგრატ და აეთანდილ ტანითა მით კენართა,
თვითო აივსეს ჭიქები, მივლენ ქვევითა წყნართა,
წინა მოუსხდეს მუქლ-მოყრით პირითა მოცინართა,
და ვაზირი ლალობს ენითა, წყლიანად მოუბნართა».

აეთანდილის და სოგრატ ვეზირის პიროვნებაზე უკვე იყო ლაპარაკი, უფრო ადრე, მე-13 [44] ხანაში:

«მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა ხასისა.
აეთანდილ პირ-მზე სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა,
ვაზირი სოგრატ-მოახლე მეფისა დასთა დასისა,
და მათ რომე დასდგეს საჯდომი: თქვეს: — «უთქმელია ფასისა»-ო.

სრულიად მეტი იყო კიდევ ამის განმეორება.

25¹: ამასთან მელექსეს გაჭირებას უნდა მივაწეროთ ის, რომ აქ განმეორებულია სიტყვები:

«თქვეს თუ, რა უმძიმს მეფესა, ანუ რად ფერი ჰკრთომია».
«თქვეს თუ, მეფე, ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა....».

ამგვარად ეს ორი ხანა იმგვარი ხასიათისაა, რომ, მათი გამოტოვებით, მოთხრობის ძაფი სრულიად არა წყდება. შეიძლება ითქვას, ეს ორი ხანა რედაქტორის ან გადამწერის გამოტოვებული უნდა იყოსო, მაგრამ ამგვარი აზრის გამართლება შეუძლებელია: აქ გამოტოვებულია ორი ხანა და არა ერთი; ორ ხანაში ერთს შინც შენიშნავენ გადაწერის დროს. ცხადია, ეს ადგილი ერთ-ერთ თვით შოთას რედაქციაში უნდა ყოფილიყო იმ სახით, როგორც ჩვენს ძირითად ტექსტშია. შესაძლებელია, ეს ხანები პოეტის მეორე რედაქციაში თვით პოეტისავე ხელით იქმნა ჩამატებული. ამიტომ მათზე სამუდამოდ უარის თქმა შეუძლებელია. თუ ეს 2 ხანა ჩვენ სქოლიოდ გამოვიტანეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ აღგვედგინა უძველესი და ყველაზე მოკლე რედაქცია, რომელიც, შესაძლებელია, თვით პოეტს ეკუთვნოდეს. ამას გარდა, ამგვარის სისტემის საშუალებით, შესაძლებელი იქნება, საბოლოოდ გაიწმინდოს «ვეფხისტყაოსნის» ტექსტი.

ამგვარისავე ხასიათისა არის 27¹ ხანა, რომლის გამოტოვებითაც მოთხრობის ძაფი არ წყდება.

88¹ ხანა იმგვარი ხასიათისაა, რომ იგი 89 ხანის მომდევნო უნდა იყოს და არა მისი წინა:

ყმა თინათინს ჯერ კომპლიმენტს ეუბნება: «შენ მზე ხარ, ვინ გიშერი აწამ-წამეო» და შემდეგ კი ხელახლად იწყებს ლაპარაკს:

«აჰა, მზეო, რადგან ღმერთმან მზედ დაგბადა, მით გმორჩილოს, ზეციერი-მნათობია, რაცა სადა!» ანდა ჯერ 88' ხანაში ეუბნება სატრფოს:

«მე სიკედლილა მოველოდი, შენ სიციცხლე გამიწამე»
და მერმე კი საუბრის დაწყების კილოთი ამბობს:

«აჰა, მზეო, მე რომ შენგან მოვისმინე, წულობანი შედიდა».

ამას გარდა 89 ხანის დაწყება — «კვლაცა ჰკადრა» — უფრო საგულევებელია გულისხმობდეს 81' ხანის დასაწყისს: «ყმამან ჰკადრა», ე. ი. ყმამან 81-ე ხანაში ერთხელ ჰკადრა და აქ კვლაცა ჰკადრაო.

ყოველ შემთხვევაში, 88' ხანა იმგვარის ხასიათის არის, რომ მისი გამოტოვება მოთხრობის ძაფსა და მის ბუნებრივ მსვლელობას ხელს არ უშლის. ამიტომ სისტემისათვის რომ არ გვეღალატა, ჩვენ გამოვიტანეთ იგი სქოლიოში.

იგივე ითქმის 132' ხანის შესახებაც.

132 ხანაში ავთანდილს

«მიხვდა წვერი სადგურად მალღისა მთისა დიდისა».

მაშასადამე, ავთანდილი უკვე მთის წვერზეა მოქცეული, და ამის შემდეგ რა-ღა საჭიროა იმის თქმა, რომ იგი «ზედ წაადგა, შეექცევის, და დროთა დღეთა ანგარიშობს», დრო უკვე გამოანგარიშებულია 130-ე ხანაში: «წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა».

გარდა ამისა, 132' ხანაში რაინდი უკვე საგონებელში ჩავარდნილა:

«დროთა, დღეთა ანგარიშობს, თთვენი ესხნეს ორანილა,
ამად სულთქვამს, არა იშობს».

მაშასადამე, 145-ე ხანის: «საგონებელი შეექმნა, დადგა საქმისა მრჩეველად», მეტია იმ შემთხვევაში, თუ 132' ხანას ბუნებრივად ვაღიარებთ.

მაინცა და მაინც ამ ხანის განდევნითაც მოთხრობის ბუნებრივ მსვლელობას არაფერი დაუშავდება.

573' ხანა, რომელიც აგრეთვე არ მოიპოვება ამ ჩვენს ხელნაწერში, დავტოვეთ 22-ე გამოცემის ძირითად ტექსტში, რადგან 573² ხანა 573' ხანის ბუნებრივი გაგრძელებაა. ტარიელის გაყრილს ავთანდილს გაჰყვება ასმათი, რომელიც ზენარით ეუბნება და თანაც მუხლმოყრილი, ტირილით ევედრება ავთანდილს, დიდხანს ნუ აცდევინებს ძმობილს, მალე დაბრუნდეს და მოეშველოს მას. ავთანდილიც პირდება, რომ ის მათ არ გასწირავს, მალე მობრუნდება, ოღონდ კი ტარიელ «სხვაგან არ წავიდეს, ნუ სად არებს იმა ტანსაო». ცხადია ტარიელის შესახებ ეს ნათქვამი მიმართულია ასმათის საპასუხოდ. ასმათის შესახებ და მისგან ავთანდილის გაყოლაზე ლაპარაკია 573' ხანაში, ურომლისოდ გაუგებარი იქნებოდა, თუ ვის მიმართავს ავთანდილი და ვის ესაუბრება ტარიელის შესახებ. 573-ე ხანაში მხოლოდ იმაზეა ლაპარაკი, რომ ავთანდილს გამოესალმა ტარიელს და მეტი არაფერი. მაშასადამე, ტარიელსავე, რომელიც მე-2 პირია, ვერ ეტყოდა:

«ოღენ სხვაგან არ წავიდეს, ნუ სად არებს იმა ტანსა».

ამგვარი საუბრის მანერა «ვეფხისტყაოსანმა» არ იცის.

ამიტომაც 573' ხანის განდევნით, უნდა განიღვენოს 573² ხანაც.

728¹-ე ხანა თითქმის განმეორებაა 728-ისა და ამიტომ მისი ტექსტიდან განდევნით მოთხრობის ბუნებრივ მსვლელობას არა დაუშავდება რა.

ესევე ითქმის 971-ე ხანის შესახებაც.

1010¹ ხანის აზრი სრულიად ბუნდოვანია და გაუგებარი: ეს ხანა უშინაარსოა და, როგორც ამგვარი, ნამდვილ ხორცმეტად უნდა ჩაითვალოს.

1224¹ ხანაც¹ იმგვარისავე უნაარსისაა, რომ მისი დატოვებით თუ განდევნით, მოთხრობის ბუნებრივი მსვლელობა არ ირღვევა.

IV. საისტ. და საეთნ. საზოგადოების № 461 ხელნაწერი

ზომა 27×19¹/₂ სანტიმ. ხელნაწერი მეტისმეტად დაზიანებულია; თავში რამდენიმე ფურცელი სრულიად მოხეული აქვს (მხოლოდღა ნაფლეთები დარჩენილა), ბოლოშიც აკლია. პაგინაცია უჩვენებს 317 ფურცელს. ხელნაწერში «ვეფხისტყაოსანს» მისდევს «როსტომიანი» და «ლეილმეჯნუნიანი». «როსტომიანი» იწყება 199 ფურცლითგან. «ვეფხისტყაოსნის» შესავლის პირველი ხანები მოხეულია, თუმცა არსებულ ქალაღზე გადარჩენილა ხანათა პირველი სიტყვები, რომლების საშუალებით შესაძლებელია მოხეული ხანების რიგის აღდგენა. შესავლის ხანები გასაოცარი თვითნებობით არის გადასმულ-გადმოსმული და არეულ-დარეული. შესავლის ბოლო ხანა წარმოადგენს პოემის დასასრულში მინაწერი ხანის რედაქტორის გემოზე შეცვლას:

«ამირან დარეჯანის ძე მოსეს აქებდა ხონელსა,
აბდულ მესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთს სარგის თმოგველსა, მას ლექსი უთქვამს რომელსა,
და ტარიელისთვის რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა».

ამ შესავლის ბოლო ხანას მისდევს პოემის შემდეგი სათაური:

«აქა ამბავი დიდისა არაბთა მეფის როსტევანისა და მის ყმისა «ვეფხისტყაოსნისა» და ამის შემდეგია ხანა: «ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები».

ხელნაწერში, ვახტანგის რედაქციასთან შედარებით, მოიპოვება ჩანართი ხანები და გაგრძელება, რომლებიც ცნობილია XVII საუკ. ყველა უქველეს ხელნაწერებში. სამწუხაროდ, ხელნაწერი, გადაწერის იმ თავითვე დაზიანებულია, რის გამო შევსებულია სხვა ხელით, როგორც ძირითადი ტექსტი, ისე გაგრძელება; ჩვენის ძირითადი ტექსტის მიხედვით, აქ ჩამატებულია სხვა ხელით 489—498 [591, 592]; ამას გარდა, აკლია ერთი ფურცელი, რომელზეც მოთავსებული ყოფილა 10 ხანამდე: 1005—1014 [1143—1153]. ეს თავისი შედგენილობით საინტერესო ხელნაწერი ძალიან ცუდად არის შესრულებული: როგორც სტილის, ისე ტაეპების რიგ-რიგზე დალაგებას ატყვია რედაქტორის თვითნებობის ხელი.

ვახტანგისა და ქართველიშვილის რედაქციებთან შედარებით, ამ ხელნაწერში არ არის შემდეგი ხანები: 62¹, 135¹, 162¹, 173¹, 226¹, 244¹, 560¹, 840¹, 843¹, 1130¹, 1296¹, 1396¹. ამ ხელნაწერის შესწავლისაგან გამოტანილი ჩვენი შთაბეჭ-

¹ 1224¹ ხანის რიცხვი შეცდომით არის ნაჩვენები, იგი 1228 ხანის მომდევნოა და ამიტომ მისი ნომერი იქნება 1228¹ [1382].

დილება ისეთია, რომ იგი უნდა იყოს ერთი უძველესი რედაქციათაგანის, რომელიც გადარჩენია მრავალ საუკუნეს, პირი; ეტყობა, მას სრულიად დაკარგული ჰქონია როგორც შესავალი, ისე პოემის დამაბოლოებელი ხანები, რითაც უსარგებლებია ახალ გამამწერელს და თავის გემოზე აქა-იქ ჩაურთავს სხვა რედაქციებიდან ნასესხები ხანები. აგრეთვე შეუვსია მას თვით პოემის ტექსტში დაკარგულ ფურცლებს გაყოლილი ხანებიც.

ზემოთ თქმულს საუმჯობესოდ ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ხანები, რომლებიც ვასტანგისა და ქართველიშვილის რედაქციებთან შედარებით, აკლია ამ ხელნაწერს, თავისი შინაარსითა და სტილით ან უკვე ნათქვამის განმეორებაა და ზედმეტი, ან მეტისმეტად უგვანი და ულაზათო, ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ეს ხანები რუსთველის ნაწარმოებში არ ყოფილა. მაგალითად, გარდა იმ ხანებისა, რომლებიც ამ ხელნაწერსა და უძველეს №№ 599, 2829, 4499 ხელნაწერებში ერთხმად უარყოფილია და თავისი შინაარსითა და სტილით მეტისმეტად უგვანი და ულაზათოა, როგ., მაგ., 162¹-ე ხანა, სადაც ხილნი ზღვაში ცვივდებიან (ზღვაზე ხიდი!); ან 173¹-ე, რომელიც 173-ე ხანის შემდეგ სრულიად მეტია და უაზროც, მასში არა გვხვდება ისეთი უგვანი ხანა, როგორიც არის 244¹-ე, სადაც წლის ბავშვს «ჭირად არ (უჩნდის) ღომისა მოკვლა, მართ ვითა სირისა». ამ ზღაპრულს ამბავს ჩვეულებრივად ჩავსთვლიდით ისეთი შინაარსის ნაწარმოებში, როგორიც «ვეფხისტყაოსანია», მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ხანის შინაარსს სრულიად ეწინააღმდეგება მისი წინა 244-ე ხანის აზრი, სადაც ტარიელი გადმოგვცემს, რომ იგი უკვე «მოიწიფა, დაემსგავსა მზესა თვალად, ღომისა ნაკეთად». ამის შემდეგ სრულიად არაბუნებრივია ტარიელის განცხადება: «სუთისა წლისა შევიქენ მსგავსი ვარდისა შლილისა, ჭირად არ მიჩნდის ღომისა მოკვლა, მართ ვითა სირისაო». ეს ფაქტი ადასტურებს ა. სარაჯიშვილის აზრს, რომლითაც უარყოფილია ეს ხანა (იხ. ა. სარაჯიშვილი, «მომამბე», თავი XIV, გვ. 11—14). წინა 62 ხანის განმეორებას წარმოადგენს აგრეთვე 62¹ ხანა, რომელიც არ არის მხოლოდ ამ № 461 ხელნაწერში.

ამისდამიხედვით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ № 461 ხელნაწერი უნდა იყოს ერთი უძველესი რედაქციის პირი, ახალი რედაქტორის გემოზე შეცვლილი და შეესებულ.

V. წ.-კ. საზოგადოების მუზეუმის № 4499 ხელნაწერი

ზომა 30,5×22 სანტ. თავი და ბოლო აკლია, რის გამო შესავალის უმეტესობა და ბოლოს მინაწერი ხანები აღარა აქვს. სულ არის 246 ფურცელი; ორ ალაგას, თვით პოემის ტექსტში, აკლია ხანები: 14—33, 41—48 [45—69, 78—85]. ქალაღის ფილიგრანი წარმოადგენს ფიცარს, რომელზედაც ზევით გვირგვინია, ქვევით კი ყურძნის მტევანი, ე. ი. ფილიგრანი იგივეა, რაც № 2829 და უნდა გადაწერილი იყოს, ხელის მიხედვით, XVII საუკ. მეორე ნახევარში. ეს ხელნაწერი შეიცავს ყველა იმ ჩანართებს, რომლებიც გვხვდება №№ 2829 და 461 ხელნაწერებში, ვასტანგის რედაქციასთან შედარებით. ამ ხელნაწერს აქვს 39-მდე № 461-თან საერთო ხანები, რომლებიც სხვა ხელნაწერებმა არ იციან. № 2829 ხელნაწერის უარყოფილი ხანებიდან არ მოიპოვება 122² და 1130¹ [= 1299¹]. სამწუხაროდ, შესავლის 7 ხანისა, რომლებიც არ არის № 2829 და 25¹, 25² და 27¹ ხანების; შესახებ ვერას ვიტყვი, რადგან ისინი ამ ხელნაწერს აკლია; ფურცლებ-

ბი, რომლებზედაც ეს ხანები იყო მოთავსებული, დაკარგულია. აქვე გვხვდება ის 3 ხანაც, რომლებიც მოიპოვება ხელნაწერებში, გარდა ვახტანგის გამოცემისა, როგორცაა: 73¹ (შეცდომით ტექსტში 74 = 73¹), 122¹ და 493¹. აქვე მოთავსებულია ვახტანგის გამოცემის ის ხანები, რომლებიც არ იცის № 461. ახალი ხანების ჩამატების დროს გადამწერს შეცვლია ხანათა რიგი. ამიტომ სამ ალაგას გადასმულია ხანები. ამისდა მიხედვით და ამიტომაც, რომ № 461 ხელნაწერის შესავალი და ბოლოს მინაწერი ხანები მეტად არეულ-დარეულია (რაც შეიძლება აიხსნას, რომ ეს ხელნაწერი პირია უძველესის და ძლიერ გადარჩენილი ხელნაწერის, რომლის შესავალისა და ბოლო ხანების შესავსებლად გადამოწმებულს უნდა ესარგებლნა სხვა ახალი რედაქციებით), საგულეებელია, რომ 4499 ხელნაწერი უნდა წარმოადგენდეს № 461 მომდევნო რედაქციას, რომელსაც № 461 გარდა, ხელთქონია კიდევ ისეთი რედაქციები, როგორცაა № 2829.

VI. ს ა ი ს ტ. და ს ა ე თ ნ. ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს მ უ ზ ე უ მ ი ს
№ 599 ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი

ზომა 28 × 20 სანტიმ.; სულ არის 247 ფურცელი; ბოლო მინაწერის მოწმობით, წინათ ყოფილა 272 ფურცელი. ერთ ალაგას, ხელნაწერის სათაურს ქვეშ «თათბირი ავთანდილისა», წერია დედნის ხელით შემდეგი: «ღ-თო შეიწყალე ამისი მწერალი მამუკა მდივანი», საიდგანაც ჩანს, რომ მისი გადამწერი ყოფილა ცნობილი XVII საუკუნის პირველი ნახევრის მეღექსე — «ზაქიანის» დამწერი მამუკა მდივანი. ხელნაწერის ბოლოში წითელი მელნით მინაწერის მოწმობით, ხელნაწერი გადაწერილია ქორონიკონს სამას ოცდა ოთხმეტს (ტლდ), ე. ი. 1646 წელსა. ამნაირად «ვეფხისტყაოსნის» ეს ხელნაწერი ყველაზე ძველია. ხელნაწერი დასურათებულია. იგი ძლიერ დაზიანებულია ბევრგან, ფურცლები აქა-იქ დაჰკლებია და შემდეგში შეუესიათ სხვა ხელით, ამ ხელნაწერის შესავალის პირველი ნახევარი დაწერილია სხვა ხელით წაწებებულ ქალაღზე. ეს შესავალი ყველაზე მოკლეა, რადგან იგი იწყება ხანით: «ესე ამბავი სპარსული» და შემდეგ კი მიყვება ბოლომდე იმ რიგზე, როგორც ეს დაცულია № 2829 ტიპის ხელნაწერებში. ამასთან ზედმეტია მხოლოდ ერთი ხანა: «მას ცოცხალი ნუ ელევის, რაცა პირველ შეუყვარდეს» (ჩვენი ტექსტის მიხედვით, XXV¹ [25]). ეს ხელნაწერი თავის მეორე ნაწილში ძალიან ცუდად არის შესრულებული, ხანები მეტად არეულ-დარეულია. საფიქროა, რომ ეს გადამწერის ბრალი იმდენად არ უნდა იყოს, რამდენად იმისი, რომ ხელნაწერი, რომლისაგანაც მას გადმოუწერია, მეტისმეტად ძველი და, მაშასადამე, დაზიანებული ყოფილა. ამ მხრივ ეს ხელნაწერი იმგვარსავე შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც № 461, რომლის ასლი აგრეთვე ძალზე დაზიანებული ყოფილა.

№ 2829-ს მიერ ვახტანგის რედაქციაში უარყოფილი ხანებიდან ამ ხელნაწერში არ არის 1221 და 1130¹ (= 1299¹). №461-ის უარყოფილი ხანები აქაც უარყოფილია, გარდა 266¹-ისა. აქვე არის ის სამი ხანაც, რომლებიც მოიპოვება ყველა ხელნაწერებში და არტანუჯის მოკლე ხელნაწერშიაც, გარდა ვახტანგის გამოცემისა, სახელდობრ: 73¹, 122¹ და 493¹.

ის გარემოება, რომ ხანათა არეულ-დარევეთა და საერთო ხანების უარყოფით №461 და 599 ძალიან გვაგონებს ერთი მეორეს, გვაფიქრებინებს, რომ ორივე ეს ხელნაწერი პირია ერთის, უძველესი, ძალიან დაზიანებული დედნის, ამათ რე-

დაქტორებს ეკუთვნის ახალი ჩანართების შრომა. ცხადია ორივე ეს ხელნაწერი გავრცელებულია ერთის უძველესი რედაქციის საშუალებით.

VII. საისტ. და საეთნ. საზოგადოების
მუზეუმის № 54 ხელნაწერი

ზომა 45×30 სანტიმ.; დაწერილია თხელ გაქონილ სპარსულ ქაღალდზე, მრგვალი მეტად ღამაზი მხედრული ხელით. სათაურები, თითოეული ხანის პირველი ორი სიტყვა, კავშირი «და», რომლითაც იწყება თითოეული ხანის უკანასკნელი ტაეპი და პირველი და სამი უკანასკნელი ასო, წერია წითელი მელნით, დანარჩენი ტექსტი — შავით, ყოველ გვერდს შემოვლებული აქვს ოთხკუთხიანი ჩარჩო ოქროლისა და სხვა ფერადი საღებავებისაგან. ჩარჩოს ზომა 22×15,8. თითოეულის გვერდის აშიები გამშვენებულია ოქროთი მოსატულის ძვირფასი ბორდიურით, რომელიც წარმოადგენს ოქროულის მწვანე ფოთლებს. ბორდიური, სიგანით 7,7 სანტიმეტრი, თავდება მეორე ჩარჩოთი ოქროულისაგანვე. ხელნაწერის თითოეული ფურცელი წარმოადგენს მხატვრის ძვირფას ნახელავს, სადაც გადახლართვია ერთმანეთს მწვანე რტოები, ყვავილები და ვაზები. ზოგჯერ ამ ფოთლებში ჩნდება მხეცები, ფრინველები, რომლებიც სიცხოველეს აძლევენ მას თავიანთი ხტომით და ერთმანეთის დევნით. ცხოველთაგან აქ შეხვდებით: ლომებს, ვეფხებს, მგლებს, მელიებს, ირმებს, აფთრებს, სპილოებს, კურდღლებს, მაიმუნებს. ფრინველთაგან: ფარშევანგებს, სირაქლეშებს, წეროებს, ბელურებს, მამლებს, ქათმებს წიწილებით და სხვა.

ხელნაწერი შედგება 264 ფურცლისაგან, აკლია ერთი ფურცელი თავში. იმგვარივე მხატვრობით, როგორც ფურცლები, გამშვენებულია მუყაოს ყდა, რომელიც აკრავს ამ მხატვრულად შესრულებულ საუცხოო ხელნაწერს. ყველა ეს შესრულებულია სპარსულ გემოვნებაზე. ხელნაწერი გადაწერილია გიორგი XI ბრძანებით, მისი მდივნის ბეგთაბეგის მიერ, რომელიც, ჩვენის აზრით, უნდა იყოს XVII საუკ. პირველი ნახევრის მელექსე ბეგთაბეგ, რომელსაც დ. გურამიშვილი ათავსებს საქართველოს საუკეთესო პოეტთა პანთეონში (იხ. ჩემი წერილი «ბარამგურიანი», «სახ. გაზ.», № 818). გადაწერის დროდ ნაჩვენებია მისი მეუობის მეოთხე ინდიქტიონი და ქორონიკონი 368, რომელიც უდრის 1680 წელს. ორ უკანასკნელ ფურცელზე, ჩარჩოებში, მოთავსებულია ვრცელი, მეტად მხატვრულად შესრულებული მინაწერი, სადაც გადამწერელი შეაქებს გიორგი XI, რომლის შეკვეთითაც გადაუწერია მას ეს საუცხოო ხელნაწერი; აქ, სხვათა შორის, ვკითხვლობთ: «სახელ-შენიერმან პატრონმან პატრონთამან უფალმან ჩვენმან გიორგი — ბრძანება ყო ჩემდა მომართ დაწერად წიგნისა ამის ვეფხის-ტყაოსნისა და წარავო მრავალი წარსაგებელი, ვითარცა საცნაურ ჰყოფენ თუალნი მხიარულთანი ხელოვნებასა ამის წიგნისასა და ენება, რათამცა ფრიად კეთილ შევნიერ ყოფილიყო.... ესეცა უწყოდით, უფალნო ჩემნო, მრავალნი მეფენი გარდაცვალებულან და არავის შეუმკვია წიგნი ვეფხის ტყაოსანი მსგავსად პატრონისა ჩვენისად». ამ მინაწერს გარდა, სადაც გიორგი XI შემკულია ეპითეტებით: «მეფობისა შარავანდელი, ბრწყინვალე და უქესთაესი ქელმწიფე» და სხვა; უკანასკნელი ფურცლის წინა ფურცელზე მოთავსებულია 5 ხანა, რომელიც შეიცავს გიორგი XI ქებას. სულ ბოლო ფურცლებზე მოთავსებულია სამი ხანა, სადაც შემკობილია მამამებით «ვეფხისტყაოსნის» რაინდები და მზეთუნახავები. ლექსები ზემორებსე-

ნებულის ბეგთაბეგის უნდა იყოს¹. ეს ხელნაწერი მეტის მეტად ვრცელია; იგი, ჩანართებისა და გაგრძელების მხრით, ჩამოუვარდება მხოლოდ №№ 5006 და 757 ხელნაწერებს. სულ ჩანართი ხანების რიცხვი 180-მდეა, ხოლო გაგრძელება შედგება 289 ხანისაგან, № 5006-თან შედარებით, გაგრძელება ამ ხელნაწერის 61 ხანით ნაკლებია.

VIII. წ.-კ. საზოგადოების მუზეუმის № 5006
ხელნაწერი

ზომა: 34×23 სანტ., ხელნაწერი შესრულებულია გაქონილ სპარსულ ქალაქდზე, ლამაზი მრგვალი მხედრულით. სათაურები და თითოეული ხანის პირველი სამი სიტყვა წერია წითელი მელნით. ფილიგრანი არა აქვს. საფიანგადაკრული მუყაოს ყდა ჯერ სულ ახალია. ხელნაწერი შეიცავს 506 გვერდს. ხელნაწერს ამშვენებს 77 სპარსული ყაიდის ფერადი მინიატურა. არც გადამწერლის ვინაობა, არც თარიღი არსად ჩანს, მაგრამ ხელის მიხედვით, XVII საუკუნის მეორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს. ვახტანგის რედაქციასთან შედარებით, ხელნაწერს აქვს თითქმის ყველა ჩანართი ხანები და გაგრძელება, რომელიც 61 ხანით აღემატება № 54-ის გაგრძელებას; მას თავისი სივრცე-სიღიძით № 757-ის შემდეგ მე-2 ადგილი უჭირავს.

შესავლის ხანების რიგი და ვარიანტები იგივეა, რაც ვახტანგის გამოცემაში. მიმატებული აქვს ბოლოს ზედმეტი გაგრძელება, სათაურებით: «მეორე ანდერძი ტარიელისა» და «მეორე ანდერძი ავთანდილისა», რაც აკლია დანარჩენ ხელნაწერებს, გარდა № 757-ისა.

IX. საისტ. და საეთნ. საზოგადოების № 757
ხელნაწერი

ზომა 33,5×22¹/₂ სანტ. დაწერილია მრგვალი ლამაზი მხედრული ხელით. ყოველის ხანის პირველი ასოები წერია წითელი მელნით, დანარჩენი — შავით. ხელნაწერი უნაკლოა. შესავალი შეიცავს ყველა ხელნაწერების ნამდვილისა და ჩანართი ხანების შეერთებას. ესევე ითქმის თვით პოემის შესახებაც. № 757 და მისი მსგავსი ვრცელი რედაქციები, როგორცაა №№ 5006 და 54 წარმოადგენენ საგანგებოდ შეკვეთილ რედაქციებს, რომლებშიაც შემოკრებილია ყველა დროის და რედაქციის ჩანართი და ნამდვილი ხანები. წიგნის ბოლოში მოთავსებულია 8 ხანა, რომელშიაც შექებულია «ვეფხისტყაოსანი» და მოყვანილია ქება-დიდება ღეთისა, რომელიც არის ღმერთად ცნობილი ბრძენთა და ფილოსოფოსთაგან, რომელნიც ანგელოზებთან ერთად შეამკობენ ხმითა ტკბილითა; რადგან იგი არის «მწყალობელი და მფარველი აშიყთა და მაშიყთა».

ამ ლექსებს მისდევს გრძელი პროზით ქება-დიდება სრულისა და განუყოფელისა სამებისა, რომელმან შექმნა «ყოველნი სულნი უხილავნი», და «ყოველნივე არა რაისაგან არსებად მიიყვანნა და კმართავს და განაგებს ყოველთავე»...

«ქრისტე შეცაუწყოდით, უფალნო ჩემნო, რომელ ქაშსა ოდეს ამ ვეფხის ტყაოსანსა ვსწერდი მე აღმურაანთ ბაღდასარას შეილმა მუშრიბი გასპარამა, მა-

¹ Е. Такайшвили, Описание..., II, გვ. 573—579.

შინ ღ-თმან წყალობა მიყო და დაიბადა ჩემი ყმაწვილი დავით, ენკენისთვის კვ-
ქ-კს ტნთ, შაბათს კვირაძალს, და მაშინვე აღთქეი მისთუის ეს «ვეფხისტყაოსანი».
აწე ამას გეხვეწები და გეაჯები ყოველს ამ წიგნის წამკითხავსა, ვინ გინდა
იყუნეთ, ადამის ნათესავი, ჩემს შვილს ნურეინ გამოართომთ ამ წიგნსა, ჩემი იედ-
გარი არის».

ამნაირად, ამ ბოლო მინაწერიდან აშკარად ჩანს, რომ ეს «ვეფხისტყაოსანი»
გადაწერილია ბაღდასარ აღმუროვის შვილის მუშრების გასპარას ხელით თავისი
შვილის დავითისათვის, ქორონიკონს 359, ე. ი. 1671 წელს. ეს ხელნაწერი თავისი
შედგენილობით, ყველა არსებულ ხელნაწერებზე ვრცელია; მასში თავმოყრილია
ყველა რედაქციების ჩანართი და ნამდვილი ხანა.

X. საეკლესიო საგანძურის № 363 ხელნაწერი

უძლო, ზომა 26,5 × 18 სანტიმეტრი.

დაწერილია ლამაზი მრგვალი მხედრული ხელით. სათაურები და თითოეუ-
ლის ხანის პირველი ორი სიტყვა სწერია წითელი მელნით, დანარჩენი — შავით.
ქაღალდის ფილიგრანი წარმოადგენს ვეებერთელა გვირგვინს ექვსსხივიანი ვარ-
სკელავით; აქვე არის ამავე ნიშანის მეორე ვარიანტიც: გვირგვინი ექვსსხივიანი
ვარსკელავით და მაზე ახალი მთვარე. პირველის ნიშნის ფილიგრანი გვხვდება ერ-
თის 1577 წელს იტალიაში დაწერილის საბუთის ქაღალდზე, ხოლო მეორე ნიშნის
მსგავსი გვხვდება XVII საუკ. ხელნაწერებშიაც. ხელისა და მართლწერის მიხედ-
ვით, ხელნაწერი უნდა ეკუთვნოდეს XVII საუკ. მეორე ნახევარს. ამასვე მოწმობს
ის უტყუარი ფაქტიც, რომ აქ ვხვდებით XVII საუკუნის მწერალთა ერთ დაწე-
რილ გაგრძელებას, რომლის ხანები გარდა სტილის სიახლისა, მეტად უშნო და
ულაზათონი არიან; ავილოთ თუნდა შემდეგი ხანა:

«ხანი გამოქდა, დაიწყეს მოსვლა ლაშქართა ჯარისა;

მეფეს უხარის ხუარაზმთა მებრძოლთა მეთაარისა,

უუელასა კარგი აცუია ლესული ტან-აბჯარისა.

და სრულ შეუყრია მეფესა, კარსა უთქს ტევრი ჯარისა».

ჩვენი აზრით, შეუძლებელია ამგვარი ახალი სტილითა და უშნო ენით ეწე-
როს ვისმე, არა თუ ადრე, აღორძინების ხანის პირველ წლებშიაც კი. ხელნაწერი
ძალიან დაზიანებულია: თავში აკლია 27 ფურცელი, რის გამო ტექსტი იწყება
137-ე (195) ხანით; ბოლოშიაც აკლია, ასე რომ შეუძლებელია თქმა, თუ სანამდი
უწევდა გაგრძელება. აშკარაა მხოლოდ, რომ ხელნაწერი ემხრობა ისეთ ვრცელ
რედაქციებს, როგორცაა: № № 757 და 54, რომლების გადაწერაც XVII საუკუ-
ნის მეორე ნახევარს ეკუთვნის.

შიგნით ტექსტს აკლია შემდეგი ხანები: 183—187 (და 187¹); 194—196;
241—243; 321—337; 478—491; 587—609; 668—800; 830¹—954; 963—986;
1310—1317 და კიდევ 15-მდე ხანა გაგრძელებიდან.

ის გარემოება, რომ მასში არ მოიპოვება № 2829-ით უარყოფილი 1221¹ ა
(1373) ხანა და ამას გარდა ისეთი ხანები, როგორცაა: 1252¹, 1258 და 1380—1387
[1410, 1418, 1548—1555], რომელთა გამოტოვებით მოთხრობის ძაფი არა
წყდება, გვაფიქრებინებს, რომ იგი წარმოადგენს უძველესი რედაქციის პირს, შეე-
სებულს გადამწერის დროს არსებულ რედაქციების ჩანართებით. ამ ხელნაწერში,
ვრცელ რედაქციებთან შედარებით, შედის ვრცელი რედაქციების ყველა ჩანარ-

თი, თუ სახეში არ მივიღებთ იმას, რომ ზოგიერთი ხანები თვით ძველი რედაქციის`ასლს კლებია; ამგვარებია ზემორე დასახელებული 1252¹, 1258, 1380—1387 და ვახტანგის რედაქციასთან შედარებით, გაგრძელების 13-მდე ხანა. აშკარად ეტყობა, რომ გადამწერს ხელში ჰქონია ერთი უძველესი რედაქცია, რომელშიაც პირველად შეუტანია XVII საუკ. რედაქტორთა ჩანართები. ამას მჭერმეტყველურად მოწმობს ის გარემოებაც, რომ ჩანართები სხვა რედაქციებთან შედარებით, ვერ არის თავთავის ადგილას, მაგ. 245 [322] ხანის შემდეგ მოთავსებულია ჩანართი ხანა, რომელიც უნდა იყოს 246 ხანის მომდევნო, ამ 246 ხანის შემდეგ კი დატოვებულია ერთის ხანის ადგილი; ამას გარდა, ერთიმეორის ადგილზეა 234 [342] და 263 [341] ხანები.

XI. წ.-კ. საზოგადოების საგანძურის № 4988 ხელნაწერი

«ვეფხისტყაოსანს» გარდა, ამ ხელნაწერში მოთავსებულია «ომანიანი» და თეიმურაზ I ნათარგმნი «იოსებზილიხანიანი». ხელნაწერი დაზიანებულია: თავი და ბოლო აღარა აქვს. «ომანიანის» ბოლო და «იოსებზილიხანიანი» დაწერილია სულ სხვა ხელით. ხელნაწერი, ხელის მიხედვით, XVII საუკუნის მეორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს. თავი აკლია; შესავალი გადარჩენილა მე-18 [49] ხანიდან დაწყებული. მე-18 ხანას მისდევს ხანები იმ რიგზე, როგორც ვახტანგის რედაქციაშია იმ განსხვავებით, რომ იგი შეესებულია სხვა შემდეგი დროის ჩანართი ხანებით. ხელნაწერი უმეტეს ნაწილში ემხრობა № 5006-ს და ამ უკანასკნელისაგან უმეტესად განსხვავდება იმით, რომ მასში უარყოფილია ხანები: 830¹, 830², 830³, 830⁴, 1400, 1401 [952—955, 1569—1570]. ამით გარდა, მასში არ გვხვდება ბევრი ვრცელი რედაქციების ჩანართი და 15 გაგრძელების ხანა. ერთ შემთხვევაში გადასმულ-გადამოსმულია ერთი-მეორის ალაგას ხანები: 1298—1299 [1461—1462]. ყურადღების ღირსია ის, რომ 830¹, 830², 830³, 830⁴, 1400, 1401 ხანათა უარყოფით მოთხრობის ძაფი არ წყდება.

XII. საისტ. და საეთნ. საზოგადოების № 2074 ხელნაწერი

ეს ხელნაწერი გადმოეცა საქართველოს 1923 წელს მოსკოვის ყოფილი საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან.

ზომა 34×23 სანტი.; ხელნაწერი მეტისმეტად მხატვრულია; შესრულებულია თხელ სპარსულ ქაღალდზე in folio, ღამაზი მრგვალი მხედრულის ხელით და შეიცავს 259 ფურცელს. თითოეულის ხანის პირველის ტიპის დასაწყისი სიტყვები ოქროთია ნახატი, ყოველი ფურცლის არშიებს ამკობს და აშვენებს საუცხოო ხელოვნების მინიატურული მხატვრობა, სადაც დაცულია იშვიათი სიმეტრია. მინიატიურები, საერთოდ, როგორც ცხოველთა ნახატები, ისე ადამიანის სახეები და სხვადასხვა სურათები, მეტისმეტად რთული, მრავალფეროვანი და შინაარსიანია, და შესრულებულია ყველაფერი ეს სპარსულ გემოვნებაზე ერთ-ერთი საუკეთესო მხატვრის ხელით. ხელნაწერში სამ ადგილას ჩაწებებულია კიდევ სამი ფურცელი ასეთივე საუცხოო მინიატიურებით, რომელიც სხვა მხატვრის ნახელავი უნდა იყოს.

ხელნაწერის თავში ჩაწებებულია საუცხოოდ შესრულებული ნახატი, რო-

მელსაც ქვეშ მიწერილი აქვს: აქა ავთანდილისა და სოგრატის კმობა და თინათინის გაბატონება.

ამ ხელნაწერით დაცული ტექსტი ვარიანტების მსრივ ახალს არაფერს იძლევა. ხელნაწერში ფურცლები, დაკაზმვის დროს, აურ-დაურევიათ, მაგრამ ტექსტი მაინც სრულიად გადარჩენილა, დაღუპულა მხოლოდ დასასრულის უკანასკნელი ხანის — «ამირან დარეჯანის ძე მოსეს აქებდა ხონელსა» — ერთი ნაწილი, რომელიც შეუვისათ შემდეგში სხვა ხელით და ამავე დროს წაუმატებიათ კიდევ ბოლოში 4 ახალი ხანა, რომელიც უბრალო მინაწერის ხასიათისაა და პოემის შინაარსთან არაფერი კავშირი არა აქვს.

ხელნაწერი, თვისი შედგენილობით, წარმოადგენს პოემის ერთ-ერთ III ტიპის რედაქციას, რომელიც აგრევე ვრცელი და ჩანართთაგან წაღებულია, როგორც №№ 54 და 757 და, ამ უკანასკნელებთან ერთად, შეიცავს მეტისმეტად სრულ ტექსტს, რომელშიაც შესულია ყველა ნაგვიანევი რედაქციების ნაანდერძევი ჩანართები.

როდის უნდა იყოს გადაწერილი ხელნაწერი?

აღ. ხახანაშვილის აზრით, ხელნაწერი ეკუთვნის XVII საუკ., თუმცა იგი ზოგიერთი მოსაზრებით, შესაძლებლად ცნობს მიეწეროს მისი გადაღება XVI საუკუნის დასასრულსა ან XVII საუკ. დასაწყისს.

ჩვენის აზრით, ხელნაწერი, როგორც ხელის, ისე თავისი შედგენილობის მიხედვით, ანუ, უკეთ, XVII საუკ. მეორე ნახევრის ახალი სტილით დაწერილი ჩანართი ხანების მიხედვით, XVII საუკუნის მეორე ნახევარზე ადრინდელ დროს არ უნდა ეკუთვნოდეს.

ს. კაკაბაძე აკეთებს თავის ჩვეულებრივ ნახტომს და ეშურება დაამტკიცოს, რომ ხელნაწერი შესრულებულია ქართლის მთავარეპისკოპოსის იოანე ავალიშვილის ხელით (რომელიც 1612—1630 წ. ჯერ ალავერდის, მერე ქართლის მთავარეპისკოპოსად ჩანს), ჯერ კიდევ ერის კაცობაში, დაახლოებით 1590—1600 წ.; რადგან ხელნაწერის ხელი ძალიან წააგავს ამავე პირის მიერ გადაწერილი ერთი წყალობის წიგნის ხელსო. ეს საბუთი, რომელიც წარმოადგენს გრძელ გრაგნილს დაწერილს ქაღალდზე, და შეიცავს თეიმურაზ კახთბატონისაგან ალავერდის მონასტრისთვის ნაბოძებ წყალობის წიგნს, ამჟამად ინახება საქართველოს ცენტრ-არქივში (ს. კაკაბაძე. საისტორიო მოამბე, წიგნი II, ტფ., 1924 წ., გვ. 157—158).

XIII. სა ის ტ. და სა ე თ ნ. სა ზო გა დო ე ბ ის № 1117 ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი

ზომა 28×23 სანტ., დაწერილია ლამაზი მრგვალი მხედრული ხელით. ქაღალდის ფილიგრანი სრულიად იგივეა, რაც №№ 2829 და 4499. ეს კი მოწმობს, რომ ხელნაწერი ეკუთვნის XVIII საუკ. მეორე ნახევარს. იგი, როგორც ხელით, ისე შედგენილობით, ძალიან გვაგონებს № 4499 ხელნაწერს, და უნდა იყოს გადაწერილი ან ერთისა და იმავე პირის, ან სხვა იმავე სკოლის წარმომადგენლის, ხელით. ეს არის № 4499 ხელნაწერის პირი ბოლო ნაწილში, რომელიც დეფექტურია. დანართ გაგრძელებაში სათაურს ქვეშ: — «აქა ფრიდონისაგან ტარიელისა და ავთანდილის სიკუდილის ცნობა» ჩამატებული აქვს კიდევ ორი ახალი ტაეპი (ს. კაკაბ., რედაქციით 1746-ე ხანის წინ).

ამ ხელნაწერს ის უცილობელი მნიშვნელობა აქვს, რომ იგი გვაძლევს ნათელს წარმოდგენას № 4499 ხელნაწერის შესახებ.

როგორც ვიცით, № 4499 ნაკლოვანია, რადგან იგი იწყება მხოლოდ XXXI ხანით, ე. ი. პოეტის წინასიტყვაობის უკანასკნელი ხანით. აგრეთვე მასში დაკარგულია ხანები 14—31 [45—67]. № 1117 ხელნაწერი კი თავში საკმაოდ კარგად შენახულა და ამიტომ წინასიტყვაობაც, რომელიც № 4499-ში დაღუპულა, აქ სავესებით წარმოდგენილია. ბოლოში ეს უკანასკნელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დეფექტურია. ეს ორი ხელნაწერი ავსებენ ერთი მეორის ხარვეზებს და ამნაირად იძლევიან სრულსა და სწორ წარმოდგენას იმ განსაკუთრებულ რედაქციის შესახებ, რომლის პირსაც ისინი წარმოადგენენ.

ზემორეაღწერილ ხელნაწერებში ჩვენ შეგვიძლია გავარჩიოთ სამი ტიპი:

პირველ ტიპს ეკუთვნის ხელნაწერები, რომლებსაც თავის პირველ ნაწილში დაუცავთ უძველესი რედაქციის სახე, ხოლო შიგადაშიგ შეცვლილან ახალი რედაქტორისაგან ახალი ჩანართებისა და გაგრძელების მიმატებით.

ამგვარებია №№ 2829, 461, 4499, 599. ამ ტიპის ხელნაწერებითგან № 2829 წარმოადგენს პოეტის დროის ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერის პირს, რომელიც გადიდებულია და გაგრძელებულია აღორძინების ხანის პოეტთაგან დაწერილი ჩანართი ხანებით და გაგრძელებით. ამიტომ იგი შეიცავს, ვახტანგის რედაქციასთან შედარებით, ზედმეტ ამბებს შემდეგი სათაურებით:

1. ტარიელისაგან ინდოეთ მეფის სიკვდილის ცნობა.
2. ტარიელისაგან ინდოეთს მისულა და სატაელთა დამორჩილება.
3. ქორწილი ტარიელისა და ნესტანდარეჯანისა.
4. აქა ტარიელის დასნეულება და ხვარაზმში მეფისაგან სისხლის ძებნად მოსულა ინდოეთს.
5. ომი ხვარაზმელთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა.
6. ანდერძი ტარიელისა, ოდეს მიიცვალებოდა.
7. სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა.
8. ანდერძი ავთანდილისა სიკვდილის ქაშსა.
9. სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა თინათინისა.
10. მოსულა ფრიდონისა და ტარიელისა და ავთანდილისა და მათთა ცოლთა ტირილი.

როგორც ვიცით, ამ ხელნაწერით უარყოფილია ვახტანგის რედაქციაში ხანები: ა) შესავლის: II, III, IV, V, VI, VII [2—7] (ნუმერაცია ჩვენი გამოცემისა); ბ) მარტო № 2829-ით: 25¹, 25², 27¹, 88¹, 122², 132¹, 573¹, 913¹, 1004¹ [57, 58, 61, 134, 174, 185, 670, 1048, 1142].

გ) № 2829-ის, სხვა რედაქციებთან ერთად: 162¹, 173¹, 560¹, 840¹, 1130¹, 1396¹ [222, 235, 655, 968, 1275, 1565].

მეორე უძველესი რედაქციის პირი, რომელიც აგრეთვე გადიდებულია აღორძინების ხანის პოეტთაგან დაწერილი ჩანართი ხანებითა და გაგრძელებით, არის № 461. შესავლის ხანები ამ ხელნაწერში დიდი თვითნებობითაა გადასმულ-გადმოსმული, რაც ახალის რედაქტორის ნაქმნარი უნდა იყოს [იხ. ზემორე აღწერა IV].

როგორც ვიცით, ამ ხელნაწერით უარყოფილია ვახტანგის რედაქციაში ხანები: ა) მხოლოდ ამ № 461-ით: 62¹, 135¹, 227¹, (= 226¹), 244¹, 843, 1221¹. [101, 191, 298, 320, 971, 1373].

ბ) № 461 სხვა რედაქციებთან და უმეტესად — 2829-თან ერთად: 162', 176' (= 175'), 560', 1130', 1396' [222, 240, 241, 655, 1275, 1565]. ეს თავისი შედგენილობით საინტერესო ხელნაწერი ძალიან ცუდად არის შესრულებული: როგორც სტილს, ისე ხანათა რიგზე დალაგებას, ატყვია რედაქტორ-გადამწერლის თვითნებობის ხელი; ეტყობა, რედაქცია შეცვლილა ახალი ჩანართებისა და გაგრძელების მიმატების დროს.

№ 461-ის მომდევნო უნდა იყოს 4499 ხელნაწერი. მას № 461-თან აქვს 39-დე საერთო ხანა, რაც არც ერთს სხვა ხელნაწერში არ არის.

როგორც ვიცით, ამ ხელნაწერით უარყოფილია, № 2829-თან ერთად, მხოლოდ 2 ხანა: 122² და 1221¹ ა.

ამ გამოცემაში შეტანილია ის ხანები, რომლებიც ვახტანგის გამოცემაში უარყოფილია № 461 ხელნაწერით, მაგრამ გვხვდება ყველა დანარჩენ ხელნაწერში.

იმავე ხელნაწერზე, რომელზედაც № 461, უნდა იყოს დამოკიდებული № 599 ხელნაწერიც; ის გარემოება, რომ ხანათა არევიანობა და საერთო ხანების უარყოფით №№ 461 და 599 ძალიან გვაგონებს ერთი მეორეს, გვაფიქრებინებს, რომ ორივე ეს ხელნაწერი ერთისა და იმავე უძველესის ძალიან დაზიანებული დედნის პირი უნდა იყოს. განსხვავება მათში მხოლოდ ის არის, რომ № 599 უნდა იყოს თვით ჩანართების ავტორის რედაქცია, № 461 კი გადამწერლის კალამს უნდა ეკუთვნოდეს. შესაძლებელია, ეს მამუკა მდივნის გადაწერილი № 599 იყოს თვით ნანუჩას შექმნილი რედაქციის პირი. ამ რედაქციით, როგორც ვიცით, უარყოფილია შესავლის 9 ხანა¹, წინააღმდეგ № 2829-ისა, რომელიც უარყოფს 7 ხანას (როგორც ვიცით, 1 ხანა ამ ხელნაწერში თავის ადგილას არის).

№ 2829-თან ერთად ამ ხელნაწერით უარყოფილია მხოლოდ 122² და 1221¹ ა ხანები.

იგი უარყოფს ყველა № 461-ით უარყოფილ ხანას, გარდა 62¹—62¹-ისა.

მე-2 ტომის რედაქციას ეკუთვნის ვახტანგის გამოცემა და აგრეთვე არტანუჯის ხელნაწერი. როგორც ვიცით, ვახტანგის რედაქცია თავისუფალია იმ აუარებელი ჩანართი ხანებისაგან, რომლებიც ენის სიახლით XVII საუკ. მწერალთა ნაწარმოები უნდა იყოს. ამას გარდა ამ რედაქციას არა აქვს, სხვა XVII საუკ. ხელნაწერებთან შედარებით, გაგრძელება, რომელიც აგრეთვე სტილითა და მიმართულებით აღორძინების ხანას უნდა ეკუთვნოდეს; ერთი სიტყვით, მცირედნი დაკვირვებაც საკმაოა, რომ კაცმა დაინახოს ამ გაგრძელების რუსთველის ნაწარმოების ენასთან სრული შეუფერებლობა. შეიძლება «ვეფხისტყაოსანს» მართლა დაჰღუპოდეს საუკუნეების განმავლობაში რამოდენიმე ბოლო ხანა, რადგან დასასრულში, ისე როგორც თავში მოქცეულ ტაეებს, ხელნაწერებში მეტი ჯაფა ადგა; ხელნაწერს ყოველთვის თავი და ბოლო უფრო მალე უფუჭდება და პირველი და უკანასკნელი ფურცლები ყველაზე ადრე ეკარგება, მაგრამ საქმე ის არის, რომ არც ერთი ამ მიზნით გაგრძელებაში მოქცეული ხანა, თავისი სტილითა და ლექსის ხასიათით, არ შეეფერება რუსთველის ტექსტს. მოვიტანოთ შემდეგი ადგილი დაბოლოებიდან:

¹ მართალია, წინასიტყვაობის პირველი ორი ფურცელი დაკარგულა, და მათ ადგილას გადაწებულა ახალი ქალაღი და შეესებულა სხვა ხელით, მაგრამ საგულეებელია, ნაკლის შემესებულ ხელთ ჰქონოდეს მსგავსი რედაქცია ან აღდგინოს ამ ხელნაწერის წინასიტყვაობა ძალზე დაზიანებული ფურცლების მიხედვით.

ვანტანის განოცენაში ვკითხულობთ:

«კვლა ფრიდონცა დაეთხოვა, წავიდლო სახლსა ჩემსა,
ზედა-ზედა დავსტკეპნილუ დარბახსა და ანა თემსა,
სამსახურსა მიბრძანებდი, უაუცესა, ვითა მრწემსა,
და თქვენთვის ასრე მამსურდების, წვაროსათვის ვით ირემსა.

(1419[1656])

როსტვენისთვის წაატანა ძღვნად ტურფები ჯუბაჩები,
კვლა ჭურჭელი თვალთა თლილთა, არ კოვზები, არ ჩამჩები,
ჩემგაგიერ მიუტანე, წაო, ნურას მეურჩები,
და ავთანდილ თქვა: «არა ვიცე, მე უშენოდ ვით დავჩრები».

(1420[1658])

აქ, მართლაც, ეტყობა, რომ უნდა აკლდეს პირველისა და მეორე ხანის შუა კიდევ ერთი ხანა, სადაც უნდა იყოს ლაპარაკი იმ პირზე, რომელსაც «როსტვენისთვის წაატანა ძღვნად ტურფები ჯუბაჩები», ე. ი. ავთანდილზე, თორემ გამოდის, რომ ფრიდონ დაეთხოვა, «წავიდლო შინო!»—და მას, ე. ი. ფრიდონს წაატანა როსტვენისთვისო, რაც სრულიად უხერხულია და, მართლაც, ვრცელ რედაქციებში, რომლებსაც აქვს გაგრძელება, ამ ორ ხანას შორის მოთავსებულია შემდეგი:

«მასცა უბოძა ფარმანი: «წა, სახლი მოიარეო!
მე ნუ გამწირავ, მნახვედი, ადრე მობრუნდი გარეო»;
ავთანდილს უთხრა: «უშენოდ რამცა ვით გავიხარეო»,
და რადგან ისწრაფი, რაღა ექნა? მიგელის ლომსა მთვარეო!»

და ამის შემდეგ უფრო ბუნებრივია თქმა:

«როსტვენისთვის წაატანა ძღვნად ტურფები ჯუბაჩები»,

მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ხანაც დიდ ეჭვს იწვევს თავის სინამდვილეში. როგორც ვიცით, რუსთველს არ უყვარს ერთისა და იმავე ხანის განმეორება, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა პატივეცემულმა ნ. მარმა. მთელ მის ნაწარმოებში ვერსად შეხვდებით ჰომეროსისებურ ლექსის განმეორებას. მოტანილი ხანა კი სრულიად განმეორება თუ არა, შემდეგი ადგილის აშკარა მიბაძვაა:

«ვითა ჰმართებდა ეგზომი რამცა ვით გავიხარეო,
შელამდა, წაველ ბადისა მე კარი შევიარეო,
სად ასმათ პირველ მენახა, მუნვე ჩნდა მდგომიარეო,

და დაღრეჯით მითხრა: «წამოვლე, მიგელის ლომსა მთვარეო!»

(322[407])

თუ სახეში მივიღებთ იმას, რომ აღორძინების ხანის პოეტები ხშირად რუსთველის ლექსებს თავის საკუთრებად ასაღებენ, მაშინ სრულიად ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ეს ხანა რუსთველს არ უნდა ეკუთვნოდეს. რაც შეეხება თვით გაგრძელებებს, იგი, სტილის მხრით, შეუძლებელია მიღებულ იქმნას XVII საუკუნეზე ადრინდელ ნაწარმოებად. მოვიტანთ შემდეგ ნიმუშს გაგრძელებითგან: როგორც ვიცით, 1409 [1578] ხანაში საუბარია სამივე გმირის ინდოეთს დაუბრკოლებლად მისვლაზე ტარიელის გასახელმწიფებლად. ამ ხანის შემდეგ პირდაპირ იწყება 1410 [1637] ხანა:

«ტარიელს და ცოლსა მისსა მიჰხვდა მათი საწადელი,
შვიდი ტახტი სახელმწიფო, საშეებელი, გაუცვდელი,
მათ პატიჟთა დააფიწყებს ღვინი ესე აწინდელი
და ყოლა ღვინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუქდელი».

გადასვლა ერთი ხანიდან მეორეზე სრულიად ბუნებრივია, მოთხრობის ძაფე სრულიადაც არ წყდება; წინა ხანაში ნათქვამია, რომ «მათ სამთავე მოეგებნინან, მტერობა ვერავინ დაიქადოსა»-ო, მაშასადამე, სამი მტერთა მემაჯანის რაინდის ინდოეთს შესვლა საკმაო იყო, რომ მტერობა ვეღარავის დაექადებია. ამის შემდეგ მხოლოდ იმის თქმა შეიძლებოდა, რომ

«ტარიელს და ცოლსა მისსა მიჰხვდა მათი საწადელი,
შვიდი ტახტი სახელმწიფო საშეებელი, გაუცვდელი,
მათ პატიჟთა დააფიწყებს ღვინი ესე აწინდელი
და ყოლა ღვინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუქდელი».

მაგრამ ეს როდი უკმარებია გაგრძელების მოსურნე მწერალს: ამ ორ ხანას შორის კიდევ ჩაურთავს მთელი ეპიზოდი შემდეგი სათაურებით:

- 1) ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა.
- 2) ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთ დამორჩილება.
- 3) ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა.

ეს ამბავი შეიცავს 65 [104] ხანას. რუსთველის ენის სრულიად უცნობი უნდა იყოს კაცი, რომ ამ ჩამატებული ეპიზოდის ენა და ლექსი ვერ გაარჩიოს რუსთველის ენისა და ლექსისაგან. პირველის ორი-სამი ხანის მოტანა საკმაოა, რომ გამოიცნოთ XVII საუკუნის ქართველი მელექსის ნაწარმოები:

«ქედსა ზედა გარდმოადგა მეტად დიდი ქარავანი,
კაცები და საწედრები ერთობ იყო შაოსანი;
გარეშემო მოეკუეცნეს უკანამო დალაღანი (!)
და მეფე ბრძანებს: «მოასხენით, ჩვენ დავუოვნოთ აქა ხანი».

«მოასხეს იგი ვაჭარნი და მათი უხუცესია;
უბრძანა: «ვიან ხართ, შავითა რად ტანი შეგიგლეცია».
მათ მოაქსენეს: «სით მოვალთ, მუნ ესე დანაწესია,
და ინდოეთს მისრით მოსრულთა გვივლია გზა უგრძესია».

«გაეხარნეს მათ ვაჭართა ინდოეთით მამავლობა,
მაგრა თავი უმეცარ ყუეს, არა მისცეს ყოლა გრძნობა;
უცხოურად ეუბნებინ: მათ ვერა ქნეს მათი ცნობა,
და არ ესმოდა ინდოური, არაბულად ყუეს უბნობა».

უბრძანეს: «გვითხარ, ვაჭარნო, ამბავი ინდოეთისა».
მათ ჰკადრეს: «ზეციით მოსრულა ინდოეთს რისხუა ზეცისა;
დიდსა და წურილსა ყუელასა ცრემლი სდის მგზავსი წუეთისა,
და მას შიგან მყოფსა ყუალასა ცნობა აქუს ვითა შეთისა».

ეს პირველი 4 ხანა საკმაოა, რომ დარწმუნდეს კაცი ამ გაგრძელების სიყალბეში: არა თუ კლასიკური ეპოქის ჭეშმარიტ შვილს, ამგვარი სტილით წერა არ შეეფერება აღორძინების პირველი ხანების მწერალსაც კი.

ვახტანგ მეფე, თავისი დროისთვის დიდად განათლებული ადამიანი, იმ-

როინდელი ხელნაწერების ჩინებული მცოდნე, რა თქმა უნდა, აირჩევდა ისეთ დედანს, რომელიც თავისუფალი იყო ამგვარი აშკარა უაღბო ხანებისაგან და გაგრძელებისაგან: იმ დროს უსათუოდ იქნებოდა სადმე უძველესი დედანი, რომელსაც არ ექმნებოდა შემდეგი დროის გაგრძელება და ჩანართები, რომლებითაც ცნობილია XVII საუკუნის ხელნაწერები. ამას რამდენადმე ამართლებს პ. ლარაძის ცნობა «კერძოთა არტანუჯისათა მოპოებული უძველესი «ვეფხისტყაოსნის» შესახებ, რომელიც არსებითად იგივეა, რაც ვახტანგის გამოცემა. თვით ეს ცნობა იმის შესახებ, რომ «ვეფხისტყაოსანი» დიდად გარყენილიყო, და ამ მიზეზით თ. გიორგი ეგნატეს ძე თუმანოვს მოეპოვა უძველესი ხელნაწერი «ვეფხისტყაოსანი» კერძოთა არტანუჯისათა»-ო, არაფერ დაუჯერებელს არ შეიცავს: თუ დღემდის არ აღმოჩენილა ამგვარი ხელნაწერი, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი დაკარგულია.

ვახტანგის რედაქცია, თავისი ცოტა ჩანართებით, ანუ, უკეთ, ლიტონობით და სიმოკლით, განსაკუთრებული რედაქციის სახეს ატარებს, და, როგორც ამგვარი, იგი «ვეფხისტყაოსნის» გამოცემის ქვაკუთხედს უნდა შეადგენდეს, იმდრომდი მაინც, სანამ არ აღმოჩნდება ამის საწინააღმდეგო ფაქტი, ე. ი. ისეთი ვრცელი რედაქცია, რომლის გაგრძელება სრულიად შესაფერი იქნება რუსთველის ნაწარმოებისათვის. ის გარემოება, რომ ვრცელი რედაქციების გაგრძელების ვახტანგის ძირითად ტექსტთან შედარება ენის მხრივ ცხადყოფს გაგრძელების ხანების რუსთველის ენისთვის შეუფერებლობას, საქმაოა, ჩვენის აზრით, იმის დასამტკიცებლად, რომ საუკუნეებს გადარჩენილ ხელნაწერებს არავითარი გაგრძელება არ მოპოვოლიათ.

ის ადგილი, სადაც გამგრძელებელს შეუტანია ზემორედსახელებული ეპიზოდი, თითქმის ერთადერთია, რომელსაც ასე თუ ისე, უხდება შეესება. არსებული დასასრული სრულიად აღარ საჭიროებს არავითარ მიმატებას, რადგან იგი სრულიად ბუნებრივია: ყოველი ჭირისმძლე და გაფოლადებული გმირი რაინდები ბოლოს მიაღწევენ სასურველ შეერთებას, გახელმწიფდებიან და გამორჭმულდებიან, რითაც ხორციელდება პოემის დედააზრი, ესე იგი კეთილის გამარჯვება ბოროტზე, რაც ასე შეგვიძლია განვმარტოთ: რაინდული სიყვარულისა და მეგობრობისთვის თავდადებული პირები, — თავიანთი მიზნის მისაღწევად ბოროტი ძალების წინააღმდეგ მებრძოლნი — ძლევენ ყოველგვარ გაჭირვებას და მიაღწევენ სასურველ შეერთებას, გახელმწიფდებიან და გამორჭმულდებიან, რითაც იმარჯვებს იდეა:

«კეთილმან სძლია ბოროტსა, არსება მისი გრძელია».

ეს დედააზრი უკვე საესებით განხორციელებულია იმ მთლიანი შინაარსის ნაწარმოებში, როგორიც წარმოდგენილია ვახტანგის რედაქციით და რომელიც არ საჭიროებს კიდევ რისამე მიმატებას.

მაგრამ «ვეფხისტყაოსნის» კითხვით მადაგახსნილი აღორძინების ხანის მგონები, უფრო მოხელეები — კარის მდივნები — როდი კმაყოფილდებიან ამისთანა ბუნებრივი დასასრულით: ისინი ერთიმეორეს ასწრობენ, გამოაბან მას კიდევ რაღაც ხვარაზმთა მეფის ამბავი, რომელიც «დარჩომოდა სარგის ლექსთა შეუწყობლად». ერთმა კარის მელექსთაგანმა, ალბათ, ნანუჩამ, ან სხვა ვინმე მეფის მდივანთაგანმა, პირველმა გაისროლა ბურთი მოედანზე ლელოს გასატანად და აცნობა ჩამომავლობას შემდეგი:

«აწ გონიერნო, სიტყვანი მისმინეთ, შეიწყნარენით,
ძველი ნარჩომი ამბავი ლექსად ვთქვენ, გაიხარენით,
სარგისს დაურჩა უთქმელად, ჩვენ ესე დავაბრალენით,
და ლექსნი მიქენით ამისთვის, ენანი მამაქმარენით».

ამ ხანით დაასაბუთა მან თავისი წერის მოტივი და ჩაურთო ზემორედასა-
ხელებული ეპიზოდი, რომელიც დაასრულა შემდეგი ბიბლიოგრაფიული ცნობით:

«ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად,
აგრევე თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად,
ესე სიტყვა მოაქსენეს, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად,
და მიბრძანა თუ, ლექსად თქუიო, მჭევრ-ქართულად, დაუშრობლად».

დასაჯერებელია, რომ არსებობდა მართლაც ძველთაგან დარჩენილი ამბავი
საქართველოში ხვარაზმთა შესახებ. ამგვარი ამბავი, მართლაც, შეეძლოთ ეთარ-
გმნათ ძველ ქართველებს, რადგან ხვარაზმების შესახებ ამგვარ ამბებს დიდი
ვასავალი ექნებოდა ძველ საქართველოში, სადაც მუდმივი ბრძოლა ჰქონდათ ხვა-
რაზმელი შაჰების წინააღმდეგ XIII საუკ. პირველ ნახევარშივე: ხატაეთი და
ხვარაზმა იმ დროს განთქმული იყვნენ, რადგან მათ მორჩილობდა და ხარკს აძ-
ლევდა ბევრი მეზობელი სახელმწიფო და, მათ შორის, ჩვენი საქართველოც, მათ
შესახებ ამბებს იმგვარივე მნიშვნელობა ექნებოდა, რაც დღეს კრიტიკულად და-
წერილ ისტორიას. შესაძლებელია ისიც, რომ თმოგველების თმოგვიდან წასვლამ-
დი ეს სარგის თმოგველისაგან ნაანდერძები ამბავი ინახებოდა თმოგველების საგ-
ვარეულოში. უველაფერი ეს შესაძლებელია. მაგრამ ეს სრულიად არ აძლევს სა-
ბუთს მელექსეს, — «ვეფხისტყაოსანს» გამოაბას კუდად ეს ძველთაგან დარჩე-
ნილი ამბავი. ერთი კია, ეს ამბავი მეფის მდივნის პოეტურ მიზანს საუკეთესოდ
აკმაყოფილებდა: ამისთანა ამბის გალექსვით, იგი ფიქრობდა რუსთველის გვერ-
დში ამოდგომას. მაგრამ მწარედ მოტყუვდა. მისი მიმბაძველი ხასიათის ალორ-
ძინების დროის ლექსები შეუმჩნევლად არ დარჩა პოემის ერთობილ მარგალიტებ-
ში. მის მიერ შერეულია «ვეფხისტყაოსანმა» მალე აალაპარაკა საუკეთესო ქარ-
თველი მოქალაქეები და მწერლები, და არჩილიც თავისი «არჩილიანის» წინასიტყ-
ვაობაში აცნობებს ჩამომავლობას:

«ნანუჩას რუსთველის ნათქუამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყუვია, წმინდა რამ აუმღვრევია,
მასთან რას სწერდა მის ლექსსა, სირეგვენ მით მორევია,
და რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცა თუ იგ მორევია».

მაგრამ, ეტყობა, ეს ნანუჩა, ანუ მანუჩარ, გვარად ციციშვილი, თავისი ამ-
გვარი ნაწარმოებით ერთ ხანს მაინც უნდა გამხდარიყო საზოგადოების თვალში
სახელოვან მგოსნად. სულ რომ არა იყოს რა, რუსთველის ნაწარმოების ნაკლის
შევისება და ახლის «ვეფხისტყაოსნის» შექმნა სრულიად საკმაო უნდა ყოფილიყო
კრიტიკას შეუჩვეველი საზოგადოების თვალში, რომ ნანუჩას მალე გავარდნოდა
სახელოვანის მწერლის სახელი, და, მართლაც, არჩილზე ადრე, ნანუჩას ათავსებს
სახელოვან პოეტთა გვერდით XVII საუკუნის პირველი ნახევრის მწერალი, მე-
ფის მდივანი მამუკა, რომლის კალამს ეკუთვნის «ზააქიანის» გალექსვა.

მგოსანი მამუკა ასე იწყებს თავის «ზააქიანს»:

«გეხვეწები გონიერთა, ვინ არა ხართ თვისა მკლველი,
ამას უური მოუყარით, ბრძენი იყოთ, ანუ ხელი,
საქართველოს ეს ამბავი დარჩომოდა ძველის-ძველი,
და თუმც იცოდეს ჩემგან უკეთ, რად არ მიპყო ერთმან ჭელი».

«ვერ შეემართა შავთელსა და ვერცა სარგის თმოგველსა,
ვერცა მანუჩარს მწერალსა ტკბილის სიტყუისა მქმობელსა,
ერიდებოდეს სიტყუასა უშვერსა და საგმობელსა,
და ვისცა გიკითხავთ ამბავი, თქვენც ხედავთ გაუწყობელსა».

აქ პირდაპირ დასახელებულია კლასიკურის ეპოქის სახელოვან პოეტთა გვერდით მანუჩარ მწერალი, რომელიც არის ეს ჩვენ მიერ მოხსენებული «ვეფხისტყაოსნის» გამგრძელებელი ნანუჩა ციციშვილი.

ამნაირად ვახტანგისა და აგრეთ წოდებული არტანუჯის რედაქციები, რომლებსაც ზემორემოტანილი მოსაზრებებით ვაკუთვნებთ მეორე და განსაკუთრებულის ტიპის რედაქციებს, უნდა იყოს ერთ-ერთი უძველესი რედაქციათაგანი, რომლის საშუალებით, შესაძლებელია, დაახლოებით მაინც, «ვეფხისტყაოსნის» ძველისძველი დედნის აღდგენა.

ნანუჩა, ისე როგორც მისი წინამორბედი ჩანართის ხანების ავტორები, რომლებმაც პირველად შეახეს ხელი ჯერ კიდევ წმინდა და შეურყენელ «ვეფხისტყაოსანს», რა თქმა უნდა, აღორძინების ხანის მელექსეთათვის უნდა გამხდარიყვნენ საუკეთესო მისაბაძი, რადგან ეს იყო რუსთველის კალმის თანაზიარად განდომის ერთი საუკეთესო საშუალება. ამ მიმართულებაზე ილწვიან სხვებიც და შეაქვთ სრულიად ახალი ენით დაწერილი და პირველ ყალბის მქნელებზე ბევრად უმწი და ულაზათო ხანები.

ამ მიმართულებაზე გატაცება იმდენად მოწონებული ყოფილა აღორძინების ხანაში, რომ მეფის მდივნები და სწავლული გადამწერლები დიდი სიამოვნებით დებულობენ ამ ახლად ჩანართ ხანებს და შეაქვთ, მეფეთა ბრძანებით, საგანგებოდ დაკაზმულ ვრცელ და მხატვრულ გამოცემებში. ამნაირად შემზადდა XVII საუკ. მეორე ნახევარში მესამე ტიპის ვრცელი რედაქცია, რომელიც შეიცავს პირველისა და მეორე ტიპის რედაქციების ყველა ჩანართთა შეერთებას, საკუთარ ჩანართებსა და ახალ გაგრძელებებთან ერთად. ამ მე-3 ტიპის ხელნაწერებს ეკუთვნიან საისტორიო და საეთნ. საზოგადოების საგანძურის № 757 და № 54 და წ.-კ. საზ. საგანძურის № 5006 და ყველა სხვა ვრცელი გამოცემა.

სააკთო სკაითი

ახლა რომ დავუპირდაპიროთ ერთმანეთს ვახტანგისა და არტანუჯის რედაქციები, ერთი მხრით, და ყველა არსებული რედაქცია, მეორე მხრით, ჩვენ წარმოგვიდგება შემდეგი სურათი:

1) პირველი ტიპის ხელნაწერებს (როგორიცაა №№ 2829, 461, 599 და 4499) აკლია ისეთი ხანები, რომლებიც მეორე ტიპის რედაქციებში შემდეგში შეუტანიათ.

2) მეორე ტიპის (ვახტ.-არტ.) რედაქციები თავისუფალია იმ ხანათაგან, რომლებიც, როგორც სტილის, ისე შინაარსის მიხედვით, შემდეგი დროის (სახელოვან XVII ს.) ჩანართი უნდა იყოს. ამას გარდა ამ რედაქციას არა აქვს გაგრ-

ძლებს, რომელიც აგრეთვე სტილისა და შინაარსის მიხედვით, აღორძინების პირველ ხანებს უნდა ეკუთვნოდეს.

3) № 2829 არის უძველესის რედაქციის პირი, რომელიც შემდეგში შეიქმნა 1646 წლის № 599 ხელნაწერიდან და ჩაერთო ახალი ხანები და ახალი რედაქტორის ხელით გაგრძელდა ავთანდილისა და ტარიელის ანდერძამდი.

4) № 461 ხელნაწერის შესწავლიდან შთაბეჭდილება ისეთია, რომ ის უნდა იყოს ერთ-ერთი უძველესის და ძალზე დაზიანებული ხელნაწერის პირი, რომლის რედაქტორს შესავლის ხანები (რადგანაც აღარ ყოფილა) უსესხებია სხვა შეკეთებული რედაქციითგან. შესაძლებელია №№ 461-ისა და 599-ების ასლი ერთი და იგივე ყოფილიყოს, რადგან ეს 2 ხელნაწერი თავიანთი დეფექტებით ძალიან წააგავს ერთმეორეს. ეს ასლი დამოუკიდებელი ყოფილა იმ ასლზე, რომლის პირს წარმოადგენს № 2829 ხელნაწერი, რაც მტკიცდება იმით, რომ ამ ორ რედაქციას აკლია რამოდენიმე სხვადასხვა ხანა.

5) № 4499 ხელნაწერი ეკუთვნის იმავე დროს, როდესაც შემზადდა № 2829 ხელნაწერი; მას საფუძვლად უძევს იგივე რედაქცია, რომლისგანაც განვითარდა № 2829, ხოლო ეს № 4499-ის რედაქტორმა შეავსო № 599-ის საშუალებით იმ ხანებით, რომლებიც კერძოდ № 2829-ით ვახტანგის გამოცემაში უარყოფილია. ეგვევ ითქმის № 1117 ხელნაწერის შესახებაც, რომელიც, როგორც ზემორე აღვნიშნეთ, ამ № 4499-ის პირს წარმოადგენს (ხელნაწერები, გვ. XVII, სტრ. 17).

6) № 5006 წარმოადგენს იმ რედაქციის განვრცება-გადიდებას, რომლისაგანაც შემუშავდა ვახტ.-არტან. რედაქციები. ამიტომაც ამ ხელნაწერში შესავალი იმგვარადვეა დალაგებული, როგორც მეორე ტიპის ხელნაწერებში.

7) მეორე ტიპის (ვახტ.-არტანუჯ.) რედაქციები წარმოადგენს, თავისი შედგენილობით, უძველესი «ვეფხისტყაოსნის» სახეს იმ განსხვავებით, რომ მათში გადამწერელს შეუტანია ზოგიერთი ხანა, რომელიც არ მოიპოება ისეთ ძველ რედაქციებში, როგორცაა: №№ 2829, 461, 599, 4499 და სხვა მაგვარი, რაც აიხსნება იმით, რომ ორისავე ტიპის რედაქციები წარმოადგენენ ერთისა და იმავე დედნის განვითარებას ერთისმეორეზე დამოუკიდებლად. აქედან ცხადია, რომ ვახტანგის რედაქციის გაწმენდა შესაძლებელია ჯერჯერობით იმ ხანათა უკუგდებით, რომლებიც არ იციან ხსენებულმა რედაქციებმა.

8) № 2829-ისა და ვახტანგის რედაქციის შედარებიდან ჩანს, რომ შესავლის 6 ხანა II, III, IV, V, VI და კიდევ პომის ტექსტის 17 [48] ხანა, რომლებიც ვახტანგის რედაქციაშია, № 2829-ში არ მოიპოება. ამას გარდა მასში ვერ ვხვდებით ვინმე მესხის შესახებ ბოლოს მინაწერ ხანას. ყურადღების ღირსია ის, რომ ვინმე მესხის ბოლო ხანების და თამარისა და მისი მეუღლის დაეით სოსლანის შესახები ხანების სტილი ძალიან ჰგავს ერთმანერთს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათი დამწერი უნდა იყოს ეს მესხი რუსთველი, რომელიც, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, არის ტარიელ სარიდანის ძის სამიჯნურო თავგადასავალის შიგადაშიგ შემსვები და საბოლოოდ ჩამომყალიბებული. ეს რამდენადმე ჩანს მისი მინაწერიდანაც თვისი ვინაობის შესახებ, 01,4:

«ესწერ ვინმე მესხი, მელექსე მე რუსთველი სად ამისა»¹.

ეს ადგილი «ვეფხისტყაოსნის» გამომცემლებმა გადააკეთეს თავის გემოზე. ამგვარად:

¹ ამ ვინმე მესხის შესახებ — «ვეფხისტყაოსნის» 26-ე გამოც., გვ. LXXXVII.

«ესწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დაბისა».

«ვეფხისტყაოსნის» ერთ-ერთი ნამდვილი გამაღილებელი და გამგრძელებელი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ნანუჩა ციციშვილი, რომელსაც არჩილი ასე ახასი-ათებს:

«ნანუჩას რუსთელის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღვრევია,
მასთან რას სწერდა მის ლექსსა, სირეგვენე მით მორევაა,
და რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცა თუ იგ მორევაა.»

ეს ნანუჩა ციციშვილი, რომელსაც ერთ ხანაზე კარგის მელექსის სახელი ჰქონია დაფარდნილი თანამედროვე საზოგადოებაში, რადგან მას შეენიერად იცნობს XVII საუკუნის პირველი ნახევრის მელექსე მეფის წდივანი მამუკა, რომელიც მას ათავსებს თავისი ზაქიანის წინასიტყვაობაში შავთელისა და სარგის თმოგველის გვერდით («ვერ შეეძარა შავთელსა და ვერცა სარგის თმოგველსა, ვერცა მანუჩარ მწერალსა ტკბილის სიტყვისა მქმობელსა»-ო, იგულისხმება ზაქიანის გალექსვის მსურველი), ჩვენი აზრით, უნდა იყოს XVII საუკ. პირველის ნახევრის მელექსე. ნანუჩას შესახებ, სამწუხაროდ, დღემდის არავითარი ისტორიული საბუთი, არც თუ ბიბლიოგრაფიული ცნობა, არ აღმოჩენილა. მაგრამ ის გარემოება, რომ მას არჩილ მეფე ათავსებს ძველ პოეტთა სიაში XVI საუკ. მეორე ნახევრის მელექსის ხოსრო თურმანის ძის შემდეგ, რომლის სრული სახელწოდება, ჩვენი აზრით, ქაიხოსრო თურმანის ძე ციციშვილია და XVII საუკუნის პირველის ნახევრის პოეტთა ნოდარ ფარსადანის ძის ციციშვილისა, ფაეღენიშვილისა და ომანიანის გამლექსავის წინ, უნდა ვიფიქროთ, რომ ის XVII საუკ. პირველ წლებში უკვე მოღვაწეობდა. ამას ადასტურებს შემდეგი თეორიული მოსაზრებაც: ქვემო საციციანოს ციციშვილებში მიღებული ყოფილა სახელი მანუჩარ; ერთ სიგელში 1720 წელს დასახელებულია მანუჩარ. თუ მივიღებთ სახეში, რომ შეიღს აძლევდენ ბაბუის სახელს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მანუჩარის მამა ცხოვრობდა XVII ს. სამოციან წლებში. მაშასადამე, ბაბუის ცხოვრება-მოღვაწეობა უწევს XVII საუკ. დასაწყისს. მის კალამს უნდა ეკუთვნოდეს № 599 ხელნაწერის რედაქციის შექმნა, რომელიც 1646 წელს გადმოუწერია ცნობილ მელექსეს მეფის მდივანს მამუკას.

ამ ყველაზე ძველ ხელნაწერში, როგორც ვიცით, დაცულია პირველად შემზადებული «ვეფხისტყაოსნის» ვრცელი რედაქცია, სადაც მოთხრობილია ხვარაზმთა მეფის ინდოეთს შემოსევისა და ტარიელისაგან თავის ძმადნაფიცების შემწყობით ხვარაზმშას დამარცხება და სამი მნათობი გმირის ჯერ ბედნიერი ცხოვრება და მერე სიკვდილი. ეს გაგრძელება შეიცავს სულ 150 ხანამდე. ნანუჩა ციციშვილს ბაძავს ყველა იმ დროინდელი პოეტ-მწერალი და შეაქვს ეს ახალი ხანები და გაგრძელება იმ საგანგებოდ შეკვეთილ მხატვრულ ხელნაწერებში, რომლებიც მე ზემორე მოვიხსენიე; ამ დროს ირყენება და სამუდამოდ ეყარება შთამომავლობას ბევრი ყველაზე მოკლე და სარწმუნო რედაქცია. ამგვარი რედაქციების შეცვლის ნიმუშებს წარმოგვიდგენს ისეთი ხელნაწერები, როგორიც არიან: №№ 2829, 461, 599 და სხვა პირველის ტიპის ხელნაწერები. ისინი გადმოწერილი არიან და შეკეთებული იმგვარი დედნებიდან, რომლებსაც ჯერ არ უნდა ჰქონოდა ნახლები ვახტანგის რედაქციის შემკეთებელის პირის ხელი. ეს რედაქციები, მეორე ტიპის ხელნაწერებთან შედარებით, შეიცავენ, როგორც გაგრძელებას, ისე

ბევრ ახალ ჩანართ ხანას, რომლებიც, სტილისა და შინაარსის მხრით, რუსთაველის ენისათვის სრულიად შეუფერებელი არიან.

ამნაირად ვახტანგის რედაქციის ზემოდასახელებულ ხელნაწერებზე შემოწმებით და იმ ხანათა გამოკლებით, რომლებიც ამ ხელნაწერებს აკლია, ვახტანგის რედაქციასთან შედარებით, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ დაახლოებით წმიდა და შეურყენელი «ვეფხისტყაოსნის» ტექსტი.

ჩანართთა შესახები მოსაზრებანი

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ის გარემოება, რომ ჩვენს საგანძურებში არსებული ხელნაწერების ვახტანგის რედაქციასთან შედარება გვაძლევს საუკეთესო საბუთს ცნობოთ ამ უკანასკნელში ჩანართად ბევრი დღემდე ნამდვილად ცნობილი ხანა, რადგან ვახტანგის გამოცემაზე ზოგიერთი ხელნაწერების შემოწმებით ცხადი ხდება, რომ «ვეფხისტყაოსნის» გადამწერებს სხვადასხვა დროს შეჰქონდათ ესა თუ ის ახლადშეთხზული ან სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირის ჩანართი ხანები, რის გამოც დღევანდელი ვრცელი რედაქციები წარმოგვიდგენს რუსთაველის უკედეგქმნილებაზე აგებულს სხვადასხვა პირის ლექსთა ერთგვარ კრებულს.

ჩვენი მუშაობის დროს ცხადად წარმოგვიდგა, რომ ვახტანგის რედაქცია, თვისი შედგენილობით, წარმოადგენს უძველესი «ვეფხისტყაოსნის» სახეს, იმ განსხვავებით, რომ გადამწერს მასში შეუტანია ზოგიერთი ისეთი ხანა, რომელიც არ მოიპოვება იმგვარ რედაქციებში, როგორც არის წერა-კითხვის გ. საზოგადოების საგანძურის №№ 2829, 4499 და 4988 და საისტ. და საეთნ. საზ. საგანძურის №№ 599 და 461 და სხვა ამგვარი. ამ უკანასკნელთა ძირითადი ტექსტი ნაანდერძევი იმგვარი რედაქციებითგან, რომლებსაც ჯერ არ უნდა ჰქონოდა ნახლები ვახტანგის რედაქციის შემკეთებლის პირის ხელი და მხოლოდ შემდეგში ახალ რედაქტორებს ისინი შეუვსია სხვა უფრო ვრცელი რედაქციებითგან და ჩაურთავთ მათში ახალი ხანები და გაგრძელებანი. ეს რედაქციებიც, როგორც ჩვენ უკვე გამოვთქვით¹, შეიცავენ, როგორც გაგრძელებას, ისე ბევრ ახლად ჩანართ ხანას, რომლებიც რუსთაველის ენის სრულიად შეუფერებელი არიან და რომლებსაც ვახტანგის გამოცემაც თავისი მხრით უარყოფს, როგორც ერთი უძველესი და ყველაზე წმიდა და ლიტონი რედაქცია.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ხსენებული რედაქციების გადამწერებს თავიანთი რედაქციების ამა თუ იმ ნაწილში, ნებსით თუ უნებლიეთ, არ შეუტანიათ ბევრი, როგორც ვახტანგის გამოცემით, ისე ფაქიზად შესრულებული ვრცელი რედაქციებით დაცული ჩანართები. ამისდამისხედვით, ჩვენ განვდევნეთ ვახტანგისეული რედაქციითგან ის ხანები, რომლებიც ხსენებული ხელნაწერებით უარყოფილია. ამგვარის ოპერაციის წყალობით, ჩვენ მივიღეთ «ვეფხისტყაოსნის» 22-ე გამოცემა.

მცირეოდენი დაკვირვებაც საკმაოა, რომ დარწმუნდეს ადამიანი დასახელებული ხელნაწერებით უარყოფილი ხანების ჩანართობაში, რადგან ისინი როგორც სტილით, ისე შინაარსით, რუსთაველის ენის შეუფერებელია.

ამნაირად ვახტანგის რედაქციის აქ დასახელებულ სუთ ხელნაწერზე შემოწ-

¹ «ვეფხისტყაოსნის» 22-ე გამოცემა, 1914 წ., შესავალი, ხელნაწერები, გვ. L XIII და აქვე ვახტანგ VI გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» რედაქციის შესახებ.

მეზით და იმ ხანათა გამოკლებით, რომლებიც ამ ხელნაწერებს აკლია, ვახტანგისეულ რედაქციასთან შედარებით, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ დაახლოებით წმინდა და შეურყენელი «ვეფხისტყაოსნის» ტექსტი, მაგრამ საქმე ამით როდი ბოლოვდება.

ამგვარი მუშაობის შემდეგ კიდევ უფრო ცხადი ხდება ის, რომ ბევრი ხანა, რომლებსაც, ვახტანგის რედაქციასთან ერთად, ხსენებული რედაქციებიც იცავენ, თავისი სტილის სიახლითა და აშკარა უაზრობით არ შეიძლება მიღებულ იქნას რუსთველის კალმის ნაყოფად.

ამას გვიკარნახებს იგივე ხელნაწერები, რომლებიც უარყოფენ ჩვენ მიერ განდევნილ ხანებს. მაგალითად, განდევნილი ხანები მოითხოვენ, რომ მათ წვატანოთ ზოგიერთი მათ შემდეგ დარჩენილი ხანებიც, რომლებიც, მათი განდევნის შემდეგ, მეტ ბარგად რჩება პოემის ტექსტში.

ეს გარემოება მოწმობს, რომ ისეთ მოკლე და შედარებით წმინდა რედაქციის, რომლისგანაც წარმოდგა ვახტანგისეული რედაქცია, კოპისტებსაც ვერ მოუთმენიათ გადაწერის დროს, მათთვისაც წაუძლევია სულს და ამიტომაც შეუტანიათ ტექსტში ზოგიერთი მათ დროს არსებული ჩანართი ხანები სხვა რედაქციითგან, რითაც, ჩვენი აზრით, აიხსნება ის აშკარა დამოკიდებულება, რომელიც არსებობს ვახტანგის რედაქციის ზოგიერთ ხანებსა და ვრცელი რედაქციების აშკარა ჩანართებს შორის.

ეტყობა, უძველეს რედაქტორებს, რომლებსაც ხშირად ხელთ ექნებოდათ ძალზე დაზიანებული ხელნაწერები აშკარა დეფექტებით ან წარუენილი ადგილებით, რომლებიც ძნელი გასასწორებელი იყო, იმ მიზნით, რომ შეეესოთ ამგვარი ხარვეზები, ჩაურთავთ ბევრი ხსოვნით აღდგენილი, ანუ უკვე სხვა რედაქტორის მიერ შეთხზული ხანა, რომელთაც, თავისი მხრით, გამოუწვევია ამა თუ იმ ახალი ხანის საჭიროება, და, აი სწორედ ეს უნდა ჩაითვალოს, ჩვენი აზრით, ამ ჩვენის ძეგლის თანდათან გავრცეება-გადიდების უმთავრეს მიზეზად.

როგორც ვიცით, ამგვარი მუშაობის მოწმე რამდენადმე ყოფილა პ. ლარაძეც, რომლის მოწმობით, «ვეფხისტყაოსანი» დიდად გარყენილიყო, და ამ მიზეზით, გიორგი ეგნატეს ძე თუმანოვს მოეპოვა უძველესი ხელნაწერი «ვეფხისტყაოსანი» «კერძოთა არტანუჯისათაო».

ამ პეტრე ლარაძის მიერ «მხარეთა არტანუჯისათა» მოპოებული ხელნაწერის ვახტანგის გამოცემასთან შედარებითგან ირკვევა, რომ მასში შეუტანიათ 17 ახალი ხანა, რომლებიც არ იცის ვახტანგის რედაქციამ.

მაშასადამე, გ. თუმანიშვილს შეუტანია იმ რედაქციაში, რომლისგანაც გაჩნდა ვახტანგისეული გამოცემა, ზოგიერთი მის დროს არსებული ხანები, რის შესახებაც ერთ გ. თუმანიშვილისეულ პ. ლარაძის რედაქციაში დაცულია კიდევ ბიბლიოგრაფიული ცნობა.

გადავდივართ მაგალითებზე, რომლებიც ამართლებენ ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ჩანართების შესახებ; სანამ შევეხებოდეთ იმ ჩანართებს, რომლებსაც კავშირი აქვს უკვე განდევნილ ხანებთან, ჩვენ, რიგის დასაცავად, ჯერ გავარჩევთ ერთ ჩანართ ხანას, რომელიც ვვაგონებს თავისი სტილითა და უადკილობით 76² [118] ხანას, რომელიც, როგორც ჩვენ დავინახავთ, აგრეთვე გამოწვეული ყოფილა ერთი აშკარა ყალბი ხანით.

1. როგორც ვიცით 29 [63]-ე ხანაში როსტევეან მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მას არა ჰყავს ყმა-შვილი, რომელიც მოასპარეხედ და მშვილ-

დოსნად ჰგავდეს მას; ერთი მისი განაზარდი ავთანდილია, და ისიც ცოტათი თუ შეედრება მას ამ მხრით.

ავთანდილ, — სხვა დროს ლალი და თამამი ჭაბუკი, — ამ შემთხვევაში წუნარად და დამშვიდებით მოისმენდა მეფის ბრძანებას, რომელზედაც მან მორცხვად, თავმოდრეკით, გაიღიმა. ასე რომ მეფე სრულიად ბუნებრივად ჰკითხავს: «რას იცინი, ანუ ჩემგან რა შეგრცხვენდაო», ე. ი. მეფეს სურს გულახდით და თამამად გამოსთქვას ავთანდილმა, თუ რას ნიშნავს მისი მორცხვი და «თავმოდრეკით გაღიმება». მეფის შეკითხვის შემდეგ, «რას იცინი, ანუ ჩემგან რა შეგრცხვენდაო», სრულიად ბუნებრივი და მოსალოდნელი იქნებოდა პასუხად იმის თქმა, რომ «მოასპარეხედ ვინ მჯობსო», — ასე თავის მოკვეცა, — «ცუდილა უკუთქმანია», ე. ი. ვერ არის კარგი და მოსაწონი რაინდული პასუხი, და რომ ეველაფერს გადაწუვეტს «ბურთი და მოედანი». ეს მართლაც ასევე გვაქვს 31-ე ხანაში.

მაგრამ ვილაც გადამწერელი ამით როდი დაკმაყოფილებულა; მას შეუტანია 30-სა და 31 ხანას შუა 30¹ [65] ხანა (იხ. გვ. 8), რომელიც სტილით, შინაარსითა და ლექსითაც რუსთველის ნათქვამისაგან განსხვავდება.

ეს ხანა იწყება ჩანართი ხანის ჩვეულებრივი დასაწყისით «კვლავ»: «კვლავ უბრძანა: «თავსა ჩემსა რას იცინი, რა დამგმეო?!» — მეფის ამგვარი კილო საოცარია, რადგან ავთანდილს საგმობი და დამცინავი სიტყვა არ უთქვამს, არც სხვა რამ შეურაცყოფა მიუყენებია მეფისთვის: იგი, პირიქით, ძალიან მორცხვად და თავმოდრეკით გაიღიმებს. მეფე კი, რომელიც ჯერ ჰკითხავს: «რას მერცხვი, ან რას იცინიო», უცებ საყვედურსა და გულისწყრომაზე გადადის და ეუბნება: «თავსა ჩემსა რას იცინი, რა დამგმეო?».

ვერც ფმის პასუხია მოხდენილი; იგი უპასუხებს მეფეს: «მოგახსენებ და ფარმანი მიბოძეო». გამოდის, რომ ჯერ უნდა თქვას, რის ნებაც არა აქვს, და მერე კი აიღოს ამის ნებართვა. ესეც გაჭირვების ლექსია. მთელი ეს ხანაც თავისი ფორმით და ლექსის უღაზათობით ეუცხოება რუსთველის კალამს. იგი უფრო ვისიმე უნიჭო და გამოუცდელი მელექსის ნაწერსა ჰგავს: ამიტომ რითმებიც ვერ არის შეწყობილი: 1)...რა დამგმეო, 2)... ფარმანი მიბოძეო, 3)...არ გარისხდე, არ გასწყურეო, 4)... არ ამიკლო ამაზეო. ყველა ამისდამხედვით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს 30¹ ხანა ჩვენს ძეგლში ჩანართი უნდა იყოს, რადგან ის ბევრს არაფერს ჰმატებს მოთხრობას და ლექსით და ფორმით ძალიან გვაგონებს 76² ხანას (იხ. ქვემოთ), რომელიც ამ ხანის დამწერსავე უნდა ეკუთვნოდეს.

ამ აშკარა უაღბო ხანის მომდევნო მეორე 30² (= 30¹, გვ. 9), რომლის გადარჩენას ადრე ჩვენ ვცდილობდით¹, აგრეთვე ვერ არის მოხდენილი: სულ რომ არა იყოს რა, მეფის მხრით ავთანდილის წინაშე თავისი ასულის თინათინის მზის დაფიცება ვერ არის საკადრისი საქციელი. ამასთან ეს ხანა ისევე ხელოვნურად არის ამ ალაგას ჩაჩხირული, როგორც ხელნაწერებით უარყოფილი მათ წინა 25¹ და 25² ხანები. ყველა ზემოთ თქმულს მხარს უჭერს აკადემიკოსი ნ. მარის ავტორიტეტული მოწმობა² ამ ხანათა ჩანართობის შესახებ. ყველა ამის მიხედვით

¹ იხ. ამ წერილის 1-ლი რედაქცია «შესწორებანი და შენიშვნანი 22-ე გამოცემის შესახებ კრიტიკული ტექსტის რამდენიმე ნიმუშით», ტფ., 1914 წ., გვ. 7—8.

² Н. М а р р. ИАН, 1917, გვ. 434—435.

ჩვენ თამამად შეგვიძლია ვცნოთ ჩანართებად დასახელებული 30' და 30' [= 31' გვ. 9] ხანები.

2. 33' [70] ხანის ჩანართობა იმდენად ცხადყო ა. სარაჯიშვილმა¹, რომ ამაზე კიდევ საუბრის გაგრძელებას მეტად ვთვლით. მით უმეტეს, რომ იგი თავისი შინა-არსით იმეორებს 37-ე [74] ხანას, რომელიც სრულიად თავის ალაგას არის, და რომელიც მეტი იქნებოდა იმ შემთხვევაში, უკეთუ მას ამ 31' ხანის ძირითად ტექსტს მივაკუთვნებთ.

აგრეთვე საეჭვოდ მიგვაჩნია ჩვენ აკადემიკოსი მარის მიერ უარყოფილი 34-ე ხანაც, რომელიც ამავე 33' ხანის აშკარა გაგრძელებას წარმოადგენს და, როგორც ამგვარი, იგი ერთისა და იმავე რესტავრატორის ნახელავი უნდა იყოს, რადგან მისი დატოვებით, ისე როგორც ტექსტიდან მისი განდევნით, მოთხრობის მსვლელობას არაფერი ევნება. ამ გზობისად ჩვენ იგი დავტოვეთ ძირითად ტექსტში ვარსკვლავს ქვეშ.

3. 31' ხანის ჩანართობის შესახებ იხ. იქვე ტექსტის კვლევა-ძიების შედეგები. გვ. LIX.

4. 62' [101] ხანის ჩანართობის შესახებ იხ. ხელნაწ. გვ. X, სტრ. 4.

5. როგორც ვიცით, 73-ე [114] ხანის შემდეგ, პ. ლარაძის გადაწერილ ხელნაწერში შეუტანიათ 73' ხანა (= ჩვენი რედ. შეცდომით 74', იხ. გვ. 14), რომელიც ვახტანგის გამოცემაში არ არსებობს და რომელიც მიიღო და შეიტანა ნამდვილ ტექსტში ი. მეუნარგიას ხელმძღვანელობით მომუშავე კომისიამ. კომისიის მოსაზრება ადვილი ასახსნელია, რადგან ამ ხანის არსებობას მოითხოვს 76² ხანა, რომელისაც ამ ჩანართთან დამოკიდებულება აშკარაა.

მოვიტანოთ ორივე ხანა:

73' [= 74' შეცდომით]:

«თუ ყოფილა იგი მოყმე სორციელი ხმელთა მვლელად,
მას ნახვიდა სხვაცა ვინმე, გამოჩნდების მასწავლელად,
თვარემ ეშმა გჩვენებია ლხინთა შენთა შესაცვლელად².

და სევდისგან მოიცალე, რად შექმნილხარ მოუცლელად³.

როგორც ამ ხანის შინაარსითგან ჩანს, თინათინ ეუბნება მამას: თუ სორციელია ის ყმა, რომელმაც ამდენი მწუსარება მოგვაყენა და შენც საგონებელში ჩაგაგდო, მას, უეჭველია, სხვაც ვინმე ნახავდაო, და გვასწავლისო, თუ არა და, ეშმა გჩვენებიაო.

ამასთან მჭიდრო და განუწყვეტელი კავშირი აქვს 76²[118] ხანასთან:

«მეფე ბრძანებს: «მართალ იყო ასული და ჩემი ძეო,
ენახე რამე ეშმაკისა სიცრუვე და სიბილწეო,
ჩემად მტერად წამოსრული, გარდმოჭრილი ზეცით ზეო,
და გამიშვია შეჭირვება, არა მგამა ყოლა მეო».

როგორც ხედავთ, ეს ხანა აშკარად მოითხოვს ყველა ხელნაწერში, გარდა ვახტანგის გამოცემისა, არსებულ 73' [114] ხანას, რომელიც პეტრე ლარაძეს მის

¹ ქურნალი «მოამბე», 1895, № XII, IV, გვ. 1, «ვეფხისტყაოსნის» ყალბი ადგილები.

² ეს ხანა სხვადასხვა ვადამწერებს, რადგან სტილი არ მოსწონებით, ბუერი უწყალებით: «შე-საცვლელადს» ნაცვლად, საუკეთესო ხელნაწერების ვარიანტები კითხულობენ «შემცველ მშლე-ლადს»-ს.

³ ვარ. — მოულხენლად.

მიერ გადმოღებულ არტანუჯული რედაქციის პირში შეუტანია, რადგან აქაც და იქაც ლაპარაკია სულის მტერ ეშმაკზე, ამიტომაც 73¹ ხანის მისეღვით, როსტევა-ნი ამბობს:

«მართალ იყო ასული და ჩემი ძეო,
ენახე რამე ეშმაკისა სიცრუევე¹ და სიბილწეო,
ჩემად მტერად წამოსრული, გარდმოჭრილი ზეცით ზეო!».

ეს 76² ხანა მარტო იმისთვის არის უარსაყოფელი, რომ მასში თინათინ წოდებულია «ასულადაც და ძედაც», რამაც ხელი შეუწყო იმ შემცდარ აზრს, ვითომც ხელმწიფე ქალი, რომლადაც უნდა ვიგულისხმოთ თამარ მეფე, XII საუკუნეში იწოდებოდა ძედ და არა ასულად. ამისდა მიხედვით, წაურყენიათ ზოგიერთს ხელნაწერებში ადგილი, რომელიც ჩვენ შევასწორეთ, უფრო სარწმუნო ვარიანტების მიხედვით; მაგ., მე-5 ხანაში ნათქვამია:

«და ჩემი ძე დავსვათ ჳელმწიფედ»,
რომელსაც სხვა ვარიანტები ასე ასწორებენ:
«ჩემი მზე დავსვათ ჳელმწიფედ».

ამნაირად, ეტყობა, ვახტანგისეულის რედაქციის შემკეთებელს მოსწონებია 76² ხანა, რომელიც მის თანამედროვე წარუენილ რედაქციაში ყოფილა, — და რომელიც შეუთხზავთ 73¹ ხანასთან ერთად, როგორც მასთან განუწუვეტელი კავშირის მექონი, — წაუძლევია სულს და შეუტანია თავის ახალ რედაქციაში ხანა, რომლის სტილი და უმსგავსობა აშკარად ამხილებს ყალბის მქმნელს.

ამ 76² ხანისთვის სრულიად ბუნებრივად წაუმატებია ყალბის მქმნელს 76³ [119] ხანა, სადაც მეფე მეტისმეტად ახირებულად იქცევა: იმის ნაცვლად, რომ შეწუხებულიყო ყმის ვერ პოვნით და სურვილის ვერ მიღწევით, იგი, პირიქით, «სისხარულით თამაშობას ადიადებს», მხიარულობასა და გართობას ეძლევა, რაც კი ქვეყანაზე მგოსანი და მუშაითი იყო, იხმობს, დარბაზი აივსება მოწვეულებით და მეფის სიუხვეს ენა ვერ გამოთქვამს.

მეფის საქციელის ამგვარი ახირებულობა და უცნაურობა მით უფრო საგრძნობია, რომ იგი სრულიად ართმევს თინათინს მოტივს, მოიწვიოს ავთანდილ და მას დააეალოს უცხო ყმის მონახვა: მართლაც, რაღა საჭირო იყო, თუკი რომ მეფემ დავიწყებას მისცა ეს საქმე, კიდევ თინათინისაგან მწუხარების განახლება?! მეფემ სისხარულით თამაშობა ადიადა, და, ამავე დროს, მისი უებრო ასული «ქუშად ჯდა», «დადრეჯით იყო მჯდომარე ძოწეულითა რიდითა».

მაშასადამე, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ხანები 76² და 76³ ეკუთვნის იმ რედაქციის პირველი შემკეთებლის ხელს, რომლისგანაც წარმოსდგა ვახტანგის გამოცემა, და თუ ეს ასეა, მაშინ 76¹ ხანაც მეტ ბარგად უნდა ჩაითვალოს, რადგან 76-ე ხანაში აზრი უკვე უმეტნაკლებოა და დათავებული, რადგან იქ უკვე ნათქვამია:

«ცუდად მაშერალნი მოვიდეს, მისსავე გულსა ზადია»,
და მაშასადამე, 76¹ ხანა, ამის შემდეგ, ნათქვამის განმეორება იქნება².

¹ ვარ. (ვახტ). — სიცუდე.

² ამ მხრით, საინტერესოა ამ 76-ე ხანის შედარება 581 [680] ხანასთან, რომელშიაც აგრეთვე სრულიად დათავებულია ნესტან-დარეჯინის ბებნისა და ვერ პოვნის შესახები ამბავი და ამასი მებებნელთა მხრითაც აღარაერთარი მოხსენება საჭირო აღარ არის.

მართლაც, თუ ძალიან დავაკვირდებით, 76¹ ხანა არც სტილით არის მოსაწონი: სულ რომ არა იყოს რა, ამ ხანის მე-4 ტაეპი «და ჩვენ ვერა გარგეთ, საქმენი სხვანი რამ მოიგვარენითო», ვერ არის მოხდენილი, რადგან სხვა საქმეების მოგვარება მეფეს გულის წყლულს ვერ განუკურნავდა. ამიტომ ჩვენ 73¹ ხანასთან ერთად საჭიროდ ვრაცხთ განვდევენოთ ვახტანგის გამოცემითგან ხანები 76¹, 76² და 76³ (იხ. შესწ. და შენიშ. კრიტ. ტექსტ. რამდენიმე ნიმუშით, თავი ბ, ხანები: 31¹, 31², 31³).

6. ვრცელ გაგრძელებათა მექონ რედაქციებში, აგრეთვე ჩვენ მიერ დასახელებულ №№ 2829, 4988, 461, 5006, 757, 54 და 599-ებში, 81-ე [124] ხანის შემდეგ ვხვდებით ხანას¹:

ქალმან უბრძანა: «ზარი მღევს მე ამისისა თხრობისა,
მწაღდა არა თქმა, რომლისა ღონე არა მაქვს თმობისა,
მაგრამ იცია მიზეზი შენისა აქა ხმობისა,

და რად ვზი ქუშად და დაღრეჯით ასრე მიჭდილი ცნობისა?!»

ამ ხანას, რომელიც ვახტანგის გამოცემამ და პ. ლარაძის გადაწერილმა რედაქციამ არ იცის, ყველა რედაქციებში მისდევს ვახტანგის გამოცემის 81¹ [126] ხანას:

ყმამან ჰკადრა: «საზაროსა ჩემგან თქმაღა ვით იქნების?!

მთვარე მზესა შეეყაროს, დაილევის, დაცაჭნების,

აზრად არად აღარა მცალს, თავი ჩემი მეგონების,

და თქვენვე ბრძანეთ, რაცა გიმძიმს, ანუ რაცა ვეკურნების».

თვალის ერთი გადავლებითაც შეიძლება დარწმუნდეს ადამიანი, რომ ეს 81¹ ხანა გამოწვეულია ზემორე მოტანილ ხანაში ნათქვამი სიტყვებით...

ცხადია, ეს ხანა ვახტანგისეული რედაქციის შემკეთებელს მოსწონებია და შეუტანია ვრცელი რედაქციითგან.

მაგრამ საქმე ის არის, რომ № 2829 უარყოფს 88¹ ხანას, რომელიც წარმოადგენს ავთანდილის პასუხს; ამ ხანის ჩანართობის შესახებ ჩვენ უკვე წარმოვადგინეთ ჩვენი მოსაზრება (აქვე, «ვეფხისტყაოსნის» ხელნაწ., გვ. VIII) და აქ ამაზე ვწუწვებთ ლაპარაკს. ცხადია, № 2829-ის რედაქტორ-გადამწერელს მოსწონებია და შეუტანია 88¹ ხანა და თანაც გადაუსწორებია 89 ხანის დასაწყისი «ყმამან ჰკადრა», «პველაცა ჰკადრად», რომ შეეწყო იგი 88¹ ხანისათვის².

ამისდამხედვით, ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ განვდევენოთ ძირითად ტექსტიდან 81-ე ხანა და გადავაკეთოთ 89-ე [135] ხანის დასაწყისი «კველაცა ჰკადრა» «ყმამან ჰკადრად».

ამნაირად, როგორც ეს ჩვენ კრიტიკული ტექსტის ნიმუშებში გვაქვს, 89-ე ხანის დასაწყისი ასე უნდა იყოს:

«ყმამან ჰკადრა: «აჰა, მზეო, რადგან ღმერთმან მზედ დაგბადა!.. და სხვა (შესწ. და შენიშვნ. კრიტ. ტექს. თავი ბ. ხანა 3).

7. 92¹ ხანა, რომელიც უარყოფილია № 2829 ხელნაწერით როგორც სტი-

¹ ს. კაკაბაძე, 31.

² შეიძლება «ყმამან ჰკადრა» «კველაცა ჰკადრად» შეცვლილიყოს 81¹ ხანის მიხედვითაც.

ლის, ისე შინაარსის მხრივ, ჩანართების აშკარა ნიშნების მატარებელია (ხელნაწერის აღწერილობაში გამოტოვებულია).

8. 102¹ ხანა სრულიად უადგილოდ და მაშასადამე, მეტისმეტად ხელოვნურად არის ჩაჩსირული პოემაში. სტილის მხრითაც მეტისმეტად უღაზათოა და, როგორც ამგვარს, ჩანართობის აშკარა ხასიათი აქვს.

9. 103¹ ხანა, რომელიც აგრეთვე აშკარა ჩანართების ხასიათის მქონეებელია, შეიტანა პოემის ტექსტში მეუნარგიას ხელმძღვანელობით შემდგარმა კომისიამ, პეტრე ლარაძის გადაწერილი «ვეფხისტყაოსნის» არტანუჯული რედაქციის თანახმად.

10. 125¹ ხანა, რომლითაც იწყებოდა IV თავი ანუ წასვლა ავთანდილისა ძებნად ტარიელისა, ეკუთვნის იმ უაზრო მაჯამებით დაწერილ ხანათა ჯგუფს, რომელთა შესახებ მე გამოთქმული მქონდა ჩემი აზრი იმავე წერილის პირველ რედაქციაში (ჩემივე შესწ. და შენიშვ. «ვეფხისტყაოსნის» 22-ე გამოცემის შესახებ კრიტიკ. ტექსტის რამდენიმე ნიმუშით, გვ. 15, სტრ. 15).

დღეს ამას უკვე მხარს უჭერს ახალგაზრდა მეცნიერის აკაკი შანიძის ავტორიტეტიც (იხ. აქვე ლექსიკ. დიონოსი), მეტია იმის თქმა, რომ ეს ხანა თავისი სტილის უვარგისობით და შინაარსის უაზრობით რუსთველის ნაწარმოებისთვის შეუფერებელია.

11. ხანები 132¹ [185] და 135¹ [191] უარყოფილია თვით ხელნაწერებით (იხ. ზემოთ, გვ. 145).

12. 135², 135³, 134⁴ ხანები მეტისმეტად ხელოვნურად არიან ჩართული პოემაში; პირველი ორი გადაბმული არიან ყალბის მქმნელის არაერთხელ ხმარებული სიტყვების: «იტყვის» და «კვლაცა იტყვის» საშუალებით. 135² და 135³ ხანები თითქო გაგრძელებაა ზემორე დასახელებული 135¹ ხანისა: «თავსა უთხრა: «მოჰქვე გიჯობს.... იტყვის:... კვლაცა იტყვის: დათმობა სჯობს და თავსავე ეუბნებისო», 135 ხანაც, სტილის მხრივ, აშკარა ჩანართობის ხასიათს ატარებს: 1 ტაეპის: «ყოველნი არსნი ცათ ქვეშეთნი (თუ ცას ქვეშელნი?) —პირდაპირ უკანონო შეთანხმებაა.

135 ხანის მომდევნო 136 ხანაში ავთანდილმა «მობრუნება დააპირა, სულთქნა, მერმე ივაგლახა». ამ დაბრუნების მიზეზები უკვე გამოთქმულია მარტივად და ნათლად 133, 134 და 135 ხანებში და ამის შემდეგ კიდევ სრულიად საჭირო აღარ არის ის ზედმეტი და დაუსრულებელი ფიქრი და გოდება, რომელიც გამოთქმულია დასახელებულ ხანებში. ამიტომ ჩვენ ხანები 135², 135³ და 135⁴ ჩაეიტანეთ სქოლიოში.

13. 136¹ [193] ხანა სტილის მხრით მეტისმეტად მძიმეა და გაუგებარი და თანაც იმის განდევნით მოთხრობის ბუნებრივ მსვლელობას არა აკლდება რა, ამიტომ ჩვენც კომისიის აზრის თანახმად, ვათავსებთ მას სქოლიოში.

14. 158¹ [217] ხანა და 158² ხანაც, როგორც პირველის გაგრძელება, სრულიად უადგილოდ და ხელოვნურად არის ჩართული 158 და 159 ხანებს შუა: 158-ე ხანაში ავთანდილი ფიქრობს, თუ როგორ ჩაატაროს უსიფათოდ მიგნებული შმაგი მიჯნურის ტარიელის დაწვევა. იგი ამიტომ ამბობს: ასე ადვილად დაწვეა არ ვარგა, რადგან «ანუ მომკლავს, ანუ მოვჰკლავო» და იმალვის მეტისმეტად. მაშასადამე, ავთანდილ, როგორც ქვემდებარე, ღიად დგას 158-ე ხანაში და რაღა საჭიროა კიდევ 158¹ ხანის დაწევა სიტყვებით: «ავთანდილ იტყვისო», მაშინ,

როდესაც აქ სრულიად საკმაო იყო თქმა ერთი სიტყვის: «იტყვის:» და შემდეგ ჭირნიშვალად რად ვაცუდენი და სხვა.

სტილი და ენა ორსავე დასახელებული ხანის მეტისმეტად ტლანქი და მძიმეა:

«რალაცა¹ არის, არა არს, თუმცა არ ედგნეს ბუდენი,
სადაცა მიეა, მივიდეს, რამცა მოვლიდეს ზღუდენი».

...«დასამრუდენი»... და ასევე შემდეგ ხანაშიაც, სადაც ვხვდებით ისეთ ნაძა-
ლადვე ფორმებს, როგორიცაა:

«შეჯამადთა მჯამენი», «ერთნი თვალისა წამენი» და სხვა...

ამავე დროს მათი განდევნით პოემის ბუნებრივ მსვლელობას არაფერი უშავ-
დება. ამიტომაც ჩვენ მათი სქოლიოში ჩატანა ბუნებრივად ვცანით.

15. 162¹ [222] ხანა ვახტანგისა და ქართველიშვილის რედაქციებში უარყო-
ფილია (აქვე, «ვეფხისტყაოსნის» ხელნაწ., გვ. IV, 35, გვ. X, სტრ. 4). ეს ხანა ში-
ნაარსითა და სტილით ულახათა, რის გამოც იგი განდევნა ძირითადი ტექსტი-
დგან ჯერ კიდევ საგანგებოდ მოწყობილმა კომისიამ.

16. 173¹ ხანა შინაარსით თავისთავად უაზროა და მასთან მის წინა 173-ე ხა-
ნაში გამოთქმული აზრის განმეორებაა. ამიტომაც იგი სამართლიანად უარყოფი-
ლია № 461 ხელნაწერით (აქვე «ვეფხისტყაოსნის» ხელნაწერები, იქვე გვ. X, 4).

17. 173² [235] და 173³ ხანები 1-ლი მის წინა 173¹ ხანის განდევნის შემდეგ
სრულიად მოულოდნელად იწყება; იქ არ არის ნაჩვენები, თუ ვინ ლაპარაკობს,
რაც ამ შემთხვევაში ძალიან საჭიროა; თუ ერთ შემთხვევაში დასახელებულია, თუ
ვინ ეტყვის, მაგ., 173 «ქალი ეტყოდა», ან 173¹ — «კვლა ეტყვის» (ქალი), 173²
ხანაც უნდა იწყებოდეს სიტყვებით: ყმა «ეტყვის», აქ კი — პოეტი პირდაპირ
გაუფრთხილებლად იწყებს: «ქალო, არ იცი, სით მოვალ»... და სხვა. შინაარსით ეს
ხანა მეტისმეტად ღარიბია; აქ გამოთქმულია სხვადასხვა აზრი, რომლებსაც ერთი
მეორესთან ძალიან ცოტა კავშირი აქვს. სიტყვებს: არ იცი, სით მოვალ, რა ჭირ-
ნი მომითმენიან-ო, მისდევს:

«ოღითგან ვეძებ ჰამბაუთა, ესე არ ვისგან მსმენიან».

ამის შემდეგ კი ამბობს, რალად უნდა გეწყინოს ჩემი სიტყვები «ვერ დამეხს-
ნები, მიაშბე, ჩემგან ნუ გრცხვენიან».

საერთოდ ამ ხანას ძალიან ცოტა აზრი აქვს. ამას გარდა, სტილიც მისი მე-
ტისმეტად ახალია მიუხედავად იმისა, რომ იქ არის ნახმარი ისეთი პოემაში არც
ერთხელ ხმარებული ძველი სიტყვა «ოღითგან». ეს ამ შემთხვევაში საგრძნობია
მით უმეტეს, რომ აქვე არის ხმარებული ხალხური თანამედროვე ენისათვის ჩვეუ-
ლებრივი ნ-არ-ღაზრდილი ფორმა, მსმენიანო, რომელსაც დამატებად აქვს არა
მწიგნობრულ-ეკლესიური მრავლობითი რიცხვის ნარიანი ფორმა, არამედ ნაცვალ-
სახელა «ესე» მხოლოდობით რიცხვში.

ამ 173² ხანის მომდევნო 173³ ხანაც თავის შინაარსით არაფერს არ უმატებს
ქალის იმ პასუხს, რომელიც უკვე უმეტესაქლებოდ არის გამოთქმული 173-ე ხა-
ნაში. ამას გარდა, ამ ხანის სტილიც მეტისმეტად ახალია და თანაც მას ახასიათებს
ყალბის მქმნელის ჩვეულებრივი უაზრო მრავალსიტყვაობა. ხოლო 173-ე ხანის
შემდეგ 174-ე ხანა ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს: ქალი გადაჭრით ეტყო-
და:

¹ გინა რაცალა.

«ცუდად ნუ სცთები, ნუ ელი მაგა ამბისა მზობასა»

და ამის შემდეგ უმა მიმართავს ერთ გონიერ საშუალებას; სახელდობრ, იგაქალს აფიცებს ყველაფერს და მერე მუხლ მოყრით დაუწყებს ვედრებას, ხოლო რა ამითაც ვერას გახდება, უკიდურეს ღონეს მიმართავს:

«ადგა, თმითა წამოზიდნა, გულსა დანა დააბრჯინა» და სხვა.

ყველა ამასთან ხანები 171—174-მდე უცხო ყმის მოულოდნელი თავდასხმით აღშფოთებული ქალისა და მისთვის უსაჭიროესი ამბის ვერ შეტულობით მოთმინებიდგან გამოსული ყმის სულიერი მდგომარეობის მომენტს უმეტნაკლებოდ ასურათებს. ამიტომ ჩვენ ბუნებრივად ვცანით დასახელებულ 173² ხანასთან ერთად მის მომდევნო 173² და 173² ხანებიც სქოლიოში მოგვეთავსებინა.

18. 176¹ [241] ხანაც (=შეცდომით 175¹) იწყება უალბის მქმნელის ხელოვნურად გადასაბმელი ჩვეულებრივი სიტყვებით: «კვლა ეტყვის.»

ამასთან ეს ხანა, სტილითაც და შინაარსითაც, პოემის ტექსტისთვის სრულიად შეუფერებელია.

19. 187¹ [253] ხანა გარდა მრავალსიტყვაობისა მეტისმეტად უაზრო და უშინაარსოა; ნამეტურ უურადლებას იქცევს თავისი ცინიკური აზრებით ამ ხანის 2 უკანასკნელი ტაეპი:

«არ შენ მოგეც თავი ჩემი, დაგაბნივე, დაგაღონე.

და შენთვის მოვკვდე, ამისებრი მემცა საქმე რა ვიღონე».

ამასთან, ეს ხანა შინაარსითაც ზედმეტი და, როგორც ამგვარი, პოემის მოთხრობის ბუნებრივ მსვლელობას მხოლოდ ხელს უშლის. ამიტომაც საჭიროდ ვცანით მისი სქოლიოში მოთავსება.

20. 192¹ [259] ხანა სტილის მხრივაც მეტისმეტად ახალია, ლექსიც, რითმის მხრივ, სრულიად შეუფერებელია რუსთველის კალმისთვის და თავისი შინაარსითაც მეტისმეტად ღარიბია.

21. 227¹ [297] ხანა [შეცდომით—226] უარყოფილია თავის შედგენილობით ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერით (№ 461). მართლაც ეს ხანა ისეთი შინაარსისაა, რომ მისი დატოვებით, თუ განდევნით, მოთხრობის შინაარსს არაფერი უშავდება. ხოლო ის გარემოება, რომ სტილი მისი მეტისმეტად ახალია, გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ეს აღორძინების ხანის ერთ-ერთი პოეტის მიერ უნდა იყოს შეტანილი პოემაში. ამიტომაც, როგორც 22-ე გამოცემაში (იხ. 249¹ ხანა), ისე ამ 26-ე გამოცემაშიაც ჩვენ საჭიროდ ვცანით მისი სქოლიოში მოთავსება.

22. 231¹ და 231² [304, 305] ხანები, როგორც სტილის სიახლით, ისე ლექსისა და შინაარსის უაზრობით რუსთველის კალმისთვის შეუფერებელია, და ამიტომაც იგი სრულიად სამართლიანად უარყო ჯერ კიდევ ი. მეუნარგიას ხელმძღვანელობით შემდგარმა საგანგებო კომისიამ. ჩვენც საჭიროდ ვცანით მათი სქოლიოში მოთავსება.

23. 244¹ [320] ხანა მის წინა 244 ხანის მხოლოდ ზედმეტი განმეორებაა, ამასთან რითმის მხრითაც მესამე ტაეპი ვერ არის მოხდენილი (სირისა, მაშინ როდესაც ყველა დანარჩენი ტაეპის რითმა არის «ილისა»). ამიტომაც იგი სამართლიანად არის უარყოფილი № 461 ხელნაწერით (შეად. ა. სარაჯიშვილი, 1895 წ. «მოამბე», № XI და XII, გვ. 10).

24. 261¹ [239] ხანა, როგორც სტილით, ისე აზრის უშნოდ გამოთქმის მხრივ,

სრულიად არ შეეფერება რუსთველის ნაწერს, და ამიტომაც იგი სრულიად სამართლიანად უარყოფილია ქართველიშვილის გამოცემითაც.

25. 270¹ [352] ხანა სტილის სიახლითაც შეუფერებელია რუსთველის ნაწარმოებისათვის და ამასთან იგი შინაარსითაც ზედმეტია, რადგან მუყერნი და მულიმნი, რომლებიც ავადმყოფს თავს ადგენენ, მკურნალთა მაგიერნი იყენენ იმ დროში, რომელსაც პოემა ეხება. საზოგადოდ როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ამ ხანას აშკარა ჩანართის ხასიათი აქვს, რის გამოც ჩვენ საჭიროდ ვცანით მისი სქოლიოში მოთავსება.

26. 295¹ [380] ხანა საქმაო წაიკითხოს რუსთველის ენის მცოდნემ, რომ აშკარად ცნას მისი ჩანართობა. ამიტომაც იგიც სრულიად სამართლიანად არის უარყოფილი ქართველიშვილის გამოცემითაც.

27. ჩვენი მუშაობის შემდეგ, დაუბრკოლებლივ შეგვიძლია ჩანართებად ვცნოთ 406¹ და 406² [494, 495] ხ ა ნ ე ბ ი, რომლებსაც ჩანართებად თვლიდა ა. ი. სარაჯიშვილიც (იხ. «მოამბე», № V, XVIII, 1896 წ.), რადგან მათი სტილიც ახალია და შინაარსითაც უკვე ნათქვამის განმეორებას წარმოადგენენ. ამის გარდა, მათი შინაარსი სრულებით არ შეეფერება ტანჯულ მიჯნურთა სულიერ ვითარებას. ისინი თავისი ფორმითა და შინაარსით უფრო გვაგონებენ დღევანდელ სააშოკო ლექსებსა და საიათნოვას დარდებს, ბაზარხანურ კილოს, ვიდრე რუსთველის პოეზიას. პოეტის ენის კლასიკურობა ამ ხანებით სრულებით დაცული არ არის.

28. 453¹ [543] ხანა სტილითაცა და შინაარსითაც აშკარა ჩანართობის თვისებათა მატარებელია. მე-3 ტაეპი:

«მისთა სპათაცა ნუ დაჰქოც, ზროხათა ვითა,—ვირთაო».

მეტისმეტად ნაძალადევი ლექსია, და თანაც უშნო და უკანონო. ამიტომაც ჩვენ საჭიროდ ვცანით მისი სქოლიოში მოთავსება (ა. სარაჯ., «ვეფხისტყაოსნის» ყალბი ადგილები, «მოამბე», № VI, 1896 წ., თავი XX, ხანა 538, გვ. 1—7).

29. 484¹ [575] ხანა, როგორც სტილის სიახლით, ისე შინაარსით, სრულიად შეუფერებელია რუსთველის ნაწარმოებისათვის, და ამიტომაც, ჩვენის აზრით, იგი სრულიად სამართლიანად იყო უარყოფილი ა. სარაჯიშვილის მიერ.

30. 493¹ [586] ხანა სტილის სიახლითა და მოთხრობის ხასიათით, სრულიადაც არ შეეფერება რუსთველის კალამს, და მართლაც მას უარყოფს ვახტანგის რედაქცია.

31. 539¹ [633] ხანა იწყება ყალბის მქმნელის ჩვეულებრივი «ველაცა მითხრა-თი». ამის გარდა, ღმერთი ძალიან ცუდად არის ნახსენები:

«ვისცა ღმერთი საროს მორჩსა ტანად უხებს,

მას ლახვარსა მოაშორეებს, თუცა პირველ გულსა უხებს»

და სხვა, სტილიც მიიშეა და თანაც ახალი, რაც ააშკარაებს ამ ხანის სიყალბეს.

32. 560¹ [655] ხანა უარყოფილია № 461 ხელნაწერით, და მართლაც ამ ხანის სტილი მეტისმეტად ახალია, და ლექსიც მეტისმეტად ხალხურია და რუსთველის ენისთვის შეუფერებელი.

33. 562¹ [658] ხანაც მეტისმეტად ახალი და თანაც უშნო სტილით არის დაწერილი და ამიტომ ჩვენ საჭიროდ ვცანით მისი სქოლიოში მოთავსება.

34. სრულიად იგივე, რაც ზემოთ, შეიძლება ითქვას 573¹ და 573² [670, 671]

ხანათა შესახებაც. როგორც ვიცით, № 2829 ხელნაწერი უარყოფს 573¹ ხანას, რომელიც დაეტოვებოდა (22 გამ.) ძირითადს ტექსტში მხოლოდ იმიტომ, რომ არც ერთი ხელნაწერი, არც № 2829, არ უარყოფს ამ 573¹ ხანის მომდევნო 573² ხანას. იგი 573¹ ხანის განდევნისათანავე სრულიად კვარკავს აზრსა და მნიშვნელობას, რადგან 573² ხანა 573¹ ხანის ნამდვილი პასუხია და მიმართულია ასმათის მიმართ, რომელიც 573¹-ხანაში ვედრებდა ავთანდილს ადრე მოსვლასა. უ-573¹-ხანოდ, რა თქმა უნდა, 573² ხანას სრულიად აზრი აღარა აქვს¹.

მაგრამ, ეტყობა, აქაც იმგვარსავე მოვლენასთან ვვარჯიშდებით, რომელიც ჩვენ ზევით გავიყვანეთ ჩანართთა შესახებ. აქაც № 2829 რედაქციის ვადამწერს მოსწონებია 573² ხანა, წაუძლევია სულსა და შეუტანია გადაწერის დროს, სხვა რედაქციითგან, მაგრამ ამავე დროს მას დარჩენია ის ხანა, რომელზედაც ეს 573² ხანაა დამოკიდებული, რასაც, ჩვენი აზრით, შეუქმნია ეს უაზრობა².

მართლაც, თვალის ერთი გადავლებითაც, შეიძლება დარწმუნდეს კაცი, რომ ეს ჩვენგან დასახელებული ორივე ხანა სრულიად უადგილოდ და ხელოვნურად არის ჩართული სხენებულ ადგილას.

რალა საჭირო იყო ღინჯი ასმათის მხრივ ასეთი თამამი საქციელი, როგორც შამბსა და ყრუ ადგილებში ადევნება ავთანდილისა, რომელიც უკვე გამოვსალმა თავის მეგობარს და ძმადფიცს «ტირილითა და ცრემლის ღვრით» და «შამბი შიგან ჩაიარა?!» ამ ხანათა სტილიც და მოთხრობის კილოც ხომ მეტისმეტად უგვანია და ულაზათო? გრძნობაც მეტისმეტად სანტიმენტალურია, გადაჭარბებით გამოთქმული:

«ავთანდილს ასმათ ჩამოჰყვა, ზენარით ეუბნებოდა,
მუქლთა უყრიდა, ტიროდა, თითითა ეხვეწებოდა,
ადრე მოსვლასა ჰვედრებდა, მართ ვითა ია ჭნებოდა» და სხვ.

ერთი სიტყვით, აქ სრულიად აღარა ჩანს ის თავმოყვარე, ღინჯი და თავდაჭერილი ასმათი, რომელიც შეუდრეკელია თავის მოვალეობის ასრულების დროს, აქ კი ვიღაც მათხოვარ დედაკაცივით ავთანდილს მან «მუქლნი მოუყარნა», ზენარითა და თითით ეხვეწება და სხვა. რომ შეადაროთ ამას ასმათისავე შესახები 276¹ [381] ხანა, რომელიც აგრეთვე ჩანართია, აშკარად დაინახავთ, რომ ორივე ეს ხანა ერთის კალმის ნაყოფია. ამის გარდა, 573²-ე [671] ხანაში ისე ბუნდოვნად არის გამოთქმული პირველი ტაეპით ავთანდილის დაპირება, რომ «ის ადრე მოვა», არც კი ჩანს, თუ ვის პირდება ადრე მოსვლას. ის ასმათს ეუბნება: «არ გაგწირავო», თითქო ამისთვის იყოს საჭირო, რომ ტარიელ «სხვაგან არ წავიდეს და ნურსად არებს იმა ტანსაო» ან თუნდა: რა მოსატანი იყო აქ სიტყვები: «არ გაგწირავო»³.

ამნაირად, ჩვენის აზრით, 573²-ე ხანა რუსთველს არ უნდა ეკუთვნოდეს, და თუ, როგორც სამართლიანად იქცევა № 2829 ხელნაწერის კოპისტი, 573²-ე ხანას უარყოფთ, მასვე უნდა ვაგუყოლოთ თან 573¹ ხანაც (= შესწ. და შენიშვნ. კრიტიკ. ტექსტის ნიმუშით, თავი კ, ხანები 45¹ და 45²).

¹ ამის შესახებ ჩვენი მოსაზრება აქვე: შესავალი, «ვეფხისტყაოსნის» ხელნაწერები, გვ. 133, [=606, 22-ე გამ].

² იხ. და შეად. ს ა რ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ი ს რედაქტორობით გამოსული «ვეფხისტყაოსანი», 96 გვ., 631 ხანა.

³ ანდა კიდევ მე-4 ტაეპის: «შეიგენით, მიცემულ ვარ ჭირსა რასმე თანის თანსაო?» ნუთუ ეს ასმათისთვის ახალი ამბავი იყო?!

35. XIX თავი — ამბავი ავთანდილის არაბეთს მიქცევისა — იწყება 573^ა ხანით, რომელიც ყალბის მქმნელის ჩვეულებრივი უშნო მაჯამაა; მას რითმებად აქვს: 1)...განა მოკლა; 2) განამხოკლა; 3) განამლოკლა; 4)...შეამოკლა. საკმაოა, წაიკითხოს რუსთველის ენის მცნობმა ხსენებული ხანა, რომ დარწმუნდეს მის სრულს უაზრობაში. სტილი მეტისმეტად მძიმე და არაჩვეულებრივია: აქ არეულია ერთმანეთში ძველი ეკლესიური და ხალხური ფორმები, და ეს აჭრელბული სტილი კი ყველაზე მეტად ახასიათებს ყალბის მქმნელს; ყველა ამ მიზეზით, ეს ხანა ჩვენ საჭიროდ დაინახეთ სქოლიოში ჩავევტანა.

36. 581¹ და 581² [681, 682] ხანები ისე ხელოვნურად არის ჩართული 581 და 582 ხანებს შუა და იმდენად უადგილოა და უშინაარსო, ანუ, უკეთ, ზედმეტა თავისი შინაარსით და მასთან ისეთი ნაძალადევი ლექსით არის დაწერილი, რომ ერთი წაკითხვითაც კი აშკარა ხდება მათი ჩანართობა: სულ რომ არა იყოს რა, 581¹ ხანა ლექსის მხრითაც აუტანელია; ტაეპები 1 და 2 «როსტეევან, მეფე უკადრი, მორჯმული, შეუპოველი!... შერმადინ მოციქულობა მას მოახსენა ყოველი», და შემდეგი გრამატიკულადაც შეუკავშირებელია, რადგან როსტეევან და მისი ეპითეტები სახელობითს ბრუნვაშია და არა მიცემითში, როგორც ამას მოითხოვს ზმნის ფორმა «მოაქსენა». თქმა არ უნდა, ამ ხანის დასახელებული პირველი ტაეპი, როგორც შეუკავშირებლად და უაზროდ ნახმარი, საუკეთესოდ ამქლადენებს ყალბის მქმნელის ლექსის ჩვეულებრივ ნაძალადეობასა და სილუხჭირეს; 581² ხანაც მეტისმეტად მძიმეა და მასთან რუსთველის ლექსების სუსტი მიბაძვა, და ყველა ამასთან, ეს ხანაც 581¹ ხანის განდევნის შემდეგ სრულიად მეტ ბარგად რჩება. მცირეოდენი დაკვირვებაც საკმაოა, რომ დაინახოს კაცმა, თუ რამდენად ხელს უშლის ეს ჩაჩხირული ხანა ამბის ბუნებრივ მიმდინარეობას.

მართლაც, ამ ორი ხანის განდევნით ამბავი თავის ბუნებრივ ხასიათს იღებს და ბევრად უფრო სასიამოვნო საკითხავი ხდება.

37. 586^ა (689) ხანა, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, უაზროა და გაუგებარი; ფორმები, მასში ხმარებული, უაზრო და ნაძალადევი, რაც აიხსნება იმით, რომ აქ ყველაფერი ეწირება რითმას. საზოგადოდ, ეს ხანა სიტყვების ლექსითვის წარამარა ხმარების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, რაც ყალბისმქმნელის ნიშანდობლივის თვისების მაჩვენებელია. იგი სრულიად უადგილოდ არის ჩაჩხირული ნახევრად საეჭვო 586^ა და 586^ხ ხანებს შუა. ყველა ამ თვისებათა მიხედვით, ჩვენ საჭიროდ ვცანით მისი სქოლიოში მოთავსება.

38. იმგვარისავე ხასიათის, როგორისაც 586¹ ხანა, არის 592¹ [697] ხანაც, რაც აშკარად მოწმობს, რომ ორივე დასახელებული ხანა ყალბისმქმნელის ნახელავია.

39. კიდევ უფრო უაზრო მაჯამას, ვიდრე ზემორე დასახელებული 586¹ ა და 592¹ ხანები, წარმოგვიდგენს 605¹[711] ხანაც, რომელშიაც ვამჩნევთ უაზრო და გაუგებარი სიტყვების წარამარა ხმარებას: —

«რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ-ლალსა თანა ახიოს,
ანუ ბაღს ალვა საროსა ახლოს ჰრგოს, მორწყოს, ახიოს,
მისსა მჭვრეტელსა ალხინოს, ვერ მჭვრეტსა ავაგალხიოს!(?)

და ვაი მოყერისა გაყრილსა, ახიოს, ეყოს, ახიოს!»

საკმაოა წაიკითხოს ეს ხანა რუსთველის ენის მცნობმა პირმა, რომ დარწმუნდეს მისი დამწერის უნიჭობაში. ამიტომაც დროა უკუვადოთ პოემის ტექსტიდგან ხსენებული ხანა.

40. 607¹, 607² და 607³ [714, 715, 716] ხანებიც სწორედ იმგვარისავე ფორმისა და შინაარსისაა, როგორც წინა ხანები, რაც აშკარად მოწმობს, რომ ყველა ეს ხანები ერთისა და იმავე პირის ნახელავი უნდა იყოს.

41. 611¹ (721) ხანა, რომელიც წარმოადგენს ნადირობის აწერას, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრით, მეტისმეტად მდარეა: —

«მეფე შეგდა, მაშინდელი ზარი აწმცა ვით ითქმოდა,
ქოს-დაბდათა ცემისაგან უურთა (?) სიტყვა არ ისმოდა:
მზესა ქორნი აბნელებდეს, ძაღლთა რბოლა მიდამოდა» (?!).

ბოლო ტაეპი კი თავისი უშინაარსობით ყველა დანარჩენებს აჭარბებს:

«მას დღე მათგან დანადვარი სისხლი ველთა მოესხმოდა».

რა საშინელი ამბავი მომხდარა! ნადირს რომ ზოცავენ, თურმე სისხლი ესხმება ველებზე, — გვაუწყებს პოეტი. ამ აღწერას რომ ადარებს როსტევეანისა და ავთანდილის სანაძლეოდ გამართული ნადირობის აღწერას, ძალაუნებურად კითხულობთ: «ნუ თუ ორივე ეს აღწერა ერთისა და იმავე კალმის ნაყოფია». ყველა ამის მიხედვით, ჩვენ უმჯობესად ვცანიტ ამ ხანის ტექსტიდგან სრულიად განდევნა.

42. 615¹ და 615² [726, 727] ხანებიც აგრეთვე, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრით, მეტისმეტად სუსტია. ერთსაც და მეორესაც ახასიათებს ყალბისმქმნელის სიტყვები «კვლა გულსა ეტყვის», «კვლა იტყვის» და სხვა. ყველა ამასთან მათი განდევნით მოთხრობის შინაარსს და მის ბუნებრივ მიმდინარეობას არაფერი აკლდება. ამიტომაც ჩვენ საჭიროდ ვცანიტ მათი სქოლიოში მოთავსება.

43. 621¹ [734] ხანაც აგრეთვე, როგორც მაჯამათა ზემორე დასახელებული ნიმუშები, მეტისმეტად ხელოვნური და უშინაარსოა, რის გამოც ჩვენ ვარჩივთ მისი სქოლიოში ჩატანა.

44. 663¹ (776) ხანა ისეთი მძიმე და ნაძალადევი ლექსით არის დაწერილი, რომ აღამიანი მისი წაკითხვით, რომ იტყვიან, პირდაპირ ენას იმტვრევს. ნამეტურ საყურადღებოა ამ მხრით ამ ხანის მეორე ნახევარი:

«გული, მისი უნახავი, ტირის და სულთქვამს, ვაებს, უობს,
და ლხინსა არას არ იახლებს, კრთების, კუშტობს, ვაშობს, უშობს»

არც ფორმით, არც შინაარსით, ეს ხანა რუსთველის კალამს არ შეჰფერის. ამიტომ ჩვენს აზრით, არაფერი ხელს არ უშლის, რომ იგი განდევნილ იქმნას პოემის ტექსტიდგან.

45. 682¹ [798] ხანა როგორც სტილის, ისე შინაარსის მხრით, აშკარა გაუგებრობას იწვევს; იმას კიდევ დაეთანხმება კაცი, რომ

«არ დაეწიყება მოყვრისა არ ოდეს გვიზამს ზიანსა»,

მაგრამ «უაუგო», ე. ი. აუგის არა მქონე კაცის გმობა და მისი ცრუდ და ღალატინად დასახვა კი აშკარა გაუგებრობაა. ეტყობა, ეს ხანა ვილაც ყალბისმქმნელის ნახელავი უნდა იყოს, იმ ყალბისმქმნელის, რომელსაც სშირად წასცდება ზოლმე ამგვარი რამ. ამიტომაც ეს ხანა უმჯობესია განდევნილ იქმნას პოემის ტექსტიდან.

46. 718¹ [835] ხანა, როგორც აშკარა ჩანართობის ხასიათის მქონე იმ თა-

ვითვე უარყოფილი იქმნა და სამუდამოდ განდევნილი ვახტანგის რედაქციითგან ჯერ კიდევ მეუნარგიას ხელმძღვანელობით შემდგარი კომისიის მიერ.

47. 728¹ [846] ხანა მის წინა 728 ხანის აშკარა განმეორებაა. ამიტომაც ჩვენ იგი ჩავიტანეთ სქოლიოში.

48. 802¹ [923] ხანა ისე ხელოვნურად არის ჩართული 802 და 803 ხანებს შუა, რომ იგი უშლის ხელს მოთხრობის ბუნებრივ მსვლელობას (შდრ. ა. ი. სარაჯიშვილი. «ვეფხისტყაოსნის» უაღბო ადგილები, «მომამბე» № XI, გვ. 73). 802-ე ხანით ტარიელ და ავთანდილ ქვაბში «დასხდეს და უბნობდეს, რაცა მათ იამებოდა».

პოეტის მთელი ყურადღება საამო საუბარზეა მიქცეული და აქი იგი გვაუწყებს შემდეგს 803 ხანაში:

«ამოა, რომე კაცი კაცს ამოსა ეუბნებოდეს...
დიდი ღხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუქდებოდეს».

ასე რომ, 802-ე და 803-ე ხანებს შორის ბუნებრივი კავშირი არსებობს, ანუ უკეთ, ერთიმეორის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს. სტილი და შინაარსი ამ ხანის მეტისმეტად სუსტია, რის გამოც უმჯობესია მისი პოემის ტექსტიდან განდევნა.

49. ჩვენ მეტისმეტად თავდაჭერილად მოვიქცეთ, როდესაც 22-ე გამოცემაში ხელუხლებლად დავტოვეთ № 4988 ხელნაწერით უარყოფილი ხანები 830², 830³, 830⁴, 1400 და 1401 (22-ე გამოც. = 888, 889, 890, 891, 1493, 1494, 254, ... 1475), რომლებიც სტილით უვარგისია და შინაარსითაც ზედმეტი. მით უფრო, რომ მათ შესახებ სამართლიანად მსჯელობდა «ვეფხისტყაოსნის» ტექსტის კრიტიკოსი ალ. ი. სარაჯიშვილი («მომამბე», IV, 1898 წ. = ქართულიშვილის გამ. 948, 949 და 950).

თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ დარწმუნდეს კაცი, თუ რამდენად ჩვენი ძეგლის ენისათვის შეუფერებელია სტილის მხრივ 830³ ხანა, რომელიც ფშაურ ხალხურ ლექსებს უფრო ჰგავს, ვიდრე რუსთველის ლექსს. და რა მძიმეა, და აზრით ბუნდოვანი 830¹ ხანა; 830⁴-ე ხანაც ხომ ზედმეტია, თუ 831-ე ხანას ნამდვილად ჩავთვლით, რადგან ავთანდილ 831-ე ხანაში «მიმავალი ცასა შესტირის, ეუბნების, ეტყვის მზესა» და, მაშასადამე, სრულიად მეტი იყო კიდევ 830¹-ე ხანაში «მზესა ეტყვის, მზეო, გიტყვი»... და სხვა; ამის გარდა, სტილიც ამ ხანის, როგორც ჩინებულად ამტკიცებს ა. სარაჯიშვილი («მომამბე», IV, გვ. 13, 1898, 949 ხანა), რუსთველის სტილს არ შეეფერება.

კიდევ უფრო ბუნდოვანია, თითქმის გაუგებარი, 830⁵ [956] ხანის აზრი (სარაჯ., 950, იქვე, 1 გვ.):

«თვე ერთისა მოშორება მზისა ზამთრის გაგვაციენებს»-ო და სხვა,

რომელიც ჩანართობის აშკარა ნიშნებს ატარებს. ამნაირად № 4988 უარყოფს აგრეთვე 830⁴ და 830⁵ ხანათა ჩანართობის შესახებ, მაგრამ № 4988 უარყოფს აგრეთვე 830² ხანას, რომლის განდევნით მოთხრობის ძაფი არ წყდება. ამას გარდა, 830¹ ხანაც, თუმცა მას არ უარყოფს ეს ხელნაწერი, როგორც სტილის, ისე ლექსთწყობის მხრივ, იგი მეტისმეტად მძიმეა, აზრიც ბნელი და გაუგებარია. რას ნიშნავს, მაგ.:

«აწ აგრე გაურა ძნელია, ვით მაშინ შეერა ცათამდის»,
ან რა შინაგანი კავშირი აქვს ამ ტაეპის აზრს მის შემდეგ ტაეპის აზრთან:

«კაცი არ ეველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის?»

რომ ეს ხანა ჩანართი უნდა იყოს, ამას რამდენადმე მოწმობს უძველესი რედაქციის ხასიათის მატარებელი ხელნაწერი № 461.

ეტუობა იმ ხელნაწერში, საიდანაც გადაწერს № 461 გადმოუღია, არ ყოფილა ხანები: 830¹, 830² და 830³, რის გამო მას მათი შეტანის დროს სხვა, ალბათ, უფრო ვრცელი რედაქციითგან, გადაუსვამ-გადმოსვამს ეს ხანები ერთიმეორის ალაგას: მაგალითად № 461-ში ერთიმეორის ალაგას არის გადასმულ-გადმოსმული 830¹ და 830² ხანები. ამისდა მიხედვით ჩვენ სქოლიოში მოვათავსეთ 830¹, 830², 830³, 830⁴, 830⁵ ხანები (შესწ. და შეიიშენ. კრიტ. ტექსტის ნიმუშით, თავი ლ. ხანები: 1¹, 1², 1³, 1⁴ და 1⁵).

50. 837¹ [964] ხანა ისე უადგილოდ არის ჩართული ამბავში, რომ მკითხველი ვერ მიხვდება, თუ ვის მიმართავს ტანჯული მიჯნური, მნათობებს თუ სატრფოს, რასაც უურადლება მიაქცია ჯერ კიდევ ა. სარაჯიშვილმა (იხ. «ვეფხისტყაოსნის» ყალბი ადგილები. «მომამბე», 1898 წ., IV, გვ. 13).

51. 840¹ [968] ხანა, როგორც სტილით, ისე შინაარსით, სრულიად შეუფერებელია რუსთველის კალმისათვის, რის გამოც უარყო იგი ტექსტის გამწმენდმა კომისიამ.

52. იმგვარისავე ხასიათის, როგორისაც 840¹ ხანა, არის 846¹ [976] ხანა, რომელიც ახალი და მასთან მეტისმეტად მძიმე ენით არის დაწერილი. ამ ხანის მესამე ტაეპი პირდაპირ გაუგებრობაა:

«ემწელებოდის გაშვება (?), გაურასა ძლივ დასთმობდიან»(!)

და სხვა. ამასთან ეს ხანა სრულიად მოულოდნელად არის ჩართული ხსენებულ ალაგას და გამოწვეული უნდა იყოს ავთანდილის ტკბილი და თავაზიანი მიმართვით მენავეთა მიმართ მის წინა 846 ხანაში.

53. 847¹ [978] ხანა იქცევეს უურადლებას მარცვლის შესავსებად ხმარებული რუსთველისთვის უჩვეულო ხელოვნური ფორმებით, როგორცაა: ნათესაობით ბრუნვის ემფატიური ფორმა «ლაშქარისა», ერთსა და იმავე დროს «ჰკითხა» და უბრძანა, «ისი ვისია(?) ხმა ზათქისა და ზარისა». აგრეთვე მეტისმეტად მძიმეა და უხერხული უშემასმენლოდ ხმარებული მე-3 ტაეპით გამოთქმული წინადადება: მან უთხრა: «ფრიდონ ხელმწიფე, მეფე მულღაზარზარისა», რომლის უკანასკნელი რითმა დაბალი რველით ბოლოვდება. ეველა ამისდა მიხედვით, ეს ხანაც ზედმეტად უნდა ჩაითვალოს.

54. 858¹ [989] ხანაც [= 858² შეცდომით] უურადლებას იქცევეს, როგორც სტილის სიახლით და ნაძალადეგობით, ისე აშკარა უადგილობით: 1-ელ ტაეპში ხმარებულია სრულიად უკანონოდ ორჯერ კითხვითი ნაცვალსახელი «ვინ»: «ვინ-მცა ვინ ვით ეგებიან». ამ ხანის აზრი და შინაარსი გვამცნევს, რომ ფრიდონის შევენებას ახუნებს და აფლიდებს ავთანდილის სიტურფე და მზეობა: ფრიდონ მას (ავთანდილს) ახლავს, და ამიტომ ქება აღარ ეკუთვნის მას; სწორედ აგრეთვე ვხე უჩინოდ აქცევეს მნათობებს, მისი წყალობით, დღისით სანთელი ვერ ნათობს, მაგრამ მზე რომ ჩავა და დაღამდება, იგივე სანთელი შუქს გამოსცემს ხოლმე. ერთი სიტყვით, ამ ტაეპის მთქმელს მიზნად აქვს ფრიდონის გახუნება, ანუ მისი

შვენება-სიტურფის ავთანდილის შეყრით მოსპობა და გაფლიდება. ზოლო ყველა ეს აშკარად ეწინააღმდეგება წინა 858 ხანის შინაარსს.

ამ ხანაში, პირიქით, ნათქვამია:

«თვით უსახოდ ფრიდონს ყმა და მოეწონა ყმასა ფრიდონ;
რა მჭვრეტელთა იგი ნახონ, მზე მათთანა გააფლიდონ;
მამკალ, ბაზარს სხვა მათებრი ივაჭრონ რა, ანუ ყიდონ!»

აქ, პირიქით, ვიმეორებთ, პოეტის ექსტაზი ორივე რაინდის შეყრით თავის უმაღლეს წერტილს აღწევს, მას ვერ გაურჩევია ერთმანეთისაგან ორი მნათობი, რომელთა დანახვის შემდეგ მზე აღარავის მოეწონება. და მართლაც, რომ ასირუბულია 858² ხანის შინაარსი, რადგან პოეტს ერთნაირად უყვარს და შეაქებს თავის «სამთა გმირთა მნათობთა», რომელთაც «სჭირს ერთმანეთის მონება».

55. 893¹ და 893² [1025, 1026] ხანები, რომლითაც იწყებოდა XXXII თავი: I-ლი, თავისი შინაარსით, სრულიად მეტია 894-ე [1027] ხანის არსებობასთან ერთად, რადგან ამ უკანასკნელში უფრო ნათლად და გარკვევით არის სრულიად იგივე ნათქვამი, რაც 893¹ ხანაში. ამას გარდა, ჯერ 893¹ ხანაში ყმა «მიმავალი მიუბნობს», ზოლო 893² ხანაში, კიდევ მოსთქვამს, და ყველა ამის შემდეგ 894 ხანაში აღნიშნულია:

«ავთანდილ მარტო ზღვის პირსა მივა ოთხითა მონითა»,

და სხვა. ამასთან ავთანდილ, რომელიც იქების თავისი შევნიერი და საუცხოო ხმით, 893² ხანაში ძალიან ცუდად მოთქვამს. აი ეს ადგილიც:

«რად სიცხე გულსა ნიადაგ მწვავს გმირთა სამსალებისა?
რად გული კლდისა ტანისა შემქმნია სამ სალებისა,
არ შეუძლია ლახვარსა დაჩენა სამსა ლებისა,
და შენ ხარ მიზეზი სოფლისა ასრე გასამსალებისა».

მეტია ლაპარაკი, რომ ეს მოტანილი ხანა შეუფერებელია რუსთველის კალმისათვის! მისი ერთი წაკითხვაც საკმარისია, რომ იგი სამუდამოდ უკუგდებულ იქმნას.

ყველა ზემორეთქმულის მიხედვით ჩვენ საჭიროდ ვცანით სქოლიოში მოგვეთავსებინა დასასლელბული 893¹ და 893² ხანა, რომლებიც უმნიშვნელოა მათ მომდევნო 894-ე ხანის შემდეგ, რომლითაც, ჩვენი აზრით, უნდა იწყებოდეს XXXII თავი.

56. 909¹ [1043] ხანა, სადაც სამ ტაეპში [1, 3, 4] გამოყენებულია მიმღეობა ზმნისაგან «ლევწა», აგრეთვე მეტისმეტად ახალი ენით არის დაწერილი და მასთან 909-ე და 910-ე ხანებს შემდეგ ახალს არაფერს გვეუბნება, პირიქით, ამ უკანასკნელს ხანებში ბევრად უფრო ნათლად და უმეტნაკლებოდ არის დახატული, სხვათა შორის იგივე, რაც მოტანილ ხანაში. ყველა ამასთან ერთად, ამ ხანას უარყოფს ვახტანგისა და ქართველიშვილის გამოცემები და, მათთან ერთად, № 461 ხელნაწერიც.

ყველა ამისდამიხედვით, აღარაფერი უშლის ხელს იმას, რომ ეს ხანაც სქოლიოში იქმნას ჩატანილი.

57. 913¹ [1048] ხანაც, როგორც სტილის სიახლით, ისე შინაარსით, სრულიად შეუფერებელია პოემის ენისათვის; ამასთან იგი თავისი ხასიათით, მეტის-

მეტად გვაგონებს უკვე ჩვენ მიერ ზემორე უარყოფილ 858¹ ხანას. ამიტომაც იგი სამართლიანად უარყოფილია № 2829 ხელნაწერით.

58. 930¹ და 930² [1066, 1067] ხანებიც უურადლებას იქცევს სტილისა და ენის სიახლით; და ესე რომ არ იყოს, მათი შინაარსი სრულიადაც არ წარმოადგენს პასუხს ავთანდილის მებაღისადმი შეკითხვაზე, თუ რა ლარია უფრო ძვირად, ან იაფად რა იხსნების?... მაგრამ საკმარისია ამ ხანების, — ნამეტურ 1-ლი, — წაკითხვა, რომ დაინახოთ, თუ რა შორსაა მათი ენა და სტილი რუსთველის ენასა და სტილისაგან.

59. 1004¹ [1142] ხანა სტილისა და ენის მხრითაც ახალია და შინაარსითაც ზედმეტი და უადგილო. ამიტომაც სრულიად სამართლიანად არის იგი უარყოფილი № 2829 ხელნაწერით და ჩვენც სქოლიოში გვაქვს მოთავსებული.

60. 1010¹ [1149] ხანაც, სტილისა და ენის მხრით, მეტის მეტად ახალია და აგრეთვე ძალიან გვაგონებს თავისი ხასიათით ამის წინ აწერილ 1004¹ ხანას, რაც გვაფიქრებინებს, რომ ორივე დასახელებული ხანა ერთისა და იმავე პირის ნახელავი უნდა იყოს.

61. 1116¹ [1258] ხანაც სრულიად ახალი ენით არის ნაწერი; მასთან ლექსიც უმნოა. ეს ხანა რუსთველის კალამს სრულიადაც არ შეჰფერის.

62. 1130¹ [1275] ხანასაც სამართლიანად უარყოფს № 461 ხელნაწერი.

63. 1151¹ [1295] ხანა თავისი ფორმითა და შინაარსით სრულიად იგივეა, რაც მის წინა 1151 ხანა იმ განსხვავებით, რომ პირველი მეორეზე ბევრად სუსტია, იგი მისი წინა ხანის სუსტი მიბამვა და განმეორებაა. ამიტომაც ჩვენ საჭიროდ ვცანით მისი სქოლიოში მოთავსება.

64. 1157¹ [1302] ხანაც უაზროა და ზედმეტი, და, ამიტომაც, იგი სამართლიანად არის უარყოფილი № 2829 ხელნაწერთაც.

65. 1178¹ [1324] ხანაც სრულიად შეუფერებელია ჩვენი ძეგლის ტექსტისათვის (ა. ი. სარაჯიშვილი, «მოამბე», 1900 წ., V, გვ. 22—31).

66. 1195¹ [1342] ხანა (= 1194¹ შეცდომით) ხალხური ლექსების აშკარა ხასიათს ატარებს და, ჩვენი აზრით, არის პოემის ძალზე გახალხურების ნაყოფი; ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ეს ხანა თავისი შინაარსით, სრულიად ზედმეტია და მასთან ხელოვნურად ჩართული 1195 ხანის შემდეგ (შეად. აგრეთვე სარაჯიშვილი: «მოამბე», 1900 წ., VII, გვ. 1—10).

67. 1221^{1a} [1373] ხანაც უაზროა და უარყოფილი — 2829 ხელნაწერით.

68. 1251¹ [1408] ხანაც 1251 [1407] ხანის შემდეგ განმეორებაა და ამასთან იგი იწყება ყალბისმქმნელის სმარებული ჩვეულებრივი «კვალა»-თი. ყოველ შემთხვევაში, ამ საეჭვო ხანის სქოლიოში მოთავსებით, პოემას არაფერი აკლდება.

69. 1252¹ და 1252² [1410—1411] ხანები, თავისი ფორმით და შინაარსით, და საზოგადოდ, ხასიათით ძალიან გვაგონებს 858¹ (989) ხანას. ნამეტურ 1252² ხანის შინაარსი სრულიად იგივეა, რაც დასახელებული 858¹ ხანისა; ორივე სრულიად მეტია 1252 ხანის შემდეგ; ეს აშკარად ყოფს მათ სიყალბეს.

70. 1255¹ [1415] ხანა თავისი სტილისა და ენის სიახლით და, საერთოდ ხასიათით, ძალიან წააგავს აღორძინების ხანის პოეტის ნახელავს. ამ აზრს ჩვენ ვამყარებთ ისეთ ძლიერ ავტორიტეტზე, როგორცაა აკადემიკოსი ნიკოლოზ იაკო-

ბის ძე მარი (იხ. მისი მეტისმეტად ნიჭიერად დაწერილი ნაკვლევი. ИАН. 1917, გვ. 476, 18).

71. 1260¹ [1421] ხანა სრულიად ხელოვნურად და უადგილოდ არის ჩართული 1260-სა და 1261-ე ხანებს შუა და, როგორც ამგვარი, იგი შინაარსითაც, სრულიად ზედმეტია. იგი, თუ შეგვიძლია ასე ვთქვათ, წარმოადგენს ამ ორი დასახელებული ხანის ერთგვარ სინთეზს, ანუ უკეთ, მათი შინაარსის უფრო სრულ გადმოცემას, რასაც არაერთგვაროვანი საჭიროება არ მოითხოვს... ყველა ამის მიხედვით, ჩვენ საჭიროდ ვცანით მისი სქოლიოში მოთავსება.

72. ყველა ზემორეთქმულს შემდეგ, ჩვენ სრულიად თავისუფლად შეგვიძლია ჩანართად ვცნოთ 1296¹ [1459] ხანა, რომელიც აგრეთვე უურადლებას იქცევს ენის სიახლითა და შინაარსის უზარობით; ამიტომაც იგი სამართლიანად არის უარყოფილი № 461 ხელნაწერით (შესავალი, «ვეფხისტყ.»., ხელნაწ., 5).

73. 1328¹ [1492] ხანაც აგრეთვე ახასიათებს ყალბის მქმნელს, რომელიც ჩვეულებრივ იწყებს ხოლმე ამა თუ იმ წიგნს, ეს ლექსი ერთგვარი გაჭირვების მაჩვენებელიც არის, რადგანაც საკუთარ სახელს «დიონოს» იგი ცვლის ფორმით «დიენოს» (ამის შესახებ აქვე ლექსიკონში სიტყვები «დიონოსი» და «ეზროს»).

74. 1338¹ [1502] ხანაც თავის ფორმითა და შინაარსით, ზედმეტია და შეუფერებელი რუსთველის კალმისათვის, და როგორც ამგვარი, სამართლიანად იყო თავის დროზე უარყოფილი ა. სარაჯიშვილის მიერ («მოამბე». 1901 წ., V გვ. 1—6).

75. 1365¹ [1532] ხანა თავისი ფორმით და შინაარსით, ყალბისმქმნელის ჩვეულებრივ უაზრო მაჯამას წარმოადგენს და ამიტომ ესეც სამართლიანად იყო უარყოფილი ა. სარაჯიშვილის მიერ (იქვე, გვ. 11).

76. 1369¹ [1537] ხანაც უკვე ცნობილი უაზრო მაჯამაა.

77. იმგვარისავე ხასიათისაა, როგორც ზემორე აწერილი მაჯამები, 1396¹ [1565] ხანაც, რომელსაც სრულიად სამართლიანად უარყოფს № 461 ხელნაწერიც. ამნაირად ჩვენს საგანბურებში არსებულ ხელნაწერებზე ვახტანგის გამოცემის ტექსტის შემოწმების შემდეგ შესაძლებელი ხდება ჩანართთა ხასიათის გაცნობაც. ცხადი ხდება, რომ ყველა ჩანართს სამი უმთავრესი საერთო თვისება აქვს:

ა) უკვე ნათქვამის განმეორება,

ბ) სტილის უმსგავსოება, მისი ძეგლის ენისთვის შეუფერებლობა,

გ) ლექსის ნაძალადეოება, ანუ უაზრო მაჯამებით წერა.

ჩვენ აქ წარმოდგენილ ჩანართებს შორისაც შეგვიძლია რამდენადმე პარალელის გაყვანა ენისა და ლექსთწყობის მხრივ: ძალიან ძვეს, მაგალითად ერთმანეთს ხასიათით ჩანართები: 30¹ და 30², ან 296¹ და 560¹, ანდა: 573¹ და 830², რომლებსაც, რომ ადარებ, პირდაპირ გრძნობ, რომ მათი დამწერი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს.

ასე რომ, საოცრად აადვილებს ჩანართთა აღმოჩენას, ვახტანგის ნაანდერძევი ტექსტის არსებულ ხელნაწერებზე შემოწმების ნიადაგზე შესწავლა.

აქამდის ჩვენ საუბარი გვექონდა იმ ჩანართთა შესახებ, რომლებიც სქოლიოში გვაქვს მოთავსებული, როგორც ისეთნი, რომლებიც ფორმითაც და შინაარსითაც, ჩანართობის თვისებათა მქონებელნი არიან.

აქვე საჭიროდ ვრაცხთ მოკლედ აღენიშნოთ ის ხანებიც, რომლებიც ჩვენ დაეტოვეთ ძირითადს ტექსტში ლიტერებს ა და ხ-ს ქვეშ, რადგან, ჩვენის აზრით, საგულვებელია, რომ ეს ხანები რესტავრატორის ან ხარვეზთა შემსუბუქების ნახელავი იყოს. ამ კატეგორიის ხანებიც თავისი მხრით, ორ ჯგუფად იყოფა:

ა. პირველსა და ნამდვილი ავტორის მიერ დაშვებულ ხარვეზთა შესავსებად სხვა ხელის ჩამატებული ხანები. ასეთებია: ა) 193a [261] ხანა, სადაც ვხვდებით ისეთ ნაძალადეგ ფორმებს, როგორცაა: 1 ტ... ამისთანა. 2 ტ. იგი მინდორს არონიებს ტანსა; ბ) 272a [355] ხანა, რომელიც ახალი სტილითა და მძიმე ლექსით არის დაწერილი; გ) 1111a [1251] ხანა, რომლის პირველი ტაეპი წინა ხანის პირველისავე ტაეპის განმეორებაა (შეად. 1111,1).

ამავე კატეგორიას ეკუთვნის ხანები: 1116a [1257], 1214a [1362] და 1214b, 1224a [1363], [1377] (ფანოსი შეექმნა, ეკრა კვესებსა; რას ნიშნავს ფანოსი შეექმნა? ფარანი შეექმნა?). ამას გარდა აქ მეტად ჭარბობს მხედველი ენის ფორმები 1... ტაიჭებს ფრიდონის უკეთესებსა... 2... ვინ იქმს საქმესა ზესებსა? და სხვა, და 1244a [1400].

1227a [1381] ხანის მეორე ტაეპში ვახტ. და მისი მსგავსი ვარიანტებით გვხვდება რითმისთვის შეუფერებელი «აკოცესცა», რომელსაც ჩვენ ვასწორებთ ერთი ვარიანტის მიხედვით — «აკოცის ცად», მაგრამ არაფერი უხერხდება ამავე მეოთხე ტაეპის მეორე ნახევარს: «იცნობდიან იგი ვისცა» (?), რომელიც გრამატიკულად არ ეთანხმება ამ ტაეპის პირველ ნახევარს: «დიდებულნი აკოცებდეს».

ამგვარისავე ხასიათის არის 1263-ე [1336] ხანაც.

1349a [1515] ხანის ლექსი მეტისმეტად მძიმეა და ენაც ახალი და ნაძალადევი ფორმებით სავსე: 1... მივა კოცნად, სასალამოდ; 2... მართ ბაგისა დასაამოდ. 3... არის მისგან სათამამოდ; 4... შენი გაყრა არის დღისა შესალამოდ.

ბ. მეორე გჯუფს ეკუთვნის ხანები, რომლებიც ფორმითაც, ე. ი. ენითა და სტილით, განსხვავდებიან და შინაარსითაც აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენენ და, ამასთან, მათი შემოტანილი ეპიზოდებიც გადაჭარბებულ სურათებს იწვევიან. ამგვარი ხანები ჩვენ სიფრთხილისათვის დავეტოვეთ ძირითად ტექსტში, რადგან მათი ჩანართობის დასამტკიცებლად ჯერჯერობით, არსებული ვარიანტების მიხედვით, საკმაო საბუთები არ აღმოჩნდა. როგორც ვიცით, ხელი მიჯნურის ტანჯვა-მწუხარების მეტისმეტად გაზვიადებულ სურათს გვაძლევს 199a [268] და 199b [269] ხანები, რომლების ჩანართობას ამტკიცებდა ამ 30 წლის წინათ ა. ი. სარაჯიშვილი («მოამბე», 1895 წ., XII, გვ. 22—23). მართლაც ეს ხანები გადაჭარბებულ სურათსაც იძლევიან და ბუნდოვანადაც არის გადმოცემული: მან «ქალმან ხელი კვესითა გზება ცეცხლისა ნელისა», რადგან «ეგონა ჭამა ჯორცისა შემწვრისა, შეუქნელისა»... «ყმამან მიუბყრა, ერთი აკლიჩა, — ქმნაა საქმისა ძნელისა», — და იმდენად უღონო ქმნილი იყო ტარიელი, რომ ვერ შეეძლო დაღეჭვა და დაიწყო «უცოხნელის» გამოყრა. ამის შემდეგ მიწვა, მაგრამ სრულიად ვერ შეძლო დაძინება, გარეთიანებული წამოვარდა (ვარიანტით წამოიჭრა), ყვიროდა და ყოველ წუთს იცემდა გულში ღოდსა და თავში კეტს... სურათი მეტისმეტად გადაჭარბებულია, რაც სამართლიანად აძლევდა ა. სარაჯიშვილს საბუთს ეფიქრა, ხსენებული ხანები ჩანართით უნდა იყოსო, და, მართლაც ეს ხანები, 198 [266] და 199 [267] ხანებს შემდეგ, სრულიად მეტია და თითქმის მოულოდნელი, რადგან ამ უკანასკნელებში გადმოცემულია ქალისა და ყმის (ასმათისა და ტარიელის) სულიერის ვითარების უმეტესაკლებო სურათები, რომლებიც აღარ საჭიროებს კიდევ ერთი საშინელისა და თითქმის უმსგავს რისამე წარმატებას, როგორცაა აქ მოტანილი ხანების შინაარსი. 198 ხანაში ქალმან და ყმამან გული იჯერეს ტირილით («დიდხან იტირეს») და შემდეგ დადუმდენ და ცრემლიც მოიწმინდეს, რაც ისე პოეტურად არის გადმოცემული ამ ხანაში:

«დადუმდეს, ცრემლნი მოჰკვეთნა შავმან გიჰრისა დანამან».

ამის შემდეგ ქალმა დაუგო ვეფხის ტყაის ნატები. რომელზედაც დაჯდა ყმა, რომლის შავი წამწამები სისხლის ცრემლისაგან შუა გაწნულიყო. სურათი მოთავდა. სრულიად ბუნებრივია ამის შემდეგ ისეთი კითხვა ქალის მხრივ, რომლითაც იწყება 200-ე [270] ხანა:

«მოაქსენა: «რად დაჰბრუნდი, მითხარ, რაცა წაგვიცადა»

და სხვა. სამართლიანად მსჯელობდა, ჩვენი აზრით, ა. სარაჯიშვილი, როდესაც ამბობდა, ჩვენი პოეტი არ იცლის ისეთი წვრილმანებისთვის, როგორცაა მწვადის, გინა შემწვარის, ხორცის «ცოხნა და უცოხნელის გამოყრაო» (იხ. შეად. აქვე დასახ. ადგილი). მართლაც ტარიელსა და ასმათს ნამეტურ მაშინ უნდა გასხენებოდათ სმა-ჭამა და პურობა ან მწვადი და შამფური, როდესაც მათ ესტუმრა ისეთი გულის საყვარელი მეგობარი, როგორც ავთანდილია, მაგრამ მწვადისა და შემწვარის ცოხნის შესახებ სიტყვაც კი არ დაუძრავს პოეტს. ამიტომაც, ჩვენც დიდი ეჭვი შეგვაქვს ამ ხანათა სინამდვილეში, თუმცა ამქამად ნაადრევად მიგვაჩნია მათი სქოლიოში გამოყოფა, რის გამოც ჩვენ იგი მოუთავსეთ ასოებს ა და ხ-ს ქვეშ, ძირითად ტექსტში.

მწუხარების სურათის მსგავსავე გაზვიადებას და მიჯნურის სულიერ ტანჯვათა უზომო გადაჭარბებას წარმოგვიდგენს 266a და 266b [345, 346] ხანები, რომლებიც გადმოგვცემს იმას, თუ როგორ დაბნდა და სულთთქნა მწარენი (?!) ტარიელმა ნესტან დარეჯნის დაკარგვის მოგონებაზე მაშინ, როდესაც მათ წინა 266-ე ხანაში უკვე საკმაოდ გამოთქმულია ტანჯულის მიჯნურის ვითარება: «ვამე, მას შემდეგ საქმილსა დაუწვავ ნიადაგულსა!»... რის შემდეგაც სრულიად ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს 267 [347] ხანა «მიმღონი საქუთროსანი»...

«ისმენდი ჩემთა ამბავთა, თუ სულნი შედამრჩებანი».

სტილის მხრითაც, ეს ორი ხანა ვერ არის სავსებით მისაღები:

266a ხანა ნაძალადევი ჩანს: «სულთთქნა მწარენი», ნაცვლად «სულთთქნა მწარედ»; ამის მომდევნო 266b ხანაც კიდევ უფრო ახალია ფორმის მხრით: მაგ., ახალია თქმა: «სევდამან გული შეუპყრა, დარია» (მეორე ტ.); აგრეთვე სუსტია და უფერული თქმა: «მწარედ სულთ-ითქენა, ცრემლი მიწისა გარია».

ამგვარისავე ხასიათის არის 269a ხანა, რომელიც თითქო მეტისმეტად ხელოვნურად არისო ჩართული 269 [324] და 270 [325] ხანებს შორის. რადგან უმისოდ ბევრად უფრო მტკიცეა და ბუნებრივი 269 და 270 ხანებს შორის არსებული შინაგანი კავშირი.

586a და 586b [689, 690] ხანები ისეთის ხასიათისაა, რომ მათი ვანდენით, მოთხრობის ბუნებრივი მსვლელობა იოტის ოდენადაც არ ფერხდება, ამათში მეორე 586b ხანა მეტისმეტად ახალი ენით არის დაწერილი (იხ. და შეად. ა. სარაჯიშვილი, «ვეფხისტყაოსნის» უალბი ადგილები, «მოამბე», 1897 წ., VIII, გვ. 1—10).

757a [876] ხანა უურადლებას იქცევს ლექსისთვის ნახმარი და რუსთველისთვის უჩვეულო ენის ახალი ფორმებით: «თქმულების» ნაცვლად «თქმულებ» და «მოიძულეების» ნაცვლად «მოიძულეებ».

1218a [1368] მეტისმეტად ზღაპრულია და რეალური თვალსაზრისით მეტისმეტად უაზროა, მაგრამ თუ გამოვალთ იმ ზღაპრული სიუჟეტის თვალსაზრისითგან, რომელიც დასდებია საფუძვლად ჩვენს ძეგლს, — იმ შემთხვევაში არაფერი

უშლის ხელს, რომ დატოვებულ იქმნას იგი ძირითადს ტექსტში (შეად. ა. სარაჯ., «მოამბე», VIII, 1900, გვ. 28, LXXVII).

1232ა [1387] ხანა ფორმითაც მძიმეა და შინაარსითაც მისი მომდევნო 1233 ხანის ზედმეტი განმეორებაა (იხ. და შეად. ა. სარაჯიშვილი. «ვეფხისტყაოსნის» უალბი ადგ., «მოამბე», 1900 წ., X, გვ. 1—7).

1263ა [1425] სტილით მძიმეა და შინაარსითაც ზედმეტი.

დასასრულს საჭიროდ ვრაცხ აქვე შევეხო ზოგიერთ აღუნიშნავ, მაგრამ საეჭვო ხანებს. ჩვენ, რასაკვირველია მიზნად არა გვაქვს, წარმოვიდგინოთ ამ გამოცემაში საბოლოოდ გაწმენდილი ტექსტი, რადგან ეს შეუძლებლად მიგვაჩნია იმ მასალათა მიხედვით, რომელიც ჩვენ დღეს ხელთა გვაქვს. ჩვენ გვსურს მხოლოდ გამოვიწვიოთ დაინტერესებულთა შორის ეჭვი მათ სინამდვილეში, რაც ჩვენი აზრით, საჭიროა ტექსტის სათანადო კრიტიკული შესწავლისათვის.

ასე, მაგ., ვეველაზე უწინ ურადლებას იქცევს მე-18 ხანა, როგორც ფორმით, ისე შინაარსით. ფორმის მხრით ნამეტურ ნაძალადეგია მესამე ტაეპის მეორე ნახევარი: «იგი თვით ების, ვინ ების», შინაარსით იგი მის მომდევნო მე-19 ხანის აზრის სხვა სიტყვებით გადმოცემაა.

34-ე [71] ხანა ჩანართის 33¹ [70] ხანის აშკარა გაგრძელებაა; სტილის მხრითაც იგი მეტად მძიმეა, და ამიტომ ფრიად საგულეველია მისი ჩანართობაც, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს აკადემიკოსი ნ. ი. მარიც (ИАН, 1917, გვ. 433—434).

821 [942] ხანაც თავისი ფორმით რუსთველის სტილისთვის სრულიად შეუფერებელია. აქ გადმოცემულია მხოლოდ უბრალო ჭეშმარიტება, თუ რა ძნელია «მოუყრისა გაყრა და მოშორება».

843-ე [971] ხანა (=22-ე გამ. 904¹ ხანას), რომელიც უარყოფილია № 461 ხელნაწერით, ფორმით მართლაც მეტის მეტად ახალია, რაც აშკარად ჩანს ერთი წაკითხვითაც, მაგრამ ჩვენ უმჯობესად ვცანით მისი ძირითად ტექსტში დაბრუნება, რადგან იგი ავსებს ამ ადგილის აშკარა ხარეფს: უამხანოდ როდილა ჩანს მენავეთა პასუხითგან, თუ ვისი არის ის სამეფო და მიწა-წყალი, რომლის გაგება სურდა ავთანდილს და, მაშასადამე, მისი პასუხიც მენავეთა მიმართ:

«მძანო ჩემო, კარგთა კაცთა გარდგეკიდეთ, მე მეფესა თქვენსა ვეძებ...»,

ე. ი. სწორედ ნურადინ ფრიდონს, რომელიც მეფეა ამ ქვეყნისა, გაუგებარი რჩება. ყოველივე ამისდა მიხედვით, საგულეველია, რომ ეს ადგილიც თავიდანვე ხარეფიანი იყო, და ხსენებული ხანით შეავსო პირველმა და უძველესმა პოეტმა რესტავრატორმა.

871 [1002] ხანა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მესამე ტაეპი ჩვენ შევასწორეთ იმ სახით, როგორც ტექსტში გვაქვს სტილისა და, საერთოდ, ფორმის მიმართ, მაინც კიდევ საეჭვოა, რადგან მისი მეოთხე ტაეპის თქმა: «გულითა სულწასრულითა» მეტისმეტად უშნო და ნაძალადეგია. იგი თითქო მიბაძვა იყოს 612 [722] ხანისა, სადაც ჩვენი აზრით, აგრეთვე საჭიროა მეოთხე ტაეპის «მომღერალნი იყენეს სრულნი» შესწორდეს: «მომღერალნი იყენეს რულნით», რაც ნიშნავს: ახ, როგორი მომღერალნი იყენენო!..

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ არჩეული გზა თანდათან მიგვაახლოებს იმ ჭეშმარიტებას, რომელიც ძალიან მტკიცედა სწამდა «ვეფხისტყაოსნის» ტექსტის ღრმა კრიტიკოსს განსვენებულ ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილს. ეს ბუნებით

სპეტაკი და სიმართლის მოყვარული პიროვნება ვერ შერიგებოდა ჩანართების ავტორთა უმსგავს მსჯელობას და აშკარა სიყალბეს, რომლის საუკეთესო დამახასიათებელია ის ჩანართებიც, რომლების სიყალბე მეტადრე ცხადია ჩვენ მიერ შესრულებული ოპერაციის შემდეგ. ალ. სარაჯიშვილი იჩენდა განსაცვიფრებელ ალღოს და დაკვირვების ნიჭს ჩანართთა გამოცნობაში, მის მიერ აღმოჩენილი 145 ჩანართი ხანითგან, როგორც ეს ამ ქაზადაც შეინიშნება, თითქმის უმეტესობა უაღბად მისაჩნევია.

ამნაირად, ჩვენი მთავარი პრინციპი, რომელზედაც უნდა აგებულ იქმნას «ფეფხისტყაოსნის» ტექსტის ჩანართთაგან გაწმენდა, მოკლედ ასე შეგვიპლია გამოეთქვათ:

1. არ არის ნამდვილი ხანა არც ერთს არსებულ რედაქციაში, ვახტანგის ნაანდერძევე ტექსტს გარეშე.

2. ვახტანგისეული ტექსტის შეჯერება და მისი ჩანართთაგან გაწმენდა შესაძლებელი ხდება იმ ხელნაწერებზე შემოწმებით, რომლების გადაწერის დროსაც, გადმომღებებს ამა თუ იმ ნაწილში ჯერ არ შეეტანათ სხვა ხელნაწერთგან, ან არ შეეთხზათ, გადაწერის დროს, ის ჩანართები, რომლებსაც იცავს ყველა უვრცელესი და უსრულესი XVII საუკუნის ხელნაწერი; მათ ეკუთვნით ისეთი ხელნაწერები, როგორიცაა: № № 2829, 461, 599, 4988 და სხვა მათი გვარი რედაქციები.

ყველა ამ მოსაზრებათა მიხედვით, ეს ჩვენი ახალი რედაქციაც წარმოადგენს ვახტანგის რედაქციის როგორც თვით ტექსტის, ისე შედგენილობის, შემოწმება-შესწორებას საუკეთესო ვარიანტების მიხედვით.

„ვეფხისტყაოსნის“ ამბის საღაურობისა და მისი ღამნაჲის პიროვნების საკითხთა გარკვევა

ძეგლის კვლევა-ძიების შედეგები

ამ წერილის მიზანია გაეაცნოთ დაინტერესებულთ ჩვენ მიერ პოემის ტექსტის კვლევა-ძიების შედეგები, რომელსაც, ჩვენი აზრით, უცილობელი მნიშვნელობა აქვს, როგორც თვით პოემის ფაბულის, ისე მის ავტორთა ვინაობის საკითხთა გამორკვევისათვის. ხოლო, სანამ შევეხებოდეთ ჩვენ მიერ დასახულ მიზანს, საჭიროდ ვრაცხთ, მოკლედ მაინც, აღვნიშნოთ, როგორც პოემის შესწავლის ვითარება, ისე მისი კვლევა-ძიებისათვის ჩვენ მიერ არჩეული ორი მთავარი გზა.

ჯერ კიდევ 23 წლის წინათ, როდესაც ჩვენ პირველად მივეყავით ხელი «ვეფხისტყაოსნის» შესწავლას, აღვნიშნეთ ის ორი მთავარი მიზეზი, რომელიც აფერხებდა და ხელს უშლიდა ამ საგნის გულდასმით შესწავლას.

ერთ ამგვარ მიზეზად ჩვენ ვთვლიდით — მამულის გაზვიადებულსა და ცრუ სიყვარულს, რომელსაც ყოველთვის მეტი გასაგალი აქვს მაშინ, როდესაც მეცნიერება და სწავლა-ცოდნის საქმე ჯერ კიდევ დაბალ საფეხურზე დგას, და ჩვენშიაც ხომ მაშინ ასე იყო, მეორე მიზეზად კი — ჯეროვანი ერუდიციის უქონლობას იმ პირობით, რომლებიც ხელს ჰკიდებდნენ იმგვარ რთულსა და ძნელ საქმეს, როგორიცაა: რუსთველის პიროვნებისა და ნაწარმოების შესახები საკითხების გამორკვევა, და ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობდით, როგორც ქართველს, ისე უცხოელ მის მკვლევართ.

მაშინდელი ფეოდალური და სულ სხვა ატმოსფეროში მყოფი ქართველი ინტელიგენცია, ანუ, უკეთ, საზოგადოების მოწინავე ნაწილი, ვერაფერს ხედავდა იმას იქით, რაც მას უანდერძა XIX საუკუნის დასაწყისმა — ამ ეროვნული გადარებებისა და მოწამულის ხანამ, როდესაც დაობლებული და დამონებული ქართველი არისტოკრატი გულნადვლიანად შეეყურებდა თავის მწარე ბელს.

ამ დროს ყველა ცოტად თუ ბევრად შეგნებულ ქართველს შერჩენოდა მხოლოდ ერთად-ერთი მანუგეშებელი და ჭირსა და ღსინში თანამგზავრი — ეს მისი ეროვნული დიდების საუკეთესო ძეგლი — «ვეფხისტყაოსანი», მაგრამ არა მისი ნამდვილი სახით, არამედ ისე, როგორც იგი წარმოდგენილი იყო და არის ვახტანგის რედაქციით.

მაშინდელი დაბალ საფეხურზე მდგომი მეცნიერების მესვეურნი, — რადგან მათთვის იმ დროს ჯერ კიდევ არავითარი გარკვეული სამეცნიერო სკოლა არ არსებობდა, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებდნენ ისეთის რთულისა და ძნელი საგნის გამორკვევას, როგორიც არის «ვეფხისტყაოსანი» და მისი ავტორის ვინაობა და მათთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემები.

ამიტომაც ეს ერთად-ერთი ნაწარმოები, რომელშიაც ხალხის გენიამ პოვა უადრესი გამოხატულება — ეს, ასე ვთქვათ, ჩვენი დიდებული წარსულის ნა-სიბრძნისა და ნააზრის კენცტესენცია, — წყევლია იყო მოცული. ამ შემთხვევა-ში, რა თქმა უნდა, იმ ორიოდ ფრაზას, რომელიც გამოთქმული იყო პოემის სპარსულობის შესახებ და იმის განცხადებას, რომ «ბრიტანიის მუზეუმში შეიძ-ლება აღმოჩნდეს «ვეფხისტყაოსნის» დედანიო», იმ დროინდელ საზოგადოებაში მხოლოდ განხეთქილების შეტანა და უაზრო ენის ქაველის ატეხა შეეძლო, და სწორედ ასეც მოხდა: ატყდა, ჩვენებურად რომ ვთქვათ, «ერთი ვაი უშველებელი» ხსენებული საკითხის გარშემო.

ერთნი — ქართველთა დიდებულის წარსულის მოტრფიალენი — გაიძახო-დენ: პოემაში ყველაფერი ქართულია და ერთი სიტყვაც სპარსული, არც სხვა უცხო ენისა, არ არის მასშიო, ხოლო ახლის სკოლის წარმომადგენელი ჯერეთ ნორჩი მეცნიერი ნ. მარი კი, პირიქით, დაქინებით ამბობდა: ყველაფერი სპარსუ-ლია და, მალე, შეიძლება, დედანიც აღმოჩნდესო.

ამგვარი იყო პოემის შესწავლის მდგომარეობა ამ 30—35 წლის წინათ.

ამ გარემოებამ გვაიძულა ჩვენ, ჯერ კიდევ 22 წლის წინათ, გვეთქვა:

«მხოლოდ ზედმიწევნით შესწავლას იმ ერისა, რომელსაც თამარის დროის ლიტერატურის განვითარებაზე დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა, შეუძლია მიიყვანოს ადამიანი სწორსა და ნათელ დასკვნამდე ამ ნაწარმოების შესახებ»-მეთქი.

ეს სიტყვები მაშინაც მტკიცედ გვწამდა და დღეს, როდესაც ჩვენი მეცნიერება უკვე საკმაოდ მაღალ საფეხურზე დგას, კიდევ მეტი უფლებით შეგვიძლია გავიმეო-როთ ის, რომ ჩვენი ამ დარგში მეცნიერული კვლევა-ძიების ერთად-ერთი გზა არის სპარსული ენისა და მწერლობის შესწავლა, რადგან, ჩვენი ღრმა რწმენით, მხოლოდ ამ ნიადაგზე ხდება შესაძლებელი ჩვენი საერო მწერლობის ნიმუშების, საერთოდ, და «ვეფხისტყაოსნის», კერძოდ, გაგება და დაფასება.

მაგრამ ამ დასახელებული გზის გარდა, არის კიდევ მეორე გზა.

თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი საკითხის გამორკვევა მოითხოვს წინასწარ მუშაობას პოემის ტექსტის გასაწმენდად, რადგან ყოველი მეფის მდივანი, გინა მუშრიბი, რომელსაც, სხვათა შორის, დაკისრებული ჰქონდა «ვეფხისტყაოსნის» ხელნაწერთა გადაწერა, იმავე დროს იყო კარის მელექსე და პოეტი, რომელიც აუარჯიშებდა და სცდიდა თავის ნიჭს ამ ჩვენი უკვდავი პოემის შეკეთება-შესესების საშუალებით.

აქედგან ცხადია, რომ მეორე საუკეთესო გზა, ამ რთული და ძნელი საკითხის გამოსარკვევად, უნდა იქმნეს პირუთენელი შესწავლა და დაფასება იმ ხელნაწერ-თა, რომლებიც უხვად არის ჩვენს საგანძურებში და რომელთა საშუალებით შე-საძლებელი ხდება პოემის ენისა და შედგენილობის აღდგენა.

ამგვარ მუშაობას ჩვენ უკვე მივყავით ხელი და ჩვენი ამ გზით კვლევა-ძიების მთავარ შედეგად უნდა ჩაითვალოს ჯერჯერობით ის, რომ პოემის აღდგე-ნის საქმეში ბევრი რამ გაკეთდა: პოემის ტექსტის ბევრი დღემდე წარუყენილი და გაუგებარი ადგილი აღდგენილია და შესწორებული, უცხო და ძნელი სიტყვები ახსნილი და განმარტებული. პოემის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც, კრიტიკულა ტექსტის ნიმუშთა სახით, წარმოდგენილია ჩემს წიგნაკში «შესწორებანი და შე-ნიშვნანი» 22-ე გამოცემის შესახებ კრიტიკული ტექსტის რამდენიმე ნიმუშით, ყველაზე წარუყენილი და ჩანართთაგან წაღებული იყო, და ამ მხრით, თამამად შეიძ-

ლება ითქვას, რომ პოემის ტექსტის ადგენის საქმეში უმძიმესი ქვები უკვე გადაზიდულია.

მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაზე თვალსაჩინო ნაყოფად უნდა ჩაითვალოს შემდეგი: სახელდობრ, ჩვენმა ცდამ პოემის შესავლის ადგენისთვის, ცხადყო ჩვენთვის ის, რომ ამ შესავლის თამარის შესახები ხანები შოთას ენის განსაკუთრებულ თვისებათა შემცველია და, მაშასადამე, უტყუარი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენი პოეტი თამარის კარის ერთი მელექსეთაგანია.

ამასთანავე ცხადი შეიქმნა, რომ ეს კარის მელექსე მხოლოდობითს რიცხვში არ ყოფილა, არამედ მასთან ერთად ყოფილა ბევრი სხვა კარის მელექსეც, რომლებსაც აგრეთვე უძღვნიათ ეთეროვანი თამარის პიროვნებისათვის სოტბა: ზოგ ამგვარ მესოტბეს ჩვენ კარგა ხანია ვიცნობდით, რადგან ჩვენამდი მოელწია როგორც მათ სოტბებს, ისე ჩვენი ძეგლის შესავალში კანტიკუნტად გადმოცემულ ცნობებსაც; ამას გარდა, თვით იმ შესავალში, რომელიც მიეწერება შ. რუსთველს, შენახულა ცნობა იმის შესახებ, რომ თამარს თავის სიცოცხლეში ჰყოლია მესოტბეთა მთელი გუნდი. სახელდობრ, შესავლის მე-4 ხანაში პოეტი გვეუბნება: «თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლდათხეული, ვთქვენი თქებანი ვისნიმე, არაუად გამორჩეული» და სხვა...

ცხადი შეიქმნა ამასთანავე ჩვენ მიერ გაწეული მუშაობის შემდეგ ისიც, რომ ჩვენ მიერ ადგენილი პოემის შესავალი, რომელიც მიეწერება შოთა რუსთველს, ერთი პირის კალამს არ უნდა ეკუთნოდეს, რადგან ზოგი მისი ადგილი უფრო მდიდარია არაბულ-სპარსული სიტყვებით და თანაც მათი სტილი ბევრად უფრო ღრმა და მწიგნობრულია და პოემის ავტორის ენის განსაკუთრებულ თვისებათა მატარებელიც¹ მაშინ, როდესაც ამავე შესავლის ზოგიერთი ნაწილი ბევრად უფრო ახალი ენით არის დაწერილი, ვიდრე თვით პოემის ენა.

ყველა ამასთან ირკვევა, რომ პოემა მის ნამდვილ ავტორს — ვინც უნდა იყოს იგი, — შემოკლებულად და თითქმის ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჰქონია გალექსილი, მაგრამ ისე კი, რომ ამ შემოკლებულად გალექსილ ამბავში საკმაოდ შეკავშირებული ყოფილა ყველა მოთხრობილი ეპიზოდები პოემის მთავარ არაკთან. ამით აიხსნება, ჩვენი აზრით, ის გარემოება, რომ ბევრი ვასტანგის რედაქციის ჩანართთაგანი წარმოგვიდგენს ლექსად დაწერილ სათაურებს, რომლებიც მოკლედ გამოგვეცემენ პოემაში აწერილი შემთხვევების შინაარსს და თანაც ავსებენ ნაკლებ-შინაარსიანი ხანების აზრს².

პოემის ტექსტის კვლევა-ძიებამ ჩვენთვის საკმაოდ ცხადყო ის ფაქტიც, რომ შოთა როგორც მსოფლმხედველობის, ისე პოემის მოთხრობაში აწერილი ამბების მხრითაც, არის თანამედროვე ინტერესებისა და თვალსაზრისის ჭეშმარიტი გამომხატველი, და ამ მხრით, როგორც მე უკვე აღვნიშნე, ყველაზე მეტი ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ პოემაში წარმოდგენილია ყველა იმ დროის სახელგანთქმული და საყოველთაოდ ცნობილი ქვეყნების ისტორია (არაბეთის, ინდოეთის, ხატაეთის, ზვარაზმეთის, ქურთების და სხვა).

...ჩვენ თითქო ყველაზე ადრე გაუვლეთ კარები იმ გაბედულ მკვლევარს, ვინც:

¹ იხ. ამის შესახებ — ვახტ. VI გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია, გვ. 25—28 და 95.

² იხ. თუნდა 22-ე გამოცემის ხანები 25¹, 25² და 27¹, რომლებიც ჩვენ მიერ ჩატანილია სქოლოდ, გვ. 8.

ეშურება ჩვენზე ადრე დაამტკიცოს არაბულ-სპარსული გავლენა იმ დიალექტზე, რომელიც უნდა ყოფილიყო მისი ნამდვილის ავტორის დედაენა¹.

პოემის ტექსტის კვლევა-ძიების ერთ უმთავრეს შედეგად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის, რომ მოგვეცა ბევრად უფრო ნათელი წარმოდგენა ჩვენი ძეგლის შედგენილობისა და გარეგანი ფორმის შესახებ, ანუ, უკეთ, გაწეული მუშაობის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ ამ ძეგლის პროტოტიპი, ანუ მისი თავდაპირველი სახე.

თუმცა ჩვენს ძეგლს შერეულია აუარებელი ყალბი ხანა მას შემდეგ, რაც იგი საბოლოოდ ჩამოუყალიბებია მის ნამდვილ ავტორს, და ამის გამო საგრძნობლად შეცვლილა მისი თავდაპირველი სახე, ჩვენ მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია, როგორც პოემის შედგენილობის, ისე მისი გარეგანი მხარის ანალიზის საშუალებით, ნათლად წარმოვიდგინოთ მისი ძირითადი შენობა, რადგან ამ მხრით ჩვენ მიერ ტექსტის კვლევა-ძიება ფრიად ნაყოფიერ შედეგებს იძლევა.

აქ ჩვენ შევეცდებით, მოკლედ მაინც დავასურათოთ ჩვენი ძეგლის ტექსტის ვითარება.

ყოველი მკაცრი მკვლევარი, რომელიც კი შეხებია ჩვენი ძეგლის ტექსტის ანალიზს, დაასკვნის, რომ პოემა ძალზეა დაზიანებული და შეცვლილი და, სანამ სხვა სარწმუნო ხელნაწერი არ აღმოჩნდება, და მეცნიერთა მიერ ტექსტი სათანადოდ შესწავლილი არ იქნება, რაიმე მსჯავრის გამოტანა, პოემის დღევანდელი სახის მიხედვით, შეუძლებელიაო, და თანაც პოემის ტექსტის წარყვანაში ბრალს ჩვეულებრივ სამღვდლოებს სდებენ ხოლმე.

ენახოთ, რამდენად საფუძვლიანია ამგვარი აზრი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოემის ტექსტის შედგენილობისათვის სამღვდლოებს არასოდეს ხელი არ უხლია და არც ამა თუ იმ ადგილის შეცვლაში მას არავითარი წილი არ უძევს; ხოლო სასულიერო პირთაგან პოემის ტექსტის წარყვანის მტკიცება, თუნდა იმ მოსაზრებით, რომ პოემა თავის შინაარსით საქრისტიანო მოძღვრების აშკარა წინააღმდეგი იყო, შეუძლებელია, რადგან ეს გარემოება, პირიქით, უზრუნველყოფდა პოემას სამღვდლოებისაგან, რომელსაც ამგვარი ნაწარმოებისათვის ხელის ხლებაც კი დანაშაულად ჩაეთვლებოდა.

მართლაც, პოემის ტექსტის ანალიზითგან ნათლად ირკვევა, რომ სამღვდლოებს ამ ნაწარმოებისათვის ხელიც კი არ უხლია: იმგვარის ვარიანტების არსებობა, როგორცაა: «მოაბადთა» (№ 461) «მეცნიერთას» — ნაცვლად, ან «მასჯიდი» «მიზგიტას» ნაცვლად, ანუ თუნდა «გუპარი», ან «გუარი» (2829 და 461 № №-ები) «მარგალიტის» ნაცვლად, და სხვ., პირიქით, უნდა მიეწეროს მერმინდელის, — თუნდა აღორძინების ხანის, — სპარსული ლიტერატურის ნიმუშების იმ მთარგმნელებს და მდივან-მწიგნობრებს, რომლებიც ცდილობდნენ კიდევ უფრო გაესპარსულებინათ და დაეახლოებინათ ჩვენი ძეგლი იმ წყაროსთან, რომლითგანაც გამომდინარეობდა ყველა სპარსულის გავლენის მატარებელი ნიმუში.

ყოველ შემთხვევაში სამღვდლოების ამგვარ ფანტიკოს წარმომადგენელს შეეძლო მხოლოდ სრულიად მოესპო ძეგლი, დაეწვა და დაეხია, მაგრამ შეცვლისა და გადაკეთებისათვის კი იგი თავს არასოდეს არ შეიწუხებდა.

ჩანართთაგან გაწმენდილის პოემის ტექსტის შესწავლამ აგრეთვე ცხადყო,

¹ ვახ. «ბახტრიონია», № 24, რუსთველიანა; ქაეღეინგოროყვას მოხსენება: პერეთის ქართული კილოს გავლენა «ვეფხისტყაოსანში».

რომ არამცთუ წარყენილა და ძალზე დაზიანებულა პოემის ძირითადი ტექსტი, — გარდა შიგადაშიგ თითო ოროლა ვარიანტების შეცვლისა და ძველი გრამატიკული ფორმების ორთოგრაფიულად განახლებისა სხვადასხვა მდივან-მწიგნობართა და გადამწერელთა ხელით, და ისიც უგვიანეს ხელნაწერების მიხედვით, — პირიქით, თვით ის ქართული ვულგარიზმებიც კი, რომლებსაც ვხვდებით პოემის ტექსტში, უნდა იყოს ნაანდერძევი თვით პოეტისაგან.

ამისი უტყუარი საბუთია ისეთი მაგალითები, როგორიცაა «მიცო», 568,2, ან «მიცა», 331, რომლებიც, — ერთიცა და მეორეც, — რითმის აუცილებელი მოთხოვნილებით აიხსნება; საკმაოა წაიკითხოთ ორივე დასახელებული ხანა, რომ დარწმუნდეთ ამ ჩვენი სიტყვების სიმართლეში:

«ზედან წიგნსა საფიცარსა შევჭფიცე და შემომფიცა;
— მისგან ჩემი სიყვარული ამით უფრო დაამტკიცა —
«უშენოსა მოწონება ვისიცაო გულსა მ ი ც ა,
და ღმერთი მომკლავს, ამას იქით თავსა ვეტყვი, ამას ვსწერთიცა».
(331)

ცხადია, რომ აქ რითმას არ მოუხდებოდა არც მიძსა, არც ბ. კარიჭაშვილის¹ მიძსა (?!)

იგივე იოქმის 568 ხანის შესახებაც:

«იგი ენახო სიყვარული მისი ჩემთვის დავამტკიცო;
მოვაქსენო, რაცა მეცნას, მეტი საქმე არა მ ი ც ო;
შენ გენუკვი შემიჯერო, ღმერთი იღმრთო, ცაცა იცო»...

...პოემის საკუთარ სახელებსა და წმინდა მაჰმადიანურ არაბულ-სპარსულ ტერმინებზე, ძალიან ნაკლებ მოუხდენია გავლენა როგორც ქართულ ენას, ისე სამღვდლოებას, რომელსაც ჩვეულებრივ ბრალსა სდებს პოემის გადასხვაფერებაში თითქმის ყველა მკაცრი მკვლევარი.

ყველაზე უწინ უურადლებას იპყრობს ის გარემოება, რომ პირთა საკუთარი სახელები როდი არიან ჩვეულებრივი პოპულარული საკუთარი სახელები, არამედ ისინი, უმეტეს ნაწილად, წარმოადგენენ ეპითეტებს ანდა მთელ წინადადებებს, ან ხმარებული არიან მრავლობითი რიცხვის ფორმით.

ნესტანდარეჯანი არის სპ. اندرجان نستان ნესტან დარეჯან და ნიშნავს «არ არის ქვეყანაზე», ე. ი. არ მოიპოება ქვეყანაზე ლამაზი [მისგან კიდევ, ე. ი. უებრო ლამაზი, მზეთუნახავი]. აგრეთვე წმინდად არის დაცული არაბულ-სპარსულ საკუთარ სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმები:

ფარსადან—სპარ. فرسان — ნიშნავს ფილოსოფოსთაგან ან ბრძენთაგანს, და არის მრავლობითი რიცხვი სიტყვისაგან فرسا — ბრძენი. როსტევეანი, ან როსტან არის სპარს. رستان — მრავლობითი რიცხვი სიტყვისაგან رستا — როსტ — მართალი, სამართლიანი, სიმართლის მოყვარული. ან როსტევეან, ეპითეტის სა-

¹ დ. კარიჭაშვილის უკანასკნელი რედაქცია, მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ამგვარადვე სწორად ჰკითხულობს, ყველგან დანარჩენ ადგილებში იცავს ფორმას მიძს, წინააღმდეგ ფორმისა მიც: იხ. კარიჭ. 747,3, და «უღს», წინააღმდეგ ფორმისა «უც» ibid. 672,3. — «უღს სტაერა-ნახლები» და სხვები.

ხით *استين* ან *استيوار* — რასთივარ — სამართლიანი, მოსამართლე. აგრევე წმინდად არის დაცული ეპითეტის სახით ხმარებული არსებული სახელი *حاس* — ჰუსამ, რაც ნიშნავს მახვილს, ხმალს; აგრეთვე წმინდად არის დაცული არაბ. შემც. სახელი *حسين* — ჰუსეინი, *resy*. ჰუსენი (უსენი) — და მნიშვნელობით იგივეა, რაც მამაკაცის ქართული სახელი «მალხაზა» და სხვა

აგრევე წმინდად შენახულა რთული არაბული სახელები, როგორცაა: შერ-მადინ — არაბ. *شم الدين* — ნიშნავს სარწმუნოების სინიდიის; ნურადინ, არაბ. *نور الدين*; ნურ-ადინ — რაც ნიშნავს სარწმუნოების ნათელს.

გეოგრაფიული სახელებიც და მოქმედების ასპარეზებიც, როგორც აქ მოტანილი საკუთარი სახელებითგანაც ჩანს, წმინდა სპარსულია; არავითარი ცვლილება ამ მხრით არ მომხდარა. მხოლოდ ერთი რამ იქცევს უურადლებას. სახელდობრ ის, რომ ზოგიერთ პირთა საკუთარ სახელებსა და აგრეთვე გეოგრაფიულ სახელწოდებებსაც დაზრდია ნ-არი და მცურავი სპარსული რ გადაქცეულა ქართულში მცურავ ლ-სად, რაც, რასაკვირველია, აიხსნება ქართული კაყოფონიის გაველენით.

ამ მხრით ყველაზე საინტერესოა ქალაქის სახელწოდების «*მულაზანზანზარი*ს» ანალიზი.

ტრადიციული ტექსტის მიხედვით, ეს სიტყვა იკითხებოდა «მულაზანზანზარი» სახით, და მართლაც ასე იყო იგი წარმოდგენილი ყველა უძველეს XVII საუკუნელაწერებში და აგრეთვე ვახტანგის გამოცემაშიაც.

ხოლო ამ ბოლო დროის დაკვირვებამ ჩვენთვის ცხადყო ის, რომ ეს სიტყვა ძლიერ შეცვლილა გადაწერლების ხელით, და მისი აღდგენა სრულიად ადვილია ყველაზე უძველესი 1646 წლის ხელნაწერის მიხედვით, რომელსაც ეს სიტყვა, სხვა ხელნაწერებთან შედარებით, გაცილებით უფრო სწორად აქვს დაცული, და იკითხება «მულაზანზარზარის» სახით.

ამგვარი წაკითხვა კი — სავსებით იცავს მის სპარსულ ეტიმოლოგიას. სპარსულად იგი იქნება *مزرزار* — მურლაზარზარ და შედგება სამი ნაწილისაგან. როგორცაა: 1. *مزر* მურლ — ფრინველი, 2. სპარსული სუფიქსი *زار*, რომელიც უდრის ქართულ სუფიქსებს «ეთს», ანდა: «ოვანს» და 3. იმავე სუფიქსის «ზარის» განმეორებაა, ასე რომ *مزر زار* ნიშნავს «ფრინველეთს» ანდა — «ფრინველოვანს», ფრინველით მდიდარ ადგილს, ბაღს, და თუ მას მიუერთებთ ამავე სუფიქსს *زار* ზარ-ს, მივიღებთ *مزر زار* — მურლაზარზარ-ს, რაც უკვე ნიშნავს «მულაზაროვანს».

თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ქართულს უყვარს ნ-რის ჩართვა უცხო ენითგან ნასესხებ როგორც საკუთარ სახელებსა, ისე საზოგადო სახელებშიაც, მაშინ ჩვენთვის სრულიად ცხადი ხდება ისეთი წაკითხვა, როგორცაა: «მულაზანზარზარი», რომელიც არის იგივე სპარსული მურლაზარზარი, და ნიშნავს მულაზაროვანს, ან საბაღნაროს¹.

¹ ამნაირად წაკითხვა მულაზარზარ, — როგორც ვფიქრობდით ჩვენ, — გაქარწყლებულია, იხ. ჩვენი მოხსენება, «ძველი საქართველო», ტ. I, XI საუკ. ქართ. საერო მწერლობის ხასიათი და

ამგვარადვე, ჩვენი აზრით, შესაძლებელი ხდება ავსხნათ ისეთი საკუთარი სახელი, როგორც «გულანშარო», — რომლის წმინდა სპარსული წაკითხვაც იქნება گلشن — გულშაჰრ, resp. პოეტური გულშაჰრ, რომელიც ჰნიშნავს ვარდქაღაქს, და მასთანადამე, ამ შემთხვევაშიაც ადგილი აქვს იმავე ნ-რის დაზრდას.

ამგვარადვე შეგვიძლია ავსხნათ საკუთარი სახელის ისეთი ფორმაც, როგორცაა: ფატმან-ხათუნ, — რომლის არაბულ-სპარსული წაკითხვაა فاطمة خاتون — ფატიმა-ხათუნ, სადაც აგრეთვე ადგილი აქვს ნ-რის დაზრდას.

ამას გარდა, ჩვენს ძეგლს არა თუ წმინდად შეუნახავს ჩვენთვის გამაჰმადიანებული სპარსეთით შემოჭრილი არაიის სახე, არამედ მასში მოიპოება ისეთი ადგილებიც კი, რომლებსაც დაუტყავს ჩვენთვის წმინდა სპარსული ენის კონსტრუქცია.

ასე, მაგ., 245 ხანის პირველი ტაეპი ასე იკითხება:

«ასმათ, შენცა ხარ მოწამე ჩემისა ფერ-მიწიდილისა,
მზესა მე ვსჯობდი შეენებით, ვით ბინდსა ქაში დილისა,
იტყოდეს ჩემნი მნახავნი: «მსგავსია ედემს ზრდილისა!»
და აწ მაშინდლისა ჩემისა სახე ვარ ოდენ ჩრდილისა».

თავისთავად ცხადია, რომ ამ ჩვენთვის საინტერესო ხანაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კონსტრუქცია:

«შენცა ხარ მოწამე ჩემისა ფერმიწიდილისა»,

სადაც «ფერმიწიდილი» არის ზედშესრული (თვისების სახელი) და აქ იხმარება იგი ფერმიხდილობის, ან ფერწასულობის, მნიშვნელობით, ანუ, უკეთ, იგი ამ შემთხვევაში ასრულებს არსის სახელის და არა «ზედშესრულის» როლს. ამგვარი მოვლენა კი, ჩვენი აზრით, შეიძლება ახსნილ იქმნას მხოლოდ სპარსული ენის გავლენით. როგორც ვიცით, სპარსულ ენას აქვს ისეთი კანონი, რომლის საშუალებითაც ყოველი ზედშესრული შეგვიძლია ვაქციოთ განყენებული ცნების აღმნიშვნელ არსის სახელად, ხოლო ამისთვის საჭიროა მხოლოდ ამ ზედშესრულს წავეუმატოთ ბოლოში სუფიქსის სახით ასო ع ასე რომ «ფერმიხდილს» მნიშვნელობით სპარსულში არსებულ სიტყვას შეგვიძლია წავეუმატოთ დასახელებული ასო, რომ მივიღოთ «ფერმიხდილობა». და აი სწორედ ეს გარემოება გვაფიქრებინებს ჩვენ, რომ სიტყვები:

«მოწამე ჩემისა ფერმიწიდილისა» უნდა ნიშნავდეს: «მოწამე ჩემისა ფერმიხდილობისა», ანუ უკეთ «გალეულობისა, გაწლობილობისა», რაც სრულიად ადგილი ასახსნელია ზემორე მოტანილი განმარტების შემდეგ.

მსგავსივე მაგალითი გვაქვს 11 ხანის პირველ ტაეპშიაც:

«ავთანდილს მიხვდა სიამე, ვსება სჯირს მი სოქალი სა»,

სადაც სოქალი აგრეთვე ნიშნავს სნეულს, გალეულს, გაწლობილს, გამხდარს, მიმხეულს, და აქ მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ჩვენ საქმე გვაქვს თურქულ სიტყვასთან سوك, რომელიც, სპარსული სუფიქსის ع-ის საშუალებით, უკვე გა-

რუსთველის «ვეფხისტყაოსანი», ლექსიკონი, საკუთარ სახელებში: მულაზარი, მულაზარშაპრი და აგრეთვე Н. Март. ТР, XI, § 4, გვ. 16 და ჩვენი: ვ ა ხ ტ ა ნ გ VI გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია, გვ. 16, შენიშვნაში.

სპარსულდება და, როგორც ჩანს, სპარსულ ამბავში იგი მოიპოებოდა sukhali სუქალი-ს სახით, რაც მოგ-ს წამატებით აღნიშნავს, გაწლობილობას, გალეულ-ლობას, სიგამხდრეს, ანუ, უკეთ, სიყვითლესა და სიგამხდრეს ერთად. და, მაშასადამე, აეთანდღვს მიხვდა სიამე, ვსება სჭირს მი სოქალისა, აღნიშნავს შემდეგს: აეთანდღვს მიხვდა სიამე, ამიერიდან გაესება ელის მის გაწლობილობას, ე. ი. მის გამხდარსა და გაყვითლებულ ტანსო. ამ ადგილის წაკითხვის შესახებ იხილეთ X II საუკ. ქართული საერო მწერლობა და «ვეფხისტყაოსანი», სახელგამის გამ., ტფ. 1922 წ. გვ. 49-ე, ნიმუში 17 და შენიშვნა იქვე, გვ. 50-ე. და აგრეთვე ჩვენი: ვასტ. VI გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია, გვ. 27, სადაც, ჩვენი აზრით, «მი სოქალისაში» განმეორებულია პრეფიქსი მი სიტყვის «მიხვდა».

მაგრამ ყველა ეს კიდევ ცოტაა:

94-ე [= 141] ხანაში ვხვდებით ისეთ არაბულ სიტყვებს, რომლებიც ან იშვიათია და თითქმის ეუცხოება ქართულ ენას, ან ხმარებულია სრულიად სხვა მნიშვნელობით. ამ ხანაში — ვკითხულობთ:

«მოშორეება საყვარლისა მას შექმნოდა მისად ღაზოდ, ცრემლსა, ვითა მარგალიტსა, ჰყრის ვარდისა დასანაზოდ, რა გათენდა, შეეკაზმა მისთა მჭვრეტთა სალამაზოდ»,

სადაც სიტყვა «ლამაზი» თავისი პირვანდელი წმინდა არაბული მნიშვნელობით არის ნახმარი. არაბულად زال — ლამაზ ჰქონდას მათივინებელს, ამაზრზენს, დამამცირებელს, ქრუანტელის მომგვრელს, ზარის დამცემს. იგი წარმოებულია სახელზმნისაგან لَمْز — ლამაზაჰუ და ნიშნავს საკუთრივ, მან დაჰკრა მას, მან თავზარი დასცა მას, მან ქრუანტელი მოჰგვარა მას; მან ააძვერა, გამსჭვალა, გააოცა იგი; აყიენებდა, აშავებდა, ამცირებდა; ასე რომ მისთა მჭვრეტთა სალამაზოდ — ნიშნავს: მისთა მჭვრეტთა დამამცირებლად, საყიენებლად, დასამორჩილებლად, გულის წამლებლად, ამაზრზენად. პირველ ტაეჰში გვხვდება ადგილი «მისად ღაზოდ». ღაზო-ვი غصغ ნიშნავს სიმძიმის, სევდას, მწუხარებას; ასე რომ მისად ღაზოდ ამ შემთხვევაში ნიშნავს — მის სადარდელად, მის სევდად, მის გულისტკივილად, მის სიმძიმისად.

ამგვარივე ხასიათის არის არაბ. ه و ვამი — მძიმე ფიქრის ანდა შიშის, გინა მოუსვენრობის, მნიშვნელობით და اءء لاءარი¹, — დაუნდობელი, ცბიერი, მოღალატე; არ: اءء — ღაფალი — უგულო, უხალისო, ზარმაცი.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ამ სამი წლის წინათ ამავე ნაკვლეუში², რომ პოემის

¹ პ ა ვ ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ე ა თავის ერთ მოხსენებაში, რომელიც მან წაკითხა ხელოვანთა სასახლეში 1922 წლის ივნისში, უარყოფდა ჩემ აზრს სიტყვა ღა დ ა რ ი-ს იშვიათად ხმარების შესახებ ქართულში იმ ფაქტის წამოყენებით, რომ ეს სიტყვა ხმარებულია რუსთაველზე ბევრად ადრე XI საუკ. ისტორიკოსის თხზულებაში. რომ ეს ფაქტი ჩემ საწინააღმდეგოდ არ გამოდგება, ამისთვის საკმაოა ისიც, რომ «ვეფხისტყაოსნისებური» მუსულმანური არაბულ-სპარსული ზღაპარი და ვისრამიანისებური ფალაური მოთხრობები საქართველოში უკვე გავრცელებული იყო, როგორც არაბულ-სპარსულს, ისე ქართულს ენებზე ჯერ კიდევ XI საუკუნეში, როდესაც, სხვათაშორის, ითარგმნა «ვისრამიანი» ფალაურითგან სპარსულად და შემდეგ კი — ქართულადაც. თვით იმ დროინდელი ისტორიული წყაროების ენაც ამავე ძეგლების ძლიერი გავლენის ქვეშ იყო.

² ი. ა. ბ. ლ. ა. ძ. ე, XII საუკ. ქართ. საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი, ძეგლის კვლევა-ძიების შედეგები, გვ. 192.

დასასრულის ხანების შესწავლამ მოგვცა საუკეთესო გასაღები პოემის ავტორთა გამოსარკვევად და ცხადყო ჩვენთვის, რომ «ვეფხისტყაოსნის» უფრო ნამდვილი და, მაშასადამე, ყველაზე სარწმუნო რედაქციის ავტორი მხოლოდობით რიცხვში როდი უოფილა, არამედ იგი არის ორის ძველი პოეტის ნახელავი-მეთქი; ეს სიტყვები მეტისმეტად ეოცა ქართული ლიტერატურის ისტორიკოსს კორნ. კეკელიძეს, რომელიც ჯერ თავისი სახელმძღვანელოს I ტომში (კ. კეკელიძე: ქართ. ლიტ. ისტორია, I ტ. გვ. 342, შენიშვნა 3), შემდეგ მეორე ტომშიაც, (102—103 გვ.) ამ სიტყვების გამო გამოთქვამს თავის გაკვირებას. ამიტომაც ამჟამად ჩვენ შევეცდებით განვმარტოთ, თუ როგორია ჩვენი წარმოდგენა პოემის თავდაპირველი სახის შესახებ.

რამდენად ტექსტის ვითარების გაცნობა ნებას გვაძლევს, პოემა თავდაპირველ ავტორს, ვინც უნდა უოფილიყოს იგი, სრულიად დათავებული, ანუ საცხვებით ჩამოყალიბებული, არ უნდა ჰქონოდეს; ამას აშკარად გვიჩვენებს მასში აქა-იქ-სე-ლოენურად ჩამატებული ხანები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში საჭიროც ხდება ხარვეზების შესავსებად.

ამ ფაქტს უკვე აშკარად ხდის ისეთი ფრიად ავტორიტეტული პიროვნება, როგორიც არის აკადემიკოსი ნიკო მარი. სახელდობრ, იგი ეხება თავის ნაშრომში¹ პოეტის პიროვნების შესახებ როსტევეან მეფის მიერ ავთანდილთან სანაძლეოდ მოწყობილი ნადირობის შესახებ ეპიზოდში ჩანართ ხანებს, თვლის, სხვათა შორის, ჩანართებად 30¹ და 30² ხანებს (= კარიჭ. 65 და 66) და დასკვნის შემდეგ:

«Однако главное не в этих вставках, а в том, что согласное решение царя и вельможи-витязя пригласить жюри из ее «добрых рыцарей» для оценки их искусства так и осталось без исполнения или, вернее, исполненное под пером Шоты, очевидно, погнбло, а пробел восполнен в последствии позднейшим поэтом, не понявшим, как надлежит, сохранившейся подлинной части отрывка... И такое состояние выясняется не раз и не два раза, а многократно». В результате получаем убеждение, что в грузинской поэме «Витязь в барсовой шкуре» имеем не подлинное произведение Шоты, а — с искажениями и вставками реставрированный текст».

ამნაირად პატივცემული აკადემიკოსის აზრით, პოემაში დაღუპულა ბევრი რამ, და ხარვეზები შემდეგის დროის პოეტებს შეუვისიათ.

ჩვენ მიერ პოემის ტექსტის ჩაკვირებამ კი ჩვენთვის ცხადყო, რომ პოემის ძირითადი ტექსტი სრულიად ხელუხლებლად გადარჩენილა, პოემის დასაწყისისა და დასასრულის ხანებს გარდა, რომლებიც საგრძნობლად არის დაზიანებული, ხოლო ტექსტის ეს აშკარა ხარვეზები აიხსნება იმით, რომ თვით ეს პოემა, რომელიც პირველი მისი ავტორის მიერ იყო დაწერილი, საცხვ იყო აუარებელი ხარვეზით.

ამის აშკარად მაჩვენებელია ის ხანები, რომლებიც ვახტანგის გამოცემაში ზოგიერთი ხელნაწერებით უარყოფილია და თავისი შინაარსით ტექსტს არ უდგება, მაგრამ ამ ყალბი ხანებით წმინდად და ხელუხლებლად შენახულა ზმნის ის უძველესი კლასიკური ფორმები რომლებიც შემდეგში დავიწყდა.

მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ 25¹ და 25² და თითქმის მსგავსივე ხასიათის 30¹ და 88¹ ხანები, რომლებითაც წმინდად არის შენახული ძვე-

¹ Н. Марр. Витязь в барсовой шкуре и новая культурная историческая проблема, Петроград, 1917, гл. 436.

ლი კლასიკური ენის ნატვრითი კილოს ფორმები. ამათში ხანები 25¹ და 25² ეკუთვნის პირველსავე პოეტ რესტავრატორს, რომელიც, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ კარგად იცნობდა ძველ კლასიკურ ქართულში ხმარებულ ნატვრითი კილოს ფორმებს «მცა» ნაწილაკით;¹ იხ. 25², 4—«ეჰკადროთ რამე სალადობო რასათვის-მცა გაგვაწბილა!» აგრევე 30¹ ხანაშიაც ვხვდებით «მცა» ნაწილაკით ხმარებულ კითხვითს წინადადებას: ტ. I. «რადმცა ვიწყინე თქმა შენგან საწყინარისა», 88¹ ხანაშიაც აგრეთვე ვხვდებით ფრაზებს ამავე «მცა» ნაწილაკით. იხ. 88¹, 2: «სხვა პასუხი რამცა გკადრე, ანუ რამცა შევიწამე» და სხვა.

მოტანილი ფაქტებიდან ჩვენ გამოგვაქვს შემდეგი დასკვნა: ეს ნატვრითი კილოს ფორმები «მცა» ნაწილაკით, რომელიც ყველაზე უწინ ახასიათებს ოქროს ეპოქის კლასიკურ ქართულ ენას და რომელიც გვხვდება ისეთ ხანებში, რომლებსაც ვახტანგის გამოცემაში უარყოფს ხელნაწერთა ეს თუ ის განსაკუთრებული რედაქცია, აშკარად მოწმობს, რომ «ვეფხისტყაოსანში», მისი დაწერის იმთავითვე შეინიშნებოდა აშკარა ხარვეზები, და ეს ხარვეზები შეუვსია მეორე პოეტს, რომელიც ძალიან დიდი მანძილით არ უნდა ყოფილიყო დაშორებული იმ კლასიკურ ეპოქაზე, რომელსაც თვით შოთა ეკუთვნოდა.

ახლა რომ გადავაფლოთ თვალი ჩემ მიერ პოემის ტექსტის ყველა დაკვირვების შედეგებს, ჩვენ მივიღებთ შემდეგს სურათს:

1. პოემის ტექსტის ენაში ვულგარული ფორმები სრულებითაც არ არის ტექსტის წარყენის მაჩვენებელი, არამედ ისინი პოემის ენის ნიშანდობლივი და ბუნებრივი მხარის, ანუ, უკეთ, მისი ხალხურობის, მაჩვენებელია.

2. აგრეთვე იშვიათი ნასესხები სიტყვები და გეოგრაფიული სახელები იმდენად წმინდად და უცვლელად შენახულა ჩვენს ტექსტში, რომ შესაძლებელი ხდება სხვადასხვა ვარიანტთა შედარების ნიადაგზე მათი სრული აღდგენა.

3. აგრევე, შედგენილობის მხრივაც, პოემის ტექსტის ჩაკვირვების დროს, ჩვენს უურადლებას ძალაუნებურად იპყრობს ის ფაქტი, რომ პოემაში ამ სხვადასხვა მეფის მდივან-მწიგნობართა და მელექსეთა მიერ ჩანართი ხანების ტექსტიდან განდევნის შემდეგ. პოემა, ერთი შეხედვით, — თითქო კარგავსო თავის ჯადოსნურ ძალას იმის გამო, რომ ზოგი ამ ჩანართ ხანათაგანი, თავისი პოეტური აღმაფრენით და სტილის ხალხურობით, პოემის ნამდვილ ლექსებსაც კი არ ჩამოუვარდება; მაგალითისათვის, შეგვიძლია, მოვიტანოთ ისეთი ხანები, როგორიცაა: 51¹, 830², 830³, 830⁴, 1194¹ და 1260¹.

4. მაგრამ ჩვენი ძეგლის ჩანართთაგან გაწმენდის შემდეგ ნათლად ირკვევა ისიც, რომ მისი თავდაპირველი სახე წარმოადგენდა ამავე ამბების ბევრად შემოკლებულ რედაქციას, რომელიც ნაწყვეტებად ყოფილა გალექსილი და, როგორც ამგვარი, საესე ყოფილა ხარვეზებით, რომლებიც შემდეგს პოეტს შეუვსია ახალი ხანებით. ამ ხანებს კი გალექსილი სათაურების ხასიათი აქვს, მაგრამ ეს სათაურები, ამავე დროს, სშირად ავსებენ პოემაში მოთხრობილი ეპიზოდების ღარიბ შინაარსს. ამგვარია, მაგ. ხანები: 25¹, 25², 27¹, (22-ე გამოც., გვ. 8) და სხვა ამგვარივე ხანები. ეს გარემოება აშკარად მოწმობს, რომ ჩვენი ძეგლის გალექსის თავ-

¹ გვ. 436. ამის შესახებ იხილეთ ჯერ ჩვენი ნაშრომები «შესწორებანი და შენიშვნანი 22-ე გამოცემის შესახებ პოემის კრიტიკული ტექსტის რამდენიმე ნიმუშით», 1914 წელს და ვახტ. VI გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია, პირველად წიგნაკად ამოღებული ჟურნალ «განათლებიდან» 1917 წელს. სხვებული წიგნაკი გვ. 12—13 და 16. და შემდეგ აკაკი შანიძე, «მცა» ნაწილაკით ქართულში, ჟურნალი «პრობეთ», [1918, — 1], გვ. 69—80.

დაპირველი ცდა წარმოადგენდა მეტისმეტად ლიტონად, ანუ მარტივად, შესაძლებელია, ნახევრად პროზად, დაწერილ პოემას, რომელიც, თავისი პოეტური ღირსებებით, ბევრად დაბლა უნდა მდგარიყო სხვადასხვა დახელოვნებულ მელექსეთა ხელით შეესებულ-შეკეთებულ და დღევანდელ ნახევრად გახალხურებულ «ვეფხისტყაოსანზე».

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ პოემის ძირითადი ტექსტი მაინცა და მაინც საგრძნობლად არ ყოფილა დაზიანებული, რადგან ტექსტის შედგენილობისა და გარეგანი ფორმის შესწავლის საშუალებით, შესაძლებელი ხდება მისი თავდაპირველი ნამდვილი სახის აღდგენა. ხოლო, ამასთან ერთად, ირკვევა ისიც, რომ ჩვენი ძეგლის თავდაპირველსა და, მაშასადამე, ნამდვილი ავტორის რედაქციას, შედგენილობის მხრივ, ბევრი ხარვეზი და საგრძნობი დეფექტი უნდა ჰქონებოდა იმდრომდი, სანამ იგი სხვადასხვა კარის მელექსეთა და მწიგნობართა ხელში გატარდებოდა და გახალხურდებოდა.

ყველა ზემორეთქმულს შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ უფრო ნათელი მსჯელობა «ვეფხისტყაოსნის» სპარსული მოთხრობის იმ თავდაპირველი ქართული ვერსიის შესახებაც, რომელიც წინაუსწრობდა ჩვენს ძეგლს.

ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ ჩვენი პოემის პროტოტიპი უნდა ყოფილიყო იმდრომდი, სანამ იგი ჩაუვარდებოდა ხელში მის ნამდვილ ხელოვანს, ერთი ქართული ვერსიის სახით.

მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო დაახლოებით ის ფაბულა, ანუ ის სიუჟეტი, რომელიც გამოუმუშავებია ჩვენს პოეტს?

ჯერ კიდევ 15 წლის წინათ ჩვენ შემთხვევა გვექონდა გვებაასნა სიუჟეტის შესახებ ჩვენს პირველ ნაკვლევში¹, სადაც ჩვენ გავავლეთ ხაზი იმ გარემოებას, რომ ქართულ საერო ლიტერატურაში «ვეფხისტყაოსნის» მოვლინებამდე და მის შემდეგაც, სპარსელი პოეტები თავიანთ ნაწარმოებთა სიუჟეტებად იღებდნენ ან ირანულ სადღევმირო ამბებს, ან აღმოსავლეთში გავრცელებულ ეპიკურ ამბებს, ან და კიდევ არაბულ თქმულებებს.

სრულიად იგივე მასალა, როგორიც არის ყველა აქ ჩამოთვლილი, იყო მოწონებული საქართველოშიც.

მაგრამ ჩვენთვის აქ ყველაზე საინტერესო არის, სახელდობრ, იმ საკითხის გამორკვევა, თუ სად წარმოიშვა ეს ავთანდილ სპასპეტისა და ინდო ბატონიშვილის ტარიელ სარიდანის ძის შესახები სადღევმირო ამბების თავდაპირველი წყარო, ანუ, უკეთ, სად უნდა ვეძებოთ ამ ამბების პირველი და ნამდვილი სათავე.

როგორც ყოველი აღმოსავლური არაქი, ან ზღაპრული სადღევმირო ამბავი, ისე ჩვენი «ვეფხისტყაოსნის» შესახები მოთხრობაც, თქმა არ უნდა, წარმოადგენს აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიული წარსულის ჩანასახს, ანუ, უკეთ, იმ ურთიერთობის გამოხატულებას, რომელიც არსებობდა აღმოსავლეთის სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის, — ამ შემთხვევაში კი, — არაბეთსა, ინდოეთსა, ხვარაზმასა და სხვებს შორის, და ამიტომაც იგი არის აღმოსავლურის ფანტაზიის ნამდვილი სინთეზი².

¹ ი. ა. ბ. ლ. ა. ძე. XII საუკუნე. ქართ. საერო მწერლ. და «ვეფხისტყაოსანი», გვ. 30—32.

² ჩვენი ღრმა რწმენით, ეს ამბავი უნდა წარმოადგენდეს XI—XII საუკუნეთა ამბების, ანუ, უკეთ, იმ დროის ამოძახილს, როდესაც ისლამის მახვილმა, ყაზნის სულთანის მაჰმუდის ძლიერ ხელში ერთი მეორის პირისპირ დააყენა და შეაჯახა მთელს მსოფლიოში ცნობილი ორი უძლიერესი კულტურა — სპარსეთისა და ინდოეთისა.

მაშასადამე, აქ საკითხავია მხოლოდ ის, თუ სახელდობრ, სად იკედებს ფეხსა და იღებს თავის საბოლოო სახეს, ანუ, უკეთ, თავის სრულ ფორმას, ანუ ყალიბს, ამგვარი თქმულება ან ზღაპარი.

სრულიად დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ «ვეფხისტყაოსნის» ამბები, თავისი გაჩენის იმ თავითვე, წარმოადგენდა ჩვეულებრივს სადევგმბრო ზღაპარს, რომელშიაც მთელი ადგილი სხვადასხვა კუთხის ბუმბერაზთა რკენასა და მათს დევებთან და ავსულებთან და საშინელ მხეცებთან ბრძოლას ეჭირა.

ამას საუკეთესოდ მოწმობს თვით მოთხრობის ზღაპრული მხარეც.

ამ ამბის ნიშანდობლივ თვისებას, როგორც ეს ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს ჩვენს ზემორე დასახელებულს ნაკველევში, შეადგენს ის, რომ იქ პირისპირ დგანან, ერთი მხრივ, კეთილი იდეისთვის მებრძოლი გმირები — ტარიელ, ავთანდილ, ფრიდონ და მეორე მხრივ — მათნი მოპირდაპირენი — სხვადასხვა ბოროტი და მავნე სულები, დევები და საშინელი მხეცები¹.

უკანასკნელების დამარცხება პირველთა მიერ მოასწავებს კეთილის ბოროტზე გამარჯვებას.

ამნიარად, ჩვენი აზრით, წმინდა ირანული სარწმუნოებრივი ტენდენცია მტკიცედ არის დაცული და მასთან საშინელის სიმკაცრით გატარებული მთელს «ვეფხისტყაოსანში».

ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის უცილობელი ფაქტი, რომ «ვეფხისტყაოსნის» არაკი, ერთის მხრით, — მატარებელია ყველა იმ თვისების, რომელიც ახასიათებს ისეთ წმინდა ირანულ ნიმუშებს, როგორიცაა: «ვისრამიანი», «ამირანდარეჯანიანი», «ბაპრამიანი» და «შაპ-ნამეს» ძველი ქართული პროზული ვერსიები, რომლის შესახებაც «ზაქიანის» გამლექსავი მეფის მდივანი მამუკა გადმოგვცემს: «საქართველოს ეს ამბავი დარჩომოდა ძველის-ძველიო», ხოლო მეორე მხრით, — ესევე ამბები გამსჭვალულია წმინდა ისლამის მოძღვრების სულითა და სარწმუნოებრივი ტენდენციით, რაც, რა თქმა უნდა, საგრძნობლად განასხვავებს მათ ამ ჩვენ მიერ დასახელებული წმინდა ძველ-ირანული სადევგმბრო და სამიჯნურო ამბებისაგან.

მაშასადამე, ცხადია, თუ საიდან უნდა იყოს შემოსული ჩვენში «ვეფხისტყაოსნის» ამბები.

ეს ამბები აუცილებლად შემოიჭრა ჩვენში გამაჰმადიანებული სპარსეთითგან იმ დროს, როდესაც არაბული გავლენის ძლიერი ჭეველი უკვე მეტისმეტად შეერია ირანულ მასსას, და, მაშასადამე, ისინი უკვე წარმოადგენდა არაბულ-სპარსული ფანტაზიის სინთეზის ჭეშმარიტ ნაყოფს.

ყველა ეს ყოველ ეჭვს გარეშეა, და სწორედ ამან გვაიძულა ჩვენ გვეთქვა, რომ «ვეფხისტყაოსნის» ფაბულა, იმ სახით, რა სახითაც იგი წარმოდგენილია «ვეფხისტყაოსანში», უნდა იყოს ერთ-ერთი არაბული თქმულებათაგანი, რომელიც გამომუშავებულია გამაჰმადიანებულ ირანში.

¹ თვით ტარიელ თავგანწირული ებრძვის დევთა დასებს და სწმენდს მათგან გამოქვაბულს, რომელიც სასჯეა აუარებელი სიმდიდრით, აგრეთვე ებრძვის ლომ-ვეფხს და ჰსოცავს მათ და სხვებს. ი. ა. ბ. უ. ლ. ა. ე. Opus. citat., გვ. 40.

მაგრამ აქ თავისთავად იბადება კითხვა, თუ, სახელდობრ, რა უნდა ეანდერძებინოს პოეტისთვის ამ მაჰმადიანურ არაბულ-სპარსულ მოთხრობას.

ამ უცხო ხელმწიფეების შესახები მაჰმადიანური ამბითგან, ჩვენი აზრით უნდა იყოს პოეტისთვის ნაანდერძევი თქმულება არაბეთის და ინდოეთის გმირთა შესახებ, წმინდა სპარსული ამბები და მასთან სპარსულის ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობა, როგორცაა: ნაეროზობა, უსეინ ფატმანისა, გულან-შაროსა, ზღვათა სამეფოსა, მულღაზარზარისა და ფრიდონის გარშემო შემოკრებილის ამბების შესახები მოთხრობები.

მაგრამ აქ ძალაუნებურად იქცევს ჩვენს ყურადღებას ის გარემოება, რომ ამ უცხო ხელმწიფეების შესახებს ზღაპრულ ამბებში, ერთი მხრით, უნდა იყოს შეტანილი და ხელოვნურად შეკავშირებული მოთხრობის მთავარ ჩონჩხთან და, ამასთანავე განსაკვიფრებელი სიმეტრიით შეწყობილი თვით ავტორის მიერ სხვადასხვა ნაწყვეტები, და, მეორე მხრივ, ქაჯების შესახები თქმულება, რომელიც წმინდა ქართული ლეგენდის ხასიათს ატარებს, და სპარსულ ამბებს კი — სრულიად ეუცხობება¹.

ეს ნამეტურ სარწმუნო ხდება დღეს, რადგან ამ მხრით ჩვენ მიერ შესრულებული ექსკურსი საკმაოდ დიდ ნაყოფს იძლევა.

ამავე შედარების საშუალებით, ცხადად გამოიჩევა ის, რომ ერთი და იგივე ზღაპარი, ანუ ფაბულა, ხდება სხვადასხვა პოეტთა ნაწარმოების ქარგად.

ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ², რომ სპარსთა შესანიშნავი XIII საუკ. პოეტის ხაჯუ ქირმანელის ჰუმაა ჰუმააჟუნი, ანუ ზამინ ხაჯარელის ამბავი, რომელიც, ჩვენი «ვეფხისტყაოსანივით», აღმოსავლურ სადევგმირო ზღაპარს წარმოადგენს, თითქმის «ბარამგულიჯანიანივით», ერთ-ერთის «შაჰზადესა» და ჩინეთისავე მეფის ასულის სამიჯნურო თავგადასავალს შეიცავს. ჰუმაა არის ჩინეთის მეფის ფახფორის ასული. ამიტომ, ვფიქრობდით ჩვენ, შესაძლებელია ჰუმაა ჰუმააჟუნი «ბარამგულიჯანიანის» გაგრძელებაც იყოს-მეთქი, და დავსძენდით შემდეგს:

«ბარამგულიჯანიანის» გამიჯნურების ამბავი ძალიან ჰგავს «ვეფხისტყაოსანის» გამიჯნურების ამბებს, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქ იქცევს ის გარემოება, რომ «ბარამგულიჯანიანში», წინააღმდეგ «ვეფხისტყაოსანისა», ვერ ვხედავთ მოქმედ პირთა გმირულ ბრძოლას დევებსა და ქაჯებთან, ე. ი. «ბარამგულიჯანიანში» ფანტასტიკურ ელემენტს თითქმის სრულებით არავითარი ადგილი აღარა აქვს, და ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ «ბარამგულიჯანიანი» წარმოადგენს ერთ-ერთის «ბაჰრამიანის» ტიპის სადევგმირო მოთხრობის კერძო რომანული სიუჟეტის განვითარებას.

«ბაჰრამიანის» ტიპის მოთხრობაც სომ ბევრია, და აქ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყველა ამ მოთხრობაში მთავარი გმირი ყოველთვის ცნობილია ერთისა და იმავე ბაჰრამის სახელით.

ჩვენ გავიცანით და კიდევ შევეუდარეთ «ვეფხისტყაოსანს» სპარსულ ენაზე არსებული «ბაჰრამგულანდამიანი», რომელიც უდრის სპარსულითგან ნათარგმნს მოკლე ქართულ პროზულ ვერსიებსა და ის დასკვნა გამოვიტანეთ, რომ «ვეფხისტყაოსანში» წინააღმდეგ «ბაჰრამგულანდამიანისა», შეერთებულია რომანულისა და

¹ ამის შესახებ — ჩვენი: «ქაჯის შესახები თქმულება და «ვეფხისტყაოსანის» სიუჟეტის საკითხი». «ვეფხისტყაოსანის» 22-ე გამოცემის შესავალი, გვ. XXIII—XXV.

² ჩვენი: 22-ე გამოცემის შესავალი გვ. XXVIII—XXIX.

დევეგმირულის ნაწარმოების საუკეთესო თვისებები, ე. ი. ერთი მხრით იგი წარმოადგენს საუცხოო სამიჯნურო წიგნს, სადაც გაღმერთებულია უმაღლეს წერტილამდი განვითარებული ქალ-ვაჟის სიყვარული, მეორე მხრით, -- შეუდარებელ გმირულ ბრძოლას დევებსა და ქაჯებთან.

ამას გარდა არსებობს კიდევ სხვა სპარსული «ბაჰრამგულანდამინიცი», რომელიც უკვე არა პროზით არის დაწერილი, არამედ გაღმერთებულია ვინმე პოეტის ამინის მიერ, მესნევის ფორმით იგი იწყება ღმერთისა და წინასწარმეტყველის ქება-დიდებათ, მისი მთავარი გმირის, იმავე ბაჰრამის, თავგადასავალი ერთსა და იმავე დევებსა და ქაჯებთან ბრძოლას წარმოგვიდგენს (Gh. Rieu, გვ. 277).

ხოლო აქ ჩვენთვის ყველაზე საგულისხმეოა ის, რომ ერთი და იგივე ამბავი ხშირად იცვლება ადგილის და დროის შესაფერად; ამის საუკეთესო მაგალითს წარმოგვიდგენს იგივე ჩვენ მიერ ზემორემოტანილი «ბარამინის» ტიპის მოთხრობები, რომლებიც ერთი და იგივე ამბის განვითარებას წარმოადგენს.

ამგვარივეა ყველა სხვა სპარსული სადევეგმირო ამბებიც, რომლებშიაც მთავარი გმირის საუკეთესო საგმირო საქმედ ითვლება დევებსა, ავსულებსა და საშინელ მხეცებთან ბრძოლა, მათი ყველგან და ყოველთვის მტრებზე გამარჯვება და უქლევლობა¹.

ბევრ ანალოგიურ ფაქტს წარმოგვიდგენს, «ვეფხისტყაოსანთან» შედარებით, აგრეთვე «ამირანდარეჯანიანიცი», სადაც ადგილი აქვს იმგვარსავე შემთხვევებს, როგორცაა «ვეფხისტყაოსანში» ქაჯეთის ციხე-ქალაქის გარშემო შემოკრებილი ამბები.

ასე, მაგ., ამირან დარეჯანის ძე და უმანი მისნი, ისე როგორც ტარიელ სარიდანის ძე და მისნი ძმად-ფიცნი უმანი, დევებსა და ქაჯებს დახოცავენ და ზღვათა მეფის ასულს ქაჯთა ტყვეობითგან იხსნიან («ამირან-დარეჯ.», ტფ. 1897 წ. გვერდი 5).

ზემორე ნათქვამიდანაც საკმაოდ ნათლად ჩანს, თუ რა ინტერესს წარმოადგენს ჩვენთვის ყველა ზემორედასახელებული ნიმუში.

ამ ნიმუშთა გაცნობის შემდეგ, ჩვენთვის ბევრად უფრო ცხადი ხდება ის, თუ რა ცელილება უნდა შეეტანა «ვეფხისტყაოსნის» გამლექსავს, იმ გამაჰმადიანებულ ირანულ სადევეგმირო ზღაპარში, ანუ, უკეთ, იმ მაჰმადიანურ-სპარსული არაკის ქართულს ვერსიაში, რომელიც გამომუშავებულ იქმნა მის მიერ «ვეფხისტყაოსნის» სახით.

ყოველ ეჭვს გარეშეა ის, რომ ეს ქართული ვერსია თავისი შედგენილობით არაფრით არ განსხვავდებოდა იმ სპარსული სადევეგმირო ამბებისაგან, რომლებიც ჩვენ ზემორე დავასურათეთ და რომლებიც ისე საოცრად იმეორებენ ერთიმეორის ეპიზოდებს.

იგი უნდა ყოფილიყო მტყნარი, ირანული ზღაპარი, სადაც მთავარ ყურადღებას იპყრობდა ავთანდილისა და ტარიელის სადევეგმირო თავგადასავალი.

მაშასადამე, ამ ზღაპარში მთავარი ამბები შემოკრებილი იქნებოდა არაბთა მეფის როსტევანისა, მისი გაზრდილის ავთანდილ სპასპეტისა და თინათინის გარშემო, ერთის მხრით, — და ტარიელ სარიდანის ძისა და ნესტან დარეჯანის გარშემო, მეორე მხრით. ამის შემდეგ ბევრად უფრო ადვილად და ნათლად შეგვიძ-

¹ იხ ირანის სადევეგმირო ამბების გაულების შესახებ ჩვენს ისტორიულ წარსულზე: ჩვენის 22-ე გამოცემის შესავალში, გვ. XXX — XXXI.

ლია წარმოვიდგინოთ «ვეფხისტყაოსნის» საბოლოოდ ჩამომყალიბებელის, ანუ, უკეთ, ტარიელის გამლექსავეის, გენიალური პოეტური შემოქმედებაც.

თავისთავად ცხადია, რომ მას ყველაზე უწინ უნდა შეეტანა ჩვენს ძეგლში თავისი საკუთარი მსოფლმხედველობა.

ჩვენ დღეს ძალიან კარგად ვიცით ის, თუ როგორი მსოფლმხედველობის იყო ავტორი, ამქამად უკვე გადაშლილია სავსებით ნეოპლატონიზმის გავლენა XI—XII ს. საქართველოზე და ნაჩვენებია თვით ის ქართული წყაროც კი, საითგანაც სესხულობს ნეოპლატონურ სიბრძნეს პოეტი¹. მაშასადამე, იგი იყო გარკვეული ფილოსოფიურის სკოლის, სახელდობრ, ნეოპლატონურის სწავლამოდღერების, — მიმდევარი, და, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ ეს ამ 15 წლის წინათ², ამ ნეოპლატონურის სიყვარულის გრძნობა უძვეეს სარჩულად იმ შეუდარებელ რაინდულ რომანს, რომლის მაგალითსაც ჩვენი ძეგლი იძლევა.

ამიტომ, ჩვენი ღრმა რწმენით, საგრძნობლად უნდა შეცვლილიყო «ვეფხისტყაოსნის» არაკის ის ნაწილი, რომელსაც განსაკუთრებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა «ვეფხისტყაოსნის» რომანული სიყვარულის დახატვისათვის, ხოლო ამგვარი კი იყო ის ვეფხისტყავეისა და ქაჯთა და ქაჯეთის ციხე-ქალაქის შესახები ქართული ლეგენდა, რომლის გავლენის ნიადაგზეც უნდა შეცვლილიყო და გადიდებულ-განვრცობილიყო ტარიელის რომანული სიყვარულის შესახები მოთხრობა.

ამითვე აიხსნება, ჩვენი აზრით, ის საგრძნობი განსხვავებაც, რომელიც არსებობს ტარიელის ვეფხისტყავეისა და «შაჰ-ნამეში» წარმოდგენილს რუსტემის ბაბრახიანს შორის.

როგორც ეს ჩვენ ცხადდევავით, პირველი არის საყვარელის არსების განსახიერება, ხოლო მეორე — ჩვეულებრივი საჭურველი ომის დროს. ამ გარემოებას ხომ თვით ჩვენი პოეტიც გაკვირით აღნიშნავს პოემის შესავალში:

«ჩემი აწ სცანით ყველამან, მას ვაქებ ვინცა მიქია.

ეს მიჩანს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია;

იგია ჩემი სიცოცხლე, უ წყალო, ვითა გიქია,

და მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია».

აგრეთვე თვით პოემაშიაც პოეტი ასე აღაპარაკებს თავის საყვარელ გმირს:

«რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს,

ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს».

ამითვე აიხსნება, ჩვენი აზრით, ის გარემოებაც, რომ ქაჯებისა და ქაჯეთის ციხე-ქალაქის შესახები ქართული ლეგენდა მეტისმეტად ხელოვნურად და თანაც კერძო ეპიზოდის სახით არის შეტანილი ტარიელის საგმირო თავგადასავლის მოთხრობაში. მაგრამ, როგორი ცვლილებაც არ უნდა შეეტანოს ტარიელის გამლექსავეს ჩვენი ძეგლის ამბებში, ყოველს შემთხვევაში ცხადი ხდება ის, რომ ჩვენი უკვდავი პოემის სპარსული ამბის პროტოტიპი თავდაპირველად წარმოადგენდა გამაჰმადიანებულ სპარსულ სადევგმირო ზღაპარს.

ამნაირად ჩვენი მიღწევანი პოემის ფაბულის კვლევა-ძიების საქმეში მოკლედ ასეთია:

¹ Н. Марр. Иоанн Петрицкий [ЗВО, т. XIX] და Витязь в барсовой коже. — ТР, XII, § 10, გვ. XLVI — XLVIII.

² ი. აბულაძე. Opus. citat., ძველი საქართ., ტ. I, გვ. 43 — 44.

ბოლოსდაბოლოს პოემის შინაარსის დაახლოებით შესწავლა მოწმობს, რომ ამ ნაწარმოების მთავარ ჩონჩხად, რომელიც ძველი ზღაპრის ნაშთს წარმოადგენს, უნდა ცნობილ იქმნას აღმოსავლეთის უცხო ხელმწიფეების შესახები ზღაპარი, და ამ ზღაპარში კი — წარმოდგენილია სწორედ ირანის ბუმბერაზების მსგავსი გმირები — ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონ, რომლების მოპირდაპირებადაც პოემაში გამოდიან ქაჯები, დევები და საშინელი მხეცები. ეს ასეა, მაგრამ, ამასთანავე, ავტორის პირადი ერუდიციისა და ნაკითხობის გავლენით, უნდა მომხდარიყო ძირითადი ცვლილებები «ვეფხისტყაოსნის» ფაბულაში: ამ ნაწარმოებში უკვე აღნიშნულია და პირდაპირ ნაჩვენები ნეოპლატონური წყარო და აგრეთვე აფორიზმები და პოეტური ფიგურები, რომლებიც ამშვენებენ და სიბრძნის დაუმრეტელ წყაროდ ქმნიან პოეტის ქმნილებას, და მასთან წმინდა საქრისტიანო წყაროდგან ამოღებული ფრაზები.

ყველა ამასთან ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ «ვეფხისტყაი», რომელსაც ატარებს ტარიელ სარიდანის ძე, არის აგრეთვე რუსტემ პილოტანის სამოსელიც, მაგრამ, «ვეფხი», რომლის ტყავისაგანაც ტარიელს «კაბა ემოსა», «ვეფხისტყაოსანში» უკვე საყვარელის არსების განსახიერებაა.

ყველა ამისდა მიხედვით, ჩვენ დღეს კიდევ უფრო დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ ის, რაც პოემის შესწავლის იმ თავითვე გვითქვამს, სახელდობრ:

«თვალწინაც რომ გვედვას ის უცხო ხელმწიფეების შესახები ამბები, რომლებიც პოეტს ლექსად გარდაუთქვამს, ჩვენ მსგავსებასაც ვერ ვპოვებდით მასში ისეთ დიდებულ ნაწარმოებთან, როგორც არის რუსთველის «ვეფხისტყაოსანი»: ის იყო ამბად ნათქვამი, ეს კი წყობილი მარგალიტია; ის იყო ჩონჩხი, ეს კი გენიის უმაღლესი და უმშვენიერესი ნაწარმოებია».

ჩამდინიშ სიგჳა «ვეფხისტყაოსნის» დამნაშავე ვინაობის შესახებ

ამ ჩვენს მუშაობას ტექსტის კვლევა-ძიების საქმეში არანაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩვენი ძეგლის დამწერთა ვინაობის გამორკვევისათვისაც.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს განსაკუთრებული გულმოდგინებითა და ენერგიით მიუყვს ხელი ჩვენი პოეტის პიროვნების გამორკვევას, მაინც კიდევ, სიმართლე უნდა ითქვას, დღემდის სრულებით არა ჩანს, თუ ვინ იყო რუსთველი, ანუ უკეთ, იყო თუ არა პოეტი შოთა რუსთველი, რომელსაც ზეპირგარდმოცემა მიაწერს «ვეფხისტყაოსნის» შექმნას.

ერთი სიტყვით, დღემდის ისევ გამოურკვეველია, თუ ვინ იყო და როდის ცხოვრობდა ის დიდი პოეტი, რომელმაც ააგო ჩვენის პოემის ძირითადი შენობა და მისცა მას ერთი მთლიანი და უმეტნაკლებო სახე.

მაგრამ ყველა ეს კიდევ ცოტაა:

ჩვენ არ ვიცით, არა მარტო ის, თუ ვინ იყო და როდის ცხოვრობდა «ვეფხისტყაოსნის» ნამდვილი დამწერი, ჩვენ არ ვიცით გუშინდელი ამბავიც, ანუ, უკეთ, ჩვენ არ ვიცით, თუ ვინ იყვნენ და როდის ცხოვრობდნენ ისეთი კარის — პოეტ-მწერალნი და მდივან-მწიგნობარნიც კი, რომლებსაც უახლოებულესი კავშირი ჰქონდათ ჩვენი ძეგლის გახალხურებასა და ჩამოყალიბებასთან იმ სახით, რა სახითაც მას ჩვენამდის მოუღწევია.

ასე, მაგალითად, დღემდის გამოურკვეველია, თუ ვინ იყო ვინმე მესხი მელექსე რუსთველი, რომელიც პოემის დასასრულში მიაწერს თავის თავს პოემის დაწე-

რას, არ ვიცით აგრეთვე, თუ ვინ იყო მანუჩარ მწერალი, რომელსაც «ვეფხისტყაოსნის» უძველესი (1645 წლის, № 599) ხელნაწერის გადამწერელი, მეფის მდივანი მამუკა უწოდებს «ტკბილის სიტყვისა მკვობელს»¹, და რომელიც, ჩვენი აზრით, არის იგივე სახალხო პოეტი ნანუჩა, რომელსაც, პოეტ არჩილ მეფის სიტყვით, «რუსთველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია»².

სულ რომ არა იყოს რა, ყველა აქ დასახელებული პირი ანუ, უკეთ, ყალბი რუსთველები, ყველაზე მეტად არიან დამნაშავენი იმაში, რომ მათ შეცვალეს პოემის თავდაპირველი შედგენილობა თავიანთი ახალი ენით დაწერილი ხანების შეტანის საშუალებით, რის გამოც პოემა ძალზე გახალხურდა და თანაც ნამდვილი ავტორის ვინაობაც წყვედიადში მოუყა.

მაშასადამე, მეტია იმის თქმა, რომ ამ ვინმე მესხისა და ნანუჩას და სხვა მელექსეთა პიროვნებისა და ცხოვრების დროის გამორკვევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჩვენი პოეტის ვინაობის საკითხის გამორკვევისათვის. ხოლო, კერძოდ, ამ ვინმე მესხის პიროვნების გამოკვლევით უნდა იწყებოდეს ჩვენი ძეგლის შემქმნელთა ვინაობის საკითხების კვლევა-ძიება. უამისოდ, შეუძლებელია, რაიმე ოპერაციის მოხდენა, ან შესწორების შეტანა, იმ ჩვენ მიერ აღდგენილ შესავალში, რომელიც მიეწერება შ. რუსთველს³.

ვინ უნდა იყოს ეს ვინმე მესხი მელექსე, რომელიც მიაწერს თავის თავს პოემის დაწერას?

ამისათვის საჭიროა მივმართოთ პოემის დასასრულისა და შესავლის შინაარსს.

როგორც მისივე მინაწერი დასასრულის ხანიდგან ჩანს, იგი უნდა იყოს ყველაზე ძველი პოემის რესტავრატორი და ჩამომყალიბებელი იმ სახით, რა სახითაც იგი შემოუნახავს ჩვენთვის იმ რედაქციას, ანუ, უკეთ, იმ ხელნაწერს, რომელიც პირველად დასტამბა ვახტანგ მეექვსემ.

ამ ჩვენი აზრის საუკეთესო დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ ვახტანგ VI რედაქციას არა აქვს არც ერთი სხვა მინაწერი, ამ ვინმე მესხი — მელექსის მინაწერს გარდა⁴.

ამას გარდა, პოემის შესავალში დარჩენილია აშკარა კვალი იმისა, რომ სხვადასხვა კარის მელექსეს, ანუ უკეთ, მესოტბეს, თავიანთი საკუთარი მიზნისთვის გამოუყენებია ჩვენი ძეგლი და, ამ მესოტბეთა შორის, ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ამ ვინმე მესხ-მელექსე-რუსთველს.

როგორც ვიცით, პოემის შესავალში არსად არ არის ნახსენები რუსთველი პოეტი შოთა; მხოლოდ გვხვდება რუსთველი, რომელიც თავის თავს მიაწერს ხოტბის დაწერას: «დაეჯე რუსთველმან გავლექსე» და «მე რუსთველი ხელობითა». ამასთან ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ შესავლის ორი ხანა, სადაც

¹ ჩვენი: რუსთველი და მისი «ვეფხისტყაოსანი», 22-ე გამოცემის შესავალი. გვ. LVIII.

² Ibidem, გვ. LXII.

³ ვ ა ხ ტ ა ნ გ VI გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია, 1917 და 1920 წ.

⁴ ჩვენ ვიცით, თუ რას წარმოადგენს ვახტანგ VI გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია, რომელსაც, ჩვენი აზრით, შემოუნახავს «ვეფხისტყაოსნის» ყველაზე სარწმუნო სახე; პოემის საბოლოო ჩამოყალიბებასთან ერთად, მის პირველსავე რედაქტორს შეუცვლია და ძალზე წაურყენია პოემის შესავალი, რის გამოც მას იმ თავითვე დაუკარგავს ნდობა საუკეთესო მელექსეთა და მდივან-მწიგნობართა თვალში. იგი მივიწყებული და ხელუხლები დარჩენილია, და სწორედ ამით აიხსნება ის, რომ იგი არის ყველაზე მოკლე და სარწმუნო რედაქცია, ის. ამის შესახებ ჩვენი: ვახტ. VI გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია.

რუსთველი თვით გვიამბობს თავის თავზე, ახალი ენით არის დაწერილი და ამასთან სწორედ იმგვარივე თვისებების მექონი სტილითა და ლექსით, როგორც არის ამ ვინმე მესხის ბოლო მინაწერი ხანები.

შეუვლადროთ ეს დასასრულის ხანები შესავლის იმ ხანებს, რომლებშიაც რუსთველი თვით გველაპარაკება: რომ დავინახოთ განსაცვიფრებელი მსგავსება მათ შორის ლექსისთვის ნაძალადეფ ფორმათა სმარებაშიაც.

აქ შევხვდებით, მაგალითად, ისეთ ფორმებს, როგორიცაა: «ცრემლი გვდის შეუშრობელი», ან «დავჯე, რუსთველმან გავლექსე მისთვის გულ-ლახვარ-სობილი», «მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი». ამგვარივეა ფორმა ამავე შესავლის მე-მ ხანაში, სადაც პოეტი აცხადებს «ქართულად ნათარგმანება სპარსული ამბის» შესახებ და აქაც ბოლო ტაეპის დამაბოლოებელ რითმაში აგრეთვე ვხვდებით ფორმას «ლალმან და ლამაზმანები», რომელიც სწორედ იმგვარივე ხასიათისაა, როგორც დასახელებული დასასრულის ხანებში სმარებული: «მე რუსთველი საღ ამისა» და «დავითის ქნანი ვითა ვთქვენ სიჩალხე-სიხაფეთანი», ან «ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყბეთანი».

მაგრამ აქ ყველაზე საყურადღებოა შემდეგი გარემოება: № 2829 და ზოგიერთ ვრცელ ხელნაწერთა (როგორიცაა მაგ.: № 757) ვარიანტების მიხედვით, შესავლის იმ ხანაში, სადაც ამბის სპარსულობაზეა საუბარი, უკანასკნელი ტაეპის სიტყვები: «ჩემმან ხელქმნელმან დამმართოს» იკითხება ასე: «მისმან ხელქმნელმან დამმართოს»... და ეს კი მოწმობს იმას, რომ იმ მებრტყეს, რომელსაც გადაუკეთებია № 2829 ხელნაწერის რედაქცია თავისი საკუთარი მიზნისთვის, — და რომელსაც სარგის კაკაბაძე თვლის ნამდვილ შოთა რუსთველად, — სახეში უნდა ჰყავდეს ხოტბის შემკვეთელი ვინმე მიჯნური, რომლის ხელმქმნელმან — ლალმან და ლამაზმან, — დაჰმართა მას ამისთანა «საჭოჭმანები საქმე».

სწორედ ამგვარადვე ამავე ხელნაწერის VIII ხანაში ვახტანგის რედაქციის — «ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი»-ს ნაცვლად, ვკითხულობთ ასე: «ანუ მოგუცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი».

აქედან ცხადია, თუ რით აიხსნება დასახელებულ ვარიანტთა მოტანილი სხვადასხვაობა:

საქმე ის არის, რომ პოემის შესავალში მოთავსებული მეფეთა ხოტბა (i — V ხანები), რომელიც იწყება სამყაროს შემოქმედით და თავდება V ხანით, და რომელიც ეხება ხოტბის საგანს, ეკუთვნის პოემის ნამდვილ დამწერს, რადგან, როგორც ეს ჩვენ აღნიშნული გვაქვს¹, — მთელის ამ ხოტბის ენა ჩვენი პოეტის ენის ხალხურობის დამახასიათებელ თვისებათა შემცველია, და აი სწორედ ამ ხოტბას მისდევს სრულიად ახალი ენით დაწერილი ეს ჩვენ მიერ ზემორე დასახელებული ხანებიც, რომლებსაც ყველაზედ უწინ ახასიათებს რითმის მოთხოვნისგან გამომწვეულ ნაძალადეფ ფორმათა სმარება.

მაშასადამე, ცხადია, ეს ხანები უნდა შეეტანოს პოემის ძალზე დაზიანებული ხელნაწერის შესავალში, — სადაც, შესაძლებელია, მეფეთა ხოტბა მოსპობილი იყო — ამ ვინმე მესხ-მელექსე-რუსთველს, რომელიც, მისივე ბოლოს მინაწერი ხანის თანახმად, მოგვითხრობს თავის თავზე: «დავჯე რუსთველმან გავლექსე». და «მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარიო», ე. ი. ამ ვინმე მესხ-მელექსე-

¹ ჩვენი: ვახტანგ VI გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია, გვ. 3—10 და შემდეგი.

რუსთველს უნდა ეკუთვნოდეს შესავლის ყველა ის ხანა, სადაც საუბარია მეხოტბის მიერ პოემის გალექვისა და პოემის სიუჟეტის სპარსულობის შესახებ.

ამნაირად, შესავლის ამ წარმოდგენილ ვარიანტთა შედარებითგან ცხადად ირკვევა, რომ იმ რედაქტორს, რომელსაც, ჩვენი აზრით, ეკუთვნის «ვინმე მესხი-მელექსე-რუსთველის» მომდევნო რედაქციის შედგენა, ამ ვინმე მესხი-მელექსის სიტყვები: «ჩემმან ხელმქმნელმან დამმართოს ლალმან და ლამაზმანები», შეუფარდება პირველი და უძველესი, ანუ, უკეთ, პოემის ნამდვილი დამწერის იმ ზემორე აღნიშნული ხოტბისათვის, რომელიც წარმოდგენილია I, II, III, IV და V ხანებით და სწორედ ამიტომაც მას სიტყვები: «ჩემმან ხელმქმნელმან დამმართოს», შეუცვლია სიტყვებად: «მისმან ხელმქმნელმან დამმართოს»...

ყველა ზემორე თქმულის მიხედვით, ჩვენ ამგვარი დასკვნა გამოგვაქვს:

შესავლის VI, VII, VIII და IX ხანები ამ ვინმე მესხი-მელექსის კალამს ეკუთვნის, და, მაშასადამე, სახელწოდება «რუსთველიც», რომელიც VII და VIII ხანებში გვხვდება, უნდა იყოს შეტანილი შესავალში ამ «ვინმე-მესხი-მელექსის» მიერ; მასვე ეკუთვნის, ჩვენი აზრით, შესავლისავე VI, VII, VIII და IX ხანებიც.

მაშასადამე, არა თუ ნაპოვნია პოეტის პიროვნება და გამორკვეულია ის, თუ ვინ იყო რუსთველი პოეტი შოთა, პირიქით, საეჭვოდ ხდება და საკითხავია ისიც კი, ეკუთვნის თუ არა სახელწოდება «რუსთველი» პოემის იმ ნამდვილ დამწერს. რომლის სახელიც ტრადიციით და «ვეფხისტყაოსნისა» და სხვა ამბების გადაშე-თებელთა მოწმობით, შოთა იყო.

ამიტომ, ჩვენი აზრით, «ვეფხისტყაოსნის» ნამდვილის დამწერის ვინაობის საკითხის მკვლევარმა ყოვლის უწინარეს უნდა გამოარკვიოს, თუ ვინ არის ის მელექსე რუსთველი, რომელსაც «ვეფხისტყაოსნის» სულ ბოლოს მინაწერი ხანა მიაწერს ტარიელის ქებას, — არის იგივე მესხი მელექსე რუსთველი, რომელიც, ჩვენი აზრით, პოემის შესავალში ორჯერ აცხადებს თავის ვინაობას, თუ «ვეფხისტყაოსნის» უძველესი და ნამდვილი ხელოვანი შემქმნელი?

უამისოდ კი, ჩვენი აზრით, უნაყოფოა ყოველგვარი მერამლეობა და მკითხაობა.

მაგრამ ხსენებული საკითხის მკვლევარმა ყველაზე მეტად ანგარიში უნდა გაუწიოს იმ ფაქტს, რომ ჩვენი ძველი მეტად ძველი და ნამდვილი კლასიკური ენით არის დაწერილი და, ამავე დროს, ეს ენა ნამდვილი ხალხური ენის განსაკუთრებულ თვისებათა შემცველია, და, ყველა ამასთან, იგი კლასიკური ენის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს.

ხოლო რაც შეეხება ვინმე მესხი-მელექსის ენას, იგი, ამ ძველ კლასიკურ ენასთან შედარებით, ბევრად უფრო ახალია, და, ამასთან, მისი ლექსებიც მეტისმეტად ნაძალადევი და გრამატიკულად არა სწორი ფორმებით სავსეა, რის გამოც პოემის შესავალში შერეული მისი ხანები პოემის ენას მეტისმეტად ეუცხოება.

ასე და ამნაირად, ჩვენი აზრით, პოეტის რუსთველობაში ეჭვის შეტანაც კი შეიძლება, ნამეტურ მას შემდეგ, რაც ს. კაკაბაძემ გამოაქვეყნა თავისი ისტორიული ექსკურსი პოეტის პიროვნებისა და ცხოვრების დროის შესახებ.

სარგის კაკაბაძემ, რომელმაც ყველაზე ადრე შეიტანა ეჭვი რუსთველის თამარის დროს არსებობაში და მიაკუთვნა პოეტი XV საუკუნის დასაწყისს, ამგვარი მსჯელობა დაამყარა «ვეფხისტყაოსნის» ვრცელ რედაქციებში ჩანართს ორ

ხანაზე¹ («ვეფხისტყაოსანი» სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, ხანები 1612 და 1720).

აი ეს ხანებიც:

«აწ, გონიერნო. სიტყვანი თქვენ ჩემნი შეიწყნარენით,
ძველნი ნარჩომნი ამბავნი ლექსად ვთქვენ, გაიხარენით;
სარგისს დაურჩა უთქმელად, მას ესე დავაბარენით,
და ლექსნი მიქენით, ამისთვის ენანი მამაქმარენით».

1612.

«ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად,
შემდეგ თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად,
ეს ამბავი მოახსენეს, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად.
და მან მიბრძანა, ლექსად თქვიო მჭევრ-ქართულად შესაწყობლად».

1720.

«ამ აღგილიდგან ჩანს», ამბობს ს. კაკაბაძე, «რომ სარგის თმოგველს «ვეფხისტყაოსანი» დარჩომია «ლექსად შეუწყობლად», როდესაც თმოგველნი თმოგვიდგან წასულან, ეს ამბავი უბოვნია შოთას და, მეფის ბრძანებით, ლექსად დაუწერია». ამგვარად, შოთას მიერ «ვეფხისტყაოსნის» დაწერა დაკავშირებულია თმოგველების თმოგვიდგან წასვლასთან.

ამნაირად, ს. კაკაბაძის აზრით, ხსენებული ორი ხანა ეკუთვნის ნამდვილ შოთა რუსთველს, რომელიც თვით გვიამბობს «ვეფხისტყაოსნის» წარმოშობის შესახებ. ამისდა მიხედვით, დაასკვნის ს. კაკაბაძე, შოთას მიერ «ვეფხისტყაოსნის» დაწერა არ შეიძლება მიეკუთვნოს XIV საუკუნის ნახევარზე უფრო ადრინდელ დროს, რადგან თმოგველების გადასახლება მათი საგვარეულო მამულიდგან უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს XIV საუკუნის ნახევრისა².

ს. კაკაბაძის მიერ ამგვარი მსჯელობა, ჩვენი აზრით, მეტი რომ არა ვთქვათ, ნამდვილი წინდაუხედაობაა, და აშკარა მაჩვენებელია იმისა, რომ მას სრულებით არ ჰქონდა იმ დროს, როდესაც ის ამას წერდა, რუსთველის ენა შესწავლილი, რის გამოც იგი ვერ არჩევს 17 საუკუნის ჩანართ ხანებს ნამდვილი რუსთველის ხანებისაგან.

საქმე ის არის, რომ ამ ორ ზემორედასახელებულ 1612-ე და 1720-ე ხანაში მოხსენებული ცნობა, რომ «ძველნი ნარჩომნი ამბავნი ლექსად ვთქვენ, გაიხარენით, სარგისს დაურჩა უთქმელად, მას ესე დავაბარაღენითო», «ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად» და სხვა, სრულებითაც არ ეხება ნამდვილ «ვეფხისტყაოსანს», არამედ ისინი აშკარად გულისხმობენ მხოლოდ იმ ამბავს, რომელიც მოთავსებულია შემდეგ სათაურს ქვეშ:

«აქა ტარიელის დასნეულება და ხვარაზმშა მეფისაგან სისხლის ძებნად მოსულა ინდოეთს».

ეს რომ ასეა, საკმაოდ ჩანს იქიდანაც, რომ ეს ორი ხანა — პირველი ამ ამბის თავში, ხოლო მეორე — ამავე ამბის დასასრულში, არის მოქცეული ხსენე-

¹ «ვეფხისტყაოსანი» სარგის კაკაბაძის რედაქტორობით. აქვე: წერილი «ვეფხისტყაოსნის» შესახებ.

² Ibidem, გვ. 39 — 40.

ბულ სათაურს ქვეშ. სოლო ამ ამბავს რომ «ვეფხისტყაოსნის» ნამდვილ ტექსტთან არავითარი კავშირი არა აქვს, ეს ცხადზე უცხადესია.

მაშასადამე, ს. კაკაბაძის დებულება, რომლითაც «შოთას მიერ «ვეფხისტყაოსნის» დაწერა დაკავშირებულია თმოგველების თმოგვიდან წასვლასთან», ყოველ საფუძველს მოკლებულად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ამ ორ დასახელებულ ხანაში მოხსენებულია «ძველი ნარჩომი ამბავი, რომელიც დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად». ჩვენთვის მაინც კიდევ ფრიად საინტერესოა იმ მხრით, რომ იგი იძლევა ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვან ცნობას იმ სვარაზმთა ამბების შესახებ, რომელთა ერთი ეპიზოდთაგანი «დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად».

როგორც ვიცით, ამ სვარაზმთა შესახებ ამბებს დიდი და საპატიო ადგილი უკავია «ვეფხისტყაოსანში», სადაც იგი ვრცელი ეპიზოდის სახით არის წარმოდგენილი.

მაშასადამე, სარგის თმოგველს ამ შემთხვევაში გამოუყენებია თავისი მიზნისათვის, ანუ, უკეთ, მასაც უცდია თავისი რიტორობის ნიჭი იმ ამბავთა გადმოკეთებაში, რომლებიც ხელთ ჰქონია აგრეთვე ჭეშმარიტ ხელოვან შოთას, მის მიერ «ვეფხისტყაოსნის» გალექსვის დროს, რაც, ჩვენი აზრით, გამოიხატა იმაში, რომ სვარაზმშაპისა და სვარაზმის შესახებ ამბებს «ვეფხისტყაოსნის» რომანში ერთი საუკეთესო ადგილი აქვს დათმობილი.

ასლა ვიკითხოთ, თუ ვინ იყო და როდის ცხოვრობდა ის დიდი ხელოვანი პოეტი, რომელმაც ეს სამეფოდ მოწოდებული ბატონიშვილების შესახები ზღაპრული სადევგმირო ამბები გარდაქმნა გენიოსურ ქმნილებად.

ყველა ჩვენ მიერ ზემორე მოტანილ მოსაზრებათა მიხედვით, ამ კითხვებზე ჯერჯერობით მხოლოდ ამგვარი პასუხებია შესაძლებელი:

1. შოთა არის ის კარის პოეტი, რომელსაც შესავლის III და IV ხანებში გამოთქმული თამარის სოტბა დაუწერია, რადგან ამ სოტბის ენა, როგორც ეს ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რუსთველის ენის განსაკუთრებულ თვისებათა შემცველია¹.

2. შოთას სახელწოდება რუსთველი ჯერ-ჯერობით პირობითად უნდა ჩაითვალოს, რადგან პოემის დასასრულსა და შესავალში მოხსენებული პოეტის სახელწოდება «რუსთველი» წარმომდგარა არა ჰერეთის რუსთავისაგან, რომელიც უფრო ადრე «ქართლის ცხოვრებაში» ცნობილი იყო ბოსტან ქალაქის სახელით, როგორც ამას ჩვენც ვფიქრობდით², არამედ «ვინმე მესხი მელექსე რუსთველის» მიერ არის შეტანილი როგორც პოემის დასასრულში, ისე მის შესავალში.

3. ჩვენთვის ჯერ-ჯერობით უკვალოდ არის დაკარგული ვინაობა იმ დიდი პოეტის შოთასი, რომელმაც, თავისი ჯადოსნური ლექსების საშუალებით, გარდაქმნა მტკნარი სპარსული სადევგმირო ზღაპარი გენიალურ ქმნილებად.

4. ყველა ამასთან ბევრად უფრო დანამდვილებით შეიძლება დღესდღეობით ითქვას ისიც, რომ ჩვენს პოეტს თამარის სიკვდილის შემდეგ დაუსრულებია, ანუ, უკეთ, ჩამოუყალიბებია თავისი პოემა.

ამას საუკეთესოდ მოწმობს ის, რომ იგი პოემის დასასრულის დასახელებულ ხანაში მოხსენებულია ყველა XII საუკ. საუკეთესო მწერალთა შემდეგ.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა.

¹ ჩვენი: ვახტანგ VI გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია, გვ. 25—28 და 35.

² ჩვენი: «ვეფხისტყაოსნის» 22-ე გამოცემის წინასიტყვაობა, VI და XIV გვერდები.

ჩვენი პოეტი სესხულობს და შეაქვს თავის პოემაში ეს თუ ის ადგილი თითქმის ყველა XII საუკუნის ცნობილ საერო ნაწარმოებიდგან: «ვისრამიანთგან» — შეგონებები და ბრძნული აფორიზმები და სშირად პოეტური ფიგურები და მთელი ფრაზები¹; «ამირან-დარეჯანიანიდგან» — ამა თუ იმ კერძო ეპიზოდის ნაწიეეეტები და კერძო სურათები²; შავთელის სოტბიდგან — მთელი სტროფები³. დასასრულ, — ჩახრუხაძის სოტბისა და «ვეფხისტყაოსნის» ენისა და პოეტური ფრაზების მსგავსება იმდენად ძლიერია, რომ ამ გარემოებამ აიძულა ნიკო მარი ერთ პირადაც კი ეღიარებინა ჩახრუხაძე და რუსთველი⁴; ამის გარდა, არც ერთი ამ ცნობილ მწერალთა და პოეტთაგან კრინტსაც არა სძრავს შოთაზე და არც სარგებლობს «ვეფხისტყაოსნით», მაშინ, როდესაც ჩვენი პოეტი სშირად (თითქმის ოთხჯერ) იხსენიებს «ვისრამიანის» მიჯნურებს, დანარჩენებიდგან კი უხვად სესხულობს, როგორც მთელ ეპიზოდებს ისე პოეტურ ფრაზებსა და სიგულისხმიერო აზრებს.

ყველა ეს უტყუარი ფაქტია იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენი პოეტი ყველა XII საუკ. საერო მწერლობის წარმომადგენლის მომდევნოა. რაც, თავისი მხრით, იმის მაჩვენებელია, რომ იგი ამ ლიტერატურაზე ყოფილა აღზრდილი.

ამას საუკეთესოდ მოწმობს ისიც, რომ იგი პოემის დასასრულის დასახელებულს ხანაში მოხსენებულია ყველა XII საუკ. მწერალთა შემდეგ.

მაგრამ კიდევ უკეთესი საბუთია შემდეგი:

ჩვენ უკვე დიდი ხანია, რაც მივაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ «ვეფხისტყაოსანში», უძველეს ზღაპრულ ამბებთან ერთად, წარმოდგენილია ჩვენი პოეტის დროს სახელგანთქმული და საყოველთაოდ ცნობილის ქვეყნების ცხოვრება და, მათ შორის, იმ დროს განსაკუთრებით ცნობილ და მოქმედ სვარაზმთა და ხატაელთა ამბებიც⁵. ამასთანავე განსაკუთრებით აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ ყველა ეს ისტორია და პოემაში დახატული ჩვეულებრივი ცხოვრების მიმდინარეობა ნამეტურ დამახასიათებელია და შეესაბამება იმ დროს, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს პოეტის ცხოვრება-მოღვაწეობა, სახელდობრ, XII საუკუნის დასასრულს და XIII საუკუნის პირველ მეოთხედს. ეს დრო ბუნებრივი გაგრძელება იყო იმ სამწერლო ხანისა, რომელიც თამარის პიროვნებამ შექმნა⁶.

ამნაირად. ჩვენი აზრით, პოემაში მოთხრობილი დასახელებულ სვარაზმთა, ხატაელთა და სხვათა ისტორიებიც იმ მხრივ არის ჩვენთვის საინტერესო, რომ სწორედ ამ დროს გამოდიან წინა აზიის სცენაზე და შემოიჭრებიან საქართველოს მიწა-წყალზედაც ის ხალხები, რომლებზედაც მოგვითხრობს «ვეფხისტყაოსანი»⁷.

¹ ი. აბულაძე. მე-12-ე საუკ. ქართ. საერო მწერლ. და «ვეფხისტყაოსანი», გვ. 45—51.

² Ibidem, გვ. 43, შენიშვნა **).

³ Н. М а р р. Древне-грузинские описания, გვ. 14.

⁴ Н. М а р р. Древне-груз. описания. გვ. 52 და შემდეგი.

⁵ ხატაელთა შესახებ იხ., მარიამ დედ. «ქართლ. ცხ.», გვ. 555, 556 და 557, სვარაზმთა უფრო ადრე (12 საუკ.) იხსენიება გიორგი III მეგობრად. აქ. ცხ.» ტ. I. ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს გამ., გვ. 275; აგრ უკვე საყოველთაოდ ცნობილია საქართველოში ლაშა გიორგის გარდაცვალების შემდეგ რუსუდანის მეფობაში. მარიამ დედოფ. «ქ. ცხ.—ბა», გვ. 566—567 და შემდეგ.

⁶ ი. აბულაძე, «ვეფხისტყაოსნის» 22-ე გამ., შესავალი, გვ. XIX—XXII. შუად. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. ტ. II, გვ. 109, სტრ. 31.

⁷ ანალოგიური აზრი გამოთქვა ილ. ჯიშკარიანმა, მისი წერილი «ძველი აღმოსავლეთის წარსული და «ვეფხისტყაოსანი», ილიკო მობურთაღის დაედალნიშით, «სახალხო ფურცელი», № 720 და 721. 1916 წ. ი. ჯიშკარიანი, რომლის წერილაც ამ ჩვენი წიგნის გამოვლითგან

სოლო ყველა. ამისდა მიხედვით, სარწმუნო ხდება ის, რომ ჩვენს პოეტს თამარის სიკვდილის შემდეგ დაწყებულს გარდამავალ ხანაში უნდა დაეწეროს თავისი პოემა. რადგან სწორედ ამ დროს შეეძლოთ ქართველებს გაეცნოთ პირველად ის ხვარაზმელთა და ხატაელთა ამბები, რომლებიც გვხვდება «ვეფხისტყაოსანში».

მაგრამ კიდევ უფრო უკეთეს საბუთად იმისა, რომ «ვეფხისტყაოსანი» დაწერილია თამარის სიკვდილის შემდეგ, უნდა ჩაითვალოს შემდეგი ფაქტი:

თამარ მეფის ისტორიკოსს, რომელიც აგვიწერს აგრეთვე თამარის გარდაცვალების ამბავსაც, ჰქონდა საუკეთესო შემთხვევა მოეხსენებია ის სამაგალითო მიჯნურობა, რომლითაც განთქმული იყვნენ «ვეფხისტყაოსნის» გმირები.

ასე, მაგ., იგი შემდეგსა სწერს:

«ანუ მე ვაჭრანი მიჯნურთანი ცოფქმნილთა¹, ვითარ იქმნაცა ამის თამარისათვის, ვითარ სოსრო (შირინისათვის)², შანშა აბანუშისათვის, ვითარ მზეჯაბუკ მზისათვის ხაზართასა და იოსებ ასანათესთვის, დავით ბარსობესთვის... ვითარ პლატონ პერსეფონისათვის, ვითარ რამინ ვისისთვის, ვითარ შარიაროს ოსნაოხისთვის... და უჩნდა საჯამოდ. თუმცა გამოჩენილ იყუნეს ვინმე, ანუ გმირნი სხუანი გმირთანი, ანუ მამანი სხუანი მამამათავართა შუენიერთა და კეთილად მბრძოლთანი, ანუ მსგავსნი გარეშეთანი, სისხლდამთხვევლნი შეუუარებულთათვის, ანუ მიჯნურნი ლომნი მზენი, მკეცებრ ვაჭრილნი ამის მზისა (თამარისა) უმეტეს მზისა და თვთ მათ მიუთხრობელთა მზედ და მნათობად საგონებელთა უბრწყინვალესისა და უნათლესისათვის».

როგორც ამ ამონაწერითგან ვხედავთ, თამარის მემატიაწეს აქ მოხსენებული ჰყავს ყველა იმ დროს საყოველთაოდ ცნობილი მიჯნური და, მათ შორის, ვისი და რამინი, ამირან და მზე-ჯაბუკ, ე. ი. იმ დროს კარგად ცნობილი მოსე ხონელის «ამირან-დარეჯანიანისა» და «ვისრამიანის» მთავარი გმირები.

ამგვარსავე, — თუ არა უკეთესს, — მიჯნურობის მაგალითს იძლევა «ვეფხისტყაოსანიც», და ის რომ თამარის სიცოცხლეში ყოფილიყოს დაწერილი იმ სახით, რა სახითაც იგი დღეს არის, ან და «ვეფხისტყაოსნის» პროტოტიპი რომ რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი ყოფილიყო, ანუ, უკეთ, აკად. ნ. მარის სი-

ორი წლის შემდეგ გამოქვეყნდა, კიდევ უფრო გადაჭრით აღიარებს იმ აზრს, რომ «ვეფხისტყაოსანში», საერთოდ აღმოსავლეთის წარსულთან ერთად, წარმოდგენილია პოეტის თანამედროვე ხვარაზმეთის ამბებიც, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დაახლოებით 1210 წლითგან 1218 წლამდე. ასე ან დროის ამოახსილად თელის ბ. ჯიშკარიანი «ვეფხისტყაოსანში» ხვარაზმას შესახებ ამბავსა. ამით აიხსნება. ჩვენის აზრით, მისი მეტისმეტად გაბედული აზრიც, რომ «ვეფხისტყაოსნის» ჩონჩხი ზღაპარი არ არის, და წარმოდგენს 1210 წლის შემდეგ ამბებს, ვიდრე თამარის გარდაცვალებამდე, ე. ი. 1212—1213 წლებამდე. ბ. ჯიშკარიანის ხსენებული წერილი ამჟამად უკვე დასტამბულია ცალკე წიგნაკად. ილია ჯიშკარიანი ძველი აღმოსავლეთის წარსული და «ვეფხისტყაოსანი», 1920 წელი, ტფილისი.

¹ მარიამ დედოფლის «ქართლის ცხოვრება» ექ თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1906 წ., გვ. 414. ეს ადგილი მარიამ დედოფლის «ქართ. ცხ-ში» ძალზე დაზიანებულია და მისი შეესება შესაძლებელი ხდება «ქ. ც-ბის» ვარიანტების მიხედვით. იხ. და შუად. აქვე სქოლიოდ ექ. თაყაიშვილის მიერ მოტანილი ვარიანტები. ეს მატთანეში მოხსენებული მიჯნურთა სახელები გვხვდება აგრეთვე ჩახრუსაძის «თამარიანში», რომლის მიხედვითაც, ნ. მარმა აღადგინა მარიამ დედოფლის ვარიანტის ამ ჩვენთვის საინტერესო მიჯნურთა სახელების წაითხვანი. Н. М а р р. ТР, IV. Древне-груз. описишш, გვ. 199.

² შეესება ჩვენია.

ტყვეთ რომა ვთქვათ¹, იგი მაღლა რომ მდგარიყო შოთას ნაწარმოებზე, მაშინ თამარის მემატინანე, როგორც თავის დროისდაგვარად ფრიად განათლებული პიროვნება, იმ შეუდარებელ რომანს, რომელსაც ჩვენი ძველი წარმოადგენს, უუარადლებოდ არ დასტოვებდა და გაკვირით მაინც მოიხსენებდა მის მიჯნურებს.

იგივე, რაც ითქვა მემატინანის შესახებ, შეიძლება ითქვას «თამარაინის» ავტორის შესახებაც, რომელსაც აგრეთვე ჰქონდა ჩინებული შემთხვევა მოეხსენებია «ვეფხისტყაოსნის» მიჯნურნი².

მაშასადამე, ცხადია, იმ დროს ჯერ კიდევ «ვეფხისტყაოსანი», როგორც შოთას პოეტური შემოქმედების ნაყოფი, არ არსებობდა.

სამაგიეროდ, საგულევებელია, რომ იგი მაშინ უკვე ჩვეულებრივი «ამირანდარეჯანიანისებური» შინაარსის მტკნარი სადევგმირო ზღაპარი იყო და, მაშასადამე, იგი ჯერ კიდევ ნელსა და ლიტერატურულად გამოუმუშავებელ პოეტურ მასალას წარმოადგენდა.

მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ კარის მწერლობის იმგვარის ნიმუშის შექმნა, როგორც «ვეფხისტყაოსანი», უცბად არ შეიძლებოდა მომხდარიყო. აუცილებლად უნდა ყოფილიყო საამისო წინასწარი მუშაობა, ანუ, უკეთ, აუცილებლად არსებობდა ადრითგანვე ამგვარის ნაწარმოებისთვის საჭირო მასალის გადმოღებისა და შეკრების ცდა, და ამგვარ ცდას ჩვენ უკვე ვხედავთ XII საუკუნის კარის მწერალთა შორის.

ასე, მაგ., პოემის დასასრულის უკანასკნელი ხანის ავტორი XII საუკუნის გამოჩენილ მწერალთა პანთეონში პირველ ადგილზე ათავსებს მოსე ხონელს, სახელდობრ, იგი ასე იწყებს ამ ხანას:

«ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსაო».

ეს ხონელის «ამირან-დარეჯანიანი» კი შეიცავს იმგვარსავე სადევგმირო ამბებს, როგორცაა «ვეფხისტყაოსანი», რაც, ჩვენი აზრით, აშკარად მოწმობს, რომ ამგვარი ზღაპრული სადევგმირო ამბების გადმოღებისა და შეკრების ცდა კარის მწერლობის გაჩენის იმ თავითვე არსებობდა ქართულ საერო მწერლობაში, რაც, ჩვენი აზრით, სპარსული კარის მწერლობის გავლენით იყო გამოწვეული.

ამიტომაც «ვეფხისტყაოსნის» დაწერის გეგმა უკვე შედგენილი იქნებოდა თამარის სიცოცხლეში, და ამ საქმეში ჩვენს პოეტს ბევრი სხვა მეტოქეც ეყოლებოდა. ხოლო პოეტის მიერ ამ საქმის განხორციელებას თამარის სიცოცხლეში ხელს უშლიდა, — იმ გარემოებასთან ერთად, რომ პოემა თავიდან ბოლომდე წმინდა მაჰმადიანური მოძღვრების სულით და აზროვნებით იყო გამსჭვალული, — აგრეთვე კარის მელექსეთა შორის არსებული მეტოქეობაც.

ამ მხრით, ჩვენი აზრით, დიდ ინტერესს წარმოადგენენ პოემის შესავალში არსებული მოშაირეთა შესახები ხანები.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ ვის ეკუთვნის ეს მოშაირეთათვის დაწერილი ხანები, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშე ერთი რამ: ეს ხანები სტილისა და ენის მხრივ, უნდა ეკუთვნოდეს სწორედ იმ კლასიკურ ხანის მომდევნო დროს; რომელსაც ეკუთვნის ამ გრანდიოზული სამიჯნურო წიგნის ნამდვილი გამლექსავე, რადგან ამ ხანების ენა სრულიად იმგვარი-

¹ H. Mapp. TP, XII, § 4, გვ. XL, შვშ. I. Ibid. § I და შვშდ.

² H. Mapp. TP, IV, გვ. 99—100.

ვეა, როგორც თვით ძეგლის ენა, მაგრამ, — რაც უმთავრესი უნდა იყოს, ვიმეორებთ, — ეს ხანები ყოველ შემთხვევაში მეტისმეტად საყურადღებოა, იმ მხრით, რომ ისინი გვაძლევენ პოეტის თანამედროვე კარის მელექსეთა დახასიათების საუცხოო ნიმუშს, სახელდობრ, აქ ჩვენ გვეშლება პოეტის თანამედროვე კარის მელექსეთა შორის არსებული მეტოქეობისა და გაშაირების ნამდვილი სურათი.

მოგვეყავს ადგილებიც¹:

«და გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი».

XII,4.

«ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა;
მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა. მარჯვედ ქნევა,
მართ აგრეთვე მელექსესა საუბართა ტკბილთა ფრქვევა;
და რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა».

XIII.

«მაშინდა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა:
რა ვედარ მიძხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
და ქელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იჰმაროს დიდი გმირობა».

XIV.

«მოშაირე არა ჰქვიან, თუ ვინმე თქვას ერთი, ორი,
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი:
განაღა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
და მაგრა იტყვის: «ჩემი სჯობსო», უცილობლობს ვითა ჯორი».

XV.

«მეორე ლექსი ცოტაი, — ნაწილი მოშაირეთა, —
არ ძალუც სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა.
ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა,
და დიდსა ვერ მოჰკვლენ, ქელად აქვს ჯოცა ნადირთა მცირეთა».

XVI.

«და მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად».

XVII,4.

დასახელებულ ხანათა შინაარსში, ვიმეორებთ, ჩვენ ვპოვებთ კლასიკური ეპოქის კარის მელექსეთა შორის არსებული გაჯიბრებისა და მეტოქეობის ჭეშმარიტ ამოძახილს.

ამიტომაც შესაძლებელია, რომ ვისმე, ჩვენი ნამდვილი პოეტის უმცროს თანამედროვეს, — თუნდა იმ სარგის თმოგველს, — რომელსაც აგრევე დიდი პოეტობის სახელი ჰქონია გავარდნილი, როგორც ამას მოწმობს XVII საუკუნის პირველი ნახევრის კარის მელექსე მეფის მდივანი მამუკა და ერთ-ერთის გამგრძელებელის ზემორე მოტანილი ხანები იმის შესახებ, რომ ძველი სვარაზმთა შესახები ამბავი «დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლადო», — და რომელსაც ისტორი-

¹ ჩვენი: ვახტანგ VI გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია, პოემის კრიტიკული ტექსტით.
გვ. 37—38.

კოსი სარგის კაკაბაძე მიაწერს სრულიად შეცდომით პომეის პირველსა და საუკეთესო ნაწილს, — იმ სარგის თმოგველსაც — ძალიან სურდა შეექმნა «ვეფხისტყაოსნის» მსგავსი დიდებული ნაწარმოები, მაგრამ მას ეს როდი ესურებოდა. რატომ?

ალბათ, ისიც ეკუთვნოდა იმ მოშაირეთა კატეგორიას, რომელთაც არ ძალუდდა «სრულქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა», და რომელთა კალამსაც ჩვენმა პოეტმა, — ამ შემთხვევაში ერთმა მისმა მეტოქეთაგანმა, — «ამსგავსა მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა», რომლებიც «დიდსა ვერ მოჰკვლენ, ჯელად აქუს ჯოცა ნადირთა მცარეთა».

დიალ, ამ ზემორე მოტანილი სიტყვების მთქმელმა სრულიად სამართლიანად აღნიშნა ის, რომ «მოშაირე არა ჰქვიან, — ვერას იტყვის ვინცა გრძელად», რადგან მას, როგორც ჭეშმარიტ კარის პოეტს, ძალიან კარგად სცოდნია ის, თუ რა ღირსების იყო ის დიდი პოეტი, ანუ, უკეთ, ის ვინმე შოთა, რომელმაც, მეფის მდივნის მამუკას სიტყვით რომა ვთქვათ, «გალექსა ტარიას და ავთანდილის ქებანი, ნესტანჯარს უქო ციმციმი, თინათინს მოვანებანი», — და რომელმაც შექმნა ქართველის ერის სადიდებელ-სათაყვანებელი-გენიალური ქმნილება — «ვეფხისტყაოსანი».

ამნაირად, ჩვენი აზრით, პოეტი, კარის მწერალთა მეტოქეობისა და ჯიბრის გამო გამოწვეულ გართულებულ მდგომარეობაში და თანაც იმიტომ, რომ მასალა, რომელსაც ჩვენი ძეგლი იძლეოდა, არაქრისტიანულის შინაარსისა იყო, — ვერ შესძლებდა, — სისრულეში მოეყვანა და განეხორციელებინა თავისი მაზანი ეთეროვანი თამარის სიცოცხლეში.

ხოლო ის, რაც კარის მწერლისთვის ძნელი მოსახერხებელი იყო თამარის სიცოცხლეში, შესაძლებელი შეიქმნა თამარის სიკვდილის შემდეგ.

თუ ყველა ამ ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას მისაღებად მივიჩნევთ, იმ შემთხვევაში სრულიად ბუნებრივი იქნება დავასკვნათ, რომ ჩვენი პოეტი ყოფილა თამარის ერთი მეხოტბეთაგანი და ყველა მისი მეხოტბის უმცროსი თანამედროვე. მაშასადამე, იგი იყო ბევრად უფროსი მეორესა და უმცროს სარგის თმოგველზე, რომელიც, «ქართლის ცხოვრებით», იყო კაცი «მეცნიერი, ფილასოფოსი, რიტორი და მრავალღონე», რადგან ეს უკანასკნელი, როგორც ეს ცხადყო სარგის კაკაბაძემაც, თამარის სიცოცხლეში, შესაძლებელია, დაბადებულიც არ იყო¹.

ამ სარგის თმოგველს, ალბათ, თავის სახელოვანი წინამორბედის შოთას მიბაძვით, შემდეგში უსარგებლებია ერთ-ერთი იმგვარისავე შინაარსის ამბით, როგორცაა «ვეფხისტყაოსანის» ხვარაზმთა შესახები ამბები, რომლის ერთი ეპიზოდთაგანი, როგორც ეს ჩვენ ზემორე მოვიხსენიეთ, «დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად».

ხოლო შესავლის შინაარსითგან ირკვევა, რომ ჩვენი პოეტი სხვა თამარის მეხოტბეთა და კარის მწერალთა პირდაპირი და უახლობელესი თანამოკალმე ყოფილა.

ასე, მაგ., იგი ამბობს:

«თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხელი,
ვთქვენით ქებანი ვისინიმე, არ აეად გამორჩეული²,

¹ სარგის კაკაბაძე. «ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი».

² იხ. შესავლის ტექსტის IV ხანა, ჩემს წიგნაკში: ვახტ. VI გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია.

მელნად ვიქმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული» და სხვა.
მაგრამ ეს კიდევ ცოტაა.

იგი, შესაძლებელია, ერთი ჩახრუხაძეთაგანიც უოფილიყო, და, ჩახრუხაძესა და შავთელთან ერთად, ეკუთვნოდა ერთსა და იმავე გვარეულობას.

ეს მით უფრო წარმოსადგენია, რომ ჩახრუხაძე რამდენიმე უოფილა.

ამ აზრს, ჩვენი პოეტისა და ჩახრუხაძის ენის პროვინციალიზმებისა და პოეტური ფორმების გასაოცარი მსგავსების გარდა¹, — ადასტურებს აგრეთვე ჩახრუხაძის ხოტბების ბოლო მინაწერი სტროფებიც², რომელთა დამწერს, ეტყობა, ხელთ ჰქონია თამარის კარის მწერლების შესახები ცნობები.

«მოხვევს ძეთა,
ჩახრუხას ძეთა,
 ექო თამარი,
 მეფე წყლიანი;
მისი სიმეტე,
ბრძენთა-სირეტე
 თინათინ ვაქო
 ბალი წყლიანი».

«ა ეს თინათინ,
ნუ ის თინათინ, —
 არაბეთს იყო
 სულად იანი,
ჯერეთ უმაწვილი, —
წმიდათ ნაწილი,
 სამოთხის ვარდი,
 პირად მზიანი».

ეს მინაწერი სტროფები, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ისინი, სულ ერთია. საინტერესოა იმ მხრით, რომ იძლევიან საყურადღებო ბიბლიოგრაფიულ ცნობას იმ «მოხვევს ძეთა ჩახრუხაძეთა» შესახებ, რომლებსაც «ექოთ თამარი, მეფე წყლიანი». მაშასადამე. ამ ბიბლიოგრაფ-მეხოტბეს ჰქონია ცნობა იმის შესახებ, რომ ჩახრუხაძე არაერთი უოფილა.

ასე თუ ისე, ჩვენს წინ, შოთას სახელით, არის კარის მწერალი, რომელსაც არა ერთგზის უძღვნიდა ეთეროვანი თამარისთვის ხოტბა, ხოლო მის სიკვდილს შემდეგ დაწეხულს გარდამავალ ხანაში კი — განუხორციელებია თავისი გეგმა ისეთი დიდი ნაწარმოების დაწერის შესახებ, როგორც არის «ვეფხისტყაოსანი».

ამას, ვიმეორებთ, უწინარეს ყოვლისა, გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ პოემაში ჩვეულებრივს სადევგმირო ამბებსა და უცხო ხელმწიფეების შესახებ ზღაპრებს გარდა, წარმოდგენილია იმ სახელმწიფოთა თქმულებანიც, რომლებიც განსაკუთრებით საყოველთაოდ ცნობილი გახდენ საქართველოში, სწორედ თამარის სიკვდილს შემდეგ.

ამგვარებია, ჩვენი აზრით, თქმულებანი ხვარაზმთა, ქურთთა და სხვათა შესახებ, რომლებიც ჯერ შეესიენ და მოიცვეს მათ მთელი წინა და მცირე აზია და ნერე სპარსეთიცა.

ხვარაზმიდებმა, როგორც ვიცით, ირანის დაპყრობასთან ერთად, XII საუკ. მე-2 ნახევარში³, ე. ი. სწორედ თამარის მეფობაში, დააარსეს სპარსეთში უძლიერესი დინასტია. ეს ამბები უშედეგოდ არ დარჩა საქართველოსათვის: მალე, თამარის სიკვდილს შემდეგ, როგორც მონგოლები, ისე ხვარაზმიდნიც, ზედიზედ შემოიჭრენ საქართველოს მიწა-წყალზე.

ჯერ ადრე მონგოლებმა, ლაშა გიორგის მეფობაში, დაამარცხეს 1221 წლის გაზაფხულზე ივანე და შანშუ ათაბაგების წინამძღოლობით შემდგარი აღმოსავლე-

¹ H. Mapp. TP. IV, გვ. 52

² იქვე, გვ. 52, შენ.

³ «ვეფხისტყაოსნის» 22-ე გამოცემის შესავალი, 20 გვ.

თისა და დასავლეთის საქართველოს შეერთებული ჯარი და გაბატონდნენ ტფილისსა და მის მიდამოებში.

მალე: ამას შემდეგ, რუსუდანის მეფობაში, XIII საუკუნის 30-იანი წლებითგან, საქართველოს შემოესიენ ხვარაზმნი, რომლებიც იმ დროს უკვე დიდი ხნითგან სპარსეთის ბატონ-პატრონად ითვლებოდნენ.

როგორც ჩვენ ეს უკვე აღვნიშნეთ¹, ამ დროის ამბებისა და ჩვეულებრივი ცხოვრების ამოაჩხილს ერთნაირად ვპოვებთ, როგორც XIII საუკუნის ცნობილი მოგზაურის მარკო პოლოს წერილებში, ისე «ვეფხისტყაოსანშიაც», რომელიც, ჩვენი აზრით, წარმოადგენს თამარის საკარო ცხოვრების და ამ გარდამავალი ხანის ვითარების ნამდვილ სინთეზს.

ამნაირად ჩვენი დასკვნა პოეტის პიროვნებისა და ცხოვრების დროის შესახებ მოკლედ ამგვარია:

1. ჯერჯერობით არ აღმოჩენილა არავითარი სარწმუნო ცნობა პოეტის ვინაობისა და ცხოვრების დროის შესახებ², გარდა პოემისავე შესავალში გადარჩენილი თამარის ხოტბისა, რომლის ენაც პოემის ენის განსაკუთრებულ ხალხურ თვისებათა შემცველია და, მაშასადამე, უტყუარი საბუთია იმისა, რომ პოეტი თავისი დიდი საქმის შესრულებამდე, ანუ: უკეთ, «ვეფხისტყაოსნის» გალექსვამდე, თამარის ერთი მეხოტბეთაგანი ყოფილა.

2. პოეტის სახელწოდების «რუსთველის» სინამდვილეში ეჭვის შეტანაც კი შეიძლება, რადგან შესავალში ორჯერ დასახელებული «რუსთველი» უნდა იყოს შეტანილი, როგორც შესავალში, ისე დასასრულის უკანასკნელ ხანაში, «ვინმე მესხი მელექსე» «რუსთველის» მიერ, პოემის დასასრულში თავისი ვინაობის შესახებ მიწაწერის მიხედვით.

3. ჩვენი ძეგლი დაწერილია თამარის კარის პოეტის შოთას მიერ, თამარის სიკვდილს შემდეგ, რითაც აიხსნება ის, რომ არც რომელიმე კარის მელექსე, არც თამარის ცნობილი მემკვიდრე, არავითარ ცნობებს არ იძლევიან ჩვენი პოემის შეუდარებელ მიჯნურთა შესახებ, ხოლო «ვეფხისტყაოსანი» კი, — თავისი შინაარსით, წარმოადგენს. როგორც თამარის ეპოქის, ისე მას შემდეგ დაწვებული გარდამავალი ხანის ვითარების ნამდვილ სინთეზს.

როგორ უნდა გავიგოთ: „ღილაკეთ სარკვის თომგვედა. მას ენა დაუშრობელს“

ყველა აქ მოტანილი მოსაზრების მიუხედავად, საკითხი პოეტის პიროვნებისა და მის მიერ პოემის დაწერის დროის შესახებ მეტის მეტად გართულდა.

სახელდობრ, ამ ბოლო დროს შექმნილი ლიტერატურის მიხედვით, დიდ ეჭვი არის გამოწვეული რუსთველის თამარის ეპოქასთან დაკავშირების შესახებ. ეს ეჭვი გამოწვეულია არა იმდენად სარგის კაკაბაძის ცდებით³, რამდენად აკად. ნ. ი. მარის ჩვეულებრივ ნიჭიერად დაწერილი ნაკვლევით, რომელშიაც ჩვენი

¹ «ვეფხისტყაოსნის» 22-ე გამოცემის გვ. 20 და შემდეგი.

² ერთადერთი ახალი მოსაზრება პოეტის პიროვნების შესახებ ეკუთვნის პავლე ინკოროვას, რომლის აზრით, პოემის ავტორი იყო შოთა კუპრი, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს.

³ იხ. «ვეფხისტყაოსანი» სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, ტფ. 1913 წ. წიგნ-სიტყვაობა.

პოეტი წარმოდგენილია მესხ-მაჰმადიანად¹. მაგრამ აკადემიკოს ნ. მარის ნაკვლევ-
შიაც, ისე როგორც ბ. ს. კავაბაძისაში, ყველაზე მეტ გაუგებრობას იწვევს ის,
თუ როგორ მოხდა ქრისტიანული ქვეყნის გათათრებისა და გადარჯულების პრო-
ცესში წარმოშობა ისეთი კლასიკური ენით დაწერილი ლიტერატურული ნაწარმოე-
ბის, როგორც არის «ვეფხისტყაოსანი».

ჩვენ უკვე განვმარტეთ, თუ როგორ სპობს ყოველგვარი კულტურული აღორ-
ძინების შესაძლებლობის აზრს ქართველთა გათათრების პროცესი².

სულაც რომ არ იყოს რა, ყველაზე უწინ ამას ეწინააღმდეგება საქმის მეორე
წმინდა ფაქტიური მხარეც. სახელდობრ, შეუძლებლობა დაცემის ხანაში ისეთი
კლასიკური ენით დაწერილი თხზულების შექმნისა, როგორც არის «ვეფხის-
ტყაოსანი».

მართლაც, როგორც ვიცით, შოთას სტილი და გრამატიკული წყობილება და
საერთოდ, ენის ნორმები, სრულიად იგივეა, რაც «ვისრამიანის» მთარგმნელის.

ყველაზე უწინ ამ შემთხვევაში უურადლებას იქცევს ის გარემოება, რომ, შო-
თას გარდა, ვერ ვპოულობთ ვერც ერთ მელექსეს, რომელსაც ხედებოდეს იმგვა-
რი ძველი კლასიკური ფორმა, როგორც არის ეს ჩემ მიერ «ვეფხისტყაოსანში»
პირველად აღდგენილი ნატვრითი კილო «მ ც ა» ნაწილაკით, და აქ საუურადლე-
ბოა სწორედ ის, რომ რამდენიც არ უნდა ეძებოთ შოთას მიმბაძველთა, გინა
აღორძინების პოეტთა, შორის, ვერ ნახავთ ვერც ერთს, რომელსაც ხედებოდეს
ამგვარი კლასიკური ფორმა. როგორც ეს ზემორე აღვნიშნე, არის მხოლოდ ერთი
პოეტი, რომელსაც ხედება ეს ძველი ფორმა, და ეს პოეტი კი უნდა იყოს, ჩვენი
აზრით, ის უძველესი პოეტი რესტავრატორი, რომელიც იყო შოთას უახლოვდე-
სი ლიტერატურული მემკვიდრე. ეს ფორმა სრულიად დაავიწყდა და აღარსად
აღარ ხედება არც კლასიკურის ეპოქის მომდევნო მწერლებსა, არც აღორძინების
ხანის პოეტებს.

კიდევ უფრო მეტად დაავიწყდა, შოთას მსგავსად შინაგანი რითმისთვის

1 Н. Марр. Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Руставы и
новая культурно-историческая проблема.

2 ი. აბულაძე XII-ე საუკ. ქართ. საერო მწერლობა და «ვეფხისტყაოსანი», გვ. 236, შე-
ნიშვნა ვარსკვლავს ქვეშ. კორნ. კეკელიძეც სახსებით იზიარებს და სიტყვა-სიტყვით
იღებს ჩვენს არგუმენტაციას ამ საკითხში. იხ. ქართ. ლიტ. ისტ. ტ. II, გვ. 104—105 და შეად.
XII საუკ. ქართული საერო მწერლ. და «ვეფხისტყაოსანი» გვ. 236—240. მხოლოდ მეტია და შეუ-
წყნარებელი იქვე საბუთად მოტანილი ზედმეტი ადგილები: «მართლად იტყვის მოციქული, შიში შე-
იქმს სიყვარულსაო» 911,4. ამ აფორიზმს, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ (იხ. ჩვენი 26-ე გამოც.
გვ. 316, სვეტი 2) უძველესი 1646 წლის № 599 ხელნაწერი მიაწერს მეცნიერს: მართლად იტყვის
მეცნიერი, შიში შეიქმს სიყვარულსაო, და აზრიც სწორედ ასეთია: «ბრძენს, გინა გამოცდილ კაცს,
უთქვამს, შიში შეიქმს სიყვარულსო»; მართლაც, აქ ისეთი ზეშარბიტებაა გამოთქმული, რომელიც
ერთნაირად გასაგებია და მისაღები ყოველი სჯულის ადამიანისათვის: აქ ლაპარაკია იმ მეკობრეებზე,
რომლებიც გადარჩებანი ავთანდილისაგან ზღვაში ჩახრჩობას და ზენარით ევედრებიან და ფუჭქვე
ეგებიან ავთანდილს; პ. ლარაძეს, რომელიც ასხაფურებს თავისებურად ამ ადგილს, ეტყობა,
კარგად გაუგია მისი აზრი: მეცნიერი-ის ნაცვლად, იგი იცავს «სიბრძნით სრულსას» (იქვე, გვ. 223,
ვარიანტების სამ., 911,4), აგრეთვე «თავისა სისხლთა ნუ ეზიარებთ»: კ. კეკელიძეს ჰგო-
ნია, რომ ზიარებაზეა აქ ლაპარაკი, აქ კი აზრი ასეთია: თქვენისავე სისხლის მიზნად ნუ გასდებთ-
თო; აგრეთვე ადგილი: «ამ საქმესა შემოწმების დიაგნოზი ბრძნისა ეზროს», აქ რაღა მოსატანია და
ისიც პოეტის ქრისტიანობის საჩვენებლად, როდესაც ეს ყალბად არის მიჩნეული კრიტიკის და, თუნ-
და იმავე აკაკი შანიძის, მიერ?!.. (კ. კეკელიძე. ქართ. ლიტ. ისტ. ტ. II, გვ. 104—105).

ხალხური ენის შესაფერი პრეფიქსებისა და სხვა ელემენტების განმეორებათა ხმა-რება, რაც ისე ჩვეულებრივია შოთას ლექსისთვის.

ეს ფორმები პოემაში იმის მაჩვენებელია, რომ შოთა არის ერთი კლასიკური პოეტთაგანი, რომელიც არ შეიძლება დიდად დაშორებულ იქმნას თამარის კლასიკურ ხანაზე.

ყველა ამასთან ეს პოეტის მიერ ხმარებული ტერმინები, როგორცაა ლადარი, ლაზო, ჩაშნაგირი და სხვა ამგვარები, იმდენად უცხოა მთელ მის მომდევნო საერო მწერალთათვის, რომ არც ერთი მათგანი აღარ ხმარობს მათ, რაც ჩემ მიერ აღნიშნული იყო პოემის ტექსტის კვლევა-ძიების იმ თავითვე¹.

ეს იშვიათი ტერმინები ხმარებულია მხოლოდ ჩვენ ძველ XI—XII საუკუნის საისტორიო წყაროებში, სადაც ჩვენ აგრეთვე ვხედავთ იმ წყაროების გავლენას, რომელთაგანაც ჩვენი ძველი წარმოსდგა².

ყველაფერი ზემორეთქმული საკმაოდ მოწმობს, რომ «ვეფხისტყაოსანში» ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი უძველესი კლასიკური ნაწარმოები, რომელიც არსებითად განსხვავდება ყველა ოქროს ეპოქის მომდევნო მწერლის ნაშრომისაგან.

ყოველივე ამისდამხედვით, ჩვენ შეუწყნარებლად მიგვაჩნია შოთას არა თუ XIV—XV საუკუნეებში გადმოტანა, მისი XIII საუკ. მეორე ნახევრისთვის მიკუთვნებაც კი.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს არც პოეტის პიროვნების, არც მისი ნაწარმოების გაჩენის დროის შესახებ არაფითარი სარწმუნო ცნობა. ხოლო ის თითო-ოროლა ბიბლიოგრაფიული ცნობები, რომლებსაც მოუღწევია ჩვენამდე პოემის მინაწერების სახით, ბევრ გაუგებრობას იწვევს.

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენი საერო ლიტერატურის ნიმუშთა ტექსტები მეტისმეტად საეჭვო მასალას წარმოადგენენ³. ნამეტურ ჩახრუსჰაძის «თამარიანი» სავსეა აუარებელ შემდეგი დროის ჩანართთაგან. ეს აშკარად ჩანს აკადემიკოს ნ. ი. მარის გამოცემული ტექსტებიდანაც⁴, სადაც აუარებელი ყალბი ადგილი მოიპოვება. ეს ადგილები უურადლებას იქცევენ მათი სტილის სიახლით და მათზე ჩანს ძალიან ხშირად რუსთველის ნაწარმოების ძლიერი გავლენაც.

ასე მაგ., XII საუკ. მეხოტბე ჩახრუსჰაძე «ვეფხისტყაოსნის» გმირზე ვერ იხმარდა ასეთ სიტყვებს, რადგან რუსთველი დღემდის მეცნიერული კრიტიკის მიერ ცნობილია, როგორც ჩახრუსჰაძის უმცროსი თანამედროვე:

«მოხევეს ძეთა
ჩახრუსჰას ძეთა
ექო თამარი
მეფე წყლიანი;
მისი სიმეტე,
ბრძენთა სირეტე»

«თინათინ ვაქო
ბალი წყლიანი.
ა ეს თინათინ
ნუ ის თინათინ
არაბეთს იყო
სულად იანი»
და სხვა.

აგრევე ვერ გამოდგება სანდო მასალად ზოგიერთი აქა-იქა ჩასმული ადგილები, რადგან უმეტესი ამ ცნობათაგან უნდა იყოს დამოკიდებული «ვეფხისტყაოსანზე». ისე როგორც ეს ზემორემოტანილი ადგილიც თინათინის შესახებ.

¹ ი. აბულაძე. XII საუკ. ქართ. საერო მწერლ. და «ვეფხისტყაოსანი», გვ. 34—35.

² მარიამ დედ. «ქარ. ც-ბა», გვ. 173, სტრ. 25; იქვე—142; ლადარი, ლაზო—გვ. 306, 319.

³ H. Mapp. TP, IV, გვ. 3—4.

⁴ H. Mapp. იქვე გვ. 52.

ზოლო ამჟამად ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი შეტის-შეტად გაუგებარი, მაგრამ საინტერესო ბიბლიოგრაფიული ცნობა, რომელსაც ვადმოგვეცემ ფსევდო-რუსთველი «ვეფხისტყაოსნის» დასასრულის უკანასკნელ ხანაში.

სახელდობრ, ჩვენ ვგულისხმობთ ცნობას უცნობი ნაწარმოების გმირის დილარგეთის შესახებ, სადაც ნათქვამია: «დილარგეთ» — (უქია) «სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრობელსა» და «ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუშრობელსაო».

ჩვენი აზრით, სწორედ ამავე ცნობის გავლენას ვპოვებთ ჩახრუხადის ზოტბის ზოგიერთს ნუსხაზე;

ასე, მაგალითად, სხენებული ზოტბის ზოგ ნუსხაში ვპოულობთ¹:

«მოუბარისა მის მდულარისა დილარგეთისგან აღ-
შფოთებულად, თავსა კლვად სდებდეს, ხვეჭით ეძებ-
დეს შენსა ნახვასა მიახლებულადო».

ეტუობა, «ვეფხისტყაოსნის» დასახელებულ ბოლო მინაწერს მიუცია საბაბი ვიღაც მელექისათვის შეეტანა ზოტბაში ამგვარი შესწორება. ნაცვლად ვიღაც «მოუბარისა დილარისაგან», «მოუბარისა დილარგეთისგან» (იხ. ქვემ.).

ასე რომ ჩვენა გვაქვს ეს ერთად ერთი «ვეფხისტყაოსნის» ყურ ცნობა ვიღაც «დილარგეთის» შესახებ, რომელიც უქია «სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრო-
ბელსა».

როგორც ვიცით, სხვა ცნობები ამ «დილარგეთის» შესახებ არ იპოვება; ზო-
ლო თვით სახელი «დილარგეთ» იწვევს მტკნარ გაუგებრობას ყველაზედ უწინ
თავისი ფორმით, რადგან ამგვარი სახელის წარმოშობა არ შეიძლება აიხსნას.
ქართულ ნიადაგზე, სპარსულში კი — იგი იწვევს აგრეთვე მტკნარ გაუგებრობას:
იქ არსებობს «დილდარ» და არა «დილარ». არის აგრეთვე სპარსული სიტყვა «დი-
ლარა», რომელიც ნიშნავს მიჯნურს, საკ. გულის დამამშვენებელს, და არა
«დილარ».

აგრეთვე ძნელი გასამართლებელია ისეთი რთული სიტყვა, როგორიცაა «დი-
ლარგეთ». რას უნდა ნიშნავდეს «დილარ» და «გეთ»?

ამ გარემოებას სამართლიანად ჩაუფიქრებია კორნელი კეკელიძე,
რომელიც ასეთ გამოსავალს პოულობს ამ სახელის განმარტებაში:

იგი ყურადღებას აქცევს ფსევდო-რუსთველის დასახელებულს ხანას სხვადა-
სხვა ნუსხებში და უფარდებს ცნობას — «დილარგეთ² [ან დილარგეთს, როგორც
იკითხება იგი ზოგიერთს ნუსხებში], სარგის თმოგველს უქიაო» — თამარიანის
დასახელებულ ადგილს: «მოუბარისა მის მდულარისა, დილარისაგან (H. M a p p.
TP, XII, 18, 3. დილარგეთისგან) აღშფოთებულად», და ამბობს შემდეგს:

«აქედგანა ჩანს, რომ XIII საუკ. დამდეგს, როდესაც თამარიანი იწერებოდა,
ცნობილი ყოფილა დილარის ამბავი, ან დილარიანი, რომელიც დიდ შთაბეჭდილე-
ბას ახდენდა მკითხველებზე, ისინი აღშფოთებულნი, ე. ი. გატაცებულნი, აღგზნე-
ბულნი და შეპყრობილნი იყვნენ ამ ამბის სიცხოველითა და ინტერესით; თუ
შედარებებსა და პარალელიზმს ვიქონიებთ მხედველობაში. დილარიანში ლაპარაკი
უნდა ყოფილიყო გმირ-ჰაბუკების მიერ თავიანთ სატრფოთა ძებნის შესახებ, ე. ი.

¹ H. Mapp. TP, IV, გვ. XII, 18 და 19.

² კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, ტ. 11, გვ. 35—36.

დილარიანი ყოფილა სადევ-გმირო და სამიჯნურო ნაწარმოებო». ეს ნაწარმოები, ამავე მეცნიერის აზრით, ეკუთვნის პირველ სარგის თმოგველს, ე. ი. ვარამ მხარგრძელის ერთ-ერთ შვილს, სარგისს, რომელსაც უბოძეს თმოგვიო (კ. კეკელიძე, ძველი ქართ. ლიტ. ისტ., ტ. II, გვ. 35).

ამიტომაც, კ. კეკელიძის აზრით, თამარიანის დასახელებულ ლექსში წაკითხვას «მოუბარისა მის მდუღარისა დილარისაგან აღშფოთებულად» უპირატესობა უნდა მიეცეს იმ ვარიანტის წინაშე, რომელიც კითხულობს «დილარგეთისგან აღშფოთებულად» (ნაცვლად «დილარისაგან აღშფოთებულად»), არ არის სწორი, მაშასადამე, არც «ვეფხისტყაოსნის» ფსევდო-რუსთველური მინაწერის წაკითხვა: «დილარგეთს» «სარგის თმოგველს უქაო», როგორც ეს იკითხება ზოგიერთს ნუსხებში, არც «დილარგეთ»: თავდაპირველად იკითხებოდა, ალბათ: «დილარ ერთს სარგის თმოგველსა», რაც ნიშნავს: დილარი უქია ერთს სარგის თმოგველს. ვინაიდან ერთი ნიშნავს პირველსაც, როგორც უძველეს ქართულში (ბიბლია), ისე აღორძინების ხანაშიაცო».

ჩვენი აზრით, კ. კეკელიძის ეს სიტყვები მეტისმეტად საყურადღებოა, რადგან ისინი აშკარად მოწმობენ ავტორის დიდ დაკვირვების ნიჭსა. მისი, თუ შეიძლება, ესე ვთქვათ, ინტუიცია ამ შემთხვევაში პირდაპირ განსაცვიფრებელია: კ. კეკელიძე სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ იმ ნაწარმოებში, რომელიც გარდმოცემით ცნობილია სარგის თმოგველის «დილარიანად» და, «თამარიანის» და «ვეფხისტყაოსნის» ზოგიერთი ნუსხებით კი — «დილარგეთად», უნდა ყოფილიყო «სადევგმირო და სამიჯნურო ნაწარმოები» და, მაშასადამე, «სარგის თმოგველი», რომელსაც «ვეფხისტყაოსნის» დასახელებული ბოლო მინაწერი სთელის ენა დაუშრობელად, ან დაუღალავ «მოუბრად», გამოყვანილია ავტორად «გრძელი ამბისაო» (ibid., გვ. 35).

მართლაც, თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სარგის თმოგველს უთარგმნია ისეთი სამიჯნურო ნაწარმოები, როგორიცაა «ვისრამიანი», მაშინ სრულიად ბუნებრივად შეგვიძლია მივიჩნიოთ ეგვევ სარგის თმოგველი მთარგმნელად ისეთი სადევგმირო და სამიჯნურო ნაწარმოებისა, როგორიც, კ. კეკელიძის სწორი შეხედულებით, უნდა ყოფილიყო «დილარიანი», რომელიც, დასახელებული ძეგლების ზოგიერთი ნუსხებით, ცნობილია დილარგეთად.

მაგრამ საიდგან წარმოსდგა ამგვარი წარუენილი წაკითხვა «დილარგეთ» და მართალია, თუ არა, კ. კეკელიძის აზრი, რომ «ვეფხისტყაოსნის» «დილარგეთ», ანუ, უკეთ, ზოგიერთი ნუსხის «დილარგეთს», უნდა გასწორდეს სიტყვებად დილარ ერთს (სარგის თმოგველს) ე. ი. დილარ I სარგის თმოგველს?

ამის პასუხად ჩვენ ვფიქრობთ შემდეგს:

დილარგეთად წოდებული უცნობი ნაწარმოები, ჩვენი აზრით, უნდა ყოფილიყო, მართლაც, როგორც ამას კ. კეკელიძეც ფიქრობს, მეტის-მეტად საინტერესო სადევგმირო და სამიჯნურო ამბავი, რომლის რედაქციაც პროზით ყოფილა დამუშავებული «ენა დაუშრობელის» სარგის თმოგველის მიერ.

მაგრამ სად და როგორ დაიკარგა ასე უკვალოდ ეს ვეებერთელა ნაშრომი, რომელიც ეკუთვნის ენა დაუშრობელ სარგის თმოგველს, რომ აღარ დარჩა ხსენებაც კი «მოუბარისა მის მდუღარისა» «დილარგეთის» (თუ დილარის) შესახებ?

საქმე ის არის, რომ არავითარი «დილარგეთ», არც თუ «დილარ», არ არსებობდა. სპარსულში არსებობს მხოლოდ «დილავერ», რომელიც ნიშნავს მხნეს, გინა გულადს, ხოლო «დილარი» კი წარმოშობილია ქართულში კლასიკურის ხანის

შენდეგ დაცემის ხანაში იმ დროს, როდესაც სპარსული უკვე უცხო იყო ჩვენს ლიტერატურაში, მტკნარი გაუგებრობის ნიადაგზე.

«დილარიანის» არსებობის საკითხს კლასიკურ ეპოქაში აქ ჩვენ როდღე ვწყვეტთ, — შესაძლებელია, ამგვარი სათაურით მართლაც არსებობდა ერთ-ერთი ებიურ-რომანტიული ნაწარმოები, — ჩვენ გვგონია მხოლოდ, რომ მეორე ნუსხის ვარიანტით დაცული — «დილარგეთისგან», და არა «დილარისაგან», აღმოჩნდა, უნდა იყოს გაჩენილი ფსევდო-რუსთველის მიერ ბოლოს მინაწერ ხანაში დაცული იმ ბიბლიოგრაფიული ცნობის შემცველი ტაეპის მიხედვით, სადაც წერია: «დილარგეთ უქია სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრობელსაო»; ამგვარ ბიბლიოგრაფიული ცნობის დამადასტურებელი ფაქტი დღემდის არ აღმოჩენილა, და, ჩვენის ღრმა რწმენით: არც შეიძლება აღმოჩნდეს, რადგან ეტიმოლოგიურად დაკავშირება სიტყვების «დილარ» და «გეთ» პირადად ჩვენში დიდ გაუგებრობას იწვევს.

მაშ როგორ უნდა წავიკითხოთ «დილარგეთ», ან «დილარგეთს»?

ჩვენის აზრით, «დილარგეთს», შედგება ორი ნაწილისაგან: 1) დილ 2) არგეთ, ან არგეს, ზმნისაგან რგება, იგივეა რაც ხედომა. ამ სიტყვის მეორე ნაწილი უნდა იყოს გაჩენილი «დილ»-ის პირველი ნახევრის დაღუპვის გამო, რადგან იგი მოთავსებული იყო ხელნაწერის ბოლო ფურცელზე. ხოლო, როგორც ცნობილია, ხელნაწერის ბოლო ფურცლის კიდები ყოველთვის საგრძნობლად ზიანდება, და, მაშასადამე, «არგეს» გინა «არგეთ», გამოწვეულია, ერთი მხრით, დაღუპული მარცვლების შევსების საჭიროებით, ხოლო, მეორე მხრით, სხენებული სიტყვის შემდეგ მდგარი მეორე სიტყვის «სარგისის» ანალოგიით. მაშასადამე, ეს ადგილი უნდა აღედგინოს ერთ-ერთ პირველ რესტავრატორთაგანს შემდეგი სახით:

დილ არგეს (გინა არგეთ) სარგის თმოგველსა მას ენა დაუშრობელსა, და ტარიელ — მისსა რუსთველსა მისთვის ცრემლ შეუშრობელსაო.

მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ის ორი პირველი მარცვალი, რომელიც შეადგენდა სახელის «დილ»-ის პირველ ნაწილს, იმ დრომდის, სანამ იგი დაიღუპებოდა და დაზიანებული სახით ჩაუვარდებოდა ხელში რესტავრატორს? ჩვენის აზრით, ეს უნდა ყოფილიყოს «ავთან».

ამიტომაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ «ავთანდილ» და არა «დილარგეთ», ან «დილარ», უნდა ყოფილიყოს იმ დღემდის უცნობი ნაწარმოების მთავარი გმირის სახელი, რომელიც, «ვეფხისტყაოსნის» ბოლო მინაწერის ცნობით, «უქია სარგის თმოგველსა მას ენა დაუშრობელსა».

ამგვარი აზრი ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ, როგორც ეს ჩემ მიერ საკმაოდ ნათლად იყო ნაჩვენები¹, «ვისრამიანსა» და «ვეფხისტყაოსანს» შორის ენისა და აფორიზმებისა და, საზოგადოდ, ტერმინების მხრით, გასაოცარი მსგავსება არსებობს, ხოლო «ვისრამიანის» ქართული პროზაული ვერსია, როგორც ვაღმოცემითაც ვიცი, გამოუმუშავებული ყოფილა ზემორე დასახელებული პირველი სარგის თმოგველის მიერ.

მაშასადამე, საგულვებელია, რომ, როგორც «ვისრამიანს», ისე «ვეფხისტყაოსანს», უნდა წამყარებოდეს ფარდა თამარის სიკვდილის შემდეგ გამოფეხებული ქაოსის დროს, როდესაც საშინელი ამბები დატრიალდა და თამარის საქართველოს

1 ი. აბულაძე, XII საუკ. ქართული საერო მწერლობა და «ვეფხისტყაოსანი», გვ. 45—52.

სამეფოს ტრაგიკული მდგომარეობა შემზადდა მონგოლებისა და ხვარაზმელების შემოსევათა შემდეგ. სწორედ ამავე დროს ბევრ იმდროინდელ დიდებულთა სახლ-კარი და ავლადიდება, ისე როგორც შემდეგში «თმოგვიც თმოგველთაგან, შესავ-ლითურთ დარჩა ობლად».

ნათქვამიდან ცხადია, თუ როგორ უნდა იქმნას გაგებული, როგორც ზემორე დასახელებული მინაწერები «დილარგეთის» შესახებ, ისე ის ცნობა, რომ ხვარაზმ-თა შესახები ამბავი «დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად».

როგორც ვიცით, პირველი და უფროსი სარგის თმოგველი¹, რომელიც გვევ-ლინება ჩვენს მატრიანეში 1190-იან წლებიდან დაწყებული 1224-წლებამდე, პოე-ტად არსად არის ცნობილი; მასხადაძემ, ჩვენ იგი უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ეპიკურ-რომანტიკული მიმართულების ნაწარმოებთა დამმუშავებელი, გინა მთარგმნელი.

ამიტომაც ჩვენა ვფიქრობთ, რომ მას, ხვარაზმთა შესახებ ამბებთან და «ვის-რამიანთან» ერთად, უნდა ეანდერძებინოს თავის უმცროს თანამედროვე შოთას-თვის, ეს მის მიერ დამუშავებული საინტერესო სადევგმირო და სამიჯნურო ამბებიც.

შოთა რომ სარგის თმოგველის უმცროსი თანამედროვეა და ლიტერატურული მემკვიდრე, და არა შორეული მისი ნატამალი, ეს ჩანს ამ საყურადღებო მინაწერი სანის შემდეგი სიტყვებიდანაც:

«ეს ამბავი დარჩომოდა (ოღესმე) სარგისს ლექსთა შეუწყობლად, აგრევე თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა (აწ) ობლად».

ამ მინაწერის ავტორი, ალბათ, ერთ-ერთი ფსევდო-რუსთველი, ისხენიებს «სარგის თმოგველს» მხოლოდ სახელით სარგის, რაც თავისი მხრით, მოწმობს, რომ იგი იმეორებს ამ შემთხვევაში ტარიელ სარიდანის ძის იმ ნამდვილი გამლე-ქსავის ბიბლიოგრაფიულ ცნობას, რომელიც სარგისის პირადად მცნობი და დაახ-ლოებული უმცროსი თანამედროვე იყო.

ყველა ზემორე თქმულს შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ შოთას შემოქმედების სურათი:

ისტორიაში კარგად ცნობილ სარგის ვარამის (თუ ვარდანის) ძე თმოგველს, რომელსაც მიეწერება აგრეთვე ისეთის რომანტიკული ნაწარმოების პროზითი თარგმანი, როგორიც არის «ვისრამიანი», დამუშავებული ჰქონია სადევგმირო და სამიჯნურო ამბები, რომლებიც ტრადიციას უანდერძებია დილარგეთის სახელ-წოდებით, და რომელიც ნამდვილად კი შეიცავდა ავთანდილ სპასპეტისა და თი-ნათინის სამიჯნურო თავგადასავალს, ანუ, უკეთ, იქ მთელი უურადღება მიპურო-ბილი იყო როსტევეანის ასულ თინათინსა და მის უებრო მიჯნურ ავთანდილზე. ეს ამბავი პროზად, ანუ «ლექსად შეუწყობლად», უნდა დარჩომოდეს მას, ჩავარდნო-დეს ხელში შოთას და გაელექსოს.

ვინმე მესხი, ჩვენი უკანასკნელი რედაქციით, ამ ტაეპით ათაეებს თავის პოე-მის დასრულების ამბავს:

და «ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველი, სად ამისა».

ამგვარი სასიათის ლექსი კი სრულიად შესაფერია და დამახასიათებელია რუსთველის სტილისათვის.

¹ სარგის კაკაბაძე. ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი?

მართლაც, ჩვენს პოეტს ძალიან უყვარს კითხვის, გინა განცვიფრების, სახით-
ლექსის დაბოლოება.

აი მაგალითებიც:

587,4.—«და ეგე კმა სიმქნე სიმქნისა, რადლა ხარ მომხვეჭი რისა?»

716,4.—«და რა გაემართის, არ იცის, მას თუ არბევდის ცხენი სად?»

993,2.—«მიხედეს, მოიხედეს, ვინ გვიჭვრეტსო, სადა, ვინ-ა?»

1071,4.—«და აღარ ვიშიშვი სიკვდილსა, ჰი, ჰი, ჩავიჭურ მე რასა?!»

1105,4.—«და ამბავი ჩემი სალხინო მითხარო ვისმან ლა დამან?!»

წინადადების ამგვარი ფორმით პოეტი ახერხებს, სხვათა შორის, იმასაც, რომ
რაც შეიძლება ლაკონიურად, გამოსთქვას თავის სათქმელი.

ამ შემთხვევაშიაც იგი ავთანდილს, თითქო სინანულით, ათქმევენებს შემდეგს:
«ეგ ჩემთვის სალხინო ამბავი ვისმანლა დამ მითხარო» (ე. ი. შენ ხომ ჩემგან
დობის წოდება აღარ შეგფერისო?!), მაშასადამე, ლექსი აქ გამოჰხატავს კითხვის
ფორმით ავთანდილის ინტიმურ დამოკიდებულებას ფატმანთან.

მოტანილი მაგალითების მიხედვით, ჩვენ სრულიად ბუნებრივად შეგვეძლო-
მიგველო პოემის დამაბოლოებელი ხანის ეს უკანასკნელი ტაეპი:

«ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველი სად ამისა?!».

თუ მთელი პოემის არა, მისი უმეტესი ნაწილის გამლექსავის სიტყვებად.
მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ მელექსეს, რომელიც საკვირვლად ჰბამავს შოთას-
სტილსა და საერთოდ ენის ფორმებს, ამ ტაეპით სურს თქვას:

ამას ვწერ მე ვინმე მესხი, სად ამის მელექსე მე რუსთველიო?!

ამისდა მიხედვით, ეს ტაეპი გამოხატავს პოეტის თავმდაბლობას და, მაშასა-
დამე, როგორც ამგვარი, იგი შემდეგის აზრის შემცველი უნდა იყოს:

«ეს შესანიშნავი სამიჯნურო თავგადასავალი დასრულდა. იგი სიზმარივით
გაქრა. სცანით აქედგან ამ სოფლის უხანოზა და ფუჭწარმაფალობა. ამას ვწერ მე
ვილაც მესხი მელექსე რუსთველი... აბა სად მე და სად ამის მელექსეო?!»

ვინ არის ეს ვინმე მესხი მელექსე რუსთველი? ვინც უნდა იყოს იგი, ერთა
რამ ჩვენ აქ მიგვაჩინა უოველ ეჭვს გარეშე, სახელდობრ, ის, რომ იგი არის ტარიელ
სარიდანის ძის და ინდოთ მეფის ასულის ნესტან-დარეჯნის ამბის ერთის ნაწილის
მანც გამლექსავი, და, მაშასადამე, მას უნდა ეუთვნოდეს პოემაში ისეთი წმინდა
ქართული ლეგენდის შეტანა, როგორცაა ქაჯეთისა და ქაჯთა შესახები თქმულება.

ამის საბუთად ჩვენ შეგვიძლია მოვიტანოთ შემდეგი ფაქტები:

საკმაოა, ჩაუკვირდეს ადამიანი პოემის დასახელებულ ადგილის ენას — თუ,
რასაკვირველია, სრულიად ახალი ენით დაწერილ ჩანართებსა და შემდეგი დროის
რესტავრატორთა მიერ პოემაში შეტანილ ამა თუ იმ ადგილს არ მივიღებთ სახე-
ში, — რომ შენიშნოს ის აშკარა განსხვავება, რომელიც არსებობს ენის მხრით
პოემის ამ ადგილსა და დანარჩენ ნაწილებს შორის.

აქ ყველაზედ უწინ აღსანიშნავია ის, რომ ძეგლის ნამდვილი ტექსტი ბევრად
უფრო კლასიკური ენით და შედარებით უფრო ერთნაირი მოხდენილი ლექსით არის
დაწერილი, და მასთანაც ენითაც აშკარად განირჩევა იმგვარი ხანებისაგან, რო-
გორც ჩვენ ლათინურ ასოებს a და b-ს ქვეშ გვაქვს შეტანილი პოემის ძირითად
ტექსტში.

ეს ხანები, ალბათ, ეუთვნის ამავე რესტავრატორს, ე. ი. საერთოდ პოემის
ხარეზთა შემესვებს და გამახალხურებელს, რომელსაც უნდა შეეტანოს პოემაში.
სწორედ ის ლეგენდარული ნაწილი, რომელიც ქაჯთა შესახებ თქმულებას ეხება..

ხსენებული დიალოგი მოთავსებულია პოემაში 1104-ესა და 1111-ე ხანებს შუა და მიზნად აქვს უმთავრესად ჩვენთვის ქაჯების ზღაპრულ თვისებათა გადმოცემა.

ნამდვილი ამბავი ქაჯთა შესახებ, ფატმანის მიერ ავთანდილისთვის მოტყუებული, დასრულდა 1103-ე ხანით, რომელსაც მოსდევს და აბოლოებს 1104-ე უკვე საუჭვო ხანა: განსაკუთრებით ამ ხანის მეორე, მესამე და მეოთხე ტაეპები იქცევენ ყურადღებას ლექსის აშკარა ნაძალადევი ფორმებით; აი თვით ეს ხანაც:

«გვირაბის კარსა ნიადაგ მოყმე სცავს არ პირნასები, ათი-ათასი ჭაბუკი დგის ყველაკაი ხასები, ქალაქის კართა სამთავე სამ-ათას-სამათასები, და გულო, გაგსაჯა სოფელმან, არ ვიცი და, გლახ, რას ები?!.» ამ ტაეპების ნაძალადეობას ააშკარავებს, ჯერ ერთი, ის, რომ ამ ხანის პირველი ტაეპიც არ არის მოსდენილი: «გვირაბის კარსა ნიადაგ მოყმე სცავს (და არა მოყმენი სცავენ) არ პირნასები, და, მეორეც, ის, რომ მეორე და მესამე ტაეპში ცნობები მოყმეთა რიცხვის შესახებ არეულია: მე-2 ტაეპში ათი-ათასი ჭაბუკი დგის სამთავე ქალაქის კართა, ხოლო მე-3-ში — სამივე კარებზე თითოზე სამ-ათას-სამ-ათასები, ე. ი. სულ 9 ათასამდე და არა ათი ათასი; მეოთხე და უკანასკნელი ხანაც აგრევე იქცევენ ყურადღებას თავისი ნაძალადევი ხასიათით:

«გულო, გაგსაჯა სოფელმან (?) არ ვიცი და (?), გლახ, რას ები!.»

ამას მიყვება უკვე 1105 ხანა; დასახელებული ხანა სრულიად ბუნებრივი დაბოლოება იქნებოდა 1103-ე ხანისა, რადგან აქ გამოთქმულია ღმრთისადმი მადლობა, მაგრამ ამ ხანის მნიშვნელობა ძლიერდება იმით, რომ იგი აბამს და უკავშირებს აქ მოთხრობილ ქაჯების ციხე-ქალაქის შესახებ ცნობებს ხელახალ ამბავს, უკვე სავსებით ზღაპრულს, დიალოგის ფორმით, რომელიც აგრევე საინტერესოსა და პოემის ზღაპრული სიუჟეტის შესავსებად საჭირო ელემენტს შეიცავს, რასაც ბუნებრივად მიყვება ხელახალი ღმრთის დიდება და მადლობა 1111-ე ხანაში და კიდევ, ალბათ, ამავე რესტავრატორის მიერ, რომელსაც დასახელებული დიალოგი უნდა ეკუთვნოდეს, განმეორებით მადლობა 1111ა ხანაში, რომელიც მეტისმეტად მძიმე ლექსით არის დაწერილი და, ამიტომაც მისი ნამდვილი გამლექსავის კალმისთვის შეუფერებელია, თუმცა, ამავე დროს, შინაარსით იგი საუკეთესოდ აესებს პოემის ხარვეზს.

მცირეოდენი დაკვირვებაც საკმაოა იმის შესამჩნევად, რომ როგორც დიალოგი, ისე ეს ზედმეტი მადლობისა და ახალი ცნობების მომწოდებელი ხანების ავტორი, ერთ-ერთი რესტავრატორი, ანუ, უკეთ, პოემის ზღაპრული სიუჟეტისაგან დარჩენილი ეპიზოდების ხელ-ახალი გამლექსავი და, მაშასადამე, ხარვეზების შემესები უნდა იყოს.

თვით ამ დიალოგში ჭარბობს კნინობითი ფორმები. 1105, 3: დანაბადამან; 1110, 2-4: ჯორციელანი; ცხელანი; აწინდელანი.

ეს გამლექსავი ჩვენს წინ ჩნდება არა ერთგზის: ასე, მაგ., მას ეკუთვნის 1116a ხანაც, რომელიც სტილის სიახლით და პირდაპირ სიტყვებითაც ძალიან გავს დიალოგის 1106 ხანას: 1116a,2 მხიარულად, არ პირბნელად; 1106,2: მომასმინე არ პირბნელად. ერთიც და მეორეც დასახელებული ხანა გარეგანი ფორმის სიახლითაც იქცევენ ყურადღებას. შეიძლება, ამასვე ეკუთვნოდეს 1116ა¹ ხანაც, რომლის ძირითადს ტექსტში დატოვება ჩვენ შეუძლებლად ვცანით, იმდენად მძიმე და ნაძალადევი ენით არის იგი დაწერილი. აქვე, მე-4 ტაეპში, ვხვდებით ამავე

რესტავრატორის ძალიან ხშირად ხმარებულ «რ ა ს მ ე», რომელსაც იგი ჩაურთავს ყოველ გაჭირვების დროს, პოემის ტექსტში ამა თუ იმ პატარა ეპიზოდის შეტანასთან ერთად;

აი ამის მაგალითიც:

აიღეთ თუნდა 1214a და 1214b ხანები, რომლებიც ჩვენ დავტოვეთ ძირითადს ტექსტში მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი, თავისი შინაარსით, ავსებენ და უმეტესაქლებოდ ხდიან პოემის მოთხრობას. მაგრამ, ამავე დროს, ისინი მეტისმეტად მძიმე ლექსით არიან დაწერილი, და მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერები გვაწვდიან მათ სხვადასხვა ვარიანტს, მაინც კიდევ არ ხერხდება მათი შესწორება იმდენად, რომ, ცოტად თუ ბევრად, შესაფერი გახდეს რუსთველის კალმისათვის, და აქაც იგივე «ასმათს რასმე უბრძანებდა» (ხანა 1214a) და ასმათ «რა'სე მას-პინძლობდა» (ხანა 1214b). პოემის მოხდენილ და ენერგიულ რითმას და საერთოდ მის მუსიკალობას მთელს აქ მოტანილ მაგალითებში ვერა ვხვდებით, და ასევეა ბევრ სხვა ალაგასაც, შეადარეთ თუნდა აქვე გაგრძელება, რომელშიაც შედის უკვე აქ წარმოდგენილ ხანათა მსგავსი 1218a და 1221a ხანები და სხვა ამგვარები, რომლებიც ისე საჭიროა პოემის აშკარა ხარვეზთა შესავსებად.

ყველა ეს მოწმობს, რომ პოემას მისი პირველი და ნამდვილი ავტორის ხელს გარდა, ატუვია ვიღაც დახელოვნებული რესტავრატორისა და, იმავე დროს, ნიჭიერის ხალხური მეღექსის ხელიც, რომელსაც შეაქვს, განსაკუთრებით პოემის მეორე ნაწილში, ისეთი ეპიზოდები, რომლებიც ავსებენ პოემის აშკარა ხარვეზებს და შესამჩნევადაც აღიერიებენ ამით მკითხველის შთაბეჭდილებას ზოგიერთი, ელექტებს არ მოკლებული, თუნდა იმ ზემორემოხსენებული საინტერესო დიალოგისა და პატარ-პატარა ეპიზოდების შეტანით, და ყველა ეს რამდენადმე შეინიშნება დღეს არსებული მასალის მიხედვითაც.

ამიტომ, ჩვენი აზრით, საგულევებელია, რომ პოემის ზღაპრული სიუჟეტის ის ნაწილი, რომელიც ქაჯთა შესახებ თქმულებას ეხება, საკმაოდ შეცვლილა ტარიელ სარიდანის ძის ამბის, ანუ, უკეთ, ნამდვილი «ვეფხისტყაოსნის» ერთ-ერთის გამლექსავეს ვინმე მესხი მეღექსის მიერ. იქ ადრე, ალბათ, იქნებოდა ამბავი დევების, ავსულებისა და საშინელი მსხვეცების შესახებ.

შესაძლებელია, მაშასადამე, ისიც, რომ ზღაპრის თავდაპირველ პროზაულ ვერსიაში დევებს, და არა ქაჯებს, ჰყავდათ მოტაცებული ინდოთ მეფის, ფარსადანის, ასული ნესტან-დარეჯანი, და პოეტმა, სხვა ეპიკო-რომანტიკოს პოეტების მიბაძვით, მეტი ეფექტისთვის, — როგორც, მაგ., ამას შერებოდა სპარსთა უდიდესი ეპიკო-რომანტიკოსი ნიზამი განჯელი, — რომელმაც თავის «ლეილ-მეჯნუნ-ნინაში» მეტის ტრადიციისთვის, ლეილა, რომელიც გაგიქებით უყვარდა მეჯნუნს, სხვას შერთო, — ქაჯებს მოატაცებინა ტარიელის სატრფო, და ამის უკეთესს მართლაც ვერაფერს იქმდა, რადგან, ამგვარი წმინდა ქართული ელემენტის შეტანით, მან იგი საუკეთესოდ გარდაქმნა წმინდა ქართულ ნაწარმოებად, ანუ, უკეთ, დაუახლოვა იგი ქართულ მსოფლმხედველობას. როგორც ვიცით, ეს ქაჯები და ქაჯთა შესახები თქმულება იმდენად შესისხლხორცებულია წმინდა ქართულ ისტორიულ სინამდვილესთან, რომ იგი სრული რეალობით არის წარმოდგენილი ჩვენი საისტორიო წყაროებით დაცულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში სახელწოდებით «ქაჯთა ქალაქი»¹.

¹ ამის შესახებ «ქართლის ცხოვრება», ზ ა ქ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს გამ., 23,9 და ჩვენი 22-ე გამ, შესავალი, გვ. XXIV და XXV.

ამანირად იმ შთაბეჭდილებათა მიხედვით, რომლებსაც ჩვენ ვღებულობთ პოემის ტექსტის ანალიზის საშუალებით, ჩვენ გვეძლევა თვალწინ შემდეგი სურათი:

პოემა იმ სახით, რა სახითაც მას ჩვენამდე მოუღწევია (იგულისხმება ვახტანგის რედაქციით ნაანდერძევი პოემის შედგენილობა), არ უნდა იყოს საფასებით ერთი დროისა და მარტო ერთი პოეტის ნახელავი.

პოემას, მის თანდათან ჩამოყალიბებისა და სრულად შექმნის პროცესში, განუცდია სამი მთავარი პოეტის ხელი:

1-ლი ამ პოეტთაგანი უნდა იყოს თვით ბრძენი პოეტი შოთა, მისი ნამდვილი შემოქმედი (შეიძლება ის ატარებდა რუსთაველის სახელწოდებას), რომელსაც დაუწერია, ანუ, უკეთ, გაულექსავს მეტის-მეტად შემოკლებულად, შესაძლებელია, აღმოსავლურ არაბულ-სპარსულ პოეტთა მიბაძვით, ნახევრად ლექსად, ნახევრად პროზად, თავისი პოემა.

ეს ლექსად დაწერილი ნაწარმოები შეუვსია მეორე კლასიკურის ეპოქის პოეტ რესტავრატორს, რომელსაც შეუტანია შიგ ახალი ხანები (ეს ხანები იცავენ 1-ლი პოეტის, ე. ი. მისი ნამდვილი გამლექსავის ძველ კლასიკურ ფორმებს) და საერთოდ შეუვსია ის აშკარა ხარვეზები, რომლებიც, პოემის დაწერის იმ თავითვე, აშკარად შეინიშნებოდა.

შემდეგში მესამე მელექსეს, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ეს «ფინზე მესხი მელექსე რუსთაველი»¹, გაუკრავს პოემისთვის თავიდგან ბოლომდე თავისი ქანდა და აშკარად დაუტყვია თავისი ხელი პოემის მეორე ნაწილისათვის, სადაც მას გაულექსავს და შეუტანია ჩვენს ძველში ზოგიერთი პატარა ეპიზოდები და მასთან ქაჯთა შესახები თქმულება იმ სახით, როგორც ეს გადმოცემულია ავთანდილისა და ფატმანის დიალოგში.

ყველა ამისდა მიხედვით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოემა გატარდა სამ სხვადასხვა პოეტთა ხელში, რის დროსაც იგი გახალხურდა და ჩამოყალიბდა იმ სახით, რა სახითაც იგი დაუტავს ჩვენთვის იმ ხელნაწერს, რომლისაგანაც წარმოიშვა ვახტანგ-არტანუჯის რედაქციები.

ჩიო არის ძლიერი შოთა ან ჩიო გვიზიდავს იმი?

ყოველ დიდ ადამიანს ახასიათებს ერთი რამ: სახელდობრ, მისი პიროვნება ისე ძნელი მისაწვდომია, როგორც მნათობი მზე, რომლის ელვარებასაც თვალს ვერ შეკმარებთ, მაგრამ საფასებით გრძნობთ მის ცხოველმყოფელ ძალას.

რომელი დიდი პიროვნებაც უნდა დაასახელოთ ისტორიაში, ყველას ახასიათებს ეს ერთი რამ: მისი პიროვნების გამოურკვეველობა და განუცდელიობა. და აქ ჩვენთვის საყურადღებოა სწორედ ის, რომ გენიალური პიროვნების ამ გამოურკვეველობის და განუცდელიობის ნიადაგზე აღმოცენდება ხოლმე მისი დიდება, ანუ, უკეთ, ამ ნიადაგზე ხდება იგი კაცობრიობის ფერმენტად და იმოსება ბრწყინვალე შარავანდედით მისი სახელი.

¹ ჩვენი აზრით, პოემის გაგრძელებაში სარგისის შესახებ ცნობილას მინაწერის ავტორი არის ერთ-ერთი იმ მელექსეთაგანი, რომელსაც ჩაუარდნია ხელში სეარაზმთა შესახები ამბავი, სადაც აღნიშნული იყო, რომ მინაწერი ეკუთვნის სარგის თმოგველს და თანაც ნათქვამი იყო ანდერძის სახით, რომ ეს ამბავი სარგისს დაურჩა გაულექსავად და მანვე უანდერძა მსკრეულებს. ეს მელექსეც, ალბათ, ისევე იქცევა, როგორც თვით პოემის ნამდვილი გამლექსავი შოთა რუსთაველი.

ასეთია ბუდდა, სოკრატი, ქრისტე, გალილეი, კოლუმბი, შექსპირი, ბეკონი, ლასალი, ლევ ტოლსტოი და სხვა მათი მსგავსი დიდი მოვლინება მსოფლიოში.

სწორედ ასეთია შოთაც. მისი სახელი აგრეთვე კულტად ქცეულა ჩვენთვის, როგორც ხალხის წარმოდგენაში თვით მნათობი მზე, ძლიერის ნათლით გაბრწყინ-ვებული, შარავანდემოსილი, მსოფლიოსთვის სინათლისა და სითბოს გამომ-ცემელი.

ჩვენ არ ვიცით, თუ როგორია ეს მზე, რომელსაც ჩვენ მუდამ თვალით ვხე-დავთ, მის შესაგნებად საჭიროა სინათლის კანონების შესწავლა. მაგრამ ჩვენ უამი-სოდაც სავსებით განვიცდით მის ცხოველმყოფელ ძალას.

ხოლო შოთასა და მნათობ მზეს შორის არის კიდევ მეტი თვალსაჩინო მსგაე-სებაც:

როდესაც ცა მოპირქუშებულია, როდესაც ის პირბნელობს, მზეც ჩვენგან დაფარულია, მაგრამ როდესაც ცა მოიწმენდს, იგიც სრულის თავისი ელვარებით აღმობრწყინდება მსოფლიოში; აგრევე შავბნელ დროს, როცა ქვეყანა მონობის ბორკილში სულს ლეფს, გენიოსის პიროვნებაც მისთვის დაფარულია, მაგრამ რა ხალხი მონობის ბორკილს დაამსხვრევს, იგიც სრული თავისი დიდებითა და ძლე-ვამოსილებით გამოაშუქებს ხოლმე.

ეს ჩვენი დროც ამის საუკეთესო მომასწავებელია: დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ჩვენ, ქართველები, მოკლებული ვიყავით მშობლიური აღზრდის ცხოველმყოფელ სხივებს, და ძვირად თუ ატკობდა ჩვენს სმენას ძველი მშობლი-ური ჰიმნები, მაგრამ დაბერა რევოლუციის გრივალმა, მიღეწ-მოღეწა მბორკავი ძალები, დაამსხვრია მონობის ბორკილი,—და ჩვენი ხალხის გენიაც მთელი თავისი დიდებით ამობრწყინდა: დღეს ჩვენ ვტკბებით არა მარტო მისი ნაანდერძევი «ვეფხისტყაოსნის» კითხვით, არამედ იმითაც, რომ, როგორც ჩვენი დედა-ქალა-ქის ყველა თვალსაჩინო ადგილზე, ისე ჩვენი ქვეყნის ყოველ კუნჭულში, ქუჩასა და მოედანს ამკობს მისი უკვდავი სახელი და ყველგან ოქროს ასობით არის აღბეჭ-დილი ეს ჩვენი ხალხის ჭეშმარიტი მესაიდუმლე, ეს საქართველოს ცის უდიდესი ვარსკვლავი.

ჩვენ არ ვიცით შოთას პიროვნება, თუ ვინ იყო, ან როდის ცხოვრობდა იგი, მაგრამ ჩვენ ვიცით მისი «ვეფხისტყაოსანი», რომელშიაც საუკეთესო გამოხატუ-ლება პოვა მისმა გენიოსურმა პიროვნებამ.

ჭეშმარიტად უცნაურია მისი მოვლინება ჩვენს სინამდვილეში, და სწორედ ამიტომაც მიმართავს მის აჩრდილს ჩვენი აგრევე დიდი პოეტი შემდეგი სიტყვებით:

«სულმნათო, მაღლი შენს გამჩენს,
დიდება ერსა შენს მშობელს,
და ძეგლად სამარადისოდ,
ნეტარ ხსენება ამ სოფელს!..
შენ ნიშნად უკვდავებისა,
ერს მოვლენისხარ განგებით,
ვით ცისარტყელა წარღვნისა,
უცნაურისა ჰანგებით».

დაახ...

შოთას პიროვნება დღემდის საკვირველების გრძნობას იწვევს ჩვენში. იგი

უცნაურია და საკვირველი სწორედ ისე, როგორც მისი პოეტური პანგები. ჩვენის წარსულის ეს უდიდესი მოვლინება, ქართულის ლიტერატურის ისტორიაში უტყუარი გენიალობით აღბეჭდილი, დღემდე სრულიად უცნობია და გამოურკვეველი: დღემდის არ ვიცით, თუ ვინ იყო და როდის ცხოვრობდა იგი.

შეიღმა საუკუნემ გავლო მას შემდეგ, რაც ქართველი ერის გენიამ პოვა თავისი ამოძახილი მის უკვდავ ქმნილებაში, და ჩვენ დღემდის გვაინტერესებს და გვამოძრავებს იგი ისევე, როგორც თანამედროვე: ყველგან, ყოველს წრესა და საზოგადოებაში გაისმის მისი ქმნილების ქება-დიდება, განათლებული ქვეყნები საჭიროდ სთვლიან მის გადათარგმნას, რომ მათაც გაიზიარონ ის ალტაცება და სიამოვნება, რომელსაც იწვევს მისი ნაწარმოების კითხვა.

ის ჰმობლავს ყველას, ვისაც აინტერესებს ადამიანის ბუნების არსებითი მხარე და ამოძრავებს ადამიანის ცოდნის სურვილი. მაგრამ, მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენ დღემდის ვერ ვიცნობთ ამ ჩვენი ხალხის გენიას, თუმცა ვტკბებით მისი ნაწარმოებით, თუმცა სავსებით ვგრძნობთ მისი გენიალური შემოქმედების ძლიერ-მოსილებას.

რით არის ძლიერი შოთა, ანუ, უკეთ, რა არის ეს უხილავი ძალა, რომელიც ისე გვიზიდავს და გვიმონებს ყველას, რაც ასე სათაყვანოდ ხდის პოეტს?

ეს, ჩვენი აზრით, არის მისი შემოქმედების სწორედ ის ნიშანდობლივი თვისება, რომელიც საგრძნობლად განასხვავებს მას აღმოსავლური პოეზიის ყველა წარმომადგენლისაგან.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც სპარსეთის ლიტერატურის უბრწყინვალეს ვარსკვლავებს ფირდოუსისა და ნიზამი განჯელს, არც სხვას ვისმე სპარსულ პოეტთაგანს, ეპიკო-რომანტიკული პოეზიის სფეროში არ შეუქმნიათ არც ერთი ისეთი ხასიათის ნაწარმოები, როგორც არის «ვეფხისტყაოსანი», რომელშიაც ვხვდებით ქალ-ვაჟის რომანული სიყვარულის ქრისტიანულ ნიადაგზე უმაღლეს წერტილამდე განვითარებას, წმინდა და წრფელი რაინდული სიყვარულის კულტს.

პოეტს თავის ნაწარმოებში მიზნად დაუსახავს ეს სიყვარულის კულტის შექმნა, მისი უადრესად გაიდგალება, და ამიტომაც მის ნაწარმოებში ისეთი იშვიათი ხელოვნებით არის დასატული წრფელი და მძლავრი რაინდული სიყვარული, რომელსაც სარჩულად გმირობა და ვაჟკაცობა უძევს.

მოკლედ შინაარსი და დედააზრი პოემისა ასეთია:

რაინდული სიყვარულისა და მეგობრობისათვის თავდადებული, ყოველი ჯირის მძლე და გაფოლადებული გმირი-რაინდები, — თავიანთი მიზნის მისაღწევად ბოროტი ძალების წინააღმდეგ მებრძოლნი, სძლევენ ყოველგვარ გაჭირვებასა და მიაღწევენ თავიანთ სატრფოებთან სასურველ შეერთებას, და დაბოლოს გახელმწიფდებიან და გამორჭმულდებიან, რითაც იმარჯვებს იღვა: «კეთილმან სძლია ბოროტსა, არსება მისი გრძელთა». ეს დედააზრი უკვე სავსებით განხორციელებულია იმ მთლიანი შინაარსის ნაწარმოებში. როგორცაა წარმოდგენილი ეახტანგის რედაქციით, და რომელიც სრულიად აღარ საჭიროებს კიდევ რისამე მიმატებას.

ეს შინაარსი და დედააზრი ჩაქსოვილია იმ უცხო ფაბულაში, რომელიც წარმოგვიდგენს ორი ძმად შენაფიცარი მოყმის არაბთა მეფის სპასპეტის ავთანდილისა და ინდოთ მეფის ძის ტარიელ სარიდანის ძის თავგადასავალს, სადაც მკითხველის მთელ ყურადღებას იპყრობს ის ჩემ მიერ არა ერთგზის აღნიშნული განსაცვიფრებელი სიმეტრია, რომელიც დაცულია შინაარსის ინტერესთა თანდათანობით

ზრდაში: უცნაურის გმირის «ევალწმინდად წარქდომა (კაცისა, ვითა დევისა)».. აეთანდღლისა და თინათინის რომანი, როგორც ტარიელისა და აეთანდღლის საუკუნო მეგობრულის კავშირის ზეშპარიტი მიზეზი და, საერთოდ, «ვეფხისტყაოსნის» ყოველი ეპიზოდი ისეთი ღრმა ინტერესის გამომწვევი სიმეტრიით არის შეწყობილი, რომ ყველა ეს, პოეტის აღმაფრენასთან და მის ჯადოსნურ რითმასთან ერთად, ფანტავს ყოველგვარ ეჭვს ჩვენი ძეგლის ორიგინალობის შესახებ!

ამიტომაც პოემის, თუ გენბავთ. ამგვარი ქართულის საქრისტიანო ცხოვრებისთვის შეუფერებლობისა და წმინდა არაბულ-სპარსულ-მაჰმადიანური სულისა და მიმართულების მიუხედავად, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ნამდვილი ქრისტიანის და არა მაჰმადიანის ლიტერატურულ შემოქმედებასთან გვაქვს საქმე.

ამ მხრით ჩვენ ყველაზე საგულისხმოდ მიგვაჩნია პოეტის მიერ ქალ-ვაჟის რომანულის სიყვარულის ქრისტიანულს ნიდაგზე უმაღლეს წერტილამდე გავითარება, ანუ, უკეთ, გაიდალება, და ამ შემთხვევაში უკვე ჩვენს წინ იშლება ქრისტიანულის ნეოპლატონიზმის ძლიერი გავლენა პოეტის მიერ სიყვარულის დასატვაზე, რაც ჩვენ დაბეჯითებით აღვნიშნეთ ჩვენს გამოკვლევაში...

ახლა როგორი ხელოვნებით არის ეს შესრულებული?

მთელი პოემის შინაარსის ჭახრაკს ამოძრავებს ორი მზეთუნახავის თავ-თავის მიჯნურთა მიმართ გამოთქმული ორი ფრაზა:

1-ლი — თინათინის აეთანდღლის მიმართ:

იხ. 82, 4.— «წადი, იგი მოუშე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად!...»

და მე-2— «ნესტან დარეჯნის მიერ ტარიელისადმი მიწერილი». იხ. ხანა 293:

«ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია,
სჯობს, საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია»-ო.

სიყვარლის გულისათვის საგმირო საქმეები, გმირობა, აი რა არის ნამდვილი რაინდული სიყვარულის დამამტკიცებელი, და აი სწორედ ამ ნამდვილი რაინდული სიყვარულის გავითარებაში იჩენს თავს პოეტის გენიალური შემოქმედებაც, რაც გამოიხატება იმ უსაზღვრო გრძნობის დამახასიათებელი ნეოპლატონური სიყვარულის გაღმერთებაში, რომელიც სამარის იქითაც კი ეძიებს უსაზღვრო სიტკბოება-ნეტარებას სატრფოსთან შეერთებისაკენ მისწრაფებაში.

აი რა მჭევრმეტყველურად არის გამოთქმული ეს უსაზღვრო გრძნობა ქაჯეთის ციხეში დატყვევებულისა და განთავისუფლების იმედდაკარგული ნესტან-დარეჯნის მიერ, რომელიც ამსოფლიურ იმედებზე გულაცრუებული და ამ ქვეყნად სატრფოსთან შეერთებაზე და ამსოფლიურ ნეტარებაზე სრულიად სასოწარკვეთილია. იხ. ხანები: 1158, 1159 და 1160:

«შენმან მზემან, უშენოსა არვის მიძხედეს მთვარე შენი,
შენმან მზემან, ვერვის მიძხედეს, მოცაიედნ სამნი მზენი,
აქა თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი;
და სული ჩემი შეივედრე, ზეცით მოხვდენ ნუთუ ფრთენი!...»

«ღმერთსა შემეედრე, ნუთუ კელა დამქსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა,

მომცნეს ფრთები, და აღეფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა!
და დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა».

«მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი;
განაღამცა მას ეახლე მისი ეტლი, არ თუ წბილი,
მუნა განახო, მასვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,
და თუ სიცოცხლე მწარე მქონდა სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი!»

მაგრამ ესევე წრფელი და მძლავრი სიყვარულის გრძნობა შესაძლებლად ქმნის ამ უიმედობისა და სასოწარკვეთილების დაძლევას, და სიყვარულის იდეის ძლევით დაგვირგვინებას. ამ გრძნობათა და იდეის საუკეთესოდ ჩატარებაში მდგომარეობს შოთას პოეტური შემოქმედების ძლევა-მოსილებაც...

მაგრამ მარტო შინაარსით როდი ამოიწურება ამ ნაწარმოების მიმზიდველობის ძალა. შინაარსის შესაფერად გეხიბლავს ამ შინაარსში ჩაქსოვილი სიბრძნეც, ბრძნული აფორიზმების სახით. და ყველა ამასთან ფორმაც, რაც ყველაზე მეტად უწყობს ხელს პოეტის გენიალურ შემოქმედებას, და აქ ყველაზე მეტი ძალა აქვს მის ჯადოსნურ რითმას. პოეტის ლექსი პირდაპირ შეუდარებელია. მე უკვე აწერილი მაქვს დაწერილებით რუსთველის ენის ხალხურობა, სადაც მოყვანილია ამ ხალხურობის თითქმის ყველა თვალსაჩინო მაგალითი, რომლების ხმარებაც გამოწვეულია მისი ჯადოსნური რითმის საჭიროებით; ორი შემთხვევა პირდაპირ გასაოცარია თავისი მოხდენილობით:

1-ლი, 490,2 — «დავარ თქვა: «მქმნელი ამისი ვინ არ დამქოლოს, ვინ არ და!»
ეს უკვე მარტო ლექსი კი აღარ არის, ეს საუცხოვო cantata-ა, სადაც ოპერის მსგავსად, გამეორებულია ერთი და იგივე ფრაზა, გალობის მიზნით.

მეორე მაგალითი უფრო საკვირველია: ის. ხ. 703, 3, სადაც პოეტი ასერხებს, საკვირველების გრძნობის გამოხატვით, გამოთქვას საქებლის აღმატებითი ხარისხი: «ვეღარ ვისმენ ჳმასა შენსა, სასმენლად მე მას რულსაო», ე. ი. «სასმენლად რაგვარსაო», ე. ი. ისეთს, რომლის ქებას ენა ვერ იტყვის, ანუ: «ვეღარ მოვისმენ შენს ტკბილსა ხმასა, რომელიც, არ ვიცო, როგორიაო!» იგულისხმება ხმა ზე-აღმატაცი და საკვირველმოქმედი.

უსაზღვრო რაინდული სიყვარულის იდეა შეუდარებელი ხელოვანის მიერ ასე საუცხოვოდ ჩატარებული და მაცოცხლებელ ჭეველად მიმდინარე პოემის მთელს შინაარსში და პოეტის ჯადოსნური ლექსი, — აი ყველა ის, რაც ხიბლავს და იზიდავს მკითხველს «ვეფხისტყაოსანში».

*

ორიოდე სიტყვაც, თუ როგორ უცქერის ბოლო დროის კრიტიკა ამ საკითხს, ე. ი. რუსთველის პირად შემოქმედებას.

ერთ ხანაზე, ამ 15—20 წლის წინათ რუსთველის შესწავლის საქმე, ჩვენი პატივცემული მეცნიერის ნ. ი. მარის მეოხებით, ძლიერ კარგად შიდიოდა. პოეტის შესახებ ბევრი რამ გამოვიდა სინათლეზე ისეთი, რის დაფარვასაც ასე ცდილობდნენ ოთხმოციან წლებში, როდესაც ცხარე კამათი იყო გამეფებულა რუსთველის ნაწარმოების შესწავლის გარშემო. მაშინ ვერვის ეტყოდი არა თუ «ვეფხისტყაოსნის» სიუჟეტის სპარსულიდგან ნასესხობას, იმასაც კი, რომ «ვის-რამიანი» წმინდა ქართული ნაწარმოები არ იყო.

ამას მოწმობს თვით იმდროინდელი გამომცემლების მიერ ტექსტისთვის წამმღვარებული წინასიტყვაობა, სადაც ჯერ კიდევ არ იციან, ნათარგმნი იყო იგი, თუ ქართულის შემოქმედების ნაყოფი¹. და ეს ასე იქნებოდა კიდევ დიდხანს, რომ იმ დროს ჯერ მეტად ახალგაზრდა, მაგრამ ფრიად ნიჭიერ მეცნიერს ნ. ი. მარს სინამდვილისთვის ფარდა არ აეხნა. ნ. ი. მარმა პირველმა მოჰკიდა ხელი ქართულ ლიტერატურაში არსებული სპარსული ნიმუშების შესწავლას.

«ვისრამიანის» შესწავლამ თავის შედეგად ის ნაყოფი მოიტანა, რომ რუსთველის შემოქმედებას დღეს ჩვენ ბევრად უფრო ფხიზლად ვუცქერით, ვიდრე წინათ. უკვე ან დარგის ყველა სპეციალისტისათვის აშკარაა, რომ ის ადგილები, ანუ, უკეთ, ის ბრძნული აფორიზმები, რომლებიც ხიბლავენ მკითხველს «ვეფხისტყაოსანში», პოეტს ამოუღია და შეუთვისებია «ვისრამიანითან», სადაც ეს ერთნაირად არის დაცული, როგორც სპარსული ორიგინალით, ისე მისი ქართული თარგმანით, რაც მე გამოვააშკარავე უკვე ჩემს პირველსავე ნაკვლეფში პოემის შესახებ. აქ ამაზე საუბრის გაგრძელებას მეტად ვთვლი; დაინტერესებულთ შეუძლიათ ეს გაიცნონ ჩემი მეორედ დასტამბული ნაშრომიდანაც ამ საკითხის შესახებ, სათაურით:

«XII საუკუნის ქართული საერო მწერლობა და «ვეფხისტყაოსანი», სახელგამის გამ., ტფ. 1923 წ., გვ. 15—24.

მაშასადამე, ყველასათვის ცხადი და უეჭველი შეიქმნა, რომ შოთას დაუწერიდა თავისი ნაწარმოები ქართული «ვისრამიანის» გავლენის ქვეშ, რადგან ყველა ხსენებული აფორიზმი და პოეტური ფიგურა, რომლებიც საერთოა «ვისრამიანსა» და «ვეფხისტყაოსანში», სრულიად ერთი და იმავე ფორმითა და სტილით არის გამოცემული ორსავე ნაწარმოებში.

ამასთანავე გამოირკვა, რომ შოთას შემოქმედების შესასწავლად აუცილებლად საჭირო იყო, და დღესაც არის, სპარსული ლიტერატურის ნიმუშების გაცნობა, რადგან, თუ რამე გამოირკვა ან ირკვევა, ისევე ამგვარი გზით.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს კრიტიკოსებს ეს დღემდის ვერ შეუგნიათ.

ასე, მაგ., პატივცემული კორნელი კეკელიძე, რომელიც არსებითად ახალს არაფერს ამბობს თავის ლიტ. ისტ. II ტომში, გარდა ლიტონი განცხადებისა, რომ პოემის სიუჟეტი არ არსებობდა, და რუსთველის ნაწარმოებიც, მაშასადამე, სპარსული ნიმუშების გავლენის ქვეშ არის პოეტის მიერ შექმნილი, ცდილობს წითელი ხაზით აღნიშნოს ის ვითომდა მის მიერ გამოთქმული აზრი, რომ «ვეფხისტყაოსანი» ნამდვილი ორიგინალური ნაწარმოებია?

ვისაც ზემორედსახელელებული ჩემი მონოგრაფია წაუკითხავს, აშკარად დაინახავდა, თუ რა ღრმად გეწმამს ჩვენ შოთას პოეტური შემოქმედების ორიგინალობა და სიმღიერე (Opus citat., V, გვ. 52—53; იქვე გვ. 61 და შემდეგი).

მიუხედავად ამისა კ. კეკელიძე იქ, სადაც იგი არ ეთანხმება ნიკო მარს პოემის წარმოშობის საკითხში, არწმუნებს დაინტერესებულთ, რომ ჩვენ პოემის სპარსულობის და მასთან ალეგორიულის ინტერპრეტაციის მომხრე ვართ?

აგრევე უსაფუძვლოდ გვისაუყვებურებს კ. კეკელიძე იმასაც, რომ ვითომც ჩვენ «ბარამ-გულანდამიანი» და «ბარამ-გულიჯანიანი», როგორც ასეთები, რუს-

¹ წინასიტყვაობა «ვისრამიანის» დაბეჭდვის გამო, გვ. VIII—IX.

² იხ. ქართ. ლიტ. ისტ. ტ. II, გვ. 119.

³ Ibid., გვ. 112 და 119.

თველის ნაწარმოების პროტოტიპად მიგვაჩნია. ასე, მაგ., შეუწყნარებლად მიგვაჩნია იუსტინე აბულაძის აზრიო, ამბობს იგი, რომ «ბარამგულიჯანიანს», ან «ბარამგულიჯანიანს», მოეხდინოს რაიმე გავლენა «ვეფხისტყაოსანზე»¹.

¹ კ. კეკელიძე. ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. II, გვ. 255 და 258—259. რომ «ვეფხისტყაოსანს» და «ბარამგულიჯანიანს» ეპიზოდებსა და მოთხრობის ხასიათს შორის მსგავსება და ნათესაობა რივი კავშირი არ უოფილიყო, მაშინ თვით ონანა არ იტყოდა:

«თქვიან, ბარამ გავს ტარიელს, არს აეთანდლის დარია,
გულიჯან ნესტან-დარეჯანს, თინათინ მინაგვარია» და სხვა.
(კ. კეკელიძე. Opus citat., გვ. 260, სტრ. 20).

აგრეთვე თუმცა გალექსილისა და პროზად შენახული «ბარამგულიჯანიანის» სპარსულ ორიგინალსა და ქართულ თარგმანებს შორის არ არსებობს არაფიითარი განსხვავება, მაგრამ ეს ეპიზოდების, კერძო სურათებისა და, საზოგადოდ, მოთხრობის ხასიათის მსგავსება აშკარად შეინიშნება ვეფხისტყაოსანსა და მათ შორის, და ჩვენც ხომ მეტს არას ვამბობთ; ნამეტურ დასახლებულ სიუჟეტთა ჩვენს ძეგლზე გავლენას შესახებ მე ერთს სიტყვასაც არ ვამბობ. მაგრამ თვით კ. კეკელიძეც შევნიშნავ ახასიათებს იმ ჩემ დასკვნებს, რომლებიც ამგვარი შედარებებიდან არის გამოტანილი, და არაფიითარი სიუჟეტის გავლენაზე საუბარი არა მაქვს (Opus citat., გვ. 112, სტრიქ. 7—16.). არა თუ ვამტიციებ მე ხსენებულ სიუჟეტთა გავლენას ჩვენს ძეგლზე, პირიქით, ყველგან, შედარებების საშუალებით, ვაშკარავებ ყველა იმ განმასხვავებელ თვისებას, რომელიც კი მოიპოვება «ვეფხისტყაოსანსა» და დასახლებულ ნიმუშებს შორის, იხ. 22-ე გამოცემის შესავალი, გვ. XXVI და XXIX.

საზოგადოდ, უნდა ვთქვათ, რომ კორნ. კეკელიძის ამ ჩვეულებრივ ნიჭიერად დაწერილ ტომში, — რომელიც ზედმეტად აშხელს კ. კეკელიძის იშვიათი მეცნიერული აპარტით აღჭურვილობას და მის თითქმის შუადარებელ ინტუიციას, ნამეტურ იმ შემთხვევებში, როდესაც იგი არკვევს წმინდა ბიბლიოგრაფიულ ცნობებს ავტორის პიროვნებისა და ამა თუ იმ ძეგლის დაწერის დროის შესახებ და ეხება ავტორის ცხოვრების და ძეგლის დაწერის წელთა დათარიღებას, — საგრძნობ დეფექტებსაც აქვს ადგილი; მათ შესახებ დაწერილებით აქვს მოთავსებული ცნობები სარგის კაკაბაძეს (იხ. შიკ რედაქციით დასტამებული საისტორიო მოამბე. 1925 წლის, წიგნი 1-ლი, გვ. 293—312). ამიტომ ამაზე სიტყვის გაგრძელებას მეტად ვთვლი. გარნა ვიტყვი, რომ ამ რეცენზიის ავტორი სარგის კაკაბაძე ერთს შემთხვევაში, როდესაც იგი უუქინებს კ. კეკელიძის სპარსულის უცოდინარობას, — რაც ამავე კაკაბაძის სიტყვით, «უხერხულ მდგომარეობაში აუყენებს კ. კეკელიძეს», — თვითვე ვარდება უხერხულ მდგომარეობაში, ამ მისივე სიტყვით რომა ვთქვათ, «სპარსულის ელემენტარულად მაინც უცოდინარობის გამო».

საჭიროდ ვრაცც მოვიყვანო აქვე ეს კურიოზული შემთხვევა. რომელიც მართლაც საუკეთესოდ ახასიათებს თვით სარგის კაკაბაძეს. მას მოტანილი აქვს ერთი «კურიოზული შემთხვევა» კ. კეკელიძის წიგნიდან, რომელიც მაინცდამაინც არც იმდენად კურიოზულია, რამდენადაც თვით კაკაბაძის მიერ აღძრული საკითხის ახსნა-განმარტებაა.

მაგრამ, სჯობს, თვით ს. კაკაბაძე ვალაპარაკოთ ამ ადგილის შესახებ (იხილ. ხს. რეცენზია, იქვე, გვერდი 310. სტრ. მე-3); იგი ამბობს: «აღენიშნავთ, მაგ., ერთ კურიოზულ შეცდომას: «ვისრამიანის» გარჩევისას და სხვაგანაც ავტორს ამ რომანის გმირის სახელი მოუყავს ვისოს-ფორმით (გვ. 64—76, კიდევ 121—123 და სხ.). ნამდვილად კი — ამ სახელის ქართული ფორმა არის ვისი (იხ. ქართული ვერსია). თუ საიდან მიიღო ავტორმა ვისო, ადვილი მისახვედრია: სპარსულად ამ რომანს სახელად ქვია ვის-ო-რამინ (Vis-i-Ramin), სადაც ო არის კავშირი და ვ (ვისი ვა რამინის), რადგანაც რუსულად (და სხვა ენებზედაც) ამ რომანის სახელს ხშირად ხსენებული სპარსული ფორმით იხსენიებენ, ამიტომ კ. კეკელიძეს ვისის სახელიც თავისებურად და სრულიად შეუწყნარებლად გადაუკეთებია».

რომ საესებით გამოვაშკარავოთ ამ ადგილის სრული სიყალბე, საჭიროდ ვრაცცთ გამოვარკვიოთ აქ აღნიშნული მოვლენის ხასიათი: საქმე ის არის, რომ სპარსულს ენაში კავშირის «და-ს აღნიშვნელი» ფაქტით, ანუ ნახევარ ხმოვანი ა-ნით, გამოითქმის «ვა-დ», მაგრამ მას აქვს დაკისრებული, კავშირის გარდა, სხვა ფუნქციაც. ანუ, უკეთ, როცა იგი აერთებს ორ სიტყვას ერთ ცნებად, იმ შემთხვევაში იგი გამოითქმის ო-დ და არა ვა-დ.

მაგალითისათვის მოვიტანოთ რთული რიცხვის სახელების შედგენის ნიმუში: ფრაზა «ოცა

კ. კეკელიძეს რომ სათანადო ყურადღება მიექცია ჩვენს ნაკვლევეში გამოთქმული აზრებისათვის, იგი დარწმუნდებოდა, რომ ჩვენ მიერ «ვეფხისტყაოსნის» არაკის შედარება «ბარამგულიჯანისა» და «ბარამგულანდამიანთან» მიმართული იყო იმ მიზნისაკენ, რომ აღგვენიშნა საერთო ნიშანდობლივი თვისებები, როგორც სიუჟეტის, ისე კერძო ეპიზოდების მხრით, «ვეფხისტყაოსნისა» და ყველა დასახელებულ სპარსულიდან ნათარგმნ ნიმუშებში, და გვეჩვენებინა დაინტერესებულთათვის, თუ რამდენად უახლოვდება და ენათესავება «ვეფხისტყაოსნის» არაკი ბარამიანის ტიპის დასახელებულ მოთხრობებს¹.

რატომ არ შეიძლება დაუშვათ, რომ ერთისა და იმავე ტიპის სპარსული საგმირო მოთხრობა გამოუყენებლოს თავიანთი ნაწარმოებების მასალად, როგორც რუსთველს, ისე ხსენებული ნიმუშების ავტორებს?

მხოლოდ მას, ვინც სპარსული ლიტერატურა იცის, ეს არ გაუკვირდება, რადგან სპარსული პოეზიის უბრწყინვალესი მნათობების უნსურის, ფირდოუსისა და ნიზამის მაგალითიც საქმარისია.

და ერთი იქნება ოც და ერთი». ეს სპარსულად იქნება: ბისტ ვა იაქ ბისტ-ო-იაქ მიშევედ, ე. ო. ოცი და ერთი იქნება ოცდართი; ამნაირად, ცხადია, რომ ფორმაში ბისტ ვა იაქ კავშირი ე ფათხით, ანუ მოკლე ა-ნის ნიშნით, წმინდა კავშირის როლს ასრულებს, ხოლო ფორმაში ბისტო იაქ ეგვეე კავშირი კარგავს თავის კავშირობრივ მნიშვნელობას და იქცევა შემაერთებელ ხმოვნად, და ამ უკანასკნელ შემთხვევაზე იგი ქმნის ორ სიტყვას ბისტ და იაქ-ს ერთ რთულ სიტყვად ბისტ-ო-იაქ, შეადარე ქართული ოცდართი.

ამგვარადვე ვისი და რამინი იქნება «ვის ვა რამინ», ხოლო «ვისრამიანი» — «ვის-ო-რამინ» (Wis-o-Ramin). აი სწორედ ამ უკანასკნელის ლათინური ტრანსკრიპციის მიხედვით, კ. კეკელიძეს «ვისრამიანი»-ის პირველ ნაწილად მიუღია ფორმა «ვისო» (ვის+ო), როგორც მზეთუნახავის ვისის სახელი, რითაც აიხსნება ჩვენი პატივცემული მეცნიერის ცდა შეიტანოს ვითომდა შესწორება მზეთუნახავის «ვისი»-ს სახელის ტრადიციით შენახული ფორმის წაკითხვაში. ს. კაკაბაძეს კი, რომელიც კ. კეკელიძეს უსაყვედურებს სპარსული ენის არ ცოდნას, თვითვე ვერ წარმოუდგენია ამგვარი: შეცდომის ნამდვილი მიზეზი: ასე, მაგალითად, როგორც ზემორემოტანილი მისი სიტყვებიდან ჩანს. მისი აზრით, აქ არის ჩვეულებრივ ხმარებული სპარსული კავშირი ვ (ვა). იხილე ნისი რეცენზია, საისტორ. მოამბე 1925 წ., წიგნი I, გვ. 310.

...კ. კეკელიძეს კი არ უშლიდა «სპარსულის ელემენტარულად შინც უცოდინარობაც» კი, რომ მოეწოდებინა ეს საუკეთესო სახელმძღვანელო ქართული საზოგადოებისათვის. მის ნიჟიერად დაწერილ ტომში ეს ზოგიერთი წერილმანი დეფექტი აიხსნება იმ გარემოებით, რომ კომპლაციურ შრომაში, სადაც საუცხოოდ დალაგებული და სისტემაში მოყვანილია აუარებელი საინტერესო მასალა, — თითქმის სავესებით ამოწურული, — ჩქარი მუშაობის დროს შეუძლებელი იყო ყველა ამის სათანადოდ შემოწმება. ამიტომაც აქ ვხვდებით ხშირად სხვისი ნაშრომებთან მტკიცებულ ვრცელად ამოწერილ ციტატებსა და ცნობებს, რომლებიც იმდენად სავესებით და უცვლელად არის შეტანილი ამ შინაარსიან ტომში, რომ ხშირად მეორდება აშკარა და ზოგჯერ თითქმის კორექტურული შეცდომებიც კი: ასე, მაგალითად, «ლეილ-მაჯუნეიანის» შინაარსის გადმოცემისას, იგი იმეორებს ა ლ. ხანაიაშვილის მიერ დაშვებულ შეცდომას (Очерки по истории, 111, 75). რომ ყუაისი გავდებულ იქმნა სახლიდან იმისთვის, რომ «ქებინის კითხვის დროს ლეილას დაუწყო კოცნაო», ნამდვილად კი ხელნაწერების მიხედვით, ყუაისმა ლეილას გოშიას დაუწყო კოცნაო (შეადარე გ. ჯაკობია «ლეილ-მაჯუნეიანის» ქართული ვერსიისათვის). «არილი», 160. შენ. იხ. აგრეთვე ცნობის შეუმოწმებლად მოყვანის მაგალითი მე-13 გვერდზე, ამოწერილი ჩვენი ნაშრომიდან «XII საუკ. ქართული საერ. მწერლ. და ვეფხისტყაოსანი», სახელგამის გან., საიდგანაც უცვლელად არის გადმოწერილი ჩვენი ცნობები ნ. მარის წერილზე «შაჰრიარ-ნამეს» შესახებ და გამეორებული ჩვენივე კორექტურული შეცდომაც «თეატრის» № 121 შესახებ, ნაცვლად № 12-სა, — ეს ჩვენ ნაჩვენებია გვაქვს კორექტურული შეცდომების გასწორებაში (ნახეთ Opus citat., გვ. 261) — რაც მოწმობს, რომ კ. კეკელიძეს გაზ. «თეატრის» ხსენებული წერილი არც უნახავს (იხ. Opus citat., გვ. 111).

¹ იხ. XII საუკ. ქართ. საერო მწერლობა და «ვეფხისტყაოსანი», გვ. 28—30. იქვე, გვ. 40.

ფირდოუსის «იუსუფოზულეჯასასა» და ნიზამის ცნობილ რომანებს თითოს 20-25-მდე სხვადასხვა მიმბაძველი ჰყავს. აგრეთვე ნ გამოჩენილი პოეტი ბაბაევ უნსურის «ვამიუ და აზრას» იმავე სპარსულს ლიტერატურაში¹.

ეს ფაქტები იმდენად დადასტურებულია, რომ ამას შეხვედებით სპარსული ლიტერატურის ისტორიის თითქმის ყოველ სახელმძღვანელოში.

ყველა ამ ფაქტებიდგან ცხადდება ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ ყოველი პოეტი თავისი ნაწარმოების ქარგად იღებდა ისეთ სიუჟეტს, ანუ ფაბულას (ანუ, უკეთ, ისეთი ზღაპრული ხასიათის თქმულებას), რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამებოდა მის სურვილსა და მიზანს, და ჩვენი შოთაც, რა თქმა უნდა, ასევე მოიქცა.

მანაც აიღო ერთ-ერთი მზამზარეული, ქართულ სინამდვილესთან შესისხლ-ხორცებული, ძველისძველი არაბულ-სპარსული სადევგმირო ამბავი, რომელიც ისეთი სრული რეალობით არის წარმოდგენილი პოემის მოთხრობაში, და აშკარად ენათესავება ზემორე დასახლებული ტიპის მოთხრობებს, და გამოიყენა იგი თავისი ქმნილების მასალად. იგი, შესაძლებელია, როგორც ამას ჩვენ ვამტკიცებდით, უკვე ძალზე შეცვლილი და გადაამხინჯებულიც ჩავარდნოდეს ხელში პოეტს, ამაზე მეტი ჩვენ არაფერი გვითქვამს შოთას ნაწარმოების არაქის სპარსულობის შესახებ, და გვიკვირს, რა არის აქ დაუჯერებელი, თუნდაც იმიტომ, რომ არაფერი «ვეფხისტყაოსნის» მსგავსი დღემდის არ აღმოჩენილა.

ხოლო აქ იმას უნდა მიექცეს ყურადღება, თუ რით არის ძლიერი პოეტი, ან რა განასხვავებს მას სხვა სპარსული შემოქმედების მსგავსივე ნიმუშებისაგან, და აქ კი, პირველ რიგში, ეძლევა მნიშვნელობა ისეთ ფაქტებს, როგორიცაა: ავტორის მსოფლმხედველობა, რომელსაც იგი იჩენს მის ნაწარმოებში გამოყვანილი შეუდარებელი ქალ-ვაჟის სიყვარულის გაიდეალების დროს, სიუჟეტის უეჭველი შეცვლა ქართული ლეგენდის გავლენის ქვეშ, ის შეუდარებელი მხატვრული ხელოვნება და მაღალი შემოქმედება, რომელსაც პოეტი იჩენს როგორც საერთოდ შინაარსის გარდაქმნა-დალაგებაში, ისე ჯადოსნური ლექსის შექმნაში, და ჩვენც სწორედ ყველა ამას ვაქცევთ მთელ ჩვენ ყურადღებას.

«ვეფხისტყაოსნის» 1926 წ. გამოცემა

¹ H. Eth. Neupersische Literatur, გვ. 230 და შემდეგი.

3 პ ა რ ი ა ნ ზ ე ბ ი

[შესავალი]

ჩვენ მიერ ტექსტის შესწორება აგებულია პრინციპზე, რომელიც გამომდინარეობს ვარიანტების შედარებითი შესწავლითგან.

ხელნაწერების შესწავლამ და ვარიანტების შედარებამ ჩვენთვის ცხადყო შემდეგი:

1. ფაქიზად შესრულებული ხელნაწერები, რომლებიც მეტის სისწორით და უცვლელად იცავენ ძეგლის ძირითადი ტექსტის ძველ სახეს და ენის ძველ ფორმებს, ამავე დროს ძალიან ცუდად კითხულობენ იმ ადგილებს, რომლების გაგებაც, ზოგიერთი რეალიების გამოურკვეველად, შეუძლებელია.

ეს მოვლენა, ჩვენი აზრით, აიხსნება იმით, რომ კალიგრაფებად და გადამწერლებად იყვენ მეფეების კარზე საგანგებოდ დანიშნული პირები, უმეტეს ნაწილად მეფის სწავლული მდივნები, რომლებსაც მინდობილი ჰქონდათ მეფეთაგან ყველა ვრცელი რედაქციის უცვლელად და უმეტესაქლებოდ გადაწერა. ამ გადაწერასთან ერთად მათვე ევალებოდათ, როგორც სწავლულებს, საუკუნეებით წარუენილი ადგილების შესწორება, მაგრამ რადგან მათ შესაფერი მომზადება და საჭირო სპეციალური ცოდნა არ ჰქონდათ პოემის ტექსტის შესასწავლად — სამეცნიერო სკოლის უქონლობის გამო, — ზშირად, ესა თუ ის ძველი და გაუგებარი ადგილი ამგვარ გადამწერლებს წარუენილი ეგონათ და ამიტომ ცვლიდენ და ასხვაფერებდენ მას ისე, როგორც მათ საჭიროდ მიაჩნდათ.

2. კერძოდ მომუშავე პირები კი, — რომლებიც პირადი საჭიროებისათვის იწერდენ მათგან პოენილ რედაქციებს, ანუ უკეთ, შემთხვევით წააწყდებოდენ პოემის ძველ ხელნაწერებს და დაინტერესებულნი მათი სიძველით, გადასწერდენ მათ, — პირიქით, გადაწერის დროს, თავის გემოზე ასხვაფერებდენ დედნის ენას, ანუ უკეთ, აახლებდენ ხელნაწერის ენას, რომ უფრო გასაგები გაეხადათ მკითხველთათვის. ძნელი და თავსატეხი ადგილებისთვის კი ნაკლებ იწუხებდენ თავს, რადგან ცოდნაც ნებას არ აძლევდა მათ შეესწორებინათ ეს ძნელი ადგილები.

ამნაირად შესაძლებელი ხდება, ხელნაწერების დასახელებულ განსხვავებათა მიხედვით, გ ა ვ უ ო თ მ ა თ ი გ ა დ ა მ წ ე რ ლ ე ბ ი და რ ე დ ა ქ ო რ ე ბ ი ო რ კ ა ტ ე გ ო რ ი ა დ :

პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ოფიციალურად მსახურნი — კარის მდივნები, ანუ ცნობილი კალიგრაფები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ფაქიზად და უცვლელად ხელნაწერის გადაწერა, ხოლო მეორეს—არა ოფიციალურად მსახურნი, ანუ შემთხვევითი გადამწერლები, რომლებიც სრულიად თავისუფალი იქმნებოდენ თავიანთ მოქმედებაში და, მამასადამე, იმ მიზნით, რომ უფრო ადვილგასაგები გაეხადათ ძეგლის ენა, თავის გემოზე ცვლიდენ და აახლებდენ ხელნაწერის ენას.

მაგრამ რადგან ამ უკანასკნელთა საქმე პოეტობა არ ყოფილა და არც ამისთვის შესაფერი ცოდნა და მომზადება ჰქონდათ, ამიტომ მათ უცვლელად დაუტოვებიათ ქნელი წასაკითხავი ადგილები. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ენის მხრივ სრულიად განახლებული და, მაშასადამე, დამახინჯებული ხელნაწერები, — როგორცაა ვრცელ რედაქციებთან შედარებით უფრო კერძოდ და დამოუკიდებლად შესრულებული №№ 4499 და 461 — წარმოადგენენ თავის სხვადასხვა ნაწილში ჰველისძველი რედაქციის სახეს, და ამიტომაც მეტის სისწორით იცავენ ძველის ძნელად გილებსაც.

ამიტომაც, ჩვენი აზრით, თუმცა ვახტანგის გამოცემულისა და №№ 757 და 54 და სხვა ფაქიზად შესრულებული ხელნაწერების გადამწერლები ძველი ენისა და ფორმების საუკეთესო დამცველები არიან, მაგრამ ამავე დროს, — რადგან ეს მათ დავალებული ჰქონდათ, — ისინი ასწორებენ და, მაშასადამე, რყვნიან იმ ძნელ წასაკითხავ ადგილებს, რომლების გასწორებაც არ შეეძლოთ მეორე კატეგორიის იმ შემთხვევით გადამწერლებს, რომლებსაც შეუცვლიათ და განუახლებიათ მხოლოდ საერთოდ პოემის ენა და მასთან ერთად ყველა ის ადგილი, რომლების გაგება არაერთარ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

ხოლო აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პირველი კატეგორიის გადამწერლებშიაც განიჩევიან ისეთები, რომლებიც სხვებზე უფრო ფაქიზად იწერენ და უცვლელად იცავენ ხელნაწერის ძველ სახეს, მაგრამ ხშირად ამათშიაც რომელიმე პოეტი და ფრიალ განსწავლული პიროვნება, რომელსაც შეეძლო ჩანართების შეთხზვაც, უფრო მეტ ნებას აძლევდა თავის თავს, შეესწორებინა და კიდევ შეეცსო ესა თუ ის ადგილი.

ასე, მაგალითად, ვახტანგის რედაქციის შემსრულებელი, ან პოეტი ბეგთაბეგ, და მეფის მდივანი მამუკა, რომელსაც გადმოუწერია 1646 წელს № 599 ხელნაწერი, უფრო ხშირად და მეტს ასწორებენ, ვიდრე № 757 ხელნაწერის სომეხი გადამწერელი, აღმურაანთ ბაღდასარას შვილი მუშრები გასპარა, რომელიც, როგორც ამას ხელნაწერის ხასიათი მოწმობს, ფრიალ დახელოვნებულ კალიგრაფი ყოფილა.

ყველა ამასთან ურადლებას იქცევს ის გარემოებაც, რომ დღემდის საყოველთაოდ ცნობილი ვახტანგის რედაქცია, რომელიც როგორც თავისი შედგენილობით, ისე ენის მხრივაც, ნდობას იწვევს¹, საესებით ადასტურებს პირველი კატეგორიის გადამწერელთაგან ნაანდერძევი ვარიანტების მეტ ნამდვილობას.

ყველა ამისდა მიხედვით, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ჩვენი ძველის ძირითადი ტექსტის საფუძვლად დაგვედვა პირველი კატეგორიის გადამწერელთაგან ფაქიზად შესრულებული ხელნაწერებით დაცულ ვარიანტებზე შემოწმებული ვახტანგისეულის რედაქციის ტექსტი, და მხოლოდ ზოგიერთი წარყენილი და ძნელი ადგილების წასაკითხავად მიგვემართნა მეორე კატეგორიის შემთხვევითისა და უპრეტენზიო გადამწერლების ნახელავ ხელნაწერთათვის.

აქვე ვურთავთ ტექსტის შესამოწმებლად საჭირო ვარიანტებსაც, რომლებიც აღნუსხულია ამ ახალი რედაქციის ტექსტის ხანებისა და ტაეპების ნუმერაციის თანახმად...².

¹ იხ. აქვე შესავალში ვახტანგ მე-VI გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია.

² გვ. 191—240 ვარიანტებს, აქ ვერ ვებუჯავთ. რედ.

«ვეფხისტყაოსნის» ტექსტის ჩაკვირება ჩვენ გვაძლევს ქართული ენის მეტისმეტად საინტერესო ფორმებს, რომლებსაც ქართული ენის ძველ ფორმათა ადგილისათვის უეჭველად დიდი და აუცილებელი მნიშვნელობა აქვს, და ეს ადგილი ასახსნელიც არის.

«ვეფხისტყაოსანი» თითქმის ერთადერთი ძეგლია მთელს ჩვენს ლიტერატურაში, სადაც მტიციედ არის დაცული, შოთას ნიჭიერი რითმისა და ლექსთწყობის მეოხებით, ესა თუ ის ნამდვილის ძველქართული ფორმის სიტყვა, თუ ცნება; პოეტი, თავისი ჯადოსნური ლექსის მოთხოვნილებისამებრ, სწორად ხმარობს მის თანამედროვე სასაუბრო ენაში ყოფილ ამ ჩვენთვის საინტერესო ფორმებს.

სამწუხაროდ, ჩვენთვის ბევრი რამ არის შეუმჩნეველი და დაფარული ამ ძვირფას ძეგლში, რადგან პოემის ტექსტი სრულიად იმ სახით, რა სახითაც ეს ჩვენთვის სასურველია, ჩვენამდი არ მოსულა. ეს გარემოება გვაძლავს მივმართოთ პოემის იმ ხელნაწერებს, რომლებიც უხვად მოიპოვება ჩვენს საგანძურებში.

ხელნაწერებში შენახული (დაცული) სხვადასხვა ვარიანტების დეტალურმა შესწავლამ და კვლევა-ძიებამ ჩვენთვის ცხადყო, რომ ვახტანგისეული ტრადიციული ტექსტის ზოგიერთი სიტყვა პირდაპირ შეუწყუნარებელია, რაც აშკარა გაუგებრობას იწვევს, მაგრამ ამასთანავე ირკვევა, რომ ეგვე ვახტანგის ტექსტი თავისი წარყვნილი ადგილებით ბევრად ახლო დგას პირველ წყაროზე, და მის ტექსტზე დამყარებით ამა თუ იმ ადგილის შესწორება იძლევა ბევრად მეტ სასურველ შედეგს პოემის ტექსტის შესწორების საქმეში, ვიდრე დანარჩენის ხელნაწერების ვარიანტები. სოლო ყველა ეს ცხადი ხდება ჩვენს საგანძურებში არსებული ხელნაწერებით დაცული ვარიანტების ამა თუ იმ გაუგებარი ადგილის ვახტანგის რედაქციის ამავე ადგილებთან შედარებითგან, ერთის მხრით, ხოლო რუსთველის ჯადოსნური რითმის მოთხოვნილებით ნაკარნახევი ამავე ფორმების შესწავლითგან, მეორეს მხრით.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მე საჭიროდ ვცნობ წარმოგიდგინოთ ღღეს ორი გაუგებარი ადგილი «ვეფხისტყაოსანში», რომლებიც ვახტანგის ტრადიციული ტექსტის მიხედვით, გაუგებარი, ანუ, უკეთ, აზრი მათი მეტისმეტად ბუნდოვანი იყო.

ავიღოთ, მაგალითად, 576 [565] ხანა ისე, როგორც ეს წარმოდგენილია ვახტანგისეულ ტრადიციულ ტექსტში, სადაც ფრიდონ მეფე ანუგეშებს ტარიელს იმით, რომ ჩემს ქალაქში ადვილია გაგება შენი დამწველის, ე. ი. ნესტან-დარეჯანის, ამბისაო.

«ესე ქალაქი გზა არის ნავთა, ყოველგნით მავალთა,
შემომკრეფელი ამბავთა უცხოთა რათმე მრავალთა;
აქა მოგვესმის წამალი, შენ რომე დაუწვეავ ალთა,
და ნუთუ ქნას ღმერთმან გარდასვლა მაგაა ჭირთა და ვალთა».

(543 [637]).

აქ ყურადღებას იქცევს თავის უცნაურობით, ანუ, უკეთ, გაუგებრობით, ამ ხანის მეოთხე და უკანასკნელი ტაეპი; ის ჩვენც ამგვარადვე გვაქვს ჩვენ მიერ გამოცემულ ტექსტში, რადგან მაშინ ჩვენ მეტ ნდობას ვუცხადებდით საერ-

¹ წაკითხული იყო სენათმეცნიერო საზოგადოების მორიგ სხდომაზე 1925 წ. ივნისში.

ათად ვახტანგისეული რედაქციის წაკითხვებს, მაგრამ, შემდეგი დროის დაკვირვებამ ჩვენთვის ცხადყო, რომ ვახტანგის რედაქციაში ამ ხანის მეოთხე ტაეპი, როგორც მრავალი სხვაც, წარყენილი უნდა ყოფილიყო; ასე, მაგ., სხვა ვარიანტების ამ ადგილთან შედარებითგან ცხადი ხდება, რომ ეს ტაეპი ვახტანგის რედაქციაში საგრძნობლად წარყენილა და შეცვლილა. მაგრამ, სჯობს, აქვე მოვიტანოთ, ვახტანგის ვარიანტთან ერთად, სხვა ხელნაწერთა ვარიანტებიც:

ვახტ.: «ნუთუ ქმნას ღმერთმან გარდასვლა მამაა ჭირთა და ვალთა».

№ 757 «გარდასვლა მამაა ჭირთა და ვალთა».

№ 2829 «გარდაჯდა მამაა ჭირთა მრავალთა».

№ 4499 . «მამა ჭირთა და დავალთა».

ახლა რომ ჩაუყვირდეთ აქ წარმოდგენილ ვარიანტებს, ჩვენ დავინახავთ, რომ პირველს, ე. ი. ვახტანგისეული რედაქციის ვარიანტში ურადღებას იქცევს, თავისი უცნაურობით, სიტყვა «მამაა», სადაც ა-ნი მიმატებული უნდა იყოს რითმის მარცვლის შესავსებად, ამასთანავე აქ ხმარებული ორი სიტყვა ერთიმეორის გვერდით, ჭირთა და ვალთა, ვერ არის მოხდენილად ნათქვამი; ამას გარდა, მთელი წაკითხვა «გარდასვლა მამაა ჭირთა და ვალთა» აგრევე სტილის მხრივ სრულიად შეუწყნარებელია: «ნუთუ ქმნას ღმერთმან მამა ჭირთა და ვალთა გარდასულაო» და სხვა ამგვარი უშნო თქმა რუსთველის ენისთვის ჩვენ სრულიად შეუფერებლად მიგვაჩნია.

შემდეგ ვარიანტს, რომელიც წარმოდგენილია ფაქიზად და საუკეთესოდ შესრულებული ვრცელი XVII საუკუნის 70-იანი წლების ხელნაწერით (№ 757) ძალიან ცოტა ცვლილება შეაქვს ვახტანგის რედაქციის წაკითხვაში, იგი მხოლოდ ცვლის უცნაურსა და უხეირო წაკითხვას «მამაა» სიტყვით აგრეთვე უხეიროთი «ამამათი»; დანარჩენს კი ტოვებს უცვლელად.

შემდეგი № 2829 ხელნაწერის ვარიანტით [ეს ის ხელნაწერია, რომელსაც პირველად მიაქცია დაინტერესებულთა ურადღება სარგის კაკაბაძემ, მაგრამ, სამწუხაროდ, თვით ვერ გამოიყენა სათანადოდ ეს, მართლაც საინტერესო ხელნაწერი, თავის საინტერესო ექსკურსის მოხდენის დროს რუსთველის პიროვნების და ცხოვრების დროის საკითხში]. ზოგი სტროფის სტილი რამდენადმე უმჯობესდება, რადგან გარდასულა-ს მაგივრად იქ ჩნდება გარდაჯდა, რომელიც უფრო შეჰფერის სიტყვას «ჭირთა» და, თუ გნებავთ, «ვალთაც», მაგრამ ეს უკანასკნელი «ვალთა» იქ მახვილგონიერად არის გადაკეთებული სიტყვად «მრავალთა» და ამნაირად წაკითხვა «ამამაა ჭირთა მრავალთა» ბევრად უფრო ბუნებრივ ხასიათს ღებულობს. ამ უკანასკნელი სახით ასწორებს ამ ადგილს თითქმის ყველა მრავლისაგან უმრავლესი ხელნაწერის ვარიანტი, და იძულებული ვიქმნებოდით, მიგველო ეს უკანასკნელი უფრო სწორ და საბოლოო წაკითხვად, რომ შემთხვევით არ გადარჩენილიყო, ერთი ხელნაწერის ვარიანტის წყალობით, ამ ადგილის სწორი წაკითხვა, რომლითაც ქართულის ენის ლექსიკონი იძენს ერთ ახალ დღემდის უცნობს და, მაშასადამე, მისთვის გაუგებარ სიტყვას «დავალს», სახელდობრ, XVII საუკუნის № 4499 ხელნაწერით ეს ადგილი ასე იკითხება:

«ნუთუ ქმნას ღმერთმან გარდაჯდა მამა ჭირთა და დავალთა».

ამჟამად, უკვე ვახტანგის რედაქციისა და მის შემდეგი დროის ხელნაწერთა კოპისტებს აღარ ესმოდათ მნიშვნელობა სიტყვის «დავალი», ანუ «დავალთა»,

რის გამოც იგი გადაუკეთებიათ სიტყვით «და ვალთა», ე. ი. და ვალების, ხოლო, ამ ადგილის დამახინჯებასთან ერთად, მსგავსმა გადასხვაფერებამ გამოიწვია რითმის დაკოჭლება ერთი მარცვლის და-ს დაკარგვით, რომელიც თავში მოაკვეცეს სიტყვას დავალთა. როგორ მოქცეულა ამ შემთხვევაში კოპისტი? მას წაუმატებია სიტყვისთვის შავა კიდევ მეორე და უკანასკნელი ა-ნი და მოუცია წაკითხვა «მაგაა ჭირთა და ვალთა».

მაგრამ აქ თქვენ ძალაუწებურად იკითხავთ, თუ რა საბუთია იმისა, რომ აქ არის სიტყვა «დავალი» და არა «ვალთა», როგორც ეს ვახტანგისა და სხვა რედაქციებშია, ან რას უნდა ნიშნავდეს აქ სიტყვა «დავალი»?

აქ რომ «დავალთა» არის და არა «ვალთა», ამას საუკეთესოდ ადასტურებს მეორე ადგილი ამავე «ვეფხისტყაოსნითგან», რომელიც ჩემი აზრით, ამგვარადვე სისწორით არის წარმოდგენილი უკვე არა № 4499 ხელნაწერის, არამედ № 2829 ხელნაწერის ვარიანტით.

ამ ადგილს ვახტანგისეული რედაქციისა და სხვა ხელნაწერთა ვარიანტები (და მათ შორის № 4499), საერთოდ ამ სახით კითხულობენ:

და მაშინ დავიწყე გარდაჯდა სოფლისა ლხინთა და ვალთაო!.. დასახელებული № 2829 კი მას ასე კითხულობს:

«და მაშინ დავიწყე გარდაჯდა მე საწუთროსა დავალთაო».

ხოლო ჩვენი დაკვირვებით—ეს ხელნაწერები №№ 2829 და 4499 წარმოადგენენ ორი სხვადასხვა კოპისტის გადმონაწერებს ერთისა და იმავე რედაქციითგან; სრულიად შემთხვევით ერთს, — ერთ შემთხვევაში, ხოლო მეორეს, მეორეში, გადაურჩენიათ ჩვენთვის ეს დღემდის სრულიად უცნობი და, მაშასადამე, გაუგებარი სიტყვა «დავალი».

რას ნიშნავს დავალი?

დავალი (ძირი არაბ. دال — დალ) არაბულ-სპარსული სიტყვაა (და არა არაბული ზავალ, როგორც ჩვენ ეს გვეგონა; იხ. ჩვენი, შესწ. და შენიშვნანი «ვეფხტყუ». 22-ე გამოცემის შესახებ) და ნიშნავს სიცრუეს, ტყუილს, მატყუარობას, ლალატს, სოფლის გამწირაობას, სიმუხთლეს, და, მაშასადამე, ტაეპი: «ნუ თუ ქმნას ღმერთმან გარდაჯდა მაგა ჭირთა და დავალთა» ნიშნავს—იქნება ღმერთმან ინებოს მაგა ჭირთა და სოფლის სიცრუეთა (გამწირაობათა) გარდასულა, ანუ ბოლოს მოღება-ო, და, მაშასადამე, მთელი ეს ტაეპი ასე უნდა წავეკითხოთ: «ნუ თუ ქმნას ღმერთმან გარდასულა მაგა ჭირთა და დავალთა».

ეტყობა, რომ, ეს ხანა, თუმცა საგრძნობლად დაზიანებულია, მაგრამ ვახტანგის რედაქციას მაინც კიდევ შერჩენია უძველესის წაკითხვის კვალი, რადგან ის აქ კითხულობს გარდასვლა-ს, და არა გარდაჯდა-ს, ხოლო ამ ადგილს უფრო შებენურის სიტყვა «გარდასულა», ვიდრე «გარდაჯდა», რადგან თავისთავად ცხადია, რომ თქმაზე «სიცრუეთა გარდაჯდა», ეს მეორე «სიცრუეთა გარდასულა», ე. ი. «სიცრუეთა ბოლოს მოღება», უფრო გასაგებია. მეორე შემთხვევაში კი უფრო მისაღებია № 2829 წაკითხვა:

«მაშინ დავიწყე გარდაჯდა მე საწუთროსა დავალთა».

რაც ნიშნავს: «მაშინ დავიწყე გარდასდა ამსოფლიურ სიცრუეთა (ანუ ორპირობათა, გამწირაობათა-ო), და არა უაზრო წაკითხვა: «და მაშინ დავიწყე გარდაჯდა სოფლისა ლხინთა და ვალთა»-ო, სადაც სრულიად უადგილოა, როგორც «ლხინთა», ისე «ვალთას» ხმარება.

ამნაირად, პომის ხელნაწერების ვარიანტთა ვახტანგის რედაქციის ვარიანტთან შედარების ნიადაგზე შესაძლებელი გახდა დღემდის ამ სრულიად გაუგებარი არაბ.-სპარსული სიტყვის «დავალი»-ს აღდგენა, რომელიც სრულიად უკვალოდ უნდა დაკარგულიყო, რომ შემთხვევით არ გადაერჩინა ჩვენთვის თავდაპირველი მისი წაკითხვა ერთი და იმავე დედნითგან გადმოწერილი № 4499 და № 2829 ხელნაწერებს.

მაგრამ ჩვენ ამჟამად კიდევ უფრო გვანტერესებს «ვეფხისტყაოსანში» დღემდის მეორე გაუგებარი, ანუ, უკეთ, დაუსაბუთებლად შეკეთებული ადგილი, სადაც ჩვენ ვხვდებით, ანუ, უკეთ, შემთხვევით ვაწყდებით, ერთ დღემდის გაუგებარ სიტყვას. იგი განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივ, რომ მასში დაცულია უძველესი ქართული ენის იშვიათი ფორმა, გრამატიკულად წარმოებული უარყოფითი პრეფიქსის უ-ნისა და აწმყო დროის მესამე პირისაგან.

ეს ის ადგილია, სადაც მოგზაურობითგან არაბეთს შემობრუნებული ავთანდილი — უკვე ძღვეამოსილი გმირი რაინდი, — პირნათლად შემსრულებელი თავისი აღთქმა-დაპირებისა სატრფოს წინაშე, — კვლავ წარდგება თავის პორფიროსანი სატრფოს წინაშე და მოკლედ, მაგრამ ჯადოსნური სიტყვებით აუწერს მას ვეფხისტყაოსნის ვინაობასა და თავგადასავალს და თანაც გაუცხადებს თავის მტკიცე გადაწყვეტილებას, შესწიროს თავისი თავი ძმადფიცს, რომლისთვისაც მას «მზე შეუფიცავს თავისა, მისგან მზედ სახედავისა», ე. ი. თავისი საფიცარი თინათინისა.

ამაზე თინათინი ასეთ პასუხს აძლევს თავის მიჯნურს:

«შენ არ გატეხა კარგი გჯირს ზენაარისა ფიცისა,
ჯამს გასრულება მოყურისა სიყუარულისა მტკიცისა,
ძ ე ბ ნ ა წ ა მ ლ ი ს ა მ ი ს ი ს ა ც ო დ ნ ა ჯ ა მ ს უ ი ი ც ი ს ა ,
და ჩემი თქვი, რა ვქმნა ბედ-ქმნილმან, მზე მიმეფაროს მი ცისა?!».

(601[706])

ამ ხანაში უურადლებას იქცევს თავისი უცნაურობით მესამე ტაეპში ხმარებული სიტყვა «უიიცისა», სადაც მთელი ეს ტაეპი, ვახტანგის რედაქციის ვარიანტით. ასე იკითხება: «ძებნა წამლისა მისისა — ცოდნა ჯამს უიიცისა», მაგრამ ამ ადგილის სათანადო წაკითხვისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, აქვე წარმოვადგინოთ ყველა საუურადლებო ვარიანტი, რომლებსაც იძლევიან სხვადასხვა ხელნაწერები:

ვასტ. — ძებნა წამლისა მისისა — ცოდნა ჯამს უიიცისა,
№ 575 „ და ცოდნა ჯამს უვიცისა,
№ 2829 „ „ ცოდნა ჯამს არ უვიცისა,
№ № 4499, 1117 და 461 ცოდნა ჯამს მართ უვიცისა,
№ 599 ცოდნა ჯამს მართ უვიცისა.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ აქ ვახტანგისეული რედაქცია, მიუხედავად იმისა, რომ ისიც საგრძნობლად დაზიანებულია, ბევრად უფრო ახლოა პირველ დედანთან. სახელდობრ, ამ შემთხვევაშიაც ვახტანგისეული რედაქციის ვარიანტის ორი ი-ნი ერთიმეორის გვერდით პრეფიქსის უ-ნის შემდეგ, გამოწვეულია იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც იმ ტაეპში, რომელიც ჩვენ ზემორე განვიხილეთ, ანუ, უკეთ რომა ვთქვათ, აქ «უიიცისაში» ორი ი-ნის არსებობა იმგვარადვე უნდა აიხსნას, როგორც წინა შემთხვევაში «მაგაას» ორი ა-ნი. მაშასადამე, ცხადია ის, რომ აქაც გადამწერს უნდა გამორჩენოდეს ამ ტაეპის ერთ-ერთი მარცვალი, რის გამო რით-

მაც დაკოჭლებულა და საჭირო გამხდარა მისი ამ სახით, ე. ი. მეორე ი-ნით, შევსება.

ასე თუ ისე, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ აქ ჩვენა გვაქვს ფორმა «უიცისა» და არა უიცისა, რადგან ეს უკანასკნელი ფორმა არას შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებულ იქმნას, მაშინ როდესაც უიცისა არის წარმოებული უ-ნისაგან, ერთი მხრით, და, მეორეს მხრით, აწმყო დროის მესამე პირის ფორმისაგან იცის, ე. ი. უიცის, აღნიშნავს: «ის ვინც არ იცის», ანუ, უკეთ, უმეცარს. ამიტომ აქ, ჩვენი აზრით, ჩვენ უნდა გვექონდეს ერთ-ერთი პრიმიტიული ფორმა, იმგვარისავე წარმოების, როგორცაა უ ა რ ი ს, ან უარი, რომელიც აღნიშნავს რისამე არ ცნობას (=უ-არის), ასე რომ უ-იცის სრულიად იმგვარისავე კონსტრუქციის უხსოვარი დროის ქართული სიტყვაა, როგორისაც უ ა რ ი.

დღეს, როგორც ვიცით, ამავე მნიშვნელობით, ჩვენში საყოველთაოდ იხმარება ფორმა უ ვ ი ც ი, და არა უ ი ც ი, და ასევე ესმოდათ იგი აღორძინების დროის კოპისტებსაც, რომელთაც ამ სახით შეცვალეს, ანუ, უკეთ, წარყენეს ეს ადგილი, რომლის კვალსაც ძველისძველ რედაქციის ვახტანგისეული პირი იცავს დაახლოებით უფრო სწორად, ვიდრე ყველა სხვა ხელნაწერის ვარიანტი. ფორმით «უ ი ც ი ს ა» (= შეცდომით უიცისა) ფორმა უიცი-საგან, რა თქმა უნდა, შემდეგში გავითარდა, სრულიად ბუნებრივად ფორმა უვიცი ისევე, როგორც იწროსაგან ვიწრო, რადგან ქართულ ენას, ისე, როგორც ზოგ სხვა ენასაც, უყვარს რთული ხმოვნების ვო-სა და ვ-ის ხმარება ყველა იმ შემთხვევაში, როცა სიტყვა იწყება ხმოვნებით ო-ნით და ი-ნით ან როდესაც სიტყვის დასაწყისში მათ წინაშედეს ხმოვანი უ-ნი—ან მიირთავს თავში რომელსამე ხმოვანს.

ასე მაგალითად:

იდაყვის ნაცვლად გვაქვს იმერული ნიდაყვი, ან მიდაყვი.

იწრო—ვიწრო.

ორი—ვორი.

ოთხი—ვოთხი.

ოხერი—ვოხერი.

ორმო—ვორმო.

და მაშასადამე, ამ ჩვენ მიერ აღნიშნულ შემთხვევაშიაც სრულიად ბუნებრივად დაიჭირა «უიცისას» ადგილი ფორმამ «უვიცისა».

მაგრამ ვახტანგის ვარიანტი, როგორც ზემორე იყო ნაჩვენები, კითხულობს «უიცისას» ნაცვლად, «უვიცისას», ე. ი. ურთავს კიდევ მეორესა და ზედმეტ ი-ნს, რადგან ეს, ჩვენი აზრით, გამოწვეულია, წარყენილი სიტყვის სავესებით ვერ აღდგენის გამო, მარცვლის დაკლებით და რითმის დაკოჭლებით. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა ფორმით უნდა ყოფილიყო ეს სიტყვა უიცისა?

როგორც ვიცით, შოთას უყვარს უარყოფისა, მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა, და იმავე დროს, შედარებისა და აღმატების ხარისხების აღმნიშვნელის უ-ნის ხმარება ლექსის მარცვლის შესავსებად: ასე, მაგ., მის პოემაში ვხვდებით ისეთ ორმაგ უ-ნიან ფორმებს, როგორცაა: «უუბარი», «გაუუმეცარდა»; ეს ორი შემთხვევა ორი ცალცალკე მნიშვნელობის უ-ნ პრეფიქსის ხმარების მაგალითს წარმოგვიდგენს; 1-ლი უუბარი ნიშნავს პასუხის, ან ხმის მეტის-მეტად გაუცემლადა მყოფს (უბარი—უზრახი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ვისმე ხმა არ გასცეს, პასუხის ღირსი არ გახადოს და, ამ მიზნით, მუნჯად ეჭიროს თავი); მე-2

მაგალითი «გაუუმეცარდა» წარმოადგენს მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის მნიშვნელობით უ-ნ ნაწილაკის ხმარებას.

ეს ჩვენთვის საინტერესო უიციისაც უნდა წარმომდგარიყოს ორ-უნიახი ფორმის უიციისა-ს წარუენისაგან, რადგან ეს ხალხური ფორმა, რომელიც ჩვეულებრივი იქნებოდა პოეტისთვის, შემდეგში დაფიქსდა ისევე, როგორც ბევრი სხვაც ძველად ხმარებული და ახალი ენისთვის უჩვეულო ფორმები. ფორმა უიცი კი უნდა ნიშნავდეს მეცნიერს, გაგებულს, ბრძენს, არა ხელს, და მაშასადამე, აქ პოეტს პრეფიქსი უ-ნი გამოუყენებია მესამე განსაკუთრებული შემთხვევისთვის, ანუ, უკეთ, ამ მესამე შემთხვევაში ჩვენ გვაქვს უარყოფითი ნაწილაკის უ-ნის ხმარების მაგალითი.

მაშასადამე, ჩვენთვის საინტერესო ამ 601 ხანის მესამე ტაეპი უნდა წაკითხულ იქნას ამ სახით:

«ძებნა წამლისა მისისა ცოდნა ჯამს უიციისა»,

მისი წამლის ძებნა და ცოდნა მართებს მეცნიერს, ბრძენს, ანუ არა ხელს-ო. მართლაც, ვახტანგის ვარიანტით, ჩვენ გვაქვს ფორმები უიცი (ორჯერ: 434,4 [523] და 601, 3) და უიციარი, 1286, 3 [1448], რომლებსაც დანარჩენი ვარიანტები ურთავენ ვ-ს და კითხულობენ უეიცს და უეიცარს.

ამნაირად ჩვენ ვახერხებთ, ხელნაწერების შემოწმების საშუალებით, საუკუნეებით ნაანდერძივი დაღუპული ადგილების აღდგენას «ვეფხისტყაოსანში», რაც ასე შესაძლებელია პოემის ხელნაწერების სხვადასხვა ვარიანტთა ვახტანგისეული რედაქციის ამა თუ იმ ვარიანტთან შედარების ნიადაგზე. ამ ძნელი და გაუგებარი, ანუ, უკეთ, თითქმის ნახევრად შენახული, როგორც ნასესხები, ისე ნამდვილი ძველქართული სიტყვების აღდგენას ქართული ენის ზოგიერთი ძველისძველი ფორმების აღდგენისათვის მეტისმეტად დიდი და უცილობელი მნიშვნელობა აქვს, და ამ ჩვენ მიერ წარმოდგენილ შემთხვევებშიაც ჩვენ მოვახერხეთ გადაგვეჩინა ორი ჩვენს ენაში ძველად ხმარებული სიტყვა არაბ.-სპარსული «დავალი» და ძველქართული უ ი ც ი, და მისგან წარმოებული უ უ ი ც ი.

ჩემ მიერ აღდგენილი ადგილები

[აღდგენილი] სიტყვები:

ჩ ვ ე ნ ი მ ე-2 გამ.-26 გამ:
მარის აღდგენილი (H. Mapp, TP, XII) და კალმად ნაი რხეული, IV, 3:—ჩვენით მ ე ნ ა რ ხ ე უ ლ ი.
გ ა წ ლ ო ბ ი ლ ი, 836, 4[962]. გაწერილებული, გაღეული, გამხდარი.
გ უ კ ა რ ი, 1039, 1(1178). მარგალიტი, თვალი.
და ვ ა ლ ი, 278,4; 543,4 [361, 637]. არაბ.-სპარ. ლალატი, გამწირაობა.
დი ლ 05,3 [1669], იხ. აქვე ლექსიკონში.
მ ე მ ა ს რ უ ლ ს ა, 707,3 [823]. მე მას როგორსა — აღტაცების ლექსია.

კარიჭ. 1-ლი გამ.:

მ ი ნ ა რ ხ ე უ ლ ი, 4,3.

გაწყობილი, 942,4.

გვარი, 1156,1.

ლ ხ ი ნ ი და ვ ა ლ ი, 343.

დი ლ ა რ გ ე თ, 1576,3.

მეორე გამ. მე მ ა ს რ უ ლ ს ა, იხ. კარიჭ. ლექსიკონში მემარული, 804. სასიამოვნო.

ნ ი შ ა გ ი, 1283,3 [1445]. სპარ. სამუსიკო
საკრავი: დუდუკი, იხ. ნიში.

ნ ი შ ი, 257,2 [334]. დუდუკი, სალამური,
მეტ. მხიარულობა: ლხინი.

შ ე რ ი, III,3.—განთქმული, სანაქებო,
რჩეული, იხ. აგრეთვე საბას ლექს.

რ უ ლ ნ ი, 612,4 [720]. შეცდომით სრულნი:
მომღერალნი იუვენენო, ე. ი. ახ, რა მომღერალ-
ნი იუვენენო!... აღტაცების გამოთქმაა.

ნ. მ ა რ ი ს მიერ აღდგენილი იყო სარატანი,
ხოლო ჩვენა გვაქვს (№ 2829 თანახმად) ს ა -
რ ა თ ა ნ ი ან სარატანი, 1182,3 [1328]. მაისის
ზოდიაქო; კირჩხიბი, კობო.

ს ი ტ ყ ე ა ს ა ლ ბ ი ლ ს ა, V.

უ უ ე ც ი. 501,3 [706] მეცნიერი, გაგებული
ადამიანი.

ნიში, 323.ქეიფი, აგრეთ-
ვე სწორია.

მ ი შ ი, ე რ ი, 3,3.

ს ა რ ო ს ტ ა ნ ი ს ა,
1304,3.

ტ უ ვ ი ი ს ა ლ ბ ი ლ ს ა,
1304, 3.

უ ი ი ც ი ს ა, 688,4. მე-
ორე გამ. — არ უეიცისა.

[აღდგენილი] წინადადებები

- VIII, 1. «მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა, ამაღ არი»; «ამაღ არი» ე. ი. ამ მიზეზით, ჩვენ ვკითხულობთ ასე, იმიტომ, რომ ჩვენ ეს «ამაღ არი» მიგვაჩნია, საზოგადოდ, «ვეფხისტყაოსანში» ხალხურის ენის თანახმად, ფრაზაში სიტყვების ჩვეულებრივ დართვად, ანუ წამატებად (იხ. ენის ხალხურობა).
- X, 4. «სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა», ჩვენ ვასწორებთ ამ სახით, ტრადიციული წაკითხვის: ...«ლამის ლექსთა უნდა ლეენა»-ს წინააღმდეგ.
- XI, 4. «არცა ვისგან დაეწუნოს» (ნ. ი. მართი), ვახტ. «დაიწუნოს».
- XIII, 3. «მართ აგრეთვე მელექსესა საუბართა ტკბილთა ფრქვევა», ვახტ.: «მართ აგრეთვე მელექსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა».
- XIX, 1. «მას ვაქებ, ვინცა მიქია», მართი კი — «ვინ ცამ იქია».
- XX, 4. «ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა», ვახტ. — «ვინცა ეცდების თმობათა. ჰქონდეს მრავალთა წყენათა». კარიჭ.: «ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდეს»
- XXII, 4. — «და კელა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედან ფრფენითა», ვახტ. და კარიჭ. «კეკლუცთა ზედან ფრენითა».
- XXIII, 2. — «სიბრძნე, სიმდაბლე, სიუხვე»,... ვახტ. და კარიჭ. — «სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე».
- XXVI, 2. — «სთმობდეს გაურისა თმობასა», აკად. მ ა რ ი თ კ ი — «სთმობდეს გაურისა ლმობასა»...
- XXVII, 2.... «ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა», ვახტ. და კარიჭ. — ...«ნიადაგმცა ჰქონდეს ხალვა».

XXIX, 2. «ამის მეტი რამცა ირგო»... ვახტ. და კარიჯ.—ამის მეტი რამცა ირგოს. იქვე, 3: რათამცაღა ასახელა... ვახტ. და კარიჯ.—რათამცაღა ასახელოს

108,3 [157] მე ნუთუმცა შემოვბრუნდი, ვახტ. — მე ნუთუმცა შემოვბრუნდე!

162,4 [223]. «კვლა ნუთუმცა შემოვიქეც»; ვახტ. და კარიჯ. — «კვლა ნუთუმცა შემოვიქეცე».

880,3 (1011). «თვით ორნივე ერთგან დასხდეს, ვინმცა ვით თქვა ქება მათი». ვახტ. და კარიჯ. — «თვით ორნივე ერთგან დასხდეს, ვინცა ვინ თქვას ქება მათი».

«ვეფხისტყაოსნის» 1926 წ. გამოცემიდან.

პოემის ენის ხალხობა

რითმისა და ლექსთწყობის საჭიროებით არის გამოწვეული პოეტის მიერ ხშირად ხმარებული აუარებელი ხელოვნური ფორმა, ანუ, უკეთ, *licentia poetica*. ამგვარ შემთხვევებში პოეტი უხვად სარგებლობს ხალხურის ენის უკვე ჩვენ მიერ აღნიშნული თვისებებით, რომლებიც მდგომარეობს ერთისა და იმავე სიტყვის, ნაწილაკის ან პრეფიქსის, ნაცვალსახელის, გულითნასროლის (შორისდებულის), უარყოფითი კავშირების და სხვათა განმეორებაში.

მაგრამ პოეტი ხალხურის ენის მხოლოდ ზემოხსენებული თვისებებით როდი კმაყოფილდება. იგი ლექსისთვის ხშირად ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა ფორმით ხმარობს (რულად, რულად, რულსა და სხვა), ხან ამოკლებს, ხანაც ავრცელებს (რული, რებული, ცხელი, ცხებული), ხან ჩაურთავს სიტყვის ამა თუ იმ ფორმაში ზედმეტ სუფიქსებს, ან პრეფიქსებს (შენართაულად, დასადრეჯილო) ან აწარმოებს სხვადასხვა ენის ნაწილისაგან მოქმედებითი სახელის ფორმებს (ბროლდა, სათდა, გასისხლმდინარდა, გაკიდევანდა, უშვიდეთ, ურვეთ, იასოცნეს, აერთხელეს, აათასეს, ვება, ვებული, ივაგლახვიან), და კერძოდ არსის სახელისაგან — შედარებითსა და აღმატებით ხარისხებს (დესი, უმოყერესი) სწორედ ისე, როგორც ეს სჩვევია კლასიკურ ენებს (ლათინურსა და სხვებს). ყოველივე ამას გარდა, პოეტს მეტისმეტად უყვარს პირდაპირ ამოჩენება ზოგიერთი სიტყვისა, ნამეტურ რიცხვით სახელებისა (შეიდი, რვა, ცხრა, უშვიდეთ, ურვეთ) და გულითნასროლთა (ვა, ვასა, ვისა, ვებული, იშისა, ახისა), აგრეთვე ტანთან შედარება სიტყვის «ხე». ამასთანავე, იმ მიზნით, რომ რითმაც მოხდენილი გამოვიდეს, და მოკლედ და ცოცხლადაც გამოხატოს თავისი სათქმელი, პოეტი ხშირად მიმართავს განცვიფრების გამომხატველ კითხვითს წინადადებებს და ამ შემთხვევაში ის მეტისმეტად ხშირად ხმარობს, რითმის დასაბოლოებლად, ნაცვალსახელებს «რა და ვინ» თითქმის ყველა ბრუნვაში.

ზემოერთქმულის შემდეგ, სრულიად ცხადი ხდება ის მრავლისაგან უმრავლესი თავისუფალი ფორმები, რომლებსაც ვხვდებით რუსთველის ქმნილებაში.

ამ ხალხური ენის თანახმად ხმარებული თავისუფალი ფორმების შესწავლა, ჩვენი ღრმა რწმენით, იქნება საუკეთესო გასაღები პოემის ტექსტის იმ ორაზროვანი და გაუგებარი ადგილების ახსნა-განმარტებისათვის, რომლებიც დღემდის საცილობელი გამხდარა მეცნიერთათვის.

შესწავლის გასაადვილებლად ჩვენ ისინი გავუავით სამ ნაწილად:

1. ხალხურის ენის შესაფერი განმეორებანი.
2. ხალხური ფორმების ხმარების ნიადაგზე დაშვებული *licentia poetica*.
3. წინადადების აზრისა და რითმის შესავსებლად სიტყვების წამატება, ანუ უკეთ, დართვა, ფრაზაში.

ხალხურის ენის შესაფერი განმეორებანი

ჩვენი პოეტის ენის გაგებას, სხვათა შორის, აძნელებს ხალხური ენის შესაფერი განმეორებანი¹, ყველაზე ხშირად ვხვდებით უარყოფითი კავშირების განმეორებას:

შენ დაგამატებს ვერა ვინ მსახურებითა ვერი თა, 692,3 [808].
ვერ წაიყვანა, ვერა ქმნა სიტყვითა ვერა ვერი თა, 767,4 [887].
ვერ პოვა, მივა, მჭმუნვარე, ვერა ამბისა მცნეველი, 746,3 [864].
მას მოვშორდი, ვერ ვეახლე, ვერ ვისურვენ, ვერ ვასურვენ, 737,2 [856].
ქმა მათისა დაჯოცვისა, არ გაისმა არსით არა, 980,1 [1117].
მერმე უთხრა: «აჰა, რადგან არ მომისმენ არას არა, 768,1 [888].
მაგრა თუ ღმერთი რას უზამს არა იცოდა გლახ არა, 458,2 [548].
მაშ თუ დავსთმობ სახლსა ჩემსა, ვერა დავსთმობ ვის სად ვერად,
671,4 [786].

აგრე შმაგი არ ვაზირად, არად ვარგხარ არცა სხვად რად, 644,4 [757].
მოვაქსენე ნურა გაგვა, ნუ ინადელი მაგას მაგად, 538,2 [631].

გარეგანი ფორმით მსგავსის სიტყვების ხმარება მაგალითები:

ვერ მიგია ქება მათი, ვერა ქება საქებარი 781,2[901].
თაემან მისმან მუნეე მამკლავს, გეჭვ წამიცა არ წამაროს, 630,1 [743].
მისი ნახვა გულსა ჩემსა ვითა ბადე დაებადა, 621¹,1.

მისგან ნაკრავნი გვინახვან მქეცნი ვერ წალმა წარებით, 43,4 [80].
ღიაცსა წყენა შეატყო, ნახა შესლვითა შევითა, 96,13[1098].
მინდორს სადმე წავიდოდა, მქეცისაებრ ველთა ვლიდა, 1186,2 [1332].

მას ვეძებ და მას ვიგონებ, ვიარები ველთა ვლისად, 737,4[855].
დავედრე, სადა მე ვეველოს, ვლენით იგივე ველანი, 341,3[427].
მერმე ასმათ ჩემთვის დისა მართ დად უფრო დაებადა, 621¹,4[734].

შენ გენუკვი შემოჯერო, ღმერთი იღმერთო, ცაცა იცო, 568,3[664].
არ ვეშიში მტერთა ჩემთა, თავი მონად მომიმონდეს, 670,2[785].
ვა მართებს მისსა გაყრილსა შავი ხლა თავსა კხლებია, 867,4[938].

ასრეა ესე სოფელი, შეჯერდი კვლა შეჯერებად, 669,4 [784].
მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად, 704,4[820].

წამწამ მობრუნდის, იაჯდის მისთვის მზისავე მზობასა, 715,3 [831].

გულმან რა გლახ ქმნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია, 821,4[942].

მიმართულების მაჩვენებლის პრეგანმეორება მაგალითები:

ფატმან თქვა: «ღმერთსა დიდება, საქმენი მომხედეს მო-რანი». 112,1 [1268].

დააგდე ჩემი მიდამო, სრულად მი კრიფე მი რითა, 971,2[1108].

¹ რუსთაველის ენის ხალხურობის შესახებ იხ. აგრეთვე ჩვენი: «ეახტანგ VI გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია. შესწორებანი და შენიშვნანი «ვეფხისტყაოსნის» 22-ე გამოცემის შესახებ პოემის შესავლის კრიტიკული ტექსტით, გვ. 26, შენიშვნაში.

ფატმან თქვა: მომკლავს უცილოდ, ტანი ალვისა მოხისა, 1118,2 [1260].

თვალთა წინა წაგვივიდა ლაღი, კუშტი, ამაყი წა, 151,4 [209].

ვერ ვასმინე საუბარი, მით დავეოვნე ხანი მუნდა, 52,4[90].

მეცა თანა წამოგუეები, დაიკოცნენ იგი მუნ, და! 516,3[609].

ჩემი თქვი, რა ვქნა ბედქმნილმან, მზე მამეფაროს მიცისა?! 601,4[706].

მაგრა ნაცვალსა პასუსსა მიგცემსო ზენა მიცისა! 434,3[523].

(იხ. Н. Марр. Грам. древнелит. груз. язык, გვ. 182—183).

აგრეთვე შინაგანი რითმისთვის პოეტი ხშირად ხმარობს ერთისა და იმავე პრეფიქსით, ან უარყოფის კავშირით წამძღვარებულ ფორმებს.

მაგალითები:

მიკოცდეს და მიისროდეს, მიხლორს სისხლსა მიასხმიდეს, 39,2[76].

არა სჭირდა, არ ინანეს, რომ აბჯარი არ გაითხეს, 1263,3 [1424].

მინადირობდეს ნადირსა, მუნ სისხლსა მიადინებდეს,

სადაცა და ჰხვდის ქვეყანა, მჭვრეტელთა და აღხინებდეს, 1330,2—3[1494].

მიმართულების მაჩვენებელი ნაწილაკების ნაცვალსახელთან «ვინ» და უარყოფითს კავშირთან «არ» ხმარება

დავარ თქვა: «მქმნელი ამისა ვინარ და მქოლოს, ვინარ და!»

490,2 [582].

ამგვარსავე ნაცვალსახელის «ვინ» განმეორებას ჩვენ ვხვდებით 661,2 [775]:

«მან არ იცის, რად ვინა და სულდგმულია ვისგან ვინა.

ურადღებას იქცევს აგრეთვე ის გარემოება, რომ პოეტი ლექსის შესავსებლად, ერთის სიტყვის ნაცვალად, ხშირად რამდენსამე სიტყვას ხმარობს.

მაგალითები:

ხმელეთის ნაცვლად იგი ხმარობს სამს სიტყვას: წყლისა, მიწისა და ხისა, 776,3[896].

ოქენის ნაცვლად, ორ სიტყვას: ზღვათაცა შესართავი, ზღვათაცა შესამალი, ზღვათაცა შენართევია და სხვა (იხ. ლექსიკონი).

მოტანილი ნიმუშები ნათლად გვიჩვენებს, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს მართო პრეფიქსების განმეორებასთან კი არა, არამედ ხშირად, მსგავს შემთხვევაში, შერჩეულია ისეთი სიტყვები, ანუ, უკეთ, ენის ისეთი ფორმები, რომელთა პირველი მარცვალის, თავისი სახით და გარეგნობით, იმავე პრეფიქსს წარმოადგენს.

ამ მხრით ყველაზე საინტერესოა 1078 [1217] ხანის პირველი ორი ტაეპა, სადაც რამდენჯერმე, თითქმის შევიდჯერ, განმეორებულია მო, არა როგორც პრეფიქსი, არამედ როგორც ისეთი მარცვალი, რომელიც თავისი სახით სრულეობით არ განსხვავდება ამ პრეფიქსისაგან. აი ეს ადგილიც:

«მო-სით მო-ვიდა ჭაბუკი, მონა მოყესითა სამითა,

მონა მონურად მოსილი, სხვანი მგზავრულეხ სამითა».

(1078,1—2[1217])

ეს მაგალითი საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, რომ პრეფიქსებთან ერთად, ხშირად მეორდება ისეთი მარცვლებიც, რომლებიც გარეგნობით სრულიად არ განსხვავდება ამავე პრეფიქსისაგან.

ამ პრეფიქსებისა და მათი ომონიმების შეწყობა-შეთანხმების ამგვარი მოხერხებული ფორმა, რომელსაც, ალბათ, იძლეოდა რუსთველის თანამედროვე ხალხური ენა, ხელს უწყობს თავისი გარეგნობით ერთგვარი უჩინარი რითმის შექმნას, ხოლო თავისი შინაარსით იგი ადასტურებს და ამტკიცებს ნათქვამის აზრს. ეს, როგორც მე უკვე აღვნიშნე¹, არის უხილავი შინაგანი ლექსოწყობა, რაც განსაკუთრებულ მუსიკალობას აძლევს და მომჯადოებელ ძალად ქმნის პოეტის რიტორობას.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა:

პოეტს ხედება ამგვარი განმეორება ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც პრეფიქსებს, ანუ მიმართულების მაჩვენებელ ნაწილაკებს, სრულიად ადგილი აღარა აქვს: ამგვარია, მაგ., უარყოფითის კავშირების განმეორებაც: ავიღოთ 1308-ე [1471] ხანის მე-4 ტაეპი:

«ა რ ა ვნახავ სახლსა ჩემსა, ა რ დარბაზსა, ა რ ც ა ხულსა».

მაგრამ ამავე ლექსში გვხვდება შინაგანი რითმისთვის საჭირო მიცემითი ბრუნვის დაბოლოებები და ამ დაბოლოებების სახის მარცვალთა მიწყობილად ხმარება:

სახლსა... ჩემსა... დარბაზსა... ხულსა.

ამგვარივეა 644 [757] ხანის მე-4 ტაეპიც:

«აგრე შმაგი არ ვაზირად, არად ვარგხარ, არცა სხვად რად!»

სადაც, როგორც წინა მაგალითში, აგრეთვე შერჩეულია სიტყვები მიმართულების მაჩვენებელი ბრუნვის დაბოლოებით:

ვაზირა დ... ა რ ა დ... სხვა-დ... რ ა დ...

მსგავსივე მაგალითი გვაქვს 906-ე [1039] ხანის მესამე ტაეპშიაც.

«ვერ მივსნიან ვერ ციხენი, ვერ მოუვასნი, ვერცა ძმანი».

ამ უარყოფითი კავშირების განმეორებას, რა თქმა უნდა, გარდა ზემორენაჩვენები მნიშვნელობისა, აქვს აგრეთვე სხვა მნიშვნელობაც. სახელდობრ, იგი ესმარება პოეტს მეტის სიმტკიცით დაადასტუროს თავისი ნათქვამი, ასე, მაგ.:

812-ე [933] ხანის მესამე ტაეპში ვკითხულობთ:

«მისით კითხვით წამოსრულვარ, არ მთვრალ ვარ და არ მახმურად»,

რაც ნიშნავს:

მისი შეკითხვით წამოსულვარ და არა თუ მთვრალი ვარ, ნახევრად მთვრალიც, ანუ ზეზარხოშებულცი კი-არა ვარო?

დასასტუმრებული მიზნით, პოეტი ჩვეულებრივ მიმართავს ხოლმე შემდეგს ხერხს: სახელდობრ, იგი შეარჩევს ორს შინაარსითა და აზრით ერთიმეორეზე ახლო მდგარ სიტყვას, წაუმძღვარებს თითოეულ მათგანს უარყოფით კავშირს ა რ-ს და დასვამს ორსავე სიტყვას ერთიმეორის შემდეგ ისე, რომ, უკანასკნელი, პირველთან შედარებით, მხოლოდ ოდნავ გამოხატავს უარყოფილი ცნების დადებითს აზრსა და მნიშვნელობას. ამგვარად მიიღება საგნის უარყოფის კიდევ უფრო დადასტურება, რადგან პირველი უარყოფის აზრი კიდევ უფრო ძლიერდება ამ

¹ იხ. ვახტანგ VI გამოცემული «ეფთხისტყაოსნის» რედაქცია, გვ. 27—28, შენიშვნები.

² ი ქ ვ ე, გვ. 27.

მეორე უარყოფითი პარალელიზმის საშუალებით, რადგან ეს უკანასკნელი გამო-
ხატავს პირველი უარყოფის მიერ უარყოფილის ოდნავაც არ არსებობის აზრს. ამ
ჩვენ მიერ დახასიათებულის მოვლენის საუკეთესო ილუსტრაციაა ზემომოტანი-
ლი მაგალითებიც: «მისით კითხვით წამოსრულვარ, არმთვრალ-
ვარ და არმახმურად», ან კიდევ: «აგრეშმაგი არვაზირად,
არადვარგხარ არცა სხვადრად», აქ ერთსა და მეორე შემთხვევა-
შიაც უარსაყოფელის დადასტურებასა და დამტკიცებასთან გვაქვს საქმე.

ამგვარივე ხალხურია პოეტის მიერ ამა თუ იმ დადებითის აზრის, უარყო-
ფითი პარალელიზმის საშუალებით, დადასტურება. მაგ.:

«საქონელს რულნი, მდიდარნი, არლარნი გვაქვან ნაჯარ-
ნი», 898,4[1031]. ანდა კიდევ 601,1 — 2[663]:

«რაცა ვითხარ, მომისმინე, ბრძენი გეტყვი არახელი:

ასი გმართებს გაგონება, არგეყოფის, არ, ერთხელი».

აგრეთვე:

«ზის მორჭმული, არნადევრი», 590,1[694] ან «მხიარუ-
ლი, არმოკვნესი», 1062,2[1201] — და სხვები.

«მას არავიცი შევკადრო შესხმა ხოტბისა შერისა».

ვანტ. რედაქციით, ამ ტაეპის უკანასკნელი სიტყვა «შერისა» იკითხება «შში-
რისა»-დ, რაც, აშკარაა, წარყენილი უნდა იყოს. ეს შესწორება პოემის შესავლის
ტექსტში შეიტანა ნიკო მარმა, ალბათ, ხელნაწერების გავლენით, მაგრამ მეცნიე-
რი სიტყვაში შერისა ხედავს არაბულ შერს (იხ. ლექსიკონში აქვე ნასესხებ სი-
ტყევებში «შერი» — არაბ. შესატყვისი) და ნიშნავს ლექსს, შაირს. ხოლო მე უკვე
არაერთგზის მაქვს გამოთქმული, რომ ამ ტაეპში არის პრეფიქსის შე-ს ჩვეულებ-
რივი განმეორება; იგი. აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მხოლოდ ზმნის ფორ-
მის «შე ვკადრო»-სათვის, ხოლო ამით არის გამოწვეული, ერთი მხრივ, — ისეთის
სიტყვის შერჩევა, როგორცაა — შესხმა, რომლის პირველი მარცვალი არის
იგივე პრეფიქსი «შე» და, მეორე მხრივ, — ამავე პრეფიქსის წამძვარება წინ სი-
ტყვის «რისა»-სთვის, რაც ჩვეულებრივი რუსთველურია.

III, 4[3]. — ამგვარსავე მოვლენასთან გვაქვს საქმე ამავე ხანის შემდეგს ტა-
ეპშიაც:

«მისთა მჭვრეტელთა უანდისა მირთმაქამს

მართმი შერისა»,

სადაც აგრეთვე შერჩეულია ისეთი სიტყვები, რომელთა პირველი მარცვალი
არის მი (ან შ), რომელიც, პრეფიქსის სახით, წინაუძღვის ფორმას «მირთმა»-სა
და მეორდება «შერისა»-ს წინ, ხოლო ეს «შერისა» წარმოადგენს არაბულ შჰრ-ს
სპარსული სუფიქსის ც-ის (იახ ნისბეთ — შეად. ქუფრი — ურწმუნო¹) მიმატე-
ბით, და ამნაირად შერი — ნიშნავს — განთქმულს, რჩეულს. პატივცემული ნი-

¹ ეს რომ ასეა, ამას მოწმობს ისეთი ავტორიტეტული ლექსიკოლოგი, როგორცაა სულხან საბა
ორბელიანი, რომელსაც ხედავს ეს სიტყვა «შერი», რომელიც მას განმარტებული აქვს სიტყვით
«რჩეული», ამგვარივეა ჩემ მიერ აღმოჩენილი მთელი წყება სიტყვები, როგორცაა. დავალი (არაბ.-
სპარ. დავალ — დალატი, გამწირაობა.), თურქ-ოსმალ. — სოქალი და სხვები, იხ. ლექსიკონში, ნასესხ.
სიტყვები.

კო მარი კი ამ ადგილს ასწორებს იმავე ხელნაწერების გავლენით და კითხულობს მას ამნაირად (იხ. H. Mapp. TP, XII, გვ. 20—22):

«მისთა მჭერეტელთა ყანდისა მირთმა ჯამს მართ და შერისა».

შე რ ი ს ა — ე . ი . რძისა: ჭე შ მ ა რ ი ტ ა დ ყანდისა და რძის მ ი რ თ მ ე ვ ა ჯ ა მ ს მის მჭერეტელთო.

ეს თუ სწორია, მაშინ რით უნდა აეხსნათ საუკუნეებით ნაანდერძევი წარყენილი წაკითხვა. «მშიერისა?» ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს უკანასკნელი — ვახტანგისეული რედაქციის «მშიერისა» წარმომდგარია «მიშერისა»-საგან, სადაც აგრევე, როგორც წინა ტაეპში «შე», — გამეორებულია მი.

ამგვარისავე ხასიათისა არის მე-11[42] ხანის მეორე ტაეპიც:

«ავთანდილს მი ხედა სიამე, ვსება სჭირს მი სოქალისა,

სადაც აგრეთვე განმეორებულია პრეფიქსი მი¹. ანალოგია მით უფრო სამართლიანია, რომ აქაც, ისე როგორც პირველ შემთხვევაში, პრეფიქსი წინაუძღვის იშვიათ სიტყვას «სოქალს», რომელიც ნიშნავს გაყვითლებულს (იხ. აქვე ლექსიკონში, ნასესხები სიტყვები). აკად. ნ. მარი კი სიტყვა «სოქალ»-ში ხედავს რთულ სიტყვას, რომელიც უნდა შესდგებოდეს სომხ. «სუგ»-ისა და ქართული «ალი»-საგან, და ამისათვის იმოწმებს ისეთ ფაქტს, როგორცაა: «ჩაკარაბაკება», რთული სიტყვა, რომელიც შედგება ქართული «კარი»-სა და სომხ. «ბაკი»-საგან, მაგრამ ამგვარი ანალოგია საეჭვოა, ჯერ ერთი, იმიტომ რომ «კარი»-ცა და «ბაკი»-ც უხსოვარი დროიდან ითვლება ნამდვილ ქართულ სიტყვებად. ხოლო არც სომხ. *սուգ* სუგ-ი, არც სპარ. სოქ-ი ქართულმა ენამ არ იცის.

მეორეც, იმიტომ რომ ყველა საუკეთესო რედაქცია (მათ შორის ვახტანგისეულიც) იცავს წაკითხვას მი-ს-ო-ქ-ა-ლ-ი-ს-ა, რომელიც სრულიად შეესაბამება წინა ტაეპის რითმის დამაბოლოებელ სიტყვებს «მისისო ქალისა»-ს — რითმისა და ლექსთწყობის მხრივ. მესამე საბუთი კი არის «ვისრამიანში» ხმარებული მსგავსივე პოეტური ფიგურა (იხ. ამის შესახებ: ი. აბულაძე. XII საუკ. ქართ. საერო მწერლობა და «ვეფხისტყაოსანი», გვ. 49—50).

აგრეთვე მიმართულების მაჩვენებელი ნაწილაკის ხმარების საჭიროებით უნდა იყოს გამოწვეული ფორმა მიუქს, რომელიც აგრევე ორაზროვანია, რადგან იგი შეიძლება იყოს იგივე, რაც ქართველიშვილისეული რედაქციის «მიუგს» ანდა წარმოებული იყოს სიტყვისაგან «ქება» და, მაშასადამე, უნდა ახსნილი იქმნეს ისე, როგორც ჩვენ გვაქვს განმარტებული. ქართველიშვილისეული რედაქციის შემდგენელ კომისიას არავითარი საბუთი არ მოუყავს ამგვარი წაკითხვის დასაცავად, არც დ. კარიჭაშვილს, რომელიც აგრეთვე იცავს ფორმას «მიუგს» «მიუქს»-ის წინააღმდეგ, იხ. წ-კ. გამ. საზ. გამ., 96, 3. მართალია, ფორმა «მიუქს», შეიძლება იყოს, კაკოფონიის თანახმად, შეცვლილი «მიუგს», ისე როგორც «უთქს», ან «მითქს», «მომითქს» — ნაცვლად ფორმებისა «უდგს», «მიდგს», «მომიდგსო» ან როგორც «უც» «და მიცა», 358, 3, უძს (უდს) და მიძს (მიდს) ნაცვლად, მაგრამ, ამავე დროს, პოეტს თითქოს ხედება «მიუქს»-ის მსგავსი ფორმები, წარმოებული ზმნისაგან ქება, როგორცაა: «მისგან იქო არ გაუქდა, 919,4[986]. ან ნაქები და ვერ ვთქვი «უქი», 1073 [1143].

¹ იხ. ამის შესახებ ჩვენი ვახტ. VI გამოცემული «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია, გვ. 26.

მაშასადამე, ფორმა «მიუქს», ჩვენი აზრით, კიდევ უფრო მეტის უფლებით შეგვიძლია გავავოთ, როგორც უქი-საგან წარმოებული მოქმედების სახელის ფორმა «უქს» პრეფიქსის მიხედვით, და, მაშასადამე, მთელი ეს ტაქტიკა ასე შეგვიძლია წავიკეთხოთ: «ტაიჯი მიუქს მერანსა», ე. ი. ტაიჯი მას მიუქს მერანსა, ანუ მისი ტაიჯი მერანის (ე. ი. ზღაპრული რაშის) მგობია, შეად. ნაქები და ვერ ვთქვი უქი, 1073,1[1143].

ამ ორზნოვან ადგილთან დაკავშირებით, ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ განმარტობა: აქვე ოთხიოდე ადგილი, რომელთაგან ორი აგრეთვე ძველი ხალხური ენის ნაანდერძევი უნდა იყოს, რადგან მწიგნობრული ძეგლები მათ შესახებ არავითარ გასაღებს არ იძლევიან. ერთი შეხედვით, ეს ადგილები, თითქო არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს: ეტიმოლოგიურად და კონტექსტშიაც ისინი თითქო ყურადღებას არ იქცევენ, და ამით აიხსნება ის, რომ მათ სშირად მსურვალე მეცნიერიც კი ადვილად გაიბზენს სოლმე, მაგრამ ნამდვილად კი — მათი ასსნა-განმარტება, არც თუ ისე ადვილია, და, ვინ იცის, იქნება სრულიადაც განუმარტებლად დარჩენილიყო, რომ ამის გასაღები თვით რუსთველისავე ნაწარმოებში არ მოიპოვებოდეს. მაშ დავიწყოთ ამ ერთი პოეტის ლექსის ფრიად დამახასიათებელი ადგილიოვან:

43 [80]. ავთანდილის შემხედველთა: — «ჰგავსო ალვას, ედემს ის ხეს».. ამ წმინდა პოეტურ ფრაზას, სადაც «გრძელი სიტყვა მოკლედ» არის გამოთქმული, დღემდის ამჯობინებენ ქართველიშვილისეული გამოცემით დაცულ წაკითხვას: «ჰგავსო ალვას, ედემის ხეს», მაშინ, როდესაც ამგვარი წაკითხვა, გარდა იმისა რომ იგი ახალი ენის კონსტრუქციის თანახმად არის შედგენილი, აშკარად ეწინააღმდეგება ლექსთწყობას, რადგან ლექსთწყობის მოთხოვნისგან გამომწვეული მახვილი ორ ნაწილად აბოხს სიტყვას «ედემის», რომელსაც, ლექსის თანახმად, ორი მახვილი დასჭირდება: პირველი პირველსავე მარცვალზე, ხოლო მეორე — ბოლო მარცვალზე «მის», ამგვარი მარცხი კი ჩვენს პოეტს არც ერთხელ არ მოსდის. წაკითხვა: «ჰგავსო ალვას, ედემს ის ხეს» კი პოეტისაღვის პირდაპირ ზეგამოჭრილია, რადგან აქ მაჯამა სავსებით აღწევს იმ პოეტურ მიზანს, რომელიც მას აქვს: იგი მხატვრულად და მეტის სიტყვითად გადმოგვცემს ავთანდილის შემხედველთა შთაბეჭდილებას: რომლებიც განცვიფრებით იტყოდნენ: ეს სწორედ ედემს რომ ალვის ხე არის, იმას ჰგავსო. ასე რომ, ჩვენი აზრით, ჩვენი პოეტის მიერ ჩვეულებრივი ხმარება ამ ფრაზის ასე იქნება:

«ავთანდილის შემხედველთა: — ჰგავსო ალვას, ედემს ის ხეს». მსგავსივე კონსტრუქციის თითქმის განმეორებაა 536 [629] ხანის მე-4 ტაქტიკა:

«და უთხარ: «მომკალ, უჩემოსა ენახამცა, ვისა ისც ხე», სადაც მაჯამად შეწყობილი «ისცხე» იმგვარივე ხასიათისა არის, როგორც ჩვენთვის საინტერესო ფორმა «ის ხეს», ასე რომ ჩვენ, ჩვენი აზრით, სრულიად შეგნებულად და საფუძვლიანად მივეციტ უპირატესობა ვარიანტს: «ჰგავსო ალვას, ედემს ის ხეს». ვარიანტის: «ჰგავსო ალვას ედემის ხეს»-წინაშე. შეადარე აგრეთვე:

«ტარიელსცა უსლამეს, მას ალვისა მორჩსა, ვით ხეს», 1263, 1[1424]. მისვე: «ვით ედემს ალვა რგულია» 19,1 [50]. ან ედემს ხლებული, 390,3 [476], ამგვარივე ლაკონიკა ხდება პოეტს ზემორედსახელებულ ტაქტიკაც: და უთხარ: «მომკალ, უჩემოსა ენახამცა ვისა ის-ც-ხე!» შეასწორეთ ამ სახით ჩემი რედაქციის წაკითხვა, იხ. 536,4. სულ რომ არა იყოს რა, ხსენებული ტაქტიკის მეორე ნახევრის სიტყვა-სიტყვით განმეორებასა ვხედებით შემდეგს ტაქტიკაში, იხ. 433, 4[522]:

«არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხე-ბული».

57,1[95] — მონანიცა შეუზახნა.

ეს დამატება, სახელობითი ბრუნვის სახით და შემასმენლობითი ბრუნვის მნიშვნელობით, ისეთი ფორმის შემდეგ, როგორცაა შეუზახნა, რომელიც თავისი ფორმით ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს, ეტყობა, საჩოთირო უოფილა ვახტანგის თანამედროვეთა სმენისათვისაც: ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთ უძველეს ვრცელ რედაქციაში (№ 757) გვხვდება «მონანიცა შეუზახნა», რაც კონტექსტს არაფრად უხდება. ამ ფორმას მშვენიერად აშუქებს დ. ჩუბინაშვილი: ის. მის ლექსიკონში განმარტება სიტყვის «შეზახება», — რომლითაც შეუზახნა—ნიშნავს «გამოაკიდა, დაადევნა, მოუტია», იქვე: შეზახებული კაცი, — человек, пушечный для нашего дня [აღბ. 40].

მაგრამ ესეც რომ არ იყოს, მაინც კიდევ შევნიშნავთ საბუთი გვაქვს ზემორეთქმულის დასამოწმებლად, სახელობრ, 863-ე [994] ხანის პირველი ტაეპი ამავე ფრაზის განმარტებას წარმოგვიდგენს; აქ ჩვენ ვკითხვლობთ:

«მეფემან სპანი შეპყრობად შეუზახნა და წყრებოდა».

თავისთავად ცხადია, რომ აქ «შეუზახნა» ნიშნავს: «გამოაკიდა», «ხახილით დაადევნა» სპანი, მონანი...

აგრევე შესაძლებელი ხდება 56[94] ხანის მე-3 ტაეპის ახსნა-განმარტებაც.

დასახელებული ხანა რომ ორაზროვანი და, მასხადადამე, ძნელი გასაგებია, ეს იქიდგანაც ჩანს, რომ არცერთს ლექსიკოლოგს იგი ახსნილი არა აქვს. ხოლო უოველთვის, როდესაც ჯერი მიდგება ამ ადგილის განმარტებაზე, უოველთვის ან ხსნიან მას შეცდომით, ან ცდილობენ შეიტანონ, ვითომდა შესწორება სიტყეებში «თავის ხელ-აუპყრობელად» და შეასწორონ სიტყეა «თავის», ერთი ვარიანტის თანახმად, სიტყვით «თავსა» და განმარტონ მისი აზრი შემდეგნაირად: თავსა ხელ აღუპყრობელად, ე. ი. ხელის თავზე შემოუჭერად, — რაც ვითომდა უმწერო მდგომარეობას ხატავდეს, მაშინ როდესაც სრულიად ნათლად ჩანს კონტექსტიდგან, რომ პოეტს აქ უნდა აღნიშნოს ტარიელის მიერ უჭირველად, ანუ სხვებისთვის მიუმართავად, აწყეუტა სპათა: ის კრავდა ერთმანერთსა და ხოცდა მათ, სხვებისთვის შევლის უთხოვნელად.

ეს რომ ასეა, და არა სხვანაირად, — ეს აშკარად ჩანს იმავე ზემორეთქმულებული 863-ე [994] ხანის 1-ლი და მე-2 ტაეპებიდან, სადაც იგივე შემთხვევაა აწერილი; აი ეს ადგილიც:

«მეფემან სპანი შეპყრობად შეუზახნა და წყრებოდა.

მან უჭირველად დახოცნა, ომი არ მისჭირდებოდა,

ზოგსა მხარ-თეძო დალეწა და ზოგსა სული ჰხდებოდა».

ამ ადგილიდგან აშკარად ჩანს, რომ თავის ხელ-აღუპყრობელად ნიშნავს სხვებისთვის მიუმართავად, ანუ, უკეთ, შევლის უთხოვნელად (ხელის აპყრობა — ვედრება), ანუ, როგორც თვით პოეტი ამბობს:

«მან უჭირველად დახოცნა, ომი არ მისჭირდებოდა» [994].

51,1[89] — «სხვანა ქნის მისი გონება, მისმან თავისა წონამან!»

№ 461 ხელნაწერში—ქრის; ასევე იყო ყველა დღემდე დასტამბულ გამოცემაში, მათ შორის ქართულიშვილის გამოცემაშიაც მიუხედავად იმისა, რომ

ყველა XVII საუკ. მოკლე და ვრცელ რედაქციაში, მათ შორის ვახტანგისა და № 599, არის ქნის. თავისთავად ცხადია, რომ «ქნის» უფრო ძველი და ნამდვილია, ვიდრე «ქრის», რომელიც სრულიად ახალი შესწორებაა ხსენებულ № 461 ხელნაწერში, და სხვაგან არსად არა გვხვდება. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს 51¹ ხანა ჩანართობის აშკარა თვისების შემცველია: იგი, ჯერ ერთი, სიტყვების წარამარა სროლაა, და ამიტომაც, მთელი ეს ხანა მეტისმეტად უშინაარსოა და უკვე ნათქვამის სუსტი გადმოცემა, და მასთან ისეთი ახალი ენით, როგორიც შეიძლება მივათვისოთ მხოლოდ რომელსამე დღევანდელ მელექსეს.

ამას გარდა, მეოთხე ტაეპი იქცევს უურადლებას თავისი ბუნდოვანებით და გრამატიკული ფორმების უკანონობით: «გახლიჩნა(?) ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან». ეს 51¹ ხანა მხოლოდ ხელს უშლის პოეტის მიერ მოთხრობილის ბუნებრივ მსვლელობას, ისე უხეიროდ არის ჩაჩხირული 51 და 52 ხანებს შუა: 51-ე ხანაში აწერილია, რომ «ყმას მის მონისა არა ესმა სიტყვა არცა ნაუბარი», 52 ხანა კი — სრულიად ბუნებრივად განაგრძობს ყმის მიერ პასუხის გაუცემლობის შედეგის შესახებ ამბავს:

«რა პასუხი არა გასცა მონა გარე შემობრუნდა» და სხვა. 51¹[90] ხანა კი იმეორებს სრულიად ახალი ენით და გადაჭარბებული სტილით, როგორც ეს სჩვევია უალბ მელექსეს, იმეორებს იმასე, რაც უკვე ზემორე არის მოთხრობილი, ხოლო ლექსი მისი, მიუხედავად ენის სიახლისა, ბუნდოვანია, და ენაც გრამატიკულ კანონს არ ემორჩილება:

«არცა გახლიჩნა(?) ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან».

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ჩვენ პირდაპირ შეგვიძლია დავასახელოთ იმავე უალბი მელექსის სხვა ხანებიც, რომლებიც, სტილისა და შინაარსის მხრით, ამგვარისავე ხასიათისა არის, და უადგილო ადგილას არის ჩაჩხირული, ის. და შეადარეთ ხანები: 55, 158¹, 173¹, 173², 173³, 562¹, 573¹, 573², 573³, 592¹, 830¹, 830², 830³, 830⁴, 830⁵ [93, 217, 235, 236, 568, 670, 671, 672, 697, 952, 593, 594, 595, 596]. ყველა ჩამოთვლილი ხანა მათ წინა ან მომდევნო ხანების აზრისა და შინაარსის შემცველია და, მაშასადამე, ისინი მოგვაგონებს ლექსად დაწერილ სათაურებს.

707,3[823] — აზრის მოკლედ გამოთქმის საუცხოო მაგალითის წარმოადგენს შემდეგი ტაეპი, სადაც გამოთქმულია ალტაცების გრძნობა, ტკბილი ხმის მოგონებით გამოწვეული. პოეტი ამ შემთხვევაში მიმართავს წინადადების ისეთ ფორმას, რომელიც გამოხატავს განცვიფრებას ან ალტაცებას; ამგვარი კი არის განცვიფრებით კითხვა, ამ შემთხვევაში პოეტი ასერხებს, საკვირველების გრძნობის გამოხატვით, გამოთქვას საქებელის აღმატებითი ხარისხი, მაგრამ, ეს ამავე დროს, ძალიან ეხმარება პოეტს უადრესად მოხდენილი რითმისა და, საზოგადოდ, ლექსთწყობის შექმნაშიაც. ამ მხრივ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ერთი ვარიანტი, რომელიც სწორად არის წარმოდგენილი ს. კაკაბაძის რედაქციით (ის. 783-ე ხანა, მე-3 ტაეპი [823]):

«ველარ ვისმენ ჯმასა შენსა, სასმენელად მე მას რულსა»,

ე. ი. სასმენელად ისეთს, რომლის ქებას ენა ვერ იტყვის, ანუ, უკეთ, მე ველარ მოვისმენ შენს ტკბილსა ჯმასა, — მას, რომელიც, არ ვიცი, როგორია!.. იგულისხმე ჯმა ზეადმტაცი და საკვირველმომქმედი. ამგვარ აზრს პოეტი გამოთქვამს მოკლედ სიტყვებით: «სასმენელად მე მას რულსა» (ე. ი. გასაგონად მას რავგარსა

რულსა.). დ. კარიჭაშვილს კი იგი წარმოუდგენია ერთ სიტყვად და სრულად უსაფუძვლოდ განმარტავს სიტყვებით: წარმტყვევნილი, სასიამოვნო.

რასაკვირველია დ. კარიჭაშვილის მიერ ამ ადგილის აზრი დაახლოებით სწორად არის გადმოცემული, და ეს არც ძნელია, რადგან აქ საუბარია ავთანდილის ხმის შესახებ, რომელთანაც შედარებით, პოეტის თქმით, «ხმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსა», მაგრამ საქმე ის არის, რომ, მსგავსი განმარტებით, თვით ეტიმოლოგია და საქმის ვითარებაც სრულებით უგულვებელყოფილია.

587,4 [691]. ამგვარისავე ხასიათის არის მე-4 ტაქიცი:

«ევე კმა სიმწნე სიმწნისა, რა ღლა ხარ მომხვეჭი რისა»,

სადაც აგრეთვე შემოკლებით არის გამოთქმული შემდეგი აზრი:

ეგ უკვე კმარა შენი სიმწნის დასამტკიცებლად, ამას გარდა კიდევ სხვის რისამე მოხვეჭა როგორ უნდა მოისურვო? დ. კარიჭაშვილი კი — ცდილობს შეასწოროს ეს ადგილი ასე: «ევე კმა სიმწნე სიმწნისა, რადგან ხარ მომხვეჭ ჭირისა» (იხ. კარიჭ.). საზოგადოდ, პოეტი ლექსისათვის ხშირად მიმართავს კითხვის წინადადებას, რომელიც ბოლოვდება კითხვითი ნაცვალსახელებით «რა» და «ვინ» სხვადასხვა ბრუნვებში, მეტწილად ნათესაობითსა და მოქმედებითში, და ხელს უწყობს, როგორც აზრის მოკლედ გამოთქმას, ისე რითმის სილამაზესა და მოხდენილობას, მაგალითები უთვალავია; მოვიტან ზოგიერთებს:

III,3—მას, არა ვიცი შეეჰქადრო შესხმა ხოტბისა შერიისა?!

520,3[613] — კაცი ჯმდა მისთა მჭვრეტათათვის, ღონემცა ეაჯა რისა?!..

859,4[990]—და თქვეს: ასეთი ჯორციელი შეუქმნია რა გვარ რასა?!..

1010,3[1149] — მაგრამ მისი, არა ვიცი, ქმნილი იყო რა გვარ რისა?!..

1016,2[1155] — თქვა: რა მიჩვენე, რა ვნახე, რანია, ნეტარ რისანი?!

1009,2 [1147]—თუცა მეკითხა: «ვინა ხარ, ეგრე გასული რისა გან?»

900,4 [1033]—და უველაი წაქდა, არ ვიცი, აქა მოსულვარ მე რითა!

926,4[1061] — და მის ქვეყანისა სიტურფე რა გაიგონო, შენ, რითა?!

986,3[1123]—დედოფალსა ძღვენსა უძღვნით, მდიდარი, თუ გლახა, ვინა?

991,4[1128] — და ფრინველად ვთქვი, ანუ მწეცად, სხვათ ვამსგავსე მემცა რასა?!..

993,2[1130]—მიიხედეს, მოიხედეს, ვინ გვიჭვრეტსო, სადა ვინა?!..

1071,4[1210] — და აღარ ვიშიშვი სიკედელსა, ჰი, ჰი, ჩავიჭერ მე რასა?!..

1104,4[1243]—და გულო, გაგსაჯა სოფელმან, არ ვიცი, და, გლახ, რას ები?!..

1190,4 [1336] და რადგან შენ ვნახე, რა მგამა პატიჟნი მჭირდეს მე რე ბა?!..

1113,3[1253]—იტყვის, თუ: მნახეთ მიჯნურნო, იგი, ვინ ვარდი ავისად?!..

1163,2[1308] — ცან სამართალი მართალი, გულისა გულსა მივა რად?!..

971,2[1108] — დააგდე ჩემი მიდამო, სრულად მიკრიფე მირითა?!

769,4 [889] — და შენ არ შემიყრი, გამიყრი, აწ ჩემი ლხინი ვთქვა რითა?!

764, 3 [884] — არ ცოცხალ ვიყო, რას მაქნევ, რა დავრჩე ქელსა მქდი, რასა?!..

624,3[737]—არ შემიპყრობს, არ დავდგები; თუ შემიპყრობს, მაქნევ რასა?!.

1375,2[1543] — გვერცა დაუსვენს ავთანდილ, სურვილსა მოეკლა ვისსა!..

1250,1[1406] — ფრიდონ უთხრა: შემიგია, გამიგია ვიცი მე რა?

1290,4[1452] — და მე გულსა შენსა ეზომსა არ ვიცი გარდვიქდი რ ი თ ა?!...!

164,1[225] — ავთანდილს უკვირს: ამბავი ისი თუ ვსცნაო მე რ ი თ ა?!..

ამგვარივე რითმისთვის რა-ს ხმარების მაგალითი გვაქვს შემდეგ ადგილას, რომელიც დღემდის გაუგებარი იყო. მას ჩვენ პირველად ვასწორებთ (აქ «რად» კითხვითი კავშირია), იხ. 82[127] ხანა:

«ქალმან უთხრა საუბარი კეკლუც სიტყვა, არ დუხჭირად;

იტყვის: თუმცა აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანამჭირად;

ვიკვირს, მოგხვდა წამის-ყოფით საქმე შენგან სახვეჭი რად?.

და მაგრა ვითხრობ პირველ ხვალმე, სენი მე მჭირს რაცა ჭირად».

ხელნაწერების მე-3 ტაეპში «გვივირს»-ის ნაცვლად, ვკითხულობთ «მიკვირს», რაც გაუგებარია, და, აზრის გაგება შესაძლებელია მხოლოდ ამგვარი შესწორების შემდეგ.

229,3[300] — მაგრა ჩემსა რა გიამბობს, გამოჭრილვარ ასრე თუ რ ა დ?

671,3 [786] — ჩემსა მზესა დავეთხოვე, გაუშვივარ, დავდეგ მე რ ა დ?

ზემორემოტანილი მაგალითები აშკარად გვიჩვენებს, რომ პოეტი საუკეთესოდ სარგებლობს ხალხურს სასაუბრო ენაში ჩვეულებრივ მიღებული განცვიფრების გამომხატველი წინადადებით, ადამიანის აზრისა და გულნადების მოკლედ და ცხოვლად გამოთქმის მიზნით.

მაგრამ პოეტი სიტყვებს

«გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგიო»,

ყველაზე უფრო ამართლებს იმით, რომ რთულ სიტყვას, რომელიც შემდგარია მსაზღვრელი და სასაზღვრისაგან, აქცევს მოქმედების სახელად, და ამნაირად წარმოებული ზმნის ფორმა, ქვემდებარესთან ერთად, არის გამომხატველი მთელი წინადადების: ასე მაგ., პოეტი სიტყვებისაგან «სისხლის მდინარე» შემდგარი რთული სიტყვის «სისხლ-მდინარესაგან» ადგენს მოქმედების სახელს სისხლმდინარება-ს, რომლისგანაც აწარმოებს ლექსისთვის ნამყო სრულის ენებითს ფორმას—«გასისხლმდინარდა» 490,4[582], შდრ. «ვამამალა გაქმამყვივარდა» 482,2 [572]. ამგვარადვე პოეტი აწარმოებს მთელი წყება ნასახელარი ზმნებისაგან ისეთ ფორმებს, როგორიცაა:

გასატყვივარდა, 482,2[572].

გამომჩივარდა, 482,4[572].

გასაწყინარდა, 490,3[582].

გაუჩინარდა, 490,1[582].

ასევე აწარმოებს პოეტი სხვადასხვა სიტყვის ნაწილისაგან, სახელდობრ, რთული და მარტივი რიცხვისა და არსის სახელებისაგან და ნასახელარი ზმნისაგან წარმოებულ მიმღეობათაგან შემდგარ ამა თუ იმ დროის ფორმებს. ასე, მაგ., ნამყო დროის თითქმის ყველა პირში ვხვდებით როგორც არსებით სახელისაგან, ისე სხვა სიტყვის ნაწილთაგან, მეტწილად, რიცხვით სახელისაგან (ნამეტურ შეიდის, რვისა, ათისა და ათასისაგან) წარმოებულ მოქმედების ფორმებს.

ამ მხრით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსთველის ნაწარმოები ერთად ერთი unicum-ია, რომელსაც მეტი მსგავსება და, მათსადამე, პირდაპირი, კავშირი აქვს, ხალხური ენის ისეთ ფორმებთან, როგორიცაა:

გამიქარდა, 1358,3[1524].

გარდაქარდეს, 450,4[539].

ახვალეს, 918,1 [1053] და სხვები.

მაგრამ აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არსებითი სახელის მოქმედების სახელად ქცევა და მისგან უპრეფიქსოდ წარმოება ნამყო უსრულის ვნებითი ფორმისა. რასაკვირველია, ამ საშუალებასაც პოეტი მიმართავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს რითმისა და ლექსთწყობის საჭიროება. ამით აიხსნება მრავლისაგან უმრავლესი ხელოვნური ფორმები, რომლებსაც ჩვეულებრივ ვხვდებით პოემაში, და აქ ყველაზე საგულისხმიეროა ის უეჭველი ფაქტი, რომ რუსთველს ძალიან დიდი გავლენა მოუხდენია ჩვენს ცოცხალ სასაუბრო ხალხურ ენაზე, რომელიც მეტისმეტად მდიდარია სხვადასხვა ნასახელარი მოქმედებითი ფორმებით. ხოლო აქ კიდევ მეტის ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ჩვენს პოეტთან ხშირად გვხვდება ისეთი ფორმებიც, რომლებიც დღევანდელი ხალხური ენის მცოდნეებისათვისაც საჩოთიროა. ამგვარებია, მაგალითად, ისეთი ფორმები, როგორიცაა:

1. არსებითი სახელებისაგან წარმოებული:

ბროლი ბროლდა, 749,3[867].

ბუქი ბუქდა, 856,3 [986].

სათი სათდა, 749,3 [867].

ვარდი ვარდდა, 1193,3[1339].

მინა მინდა, 226¹,3[298].

ამგვარსავე ზმნების წარმოების მაგალითებს წარმოგვიდგენს შემდეგი ადგილები, იმ განსხვავებით, რომ აქ თავს წამოყოფს უკვე პრეფიქსები და ინფიქსები:

თავნი მათნი გაალომნეს, მათნი მბრძოლნი იშვლეს, ითხეს,

1263,4[1424].

პირი შენი ნახვად ჩემად, თუ მობრუნდეს, ტანი იხოს, 571,2[667].

გული მინდორს არ გაიჭრას, არ ირმოს და არცა ითხოს

იგი მტერნი გამილომდეს, აქამდისი რომე ვითხენ, 503,3 [596].

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა:

პოეტის რიტორობა იქამდის აღწევს, მის მიერ ხმარებული *lincentia poetica* იმდენად მოხდენილია და ჯადოსნური, რომ ხშირად იგი გამოსატავს ორ აზრს ერთსა და იმავე ფორმაში.

ავილოთ თუნდა 503-ე [596] ხანის პირველი ტაეპი:

«გამიცადა, ღმერთსა ჰკადრა: «შენ ასეთი ხენი ვით ჰხენ!»

სადაც ჰხენ აზრით ნიშნავს: შენ აღმოაცენე, დარგე, წარმოშობე, ხოლო ეტიმოლოგიურად იგი წარმოებულია ხისაგან; ამგვარივე, და კიდევ უკეთესი, ნიმუშია 571-ე [667] ხანის მე-4 ტაეპი:

«შენმან ჭვრეტა-სიახლემან მომაქარვოს სედა, მითხოს»,

სადაც მითხოს, შეიძლება ერთნაირად აღნიშნავდეს, როგორც გათხლებას (იგულისხმე შემსუბუქება), ისე უკუყრას, გაფანტვას, გაქარვებას, სიტყვისაგან «თხოხა».

მაგრამ ამ მხრივ ყველაზე საუკეთესო მაგალითს წარმოგვიდგენს 532-ე [625] ხანის მე-4 ტაეპი:

«მთვარე უჯდა კილობანსა, — ცა მეშვიდე მისცა ვე-ცი!...»

აქ უკანასკნელი სიტყვა «ვეცი» წარმოებულია არსებითი სახელისაგან ცა, მაგრამ ამავე დროს, იგი არის გრამატიკულად სრულიად სწორი ფორმა, რომელიც წარმოებულია ზმნისაგან ცემა, ასე და ამნაირად, ამ ერთს სიტყვაში შეერთებულია ორი აზრი, მეშვიდე ცა მივეცი მას საბრძანებლად, და მხოლოდ მეშვიდე ცა ვცან იმ ცად, სადაც ის უნდა სუფევდესო. საზოგადოდ, პოეტი ხშირად მიმართავს ამ ხერხსა და განსაკუთრებით სარგებლობს სიტყვით «ცა» თავისი ჯაღოსნური რიტმებისათვის, 484¹,4.

იხ. და შეად.:

«შენ გენუკვი, შემოჯერო, ღმერთი იღმერთო, ცაცა იცო»,
568,3[664].

«სახლსამყოფი არა ჰმართებს, ცამცა გაიდარბაზესა», 584,4 [685], სადაც, სხვათა შორის, გვაქვს არსებითი სახელისაგან «დარბაზი» მოქმედებითი ფორმის ზმნის ჩვეულებრივი ხმარება. ბევრად უფრო ხშირად გვხვდება პოეტთან არსებითი სახელისაგან წარმოებული ხელოვნური ნასახელარი ზმნები:

ააზატებს, 932,4 [1069] იხ. აზატი სომხ. სიტყვ.

აალმანსა, 647,2 [760], იხ. ალმასი არაბ. სიტყვ.

ალმანეს, 822,3[943] პირი მემზოს, ტანი მესოს, 472,2[532].

ამაყარნა, 524,4[617].

ასაპყარნა, 524,2[617].

აძეწნა, 647,2[760].

მესაზაროების, 549,1[643].

იგი ვარღობდეს შენიე, 1129,2[1271].

ადილებს, 607,4[713], მესალამოების, 549,3 [643].

ძმა იძმოს¹, თუ დაცა იდოს, 233,1[306].

(ყმანი) იახლენი, 887,2 [1018] — (დამატების მრავლობითი ნ-არის, ან ობიექტურის ნ-არის, ჩამატებით).

იღარი, 519,2[612].

ივაგლახ-ივიან, 1242,3[1397].

იმკვესარიან, 399,4[485].

მოიმდედრე, 110,4[159].

ხარიან, 399,1[485].

იქედგოროსა, 1400,4[1569].

იდამჭნაროს, 654,2[767].

იფერმკრთალეს, 123,2[173].

ავაგლახიოს, 605¹,3[711].

ივაგლახნა, 57,4[95].

მივაგლახე, 108,4[157].

გვეარმისცა, 125,1[176].

იანაზდენითა, 642,4[755].

ჩავაკარაბაკე, 468,1[558].

¹ ეს ჩემ მიერ ტექსტში შეტანილი შესწორება მიუღია დ. კარბაშვილის, იხ. წ. კ. გ. სახ. გამ., 296, 1.

აზაერები ვააზაერე, 378,3[464].

აგრევე თავისუფლად აწარმოებს პოეტი შედარებითს ხარისხებს არსებით სახელებისაგანაც: და—დე ს ი, 187,4 [252], მო ე ვ ა რ ე — უ მ ო ე ვ რ ე ს ი, 106,1 [155].

ნამეტურ საყურადღებოა ის, რომ მთელ წყება ფორმებს აწარმოებს პოეტი ს ი ტ ე ვ ი ს ა გ ა ნ «და»:

მადესა, 484,1[574].

მიდია, 1281,1[1443].

სდებია, 1267,3[1429].

დებულსა, 733,2 [851].

დება, 1380,3[1548].

დესი, 187,4[252].

დურად, 990,1[1127].

იდოს, 231,1[306].

ს ი ტ ე ვ ი ს ა გ ა ნ «დე და»:

სდედებია, 1267,3 [1429].

ს ი ტ ე ვ ი ს ა გ ა ნ «ქ მ ა რ ი»:

ვექმარები, 1307,4[1472].

ს ი ტ ე ვ ე ბ ი ს ა გ ა ნ «მ ზ ე» და «ხ ე» (სამოთხის ხე, გინა ლერწამი):

პირი მემზოს, ტანი მეხოს, 443,3[532].

მეხოს (ლახვარი, 443,4).

ს ი ტ ე ვ ი ს ა გ ა ნ «მ ე ხ ი»:

გაამეხოს, 443,2 [532] ანდა:

პირ გამეხებული, 433,1[522].

ამ კანონს უნდა დაფუძავიროთ აგრეთვე ისეთი თავისუფალი ფორმები, როგორცაა:

მიწა მიაკვანე, 232,4[307].

მიწა მესამაროს, 630,2[743].

მიწა მესამარი, VIII,4[8] თუ მე სამარი (?).

გულსა დანა ასაქმარი, 88,4[133] — ე. ი. შენგნით გულს დანა მესობოდეს, შენ მირევედე გულში დანას!...

2. სახელზმნისაგან წარმოებული ფორმები.

მრავალგზისი ნამყოს მნიშვნელობით არის ხმარებული პოეტის მიერ შემდეგი ფორმები:

ვერ მოვიმკი, რაცა ვსთესი, 1062,4[1201], — რაც ნიშნავს:

ვერც ერთხელ ვერ მოვიმკე ის, რაცა ვსთესე.

ამგვარივეა ფორმა «ვა ჳ ა მ ი», 1010,4[1148] ან

და ესე მეყო საგონებლად, კვლა შევიდი, კვლა გავიდი, 1011,4[1150].

ამგვარივეა ფორმა ნამყო სრულის მნიშვნელობით:

წელან საქმე მტერობისა გულსა ჩემსა ჩამოსთესი, 187,3 [252].

და ერთი ზანგი ვამსახურე, მე შევიდი, ენახი ხალვით, 1006,4 [1144].

3. რიცხვის სახელებისაგან წარმოებულის ზმნის ფორმები:

უ ა თ ა ს და, არ უ ა თ და, 749,2[867].

თავსა ჳირი უ ა თ ა ს ეთ, რადმც უ შ ე ი დ ე თ, რადმცა უ რ ე ე თ, 545,4 [639].

მით პატიჟი ეოცეების, 93,4[140].

თუ პატიჟნი იასოცნეს, 1022,3; 1293,4[1161, 1455].

დავრჩები პატიჟთა გასაოცებით, 1406,3 [1575].

თვე თორმეტი გამეოცა, 495,1 [588].

ათასეს, ... აერთხელეს, 619,3 [731].

ნაკადი ბევრები, 1190,3[1336].

ამაღორსა, 531,4[624].

ჩვენ აღნიშნეთ თითქმის ყველა, გრამატიკული კანონებისა და ხალხური ენის თანახმად, ლექსისათვის წარმოებული ფორმა, რომლებიც საუკეთესოდ ეხმარება პოეტს მისი საუცხოვო და ჯადოსნური ლექსის შექმნაში.

ესლა მოვიტანთ ლექსისთვის, როგორც შემოკლებულს, ისე გავრცელებულ და ზოგჯერ მეტისმეტად ნაძალადევ, ხელოვნურ ფორმებს, რომლებიც შვენიერია პოეტის ქმნილებაში, ხოლო საჩოთირო და შეუფერებელი ცოცხალი სასაუბრო ენისათვის; ამგვარებია:

1. ხმოვანი ა-ნ საფუძელის არსის სახელისაგან მიცემითის ბრუნვის, თან-ხმოვანი საფუძელის არსებითი სახელის მსგავსად, გასახვა;

მაგალითები:

სალამოსა და დილსა, 515,3 [608].

არ დარბაზსა, არცა ხულსა, 1308,4[1471].

დარბაზი და ხული, 578,4[677].

2. მაგრამ უფრო ხშირად გვხვდება თანხმოვანი საფუძელის არსებითი სახელის გასახვა ისე, როგორც ხმოვანი ა-ნ საფუძელის არსებითი სახელისაგან;

მაგალითები:

ხანასა, 1055,2 (1194). მრთელასა (თავებსა), 570,4 [560].

პირასა, 764,1; ტანასა, 1055,3; მცირასა, 764,2[884].

ამგვარადვე პოეტი ურთავს მრავლობითი რიცხვის ფორმებში სუფიქსის ნ-რის წინ ა-ნს, ან საფუძელის არსის სახელთა მსგავსად, და აძლევს მათ ა-ნზე დაბოლოებული კნინობითი ფორმის სახეს, ამგვარია ფორმები:

მეოტანი, 1232 a, 2; ქველანი, 341,1[427].

აწინდელანი, 110,4[1249].

სწორანი, 1126,3[1268], ველანი, 341,3; ცხელანი, 1110,3.

შორანი, 1126,4; ტყუბანი, 394,4[480]; ხორციელანი, 1110,2.

ამგვარადვე, თითქმის უკანონოდ, ე. ი. სუფიქსის ენის გამოტოვებით, არის ხმარებული რითმისთვის მრავლობითი რიცხვის ფორმები:

არები, 238,2 [313] — «არების» ნაცვლად: «სიწყენარე»-საგან მრავლობითი «სიწყენარები», 1040,2[1179]; ყორები, 1396,4[1564].

ამგვარივეა რიცხვის სახელებისაგან წარმოებული მრავლობითი რიცხვი, რასაც, ეტყობა, ვაუღენა მოუხდენია ხალხურ სასაუბრო ენაზედაც, რადგან ხალხი იმერეთში დღესაც ხშირად ხმარობს ამგვარ ფორმებს:

მაგალითები:

ორები, 1396,1 [1564]; ბევრები, 1190,3 [1336].

კიდევ უფრო თავისუფალია პოეტის მიერ მრავლობითი რიცხვის ისეთის ფორმის ხმარება, როგორიცაა: «ნა-ჩანგ-დაფენი», 1283,4 [1445], რომელსაც თითქოს

შეუწარმნებია ერთსადაიმავე ფორმაში ვულგარულ და მწიგნობრულ ფორმათა სუფიქსების «ე ბ» და «ნ»-რის ერთ სუფიქსად შეერთების ლანდი.

ზმნათა უღლვიღებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არსებითი სახელის შემცველი ზმნისაგან წარმოებული აწმყო დროის პირველი პირისათვის ი-ნის წამატება ლექსისათვის, ძველკლასიკური ენის თანახმად:

«მუნ შიგან შეველ მშვიდობით, ამოდ, იგივე მე ვარი», 469,4[559].

«მე მკითხეს, ვარქვი: «თუ ჰპოოთ მუნ სახლსა, სადა მე ვარი», 1063,3[1202]. აგრეთვე მესამე პირში: «ვინ არე», 478,4[568], «სად არე», 1074,4 [1213],—«ვინ არი»-ს ან «სად არი»-ს ნაცვლად.

პირველსა და მეორე პირში სშირად იხმარება საშუალო გვარის სახელზმნი-საგან «რება» წარმოებული ნამყო, აწმყო და მყოფადი დროის (აგრეთვე ბრძანებითი კილოს) ვნებითი გვარის ფორმები:

«მე ვისწრაფვი, ვერა განახავ, შენ წამოდი, ჩემ კერძ ირე», 1268,4 [1430].

«მისკენ მივალ მხიარული, მერე იგი ჩემ კერძ იროს», 763,2 [883].

«ლაშქართა დავერი ცოტათი წამოვალ, შენ კერძ ვირე ბი», 340,4[426].

«ვიცი, არ მოკლავს შიმშილი, რაზომცა დია ირე ბი», 763,1 [824].

«კვლა მოვიდე შენად ნახვად, შენთვის მოვევდე, შენთვის ვირო», 569,3[665].

«მისთა სპათა მუხლმოყრითა თაენი მათნი ჩემ კერძ ირეს», 551,2 [645].

ამგვარივეა ნასახლარი, ანუ, უკეთ «ირემი» და «თხასაგან» წარმოებული მოქმედების სახელის ვნებითის გვარის ფორმები:

არ ირმოს და არცა ითხოს, 571,2[667]... შეად. იქვე მითხოს, 571,4.

საზოგადოდ, პოეტს ძალიან უყვარს «რება»-საგან წარმოებული გადასვლითი ფორმები; დამატებად მათ ახლავს სახელობითს ბრუნვაში, შემასმენლობითის მნიშვნელობით, სიტყვა «თავი», რომელიც ამ შემთხვევაში უკუმოქცევითი ნაცვალსახელის როლს ასრულებს:

ვარო, 446,3, [535]; არო, 194,1 [262], აროს, 654,3[767].

არენით, 1069,1 [1208]; ვარნეთ, 1204,2 [1351].

არნეს, 1257,4; 1260,3 [1417,1421].

მოარნა [თვალნი], 58,3[92].

ვარა, 364,4[450]; რებული [ვნებ.], 155,3; 967,4 [213; 1104].

აგრეთვე რული, 612, 1[722]=რებული.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე პოეტის მიერ ლექსისთვის ისეთი ფორმების ხმარება, როგორცაა: მოსადაფე, 1283,2 [1445]—სადაფის მქონებელი-ს ან მჭერელი-ს მნიშვნელობით, საკუთრივ კი იგი უნდა აღნიშნავდეს სადაფის დამტარებელს, ანუ მოვაჭრეს სადაფით.

ამავე მიზნით არის ხმარებული ფორმა «მოკენესი»¹, 1062,2 [1201], რომელიც წარმოებულია სიტყვისაგან «კენესა» და აღნიშნავს: მოტირალს, მოხრავს, ბედის მოჩივარს, მწუხარეს, მგოდებელს.

ამგვარადვე, რითმის საჭიროებით არის გამოწვეული ისეთი გრამატიკულის ფორმების ხმარება, როგორცაა: მიმართულების მაჩვენებელი ზესართავით «მე»

¹ დ. კარიჭაშვილი მას ჩვეულებრივ ასწორებს თავისებურად და კითხულობს: «არა მკენესის» სახით და ხსნის მას სიტყვით «მკენესარე», 1179,2 [1325]

და ნამყო დროის ვნებითი მიმღეობის პრეფიქსით «ნ ა», წამმძღვარებელი მრავალ-გზისი ნამყოს აზრის შემცველი ვნებითი მიმღეობანი.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

შენათხზარი, 1297,3[1460].

შენაქმარი, 88,2[133].

შენამტერი, 383,4[469].

შენაფლობი, 7,4[38].

შენაპრწენი, 732,2[850].

შენაფიცარი, 1286,1 [1448].

შენამჭვრეტი, 1990,4.

შენათხზენი, 1128,4[1270].

შენართაული, 375,4[461].

შენატევები, 406,3[493].

რუსთველს უყვარს აგრეთვე «ნ ა» და «ს ა» ზესართავიანი (ნამყოს და მყოფადის) ვნებითი მიმღეობების მიმართულების მაჩვენებელი პრეფიქსით «დაა»-თი ხმარება; მაგალითები უთვალავია; მოვიტან ზოგიერთებს:

დანათხზენი, 1329,3[1493] — დამწნილი.

დანამტკიცარი, 1286,2 [1448] — დამტკიცებული (არა ერთგზის).

დანამჭირი, 82,2[127]—საჭირისუფლო, სანუგეშო; დაჭირვების დროს მოჭირისუფლედ.

დანამჭირები, 1143,2[1286]—ნაპატრონები, ნაჭირისუფლები.

დანაპირი, 804,4[925].

დანაპირები, 340,2 [426]; 1143,4 [1286].

დანაბეჭდულევი, 21,2[52].

დანაუბედი, 73,1 [113].

დანაზებავი, 1345,2[1510]—ალერსიანი, ნაზი, მოყვრული.

დანალამი, 387,1[473]—დაღამებული: არ დანალამია, — გათენებისას.

დასანთქმარი, 88,3[133] — დასადუპავი (მყოფადი).

დასანაზო, 94,2[141]—გასატურფებელი, გასანაზებელი.

დასაყივარად, 1163,1[1308]—დასაჩხაელად.

დასადარი, X X IV,2[24] — დასადარებელი, შესადარებელი.

აგრეთვე საინტერესოა იშვიათი ფორმები:

დამსაჯარი, 1298,3[1461] — დამსჯელი (მოქმედებითი გვარის).

ძებნა — (მოპოება, ან) resp. ძება — მოძებნა-ს მნიშვნელობით პოეტი აწარმოებს მოქმედებითი გვარის (აწმყოს) მიმღეობას «მდებარე», 899,3 [1032] ხოლო «ცება»-ს პარალელურად პოეტი ხმარობს ცოდნის, შეგნების ან ცნების [ცნევის] მნიშვნელობით, სახელმწიფოსა, რომლისგანაც აქვს ერთ ადგილას ნაწარმოები სიტყვა «მცებნელი», 1138,3[1281].

სუფიქსის ულისა და მიმართულების მაჩვენებელი ბრუნვის (ანუ ადვერბალური) დაბოლოების ად-ის საშუალებით წარმოებული ფორმები. კითხვითი ნაცვალ-სახელისაგან «რა»:

რაულად, 375,1[461].

რულად, 938,2; 1035,2; 1067,4; 1374,1 [1075; 1174; 1206; 1542].

რულსა, 707,3[823], იხ. კაკაბაძის რედაქციის 783,3 [903] და შეასწორე ჩვენი 22-ე გამ...

ვარიანტი, 760,3[879]—«მე მახულსა», რომელიც ღალატობს რითმას — «მე მასრულსას» წინააღმდეგ.

ამგვარი ხასიათის არის სიტყვისაგან «მთვარე» წარმოებული ფორმები:

მთვარულად 704,2[820]; მთვარებლად, 152,2[210] ან «დარი»-საგან — დარულად 704,4[820].

ამავე სუფიქსის «ულ»-ის საშუალებით არის წარმოებული აგრეთვე ფორმები: დასთა დასული, 2,2[33].

დასში მყოფი; ბევრად ასული, 2,4.

ნიადაგულსა, 266,4[344]—მუდმივსა.

რითმის საჭიროებით არის გამოწვეული იმგვარი ხელოვნური ფორმაც, როგორცაა «ლამაზმანები» ნაცვლად «ლამაზმანისა», სადაც ე ბ ი უნდა იყოს შემცველი ორგვარი აზრის:

შეიძლება იყოს ნაცვალსახელი ეს მრავლობითს რიცხვში, ანუ, უკეთ შემოკლებული ეს ე ე ბ ი (ყველა ეს), ან შემოკლებული ე ბ რ, ისე როგორც თ ქ მ უ ლ ე ბ, ნაცვლად თ ქ მ უ ლ ე ბ რ-ისა, იხ. 757 a, 1 [876], თუ რასაკვირველია, მთელი ეს ხანა ჩანართი და, მაშასადამე, ყალბი არ არის.

აგრეთვე არა ნაკლებ უჩვეულო და, მაშასადამე, საჩოთიროა დღევანდელი ქართველის სმენისათვის ფორმები: ეცხება, 1345,4 [1510] (შეად. კარიჭ. ეცხელა და ცხებული, 751,4 [869]).

ა გ რ ე თ ვ ე ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი ა ფ ო რ მ ე ბ ი: ი ე ფ ო, 101, 2[148].

უდილადო, 1409,3 [1578].

უმაგარი, უარყოფითი ნაწილაკით, უ-ნით¹ 50,2[87]—აქედგან უმაგარდა — მაგრად არა ჰქონდა, უცემდა შიშისაგან.

დასალრეჯილო, 154,4 [212] — შესაწუხებელი, დასალონებელი, საწყენი გულის სატყენი რამ.

საგაზრდილო, 154,2—სადაც გაზრდილვარ.

მცებნელი 1138,3 [1281]—სიტყვისაგან ცებნა, ან ცება¹, — ცნობა, ცოდნა; ცნევა, შეტყობა; გაგება. შეად. დ. კარიჭაშვილის მცნეველი, 1258,3 [1281].

მლხინებო, 1403,1 [1572] — იკითხებოდა «ლხინებო».

საინტერესოა, აგრეთვე, შემდეგი, როგორც უარყოფითი და, ამავე დროს აღმატებითი ხარისხის გამომხატველ მიმღობათაგან, ისე ზედშესრულთაგან, წარმოებული ფორმები:

უქი², უარყოფითი—გაუქდა, 856,4[986].

უმეცარი, აქედგან — «გაუუმეცარდა, 50,4[87].

მაგარი — უმაგარი (უარყოფითი), აქედგან — უმაგარდა, 50,2.

უმაგარი იგივეა, რაც უმაგრო, იხ. არ ციხე უმაგრონია, 315,3[400].

აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აგრეთვე ის ფაქტი, რომ ზოგჯერ

¹ აქედგან ფორმები: მ ი ც ი ს, 1138,2[1281]; ცაცა იცის, 48114[575]; ცაცა იცო, 568,3[664].

² ფორმა უქი, რომელიც ეტიმოლოგიურად უარყოფას გამოხატავს, შეიძლება იყოს ამავე დროს, აღმატებითი ხარისხის გამომხატველიც. იხ. ხანა 1005,1 [1143], აუიყვანე იგი პირზე ნაქები და, ვერ ვთქვი «უქი», აქ უქი გამოხატავს აღმატებითს ხარისხს.

ორი, — თითქო ერთნაირად შემდგარი, ნასახელარი ზმნისაგან წარმოებული, — ფორმა სულ სხვადასხვა, ერთიმეორის წინააღმდეგი აზრის შემცველია.

მაგ., ზემორე დასახელებული ფორმა «უმაგარდა» — ნიშნავს მაგრად არა ჰქონდა, ე. ი. გული საგულეს არა ჰქონდა; ხოლო ფორმა «უსუბუქდა», — რომელიც სწორედ ისევე არის წარმოებული ზედშესრულისგან «სუბუქი», როგორც «უმაგარდა» — ზედშესრულისაგან «მაგარი» — პირიქით, — აღნიშნავს იმასვე, რასაც «შეუსუბუქდა», (შეუმცირდა ჭირნი) და მაშასადამე, პირველ შემთხვევაში პრეფიქსი უ-ნი ხმარებულია უარყოფითი ნაწილაკის აზრით, ხოლო მეორეში — მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის მნიშვნელობით.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ იყენებს რუსთველი ლექსისთვის უარყოფითი ნაწილაკის უ-ნის ხმარებას, საუკეთესო მაგალითს იძლევა შემდეგი ფორმები: უდილაღო, 1409,3[1578], — ე. ი. არა სადილაღ, არამედ უ დ ი ლ ა ღ ო ს ა, ე. ი. მუდამ დღე, ყოველთვის.

უადგილო, 154,1 [212].

უსუბარი, 326,1[411].

უსაპირო, 80,1[123].

უმაგარი, 50,2[87].

უმაგრო, 315,3[400].

უსაზომო, 206,4[276].

უიცარი, 1286,3[1448].

ფორმის «უკადრის»-ს, — 58,2[96] გვერდით, გვხვდება აგრეთვე «უკადრო», 315,2[400].

მაგრამ არის ისეთი შემთხვევაც, რომ უარყოფითი უ-ნიც, თავისი მხრით, ორნაირი მნიშვნელობის მქონეებელია; ასე, მაგ., უთამამო, იხ. 581²,3[682]: ხარისხის მნიშვნელობა აქვს, შეიძლება აღნიშნავდეს არა თამამს, ანუ უკეთ, გაუბედავს, შშიშარასაც. საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს პოეტის მიერვე ხმარებული სიტყვა «უმსგავსო», 952,3[1089]; 1028,3 [1167], რომელიც ერთს შემთხვევაში ნიშნავს შეუდარებელს, ძვირფასს, საუკეთესოს, ხოლო მეორეში — პირიქით — საძაგელს, უშნოს (იხ. აქვე: ლექსიკონში, გვ. 327, უ მოვარდნილია). ეს, რასაკვირველია, ასეც უნდა იყოს, რადგან ყველაზე უკეთესად, ანუ უებროდ ის უნდა ითვლებოდეს, რასაც, ან ვისაც, ტოლი, ებრი, მსგავსი, არ მოეპოება, რაც, ან ვინც, სწორუპოვარია, და რუსთველის ენაც ამ მხრივ საუკეთესო მაგალითებს იძლევა.

ზოგჯერ ვპოულობთ ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ერთად ხვდება უარყოფითი ნაწილაკისა და შედარებითის ხარისხის ან მე-3 პირის ობიექტის, მაჩვენებელი უ-ნები: ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს წინა ჯგუფში მოთავსებული უსუბარი. 326,1, ანდა კიდევ: უმეცარება, 50,4 (გაუუმეცარდა).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პოეტის მიერ დასართავი, ანუ უკეთ, წასამატებელი სიტყვების დართვა ფრაზის აზრის შესავსებლად ან განსამარტივებლად; რუსთველის უმეცარს და ამ მხრით გამოუცდელს პირს ეს მოვლენა გრამატიკულ უკანონობად მიაჩნია, რის გამო პოემის შესავლის მეორე ხანას, სადაც ეს მოვლენა შეინიშნება, ჩანართად თვლიან. აი ეს ადგილიც:

11,3[2] — მომეც მიჯნურთა სურვილი, — სიკვდილმდე გასატანისა.

11,4.—და ცოდვათა შესუბუქება, — მუნ თანა წასატანისა.

პირველ შემთხვევაში აზრი ამგვარია: მომეც მიჯნურთა სურვილი, — სიკვდილმდე გასატანისა, ე. ი. მომეც სიყვარულის გრძნობა მისადმი, ვინც სიკვდილამდი გასატანია (= მიჯნურისადმი); ხოლო მეორეში კი — და ცოდვათა შესუბუქება, — მუნ თანა წასატანისა, ე. ი., შესუბუქება (ყველა იმისა), რაც მუნ თანა (საიქიოს) წასატანია.

რომ ეს ასე უნდა გავიგოთ, და არა სხვანაირად, ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა 279-ე [362] ხანის მე-4 ტაეპი:

«და გავიჭსენ ფარვად პატიჟთა, — არვისგან საეჭველისა». სადაც სიტყვები «არვისგან საეჭველისა» არის აგრეთვე აზრის შესავსებლად და განსამარტებლად მიღებული, რაც ამავე დროს გამოწვეულია ლექსისა და რითმის საჭიროებითაც.

«ვეფხისტყაოსნის» 26-ე გამოცემიდან.

აუსთაველი თუ აუსთველი¹

«ვეფხისტყაოსნის» ახალი გამოცემა იწვევს ლაპარაკს ბევრ ისეთ რამეზე, რაც უკვე დიდიხნიდან დამტკიცებულია მკვლევართა მიერ. ასეთია, მაგ., ამ წიგნის სათაურშივე წარმოდგენილი პოეტის სახელწოდება, თუ გვარი «რუსთველი».

ფორმა «რუსთველი» სმარებული იყო პირველად ჩემ მიერ. პოეტის შესახებ უძველესი ცნობა დაცულია თვით «ვეფხისტყაოსნის» შესავალში. იქ შესავლის მე-7 და მე-8 ხანებში პოეტი თავის თავს რუსთველს უწოდებს. ამ ხანების სიძველეს კი ადასტურებს ის ფაქტი, რომ მათ უკვე კითხულობდნენ მათ დროს არსებულ ხელნაწერებში აღორძინების პირველი ხანების პოეტები, როგორცაა ერთი «იოსებზილიხანიანის» უცნობი მთარგმნელი, მეორეც «იოსებზილიხანიანისავე» მთარგმნელი თეიმურაზ პირველი. ეს პოეტები «იოსებზილიხანიანის» ხსენებული მთარგმნების შესავლებში ადასტურებენ სიტყვებს «დაეჯე რუსთველმა გაველექსე» და «მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა»...

ამას გარდა, კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის «იოსებზილიხანიანის» შესავალი პირდაპირ მოწმობს, რომ თამარისა და დავით სოსლანის შესახებ «ვეფხისტყაოსნის» ხანები იმ ხელნაწერებში, რომლებიც მას ხელთ ჰქონია, უკვე არსებობდა. აი ზოგიერთი საყურადღებო ადგილები:

«ესენი შოთა რუსთველმან შეამკო არსთა მკობითა,
თვით მინდობილმან სიბრძნესა, მერმე თამარის სმობითა».

ამ ადგილიდან აშკარად ჩანს, რომ თეიმურაზ პირველს, რომლის მოღვაწეობა მე-17 საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის, ხელთ ჰქონია ისეთი ძველი ხელნაწერი, რომლის შესავალშიაც მოთავსებული ყოფილა № № 599 და 2829 ხელნაწერებით უარყოფილი მე-2 და მე-7 ხანები, რაც, თავისი მხრით, ამტკიცებს, რომ ეს ხანები, პოეტის შესახებ უძველესი ცნობის შემცველია...

ამნაირად, «ვეფხისტყაოსნის» შესავალი და აღორძინების პირველი ხანის პოეტები თეიმურაზ პირველი და სხვები და მათი მომდევნონი, როგორც არიან არჩილი და დავით გურამიშვილი, ერთხმად სმარობენ ფორმებს: «რუსთველო», «რუსთველი», «რუსთველის ნათქვამში» (არჩილ), «რუსთველისებრ» (დავით გურამიშვილი), აგრეთვე ძეგლებშიც, მაგ., ღვთაების გუჯარში 1722 წლისა, პირდაპირ

¹ აზრთა გაცვლა-გამოცვლის წესით. რ ე დ ა ქ ც ი ა.

ნათქვამია: რომ «რუსთველად ამის მიზეზისათვის უწოდებიათ რუსთელისათვის. რომე რუსთავს ამა ქალაქს უხმობენ».

ამნაირად, ყველა ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურული ძეგლი ცნობს მხოლოდ ფორმას «რუსთველი» და მისგან გენეტიკის «რუსთელის» და არასდროს მათში არ ვხვდებით ფორმას «რუსთაველი». აგრეთვე ყველგან ამ მათ მიერ მიღებულ ფორმიდან — «რუსთველი» — ისინი აწარმოებენ გენეტიკის ფორმით «რუსთელის» და არა «რუსთველის».

გაზ. «კომუნისტი», 1934, № 247 (4103).

„ვეფხისტყაოსნის“ ოკი უმთავრესი გმიკის სახელის „ვაკინი“ დე „ავთანდილ“ ეფიმოლოგიისათვის

ჩემი მუშაობის დროს «ვეფხისტყაოსნის» სიუჟეტის წარმოშობის საკითხში მე შევეცადე გამომერკვია პოემის მთავარი გმიკის სახელის «ავთანდილის» ეტიმოლოგია; ადრე, ამ სახელს მე ვთვლიდი შემდგარად ორი სიტყვისაგან (ნ. ჩვენი: ვტ-ის 22-ე და 26-ე გამოცემები, 1914 და 1926 წწ., ლექსიკ., საკუთარ სახელებში «ავთანდილ»): ა) ირან. xaftan — ხაფთანი და ბ) ირან. dil — დილ, გული, მაგრამ ამჟამად უკვე აუცილებლად ვრაცხ საჭიროდ ამაში შესწორება შევითანო.

ამ სიტყვის პირველი ნაწილი არის არა ირან. xaftan, არამედ არაბ. avtan¹; ე. ი. იგი არის მრავლ. რიცხვი სიტყვისაგან — vatan სამშობლო და აღნიშნავს «სამშობლო მხარეებს», მეორე ნაწილი კი არის იგივე ირანული dil — გული, ასე რომ «ავთანდილ» სიტყვისათვის იგივეა, რაც «სამშობლოს გული»; პირველ ნაწილში avtan არაბ. ასო ط მკვრივი t თავდაპირველად, ალბათ, ქართულში გადმოცემული იყო ტ-არით, მაგრამ, დროთა განმავლობაში, უკვე ქართული ხალხური ენის ნიადაგზე, ის უნდა შეცვლილიყო სშულ თ-ანად, რის დანახვაც სრულიად ადვილია მთელ წყება მაგალითებზე, როგორც საზოგადო, ისე საკუთარი სახელებისა, რომლებიც შემოსულან ქართულში არაბულიდან და ირანულიდან.

ასე, მაგ., არაბული ზოდიაქალური ნიშნის სახელწოდებისაგან სარატანი, (არაბ. سرتان saratān) «ვეფხისტყაოსნის» ერთ-ერთი ძველი რედაქციიდან მიღებულია ვახტანგის გამოცემის «საროტანი», რომელიც თავის წარყენილ წაკითხვაშიაც კი სწორად იცავს არაბულ მკვრივ t-ს ქართული ტ-არის სახით; უგვიანეს 1688 წლის ნუსხაში უკვე გვაქვს «სარათანი», აგრეთვე «ვეფხისტყაოსანში» ჩვეულებრივ ხმარებული ასტრონომიული ტერმინი მუშთარი muṣṭari დღევანდელ სასაუბრო ქართულში იხმარება უფრო ძველი ფორმით «მუშტარი» mustari — მუიდეელი, საქონლის გამსაღებელი, და ამგვარ წაკითხვაში კი დაცულია ზუსტი არაბული გამოთქმა ასო ط ასი.

საზოგადოდ, ირანულიდან ნათარგმნი ქართული საერო ლიტერატურის ძეგლებში არაბული მკვრივი t-ეს (=ტ) ან t'-ეს (=თ ან ტ) ქართულ სშულ სპირანტად თ-ანად გადმოცემის, ან შეცვლის მაგალითები ძალიან ბევრია (გ. მარი და

¹ აქვე აღსანიშნავია, რომ, როგორც ნს. რ. vatan, ისე მრავლ. avtan, ერთნაირად არის სხარებული «სამშობლო მხარეთა» ან «სამშობლოს» მნიშვნელობით, როგორც მწიგნობრულ, ისე სასაუბრო არაბულში.

კ. დონდუა. სპარსულ-ქართული ლექსიკონი ულუბეგის ტაბულებისათვის და პი-
დაიათ ილ-ნუჯუმ, ლენინგრადი, 1926 წ.).

მაგრამ, განსაკუთრებით ასეთ ფაქტს ადგილი აქვს პირთა არაბულ-ირანულ
საკუთარ სახელებში:

ირან.-არაბ. *طهماسب* Tahmasb... resp. ირან. *طهماسب* Tahmasp. ქართ. თაჰ-
მასფ, —ირან. *طهماسب...* თაჰმას, ქართ. თამაზ; აგრეთვე ირან.-არაბ. *طهمورث* Tah-
muras... ქართ. თაჰმურაზ, თეიმურაზ, თამურაზ; არაბ. *طوران* Turān. ირან.
توران —თურან და სხვები.

წამოყენებული ეტიმოლოგია სავსებით მართლდება სიტყვათა შედგენის
ირანული კანონითაც: სახელდობრ, ფორმა «ავთანდილ» ეკუთვნის ისეთი რთული
სიტყვების თანრიგს, როგორცაა: *اندرخت* Jranduxt. — «ირანდუხტი»-ი საკუ-
თარი სახელია, რომელიც, საკუთრივ, იგივეა მნიშვნელობით, რაც ირანის ასული.
ნ. «ქილილა და დამანაში»¹ საკ. სახელი ირანდუხტი 503,19 = სპარ. ტ. KD 308,13;
انرسان! Jransamin ირანზამინ (საკ. ირანის მიწა) — ირანი, ნ. ფირდუსის-
«შაჰ-ნამე», ან *انرسان شهر* ირან შაჰრ (საკ. ირანის ქალაქი, ირანის სამეფო — ირანი)².

საკ. სახელის «ტარიელის» ეტიმოლოგიისათვის

ქართლის ცხოვრების მატიანეებით (ქცხ. გამ. მარი ბროსესი, 160,25 = მარიამ
დედ. «ქართ. ც-ბა», გამ. ე. თაყაიშვილისა 180,14), სპარსთა მეფემ ქართველი მე-
ფის მიერ სიკვდილით დასჯილი პიტიახშ-ვასქენის³ ნაცვლად, გაგზავნა რანს და
მოვაკანს ახალი ერისთავი, სახელად «დარიელ» და უბრძანა მას ყოფილიყო
მეგობრულად ქართველებთან და მოემადლიერებინა ისინი იმ მიზნით, რომ არ
გაეწყვიტა მათ კავშირი ირანელებთან და არ შეერთებოდნენ ბერძნებს.

ეს ირანელი ერისთავის სახელი «დარიელ» მარიამ დედოფლის «ქართლის
ცხოვრების» ნუსხაში (180,14) წარმოდგენილია ფორმით «და: რელ», ე. ი. გაპო-
ბილია ორად, რაც წარმოგვიდგენს აშკარა წარუენას⁴.

ეს სახელი ტარიელ მოიპოვება აგრეთვე სიძველეთა მუზეუმის «ვეფხისტყაოს-
ნის» (ნ. ხელნაწერში ტფილისის უნივერსიტეტთან ე. წ.-კ. გ. საზ. მუზეუმი)
— 4758, რომელიც შემოწირულია დ. ზ. სარაჯიშვილისაგან. ხელნაწერი შემკუ-
ლია 87 ნახატით, რომელთა შინაარსიც აღნიშნულია ჩანაწერებში სპარსულად და
ქართულად.

სახელი «ტარიელ» წარმოდგენილია ირანულ ჩანაწერში ფორმით დარიელ.
داریل «დარიელ».

¹ «ქილ. და დამანა», ირან. ტექსტი, ბერლ. ლითოვრ. გამ. 1924.

² იხ. K. Г. Залеман и В. А. Жуковский. Крат. грам. ново-персид. языка, გვ. 21, § 14.

³ პიტიახშმა ვასქენმა აწმა თავისი ცოლი შუშანიკი იმისათვის, რომ უკანასკნელმა არ უარყო.
ქრისტეს სჯული და არ მიიღო მზღვიზმი. ამისათვის ქართველთა მეფე ბაკური დაესხა თავს პი-
ტიახშ ვასქენს თავისი ჯარით მდ. მტკერის და ანაქერტის შესართავთან, სადაც ვასქენი შეიპურეს.
და «დასჭრეს მას ასონი» და ჩამოკიდეს ხეზე («ქართლის ცხოვრება», გვ. 160, სტრ. 25).

⁴ შეად. ბროსეს გამ., გვ. 160, სტრ. 25.

ადვილია დანახვა, რომ «ვეფხისტყაოსნის» მთავარი გმირის ქართული სახელი «ტარიელ» სრულიად იგივეა, რაც ეს ირანელი ერისთავის სახელი «დარიელ».

სახელი «დარიელ» აგრეთვე ორი ნაწილისაგან შედგება, სახელდობრ: Dar ძველ ირანულ Daga-საგან, «და რ ა» კი იგივეა, რაც მე უ ფ ე, მე ფ ე, საკუთრივ Dar — ნიშნავს «მქონებელს», მფლობელს, მაშასადამე, იგივეა რაც Dara ან Daray — აქემენიდების ლურსმული წარწერების ირანული დინასტიის მეფეთა საერთო სახელი, მეორე ნაწილი jal «ე ლ» აგრეთვე არის ირანული სიტყვა, რომელიც აღნიშნავს გ მ ი რ ს, მ ო ყ მ ე ს, და ამნაირად და რ ი ე ლ, როგორც მისი ქართული ფორმა «ტარიელ», მნიშვნელობით იგივეა, რაც მე ფ ე გ მ ი რ ი, «მ ო ყ მ ე მ ე ფ ე».

აკადემიკოს მარს მშვენიერად ესმოდა თავისი მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისშივე ამ სახელის აზრი და შინაარსი, მაგრამ პატივცემული მეცნიერის ეტიმოლოგიური განმარტება, რომლითაც ტარიელ გაიგივებულია შაპრიართან¹, ჩვენ მიერ მიგნებული ირან. სახელის «და რ ი ე ლ»-ის შემდეგ, თავისთავად ესპობა.

თბილისის უნივერსიტეტის შ რ ო მ ე ბ ი, 1936, ტ: III, გვ. 182—184.

¹ Н. Я. Марр. Грузинская поэма «Витязь в барсової шкуре» Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема.—ИАН, 1917, გვ. 428, №58.

„ვეფხისტყაოსნის“ გეგმის დარღვევის ვითარება ვახტანგის ჩადგომისთან დაკავშირებით

(«ვეფხისტყაოსნის» ტექსტის დარღვევის საკითხისათვის)

ვახტანგის ტრადიციული ტექსტით მიღებული «ვეფხისტყაოსნის» დასასრულის შესახებ ახალ რუსთველოლოგებს შორის ერთსა და იმავე დაუსრულებელ სტერეოტიპულ მსჯელობას აქვს ადგილი, — სახელდობრ, მსჯელობას იმის შესახებ, — შეკვეცილია ვახტანგისეული ტექსტი თვით ვახტანგის ხელით, თუ იგი არის მოცემული სახით ნაანდერძევი იმ ხელნაწერით, რომელიც გამოყენებულ იქნა რედაქტორის მიერ ამ გამოცემისათვის, რასთანაც ისინი, ვინც უნდობლობას უცხადებს ვახტანგისეულ ტექსტს, საჭიროდ თვლიან დაურთონ მას ფინალისათვის დამატებად ინდოხატაელთა ამბავი, რომელიც, როგორც სტილით, ისე შინაარსითაც, ზედმეტია და შეუფერებელი პოემის ტექსტისათვის.

ყველა ამასთან, ზოგიერთების აზრით (სარგის კაკაბაძის, აწ — კეკელიძისაც) საჭიროა აგრეთვე ინდოხატაელთა ამბავი, — რომელიც არ შეადგენს პოემის ნაწილს, არამედ შემდეგი დროის დამატება-გაგრძელებას წარმოადგენს, — მოხსნილ იქნას პოემის სსეულიდან და თან გაჰყვეს მას ავთანდილ-თინათინის ქორწილიც, და ყველა ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საკმაოდ დიდი ხნის ამბავია, თითქმის ნახევარი საუკუნეა, მას შემდეგ, რაც ქართველი მწერლების და მოღვაწეების წარმომადგენლები როგორც კოლექტიური, ისე ერთპიროვნული კვლევა-ძიების შედეგად, იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ პოემა უნდა იყოს იმავე მოცულობის და უნდა თავდებოდეს სწორედ იქ, სადაც უკანასკნელ წერტილს სვამს ვახტანგის გამოცემა.

ასეთი სხვადასხვაობა და უკიდურესობანი პოემის ტექსტის საკითხში აიხსნება იმით, რომ ვახტანგისეული ხელნაწერი სათანადოდ შესწავლილი არ არის, რუსთველოლოგების უმეტესობას მის შესახებ გარკვეული აზრი არ მოეპოვება, ვახტანგისეული ტექსტის შეუსწავლელად კი შეუძლებელია გარკვეული რამის თქმა პოემის შედგენილობის შესახებ.

იმათ აზრს, რომლებიც უნდობლად ეპყრობიან ვახტანგისეული რედაქციის შედგენილობას, და, საერთოდ, მის მიერ მოცემულ ტექსტს, და ამ მიზეზით ცდილობენ დაურთონ მას, ე. ი. ვახტანგისეულ გამოცემას, ყველა ჩვენამდის მოღწეული ხელნაწერებით დაცული შემდეგი დროის დამატება-გაგრძელება, ანდა, პირიქით, კიდევ უფრო შეკვეციონ იგი მთელი თავის, — როგორც ავთანდილის და თინათინის ქორწილის აღწერილობაა, — უკუვადებით, აშკარად ეწინააღმდეგება შემდეგი ფაქტები, რომლებიც მქდავენდება, როგორც თვით ამ გამოცემით გადარ-

ჩენილი ზოგიერთი ადგილებიდან, ისე ჩვენი ძეგლის შედარებიდან სხვა ახლად აღ-
მოჩენილი ხელნაწერების ტექსტებთან.

ასეთი ფაქტებია:

1. ვახტანგის გამოცემული ტექსტისათვის დართული კომენტარიებისა და
შენიშვნების რედაქტორ-კომენტატორი გვევლინება, როგორც ქრისტიანულ კლდე-
რიკალურ ფეოდალური მიმართულებით გაქვნილი პიროვნება; ტექსტის ზოგი-
ერთი ვარიანტული განსხვავებაც აშკარად მის ამგვარ მიმართულებას ამხელს. ეს
კი უჭველია ეწინააღმდეგება მის მიერ ჩვენი ძეგლის სულისა და მიმართულების
ცოდნას.

სხენებული გარემოება, რომელიც გვაძლევს ნათელ წარმოდგენას მისი ამ
შემთხვევაში ცოდნის მეტისმეტად დაბალი დონის შესახებ, ამავე დროს იძლევა
სრულ შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ვახტანგი ვერ შეძლებდა საუკუნეებით
წარყენილი ტექსტის გაწმენდას, თუ მას არ ჰქონოდა ხელთ ისეთი ხელნაწერი,
რომელიც თავისი შედგენილობისა და მოცულობის მხრით თავისუფალი იყო მის
დროს არსებული ყველა ხელნაწერების ჩანართებისაგან.

2. ვახტანგის რედაქცია არის ერთ-ერთი შემთხვევით გადარჩენილი საკმაოდ
ძველი დედნის პირი, ანუ, უკეთ, საუკუნეებს გადარჩენილი ერთ-ერთი უნიკუმის
პირველი გადამწერ-რესტავრატორის მიერ რესტავრირების დროს ძალზე დაზი-
ანებული პროლოგ-ეპილოგის და თვით პოემაშიაც აგრეთვე ძალზე დაზიანებული;
თუ დაღუპული, ადგილების არასწორად აღდგენის გამო (ხარვეზების ახალი ხანე-
ბით წარყენის გამო) შემდეგი გადამწერ-რედაქტორებისაგან დაწუნებული და მი-
ვიწყებული ხელნაწერის პირი, რასაც აშკარად ამხელს თვით ამ რედაქციით და-
ცული წაკითხვები.

მაგ., რესტავრატორის ხელით წარყენილია «საროტანი» «სარათანის» ნაცვ-
ლად, რომელიც თავისი წარყენილი სახით ამქვანებს ძველ, უფრო სწორ ფორმას
ტ-ართ, ნაცვლად სხვა ხელნაწერებით დაცული «სარათანი»-სა (თ-ანით); აჯა-
ბი, — საკვირველი რამ (სანახაობა), ფოკუსი, სამუშაითო საქმე და სხვა; სოქა-
ლი — გაყვითლებული, სიყვარულის სენით დაავადებული, გამხდარი, სიყვითლის
სენი, ერაყანი. სიგამხდრე, რომელსაც ეჭირება ვსება, ავსება, შევსება; ეგვე
ვსება ნ. საბას ლექსიკონში ვსებასთან და სხვები, რომლებიც შემდეგი დროის
ხელნაწერებში უკვე გაახლებულან ორთოგრაფიულად.

ასე, მაგ., ზაზანული ხელნაწერის ტექსტიც, რომელიც თავისი წაკითხვებით
ძალიან ახლოა მეტწილად ვახტანგის გამოცემულ ტექსტზე, ავულგარებს ისეთ
სიტყვებს, როგორცაა: «აჯაბი» «აჯაფის» სახით, ან «სარატანი» «სარათანის»
სახით, ხოლო აქვე დასახელებული «სოქალი» კი სრულიად გამქრალა მასში, რო-
გორც იშვიათი და გაუგებარი სიტყვა, და მის «სოქალისას» ნაცვლად, იქ უკვე
იკითხება «მოსაქ ალისა»¹.

¹ ასეთი წაკითხვა კი სრულიად შეუფერებელია პოეტის დროისათვის, და ამიტომაც მთელ
პოემაში ვერსად შეხვდებით ფორმას «აქ», ყველგან არის «აქა». მიუხედავად ამისა კომისიამ ამჯუ-
ბინა «მისოქალისა»-ს შეცვლა ქართული სიტყვებით «მის აქ ალისა», და მან სრულიად დახუჭა
თვალი იმ ფაქტზე, რომ სდებოდა ჩვეულებრივ უცხო სიტყვების ქართულით შეცვლა, რომ უფრო
ადვილი გასაგები ყოფილიყო ქართველი მკითხველისათვის, და არა წინაუკმოდ. ეს მით უფრო გა-
საოცარია, რომ, ამავე დროს, კომისიამ მიიღო ჩემი შესწორება სიტყვის «აჯათას» «აჯაბთას» სა-
ხით, ნ. დაღ. ტექსტის 620,2 სტროფით და შეად. ჩვენი გამ. ძველი წაკითხვა: 527,2.

ამას გარდა, როგორც ეს მე თავის დროზე გამოვარკვეე, ჩვენი მუშაობის იმ-
თავითვე, ამავე შესავლის კლასიკური ფორმები — «მცა ნაწილაკით სმარებული
კონსტრუქცია»: «რათამცალა ასახელა», «კვლა ნუ თუმცა შემოვბრუნდი», «ამის
მეტი რამცა ირგო» ვახტანგის რედაქციით უკვე წარუყენილია, და იკითხება ასე:
«რათამცალა ასახელოს», «კვლა ნუთუმცა შემოვბრუნდე», «ამის მეტი რამცა
ირგოს» და სხვა. საერთოდ, ჩემი გამოცემით საკმაოდ დახვეწილ ტექსტში გა-
თვალისწინებულია ყველა ისეთი მოვლენები, როგორცაა ზმნის ფორმებში მრავ-
ლობით რიცხვის ობიექტის ნ-არის შეტანა და «მცა ნაწილაკით სმარებული ფორ-
მების აღდგენა და სხვა ამგვარები»¹, რაც, ყოველ შემთხვევაში, გამოყენებულია
კომისიის² მიერ მთელს მის მუშაობის პროცესში.

ვახტანგის გამოცემის დედანს, როგორც იმთავითვე წარუყენილს, და ყველაზე
მეტად მივიწყებულს და, როგორც ამგვარს, გადამწერლებისაგან ხელუხლებელს,
ძირითადად შემოუნახავს ჩვენთვის ძველი დედნის წაკითხვები.

ამნაირად ვახტანგის რედაქცია ჩვენ წარმოგვიდგება ერთ-ერთ შემთხვევით
გადარჩენილ პირად ისეთი ხელნაწერისა, რომელიც რესტავირებისას იმ თავითვე
წარუყენილა და ამის გამო შემდეგი დროის გაგრძელების ავტორთაგან ხელუხ-
ლებლად დარჩენილა.

მაშასადამე, ეს რედაქცია თავისი შედგენილობით და მოცულობით უფრო ახ-
ლოა პირველ დედანთან, ვიდრე შემდეგში დამატება-გაგრძელებებით და შიგ ჩა-
ნართი ხანების და ტექსტის ენის შეცდომით შესწორება-განახლებით წარუყენილი
ხელნაწერები.

ზემორეთქმულის მიხედვით, ჩვენ ვფიქრობთ შემდეგს:

1. დროთაგან გადარჩენილი ერთ-ერთი ძალზე დაზიანებული უნიკუმის მი-
ხედვით, პოემის პროტოტიპის აღდგენის შედეგად, ჩნდება ორი მთავარი რედაქ-
ცია, ანუ, უკეთ, გადამწერ-რესტავრატორებისაგან დამზადებული ორი ხელნაწე-
რი, რომელთაგანაც ერთი ძალზე წარუყენილა და შეცვლილა იმთავითვე რესტავ-
რატორის ხელით. ამ ხელნაწერის მიხედვით დასტამბულ იქმნა ვახტანგის რედაქ-
ცია.

ვინც უნდა იყოს ამ რესტავრაციის მომხდენი, მას დიდი შრომა გაუწევია. სა-
ხელდობრ, მას შეუცვლია შესავლის სტროფების თანამიმდევრობა და შეუვისია ჩე-
ნი ძეგლის ხარვეზები მის მიერ ახლად შეთხზული სტროფებით და თანაც ცდი-
ლა გაეახლებია და უფრო გასაგები გაეხადა თავის თანამედროვეთათვის ძნელი
გასაგები ადგილები და შეუტანია ტექსტში ორთოგრაფიული სიხალენი და სხვა.
ყველა ამის გამო ტექსტიც ძალზე შეცვლილა, ანუ, უკეთ, წარუყენილა, — გარე-
მოება, რომელიც იწვევდა უნდობლობას ამ რედაქციისადმი, და რომელმაც ამნა-

¹ მიუხედავად ამისა, ეუკოლ ბერიძე «საბჭოთა ხელოვნების» 1936 წლის № № 1 და 2 მო-
თავსებულ წერილში სათაურით «ვეფხისტყაოსნის» ენის თავისებურება», რომელიც ამხელს შეკლე-
ვარის მხრით ხსენებული კონსტრუქციის არცოდნას, წერს: «მცა ნაწილაკისათვის მოკლე, მაგრამ
მრავალმეტყველი ლიტერატურა არსებობს, ეუთენის იგი პროფ. აკაკი შანიძე. როგორია ამ
ნაწილაკის ბუნება?» და სხვა. ასე წერს მეცნიერი პროფ. შანიძის ნარკვევებ მაშინ, როდესაც 1913
წელს ჩვენ უკვე მითითებული გვეონდა დაინტერესებულთათვის სსენ. კონსტრუქციაზე, რომლის მი-
ხედვითაც შეეასწორეთ პირადად ვახტანგის ტრადიციული ტექსტის წარუყენილი ადგილები.

² ლაპარაკია რუსთველის სახელობის ინსტიტუტის «ვეფხისტყაოსნის» ტექსტის დამდგენი კო-
მისიის შესახებ. რ ე დ.

ირად შეგვიწინარჩუნა ერთი უმოკლესი და პირველ დედანზე დაახლოებული რედაქცია (ნ. ჩენი «ვახტანგ VI გამ. ვტ.-ის რედაქცია», ტფ., 1914 წ. ზემოთ), მეორე რედაქცია კი, — უფრო ზუსტად გადმოწერილი და სარწმუნო, — რომელიც მეტნდობას იწვევდა, — იმ თავითვე გამხდარა გადამწერელ-რედაქტორთა სახელმძღვანელოდ, და, მაშასადამე, ამ უკანასკნელისაგან წარმომდგარა ის სხვაობანი, — როგორც სტროფული შემადგენლობის, ისე ვარიანტების მხრით, — რომელთაც გვაძლევენ XVI-XVII საუკუნეების მრავლისაგან უმრავლესი ვრცელი ხელნაწერები.

ამავე რედაქციის შემცველი ხელნაწერიდან წარმომდგარა, ერთი მხრით, — ისეთი ძველი და ჯერ გადაუქართულებელი წაკითხვების შემომხანხველი ხელნაწერი, როგორიცაა M (№ 461) ხელნაწერი, და მასთან XVII საუკუნის მეორე ნახევრის E 2829 და H 4499 ხელნაწერები, და, მეორე მხრით — ისეთი ფაქიზად შესრულებული ხელნაწერები, როგორიცაა: აღმურაანთ ბაღდასარის შვილის მუშრები ვასპარას C ხელნაწერი № 757, რომელიც ძირითადად წმინდად იცავს ვახტანგის ტრადიციულ წაკითხვებს; უკანასკნელიც თავისი წაკითხვებით ამქლავნებს, რომ იგი ვახტანგის გამოცემის დედნის რედაქციის მომდევნოა.

ყველა ამის შემდეგ საკითხავია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ვახტანგის რედაქციას პოემის ტექსტის დადგენის საკითხისათვის, ან როგორი უნდა იყოს პოემის დასასრული ამ რედაქციის მიხედვით, ანდა საჭიროა, თუ არა მიემატოს მას რაიმე კიდევ ზედმეტად იმ დამატება-გაგრძელებებიდან, რომლებიც დართული აქვს ყველა ხელნაწერებს, გარდა ვახტანგის რედაქციისა?..

ამ ნახევარი საუკუნის წინათ არავის ეჭვი არა ჰქონდა იმაში, რომ ვახტანგის რედაქციის გარეშე სხვა ხელნაწერებით დაცული დამატება-გაგრძელებები, — რომლებიც, როგორც სტილით, ისე შინაარსით, აშკარად ეწინააღმდეგება პოემის ძირითად ტექსტს, — უნდა სამუდამოდ იქნას უარყოფილი.

იყო ცდები, — როგორც ადრე დავით რექტორის, ისე შემდეგ აკად. ბროსეს მხრივ, რომელმაც ვახტანგისეული ტექსტის ხარვეზების შესავსებად სხვა ხელნაწერებიდან შეიტანა 48 ხანა, წინააღმდეგ ვახტანგის ტექსტისა, ზედმეტად მის მიერ ზ. ფალავანდიშვილის და დ. ჩუბინაშვილის თანამშრომლობით შედგენილ რედაქციაში, აგრეთვე რამდენიმედ დ. ჩუბინაშვილის მხრივაც, რომელმაც თავის ცალკე გამოშვებულ გამოცემაში შეიტანა 6 ზედმეტი ხანა წინააღმდეგ ვახტანგის რედაქციისა, მაგრამ, რაც შეეხება თვით პოემის შედგენილობას, ანუ, უკეთ, იმას, თუ როგორი უნდა იყოს პოემის ტექსტი მოცულობის მხრივ, ყველა ცნობილი და ცოტად თუ ბევრად ავტორიტეტით აღჭურვილი მეცნიერი იმ აზრისა იყო, რომ ვახტანგის რედაქციით წარმოდგენილი ტექსტი, დაბოლოების მხრივ, არავითარ დამატება-გაგრძელებას აღარ საჭიროებს.

ასეთი მდგომარეობა, — რომელიც კიდევ უფრო გამტკიცდა იმ კოლექტიური მუშაობის შედეგად, რომელიც ჩატარებულ იქმნა პოეტ ილია ჭავჭავაძის და იონა მეუნარგიას თაოსნობით 1888 წელს, და რომლის შედეგადაც მიღებულ იქმნა პოემის ტექსტის გ. ქართველიშვილისეული მხატვრული გამოცემა, — უცვლელად რჩებოდა ამ 23 წლის წინადრომდე, ე. ი. 1913 წლამდე.

დასახელებულ დრომდე შედგენილობის (მოცულობის) მხრივ, ყველა გამომცემელი, თუ რედაქტორი, იმეორებდა ვახტანგის რედაქციას იმ მცირეოდენი ცვლილებების შეტანით, რომლებსაც ვამჩნევთ, როგორც ბროსე-ჩუბინაშვილის, ისე დასახელებული კომისიის დადგენილი ტექსტის თანახმად გამოსულ გ. ქართვე-

ლიშვილის მხატვრულ და წ.-კ. საზ. საბაზრო (დ. კარიჭაშვილის რედაქციით) გამოცემებში.

საკითხი გართულდა, და მასთან რაღაც მოჯადოებული წრე შეიქმნა პოემის შედგენილობის საკითხის გარშემო მას შემდეგ, რაც ს. კაკაბაძემ აღძრა საკითხი პოეტის ვინაობისა და მისი პოემის დასასრულის შესახებ.

ეს მოხდა 1912—13 წწ. მიჯნაზე, როდესაც, ჯერ ჩემ მიერ და შემდეგ ს. კაკაბაძის მიერ დაისვა პრობლემატური საკითხები პოეტის პიროვნებისა და ცხოვრების დროის შესახებ პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემის საკითხთან დაკავშირებით.

თავდაპირველად ს. კაკაბაძემ ის აზრი გამოთქვა, რომ პოემის 1-ელი და საუკეთესო ნაწილი გალექსილია უმცროსი სარგის თმოგველის მიერ, რომელიც მოღვაწეობდა მეცამეტე საუკ. მეორე ნახევარში (1236—1262). ამ სარგის თმოგველს უთარგმნია ეს თხზულება ირანულიდან ქართულად, და შემდეგ გაულექსავს იგი ნესტან დარეჯანის ქაჯთაგან შეპყრობის ამბამდე; დანარჩენი ნაწილი პოემისა კი გაულექსავს XV საუკუნის დამდეგს მეორე პოეტს, — ჰერეთელ მელექსეს შოთა რუსთაველს, — რომელსაც ეკუთვნის აგრეთვე დამატება-გაგრძელების დიდი ნაწილაც (ინდო-ხატაელთა და ხვარაზმელთა ამბები და სხვ.).

10 წლის შემდეგ ს. კაკაბაძემ ეს თავისი აზრი კვლავ შეცვალა ამ სახით:

მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, დაახლოებით 1250—1260 წლებს შუა, ჩვენში დაუმუშავებიათ «ვეფხისტყაოსანი»-ს პროზული თხრობა (არაკი), რომელიც ჩავარდნია ხელში 1236—1267 წლების მოღვაწის სარგის თმოგველის შვილიშვილს 1291—1297 წლებს შუა. ამ უკანასკნელს ის გაულექსავს სრულად, გარდა გაგრძელება-დამატებად ცნობილი ნაწილისა, რომელიც, თმოგველთაგან თმოგვის მიტოვების შემდეგ, — დაახლოებით XI IV საუკუნის დამდეგს, — უპოვია ვინმე მესხს, ეს სარგის თმოგველისაგან გაულექსავად დარჩენილი ნაწილი, თანახმად გაგრძელებაში ჩართული სტროფების ცნობისა, და მასაც იგი გაულექსავს 1320—1335 წლებს შუა აფხაზთა მეფის კომსტანტინეს ქალის და გიორგი მცირის ცოლის თამარის საქებრად და საქამათებლად (?).

ამის შემდეგ სარგის კაკაბაძემ დაასრულა თავისი მსჯელობა წინანდელი აზრის დიამეტრულად წინააღმდეგი შეხედულებით, რომელსაც უკვე სრულიად არავითარი ნიჟარა არ მოეპოება, სახელდობრ იმით, რომ პოემის დაწერის და მისი ავტორის მოღვაწეობის დრო XII საუკუნეში გადაიტანა და XII საუკუნის სახელმწიფო მოღვაწეს ჭიაბერის შვილიშვილს შოთას მიაწერა.

სხენებულ მსჯელობაში ჩვენთვის ამჟამად უველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ, თავისი ძველი შეხედულების შეცვლასთან ერთად, ს. კაკაბაძემ შეცვალა თვით ის ტექსტიც, რომელიც მან მოგვცა თავისი პირველი გამოცემით. პირველი 1913—14 წლის გამოცემით, მან ინდო-ხატაელთა და ხვარაზმელთა ამბებიც პოემის ძირითადი ტექსტის ორგანულ ნაწილად ჩათვალა და მიაკუთვნა პოემა სარგის თმოგველსა და ვინმე მესხ მელექსე რუსთაველს, ამ მეორე გამოცემით კი (1927), პირიქით, მან შეკვეცა პოემის ის მოცულობაც, რომელიც მოცემულია ვახტანგის რედაქციით; ასე, მაგ., პოემის მთელი დამაბოლოებელი თავი სათაურით:

«ქორწილი ავთანდილის და თინათინისა»

ს. კაკაბაძემ «ვეფხისტყაოსნის» გაგრძელების დასაწყისად ჩათვალა და მთელი 37 ხანა ვახტანგის რედაქციით — გაგრძელებად, ან ამავე გაგრძელების ნაწყ-

ვეტებად აქვს მას წარმოდგენილი მის უკანასკნელ გამოცემაში (ნ. მისი 1927 წ. გამ., გვ. 185—188).

ს. კაკაბაძის მიერ შესრულებული ეს 2 ექსკურსი, როგორც 1-ელ გამოცემაში, ისე მეორეში მოცემული, არაფერს გარკვეულსა და სარწმუნოს არ იძლევა.

ჩვენი დამდგენი კომისიის მუშაობის დასასრულში, პოემის დაბოლოების საკითხთან დაკავშირებით, პროფ. კ. კეკელიძემ წამოაყენა თავისი ახალი აზრი პოემის დაბოლოების შესახებ, რომელიც სინამდვილეში სავესებით განმეორებაა სარგის კაკაბაძის აზრისა იმის შესახებ, რომ ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა შოთას არ უნდა ეკუთვნოდეს, რასაკვირველია, მცირეოდენი განსხვავებით¹.

მართალია, პათივც. მომხსენებელი ცოტა მეტს ლაპარაკობს და უფრო ფართოდაც შლის ამ შემთხვევაში თავის მსჯელობას, მაგრამ არც ერთი მისი დებულება მისაღები არ არის; პირიქით, ჩვენ ვიტყვოდით, რომ ს. კაკაბაძის მოკლედ ნათქვამს და ერთგვარ აღლოსაც ამ შემთხვევაში უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე კ. კეკელიძის ვითომდა «ჯეროვნად დასაბუთებას», ვინაიდან ს. კაკაბაძის აზრი გამომდინარეობს მისივე შესრულებული ექსკურსიდან და, მაშასადამე, ეს აზრი ორგანულად არის დაკავშირებული მის აღრევე წამოყენებულ თეორიასთან.

ახლა განვიხილოთ თვით პროფ. კეკელიძის აზრი, რომელიც მას «ჯეროვნად დასაბუთება», მისივე სიტყვები რომ ვისმართო.

პროფ. კ. კეკელიძე კაკაბაძესთან ერთად, ცდილობს დაამტკიცოს, რომ ავთანდილის და თინათინის ქორწილის ამბავი პოემის დამატებათა და გაგრძელებათა სერიას ეკუთვნის და მათ უნდა ვაპყვეს, რადგან ამ გაგრძელებათა ენაც ღუხჭირია და პოემის ენისათვის შეუფერებელი, შინაარსიც სრულიად მეტი და გაჭიანურებული.

თავის მსჯელობის გამოსავალ წერტილად კ. კეკელიძეს სრულიად იგივე აქვს, რაც ს. კაკაბაძეს, იმავე განცხადებით, რომ იგი ყოველ მიზეზს გარეშე ვახტანგის რედაქციას სცნობს თვით ვახტანგის მიერ ხელოვნურად შეკვეცილად და, მაშასადამე, ავთანდილისა და თინათინის ამბის, — რომელიც პოემის ტექსტისათვის შეუფერებელია, — დატოვებასაც იგი ვახტანგის მიაწერს.

ამ თავისი თეზის დასასაბუთებლად, რომლითაც იგი არსებითად აკანონებს ს. კაკაბაძის მიერ მისი მეორე გამოცემის ტექსტის დადგენის დროს შესრულებულ ოპერაციას, — კ. კეკელიძეს მოჰყავს შემდეგი მოსაზრებები:

1. «როსტეფანის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება უცხო მოყმის ნახვით, ავთანდილისა და თინათინის შეერთება და ავთანდილის თინათინის ქმრად გამოცხადება და დალოცვა პოეტს შესაფერისი ექსპრესიით აქვს გამომქდავენებული და ამის შემდეგ რაღა საჭიროა კიდევ თინათინისა და ავთანდილის ქორწილი»-ო.

¹ ამ გარემოებას კ. კეკელიძე კიდევ აღნიშნავს თავის მოხსენების დასასრულში შემდეგი სიტყვებით: «დასასრულ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს თავი არ სცნო პოეტის კუთვნილებად თავის დროს არც ს. კაკაბაძემ და ამიტომ არც შეიტანა ის თავის მეორე გამოცემაში. მართალია, ასეთი საქციელი (?) მას არ დაუსაბუთებია ჯეროვნად, მაგრამ ალლოთი მაინც შეიგრბნო სინამდვილე... და იქვე დასძენს:

«პოემა თავდება ავთანდილისა და თინათინის დალოცვით და ტარიელის განცხადებით თინათინისადმი:

...«შემიყრისხართ, აღარა გვწვავს ცეცხლთა დება, ქმარი შენი ძმა ჩემი, მწაღს აგრეთვე თქვენი დება».

ჩვენ კი გვეგონა, რომ მხოლოდ ასეთი შემთხვევა შეიძლება იყოს ქორწილ-ზეიმის ზეშმარიტი მიზეზი, რასაც ქვემოთ დავინახავთ.

2. «თვით ამ ქორწილის აღწერილობაც ძლიერ განსხვავდება ფრიდონის სა-მეფოში და ინდოეთში გადახდილ ქორწილთა აღწერილობისაგან, რომლებიც მოკ-ლედ და ლაკონიურად არიან აწერილი, და არა ისე გაჭიანურებულია სმაპურო-ბის მომენტი, როგორც ეს აქ არისო».

მკვლევარს განსაკუთრებით აკვირებს დახოცილი ცხერისა და ძროხის სიუხ-ვე-სიმრავლე. ამასთან კ. კეკელიძეს სმაპურობის და ძღვნობის მომენტები რო-გორღაც ერთი მეორეში არეულად ეჩვენება.

რა გვეთქმის პატივცემული მეცნიერის მოსაზრებათა ამ 1-ელი ორი პუნქ-ტის შესახებ?

ჩვენ მეტად მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ ავთანდილ-როსტევეან-თინათინის ისტორია პოემის მთელი თხრობის ალფა და ომეგაა, ვინაიდან რომანის უძლიერე-სი აქტივი და მთელი ჭახრაკის ერთი უმთავრესი მამოძრავებელი ძალთაგანი და მისი დედადერძიც ავთანდილ-თინათინის სიყვარულია.

ამბავიც ხომ ამ უებრო მიჯნურთა შეუღლებით, დალოცვით და შექებით თავ-დება, და, მაშასადამე, ყველა ამის საუკეთესო ფინალად უნდა ჩაითვალოს სწორედ ავთანდილისა და თინათინის ქორწილი, რომელიც, მართლაც, ყოველ ზეიმზე უზეიმესი უნდა ყოფილიყო, და ასეც არის.

ასე რომ ჩვენ სრულიად უსაფუძვლოდ ვთვლით კ. კეკელიძის მსჯელობას იმის შესახებ, რომ პოემის ეს უკანასკნელი თავი, რომელიც აბოლოვებს ვახტანგის რე-დაქციას, პოემის სხვა ქორწილთა აწერილობასთან შედარებით, ზედმეტი და გა-ჭიანურებული იყოს.

აქვე, არგუმენტაციის მე-3 პუნქტში გამოთქმული მოსაზრება, რომ ვითომც უადგილო იყოს ავთანდილის მიერ ხელმეორედ არაბეთში საკითხის დასმა იმის შესახებ, წაყვეს თუ არა ავთანდილ ტარიელს ინდოეთს მაშველად, როგორც უსა-ფუძვლო, ჩვენში პირდაპირ გაკვირვებას იწვევს.

მე-4 პუნქტში მოტანილ მოსაზრებათა მეორე არგუმენტი პირდაპირ კუ-რიოზულია.

სახელდობრ, პროფ. კეკელიძეში გაცეხებას იწვევს ისეთი სრულიად ბუნებ-რივი სურათი, როგორცაა ამ ჩვენთვის საინტერესო თავის პირველი სტროფი, სადაც:

«ავთანდილ ხელმწიფედ (პატრონად ზის) და ხელმწიფე ზენია (ე. ი. გვირ-გვინოსანი), მასთანა მჯდომსა ტარიელს ჰშეენიან სინაზენია (ალერსიანობა ავთან-დილთან), თინათინს (გვერდს) ახლავს ნესტანჯარ, მჭვრეტთა ამაზრზენი, და ჰგავს, თუ ცა მოდრკა ქვეყნად, შეჰყრილან ორნი მზენია».

პროფ. კეკელიძეს აოცებს ის გარემოება, რომ გვირგვინოსან ავთანდილთან ერთად საერთო ტრაპეზზე ზის ტარიელ, რომელსაც ჰშეენიან სინაზენია, ნესტან-ჯარ კი — ახლავს გვერდით თინათინს, ამ უკანასკნელების (მზეთუნახავების) მჭვრეტელი იტყოდა: «აი სწორედ ცა მოდრკა ქვეყნად, შეყრილან ორნი მზე-ნიაო».

პროფ. კეკელიძეს თითქო ისე აქვს წარმოდგენილი, რომ ვითომც ავთანდილს გვერდს უზის ტარიელი, რომელსაც ჰშეენიან სინაზენია, მაშინ როდესაც «მასთანა მჯდომსა ტარიელს» ნიშნავს, რომ ტარიელ ავთანდილთან ზის საერთო ტრა-პეზზე არიფად.

გარდა იმისა, რომ აქ მოცემული სურათი ხიბლავს ადამიანს თავისი ბუნებრიობით, ამ ქორწილის შესახები სტროფები, საერთოდ, სავსებით შეესაბამება პოეტის მსატერულ ენასა და სტილს.

ამისათვის, საკმაოა, ავიღოთ თუნდა ამ თავის იგივე პირველი სტროფი, სადაც ჩვენი პოეტის დამახასიათებელ ჰიპერბოლურ შედარებას აქვს ადგილი (ნ. ჩემი გამოც., 1381-ე [1549] ხანა): «მას დღე ავთანდილ პატრონად ზის და ხელმწიფე ზენია, მასთანა მჯდომსა ტარიელს ჰმუენიან სინაზენია; ნესტანჯარ ახლავს თინათინს, ვით მჭვრეტთა ამაზრზენია, და ჰგავს თუ: ცა მოდრკა ქვეუანად, შეყრილან ორნი მზენია»!.

«ვეფხისტყაოსანის» ენის მცოდნე ადვილად შენიშნავს, რომ ასეთი პოეტური ფიგურალობა, — ლექსზე და სტილზეც რომ არ გავაგრძელოთ ლაპარაკი, — სწორედ ჩვენი პოეტისათვისაა დამახასიათებელი.

მართლაც, რა საკვირვლად წააგავს ეს ხანა ჩვენი პოეტისავე შემდეგს ხანას, სადაც უცხო ყმის მონახვით ვამარჯვებული და «შეებით და მშვიდობით» დაბრუნებული ავთანდილ და მისი შემხვედრი როსტან «გულმხიარულნი მივლენ დარბაზსა სეფესა», და «ლომთალოში» (ავთანდილ) თაყვანის ცემით მიეაღერსება მას — «მზეთამზესა» (თინათინს), ნ. ჩვენი 2-ე გამ., ხანა 584[685]:

«მას ავთანდილ თაყვანი-სცა ლომთალომმან მზეთამზესა.

მუნ ბროლი და ვარდ-გიშერი გაეტურფა სინაზესა...

პირი მისი უნათლეა სინათლესა ზესთა-ზესა,

და სახლსამყოფი არა ჰმართებს, ცამცა გაიდარბაზესა».

აი ამ ხანაში სრული თავისი სიძლიერით იშლება ჩვენს თვალწინ შეუდარებელი ვირტუოზობა ჩვენი პოეტისა, რომელიც ზშირად მიჰმართავს ასეთ ჯადოსნურ ფიგურალობას, სადაც განსაკუთრებით იყენებს სიტყვა ცას თავის უაღრესად პოეტური ლექსისათვის:

შეად., მაგ., ამგვარივე და კიდევ უკეთესი პოეტის ადფროთოვანების გამომხატველი ნიმუში 532-ე [625] ხანის მე-4 ტაეპში:

«და მთვარე უჯდა კილობანსა ცა მეშვიდე მასცა ვეცი»...

აგრეთვე მახვილგონიერად არის გამოყენებული პოეტის მიერ ცა 584[685] ხანის მე-4 ტაეპში:

«შენ გენუკვი შემიჯერო, ღმერთი იღმრთო, ცაცა იცო» და სხვა.

ახლა განვმარტოთ აზრი ტაეპის:

«სახლსამყოფი არა ჰმართებს ცამცა გაიდარბაზესაო».

ამ ტაეპის ნამდვილი აზრი ასეთია:

ავთანდილმან ლომთალომმან თაყვანისცა მზეთამზესა (თინათინს), რომელშიაც ბროლი და ვარდ-გიშერი გაეტურფა სინაზესა... და რომლის პირი უნათლესია ზესთაზესის სინათლეზედაც — ჰგავს თუ მათ ლომთალომსა და მზეთა-მზესა არ შეჰფერის ჩვეულებრივი სახლსამყოფი, ნეტავი ცას გაიხდიდენ დარბაზადო.

ამ მაგალითების შემდეგ ჩვენ სრულიად ბუნებრივ რუსთველურ სტროფად ვსცნობთ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო [1549] სტროფსაც, სადაც თითქოს ორი მზე მიწიერი და ზეციერი (ნესტან, თინათინი) ერთად შეყრილან, რისთვისაც თითქო ცაც კი იძულებული გამხდარა თავი დაედრიკა მიწამდე:

«ნესტანჯარ ახლავს თინათინს, ვით მჭვრეტთა ამაზრუნენია,
და ჰგავს თუ: ცა მოდრკა ქვეყანად, შეყრილან ორნი მზენია».

ამის შემდეგ გასაოცარია, თუ როგორ სწუნობს ამ საუცხოო ადგილს ჩვენი პატ. მეცნიერი.

აგრეთვე, თუ არ უფრო მეტად, უსაფუძვლოა კ. კეკელიძის მიერ დასახელებული თავის უარყოფა იმ მოსაზრებითაც, რომ ვითომც ენის და, საერთოდ, ლექსიკის მსრიავაც, ეს თავი პოემის სხეულს არ შეჰფეროდეს.

ასე, მაგ., თავის არგუმენტაციის მეხუთე პუნქტში მოტანილი მოსაზრებით, კ. კეკელიძე, რუსთველის ენისა და სტილის თვალსაზრისით, მიუღებლად თვლის ისეთ შედარებას, როგორიცაა:

«ზროხა და ცხვარი დაკლული არს უმრავლესი ხავისისა» (ნ. 1382, 2 [1550]),
სადაც ის წუნობს ნამდვილ რუსთველურ და სრულიად ბუნებრივ შედარებას ძვირფასი რამის სიუხვე-სიიფეთის აღსანიშნავად, როგორც ამ შემთხვევაშია, სახელდობრ, დაკლული ძროხებისა და ცხვრების სიმრავლე-სიიფეთისა — ხავსთან, რომელსაც სიმრავლე-სიიფეთით, მართლაც, ვერაფერი გადააჭარბებს, და სწორედ ჩვენი პოეტის ჩვეულებრივი მანერაა თავისი ბუნებრივი მხატვრული შედარებისათვის მიმართოს ხოლმე ამგვარ ხერხს.

აგრეთვე სრულიად უმართებულოდ წუნობს პატ. კ. კეკელიძე (და სხვებიც) პოემის თხრობის დამაბოლოებელი 1409 [1578] ხანის მე-4 ტაქს:

«და ვითა ჰმართებდა პურობდეს, ღვინოსა ჰსვემდეს, არ ღოსაო»,
რომელიც, ჩვენი აზრით, პოეტის ენის საუცხოო ფიგურალობის შემცველია; სახელდობრ, აქ პოეტი შემდეგს აზრს გამოსთქვამს:

«როგორც შეიფერებოდა მათ რაინდობას (სამი უებრო გმირი მეფის) ისე პურობდენ, ღვინოს სევამდენ (როგორც გმირ ვაჟკაცებს შეჰფერის) და არა ღოსა (ავადმყოფებივით, ან გულდასნეულულებივით), რაც აგრეთვე ახასიათებს. ჩვენს პოეტს, რომლის უოველი სიტყვა აღბეჭდილია იშვიათი ბუნებრიობითა და სინამდვილის ძლიერი შეგრძნობით.

აწ დაუებრუნდეთ ისევე ძველ ამბავს პოემის ტექსტზე მუშაობის შესახებ. მკითხველი ამ ჩემი მცირე მიმოხილვიდან პოემის ტექსტზე გაწეული მუშაობის შესახებ აშკარად დაინახავდა, რომ ს. კაკაბაძემ სამჯერ გამოიცვალა თავისი აზრი ტექსტის დადგენის საკითხში, და მის გამოცემაშიც დაშვებულია ტექსტის დადგენის მხრით ორი უკიდურესობა, სახელდობრ:

1-ელ 1913 წლის გამოცემაში მან გაგრძელება-დამატებათა უდიდესი ნაწილი ძირითად ტექსტად მიიღო, შემდეგ გამოცემაში (1927 წლისა) მან შეკვეცა ვახტანგის ტრადიციული ტექსტიც კი მთელი ერთი თავის მოცილებით, იმ თავის, რომელიც ცნობილია სათაურით «ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა».

ზემოთქმულის შემდეგ ადვილია პასუხის მიცემა იმ კითხვაზე, თუ რით აიხსნება ეს ორი ერთიმეორის დიამეტრალურად წინააღმდეგი აზრი, რომლებსაც ვამჩნევთ ს. კაკაბაძის 1-ელსა და მე-2 გამოცემაში?

ჩვენი პასუხი მოკლედ ასეთია:

ს. კაკაბაძე არ იცნობდა იმ დროს «ვეფხისტყაოსნის» ენას, როდესაც მან ხელი მიჰყო თავის 1-ელ გამოცემას.

ყველა ზემორეთქმულის შემდეგ საჭიროდ ვრაცხ შევესო გაგრძელება-დამატებათაგან პოეტი ჭიჭინაძის გამოცემაში შეტანილი ინდოხატაელთა ამბის საკითხს.

მე ამქამად გვერდს ვუხვევ დაუსრულებელ სტერეოტიპულ მსჯელობას დაბოლოების შესახებ იმ პირთა მხრით, რომლებიც ამქამად ეცნობიან ამ საქმის ვითარებას, ვინაიდან ათასჯერ შემოწმებულა ვახტანგის რედაქციის დაბოლოება, მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, და ყველა საქმეში ჩახედული და საქმის მოუყარული საზოგადო მოღვაწე, თუ სპეციალისტი რუსთველოლოგი, გარდა ისტორიკოს სარგის კაკაბაძისა, პოეტ ჭიჭინაძისა და ვუკ. ბერიძისა, ყველა დარწმუნებულია ვახტანგის რედაქციის გარეშე არსებულ დამატება-გაგრძელებათა სიყალბეში.

მაგრამ დღეს, კვლავ იტყეპნება ერთი და იგივე ადგილი, თუმცა პოემის დასასრულის შესახებ საკითხის გადასაჭრელად, გარდა არჩილის ტრადიციული ცნობებისა და ვახტანგის ნაანდერძევი ტექსტისა, არავითარი სხვა რეალური საბუთი არ არსებობს. ეს ორი საბუთი კი მეტისმეტად საგულისხმიერო და მასთან მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ჩვენი საკითხისათვის; სახელდობრ: არჩილი იძლევა უტყუარ და უმეტნაკლებო ცნობებს იმის შესახებ, რომ «ვეფხისტყაოსანში» მელექსე ნანუჩას ბევრი რამ ჩაურევია, ესევე არჩილი რუსთველისადმი მიმართვაში ამბობს:

«ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავესა».

ვახტანგის ტრადიციული ტექსტი კი, მთელი თავისი შედგენილობით, იძლევა ნათელ წარმოდგენას წმინდა რუსთველური სტროფებისა და მელექსის შესახებ, რომელთა მსგავსიც მთელ გაგრძელება-დამატებაში არ მოიპოვება.

მაგრამ, როგორც შეენიშნეთ, დამატება-გაგრძელებათა საკითხი გართულდა ს. კაკაბაძის 1-ელ გამოცემაში (1913 წ.) მოცემული ცდის შემდეგ, რომლითაც ჩვენი ძველი წარმოდგენილია ორი პოეტის — სარგის თმოგველის და შოთა რუსთველის ნახელადად; უკანასკნელს, როგორც ვიცით, ს. კაკაბაძე აკუთვნებდა, ძირითადი ტექსტის ბოლო ნაწილთან ერთად, დამატება-გაგრძელებათაგან, როგორც ინდო-ხატაელთა, ისე ხვარაზმელთა ამბებსაც, რაც მარცხით დამთავრდა, ვინაიდან წიგნის გამოსვლისთანავე, ყოველი ჩვეულებრივი მკითხველისათვის ცხადი შეიქმნა, რომ უზომო განსხვავებაა პოემის ძირითადი ტექსტისა და სხენებულ გაგრძელება-დამატებათა ენასა და სტილს შორის¹.

მაგრამ პოეტი ჭიჭინაძე ამას არ შეუშინდა, გარდა იმისა, რომ მან შეიტანა სხვა გამოცემებიდან (ბროსე-ჩუბ., ფალავანდ. 1-ელი გამ., და სარგ. კაკაბ. გამ.) ბევრი ყალბი სტროფი, ინდო-ხატაელთა ამბავიც პოემის ნამდვილ დაბოლოებად ცნო.

მართლაც ვიკითხოთ, რას წარმოადგენს ბოლოს და ბოლოს მისი რედაქციით გამოსული «ვეფხისტყაოსანი», ან შეიძლება თუ არა ეწოდოს მის გამოცემას სპეციალისტი-რუსთველოლოგის ნახელავი?

¹ ეს გარემოება მე აღვნიშნე თავის დროზე (22-ე გამ. შესავალი გვ. 5—6), ამასვე იმეორებს «რუსთველიანაში» — პავლე ინგოროყვა, ნ. გვ. 379. ჩვეულებრივ სხვა ფორმით და სხვა ციტატების მოტანით. მალე ამ საგანზე უფრო ვრცლად მოვისაუბრებთ ამხ. პავლე ინგოროყვა სთან ჩვენს მოხსენებაში «რუსთველიანას» შესახებ.

ზოგიერთს რომ ჰკითხო, ასეთ პასუხს იძლევა კ. ჭიჭინაძის გამოცემული «ვეფხისტყაოსანის» შესახებ:

«რატომ სხვა გამოცემლებს არ გაუკეთებიათ ის, რაც კ. ჭიჭინაძემ გააკეთაო, სად იყვნენ ან სარგის კაკაბაძე, ან პაულე ინგოროყვა და სხვები, რომ ვერ შეგვიდგინეს მასავით სიმფონიაო» და სხვა.

ჩვენი აზრით, ასეთი საუბარი სწორი არ არის, მართალია, ყველაფერი არ გაუკეთებიათ დასახლებულ რუსთველოლოგებს, და ყველა შემდეგი გამოცემული ყოველთვის ახალ რამეს იძლევა, კარგია თუ ავი, მაგრამ... ასეთი საუვედური მანინც უმართებულოა და შინაარსსაც მოკლებული და, როგორც ამგვარი, იგი აშკარად გამომდინარეობს საქმის არცოდნისაგან.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კ. ჭიჭინაძეს არ გაუწევია არაერთარი სერიოზული მუშაობა, ანუ, უკეთ, ისეთი მუშაობა, რომელიც გულისხმობს მეცნიერული კვლევადიების მკაცრ პრინციპებს ტექსტის დადგენის საკითხებში, ვინაიდან მას არა აქვს რუსთველოლოგიისათვის საჭირო მომზადება, რომელიც გულისხმობდეს: ა) ირანული ენის ცოდნას; ბ) ხელნაწერების გულდასმით შესწავლას; გ) საშუალო ქართული ენის ნორმების მეცნიერულ ცოდნას.

ამიტომაც მას დასჭირებია მეტწილად განმეორება იმისა, რაც გაუკეთებიათ, ავად თუ კარგად, ცნობილ ქართველოლოგებს ავად. მ. ბროსეს, ჩუბინაშვილს, სარგის კაკაბაძეს, ან ჩვენ, რომელსაც პატ. პოეტი ყველაზე ნაკლებ სწყყლობდა და ნაკლებ უწევდა ანგარიშს თავის ცნობილ ბროშურაში «რუსთაველის პრობლემის გარშემო», თუმცა ეს გარემოება ხელს არ უშლის მას ყველაზე მეტად ისარგებლოს ჩემი მე-2 გამოცემის ყველაზე მეტად დახვეწილი ტექსტით, სადაც არ არის დარჩენილი ალუნიშნავად არც ერთი პოეტის ენის ნორმების, ან პოეზიის, თავისებურებანი, როგორცაა: მიმართულების მაჩვენებელი პრეფიქსების: მი, მო, შე, წა; უარყოფითი კავშირების, ნაცვალსახელების და გარეგანი ფორმით მსგავსი სიტყვების განმეორებანი — კეთილხმოვანების მიზნით, რომელიც კ. ჭიჭინაძემ მონათლა ალიტერაციის სახელწოდებით და თავისად გამოაცხადა¹ ობიექტის მრავლობის აღმნიშვნელი ნ—არის ზმნის ფორმებში ხმარება, პოეტის მიერ ხმარებული კლასიკური მცა ნაწილაკის პირველად ჩვენ მიერ გამომზეება, წინააღმდეგ ვახტანგისეული ტრადიციული წაკითხვისა.

მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის გასაგები არ იყო პოეტ ჭიჭინაძისათვის ჩემი შესწორებები, რომლებიც შეეხება ბუნდოვანი ადგილების გააზრება-გამართვა-გასწორებას, ვინაიდან ეს უკანასკნელები გაუგებარია არა მარტო ჭიჭინაძისათვის, აგრეთვე მასზე უფრო მეტად მომზადებული კომისიის ზოგიერთი წევრისათვისაც, რადგან ეს მხარე მოითხოვს ირანული ენის საფუძვლიან ცოდნას, რის გამოც პოემის წარმოშობისა და გარეშე გავლენის საკითხებს ან დაკავშირებულ არაბულ-ირანულ სიტყვათა განმარტების საკითხში წევრთა უმეტესობა ხმას აძლევს რიხიანად გამოთქმულ აზრს პოემის ამა თუ იმ ადგილას ხმარებული არაბულ-ირანული ტერმინის ქართულით შეცვლის სასარგებლოდ, თანახმად უფიცი გადამწერელ-რედაქტორებისაგან ნაანდერძევი წარყენილი წაკითხვებისა, — რის გამოც პოემის ენის ირანიზმები და აშკარა არაბული და ირანული

¹ იხ. კ. ჭიჭინაძე, რუსთაველის პრობლემის გარშემო.

ტერმინები, როგორცაა: აჯაბი—ფოკუსი, სოქალი — ავადმყოფი, გაყვითლებული, გაწლობილი, გამხდარი, დასახიჩრებული, გახეიბებული, შირი — ღომი 1037,2 [1176]:

«ადგა ასრე გულუშიშრად, ვეფხი იყო, ანუ გმირი».

ამ ადგილს M ხელნაწერი № 461 კითხულობს ასე: «ვეფხი იყო, ანუ შირი». ეს უკანასკნელი წაკითხვა კი გაცილებით უკეთესია, რადგან აქ შირი, ირან. — ღომი — უფრო მოხდენილია, როგორც დაპირისპირება ვეფხისათვის, ვიდრე ტრადიციული წაკითხვის გმირი¹, და სხვა, — ყველა ეს მეტწილად შეცდომით წყდება მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ეს ადგილები გაუგებარია და, მათი გადმოქართულებით თითქო არაფერი შეედებოდესო.

მაგრამ სჯობს, მოვიტანოთ კიდევ უფრო მკვეთრი მაგალითი:

ჩემი გამოცემით, რომელიც მრავალწლოვანი კვლევაძიების შედეგია, აღდგენილია ზოგიერთი აშკარა წარყვნილი სიტყვები და, მათ შორის, სიტყვა «დავალი», რომელიც კომისიის წევრთა უმეტესობისათვის მიუღებელი აღმოჩნდა მაშინ, როდესაც ამ სიტყვის ჩვენს ძეგლში არსებობა, აქ წარმოდგენილი ფაქტების მიხედვით, არა სპეციალისტისათვისაც კი აშკარა და ნათელია:

ასე, მაგ., ჩვენი II გამოცემით, 543 [637] იკითხება:

«ნუ თუ ქმნას ღმერთმან გარდასლვა მაგა ჭირთა და დავალთა», სადაც «დავალი» არაბულ-ირანულია და ნიშნავს დალატს, მატყუარობას, სიმუხტლეს.

მართლაც, ვახტანგის ტრადიციული ტექსტის და სხვა ხელნაწერების წაკითხვა ამქდავენებს, რომ, ამ იშვიათი უცხო სიტყვის ვერ გაგების გამო, რედაქტორ-გადამწერლებს შეუცვლიათ იგი ქართული სიტყვით «ვალი», რის გამოც რითმა დაკოჭლდა, ერთი მარცვლის (და-ს) დაკლების გამო, ანუ, უკეთ, «დავალი»-ს «ვალი»-თ შეცვლის გამო, რის შედეგადაც მიღწეულ იქმნა ვახტანგის საჩოთირო წაკითხვა:

«ნუ თუ ქმნას ღმერთმან გარდასლვა მაგაა ჭირთა და ვალთა».

დღესავით ნათელია, რომ აქ ეს უაზრო «მაგაა ჭირთა და ვალთა» გაჩნდა სწორი წაკითხვის «მაგა ჭირთა და დავალთა»-ს წარყვნის გამო.

აქ რომ იყო «დავალთა» და არა «ვალთა», ამას საუკეთესოდ ადასტურებს მეორე ადგილი ამავე «ვეფხისტყაოსანითგან», რომელიც ჩემი აზრით, ამგვარადვე სისწორით არის წარმოდგენილი უკვე არა № 4499 ხელნაწერის, არამედ № 2829 ხელნაწერის ვარიანტით. ამ ადგილს ვახტანგისეული რედაქციისა და სხვა ხელნაწერთა ვარიანტები (მათ შორის № 4499), საერთოდ ამ სახით კითხულობენ:

და მაშინ დავიწყე გარდასდა სოფლის ღხინითა და ვალთაო, დასახელებული № 2829 კი მას ასე კითხულობს:

«და მაშინ დავიწყე გარდასდა მე საწუთროსა დავალთაო».

ამნაირად ამ ორ ხელნაწერს: №№ 4499 და 2829 — ერთს ერთ შემთხვევა-

¹ ასეთი სიტყვები უცრად ამოტივტივდება ხოლმე პოემის ტექსტის რომელიმე ხელნაწერის საშუალებით: ასე, მაგ., ამ ბოლო დროს დოც. ილია აბულაძემ ჩემი და კომისიის სხვა წევრთა ყურადღება მიაქცია შეცდომით გამორჩენილ წაკითხვას ერთი ხელნაწერისა, სადაც იკითხება სიტყვის «დამზადებულნი»-ს ნაცვლად «დამიზდებულნი», ჩ. გ. ნ. 927,3 [1062]; «მოასხნეს კაცნი მზიდაენი დამზადებულნი დრამითა», უნდა იყოს: «დამიზდებულნი დრამითა», სადაც ახალ ირან. მუზიდის ნაცვლად გვაქვს ძველ ირან. მიზდა, რაც დიდი ყურადღების ღირსია.

ში, ხოლო მეორეს მეორეში, გადაურჩენიათ ჩვენთვის ეს დღემდის სრულიად უცნობი სიტყვა «დავალი».

ბევრს აღარ გავაგრძელებ, ვიტყვი დასასრულ ორიოდ სიტყვას საერთოდ ძეგლის ტექსტის ხარვეზების შესახებ.

ხარვეზები პოემას იმ სახით, რა სახითაც იგი მოცემულია ვახტანგის გამოცემულ ტექსტში, სხვაც ბევრი აქვს, მაგრამ ნუთუ ეს გვაძლევს ჩვენ რაიმე საბუთს შევავსოთ ჩვენი ძეგლის საუკუნეების განმავლობაში დაღუპული ან ძალზე წარყვნილი ადგილები როგორც შიგნით ტექსტში, ისე მის ბოლოში, მათ შესავსებად რესტავრატორის ხელით შეთხზული, ან არასწორად აღდგენილი, ხანებით?

ვახტანგის რედაქცია არის ერთი შემთხვევით გადარჩენილი ყველაზე მოკლე და მასთან სარწმუნო რედაქცია, ე. ი. ისეთი რედაქცია, რომელიც ჯერ არ იყო საესებით წარყვნილი მოცულობის მხრით და მასთან სტროფული შედგენილობის მხრითაც; გარდა იმისა, რომ მისი დედნის რედაქტორს მოუსწვრია შეტანა მასში ზოგიერთი ვრცელი ხელნაწერის ყალბი ხანებისა, და შეურყენია როგორც პოემის ძირითადი ტექსტის, ისე შესავლის, ეს თუ ის ადგილი, და მასთან დიდი თვითნებობით გადაუსვ-გადმოუსვამს ამავე შესავლის ხანები და შეუცვლია სტროფების თავდაპირველი სწორი თანმიმდევრობა, რის შესახებაც ჩვენ მიერ მოცემულია ცნობები წიგნაკებში: «შესწორებანი და შენიშვნანი 22-ე გამ. შესახებ», სერია 1-ლი კრიტიკული ტექსტის ნიმუშებით; სერია მე-2 «ვახტ. VI გამ. «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია.

იმ საფუძვლებზე, რომლებიც გამოთქმულია ხსენ. წიგნაკებში, ჩვენ მოცემული გვაქვს:

26-ე გამოცემის ტექსტი, სადაც გათვალისწინებული და გადაშლილია სტროფული შედგენილობის და მოცულობის მხრით ყველა საყურადღებო ხელნაწერების სხვაობანი და ვარიანტული სხვაობანიც და, როგორც ამგვარი, ხსენებული გამოცემა პირველად იძლევა ყველა ჩვენი გაწეული მუშაობის შედეგად, მკაცრად დადგენილ (თუმცა ხარვეზიან, მაგრამ ენის მხრით დახვეწილ) პოემის ტექსტს, რომელიც მეტწილად გამოყენებულ იქმნა კომისიის მიერ მისი მუშაობის პროცესში.

ამ მხრით, ე. ი. ვარიანტების შერჩევის და ენის შესწორების მხრით, ეს ჩვენი დადგენილი ტექსტი საუკეთესო ნიმუშს იძლევა.

ამნაირად, უდავოა, რომ კომისიის მოცემული ტექსტი საუკეთესოა, მაგრამ ამ ღირსებასთან უნდა ითქვას, რომ, სტროფული შედგენილობის მხრით, ეს გამოცემა ახალს და მასთან გარკვეულს არაფერს იძლევა, თუ, პირიქით, რეგრესიც არ არის, ვინაიდან კომისიის უმეტესობას გათვალისწინებული არ ჰქონია, მუშაობის დაწყების იმთავითვე, ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ვახტანგის რედაქციას აქვს პოემის სტროფული დადგენის საკითხისათვის.

ქრ. «საბჭოთა ხელოვნება», 1936, № 7—8.

¹ პოემის ტექსტი რომ ხარვეზიანი, და ინდოხატელთა ამაგიც შეუსაბამო პოეტის ენის და სტილისათვის, როგორც ტლანქი და უგვანი რამ, ეს საქმოდ ნათელყო ჩვენმა უკვდავმა მეცნიერმა აკად. ნ. შარმა. ამასვე ვამტკიცებთ ჩვენც (იხ. Н. Марр. Витязь в барсовою шкуре и новая культурно-историческая проблема.—ИАН, 1917, გვ. 433—435 და ჩვენი «ვეფხისტყაოსნის» 26-ე გამ. შესავალი, გვ. IX).

НОВЫЙ ПЕРЕВОД ПОЭМЫ РУСТАВЕЛИ

Больше столетия прошло с тех пор, как был сделан первый перевод гениальной поэмы великого грузинского писателя Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре» с грузинского на французский язык. Первым переводчиком Руставели был известный французский ученый—академик Мари Броссе, который в 1831 году писал: «Книга эта бесподобна и не имеет равных на грузинском языке, а в Европе мало найдется книг лучше нее».

На протяжении столетия великое творение Руставели много раз переводилось почти на все языки культурных народов мира. Другой французский перевод сделал в 1890 году И. Меунаргия. В 1863 году появился перевод на польском языке, сделанный Казимиром Лапчинским, в 1889 году — перевод на немецком языке Артура Лейста, в 1912 году — английский перевод М. С. Уордроп, а в 1915 году — перевод на венгерском языке академика Бела Викара. Русский неполный перевод К. Бальмонта был опубликован в 1916 году, а последующие переводы поэмы на русский язык, на украинский и другие языки народов Советского Союза (Петренко, Бажан, Цагарели, Зарьян, Джавад и др.) были выполнены к 750-летию гениальной поэмы Руставели.

Однако все эти переводы страдали большими недостатками. Они изобиловали неточностями, а подчас и ошибками; некоторые места совершенно не соответствовали оригиналу.

Таким образом, несмотря на наличие многочисленных переводов, проблема точного воспроизведения гениальной поэмы на других языках оставалась неразрешенной. И читатель, не владеющий грузинским языком, мог только чутьем ощущать величие Руставели, а не познавать его.

Новый русский перевод «Витязя в тигровой шкуре», сделанный профессором Шалва Нуцубидзе, восполняет этот пробел, дает возможность читателю, не владеющему грузинским языком, действительно глубоко познать бессмертное творение Руставели.

Ранние переводчики Руставели оправдывали недостатки своих работ весьма распространенным мнением: дескать, всякий поэтический перевод похож на изнанку узорной ткани, бледное отражение ее красочной лицевой стороны. Проф. Нуцубидзе опроверг это ложное мнение и доказал, каких результатов может добиться переводчик, рассматривающий свою работу не только как поэтическое творчество, но и как серьезный научный труд. Теперь с полным основанием можно считать, что проблема перевода Руставели на русский язык разрешена.

Это удалось переводчику только благодаря его полной готовности к научно-исследовательской работе в области творчества Руставели. Проф. Нуцубидзе является крупнейшим специалистом в этом вопросе, глубоким знатоком миропонимания и творчества великого поэ-

та-философа. Все предшествовавшие ему переводчики были лишены такой подготовленности.

В чем заключаются основные достоинства его перевода как литературно-художественного и научного произведения?

Здесь, прежде всего, абсолютно точно выявлена идеология Руставели, мыслителя-философа, которому все его несравненное поэтическое мастерство служило для выражения больших и глубоких идей. Проф. Нуцубидзе сумел обеспечить текстуальную точность перевода и сохранить целиком не только ритм поэмы, но и всю музыкальную красочность подлинника с его звучанием на нотах «магали шаири» (мажор) и «дабали шаири» (минор). Чередование двухсложных и трехсложных мужских и женских рифм, характерное для поэмы Руставели, дано в переводе с виртуозной последовательностью.

До сих пор русскому читателю не были известны и другие, чрезвычайно своеобразные свойства стиха Руставели: консонансы (неполные рифмы), аллитерации (повторения одинаковых звуков) и знаменитые руставелиевские «маджамы-катрены» — четверостишия, рифмующиеся однозвучными словами с разными значениями. В переводе Нуцубидзе руставелиевские катрены переданы с изумительной точностью.

Переводчик показал себя несравненным мастером воспроизведения на русский язык различных видов руставелиевских аллитераций. Редчайшим достижением следует считать воспроизведение так называемой вербальной аллитерации и аллитерации образов:

«Змеи ко с, висевших ко с о, ширясь шли в нависший сад».

Руставели — певец счастья, добываемого длительной и упорной борьбой. Он считал, что путь к счастью ведет через тяжкие испытания, что выдержка, упорство, дальновидность и отвага являются непрременным условием победы. Герои Руставели, — как мужчины, так и женщины, — щедро одарены этими качествами, и их жизнь полна смены переживаний, высокой радости, горя, борьбы и побед. И все оттенки их богатой духовной жизни, все чувства и стремления необычайно ярко раскрыты в новом переводе.

Научно-исследовательская работа по установлению точного текста поэмы систематически велась с XVIII века несколькими поколениями ученых и специальными комиссиями. Однако в переводе проф. Нуцубидзе сделаны весьма ценные и, бесспорно, обоснованные коррективы к тексту поэмы, имеющие большое значение для дальнейшего его уточнения. В частности, можно указать на объяснение первой строки 177-й строфы, искаженной переводчиками, которую проф. Нуцубидзе исправляет, основываясь на неоспоримых данных. Им исправлены также 1050-я, 1667-я и 1671-я строфы и предложен новый порядок строф пролога.

Уточнения и исправления, сделанные проф. Нуцубидзе в грузинском оригинале и переведенные на русский язык, чрезвычайно существенны для разрешения некоторых спорных вопросов текстологии великой поэмы.

Эпоха, предшествовавшая Руставели, характеризуется интенсивным экономическим и политическим развитием грузинского государства и бурным расцветом культуры. Поэма Руставели является творческим завершением этой эпохи.

Достойными предшественниками и современниками Руставели были Ефимий Ивер, Эфрем Мцире, Арсен Икалтосли, Гмогвели, Шавтели, Чахрухадзе. Но самое высокое имя среди них — это имя Иоанна Пет-

рици, под большим влиянием которого находится Руставели. Петрици создал собственную философскую систему и перевел на грузинский язык «Элементы теологии» крупнейшего представителя александрийской школы — Прокла. «Этот грузинский перевод Петрици более, чем на 100 лет старше наших древнейших манускриптов» — писал английский ученый Дуде в своем капитальном исследовании.

Оригинальный трактат Петрици «Рассмотрение платоновской философии» является примером глубоких традиций и обширного кругозора грузинской философской школы. (Этот трактат в переводе И. Панцхава выходит сейчас в издании Академии наук СССР).

Имена и идеи великих мыслителей древности — Платона, Гераклита, Аристотеля и других — все время звучат в руставелиевских строфах. Светская литература Грузии в то время окончательно порвала связь с церковной схоластикой. Мир человека и его судьба в пределах этого человеческого мира — таково содержание поэзии Руставели. Он мыслит и творит, питаясь идеями наступившей в Грузии эпохи ренессанса и гуманизма.

Все места в поэме Руставели, отражающие эти великие идеи, с особой точностью расшифрованы в новом переводе Нуцубидзе. И русский читатель впервые получает возможность познать всю систему мировоззрения Руставели и реалистический характер его творчества. Этому способствует и то, что язык и стиль перевода проф. Нуцубидзе отличаются простотой и народностью.

Поэма Руставели в новом переводе выпущена Государственным издательством «Художественная литература». Богатое художественное оформление книги выделяет ее из всех предшествующих изданий «Витязя в тигровой шкуре».

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი პეტიციის განმარტებისათვის

კარგად ცნობილია ყველასათვის «ვეფხისტყაოსნის» 35-ე სტროფის მე-4 ტაეპი:

«მზე ჩაგვისიენდა, ბნელსა ვსჭერეტ ღამესა ჩვენ უმთვაროსა».

რადგან ამ ადგილის წაკითხვა ამ სახით ჩემში დიდი ხნიდან იწვევდა გაუგებრობას, მეც შევეცადე «ვეფხისტყაოსნის» ჩემს მეორე (1926 წ.) გამოცემაში შემდეგი სახით შემეცვალა ამ ტაეპის უკანასკნელი სამი სიტყვა: «ღამესა უთენაროსა», ე. ი. «ღამესა, რომელიც აღარ გათენდება».

აწ კი ჩემ მიერ 1939 წელს მიგნებული წუარო ცნობილია სათაურით «ჰაემან-ე ჭერჰენგ» (Paeman-e Ferheng), რაც ნიშნავს სიტყვა-სიტყვით ს ი ბ რ ქ ნ ი ს მ ე ტ ე ე ლ ე ბ ი ს პ ი რ ო ბ ა ს და შეიცავს სპარსთა ყველაზე ძველი სეფასიანების სექტის მოძღვრებას; აღიარებს ცათა და მნათობების რწმენას თვით მე-9 და მე-10 ცათამდის, სადაც არსებობს სამარადისო ნეტარება და ხილვადობა ღმერთისა და მასთან მზისა, როგორც «მზიანი ღამის ხატისა», ანუ, — მ ე რ ჩ უ ლ ი ს ა და რ უ ს თ ე ე ლ ი ს ს ი ტყ ე ვ ე ბ ი ს რომ ვიხმაროთ, — პირველის «ნათელი დაუღამებელის»¹ (იგივე მზიანი ღამის), ხოლო მეორის «ნათელისა უღამოისა»² (ხატისა), ე. ი. ისეთი ნათელისა, რომელსაც ღამის ბნელიც კი ვერ ეწვეა. ამაში რ უ ს თ ე ე ლ ი, თავის მხრით, აშკარად გულისხმობს თინათინს.

სხენებული ადგილი ჩემ მიერ შესწორებულ იქმნა შემდეგი სახით:

«მზე ჩამისიენდა, ბნელსა ვსჭერეტ ღამესა მომთენაროსა», რაც უნდა განიმარტოს ასე: მზე ჩამისიენდა³, მე (როსტევეან) ბნელსა ვსჭერეტ ღამესა მომთენაროსაო, ე. ი. იგივე მ ე რ ჩ უ ლ ი ს «ნათელსა დაუღამებელსა» და რ უ ს თ ე ე ლ ი ს «ნათელსა მას უღამოსა», რაც საეხებით ეთანხმება და სრულიად ადასტურებს ჩვენი პოეტის შემდეგი სტროფის სინამდვილეს:

იტყვის: «მე მზეო, ვინ ხატად გოქვეს მზიანისა ღამისად,
ერთ-არსებისა ერთისა, მის უქამოსა ქამისად».

[836]

ამ ადგილის, ჩვენის მხრით, ასეთი განმარტებისა და წაკითხვის სისწორეს ადასტურებს M ხელნაწერიც (№ 461), სადაც ეს ადგილი შემდეგი სახით იკითხება:

1 Н. Марр. Жизнь Григория Хандзтийского.—ТР, VII, 1911, გვ. 149.

2 იხ. «ვეფხისტყაოსანი», 682,1.

3 როსტევეანი ამის წინა სტროფში და მომდევნოშიაც მხოლოდითად ლაპარაკობს, «მე ვარდა-სრულვარ... სიბერე მჭირხა... ჩემი მზე დაესეთ ხელმწიფედ... (აბულ., სტროფი 5,4) და სხვა».

«მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსჭვრეტთ ღამესა, მომთანაროსა».

სადაც, ყოველ ეჭვს გარეშე, ერთადერთი ასო ე-ნი შეცლომით იქმნა წაკითხული გადამწერის მიერ ა-ნად, აღნიშნულ ხელნაწერში ამ ადგილის ძალზე დაზიანების გამო.

ამასთან ერთად აშკარადება ისიც, რომ ამ ადგილის სამი უკანასკნელი სიტყვის «ღამესა ჩვენ უმთვაროსა», სახით შეცვლასთან ერთად, — ამავე გადამწერს უკისრია რესტავრატორობაც და მთელს ამ ტაეპში მხოლოდობით რიცხვში მოცემული მოლაპარაკე როსტევიანის სიტყვები —

«მზე ჩამისვენდა, ბნელსა ვსჭვრეტ ღამესა მომთენაროსა».

გადაუკეთებია ასე:

«მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსჭვრეტთ ღამესა ჩვენ უმთვაროსა».

ყველაფრიდან ჩანს, რომ თავდაპირველი სწორი წაკითხვა «ღამესა მომთენაროსა» მისი ხელნაწერში დაზიანებისა და რესტავრაციისა და, იმავე დროს, გადამწერის მიერ ვეღარ გაგების გამო, ჯერ შეცვლილა ღამესა «მომთანაროსას» სახით, მერმე — შემდეგი გადამწერის მხრით — «ღამესა მე უმთვაროსას» სახით, რადგან ხელნაწერში აშკარად ყოფილა შენახული მომთანაროსა-სი ორივე მ-ანი, დანარჩენი ასოები კი—ნახევრად გადასული, მაგრამ შემდეგში ერთ-ერთ გადამწერს მოუცია ამ ადგილის ახალი წაკითხვა იმ სახით, რა სახითაც მას ვხვდებით ყველა ნუსხაში, გარდა ერთისა, და ყველა ბეჭდვითს გამოცემაში.

ამის შემდეგ ვფიქრობთ, უფრო გასაგები ხდება ნესტანის წერილიც ტარიელისადმი ქაჯეთის ციხიდან, რომელშიაც ეს «ცხრაკლიტულში მჯდომარე» უებრო მზეთუნახავი იმედოვნებს, რომ დადგება დრო, როდესაც დღისით და ღამით იქნება იგი მზისა და ელვათა კრთომის ხილვადობაში თავის მიჯნურ ტარიელთან ერთად.

აპთანდილის ეტიმოლოგიისათვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების III ტომში შევეცადეთ (იხ. წერილი: «ვეფხისტყაოსნის» ორი უმთავრესი გმირის სახელთა «ტარიელის» და «ავთანდილის» ეტიმოლოგიისათვის», იხ. ზემოთ, 254—256) ცხადგვეყო სახელის «ავთანდილის» ეტიმოლოგია. ჩვენ წარმოვიდგენდით მაშინ, რომ ეს სახელი შემდგარი იყო არაბული «ავტან» avtan-ისაგან (მრავლ. რიცხვია სიტყვისაგან vatan — სამშობლო) და სპარ. სიტყვისაგან დილ (dil — გული); რადგან ასეთი თანრიგის სიტყვები ბევრია თვით სპარსულშიაც. მაგალითად, ვატანგაპ — არაბ. ვატან — სამშობლო და სპარს. გაპ — ადგილი (კუთხე, მხარე), ვატან ფერეთსთ ან ვატან დოსტ — სამშობლოს მოყვარული (დოსტი), პატრიოტი; სობპ გაპ — ასო-ასოდ — დილის ქამი, დილა და სხვა. მაშასადამე, ავტან-დილში ჩვენ ვგულისხმობდით სამშობლოს გულს.

უველა ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრულის სპარსულ-არაბული შეჯვარების მაგალითები, სადაც მსაზღვრელი — გენეტივი წინ უძღვის საზღვრულს.

აწ ამ სახელის ხელახალი რევიზიის შემდეგ, ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ამ სიტყვის პირველი ნაწილი — «ავტან» — «ვატან» — (საცხოვრებელი, კერა, სამშობლო) სწორად არის მიგნებული, რაც უეჭველია, მით უმეტეს, რომ ჩვენი მოგზაურობის დროს ვაკე-იმერეთში (ამის შესახებ მოხსენდა თავის დროზე საქართველოს საისტ. და საეთნ. საზოგადოებას) მოპოებულ იქნა ჩვენს მიერ, — ხანის ეკლესიის ნივთების ნუსხის გაცნობის დროს, — ასეთი ცნობა: «ჩვენ მუს-ხელას შეიღმა მორდალმა ვათანდილ შევიმკევით და მოვაჭვდინეთ ჯვარი ესე წმიდის გიორგის (ზღ)უდდერისა ასულისა ჩვენისა სალხინებლად, ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად... და სხვა. აქედან აშკარად სჩანს, რომ მრავლობითი რიცხვის ფორმის «ავტანის» ნაცვლად, ამ სახელის პირველი ნაწილისათვის გამოყენებული ყოფილა მსოლოობითიც — «ვატან» (ვათანდილში); საერთოდ აქ საინტერესოა ჩვენთვის ის, რომ ამ ჩვენამდის მოღწეული სახელის პირველ ნაწილთან ანალოგიურად, მრავლობითი რიცხვის ფორმით გვხვდება პირის სხვა საკუთარი სახელიც; შდრ. ამას თუნდაც არაბ. მრ. რიცხვი «ავლად» — სიტყვისაგან ვალად (ქართულად—ძე), რაც უეჭველია წარმომდგარია არაბულ კონსტრუქციიდან ვალად-ულ-ავლასაგან ძეთა ძე, — ე. ი. რჩეულიძე.

ავლად არის გმირის სახელი «შაპნამეში» (იხ. ი. აბულაძე. შაპნამეს ვერსიების ლექსიკონი, საკუთარ სახელთა საძიებელში «ავლადთან»).

რაც შეეხება მოცემული სახელის მეორე ნაწილს — «დილს», არსებული ლიტერატურის მიხედვით (იხ. «Н. Я. Марр. Влтязь в барсовой шкуре и но-

вая культ.-историческая проблема». — ИАН, გვ. 427, 26. შერმადინ და სხვა, სადაც შერმადინ სამართლიანად არის განმარტებული სიტყვებით: სირცხვილიანი, სინდისიანი; «მოვიდა მონა შერმადინ მოშიშრად, სირცხვილიანად»), შერმადინ იგივე არაბ. შერმ—სირცხვილი, სინდისი, და აღ-დინ სარწმუნოებაა და ნიშნავს სარწმუნოების სინდისს, ან სარწმუნოების სიმორცხვეს, კრძალულებას (შეად. ისევ ნურადინ). ჩვენ ანალოგიით ვახერხებთ საბოლოოდ გამოვარკვიოთ ავთანდილის ეტიმოლოგია, რადგან როგორც ზემორე მოტანილი სახელის, — «შერმადინის», ისე «ავთანდილის», ამ მეორე ნაწილში «დილ» ჩვენა გვაქვს არაბ. დინ—სარწმუნოება, და, მაშასადამე აქ არაბული ნაწევარის აღ-ის—ლიამის (ლ) d-ეთი დაწყებული სიტყვის din-თან შეხვედრის და ასიმილირების გზით, მიღებულ იქნა ad-din al-din-ისაგან და ამ უკანასკნელისათვის ამ სახელის პირველი ნაწილის, ანუ საზღვრულის ვატან ან ავტანის წინ წამძღვრებით—სრული სახელი ავტან-უადდინი, ან ვატანუდდინი, რაც ქართულის ფონეტიკურ ბუნებას აუთვისებია «ავთანდილის» სახით.

ამნაირად, ჩვენი ღრმა რწმენით, საბოლოოდ გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ტერმინ ავთანდილში (ვთანდილ) ჩვენ გვაქვს არაბ. ავტანუდდინ, ან ვათან ადდინ, რაც ნიშნავს, ასო-ასოდ სარწმუნოების ბინას, კერას, სამშობლოს (არაბ. ნუანსის მიხედვით, სარწმუნოების კერას, ბურჯს, სიმტკიცეს).

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ზვანობიანი ადგილის შენსწავლის გამო

«ვეფხისტყაოსნის» ყველა არსებულ ხელნაწერში, ვახტანგისეული ტრადიციული ტექსტის ბეჭდვით გამოცემაშიც, ერთი სტროფი (იხ. ვახტ. გამოც.) მე-50 (6) ასე იკითხება:

«მეფეთა შიგან სიუხვე: ვით ედემს ალვა, რგულია;
უხვსა ჰმორჩილობს ყოველი: იგიცა ვინ ორგულია;
სმა-ჯამა — დიდად შესარგი: დება რა სავარგულია;
რასაცა გასცემ შენია: რაც არა დაკარგულია».

ამ სტროფის უკანასკნელი ტაეპი 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში ტექსტის დამდგენმა კომისიამ ამ სახით შეცვალა:

«რასაცა გასცემ, შენია, რას არა, დაკარგულია!»

ე. ი. ფორმა რაც შეცვლილია ფორმით რას. ასეთი წაკითხვა ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია.

ამ რედაქციით, უხვი მეფე როსტევეანი თითქოს ასე ურჩევდეს მის მიერვე გახელმწიფებულ ასულს, რომ მან, რაკი იგი მისგან მეფედ ხმობილია, მამის ნაანდერბევი სიმდიდრიდან ყველაფერი ხალხზე უნდა გასცეს, რადგან ყველაფერი, რასაც კი იგი გასცემს, მისივე იქნება, «რას არა [გასცემს], დაკარგულია!».

მართლაც, როგორ უნდა გავიგოთ, თუ არ ასე, სიტყვები: «რასაცა გასცემ, შენია, რას არა, დაკარგულია». ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი სიმდიდრე, რაც კი ინახება ხაზინაში, უნდა გასცე შენ (თინათინ), რადგან «რასაცა გასცემ, შენია, რასაც არ გასცემ, დაკარგულია». მაშასადამე, თინათინმა მტვერივით უნდა გააბნოს მთელი სიმდიდრე, რაც კი ინახება ხაზინაში, და უნდა დარჩეს მათხოვრად მაშინ, როდესაც ტრადიციული წაკითხვა, რაც არა დაკარგულია, კონტექსტის მიხედვით, ნიშნავს:

«სმა-ჯამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია, რასაცა გასცემ [ხალხზე], შენია; რაც [მაშასადამე, ფრჩხილებში ჩვენია], არა დაკარგულია!»—რაც არ იკარგება, ე. ი. სახელი გრჩება.

სამწუხაროდ, ახალმა სარედაქციო კოლეგიამ კვლავაც ის გაიმეორა ახლახან გამოსულ მასობრივ გამოცემაში (იხ. შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, საქართველოს სსრ სახელგამი, თბილისი, 1951), მაშინ როდესაც ყველა არსებული ხელნაწერი, მათთან ვახტანგისეული ბეჭდვითი გამოცემა, ამ სტროფს კითხულობს შემდეგი სახით:

«რასაცა გასცემ, შენია, რაც არა დაკარგულია».

დასასრულ, საკმაოდ ზუსტი შემოწმებისათვის შევეუდაროთ ერთიმეორეს «ვეფხისტყაოსნის» და «ვისრამიანის»:

1) «სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა საეარგულია?!

რასაცა გასცემ, შენია, — რაც არა დაკარგულია».

და 2) «გაიხარენ, სუი და ჭამე, გაეც, რომელ სახელი დაგრჩეს» [ვსრ. გვ. 42], რომ საესებით სარწმუნო გახდეს დასახელებული ადგილის ჩვენი ამგვარი გასწორება.

გაღიგნეაის ეათი ზეპლომის გაგო

«ფეფხისტუაოსნის» თითქმის ყველა არსებულ ხელნაწერში და ვახტანგისეულ ტრადიციული ტექსტის ბეჭდვითს გამოცემაში, ერთი სტროფი, ვახტანგის გამოცემით 55-ე, რომელიც ემთხვევა ახალი აკადემიური გამოცემის 54-ე სტროფს, იკითხება ასე:

«უბრძანა: «წადით, გახსენით, რაც სადა საჭურჭლენია!
ამილახრო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია!»
მოიღეს, გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია,
ლარსა ხვეტიდან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია».

ამ სტროფის ერთი ადგილი: «რემა, ჯოგი და ცხენია» იწვევს აშკარა გაუგებრობას, რადგან მასში პირველი სიტყვა «რემა» ტაჯიკურ-სპარსულად ჯორებისა და ცხენების ჯოგს ნიშნავს. ამიტომ აშკარად უხერხულია სიტყვა «რემას» შემდეგ მისი სინონიმის «ჯოგის» ზედმეტად ჩართვა. მაშასადამე, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ «ჯოგი» აქ გაჩნდა და ფეხი მოიკიდა «ჯორის» ნაცვლად. როგორც ჩანს, პოემის რომელიმე გადამწერმა, «რემას» ნამდვილი მნიშვნელობის არ ცოდნის გამო, ერთ-ერთ ადრევე არსებულ ნუსხაში ძნელად გასარჩევი «ჯორი» ამოიკითხა, როგორც ჯოგი.

ვგონებ, ჩვენი ამ მოკლე განმარტების შემდეგ, ცხადია, რომ დასახელებული 54-ე სტროფი უნდა იკითხებოდეს ასე:

«უბრძანა: «წადით, გახსენით, რაც სადა საჭურჭლენია!
ამილახრო, მოასხი რემა — ჯორი და ცხენია!»
მოიღეს, გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია,
ლარსა ხვეტიდან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია».

«რემე ესბ ვა ყატარ» (ტრანსკრიფცია ჩვენია. ი. ა.) ეს სპარსულ-ტაჯიკური ფრაზა ქართულად გამოითქმება ასე: «ცხენისა და ჯორის ჯოგი». შდრ. რუსული Табун лошадей и мулов.

„პეჩ კაენ“ თუ „პეჩ რამინ“

«ვეფხისტყაოსნის» ერთ ადგილას, იქ, სადაც ტარიელს მისი ძმადნაფიცი ავთანდილი მიუტანს უგზოუკვლოდ დაკარგული ნესტან დარეჯანის წერილს და რიდის კიდეს, რომელიც მიუცია სახსოვრად ტარიელს თავის სატრფოსათვის, არის ასეთი სტროფი:

წიგნი და კიდე რიდისა: იცნა და გაცაშალამან,
პირსა დაიდვა, დაეცა: ვარდმან ფერთა მკრთალამან,
სულნი გაექცნეს მოდრიკა: თავი გიშრისა ტალამან,
და მისნი ვერ გამძნეს პატიჟნი ვერ კაენ, ვერცა სალამან.

[ვახტანგისეული ტექსტი სტროფი ჩტლ—1330].

დღემდის გადაუწყვეტელია, თუ ვინ არის ეს კაენ და სალამან, რომლებსაც პოეტი ადარებს თავის გაშმაგებულ მიჯნურს ტარიელს, თუმცა, ჩვენი აზრით, აკად. ნ. შარის არგუმენტი «სალამან და აბსალის» გმირის სალამანისათვის მეორე სახელის «სალამანის» მიკუთვნების შესახებ, უდავოა.

როგორც ცნობილია ლიტერატურაში, ეს სახელი კაენ ხმარებულია ტანჯული მიჯნურის მნიშვნელობით ჩახრუხაძის სახელით ცნობილ «თამარიანში» (აკად. ნ. შარის გამოცემით, თავი V, სტროფი 26), სადაც ვკითხულობთ:

26. და სტირს კაენ ის
ეს ვით კაენ, ის
ძმის მკვლელობისა დანაბრალევად.
27. ამან თავი რად, მართ აზავირად
შექმნა ლეილის ნამიჯნურევად.

მივმართოთ ამავე ჩახრუხაძის «თამარიანს», სადაც სახელები რამინ (22-ე სტროფი) და სალამან (24-ე სტროფი) წინ უძღვის ამ ჩვენთვის საინტერესო სტროფს. აქ იმის აშკარა მაჩვენებელია, რომ ერთ-ერთი ძველისძველი ნუსხიდან უნდა იყოს ამოღებული «თამარიანის» დასახელებული V თავის 22-ე და 24-ე სტროფები.

ცხადია, აგრეთვე ხსენებულ ადგილასაც იმავე ჩახრუხაძის «თამარიანის» (ნახ. თავი V, ნ. შარის გამოცემა) 22-ე სტროფის მსგავსად, ჰქონია პოეტს რამინ, და, მართლაც, V თავის 22-ე სტროფი ასე იკითხება:

რამინს უშენოდ
სტკივის უშენოდ,

შერებოდა ვისის
ნამიჯნურევად.

24-ე სტროფი კი!

სალამს საღმობად!
უჩნს სვე და ღმობად
სხვათათვის ხელქმნა
ლხინ-უნახევად.

და აი სწორედ ამ სტროფებს მოსდევს:

და სტირს კაენ ის,
ეს ვით კაენ, ის
ძმის მკვლელობისა
დანაბრალებად.

ამან თავი რად
მართ აზაფირად
შექმნა ლეილის
ნამიჯნურევად¹.

ამიტომაც სრულიად ბუნებრივია დაუშვავთ, რომ «ვეფხისტყაოსნის» ერთ ძველსა და ნამდვილ ნუსხაში უნდა ყოფილიყო თავის დროზე პოეტის მიერ ამ ჩვენთვის საინტერესო სტროფზე ადრე მოთავსებული დასახელებული ცნობა რამინის და სალამანის შესახებ, ისე, როგორც ის იკითხება ერთს ყველაზე ძველ 1646 წლის ხელნაწერში, რაც ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ უნდა იყოს².

ეს საგულეებელია მით უმეტეს, რომ მაწანწალა და ღმრთის შერისხული ძმის მკვლეელი კაენ და აგრეთვე სხვა მაწანწალა მიჯნურიც კაენ კიდევ შეიძლება ეხმარა მეხოტბე ჩახრუსაძეს ფორმით კაენ, მაგრამ მისი ამ სახით გადმოღება «ვეფხისტყაოსნის» გამლექსავის მხრივ დაუჯერებელია.

უფრო დასაჯერებელია ის, რომ კონტრასტისათვის, ანუ სხვადასხვა ხასიათის მიჯნურთათვის შესადაარებლად, მან აიღო ერთი ფიზიკური სიყვარულის მონა მიჯნური, ხოლო მეორე — მისტიკური სიყვარულისა, როგორც არიან რამინ და სალამან, რომელთაც ბევრი ვაება და ფათერაკი განიცადეს, თუმცაღა ერთმა დაბოლოს ტარიელივით გამარჯვებას და შვება-ლხენას მიაღწია³, მეორემ სალამანმა კი მიიღო სამეფო ტახტი.

¹ დაშიფვრა ჩვენია, აკად. ნიკო მარს ეს ადგილი შეუცვლია ასე: სალა(მ)ს საღმობად და ასე შემდეგ.

² კ. ქექელიძე თავისებოთ იზიარებს მის მიერ ამ 24 სტროფის დაშიფვრას და გაგებას.

³ ერთს ნუსხაში ჰარდაპირ გვხვდება «ვერ რამინ და ვერცა ვისსა-ს» ნაცვალად, «ვერვინს და ვერცა ვისსა».

⁴ სალამან და აბსალის თავგადასავალის შესახებ დაწვრილებით იხილეთ აქვე — პოემის შინაარსი.

არსებობს წინააღმდეგი აზრიც¹, რომლითაც სალამან და აბსალის გმირი სალამან კი არ არის ნაგულისხმევი პოემის ამ ჩვენთვის საინტერესო სტროფში, არამედ ბეზირგანი სალამ ნიზამის «ლეილა ო მაჯნუნიდან», რომელიც ოქროს მტვერივით ფანტავდა და ფულით და სიმდიდრით დაეუფლა კეკლუც ლეილას.

მაგრამ ნუთუ დასაჯერებელია ის, რომ ჩვენი გენიოსი პოეტი ისეთ პიროვნებას, როგორც იყო სალამ, მიჯნურის იდეალად დასახავდა?

სალამს, მართალია, უყვარდა ლეილა ისე, როგორც ფიზიკურად დამაკმაყოფილებელი, როგორც ოქროთი და სიმდიდრით შეძენილი საქონელი, მაგრამ თვით ლეილას იგი სძაგდა იმდენად, რომ პირველსავე მიახლოებაზე სილა სტკიცა მას, რის შემდეგაც იგი ვეღარ ბედავდა მიჰკარებოდა ლეილას. ასეთ მდგომარეობაში მყოფი, იგი, ერთი წლის შემდეგ, საშინელ ტანჯვაში გარდაიცვალა. მაშასადამე, ცხადია, იგი იდეალურ მიჯნურად არ შეიძლებოდა ჩათვალა ბრძენ პოეტს.

აწ ვნახოთ, თუ რამდენად მართალია ის, რომ სალამან სხვა პოეტის დროს ცნობილ მიჯნურებთან შედარებით, ნაკლებ ტანჯული იყო და მას, როგორც მიჯნურს, დასჩემდა სატრფოსთან მხოლოდ შეება-ლხენა და განცხრომით და სიამტკიბილობით ცხოვრება. ამისათვის, სჯობს, მივმართოთ თვით პოემის შინაარსს:

იყო საბერძნეთს მეფე დიდებული და ყოვლის სიკეთით სრული. მის ქვეშევრდომთა შორის გამოირჩეოდა ერთი ბრძენი და ყოვლის მეცნიერი, რომლის გარშემოც თავს იყრიდა სამეფოს ყველა მოაზროვნე და სიბრძნის მოყვარული პირი. მისმა სიბრძნემ მიიზიდა და მოხიბლა თვით მეფე, რომელმაც იგი გაიხსადა თავის არიფად და მესაიდუმლედ, და მეფე ნახევარ ბიჯსაც არ წასდგამდა მის რჩევა-დარიგების გარეშე, და მის სიბრძნეზე დაყრდნობით მუდამ იმარჯვებდა და ფლობდა მთელ ზღვა და ხმელეთს. ბედნიერ მეფეს გულს უწყალებდა ერთი დარდი: მას არ ჰყავდა ძე და ენატრებოდა მემკვიდრე, რისთვისაც მუდამ მიმართავდა თავის მესაიდუმლე ბრძენს რჩევა-დარიგებისათვის. ბრძენი ურჩევს მეფეს, თავი არიდოს ავხორცობას და ქალთან სიახლოვეს, ვინაიდან ქალთან კავშირის დაჭერა და შეერთება სააუგოა, თუმცადა, უამისოდ მემკვიდრის ყოლა შეუძლებელია. ამასთან ქალის მაცდურობის ბაღეში მოყოლა კარგს არაფერს მოასწავებდა, რადგან ქალი «ცბიერი და მოღალატეა, მიგინდობს და მოგენდობა, მხოლოდ იმისათვის, რომ ტყინად გაქციოს».

ერთი სიტყვით, ბრძენი წინააღმდეგია ქალების და მათთან შეუღლების. იგი გამოძებნის კიდევ საშუალებას და შეაძენინებს მეფეს ყრმა შვილს სხვა გზით², ბავშვს უწოდეს სახელად სალამანი.

რადგან ბავშვს მშობელი ღედა არა ჰყავდა, საჭირო იყო ძიძა, რისთვისაც გამოიხატეს უმშვენიერესი მზეთუნახავი, ასაკით ოცი წლის ქალი, სახელად აბსალი. აბსალმა ბავშვი გაგიჟებით შეიყვარა. ღონეს არ იზოგავდა იგი და ცდილობდა მისი აღზრდისათვის არა დაეკლო რა. მალე ძუძუ გააშვებინა, ზრუნევისაც უმატა და სიყვარულიც მისდამი მოემატა, ასე ზრდიდა მას 14 წლამდე. 14 წლის სალამან-ბადრი მთვარესავით დამშვენდა. სილამაზესთან ერთად ჭაბუკმა მალე გაითქვა სახელი გონებამახვილობით და პოეტური ნიჭით (როგორც პროზის, ისე ლექსის წე-

¹ К. Кекелидзе, Руставели и Низами Гянджеви. — Труды Тбилисского гос. университета, V, 1936, гл. 166—167.

² სახელდობრ: მან გამოართვა მეფეს მისივე თესლი, და მისცა მას, ქალის საშოს გარეშე, ბუნებრივი დრო—ცხრა თვე.

რით). აგრეთვე მეჯლისში მოღვაწეობით, მუტრიბობით და მომღერლობით ვერაფერი
სჯობდა. თანაც იგი იყო განთქმული მობურთალი და მშვილდოსანი. ყველა ამას-
თან იგი იყო ისეთი გულუხვი და მოწყალე, რომ ამ მხრივ, მას მანი და ჰათემთაიც
კი ვერ შეედრებოდნენ. აჰა, სალამანი უკვე აღწევს ფიზიკური სილამაზის სრუ-
ლადობას, და აბსალიც იჩენს მისდამი ფიზიკურ (ხორციელ) სიყვარულს და ცდი-
ლობს მოხიბლოს სალამანი ქალური მაცდურობით. მალე ის ახდენს ძლიერ გავ-
ლენას თავისი სილამაზით, ხიბლავს და ატყუებებს მის გულს. ადრინდელ ხვეწნა-
კოცნას და ალერსს სხვა ხასიათი მიეცა, და ავხორცობამ იჩინა თავი. სალამანი
დამთვრალია აბსალისადმი სიყვარულით; და დილით ადრე, გამოღვიძებასთან ერ-
თად, მასში იღვიძებს სურვილი აბსალის სახის და ანაგების ხილვისა. მოისევამს
ხოლომე მას გვერდით, აწიშვლებს მას და სტკებება მისი მომხიბლავი სიკეკლუციით.
გადის დრო—წუთები, დღეები, კვირები, წლები, მაგრამ გულის ნების დაკმაყოფი-
ლება კიდევ ვერ შეძლო ბატონის შვილმა, თუმცა მას თავდავიწყებამდე უყვარს
აბსალი.

ამ მაცდურ ქალთან სიახლოვემ და ავხორცობის სიშმაგემ იმდენად გაახელა
სალამანი, რომ დაავეწყა მას მამაც, მისი ბრძენი მესაიდუმლეც, და სამეფო ტახ-
ტიც. მამა ცდილობს შეაგნებინოს სალამანს, რომ ის არის მისთვის ყველაფერი,
როგორც მისი ერთადერთი მემკვიდრე, რომ ის მხოლოდ მისთვის ცოცხლობს,
და სამარცხვინო იქნება შვილისათვის, თუ მწუხარების გამო უდროოდ ჩაიყვანს
შამას საფლავში. სალამანი აღიარებს თავის უძლეურობას მამის წინაშე. ის წვა-
ლობს, იტანჯება, მაგრამ აბსალის მოგონება მას გონებას უბნელებს, ხოლო მისდა-
მი მისწრაფება მოსალოდნელ უბედურებასაც კი ავიწყებს. არ გასჭრა მამის მუდა-
რამ, თხოვნამ, დარიგებამ, და სალამანმა ვერ შეიგნო თავისი დიდი მოვალეობა სა-
მეფოს წინაშე. მაშინ ბრძენი მესაიდუმლე მეფისა და აღმზრდელი სალამანისა შე-
ეცადა მის შეგონებას.

ის აგონებს თავის მოწაფეს მის მოვალეობას, რომ მისთვის გადაწყვეტილი
იყო მაღალი ხვედრი, რომლის ვარსკვლავიც ბრწყინავდა ცაზე, და რომ იგი აბ-
სალისადმი სწრაფვამ მაცდურობის ბაღში გაახვია და მიჰყავს იგი ქვესკნელისა-
კენ. სალამანი ამაზედ უპასუხებს ბრძენს: «მე თავმდაბალი მოწაფე შენი, შენ მხო-
ლოდ გმორჩილებდი, მაგრამ ესლა უმწურო ვარ, და ეს წინასწარი მიზანდასახულო-
ბანი რისთვისდა არიან საჭირო? შევძლებ მე განა ამქამად უკუვაგლო ის, რაც მო-
ხდა, და რაც შეიქმნა ჩემთვის ასე ძვირფასი და სასურველი?».

მობეზრდა სალამანს დაუბოლოვებელი საყვედურები და დარიგებანი და გაი-
პარა სახლიდან აბსალთან ერთად. გაცურდებიან ისინი ზღვის სივრცეში და მიე-
ღენ ბედნიერ კუნძულზე, სადაც ბინადებიან და ეძლევიან ზღაპრულ ნეტარებას
წარმტაცი და დამატყვევებელი ბუნების წიაღში.

გაიგებს რა მეფე შვილის გაპარვას, მიაგნებს მას გრძნეულების სარკით და
იმეფე გრძნეულების საშუალებით და შეგონებით ხელს უშლის მას მიუახლოვდეს
აბსალს. ახერხებს კიდევ მეფე გულის მომნადირებელი ალერსით და მოფერებით
სალამანის შინ დაბრუნებას. შინ დაბრუნებული სალამანი მაინც არ უბრუნდება თა-
ვის მოვალეობას, სამეფო ტახტს, კვლავ განაგრძობს მაცდურობის ბაღში ყოფ-
ნას, რისთვისაც მამა ისევ საყვედურებით იმდენად აბეზრებს თავს, რომ სალამანი
აბსალთან ერთად კვლავ გაიპარება უდაბნოში, სადაც ის ანთებს კოცონს და ადის
მასზე აბსალთან ერთად. ცეცხლი აბსალს დასწავს, ფერფლად აქცევს, ხოლო სა-

ლამანს უენებლად სტოვებს. აუწერელია ტანჯვა-წვალება განსაცდელში ჩავარდნილი სალამანისა.

აი როგორაა აწერილი ეს პოემაში: «კვამლი მისი ოხვრისა ზეცამდე აღის, თითქოს სურს სევდის გულიდან აღმოფხვრა»; «გულს იკაწრავს იგი ბრჭყალებით და გააფთრებული იხოკავს კანს გაშმაგებით»; «შეარჩევს დიდ ქვებს გულში საცემრად და კენესის და ვაგლახ მე ვა-ს» გაიძახის; «იკბენს ხელის მტევნებს გამწარებული და დალურჯებამდე სცემს წვივებს». დამლამობით მისი ოცნების წინ მდგარ საყვარლის აჩრდილს ესაუბრება და იგონებს მასთან გატარებულ სიამოვნების წუთებს: ჰოი, შენ, რომლის განშორებამ დაწვა ჩემი გული, ნეტავი მაშინ, როცა მე კოცონი მოვაწყე და ცეცხლი აგიზგოზდა, მე თვითონ დავმწვარიყავ და შენ გადამრჩენოდი... ვაი მე უბედურს, რატომ შენთან ერთად არ დავიწვი, არა-რაობის გზაზე ვიქნებოდით ჩვენ ორივენი, რომ საუკუნო სიმშვიდე მეგემნა, ჩემს სატრფოსთან ერთად. ასე სტირის, ვალალებს და თავის მოკვლას ლამობს სალამანი.

მეფეს არ ძალუძს შვილის დამშვიდება და კვლავ თავის ბრძენს მოიშველიებს, რომელიც დაიყოლიებს სალამანს რჩევა-დარიგების გზით და მიაღწევს იმას, რომ სალამანი ღებულობს მამის მემკვიდრეობას, ტახტსა და სამეფო ბეჭედს დიდებულთა თანდასწრებით, რომლებიც სალამანს ერთგულების ფიცს აძლევენ.

ამანირად ცხადია, რომ ეს სალამან და აბსალის მთელი თავგადასავალი იძლევა იმის სრულ წარმოდგენას, რომ ვახტანგისეული «ვეფხისტყაოსნის» გამოცემის 1330-ე სტროფში მოხსენებული სალამან არის ცნობილი სპარსული პოემის «სალამან და აბსალის» გმირი სალამან, იგივე სკანდირებული «სალამან» და არა ნიზამის «ლეილაო მაჯნუნის» სალამ, — ბუზირგანი, რომელსაც მშობლებმა ძალით მიათხოვეს ლეილა, რომ ჩამოეშორებინათ იგი მაჯნუნისათვის; როგორც ზემორე აღვნიშნეთ, ბრძენი პოეტი შოთა არავითარ შემთხვევაში არ ჩასთვლიდა მას იდეალურ მიჯნურად.

რომ უფრო ნათელვყოთ ზემორეთქმული, სჯობს, განემარტოთ თვით ეს აკად. მარის გამოცემული თამარიანის 24 სტროფი:

სალა(მ)ს სალმობად
უჩნს სვე და ლმობად
სხვათათვის ხელმქმნა
ლხინუნახავად.

ამისი აზრი ასეთია:

სალამს სატივირად უჩნს (მიაჩნია)
სვე-ბედი, და ტანჯვა-წვალებად
სხვათათვის გახელება (გაშმაგება, გამიჯნურება)
ლხინ-უნახავად.

თქმა აღარ უნდა იმას, რომ სწორედ ასეთი იყო სალამის სვე-ბედიც, რასაც თავის დროზე აღლო აულო პროფ. კ. ქვეკლიძემ და შეასწორა აკად. ნ. მარის აშკარა შეცდომა.

აქ, მართლაც, პროფ. კ. კეკელიძის მართებული აზრით, საუბარია ნიზამი განჯელის სალამზე, და არა სალმან და აბსალის გმირ სალმანზე (სკანდირებით სალამანზე)¹, მაგრამ, როგორც ჩანს, სამაგიეროდ, ურყევია აკად. ნ. მარის ის აზრი, რომ შოთას «ვეფხისტყაოსანში» უსათუოდ იგულისხმება გაუფორმებელი მრავლობითი რიცხვის ძველი ფორმა სახელის «სალამან» პოემიდან «სალმან-ო-აბსალ».

აწ კი შევეხები «ვეფხისტყაოსნის» ხსენებული 1330-ე სტროფის უკანასკნელ ტაქტში მოხსენებული პირველი გმირის კაენის შესახებ საკითხს.

ჩვენი დაკვირვება ასეთია:

ჩახრუხაძის «თამარიანის» მიხედვით, კაენ-ის ადგილას აქ უსათუოდ იყო არა კაენ², არამედ — რამინ³, როგორც ვკითხულობთ:

რამინს უშენოდ
სტკივის უშენოდ
შერებოდა ვისის
ნამიჯნურევად.

ეს უნდა ასე გაეიგოთ:

რამინს უშენოდ,
სტკივის უშენოდ.

ე. ი. დაუშენლად ან უცემად, უკრავად შერებოდა, ანუ თავს ამაოდ იღლიდა, ვისისათვის გამიჯნურებით, — და არა შენთვის.

მაშასადამე, ცხადია, თუ როგორ უნდა იკითხებოდეს ჩვენ მიერ ანალიზირებული «ვეფხისტყაოსნის» ვახტანგისეული გამოცემით 1330-ე სტროფი, რომელიც უდრის ახალი 1951 წლის გამოცემის 1340-ე სტროფს:

წიგნი და კიდე რიღისა იცნა და გაცაშალა მან.
პირსა დიდვუა და იცა⁴, ვარდმან ფერითა მკრთალამან,
სულნი გაექცნეს. მოდრიკა თავი გიშრისა ტალამან.
და მისნი ვერ გაძლნეს პატიჟნი, ვერ რამინ, ვერცა სალამან.

«ლიტერატურული ძიებანი», 1959, ტ. X I I.

¹ ამის შესახებ «თამარიანი», გვ. 167.

² «თამარიანი», V, 26, გვ. 68.

³ აქვე, სტროფი 22.

⁴ «დაეცა ვარდმან», ვარდა იმისა, რომ გრამატიკულად უკანონოდ მისაჩვენია, ისედაც შეტად საჩოთაროა.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი

ა

ა ბ ე ლ ი, 1157, 3. სომხ. *კაქტუ* — ცეცხლის მოსაკიდი ნივთიერება, მიიღება ერთგვარი პარაზიტული სოკოსაგან, რომელიც იზრდება ბებერ რცხილაზე (*Polyporus Fomentarius*).

ა ბ ჯ ა რ ი, 57, 3; 43, 3; 163, 3. ჩასაცმელი ჯაჭვი; სამხედრო იარაღი, რკინის საჭურველი ომის დროს; ჯაჭვჭური.

ა გ ე თ ი, 438, 4. თითოთ საჩვენებელი; ცუდი.

ა დ რ ა დ, 644, 1. უცებ, სწრაფად, უეცრად, ანაზღად.

ა ვ ა ზ ა, 388, 1. სპარ.—სომხ. ერთგვარი ვეფხის მსგავსი სანადირო ცხოველი — კნინობითი სიტყვისაგან ავაზი — ვეფხი. ვეფხა—ძალი, ავაზა ვეფხსა ჰგავს, მცირეა (საბა).

ა ვ ლ ი, 681, 2; 811, 3. ფერფლი.

ა ზ ა ე ე რ ი, 378, 3. გინა აზავირი. საკიდარი ჯარი (საბა); ტვირთის მზიდავი, გინა დასატვირთავი ხარი, გახედნილი მოზვერი.

ა ზ ა ე რ ე ბ ა 378, 3. აზავრად გამოყენება, აზავრობის გაწევიანება, (აზავრების) დატვირთვა.

ა ზ ა ტ ე ბ ა, 186, 3; 199, 1; 932, 4. მოქ. ზ. თავისუფლება, გაშვება. წარმოებულია სომხ. *აჟაათ*—აზატ—ისაგან, რომელიც თავის მხრივ ნასესხებია სპარ. სიტყვის ა ზ ა დ—ისაგან.

ა ზ ი დ ვ ა, 266, 1; 431, 2. აწვევა.

ა ზ ო მ, 346, 1; 698, 4. ამ ზომამდე.

ა ზ რ ე ბ ა, 216, 3; 447, 4. აზრად მოსვლა, წარმოდგენა, მოფიქრება.

ა თ ქ ს, 1491, 2. ადგას, ადგია.

ა კ ა ზ მ უ ლ ო ბ ა, 163, 2. მორთულობა.

ა ლ ა, 1422, 2. ცეცხლის ალი.

ა ლ ა მ ე ბ ა, 822, 3. აღმად ქცევა, აფრიალება.

ა ლ ა მ ი, 319, 1; 822, 3. ასაფრიალებელი ნიშანი; გინა ნაჭერი; დროშა.

ა ლ ა ფ ი 369, 1; 108, 4 და 2. არაბ. ნაძარცვი, ნატაცები, დავლა.

ა ლ ა ფ ო ბ ა, 24, 1. ტაცება, ძარცვა, დარბევა, აკლება.

ა ლ ა ლ ე ბ ა, 369, 2. გალალება, გაამაყება. იხ. ლალი.

ა ლ ვ ა, XXVII, 3. ალის კიდება, ნთება, გზნება, ცეცხლის დება.

ა ლ ვ ა 19, 1; 40, 4. ალვის ხე; 166, 3. საკმეველის ხე.

ა ლ ვ ი ს-ს ი ა ნ ი, 724, 1. ალვის ხის მსგავსი ტანის მექონი.

ა ლ მ ა ს ე ბ ა, 647, 2. გაალმასება, გაფიცება; აალმასნა — ალმასად აქცია, გააალმასა (სიტყვისაგან ალმასი).

ა ლ მ ა ს ი, 250, 4. არაბ.-სპ. ძვირფასი ქვა.

ა ლ მ უ ლ ო ბ ა, 1320, 3. იგივეა, რაც ალმურობა, შემდგარია სიტყვებისაგან ალი და მური (სომხ. *მირ*): აგიზგიზებული სიტყვის ალი და კვამლი. ძლიერის ცეცხლის ნაქშენი ჰაერი.

ა ლ ქ ა ტ ი, 1302, 1. სომხ. *აჟჟაათ*—ალქატ—უქონელი, ღარიბი, მქისი, მჩატე, სუბუქი.

აღქა ტ ე ბ ა, 186,2. (ძირი იხ. აღქატი).
 გაძვირება, გაიშვიათება, შემცირება.
 შემოკლება, მოსპობა.
 აღ ყ ა, 36,2; 1088, 3. წრე; სალტე.
 მტრის მიერ ციხის ირგვლივ შემორ-
 ტყმა.
 ამაღარ ი, VIII, 1. ამაღარი—ამი-
 სათვის, ამიტომ, ანდა — ამნაირი, ასე-
 თი.
 ამაზრზენა, 1128,2, გინა ამაზრზე-
 ნი, 873, 4; 1329,2. ამაზრიალებე-
 ლი, ამატირებელი, შემაწუხებელი, ამა-
 ქრქოლი.
 ამარი, 918, 2. სომხ. *համար* რიცხვი.
 აქედგან იხ. უამარი.
 ამარტი, 197,1. ბერძ. ქარვა, ადამან-
 ტური ყვითელი შივი.
 ამებული, 564, 2. ძირი იხ. ამო, ნაა-
 მები, დამტკბარი, დაღსინებული.
 ამილახორი, 23,2. არაბ.-სპ. მეჯინი-
 ბეთ-უსუცესი, resp. ამირახორი.
 ამირბარი, 241, 1 და 2; 242, 2; 261;
 282, 2. არაბ. ზღვის ამირა; ზღვათა
 და ხმელთა გამგებელი ინდოეთ-
 ში. იგივეა, რაც ადმირალი, ფლოტის
 უფროსი. იხ. არაბულ სიტყვათა სა-
 ძიებელი.
 ამირსპასალარი, 9, 1. არაბ.-სპ.
 უმაღლესი სარდალი.
 ამისთანა, 193^ა, 1. ამისთანა.
 ამო, 3, 4. სომხ. სასიამოვნო.
 ამოგება, 22, 1. ავსება, გამდიდრება.
 ამოღ, 34^ა, 4; 350,1. საამურად.
 ამოზიდვა, 191, 2. ამოწევა, ამოყ-
 ვანა.
 ამოკრეფა, 149,3. მიჩნევა, ჩაგდება,
 მიღება. არად ამოგვეკრიფნა —
 არაფრად ჩაგვაგდო.
 ამოქდომა, 758, 3. ამოსვლა.
 ამოქვინჩვა, 183, 2. აჩვილება, მო-
 ლბობა, ამოსვენა, ამოჯდომა. გულ-
 ამოქვინჩვით — გულ ამოჯდომით;
 გულჩვილად.
 ამოხმა, 505, 2. ამოღება. იხ. ისრის
 პირი ამოუხვნა.

ამხანაგი, 572, 4. სპარ. მეგობარი,
 შინაური, დაახლოებული, გულის მეგო-
 ბარი.
 ანაგები, 842, 1. მოყვანილობა, ტა-
 ნალობა.
 ანაზდად, 146, 1. სომხ. უეცრად.
 მოულოდნელად.
 ანაზდენობა, 642, 4. უეცრად ინე-
 ბა. იხ. რისხვანი იანაზდენითა.
 ანაურდენი, 159, 4. ამართული,
 აწვდილი. ზმნისაგან — აურდენა, ამა-
 რთვა; იხ. კლდეშის ანაურდენი (ხენი).
 ანაწონები, 687, 1. ანაწონი.
 ანდამატი, 1194¹, 3 (გინა ადამან-
 ტი) ბერძ. აღმასი.
 არავი, 1348, 3. სომხ. *հարաւ*—სამხ-
 რეთი, გინა სამხრეთის ქარი.
 არამი, 598, 4. არაბ. უკანონო, ცუდი.
 არასმკრთალი, 864, 2. უშიშარი.
 არე, 364, 3. ადგილი, მიდამო, არე ბ ი,
 1089,2. — არემარე.
 არე, 478, 2. არის.
 არიფი, 1026, არაბ. დაახლოებული
 პირი, ტოლი, სუფრის მოზიარე.
 არმად, 598, 5. არაბ. (იხ. სიტ. —
 არამი) უწესოდ, ურიგოდ, ცუდად.
 არმალანი, 1094, 2; 1235, 1. სპარ.
 ძღვენი, საჩუქარი.
 არმება, 125,1; 396, 4. იხ. არაბ.
 არამი. უსამართლო, გინა შეუფერე-
 ბელი ყოფა, ფუჭი ყოფა.
 არსი, 1, 2, და სხვა. არსება, ქმნულე-
 ბა, გინა ქმნილება.
 არღავანი, 822, 3. სპარ. არღავან,
 გინა არჯავან — არღავნის, გინა არ-
 ჯავნის ხე, *cercis seliquastrum*; მო-
 ჭირებული წითელი ფერი აქვს. აქედ-
 გან არღავნის ფერი — მეწამული,
 პორფირის ფერი, ძოწეული, მეტად
 წითელი.
 ასაქმარი, 88, 4. ხალხური ფორმის
 ზმნა ასაქმარება, იგივეა, რაც ასაქმე-
 ბა; აქედგან—ასაქმარი—ბრძ. კ. ასაქ-
 მე! ე. თ. მომკალ (დანითო).
 ასდენ, 451, 1. ამგვარად.

ასე ბი, 1215, 1. ასეთი, შემდეგი; ისმი-
ნე სიტყვა ასე ბი, ე. ი. გამიგონე, თუ
რა გითხრაო.

ასკეცი, 184, 2. ასჯერ მეტი.

ასოცება, 1022, 3; 1293, 4. ასოცჯერ
გამრავლება, ან გაასოცება.

ასპარეზი, 62, 2. სპარ. მოედანი, სარ-
ბიელი.

ასპიროზი, 835, 1. ბერძ. ცთომილი
ვარსკვლავი ვენუსი, ანუ ვენერა; სა-
ღამოს ვარსკვლავი.

ასპიტი, 1092, 4. ბერძნ. გველი.

ასული, 2, 1. — იქვე 4. 1) ქალიშვი-
ლი; 2) ასჯერ აღებული — ენა ბევ-
რად ასული. ენა $10.000 \times 100 =$
 $= 1.000.000$ — ე. ი. ერთი მილიონი
ენა.

ატლასი, 1276, 1. არაბ. აბრეშუმის სა-
ტინა, აბრეშუმეული, უძვირფასესი
ფარჩეული.

აუბრება, 181, 2. ალაპარაკება, აუბ-
ნება.

აუგი, 288, 4; 1094, 4. სირცხვილი.

აფოლხეება, 307, 3. შესუბუქება,
მოშვება.

აფხერა, 135², 3; 830, 3. რისამე ძირ-
ფესვიანად ამოგდება, აღმოფხვრა,
აღგვა.

აქშინება, 772, 2; 849, 4. სწრაფად
სულთქმა, მძიმე ფშვინვა.

აღვსება, 536, 2. აღდგომის წინაღლე-
ები. დღე ჰგავდა არ აღვსებისა —
ეტყობოდა, კარგი აღდგომა არ ღებო-
დაო.

აღლუმი, 318, 2. თურქ. ჯარის და-
რაზმულობის გასინჯვა.

აღმაფრენა, XX, 3; 1058, 4. გინა
აღმა ფრენა, XXII, 3. ზეშთაგო-
ნება, ექსტაზი, ფიქრით მაღლა აღწევა.

აღმოჯდომა, 297, 2. ამოსვლა.

აღპერობა, 172, 2. გინა აპერობა —
აღმართვა.

აყიყი, 1008, 4. არაბ. აკიკა — ძვირფა-
სი ქვაა, მეტად წითელია.

აშიკობა, XVIII, 2. იხ. არაბ. აშიკი.
არშიყობა, ტრფობა.

აჩუქება, 856, 2. აჩუყება, აჩვილება,
ატირება.

აძუნება, 647, 2. მოქ. ზ. ძუნად
ქცევა, გარბილება, დაწყენარება. იხ.
ძუნა.

აწაღა, 65, 3. ესეც არი, ეს-ეს არი.

აწყვეტა, 337, 3. მოსრვა, აღხოცვა,
ამოხოცვა (ცეცხლითა და მახვილით),
გინა განადგურება.

ახე, 353, 3. სწორი.

ახეწევა, 534, 2; 563, 1; 647, 4. ახოყ-
ვა, დაპოტნვა, ქარისაგან აფხეკა, აც-
რეცვა, დასერვა, აცერცენა (კარიჭ.).

ახვა, 562, 3. საყ. ახის ძახილი (იხ. ახი),
კენესა, ოხვრა, ამოოხვრა, გოდება,
შფოთვა.

ახი, 69, 4; 586²; 776, 2. ოხვრა-კენე-
სა; მწუხარების გამომხატველი შო-
რისდებული.

ახლება, 498, 2. ახლოს მისვლა, მიან-
ლოვება.

ახმა, 264, 1. აღება, ახელა, გამოღება.
იხ. ოთხახმით, ქვემოთ.

აქოცვა, 1022, 1. მოსპობა, გაქარწყ-
ლება.

აქდა, 259, 2. გახდა, გაძრობა (ტანი-
სამოსის).

აჯა, 272, 1. სათხოვარი. ვედრება, სა-
ვედრებელი.

აჯიღა, 1037, 4. ჩადრი, მოსაბურავი.

აჯიღოსანი, 403, 2. აჯიღაში მყო-
ფი.

ბ

ბაგე, 181, 2; 522, 1. ტუჩი, კიდე, ნა-
პირი.

ბადახშანი, 1277, 2; 1384, 2. გინა
ბადახში. იხ. ბალახში.

ბადრაგა, 904, 2. სპარ. გამძლოლი,
გზის ყულაოზი, ინდიკატორი.

ბავთება, 1345, 4. სომხ. ბავთ-ის-
გან — *բավթ*-ბავთ — ვისიმე სიკვდი-

ლის, — გინა სამწუხარო, — ამბავი.
 შეწუხება (თ.) გულსა ებავთა — გულს
 ემწარა, ცეცხლად ეცა.
 ბ ა ზ ა რ ი, 1297, 4. სპ. ბაზარ — იგივე
 მნიშვნელობა — შუკა, გინა სავაჭრო
 ადგილი, გინა მოედანი.
 ბ ა ზ ი ე რ ი, 509, 4. სპ. ბაზიარ, გინა ბა-
 ზიერ—ბაზთა, გინა ქორ-მიმინოთა,
 დამგეშავი, საზოგადოდ, სანადირო
 ფრინველთა გამმართველი.
 ბ ა ზ მ ა, 1353, 2. სომხ. სანათი, ლამ-
 პარი.
 ბ ა კ მ ი, 172, 3. (პირ-ბაკმიანი) სინათ-
 ლის რკალი, მნათობთა ელვარე სიმრგ-
 ვალე.
 ბ რ ო ლ ბ ა კ მ უ ლ ი 169, 4. ბროლივით
 მოელვარე, პირმოციმციმე.
 ბ ა კ მ უ ლ ი, 169, 4. იხ. ბაკმი. მოელ-
 ვარე.
 ბ ა ლ ა ხ შ ი (გინა ბადახში), V, 3. სპ.
 საუკეთესო ლალი ბადახშანის მხარედ-
 გან. მეტ-წითელი, გინა ყირმიზი ბაგე-
 პირი, იხ. ბადახშანი.
 ბ ა ნ ი, 397, 1. ერდო (სახლის).
 ბ ა ნ ი ს - ბ ა ნ ი, 975, 3; 1133. ერდო,
 გინა ბანის ზევით სახურავი.
 ბ ა რ, 1009, 4; 1087, 2. ბარე, ბარემ.
 ბ ა რ ბ ი თ ი, 127, 4. ბერძ. სამუსიკო
 საკრავია ქნარივით.
 ბ ა რ გ ო ს ა ნ ი, 1208, 1. მეგრულად
 ბარგი ზედა სამოსელსა ნიშნავს. შე-
 საძლებელია, აქაც არ ბარგოსანი
 პნიშნავდეს ხალვათად ცმულს, პერან-
 გის ამარას.
 ბ ა რ ი, 211, 2; 326, 2; 1206, 3. არაბ.
 დაბლობი, ვაკე, ველი.
 ბ ა რ ი, 979, 4. მიწის სათხრელი ია-
 რალი, მიწის სათხარი რკინის ნიჩაბი.
 ბ ა ს რ ი, 353, 3. მჭრელი.
 ბ ე დ ი, ბედისწერა, მოსავალი, ფორ-
 ტუნა, ბედის ქცევა — ბედის უკუღმა
 ტრიალი.
 ბ ე დ ი თ ი, XXVIII, 2; 293, 1; 998, 2.
 ამო, ტყუილ-უბრალო; ცუდი, უაზ-
 რო, უსარგებლო.

ბ ე დ ი ს ქ ც ე ვ ა, 719, 4. იხ. ბედი.
 ბ ე დ - ქ მ ნ ი ლ ი, 600, 4. უბედური.
 ბ ე ვ რ - ა თ ა ს ი, 1083, 4. ბევრი ათასი
 ანუ 10.000.000.
 ბ ე ვ რ ი, 2, 4, სომხ. ათი-ათასი; ბ ე ვ -
 რ ა დ ა ს უ ლ ი, იხ. ასული.
 ბ ე ვ რ ი ს - ბ ე ვ რ ი, 202, 1. ასი მილიო-
 ნი; უთვალავი.
 ბ ე რ ი, 472, 3. მოხუცი.
 ბ ე რ ო ბ ა, 5, 1. დაბერებულობა, მოხუ-
 ცებულობა, სიბერე.
 ბ ე რ ვ ა, 602, 2. სულის შებერვა.
 ბ ი ლ წ ი, 86, 2. სომხ. პილწ—პილწი,
 არაწმინდა, საქაგელი.
 ბ ი ლ წ ე ბ ა, 171, 1. ზ. ძაგება, ძულემა,
 ზიზღება.
 ბ ი ნ დ ი, 666, 3. ცოტა სიბნელე.
 ბ ი ნ დ - ბ ა ნ დ ი, 1134, 2. დღე და ღამის
 გაყრის დროს ოდნავ შებნელებული;
 ოდენ ბინდ-ბანდი ბნელისა — საღამო-
 რელიე.
 ბ ი ს ო ნ ი, 610, 4. ბერძ. ედემის მდინა-
 რე ფისონი (თ.) ანდა ბერძ. βισσοδ-
 ზეზი: ცრემლი, ვითა ბისონი, ბისონის
 ფერი. იხ. «შაჰ-ნამე»-ს ლექსიკონში.
 ბ ი ჯ ე ბ ა, 1100, 1. ბიჯის გადადგმა, ფე-
 ხისდგმა, სიარული.
 ბ ი ჯ ი, 39, 4. ნაბიჯი.
 ბ ნ ე დ ა, XXVII, 3; 292, 3; 392, 4. მწუ-
 ხარებისთვის თავის მიცემა; უზომო
 მწუხარება; ცნობის, გინა გრძნობის
 დაკარგვა.
 ბ ო რ ბ ა ლ ი, 1164, 4. 1255¹. გლობუსი,
 მბრუნავი სიმრგვლე.
 ბ ო რ ი ო, 1294, 4. ჩრდილოეთის ქარი,
 ზამთრის ცივი ქარი. ბერძ. βίροζαξ.
 ბ რ კ მ ო ბ ა, XXVIII, 1. ფანტევა, ფრქვე-
 ვა.
 ბ რ ო ლ - ბ ა ლ ა ხ შ შ ი, 1373, 4. ბროლ-
 ბადახში, ანუ თეთრ-ყირმიზი.
 ბ რ ო ლ - ბ ა ლ ა ხ შ ე უ ლ ი, 256, 4.
 თეთრ-წითელი, ბროლი თეთრია, ბა-
 დახში კი—წითელი. თეთრ-ყირმიზი.
 ბ რ ო ლ - ბ ა ლ ა ხ შ - მ ი ნ ა ა ნ უ ბ რ ო ლ -

ბ ა და ს შ-მ ი ნ ა, 333,1. თეთრ-ყირ-
მიზი პირისახე.
ბ რ ო ლ-ბ ა და ს შ ო ს ა ნ ი, 35, 2. იხ.
ბროლბალახშეული.
ბ რ ო ლ-ბ ა კ მ ა, 1272, 4, ანუ ბ რ ო ლ-
ბ ა კ მ უ ლ ი, 169,4. იხ. ბაკშული.
ბ რ ო ლ ე ბ ა, 749, 3. ვნ. ზ. ვბროლდე-
ბი; ვბროლდი (გა), ბროლობის გაწევა,
ბროლად ქცევა, გაბროლება.
ბ რ ო ლ ი, 92,3; 749,3. სპ. ბლორ — სა-
უკეთესო თვისების შუშა, ანუ შინა,
ბროლი.
ბ რ ო ლ-ს ა და ფ ი, 738, 1. იხ. სადაფი.
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა-მ ი უ თ ს რ ო ბ ე ლ ი, 74, 2.
ბრძანება-მიუწვდომი.
ბ რ ჭ ა ლ ი, 725, 3. ფრჩხილი; ხალხ.
ბრჭყალი.
ბ რ ჭ ე, 833, 1. იხ. ბჭე.
ბ რ ჭ ე ბ ა ვ ი ს ი მ ე, 656, 2. გაგებინე-
ბა; გაბრჭოს — გაგაგებინოს.
ბ უ კ ი, 15, 3; 1255, 1411,2. სპ. ბუკ—
სამხედრო საყვირი.
ბ უ ნ ე ბ ა-ზ ი ა რ ი, 972,1. ბუნება-ზეა-
რი, დიდ-ბუნებოვანი.
ბ უ რ ვ ა, 80, 2. ფარვა; ხურვა.
ბ უ რ ჯ ი, 1240, 2. კოშკი, დიდი, სვეტი.
ბ უ ქ ე ბ ა, 856, 3. სიტყვისაგან ბუქი, ვნ.
ზ. ვბუქდები, ვბუქდი, — თოვლის კო-
რიანტელის უენება.
ბ უ ქ ი, 855, 3. სომხ. բուք — თოვლ-
ქარი.
ბ ღ ნ ე ჯ ა, 829, 3. ღრეჯა, ღმენჯა (რ.),
ღრენა (ო.), ჭმუხვა (თ.), ფშხალვა.
ბ ჭ ე, გინა ბ რ ჭ ე. მსაჯული, მოსამართ-
ლე, მრჩეველი. ბჭე-კარი, ტაძრის კა-
რი; სჯულის სიმტიკიცე.
ბ ჭ ო ბ ა, 173, 1. რჩევა, აზრობა, გასა-
მართლება.

ბ

გ ა, 941, 4. გამეორებული პრეფიქსი
ზმნის ფორმის «გავიდა».
გ ა ა დ რ ე ბ ა, 741, 2. ადრე ქმნა, მალე
შესრულება.

გ ა ა თ ა ს ე ბ ა, 1272,3. ათასად ქცევა,
გახშირება.
გ ა ა ლ ა გ ე ბ ა, 494, 1. ალაგის არჩევა,
ალაგის დაჭერა, მოწყობა საზევრავად.
გ ა ა ლ ე ბ ა, 201, 1. (გავიალე), ცეცხლის
მოდება, ალის მოკიდება.
გ ა ა რ მ ე ბ ა, 877,4. გაფუჭება, გაცუ-
დება
გ ა ა რ მ ე ბ ე უ ლ ი, 564, 3. გაცუდებული.
არაბ. სიტყვისაგან — ჰარამ.
გ ა ა ს ე ბ ე უ ლ ი, 895,2. ასად ქცეული,
ასამიდი აყვანილი.
გ ა ბ ა ზ რ ე ბ ა, 1447, 1. ბაზრად ქცევა.
გ ა ბ ა ო ნ ი, 254, 4. მთიანი ადგილია
პალესტინაში, სადაც მეტად ღამაზი
ნამვი იცის.
გ ა ბ ა ს რ ე ბ ა, 539, 2; 744, 4; 938, 4.
შერცხვენა, გაკიღვა. გაბასრული —
შერცხვენილი, გაკიცხული.
გ ა ბ ე დ ი თ ე ბ ა, 621, 4. გაცუდება, გა-
ფუჭება.
გ ა ბ ი ჯ ე ბ ა, 750, 4. გალაჯება. ბიჯის
გაღმა.
გ ა ბ რ ჭ ო ბ ა, 168, 3. აზრის გაზიარე-
ბა, განაწილება; ფიქრის, გინა აზრის,
განღობა; გაგებინება.
გ ა გ ა რ ე ბ ა, 167, 2. ველს გასვლა; მინ-
დორს თავი გააგარა, ე. ი. გაიჭრა ვე-
ლად (მიჯნურებრ), გაგარეგანდა, მიხე-
და ველთა რბენა.
გ ა გ ე ბ ა (გაგიგია), 357, 1; 581, 1. (გა-
უგია); 1271, 1. გადაწევეტა, დაღგენა;
გ ა გ ე ბ ე უ ლ ი — გადაწევეტილი, დაღ-
გენილი.
გ ა გ ვ ა, 614, 2; 1168, 3. გენაღვლება;
ნუ გაგვა — ნუ გენაღვლება. იხ.
გვაგვა, 419, 4. გვენაღვლება.
გ ა დ ა რ ბ ა ზ ე ბ ა, მოქ. ზ. დარბაზად
ქცევა რისამე; ც ა მ ც ა გ ა ი დ ა რ-
ბ ა ზ ე ს ა — ნეტავი ცას აირჩევდენ
დარბაზად, ე. ი. ნეტავი მზის დასში მო-
ხედებოდნო.
გ ა დ ი ა დ ე ბ ა, 12551, 4. გახშირება
(ვნ.).
გ ა ე ბ ი ჯ ა, 750, 4. ბიჯი გადაედგა;

სოფლით გაღმა გაეხიჯა —
საიქოში გადაედგა ბიჯი.
გაეაზი, 156, 2. არაბ. შავარდენი, გინა
მიმინო.
გავაქილება, 464,4. (ვაქილისაგან),
ვნ. ზ. ვექილად, გინა მოსარჩლედ გახ-
ლომა.
გავლა, 510, 3; 659, 3; 951, 3. შეწყუ-
ნარება, წამება, მიჩნევა, ანგარიშის
გაწევა; ან ჩემი გაგივიდოდე
— ან ჩემსას შეიწყუნარებდე, იწამებდე,
გინა ანგარიშს გაუწევდე; არ გამვი-
დოდა, 510, 3— არა მწამდა.
გავლენა, 103,2 (გაგივლენიან); 407,3
(გალაგვლენოდეს); 662, 4. უურადლე-
ბა, პატივისცემა; მდგომარეობაში შე-
სვლა.
გავსება, 3, 2. დასრულება, ჩამოსხმა.
გაზანტება, 525, 2. იხ. ზანტი.
გაზეარება, 364, 4. გადიდება, (ხმის)
აწევა, (ხმის) გაძლიერება; გამაღლება.
გაზიარება, 126, 3. შუა გაყოფა;
გაყოფა, გინა განაწილება; თანასწო-
რად სარგებლობა. ცეცხლი გაი-
ზიარეს — ე. ი. ცეცხლი შუა გაი-
ყვეს, მწველი მწუხარება გაიყვეს, გაი-
ნაწილეს.
გაზრახვა, 338, 1. თათბირობა, აზ-
რის გაზიარება.
გათავისწინება, 122, 2. მარტოდ-
მარტო დარჩენა, განმარტოება.
გათავენება, 1132, 3. დათაება, ჭირი
ლხინსა გაათაენე, ე. ი. ჭირი ლხინით
დააბოლოვე.
გათანისთანება, 232,3. გახშირება,
გაძლიერება, განიადაგება.
გათრევა, 698, 4. ყბად აღება, გალანძ-
ღვა, გაკიცხვა.
გათხება, 1263, 3. შესხნა, მოხდა.
გაის, 648, 3. გასვლისას, მერმე.
გაკვეთა, 362,3; 944, 3. გაჭრა, გა-
პობა, განდენა, მისაჯვა.
გაკვლადება, 699, 4. გამოკრება, გა-
ნახლება.
გაკიდება, 121, 1, 2, 3, 4. პირველი

გაკეიდა — გაშორდა, გაკიდევანდა;
მეორე — გაბედოს უკან გაკიდება;
მესამე — გალარიბდა, თავის იმედად
დარჩა მკლავი; მეოთხე — აკიდებული
ჰქონდა კეშნის ტვირთი, ე. ი. თინათი-
ნის გონება და ფიქრი.
გაკითხვა, 442, 3; 571, 3. გასამართ-
ლება, სამართლის მოთხოვნა, განსჯა.
გაკრთობა, 815,4. გაოცება, დაფრთ-
ხობა.
გამაბელზებელი, 269, 4. ეშმაკეუ-
ლი, სატანას ქმნილი.
გამეხება, 443, 2. მეხად ქმნა, მეხად
ქცევა, მეხად მოვლინება.
გამესისხლება, 867,1. სისხლით
შედება, სისხლით მოსვრა.
გამკვახება, 221, 2. სიტყვის მკვა-
ხედ, გინა უზრდელად ხმარება.
გამოგება, 157, 3. მოწყობა, მოგვა-
რება; შესრულება, შეძლება რისამე;
სიტყვანი გამოაგნა — შეძ-
ლო სიტყვის თქმა, გინა ამოღება.
გამოგებვა, 933, 4. გამოგებება,
მოგებება.
გამომგებარე, 899,2. გამომგები,
გინა ამომღები.
გამომართლება, 370, 2. თავის და-
ნაშაულის გამოსყიდვა.
გამომელება, 648, 2. მელურად გა-
მოპარვა.
გამომჩივარება, 482, 4. გაგული-
სება, გაჯავრება.
გამომჭვირვალე, 1149,4. გამოსა-
ხედი (იხ. გამჭვირვალე).
გამორიდება, 648, 1; 789, 3. თავის
მორიდება ვისთვისმე, გაძერომა;
789,3. გამოპრიდნა (?) თუ გამოპრიდა
გული — გული აარიდა, ე. ი. გაუხტა.
გამორჩევა, 456, 1; 541, 2; 973, 3.
რჩევა, გზის ჩვენება.
გამოსაგები, XX, 2. წარმოსათქმელი,
გამოსათქმელი.
გამოსვენება, 933, 1. დასასვენებ-
ლად მიწვევა, გინა საპატიო სტუმრად
მიღება.

- გამოსრულობა, 163,4. გამოსვლა; მას დღესა გარდაჭდა გამოსრულობა, — იმ დღეს უკვე გადავიდა სახლიდგან გამოსვლის დრო.
- გამოდება, 336, 3. ჩამორთმევა; ზენაარი გამოგვიღე — ფიცი ჩამოგვართვი.
- გამოდრწვა, 648, 2. გაძრომა შიშით, გაპარვა, მოძურწვა.
- გამოჭვირვა, 212,2. გამოკრთომა, გამოციმციმება, გამოჩენა.
- გამოჭრა, 169, 3. გამოფარდნა.
- გამოხმა, 264, 2. გამორთმევა.
- გამოჯდომა, 278,1. გასვლა, გარება (ხანის).
- გამქლავნება, XXIX, 1; 1067, 3; 1132,2. საიდუმლოს გამხელა, გაცხადება.
- გამტირება, 524, 4. მოტირალად ქცევა.
- გამქისებული, 449,1. პირმრისხანე, გარისხებული (იხ. მქისი).
- გამქუშავი, 146, 1. მოლუშული, პირგამქუშავი — პირმრისხანე, მწყურალი, გარისხებული.
- გამუარება, 233, 3. მაგრად შეკრვა, გამაგრება, შეკრვა.
- გამჩივნება, 505, 4. მჩივნად ქცევა: თავის გამჩივნება — ჩივილის მოყოლა.
- გამჭვირვალე, 1048, 1. წმინდა და ბროლგვარი ნივთი, გინა წყალი, რაშიაც გამოსჭვივის, გინა გამოკიაფობს სინათლის სხივები; გასახელი.
- გამჭკრალე, 1274, 2. დამდრალე, გამჭკნარი.
- გამხოკლება, 573³, 3. დახორკლება.
- განავლენი, 1185,4. განაცადი, განაწევი (ღვაწლი).
- განაზიდარი, 519, 4. განაწევი, განზიდული.
- განაკვეთი, 368,4. განაჭერი, განაკობი.
- განაკიდება, 730, 3. გაშორება.
- განაკიდი, 350, 4. დაკარგული, წყეული.
- განაკრძალე, 1264, 4. კრძალე — თა და რიდით მონაპყრობი.
- განატება, 525, 3. ნატად ქცევა, ნატივით მოქნა. ჩვენ იგი გაეანატენით — ჩვენ ის ნატად ვაქციეთ, ე. ი. დავარბილეთ.
- განალამცა, 7, 3. განალა, ოლონდაც.
- განაწირი, 830, 4. გაწირული, გამეტებული.
- განგებანი, 1, 3. ბრძენი, გამგებელი.
- განდობა, 108, 4. რისამე გაზიარება, გინა გამხელა.
- განმლოკლება, 573³, 3. მლოკავად ქცევა, გამლოკება.
- განლა (განალა), 1039, 1. იქნებ, ეგების.
- განხმული, 169, 2; 1252, 3. გაღებული.
- კარგანხმული — კარგაღებული.
- გაპირება, 368, 2. დაპირება, მოწადინება, გაბედვა.
- გარ, 941, 4. გარე, გარეთ.
- გარდავლენა, 680, 4. აშორება, აცილება, გარდაშორება, თავის დასწევა.
- გარდათხევა, 269¹,4. გადაღვრა, გარდასხმა.
- გარდაკვეთა, 218,1; 1164,2; 1165, 2. გადაკვეცა, წაჭრა.
- გარდამსმელი, 876,2. გარდამყენებელი.
- გარდამჭდარი, 271, 3. გარდასრული, სიცოცხლე გარდამხდარი — სიცოცხლე გათავებული, ბოლომოდებული.
- გარდასახვეწელი, 118, 1. გადასაკარგი.
- გარდასვლა, 543, 4. დასრულება, ბოლოს მოღება, მოსპობა.
- გარდასრული, 592, 2. გადასრული, გაელილი.
- გარდაუჭდელი, 226, 3. გამოუვლელი, გამოუცდელი.
- გარდაფრწა, 151, 1. გადაფლეთა,

გადაგლეჯა; თავი გარდაჰფრია—გა-
 დაჰფლითა, გადააგლიჯა.
 გარდაფხვრა, 656, 4. ძირფესვიანად
 ამოგდება, ამოფხვრა, ამოწყვეტა, გარ-
 დათხრა.
 გარდაქარება, 1260, 4. მოსპობა,
 გაქრობა, აღმოფხვრა, ალგვა.
 გარდაჭლობა, 1260, 4. გადახვევა.
 1261, 1, ყელგარდაჭლობილნი — გა-
 დახვეულნი.
 გარდაჭრა, 170, 3. გადახტომა, ჩა-
 მოხტომა.
 გარდაჭდა, 278, 4. ატანა, გამოვლა,
 შესრულება, ქმნა, გაწევა. მაშინ
 დავიწყე გარდაჭდა მე საწყუ-
 თროსა დავალთა — ე. ი. მაშინ
 დავიწყე წუთისოფლის დაღატის (იხ.
 დავალი) გარდახდაო, ე. ი. სოფლის
 გამწირობის ატანაო.
 გარდახლომა, 01, 1; 25, 1; 294, 4.
 გარება, მოხლომა, შემოხვევა, ჩამოხ-
 ტომა, თავს გადასვლა.
 გარდაკიდება, 200, 2. წაწყდომა,
 წაყრა, აკვიტება, გარდაყრა.
 გარდამოთოვება, 537, 4. გადმოყ-
 რა თოვლის ფთილებივით.
 გარდამონაჭარი, 898, 3. გარდმო-
 ხვეწილი, გადმოსული, გადმოვარდნი-
 ლი, წამოსული.
 გარდამოჭრილი, 76². გადმოვარდნი-
 ლი, გარდმოხვეწილი.
 გარდნაკარი, 409, 2. ნაგვემი, ნაცე-
 მი, შემონაკრავი ხელით, გინა სახრით
 ცემის დროს.
 გარდნაკიდარი, 519, 1. შენახვედ-
 რი.
 გარდუალი ანუ გარდუვალი,
 680, 2. აუხდენელი, შეუმთხვეველი,
 შეუსრულებელი.
 გარე, 86, 3; 415, 3. გარშემო.
 გარეწყდომა, 1272, 2. ვნება, გინა
 საშ. ზ. შემორება, გარეშემო ვლა,
 არება-ჩამორება.
 გარეგანი, 476, 4. გარეშე, უცხო.
 გარემო, 95, 4. გარეშემო მყოფი, გი-

ნა ქვეშევრდომი.
 გარიდება, 794, 3. მოშორება, გაშო-
 რება, თავის დანებება.
 გასაგებელი, 879, 2. წესწყობილე-
 ბა, წესრიგი, განკარგვა.
 გასაგმირო, 80, 3, გინა გასაგ-
 მირალი, 1149, 3. გასაპობი, გასაგ-
 მირი, გასახვეტი.
 გასაგანება, 284, 4. სამიზნოდ გა-
 რაზმვა, ვახტანგის «მშვილდოსნები
 გასაგანნა», თუ სხვა ვარიან-
 ტის — მშვილდოსნები გაასაგანა (?!).
 გასაგონო, 547, 2. გასაგონი, გასა-
 გონარი (თ. ჩ.), მისახვედრი.
 გასალამება, 822, 1. გამოთხოვება.
 გასალეება, 90, 2. ვნ. ზ. აწმ. ვსალ-
 დები, ნ. ვავსალი. სალად ქცევა,
 გამაგრება, გათამამება.
 გასამსალეება, 893². გამწარება, მო-
 წამლევა, შხამ-ნაღველად ქცევა.
 გასატკივარება, 482, 2. სატკი-
 ვარის შეყრა, უზომოდ შეწუხება, ავად
 გახლომა, ჭირის შეყრა.
 გასაყრელად, 548, 4. გასაშორებ-
 ლად, დასაშორებლად.
 გასაძებლად, 637, 3. გასაძეველად.
 გასაწყინარება, 490, 3. შეძულე-
 ბა, მობეზრება, მოძაგება.
 გასაჭრელი, 113, 2. გასაყარდნი. იხ.
 გაჭრა.
 გასაქაფავი, 1170, 3. გასაქუხებელი.
 იხ. ქაფი, გაქაფება.
 გასვენება (განსვენება), 649, 4. მოს-
 ვენება.
 გასვლა, 659, 3; 951, 2. შეწყნარება
 (თხოვნის), პატივისცემის გრძობა.
 გასისხლმდინარება, 490, 4. ვნ.
 ზ. ნ. ვავსისხლმდინარდი — სისხლის
 მდინარედ გარდაქცევა.
 გასრულება, 601, 2. შესრულება,
 მტკიცედ შენახვა.
 გასულება, 1001, 4. ვისიმე სულში
 ჩაძვრენა, ვისიმე სულად ქცევა.
 გასული, 1009, 2. გამოცვლილი, გა-
 ლეული, მკრთალი.

გასხმა, 238, 3. გარეკვა, გადევნა, გაძევება.
 გატინება, 636, 2. ტინად ქცევა, გასალება.
 გაუგვალავად, 373, 4. სიტყვისაგან გვალვა: დაუწვავად.
 გაუჭრელობა, 819, 2. შეად. გაჭრა.
 გაუუმეცარება, 50, 4. ვისთვისმე (მე-III-ე პირისათვის) უმეცრად გახდომა. გაუუმეცარდა — მისთვის უმეცარი შეიქმნა.
 გაუქება, 856, 4. უქებრად დარჩომა.
 გაუცნობება, 643, 1. მოთმინების დაკარგვა, გაბრაზება, მოთმინებიდან გამოსვლა.
 გაფეთქება, 717, 4. სიამით ძეგრა, ფეთქვა, აფეთქება.
 გაფლასება, 451, 2. ფლასად ქცევა. იხ. ფლასი.
 გაფლიდება, 857, 3. ფლიდად ქცევა, არარად მიჩნევა. იხ. ფლიდი.
 გაქარება, 638, 2; 1358, 3. საქ. ქარად ქცევა, მოსპობა, გაქრობა.
 გაქიქება, XIX, 2. შერცხვენა.
 გაქუსლევა, 156, 1. ღუზის კვრით გაჭენება. ცხენი გაქუსლა დეზითა — ღუზი ჰკრა და გააჭენა.
 გაქსვა, 956, 1. გადაკიდება, შეჩენა, აკვიატება.
 გაღანამცა, თუ განაღამცა, 88¹, 4. ღიღაც, ოღონდაც. იხ. განაღამცა.
 გაღარიბება, 125¹, 4. ღარიბად ქცევა, გინა გახდომა. იხ. ღარიბი.
 გაღება, 268, 1. გაგნება, მიგნება, გავიღეს სხვა ვერა გზაღათავისა — სხვა გზას ველარ მივაგნენ.
 გაუიფება, 149, 2. გაამაყება, გაამპარტავენება, გათავხედება, გამკვახება, გაკადნიერება, გასასტიკება.
 გაუმობა, 930¹, 1. გაუმაწვილება, გაახალგაზრდება.
 გაურა, 204, 4. სულ-ხორცის გაშორება.

გაურილი, 99, 3. მორჩომილი.
 გაშეთება, 218, 4. შეთად ქცევა, გახელება.
 გაშმაგება, 218, 4. გადარევა, გაცოფება.
 გაცადება, 147, 1; 503 1. გაჭვრეტა, თვალის გამართვა, ატანის შეძლება.
 გაცხუნება, 514, 2. გაცხება, გაცვიფრება, გასტერება.
 გაცხუნებული, 967, 1. გაცვიფრებული.
 გაცდა, 206, 3. განხილვა, გარჩევა, შეგნება.
 გაცილება, 636, 2. ცვილად ქცევა, გარბილება გინა გალბილება.
 გაცულება, 533, 4. ამაოდ ჩარება; ფუჭად ჩარება.
 გამრცვილი, 80, 1. ტანგახდილი, შიშველი და არა ტყაე-გამძვრალი. შეად. აკ. შანიძე, ვაჟა-ფშაველას I ტომის ლექსიკონში, სახელგამის გამ., 1922 წ.
 გაწამება, 88¹, 3. სიცოცხლის რწმენის განახლება.
 გაწბილება, 252, 4. იხ. წბილი. შერცხვენა, ხათრის არ გაწევა, უკმაყოფილოდ დატოვება.
 გაწნვა, 197², 4. გასკვნა, გადასკვნა.
 გაწლობილი, 836, 4. გაწვრილებული, გალეული, გამხდარი, მილეული. იხ. ჩენი განმარტება: მე-XII-ე საუკუნართული საერო მწერლ. და «ვეფხტუ». 1922 წ. ლექსიკ., ძველ-ქართულ სიტყვებში სიტყვა «გაწლობილი».
 გაჭრა, 571, 2; 819, 2. მიჯნურთა წესისამებრ გავარდნა, გაკიდევანება, მიჯნურის გაჭრა ველად.
 გახასება, 650, 3. გაშინაკაცება, გაშინაურება, გათამამება, გაკადნიერება.
 გახმა, 233, 3. გაღება.
 გაჯაფება, 1170, 3. გაქუხება, ძლიერად აყვირება.
 გაჯლომა, 742, 2. გარება, გასვლა.
 გაჯმამყივარება, 482, 2. აკივლება (ვნ. ზ.).

გ ა ჯ რ მ ლ ე ბ ა, 365, 3. ხმლით გა-
ბრძოლება.

გ ა ჯ ს ნ ე ვ ა, გინა გა ხ ს ნ ე ვ ა, 273, 3.
სისხლის გაღება, გაჭრით სისხლის
გამოშვება.

გ ე ბ ა, 49, 3; 375, 3. რისამე ქონება,
გინა დება; 157, 1. მოხერხება, მოგ-
ვარება; 379, 2. მოგებება; 909, 2,
წამოცმა, ცმა (დაცმა), და (გება).

გ ვ ა გ ვ ა, 419, 4. გვენადვლება, გვედარ-
დება.

გ ვ ა ლ ე, 780, 4; 1365¹, 4. აბა იარე;
წადი

გ ვ ა ნ ი, 994, 4. მსგავსება, სახე.

გ ვ ა რ ი, XX, 1. ჯიში, ტომი, კატეგო-
რია; 1039 — ვახტანგის ვარიან-
ტით—გვარი იგივეა, რაც გუარი —
მარგალიტის თვალი.

გ ვ ა რ ლ ი, გინა გ ო რ ლ ი, 192, 4. ბა-
წარი, ანდა თივის საბელი თივის ზვი-
ნის შესაკრავად. იხ. ვარიანტთა საძიე-
ბელში: 192, 4.

გ ვ ა რ ო ბ ა, 452, 2. ვინაობა.

გ ვ ი რ ა ბ ი, 1103, 3; 1156, 2. სომხ.
ხერელი, ტონელი, მიწის ქვეშ საელე-
ლი გზა.

გ ზ ე ბ ა, 198, 1. დანთება, მოკიდება,
აგვიზიზიება.

გ ზ ე თ ი, 438, 2. სწორი გზა, გზა სა-
ზოგადოდ, ხელოვნურად წარმოებული
ფორმაა ლექსისთვის.

გ ზ ნ ე ბ ა, 679, 1. იხ. გზება.

გ ზ ო ბ ა, 334, 4. გარკვეული გზა, სა-
სიარულო გზა.

გ ი შ ე რ ი, 1089, 4. ადამანტური შავი
მძივი.

გ ლ ა ხ, 56, 2. საწყალი, საბრალო; ვაი
საბრალო!

გ მ ე რ ა, 96, 2; 784, 2. ხება, ძვერება.

გ მ ი რ ი, 253, 2. მძლავრი და მამაცი
მოყმე.

გ ო ლ ი ა თ ი, 1368, 2. ბუმბერაზი, გმი-
რი, უზარმაზარი ფალავანი.

გ ო ნ ე ბ ა, 25², 1. ფიქრი, მოგონება,
წარმოდგენა.

გ ო რ ლ ი, იხ. გვარლი. 2829 Ne-ით და
ვასტ. რედაქციით «გორლი», სხვებით
—გვარლი, ვასტ. კომისიის განმარტე-
ბით, იგი ჰნიშნავს თივის საბელს, თი-
ვის თოკს.

გ რ დ ე მ ლ ი, V, 4. ძირს დასადები ბას-
რის, გინა ფოლადის, სადგარი ილეკ-
როს გასაჭედად; მეტ. მზეთუნახავის
ნაზის სიტყვის ძალა.

გ რ ძ ნ ე ბ ა, 1127. 1. სამისნო საქმის
ცოდნა, კუდიანობის ცოდნა და ქმნა.

გ რ ძ ნ ე უ ლ ი, 1125, 1; 1126, 3. მისა-
ნი, კუდიანი, ეშმა.

გ უ ბ ე, 1008, 1. დამდგარი წყალი, ტბო-
რი, პატარა ტბა.

გ უ ლ ა მ ო ჯ ვ ი ნ ი, 183. გულამო-
ჯლომით, გულამოსკვნით.

გ უ ლ გ ა მ კ რ თ ა ლ ი, 403, 3. გულშეში-
ნებული, გულათრთოლებული.

გ უ ლ ი ს გ უ ლ ი. გულითადი, უსაყვარ-
ლესი.

გ უ ლ მ ა რ ი ხ ი ა ნ ი, 724, 3. ქართ.-
არაბ. არაბ. მარიხი — ცთომილი ვარ-
სკელავი მარსი, გინა არეა. აქედგან
გულმარიხიანი — გულგასალებული,
გულმხნე.

გ უ ლ ნ ა ლ მ ო ბ ა რ ი, 179, 4. გულ-მომ-
წვარი, გულშენატკივარი, გულშენატ-
კენი.

გ უ ლ ს ა დ ა გ ი, 572, 1. იხ. სადაგი. აქე-
დგან გულსადაგი, გულწრფელი.

გ უ ლ ფ ი ქ ა ლ ი, 1356, 4. გულ-მკერდ-
საესე, მთლიანის გულ-მკერდის შექო-
ნი, გულნატიფი.

გ უ ლ ჯ მ ი ე რ ა დ, 1254, 1. ფრთხილად
და მოაზრებულად, გულმოდგინებით,
დაკვირვებით.

გ უ შ ა გ ი, 1236, 4. მცველი, დარაჯი, მე-
თვალეურე, მზევრაფი.

გ უ ჰ ა რ ი, 1039, 1. მარგალიტი, გინა
მარგალიტის თვალი.

ღ

და, 52, 4 (მუნდა); 490, 2—(ვინ არ
და). ზმნის ამა თუ იმ ფორმის პრეფიქ-
სი, რომელიც ხშირად მეორდება რით-

მისათვის ლექსის ბილოში.
 და აღება, 230, 2. აღად ქევეა, აღის-
 კილება, და აღებ ული — აღმოღე-
 ბული, აღადქეული.
 და ბდაბი, 1255, 4. დოლი, ორის
 მხრით ტყავადაკრული რკალისაგან.
 და ბდაბნობი, 611, 4. იხ. დაბდაბი
 და ნობი.
 და ბნედა, 1256, 1. 1) მოქ. ზ. სუ-
 ლის გაცხებინება, ბნედის დამართება;
 2) საშ. ზ. 268, 2. ცნობის დაკარგ-
 ვა, გულის წასვლა.
 და ბნეული, 1086. ზარდაცემული,
 განცვიფრებული, გაფანტული, ძალზე
 გაოცებული.
 და ბღნეჯა, 750, 2. დაღმეჯა, დაფშ-
 ხალვა (პირის).
 და გება, 357, 4. დაღება. იხ. ქელი
 ქრმაღსა დამიგია.
 და გზება, 137, 4. დანთება, მოკიდე-
 ბა.
 და გი, 572, 3; 1. სპარ. ცეცხლის კიდე-
 ბა, გინა წვა, ცეცხლი, ცეცხლის აღი.
 აქედგან და გვა — გზნება, აღვი-
 დება.
 და და გული, 1153, 2. დამწვარი, იხ.
 დაგი.
 და დარება, 555, 4. შედარება, მიმს-
 გაეხება.
 და დასტურება, 1361, 4. დამტკიცე-
 ბა, დამოწმება.
 და დრკომა, 386, 1. თავის მოდრეკა,
 თავის მოხრა, გინა თავის ღუნვა.
 და ვალება, XXI, 2; 230, 4. შეწუ-
 ხება, დაღლა, ცრემლითა დავა-
 ლებ ული — ცრემლით დაწუხებუ-
 ლი.
 და ვალი, 278, 4; 543, 4. სპარ. დალა-
 ტი, გამწირაობა, უკუღმართობა.
 და ვედრება, 135, 1; 341, 3; 733, 2.
 დაბარება, გინა თხოვნა რისამე.
 და ვლა, 681, 3 და 4; 930, 4; 1278, 4.
 არაბ. სიკეთე, წყალობა, სიმდიდრე.
 და ვლამრავალი — მდიდარი, გინა
 ყოვლის სიკეთით სრული; ბედნიერი.

და ვ ს ე ბ ა, 105, 3. დაქრობა, ჩანელება,
 ჩაქრობა.
 და ზ ა ბ უ ნ ე ბ ა, 466, 3; 627, 4. დალა-
 ჩრება. მონურად ქედის მოხრა, გამხ-
 რდალება. იხ. ზაბუნე, გინა ძაბუნე.
 და ზ ა ხ ე ბ ა, 192, 2. დაკივლება, და-
 ძახება, დაყვირება.
 და ზ ი დ ე ბ ა, 150, 1. მიყოლა, მოჭი-
 დება.
 და ზ მ ა, 121, 4. დაყოვნება, დახანება,
 დაყოფა, მოთევა (ხანის).
 და ზ რ ა ხ ე ა, 280, 4. დაძრახება; საყვე-
 დურის თქმა, დაგმობა, სააუგოს თქმა.
 და ზ რ ო ბ ა, 848, 3, გინა და ზ რ ე ა,
 855, 3. მოწვა უინვისაგან.
 და ზ რ უ ლ ი, 214, 2. იხ. ზრვა.
 და თ ა მ ა მ ე ბ ა, 225, 4. შემობეღვა,
 შეკადრება; თავზედად, გინა კადნიე-
 რად მოპყრობა.
 და თ მ ო ბ ა, 633, 3. ჭირის ატანა, თმენა.
 და თ ო ვ ნ ა, გინა თ ო ვ ნ ე ბ ა, 153, 1.
 თოვლით ფარვა, თოვლის ცვენა,
 წვიმვა, დაწვთა ცრემლით არ დათოვ-
 ნა — ლოყების ცრემლით არ დაზრვა.
 პოეტური თქმაა რითმისთვის.
 და თ რ გ უ ნ ვ ა, 1, 2. ფეხით გათელვა,
 დამარცხება, დამხოზა.
 და თ ხ ო ვ ნ ა, 148, 1. მორიდება, მოცი-
 ლება. გაშვების ნების თხოვნა.
 და ი ა ვ რ ე ბ ა, 378, 2. აკლება, იაფარ-
 ყოფა.
 და კ ა ზ მ ვ ა, 355, 2. მოწყობა. მოკაზმ-
 ვა, მორთვა.
 და კ ა რ ვ ე ბ ა, 771, 3. დაფარვა.
 და კ ო დ ვ ა, 367, 2. დაჭრა; დაკოდი-
 ლი — 39, 4; 139, 3 — დაჭრილი.
 და კ რ თ ო ბ ა, 393, 4; 864, 3; 1365¹, 1.
 მეტად გაოცება, შეკრთომა, განცვიფ-
 რება, შეშინება რაიმე საკვირველები-
 საგან, გინა დაუძღურება რითიმე.
 და ლ ა მ ვ ა, 1422, 3. მორწყვა, დასვე-
 ლება, დაღობა.
 და ლ ე ბ ე ბ ა, 395, 3; 488, 2. დაღურ-
 ეება.

დამამთქმელი, 876, 6. გამქრობი, დამთქმელი, დამლუპველი.
დამართებით, 325, 2. პირდაპირ.
დამართვა, 1265, 3. მიმართვა, გამართვა რომლისამე კუთხისაყენ; ამათუ იმ მიმართულებით სელა.
დამაშრობელი, 548, 2. დამალავი, გამსავათებელი, შემაჭირვებელი.
დამეტება, 692, 3. ჯობნა, მეტობა, აღმატება.
დამზმელი, 460, 2. დამყოფი, დამყოფნელი, გინა დამყოფი, მომთევი.
დამრიდი, 685, 1. თავისმომარიდებელი, რისგანმე გამქცევი.
დამზრალი, 1274, 4. გაყინული, მომწვარი, დამზკნარი.
დამსაჯარი, 520, 4. დამსჯელი, დამარცხებელი.
დამყოფელი, 541, 4. გამძლე, დამრჩომი.
დამცდარი, 1238, 1. შემცდარი.
დანაბვა, 284, 3. შიშით დაცქნაფვა; ცხოველის, გინა აღამინანის შემრწოლება; შიშისაგან გაქვაება, გინა გაშეშება.
დანადები, 1267, 1. აელადიდება, შენაძენი, ყველაფერი, რაც კი რამ აბადია ვისმე.
დანახებაეი, 1345, 2. ნაზი და დელიკატი, ზრდილობიანი. ნაზი გრძნობების გამომხატველი; ალერსიანი, გინა ტკბილი და სათნო.
დანათხენი, 1329, 3. დაწყობილი, მწყობრად, გინა სიმეტრიულად დალაგებული, მიჯრით მიწყობილი.
დანამჭირები, გინა დანამჭირი, 82, 2; 587, 3; 1143, 2. დანატანჯი, დანაწყუხები.
დანაპირები, გინა დანაპირი, 304, 2; 1143, 3. დაპირებული, განზრახული, გინა გაძრახული.
დანასვა, 127, 1. დაუშნობა, გაფუჭება.
დანაღამი, 387, 1. დაღამებული, ბნელი.

დანაყბედი, 73, 1. ბევრჯერ ნათქვამი.
დანერგული, 1153, 4. დარგული, გინა დათესილი.
დაპირება, 90, 1; 521, 1; 820, 1. გადაწყვეტა, დასვენა, განძრახვა.
დარაზმული, 1087, 2. საომრად განწყობილი (იხ. რაზნი), დაწყობილი, ჩამწყრივებული, რიგ-რიგად მდგარი.
დარაზმულობა, 318, 3. გაწყობილობა.
დარაკი, 962, 3, გინა დარაკა, არაბ. ფარი. ქრმალ-დარაკიანი — ხმალ-ფარიანი.
დარაჯა, 363, 1. არაბ. საქ. ხარისხი, საფეხური, ყარაული, მცველი.
დარაჯავი, 1077, 2. არაბ.-სპარ. საყარაულო. იხ. «დარაჯა» და «დარაჯავი» სპარსულ სიტყვათა საძიებელში.
დარბაზი, 337, 1; 393, 3; 971, 4; 1142, 1. სპარ. სასახლე, კარი; საკრებულო სახლი, სადგომი.
დარბაზობა, 1024, 3. მეფესთან, გინა დიდ ვისმესთან მისელა სანახავად; აუდიენცია.
დარგი, XII, 1. ნაწილი, კატეგორია, განყოფილება.
დარება, 43, 2. შედარება; 519, 2. გამოდარება.
დარევა, 266², 2. მორევა.
დარი, 243, 1; 261, 1. მსგავსი, სწორი, თანასწორი, 704, 4. მზიანი დღე, კარგი ტაროსი.
დარიგება, 505, 4. საშ. ზ. მომზადება, დაპირება.
დარიდება, 75, 2; 231, 2. მორიდება.
დარმანი, 311, 2. სპარ. წამალი (თ.), საშუალება უბედურების თავიდან ასაცილებლად.
დარულად, 704, 4. დარისებრ, დარივით.
დარჯა, 556, 4. შეწყუხება, გინა გარჯავისიმე, resp. დასჯა.
დასაგვანი, 134, 4; 745, 3. დასადარი, დასაჯერებელი, დასაჯერი.

დასაზღვრა, 677, 3. დასწრება, გაჩენა, საზღვრის დადება.
დასათმომო, 293, 4. მოსათმენი, ასატანი, დასათმობი.
დასამრუდე, 158¹, 4. მრუდე გზით მატარებელი, გამამრუდებელი, გამაკულმართებელი. არ დასამრუდე — სწორი, უტყუარი.
დასანაზო, 94, 2. დასაჩვილებელი (ჩუბ.), დასანაზებელი, დასანამო.
დასანთქმარი, 88, 3. დასანთქმელი, დასაღუპავი.
დასარქმელად, 359, 1. თავზე დასახურავად, გინა ჩამოსაცმელად.
დასადვარო, 615¹, 1. დასადვრელი.
დასადრეჯილო, 154, 4. დასადრეხელი, შესაწუსებელი.
დასაყირავი, 1163, 3. დასაჩხავლი.
დასახვა, 353, 4. თვალწინ დაყენება.
დასახება, 108, 1. დამსგავსება, დამგვანება. 353, 4. თვალწინ დაყენება, თვალწინ დახატვა.
დას-დასად, 394, 2. რიგ-რიგად, ჯგუფ-ჯგუფად.
დასი, 13, 3; 115, 2. სომხ. *ყას*-დას — გუნდი, მწკრივი.
დასკენა, 34, 3; 239, 1; 423, 1. დადგენა, გადაწვეტა, დანარცხება.
დასმა, 11, 1. დაჯენა, არჩევა; 1197, 2. მიპყრობა (გულის, გინა უურადღების).
დასტაქარი, 437, 2; 505, 1. ქირურგი; წყლულთა მკურნალი.
დასტურ, გინა დასტურად, 249, 4; 1147, 3. ნამდვილად, მართლად, სწორად.
დასტური, 85, 3; 377, 3. მართალი, სწორი, ნამდვილი.
დასტურობა, 865, 3. სინამდვილის გაგება, სისწორით რისამე შეტყობა, სისწორე, სინამდვილე, არ-დასტურობა — სინამდვილით ვერ გაგება.
დასული, 2, 2. დასის მონაწილე, დასელი, დასში მყოფი.

დასხმა, 526, 1; 932, 3. მრ. რიცხვის ფორმა ზმნისაგან — დასმა.
დატენა, 295, 3. დატყუეჭა, გაფუჭება, დათელვა.
დატყლომა, 337, 3. თავზე დამხობა, გინა დაქცევა.
დატყლეჭა, 1406, 2. დაქეჭვა, გინა დატყლეტა რისამე, (ვარდის) დაფუშვა, გინა დატყუეჭვა.
დაუგვანი, 937, 4. უგვანი, უმსგავსი.
დაუდგრომლად, 704, 2. შეუჩერებლად.
დაუზმელად, 288, 2. დაუხანებლად, (ხანის) დაუყოფელად.
დაურეება, 110, 3; 378, 1; 545, 1; 651, 4. გარიგება, შესრულება, მოგვარება.
დაუსახი, 774, 2. წარმოდგენილი.
დაუფარავი, 237, 2. საკ. — არ დაფარული, განთქმული (სახელი).
დაუშრომელი, 38, 4. დაუღალავი.
დაფანჩვა, 20, 4. დაფანტვა, დაქსაქსვა.
დაფახვა, 225, 1. დახამხამება, დაპარპალება. ეს სიტყვა შეცდომით აქვს ახსნილი საბა ორბელიანს, შეცდომას იმეორებს ჩუბინაშვილი და სხვებიც.
დაფეთება, 218, 3. დაფრთხობა, უცერად შეშინება, გინა შეერთობა ვისიმე.
დაფეთა, 355, 4. ნაკუწ-ნაკუწად ქცევა, დაფლეთა.
დაღება, 163, 1; 998, 3; 775, 4; 122, 2. დაღება სულიდან გულისა — დაღუმება, დაწუნარება; სისხლის დაღება — სისხლის მოსხმა, დაღვრა, სისხლის ქცევა.
დაღვა, 607, 3. დადაღვა, დაღის დასმა, დაშანთვა.
დაღი, 498, 3. სპარ. — დაღი, გინა შანთი.
დაღონება, 594, 3. დასუსტება, დაუძლურება, დაწუსება.
დაღორება, 632, 2. მოტყუება (ბევრის ერთად).

დაღრეჯა, 65, 4; 528, 3. მოწყენა.
 დაღრეჯით — მოწყენით.
 დაღრეჯილობა, 25, 3. მოწყენი-
 ლობა, დაღონებულობა.
 დაყბედება, 271, 4. თქმის გაბედვა,
 წამოძახება.
 დაყეფება, 1173, 4. თავმდაბლად კად-
 რება; საღამო დავიყეფეო, —
 როგორც ერთმა უნარჩევსმა, მოგახ-
 სენო.
 დაყმუნება, 230, 1; 466, 4; 640, 1.
 დაღუმება, დაწყენარება.
 დაყოვნება, 52, 4. დახანება, დაგ-
 ვიანება, დროს დაკარგვა.
 დაყოფა, 330, 4; 1369, 2; 1370, 2. პი-
 რის დაყოფა, — დახურვა, შეკე-
 რა; შენი ვიყო, საღამოდისცა
 დამიყოფდეს მიწა პირსა, —
 შენი ვიყუე, სანამ მიწა დამეურებო-
 დეს; — დაუყენა თვალნი ელ-
 ვამან — ბრწყინვალეობამ თვალი და-
 უბრმავა; 439, 1. — მოთევა.
 დაჯა, 176, 2. დატყუება, სიტყვის
 გამოტყუება, გინა გამოგლეჯა.
 დაუუდება, 135², 4. შეჩერება.
 დაშვრომა, XXI, 2; 374, 2. და-
 ლაღვა, დაღლა.
 დაშმაგება, 855, 3. გაგიჟება (ბევ-
 რის).
 დაცდომა, 1053, 2. შეცდომა, მო-
 ტყუება.
 დაცდუნება, 642, 2. დაცილება,
 დაცდენა.
 დაცეცება, 532, 3. განცვიფრებით
 და გულმოდგინედ რისამე თვალიერე-
 ბა რისთვისმე, განსაკუთრებით ადგი-
 ლისათვის, თვალის მიმოვლება რაიმე
 საგნის გასარჩევად, გინა გასარკვევად.
 დაცვთომა, 902, 4. ბევრის ხმარე-
 ბისაგან დაჩლუნგება, გინა გაცვეთა
 რისამე, რაზედმე რისამე დაცვეთა,
 დახევა, გინა დაჩლუნგება.
 დაცილება, 33, 1; 143, 2. დაჯიბ-
 რება, გაჯიბრება, შეცილება.

დაწამება, 279, 3. ბრალის დადება,
 დაბრალება. სისხლი დამწა-
 მეს — სისხლის მოჭარბებულობას
 აბრალებდენ ჩემს ავადმყოფობასო.
 დაწამწამება, 225, 1. თვალის და-
 ხამხამება.
 დაწბილება, 143, 1. გაწბილება,
 შერცხვენა, გინა ხათრის გატეხა, რი-
 სამე არ შესრულებით.
 დაყრიო, 639, 2. დაღრეკით, ყურჩა-
 მოშვებულებით.
 დაწვადება, 1225, 1. მომარჯვება.
 დაწვთომა, 902, 4. დასხმა, დაწვე-
 თება. დაცამწვეთების — დამე-
 სხმება.
 დაწინდვა, 1100, 4. დანიშვნა (სა-
 ცლოლ).
 დაწუხება, 995, 3. თვალის დახუჭ-
 ვა (სხივთა ელვარებისაგან), საკუთრივ
 მზის ძლიერი სინათლისაგან.
 დაწუნარება, 50, 3. დამშვიდება,
 დაამება.
 დაჯირება, 659, 4; 710, 4. საჯირო-
 ების მოთხოვნა, ზრუნვა, მოვლა.
 დაჯირული, 710, 4. ნაჯირნახულევი,
 ნაპატრონები, ნაზრუნი.
 დაჯმუნება, 627, 2. დაღონება, შეწუ-
 ხება.
 დახავესება, 140, 4. ხავესის მოკიდე-
 ბა, დაღარვა, მწუხარებით მოცვა.
 დაქსნა, 872, 3. მოქ. ზ. — მოშორე-
 ბა, თავის დანება.
 დაჯრა, 613, 3. თავის მოყრა, შეყრა.
 დაჯრილი, 621, 3. თავმოყრილი, ერ-
 თად შეყრილი, შეგროვილი.
 დგენა, 985, 4. მარულა, ცხენების გა-
 ჯიბრება ჭენებაში.
 დგრიალი, 685, 4. ცხენთა ჭენების
 ხმაურობა, ცხენთა ფეხის ხმა.
 დება, 958, 2. მოდება, გინა მოკიდე-
 ბა, ცეცხლის დება — ცეცხლის მოდე-
 ბა, წვა.
 დება, 231, 1; 484, 1. დად გახდომა.
 დებული, 773, 2. დად მოკიდებული.

დევი, 50, 2; 560, 1. სომხ.-სპ. ქაჯი, ეშმა, ზღაპრული არსება.

დესი, 188, 4. დის უმჯობესი, დაზე უკეთესი.

დია, 8, 2; 76, 2; 141, 4; 343, 3. დიახ, ძალიან, მეტად.

დიაღება, 76³, 1. გახშირება.

დიადი, 97, 1. ხშირი, მეტად ბევრი.

დიადობა, 305, 3. სიმრავლე, სიხშირე.

დიაცურ, 521, 4. დიაცურად.

დილ, 05, 3. რალაც უცნობის ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირის სახელი, რომლისაგანაც, შემდეგი სიტყვის «არგეთ»-ის თუ «არგეს»-ის მიმართებით, წარმომდგარა არ არსებული «დილარგეთ», გინა «დილარგეს».

დილაჯი, 716, 2. იხ. დიჯლა.

დიონოსი, 125¹, 1; 1328, 1. თითქო ასტროლოგიური თხზულების «დაიგნოზი»-ს სახელწოდება. იხ. ა. შანიძე.

დიონისი ვეფხისტყაოსნისა. — «ჩვენი მეცნიერება» № 8, 1924 წ. იხ. აქვე ეზროს.

დიჯლა, 732, 3. არაბ. საზოგადოდ, დიდი მდინარე, მდ. ტიგროსი.

დოსტაქანი, 402, 1; 1027, 1. სპარ. 1) ღვინის თასი, დიდი სასმისი; 2) ღვინო ან სხვა რამ მაგარი სასმელი, რომელსაც სადღეგრძელოდ სმენ მეჯლისში.

დრაკანი, 385, 1 (დრაკანი). ბერძ. ძველებური ფული.

დრამა, 585, 4; 927, 3; 1097, 4 სომხ. *դրամ*, ბერძ. *δραχμή* — საგან. ვერცხლის ფული, რომელიც ძველად ღირდა დაახლოებით 20 ან 25 კაპ. და იწონიდა ლიტრის $\frac{1}{4}$ მეტს.

დროშა, 319, 1. სომხ. საქ. დროშა, ბაირალი.

დურაჯი, 264, 1 და შემდეგი. არაბ. ტყის ქათამის მსგავსი გარეული ფრინველი.

დუხჭირი, 587, 2. უშნო, ნასი, გონჯი, ულაზათო.

ეაგეთა, 1223, 2. ენიშნა. ფრიდონისთვის ეაგეთა — ე. ი. ფრიდონის შესაფერად ერევნა.

ებანი, 985, 3. დაფი, ან მულნი, აგრეთვე სიმებიანი საკრავი (ჩ.), როგორც ბარბითი, ჩანგი, ქნარი და სხვა.

ეგზომი, 227, 4; 322, 1; 415, 4. ეგოდენი, მაგოდენი; ეგზომ, 558, 4 — ეგოდენ, მაგოდენ.

ელემი, 40, 4. ბერძ. სამოთხის ბაღი.

ეზომ, 373, 1. ამ ზომაზე, ამგვარად, ამზომამდე.

ეზომი, 133, 2, 135², 2; 171, 1. ამოდენი, გინა ესოდენი; ეზომ, 341, 1 — ამგვარად, ამდენად, ამზომამდე.

ეზროს, 125¹, 1. შანიძემ კ. კეკელიძის «ქართ. ლიტ. ისტ.», I ტომში, გვ. 496, მიგვითითა, რომ ეს ეზროსი უნდა იყოს ეზრა წინასწარმეტყველი, რომელსაც მიეწერება ასტროლოგიური თხზულება სათაურით *Tou phophetou Esdra diagnosis* — ე. ი. ეზროს წინასწარმეტყველის დიაგნოზი. ჩანს, აქ სათაურის დიაგნოზი წარუყენილია დიანოსის სახით (იხ. ა. შანიძე, «ჩვენი მეცნიერება», ტფ., 1924 წ., № 8, გვ. 48—49), მაგრამ მაინც კიდევ გაუგებრობას იწვევს ის გარემოება, რომ დიაგნოსად წაკითხული დიანოსი პოემაში ხვდება მეორე ადგილასაც (იხ. 1328 ხანა), რასაც აკ. შანიძემ უურადლება მიაქცია მხოლოდ თავის მოხსენების წაკითხვის შემდეგ და აღნიშნა მის მიერ დასტამბულ ამავე წერილში სათანადო არგუმენტაციით. ესეც რომ არ იყოს, ბრძენის, გინა წინასწარმეტყველის სახელი. «ეზროს», როგორც ლიტერატურული ფაქტი, არც ბერძნულში, არც ქართულში არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ბერძ. *Esdra*, ქართული ეზრა (იხ. კ. კეკელიძე, «ქართ. ლიტ. ისტ.», I ტ.,

466 გვ. და აქვე საკუთარი სახელების
საძიებელი) და არა ეზროს.
ეთერი, 219, 4; 333, 3. ბერძ. ყველაზე
უთხელესი ჰაერთაგანი, რომელიც ახ-
ვევია გარშემო დედამიწასა და მნა-
თობებს; თხელი ჰაერი. იხ. H. Mapp.
TP, IV.
ელვამკრთალი, 1277, 3. მოელვა-
რი, გინა მოციმციმე, ბრწყინვალე.
ენიანი, 392, 2. ენის სახეებიანი.
ეყვანი, 676, 3. საქლერი პაწია ზან-
ზალაკივით, რომელსაც ჰკიდებენ საქ-
ლერად დაირაზე, ან მაცეკვარი ქალე-
ბი ხელებზე იცმენ, ანდა კიდევ მი-
მინოს აბამენ ხოლმე ფეხებზე.
ერლო, 312, 3. ბანი.
ერთგანი, 4, 1. ერთად.
ერთობილი, 1048, 3. სულ ერთიანი,
სულ წმინდა.
ერთსახე, 170, 4; 563, 3. ერთგვარი,
იმავე სახის, გინა ერთი სახის, იგივე.
ესეზომი, 1002, 1. ამოდენი, იგივეა,
რაც ეზომი.
ესოდენი, 530, 1. ამოდენი.
ეტლი 205, 957, 1; 1058, 3. ცთომი-
ლი ვარსკვლავი, გინა ზოდიაქო; ბე-
დი, ბედის ვარსკვლავი.
ეშმა, 71, 3; 741, 3. მავნე სული, ეშ-
მაკი.
ეშმაურობა, 865, 1. მავნე სულობა,
ეშმაკობა.
ეჯი, 391, 3; 829, 2. სომხ. ჭქ—ეჯ.
იხ. H. Mapp. TP, XII—ერთის დღის
საყალი გზა; საზოგადოდ, გზა გრძე-
ლი, ვიწრო და მისხვეულ-მოხვეული;
ბილიკი (ჩუბ.).
ეჯიბი, 95, 1. არაბ. მეფის მსლებელი,
პირის ფარეში, მეფის შინაყმა, კარის
ვეზირი, მეკარე (მეფის).

3

ვა, 268, 3; 327, 3; 521, 4; 1007, 4.
შორისდებული, რომელიც ქართულში
ჩვეულებრივ იბრუნვის: ვა, ვისა,
ვასა და სხვა. აქედგან იწარმოება
ზმნა ვება და მიმღეობა ვებული.

ეს ფორმები გამოყენებული აქვს პოეტს
მისი ჯადოსნური რითმისთვის: ვაი,
ვამე.
ვაგლახ, 72, 3; 190, 4; 724, 4; 1007, 4.
ვაგლახ მიუოს, — შესაბრალო-
სად ჩამთვალოს, სიბრალულის ღირ-
სად ჩამრაცხოს.
ვაგლახი, 1731, 4. ტირილი და ვაე-
ბა, ტყეება-ტირილი.
ვაგლახ მევა, 1007, 4. «ვაი მე
უბედური»-ს ძახილი.
ვაება, 257, 4; 258, 2; 663¹, 3. მოთ-
ქმა, კენესა, გოდება, წუხილი, სკ. ვაის
ძახილი, ოხვრა-კენესა.
ვაერთხელი; 457, 3. ერთხელ მე-
ტად აღარ მინახავს. პოეტი სიტყვით
«ერთხელ» ხშირად სარგებლობს ლექ-
სისთვის. იხ. 193, 4; 457, 2; 614, 3,
1405, 2.
ვაზირი, 614, 4. ანუ ვეზირი, არაბ. მი-
ნისტრი; კარის კაცი, მეფის შინაყმა.
ვაზირობა, 444, 1. რჩევა, გინა რჩე-
ვის მიცემა, თათბირობა.
ვალი, 100, 3. არაბ. დიდი; აქვე: ნივ-
თი და ვალი — ავლა-დიდება, თვალი.
ვამე, 334, 4. ვამე.
ვამი, 62, 2; 410, 2. არაბ. შიში, მძი-
მე ეჭვი, გინა მძიმე ფიქრი.
ვარგი, XII, 3; 121¹, 4; 1408, 3. საქ-
ები, მოსაწონი, კარგი.
ვარდა 1193, 4. გაავარდა—ე. ი. ვარ-
დყო.
ვარდიეფი დრო, 215, 3. ვარდ-
უხვი დრო, ე. ი. გაზაფხული, ან მაისი.
ვარდება, 1193, 3. ვარდად გადაქ-
ცევა (ენ. ზ.), გაავარდება.
ვაქილება, 143, 4. (ვა ვაქილე-
ნით) — გავექილება, ვექილობის გა-
წევა. იხ. არ. ვაქილი.
ვაცი, 666, 4; 1065. მამალი თხა.
ვაშად, 226; 1; 308, 3. კეთილად, ბე-
დნიერად, მშვიდობით.
ვაშობა, 650, 4; 663¹, 4. ოხვრა-კენე-
სა. გოდება; ვაშობს — კენესის,
ოხრავს, ახავს.

ვება, 771, 4. მოთქმა, ტირილი; გოდება. ვაის ძახილი.
 ვებული, 640, 3; 967, 2. მტირალი, მოვალაღე; ბედის მოჩივარი.
 ველა, 341, 3. მრ. ველანი. ველი, მინდორი.
 ვეფხი-ავაზა, 1020, 2. მომცრო ტანის ვეფხი; ლეოპარდი. იხ. ავაზა.
 ვითა, 156, 2. როგორც.
 ვითამცა, 6, 4. როგორ თუ, ნეტავი როგორ.
 ვითმე, 272, 2. როგორმე.
 ვინათგან, 18, 1; 193, 3. როგორც, რადგან.
 ვინძი, 437, 4. ნეტა ვინ უფრო.
 ვირ, 1313, 4; ვირე, 1268, 1; ვირემ, 138, 1; ვირეს, 551, 4. ვიდრე, სანამ, სანამდის.
 ვირე, 1268, 1. იხ. ვირ.
 ვირემ, 138, 1. იხ. ვირ.
 ვირეს, 551, 4. იხ. ვირ. ვიდრემდის.
 ვისი, 131, 3. სპარსულის რომანის «ვისორამინ»-ის მთავარი გმირი ქალის სახელია.

ზ

ზადი, 76, 4. არაბ. ნაკლი. ხიჩი (საწყენი რამ, ნაკლი); საკ. ზედმეტი, ზორცმეტი. მუწუკი.
 ზადება, 132¹, 4. ძირი იხ. წინასიტუვა, ნაკლის ქონება.
 ზავი, 242, 3. მშვიდობის, გინა შერიგების პირობის დადება მეომარ სახელმწიფოთა შორის, გინა მშვიდობიანობის ჩამოგდება.
 ზათქი, 847¹, 2; 1040, 1; 1252¹, 3. დიდი ხმაურობა, ზრიალი, ზახილი.
 ზამი, 301, 4, გინა ზეჰმი. სპარ. დიდი ყოფა, გამოჩვენება. იხ. ზეიმი.
 ზანგი, 77, 3. სპარ. ეთიოპი, შავი მონა.
 ზარადი, 1226, 4. არაბ. თავის დასარქმელი რკინის საჭურველი ომის დროს.

ზარადხანა, 1120, 4. არ.-სპ. იარაღის, ზარადის, გინა აბჯრის საწყობი სახლი.
 ზარადეზული, 1209, 3. დაფეთებული, შეშინებული, გაცეხული.
 ზარდება, 752. ზარება, მოძულება, ძაგება.
 ზარი, 261, 1; 467, 3. სომხ. 1) საშინელება, ზარმცა თქმად. horribile dictu — საშინელებაა სათქმელად. 2) შხამი. საზიზღრობა, სისაძაგლე; — მიხნდა ზარად — მძაგდა, მეზარებოდა.
 ზარი, 1252, 3. კიქინა, დიდი ხმაურობა.
 ზარქაში, 519, 4. სპარ. ოქროქსოვილი, ოქრომედი, ოქროს ფარჩეულობა.
 ზახილი, 162, 3; 170, 2; 199, 2 და 3; 554, 2. ძახილი, კივილი.
 ზაფრანა, 586¹, 2. სპარ.-სომხ. ყვითელი სუნელოვანი ბოსტნის ყვავილი.
 ზე, 145, 4. ზევით, მაღლა.
 ზეგარდმო, 1, 2. ზევითი. მაღლით, ზეციური.
 ზედადღმან, 997, 3. ზევითგან.
 ზედა-ზედი, 1045, 2. ზედიზედ მოსული, გინა მომხდარი.
 ზედაზედრე, 110, 2. კიდევ უფრო ხშირ-ხშირად.
 ზედათ, 1000, 4. ზევიდგან, ზემოთგან.
 ზედამსწრებელი, 109, 4. მმსწრები.
 ზედან, 330, 3; 331, 1; 1328, 2. ზედ.
 ზეზი, 156, 3. ბისონი, გინა პორფირი. — მზე-სინათლითა ზეზითა, ე. ი. მზე უბრწყინვალესი სინათლით მოსილი, ვითა ზეზითა, ანუ მზე პორფირცმული. ანდა ზესი — მაღალი, უზენაესი, ზეციური და სხვა.
 ზეიმი, 36, 3. იხ. ზამი, გინა ზეჰმი.
 ზემთა, 559, 4. ხალხური თქმად ისე, როგორც «მაღლა მთა». შეად. ქვემინდორი.
 ზემხედველი, 14, 4. ცნობითა ზემ-

ხედველითა: ხელმწიფური ჯუჯის გამომეტყველი სახით, ხელმწიფური თვალთ.

ზენა, 227, 3; 434, 3. მაღალი, კურთხეული, ღვთაებრივი, უზენაესი, გინა ზეციური.

